

K 324523
3





TA

016

უ. გომისროვა

გლეხის კარაბარინი



სახელმწიფო



03. გორართობი



გლეხის კარაბაღი


||

85662
T 3

სახელმწიფო გამოცემა

1 0 2 0





୧୯୬୧/୧୫୫

ჭინასიტყვაობა.

ექენ, თქვენ: მელანო, ტასია, ხათო, თათია, ანტონა,
ზაქრო, პეტრია, გომრგა, მიტრო და ყველა, ვინც ჯერ კი-
დევ გუშინ მონები იყავით!

ჩემი სიტყვა თქვენსკენ არის მომართული. თქვენ დალე-
წეთ მონის ბორკილები, გაანიავეთ ძველი ცხოვრება და გაინ-
თავისუფლეთ თავი.

რისთვის?

იმისთვის რომ ძველის ნანგრევებზედ ააგოთ ახალი ქვე-
ყანა, ახალი სოფელი, ახალი ცხოვრება,—გლეხისა და მუშის
ცხოვრება.

ისტორიაშ თქვენ აგირჩიათ ახალი ცხოვრების აღმაშენე-
ბლებად.

ეს არის შეტად დიდი, დიდებული და თან მძიმე საქმე.

თქვენ ეს უნდა შეასრულოთ, თქვენ ამას შეასრულებთ.
მხოლოდ ამისათვის საჭირო არის შეურყეველი შეგნება და
კლდესავით მაგარი ჯანმრთელობა.

თქვენი ჯანმრთელობის დაცვა მიზანია ამ წიგნის.

იყავით მაგარი, როგორც ფოლადი, და მტკიცებ ააშე-
ნეთ ახალი ქვეყანა.

ნაზისტი პირველი

I. ადამიანის წარმოშობა.

ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელეო“. უსწავლელი კაცი თვალებაზეულია, ვერაფერსა ჰედავს და ამიტომ აღვილი მოსატყუებელია. რომ ვინმემ მოჰკიდოს ხელი: იქეთ წამოდი მე გაგიცვან კარგ გზაზეო, გაჰყვება და შესაძლებელია, იმან ხრამში გადააგდოს. როდესაც ადამიანი ცოდნით არის შეიარაღებული, ასე აღვილად ველარ მოატყუებენ: მან კარგიდ იცის, როგორი ფეხები აბია ტყუილს.

ვინ არ ატყუებდა თქვენისთანა მშრომელ ხალხს! ჯერ კიდევ გუშინ, მეუე და მისი მთავრობა, მთავრობის მოხელეები, მემმულები, მდიდრები, სამღვდელოება.

ტყუილების შემწეობით ეს ამოდენა მუქთახორები კისერზე გასხდენ: თქვენ შრომობდით, ისინი კი თქვენს ნაშრომს შეექცევიდენ.

როდესაც თვალები აახილეთ, მუქთახორები გადმოყარეთ და ახალი ცხოვრების შენებას შეუდევით.

— ძალიან ძნელი კი ყოფილი ახალი ცხოვრების აშენება! ამბობს ეგერ გიორგი.

აღვილი მხარ-თეძოზე წოლაა; მუშა ხალხს სიძნელე ვერ შეაშინებს. მხოლოდ მას ცოდნა უნდა ჰქონდეს, ცოდნა. ცოდნა ჩირალდანია, რომელიც მუშა ხალხს გზას გაუნათებს და ვერავითარი მოლალატე ვერ შეიყვანს მას შეცდომაში.

თქვენ გატყუებდენ: მეუე და მისი მთავრობა ღვთისევან არის დამტკიცებული. თქვენც გჯეროდათ და იყავით სულგანაბული. დედამიწაზე მეუე, ცაში ღმერთი, რომელიც მშრომელი ხალხის მტარვალს მეფეს მფარველობს და წელში გაწ-

უკეტილ შშრომელ ხალხს ფეხებს უბრავუნებს: — ცაც! თუ რა-
მე გაბედე, ჯოჯოხეთში გიკრავ თავს! აი ასეთი სისულელე
გჯეროდათ, ასეთს ღმერთს ევედრებოდით, იმიტომ, რომ არა-
ფერი არ იცოდით.

— უა და დედამიწა ღმერთმა გააჩინა ექვს დღეში, მე-
ექვსე დღეს ადამი შექნა თიხიდან, მოგვარა ღრმა ძილი, გა-
მოქრა გვერდი და ამ გვერდიდან ევა გააჩინა — გასწავლიდათ
სამღვდელოება.

ეს სისულელე დღესაც კი გჯერათ თქვენ.

— აბა ადამი და ევა არ გაუჩენია ღმერთსა? მეყითხება
პეტრე.

— არავითარი ადამი და ევა არ ყოფილი და არც გაუ-
ჩენია არავის.

— აბა როგორ გაეჩნდით თავუაპირველიდ! მეყითხებით.

— როგორ გაეჩნდით და ადამიანი თანდათან განვითარ-
და მრავალი ასი ათასი წლების განმავლობაში ცხოველებიდან.

— ვინ დაამტკიცა მერე ეგ? მეყითხებით თქვენ.

— ეს დაამტკიცა მეცნიერებამ. მრავალი გამოჩენილი მე-
ცნიერი იკვლევდა ამ საგანი; ადარებდნენ ადამიანისა და მრა-
ვალ დანარჩენი ცხოველების შიგნეულობას და აგებულობას,
სთხრიდენ მიწის გულს, რომ იქნება საღმე აღმოჩენიათ ძვე-
ლისძველი ადამიანის ძვლები და აღმოაჩინეს კიდეც. მეცნიე-
რების საერთო კვლევაძიებამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ
ადამიანი თავიდანვე კი არ ყოფილი ასეთი გარეგნობისა, რო-
გორც დღეს არის, არამედ თანდათან განვითარდა დაბალი
ცხოველებიდან.

მაგრამ ერთი ეს მითხარით, ის ვიღამ დაამტკიცა: ღმერ-
თმა ადამი თიხიდან გააჩინა და ევა ადამის გვერდიდანო? ჰო,
მითხარით, რას გაჩუმებულხართ, აბა ვინ დაამტკიცა?

— საკირეთის ხუცესმა! ოხუნჯობს ეგერ მიხა.

— მართალია, მართალი! ამის მტკიცებას დღეს საკირე-
თის ხუცესის მეტი ვერავინ დაიწყებს და ახლა თქვენი სინ-
დისისა და გონიერებისათვის მიმინდვია, ვის უნდა დაუჯეროთ:

საკირეთოს ხუცესს, თუ მეცნიერებს, რომლებიც ცადა და ქვეყანას იკვლევენ, ცოდნას იგროვებენ, გაუგებარს იგებენ და აუხსნელსა ხსნიან?

საღმრთო წერილში სწერია, ქვეყნის გაჩენილან შეიდი ათასმა წელმა გაიარაო. დღეს მეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ შეიდი ათასი კი არა ასი ათასი წლების წინათაც დედამიწაზე აღამიანები იყვნენ და დედამიწის წლოვანება ხომ მრავალ მილიონ წელიწადს უდრის.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ მეცნიერებაში ნელ-ნელა გროვდებოდა მასალა რამოდენიმე საუკუნოების მანძილზე და ამ მასალიდან გამომდინარეობდა სწორი შეხედულება-ცოდნა. აღამიანის სიცოცხლე მეტად მოკლეა, რომ ერთმა მეცნიერმა მარტო საკუთარი ძალლონით ახსნას დიდი საკითხი.

ერთი მეცნიერი ერთს რასმე აღმოაჩენს, მეორე—მეორეს, მესამე კიდევ სხვა რასმეს. ამგარად, თანდათან დაგროვდება საკმაო მასალა და შემდეგ რომელიმე მეცნიერი ამ მასალიდან დიდ ცოდნას გამოიყენს.

სწორედ ასე მოხდა აღამიანის წარმოშობის საკითხშიაც.

ამ ორასი წლის წინად იყვნენ ისეთი მეცნიერნი, რომლებიც ამბობდენ: აღამიანი თანდათან განვითარდა სხვა ცხოველებიდან. ამ ასი წლის წინად საფრანგეთის მეცნიერმა ლამარკმა გამოსთქვა აზრი: აღამიანი მაიმუნიდან განვითარდა და საერთოდ ცხოველები დედამიწის ზურგზე იცვლებიან; მაგრამ მარტო თქმა ხომ არ კმარა, ნათქვამს დამტკიცება უნდა. ეს დამტკიცება კი არ იყო.

თანდათან დაგროვდა სხვადასხვა მეცნიერების დაკვირვება; აღმოაჩინეს აღამიანის კვერცხი, გამოიგონეს გამადიდებელი იარაღი, რომელიც პატარა საგანს ერთი ათასად და მეტად აღიდებს.

ამ იარაღის წყალობით შესაძლებელი გახდა ისეთი წერილ-მანების დანახვა და შესწავლა, რაც წინათ მიუწდომელი იყო.

აღმოაჩინეს პირუტყვების კვერცხი და დაინახეს, რომ

ადამიანისა და პირუტყვების კვერცხი ძალიან წაგავს ერთმანეთს. ადამიანების და ცხოველების ოქსლში დაინიჭეს ცოცხალი თავკომბალები, რომლებიც კვერცხს ანაყოფიერებენ, და დარწმუნდენ, რომ ადამიანის კვერცხის თავკომბალები ძალიან მიემგვანებიან დანარჩენი ცხოველების თავკომბალება.

მეცნიერებამ მოჰკიდა ზელი ჩანასახის შესწავლის და აღმოჩნდა, რომ როგორც ადამიანის, ისე სხვა ცხოველების ჩანასახი ერთნაირად ვითარდება.

შევალითად: ადამიანისა, თევზისა, ბაყაყისა, ქათამისა, მაიმუნის, ცხვარის, ძაღლის და სხვა ჩანასახი პირველი კვირების განმავლობაში იმდენად მიემგვანებიან ერთმანეთს, რომ ვერ გაარჩევთ, რომელი რომელს ეკუთვნის.

მეტად საგულისხმოა შემდეგი მოვლენა: ადამიანისა და ყველა პირუტყვების ჩანასახს პირველ კვირებში უჩნდება ლაურები სწორედ ისე, როგორც თევზის ჩანასახს. თევზის ჩანასახს ეს ლაურები შემდეგ და შემდეგ ეზრდება, უვითარდება; ადამიანისა და პირუტყვების ჩანასახს კი ნელ-ნელა ელევა და უქრება.

რას ამტკიცებს ეს გასაოცარი მოვლენა?

იმას, რომ ადამიანისა და ყველა ცხოველებს თევზამდე, უძველეს დროს საერთო წინაპრები ჰყავდათ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო რამდენიმე ათასი წლის წინად, არამედ რამოდენიმე მილიონი წლის წინად. ბუნებისთვის რამოდენიმე მილიონი წელი ივივეა, რაც ჩვენთვის რამოდენიმე წამია.

ადამიანის ჩანასახს პირველ კვირებში უჩნდება ისეთივე კული, როგორც კატის, ძაღლის, ცხვარის, ქათმის და სხვა ჩანასახს. შემდეგ და შემდეგ ადამიანის ჩანასახს ეს კული ელევა, პირუტყვებისას კი ეზრდება. მხოლოდ ჩვენი კუდუსუნის ძვლები მოწმობენ, რომ ადამიანის ძველის-ძველი წინაპარი კუდიანი ცხოველი ყოფილა.

ადამიანის ჩანასახი ხუთი თვისა დაფარულია მთელ ტანზე ნაზი ბუსუსებით, რაც შემდეგ მას სკილდება. ესაც იმას მოწმობს, რომ ჩვენი ძველი წინაპარი ბალნიანი ცხოველი იყო.



დღესაც კი იბადებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მთელ ტანსა და სახეზე პირუტყვებივით არიან დაფარული ბალნით.

ამგვარიად, ჩანასახის შესწავლამ გამოარკვია, რომ ადამიანის ჩანასახი არა თუ მეტსგავსება პირველ ხანებში ყველა ცხოველების ჩანასახს, არამედ ვითარდება სწორედ იმრიგად, როგორც დანარჩენი ცხოველების ჩანასახი. ადამიანისა და პირუტყვების შეგნეულობის შორის რომ დიდი მსგავსებაა, ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

გამადიდებელმა იარაღმა გამოარკვია, რომ ადამიანისა და ყველა პირუტყვების კანი, ძვალი, ხორცი, ნერვები, თვალი, ყური, ტვინი, გული, ღვიძლი, ფილტვი და სხვა ერთნაირა-თა და ერთგვარი მასალიდან არის აგებული.

დედამიწის შესწავლამ გამოარკვია, რომ მიწის გულში ინახება ძვლები ისეთი ცხოველებისა, რომლებიც უწინ ყოფი-ლან, დღეს კი აღარ მოიპოებიან, გადაშენებულან. ასეთი ძვლებისა და დედამიწის აგებულების შესწავლით მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ცხოველები და მცენარენი თანდათან წარ-მოიშვენ უმდაბლესი ცხოველებიდან და მცენარეებიდან, ნელ-ნელა განვითარდენ, შეიცვალენ და მიიღეს დღევანდელი სახე, — ამ განვითარებას მოუწნდა მრავალი მილიონი წელიწადი.

— საკვირველია, თუ უწინა ასე იცვლებოდა ყველაფერი, ახლა რატომ აღარ იცვლება? მეკიოხება ზაქარია.

ვინ მოგახსენათ, რომ აღარ იცვლება?

როგორც დედამიწა, ისე მცენარენი და ცხოველები ნელა-ნელა იცვლებიან დღესაც.

— რა ვიკი, ამ ჩემ ნახსოვრობაშია ქათამიც იმისთანაა, როგორიც იყო, ცხენიცა, ხარიცა! ამზობს ზაქარია.

— მე, ჩემი ზაქარია, მილიონიან წლებზე გელაპარაკები და შენ კი შენს მახსოვრობაზე, რომელიც რამოდენიმე თე-ულ წელიწადს არ იღემატება.

ხომ იცით, ადამიანის სიცოცხლე „წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“. უნდა იცოცხლო რამოდენიმე თასი წელიწადი, მაშინ შენიშნავ მხოლოდ ცვლილებას; პუნქტაში



ხომ რამოდენიმე ათასი წელიწადი კი არა რამოდენიმე მილი-ონიც არაფერია: ცვლილება სწარმოებს შეუმჩნევლად და ის აშეარავთება მხოლოდ რამოდენიმე ათასი წლების მანძილზე.

მეცნიერები თანდათან მიიღიდენ იმ დასკვნამდე, რომ უძვე-ლეს დროს, რამდენიმე ასი მილიონი წლის წინად, დესამიწაზე ჯერ სულ მარტივი აგებულების ცხოველები გაჩნდენ, თანდა-თან განვითარდენ, შეიცვალენ; იმათგან წარმოიშვენ ხერხე-მლიანი ცხოველები; ესენი თანდათან გადასხვაფერდენ, რადგა-ნაც დედამიწის ზურგზე ცხოვრების პირობები იცვლებოდა, და ბოლოს ამ ცხოველებიდან წარმოიშვა ძველის-ძველი ველური ადამიანი, რომელსაც ჯერ ბევრი რამა ჰქონდა საერთო ცხო-ველთან. ეს ადამიანი მრავალი ასი ათასი წლების განმავლო-ბაში განვითარდა, დაშორდა თავის ძველ წინაპარს და მიიღო დღევანდელი სახე.

გაივლის კიდევ რამოდენიმე ასი ათასი წელიწადი და ადამიანი ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვლება, ჩვენზე გაცილებით უკეთესი იქნება სხეულით, ხასიათით, გო-ნებით.

— მანამდი მეორეთ მოსვლა იქნება, გვეუბნება ქიტო.

მეორეთ მოსვლა აյი იყო კიდეც მეფისა, მისი მოავრო-ბისა და ბატონებისათვის.

და თქვენ რომ ღვდლებმა ქრისტეს მეორეთ მოსვლა ჩა-გიქვედეს ტვინში, ეს ტყუილია, რომელსაც მოკლე ფეხები უკვე მოემტვრა.

ასე,— მეცნიერება ნელა-ნელა მივიდა იმ უასკვნამდე, რომ ადამიანი თანდათან განვითარდა უმდაბლესი ცხოველიდან, მაგრამ ასეთ დასკვნას დასაბუთება ესაჭიროებოდა.

რის განვითარება, რას ჩმახავთ, ღმერთმა ყოველივე ისე გააჩინა, როგორც ღღეს არისო, გაიძხოდა სამღვდელოება.

საჭირო იყო სამღვდელოებისათვის ბურთის ჩაჩრა პირში მაგარ-მაგარი საბუთებით.

ეს საჭმე შეასრულეს ინგლისელში მეცნიერებმა — უოლესში და დარვინშა.



უოლესი უა დარვინი ორი ფიდი მეცნიერია, რომლებმაც სრულებით გაანიავეს საღმრთო შექილისა და სამღვდელოების ყალბი შეხედულება იდამიანის წარმოშობაზე. როდესაც დარვინმა გამოაქვეყნა თავისი შრომა „მოდგმათა წარმოშობა“, მთელს კვრობაში ერთი აურჩაური ატყდა.

სამღვდელოება გააფთრებული დაეტაკა მეცნიერს, მაგრამ მისი მეცნიერული სიმაგრე მიუვალი იღმოანდა. ოცი წელი-წალი იკვლევდა დარვინი ცხოველებისა და იდამიანის წარმოშობის საკითხს; ამ ხნის განვითარების იმდენი მასალა დააგროვა, რომ სამღვდელოება და ყველა მტრები კეშმარიტებისა ჩააწერა.

სამღვდელოება ქადაგებდა: ღმერთმა ცალ-ცალკე გააჩინა თევზი, ქვემძრომნი, ცხოველები, ფრინველნი, მცენარენი და იდამიანიო.

დარვინმა გამოააშკარავა სრული სიყალბე ასეთი შეხედულებისა და დამტკიცა, რომ ერთი მოდგმა განვითარდა მეორისაგან, როგორც მცენარეთა ისე ცხოველების სამეფოში და იდამიანიც შედეგია ასეთი განვითარებისა უმდაბლესი ცხოველებიდან.

პური, ქერი, სიმინდი—ძველად წარმოადგენდენ გარეულ მცენარეულობას, მაგრამ აღამიანმა იმდენად შესცვალა ისინი მოვლით, რომ მათ პირვანდელ წინაპრებს ჩვენ ვეღარ ვიცნობთ. გარეული სიმინდი მշონია იხლაც არის ამერიკაში, მაგრამ ჩვენი სიმინდი სრულებით იღარ წააგავს მას. განა ჩვენი ვენახების ყოველგვარი ჯიშის ყურძენი გარეულ ყურძნიდან—კრიკინადან არ წარმოიშვა მოვლის წყალობით!

სხვადასხვა მწვანილი, ბოსტნეულობა, ხილი—გარეული არ იყვნენ წინათ! მერე რითი გავს ჩვენი ბალის ვაშლი ან მსხალი ტყის პანტას?

უძველესმა იდამიანმა მოაშინაურა ტურა, მგელი და თანდათან წარმოიშეა სხვადასხვა ჯიში ძალლისა. რა იქვს საერთო დღევანდელ ფინიას მგელთან? არაფერი, მაგრამ მიუხედვათ ამისა ჩვენ ვიცით, რომ ორივე განვითარდა ერთი და იმავე წინაპრიდან.



თქვენ კარგად იცით, რომ შესაფერის შერჩევით შესაძლებელია შინაური საქონლის ჯიშის შეცვლა. განა ევროპიული ჯიშის ძროხა, ხირი, ცხენი, ღორი, ცხვარი—ჩვენსას წააგავს? არა.

მერე ვინ შესცვალა ამდენად? იქ სხვანაირი გააჩინა ღმერთმა და ჩვენში სხვანაირი?

შესცვალა ადამიანმა შესაფერის შერჩევით. ერთი დედმამის შვილები ერთნაირი არასოდეს არ გამოდიან,—ყოველთვის არის მათ შორის რაიმე განსხვავება. კარგი მეურნე ამოარჩევს საუკეთესოებს და იმათ მოაშენებს. ამ ნაშიერიდან კიდევ საუკეთესოს ამოარჩევს და მოაშენებს. ასეთი ამოარჩევის საშუალებით ის ბოლოს და ბოლოს მიიღებს მეტად გაუმჯობესებულ ჯიშს, რომელიც ძალიან დაშორებული იქნება თავისი პირვანდელი წინაპრებისაგან.

ი ასეთ არჩევას დარვინი უწოდებს ხელოვნურ შერჩევას, რადგანაც მას ხელოვნურად იწარმოებს ადამიანი ჯიშის გასაუმჯობესებლად.

თვითონ ამ განვითარებას ის უწოდებს ევოლუციას.

— ძაან არ გავს რევოლუციას! მესმის ეგერგიორგის ხვა.

მართლაც ძალიან ჰგავს მარტო სახელით კი არა, არამედ შინარსითაც, ასეთი განვითარება სხვადასხვა მოდგმისა, ასეთი ევოლუცია ბოლოს და ბოლოს ნამდვილ რევოლუციას ახდენს დედამიწის ზურგზე. პანტიდან—თურაშაული; კრიკინადან—ყურძენი; მგლიდან—სხვადასხვა ჯიშის ძალლი; პირუტყვიდან—ადამიანი—ყოველივე ეს განა გასაოცარი რევოლუცია არ არის?

თუ კი დღემოკლე ადამიანს შეუძლია ასეთი ცვლილების შეტანა მცნარეთა და ცხოველთა სამეფოში, განა გაცილებით მეტი არ შეუძლია ბუნებას, რომელიც მილიონ წლებს ისე ისკრის, როგორც ჩვენ ერთ წამს!

რა თქმა უნდა, ასეთი შერჩევა გაუმჯობესებული ჯიშებისა ბუნებაშიაც არსებობს და ამას დარვინი უწოდებს ბუნებრივ შერჩევას.

რაში მდგომარეობს ეს ბუნებრივი შერჩევა?

ბუნებაში სწარმოებს ბრძოლა არსებობისათვის; ამ ბრძოლის დროს მრავალი ცხოველი იხოცება, უფრო ამტანი, გამძლე, ღონიერი, მოქნილი და მოხერხებული გადარჩება. არსებობის პირობებში დედიმიწის ზურგზე ნელ-ნელა და შეუჩერებლად იცვლება. დიდი ნაწილი ცხოველებისა შეცვლილ პირობებს ვეღარ იტანს, ვერ ეგუება და ბოლოს და ბოლოს იხოცება, ისპობა; ვინც მოახერხებს შეგუებას, ის გადარჩება და გამრავლდება, მაგრამ ასეთი შეგუება იწვევს ცვლილებას, თანდათანობით შეცვლას.

დარვინმა უამრავი საბუთებით დაამტკიცა, თუ როგორ ცვლილებას იწვევენ ცხოველთა და მცენარეთა რიგებში არსებობისათვის ბრძოლა და ბუნებრივი შერჩევა.

ამ რენის კანონს ბუნებისას ვერც აღამიანი იციდენდა თვიდან. აღამიანი ძველადგანვე ისეთი კი არ გაჩნდა, როგორიც დღეს არის, არამედ თანდათანობით განვითარდა უმდაბლესი ცხოველიდან. ჩვენი წინაპრები არა ჰყოფილია აღამი და ევა, არამედ ცხოველები, რომლებიც ოთხზე დაღიოდენ და ენა არ იცოდენ.

როგორი იყვენ, ვინ იყვენ ეს ცხოველები?

დარვინს ეს აღარ უთქვაშს, მაგრამ რისი თქმაც მან ვერ მოასწრო, სხვებმა თქვეს; რისი დასაბუთებაც მან ვერ შესძლო საკმაო მასალის უქონლობისა გამო, სხვებმა დაამტკიცეს, რაღ განაც ასეთი მასალა თანდათან აღმოჩნდა და დაგროვდა. როდესაც აღამიანის ჩანასახის განვითარება შეაღარეს მაიმუნების ჩანასახის განვითარებას, მეტად დიდი მხეგვაცება აღმოჩნდა. განსაკუთრებით მიემგვანებიან აღამიანს ოთხი ჯიში მაიმუნებისა: ორანგუტანგი, გიბონი, გორილა და შიმპანზე. ამიტომ ამათ მეცნიერებმა უწოდეს აღამიანის მზგავი მაიმუნები.

ამ მაიმუნების ჩონჩხი შესდგება ორასი დიდი და პატარა ძვლებისაგან; დაახლოებით ამდენივე ძვალია აღამიანის ჩონჩხი. საერთოდ აღამიანის როგორც მთელი ჩონჩხი, ისე ცალკე ძვლები ძალიან ჰგავს ამ მაიმუნების ჩონჩხსა და ძვლებს.

ამ მაიმუნებს აქვთ სამასი კუნთი; დაახლოებით ამდენივე და, ამგვარი კუნთები აქვს აღამიანსაც. ტევინის აგებულება და გარეგანი მოყვანილობა, როგორც ამ მაიმუნებისა, ისე აღამიანისა, დიდათ მიემგვანება ერთიმეორეს. საოცარი მზგავსებაა შინაგან ასოებშიაც: მაგალითად, აღამიანისა და ამ მაიმუნების გულს ერთმანეთში ვერ გაარჩევთ. აღამიანისა და ამ მაიმუნების ჩანასახი რომ აიღოთ რამოდენიმე კვირისა, რომელია აღამიანი და რომელი—მაიმუნი, ვერ იტყვით.

რას ამტკიცება ყოველივე ეს?

იმას რომ ყველა დანარჩენ ცხოველებში აღამიანი და აღამიანის მზკავსი მაიმუნები მეტის მეტად მიემგვანებიან ერთ-მანეთს.

რას გვეუბნება ეს მზგავსება?

გვეუბნება იმას, რომ აღამიანი და აღამიანის მზგავსი მაიმუნები ორი სხვადასხვა შტო არის ერთსა და იმავე ხეზე გამოსული ე. ი., აღამიანსა და აღამიანის მზგავს მაიმუნებს უძველეს დროს ჰყოლიათ ერთი და იგივე წინაპარი. მისი ჩამო-მავლობის განვითარება წისულა სხვადასხვა გზით და ერთის შერით თანდათან წარმოაშვენ აღამიანის მზგავსი მაიმუნები, მეორეს მხრით აღამიანი.

ამგვარად, ჩვენი უძველესი წინაპრები არ არიან სამოთხი-დან გამორჩეული აღამი და ევა. ხოლო დღეს თქვენ უნდა დასჭიმოთ მთელი თქვენი ძალლონე და გადააქციოთ ეს ქვე-ყანა ნამდეილ სამოთხედ, საიდანაც მშრომელ ხალხს ვერა-ვინ გამორჩეულს.

II. უჩინარი არსებანი.

ა) ბაცილები.— აიღეთ ერთის მხრით ცხენი, ხარი, კა-
 მეჩი, სპილო, — მეორეს მხრით რწყილი, კოლო, ფუმფლა,
 ძმარში რომ იღრჩიბა ხოლმე.

რა დიდი განსხვავებაა მათ შორის!

ერთ მხარეზე ყველა ვება, უშველებელი; მეორეზე კი
 ყველა პატაწკინტელა, ერთი ციცქა!

საცოდავი რწყილი, საბრალო ფუმფლა!

მოითმინდეთ: არც იმდენად საცოდავნი არიან, როგორც
 ოქვენ გეჩვენებათ.

დედამიწაზე უთვალავია ისეთი არსება, რომლის გვერდი-
 თაც რწყილი და ფუმფლა ნამდვილი სპილოები, ვეშაპები არიან!

ეს საცოდავები, რამ დალიათ იმდენათო, ამაყად წარ-
 მოსთქვამენ რწყილი და ფუმფლა, როდესაც ამ პატაწკინტელა
 არსებებს გადამხედავენ.

— თუ კი არიან, რატომ ჩვენ ვერა ვხედავთ? იყითხავთ
 ოქვენ.

იმიტომ ვერა ვხედავთ, რომ მეტის მეტად მცირენი არიან
 და ჩვენი თვალი ვერ ამჩნევს მათ.

არიან იმდენად პატარა ქმნილებანი, რომელთა რამდენიმე
 მილიონი ერთ წყალში თავისუფლად ეტევა.

მოდი ახლა შენ და დაინახე!

— თუ არ დაგინახავს, მაშ რაღას ლაპარაკობ! განა არ
 ვიცი: აი ამას ამბობთ ახლა თქვენს გულში!

დიახაც დამინახავს და თქვენც შეგიძლიათ, დაინახოთ;
 ყველასაც შეუძლია, მხოლოდ მარტო თვალით კი არა — მიკრო-
 სკოპით.

— ჰეჰე! ე რაღა ჯანაბაა! იტყვით ოქვენ.

ჯანაბა კი არა იარაღია, ერთგვარი იარაღი; შიგ ისეთი ძალის გამაღილებელი შუშებია, რომ მცირე რასმე ერთი ათა-სად გააღიდებს. მეცნიერებმა ამ იარაღს უწოდეს მიკროსკოპი, რაც ჩვენებურად ნიშნავს უჩინარის მაჩენს ანუ უჩინმაჩენს.

ამ იარაღმა მოვცა საშუალება, რომ დაგვენახა პა-ჭაჭკინტელა უჩინარი არსებანი.

თქვენ გვონიათ, მიკროსკოპში დიდათ მოსჩინან ისინი?

ზოგი წერტილის თდენაა, რგვალი; ზოგი პატარა ჩხირს წააგავს ექვსასჯერ და რვაასჯერ გადიდების შემდეგ; ზოგი სწორია, ზოგი მოხრილი, ზოგი დაკლაკნილი კახრაკივით.

ამ ამ პატარა არსებებით საესე არის მთელი ქვეყნიერება.

ისინი იბადებიან, საზრდოობენ, იზრდებიან, მრავლდებიან და იხოცებიან — ისე როგორც ჩვენ.

მათი გამრავლების წესი უფრო ხშირად ასეთია: ერთი გაიყოფა შუაზე და ამ რიგად ჩნდება ორი; ყოველი მათგანი გაიყოფა ორად და სხვ.

ახლა არ იყითხავთ, როგორის სისწრაფით იციან მო-შენება!

დღეზაღამის განმავლობაში თვითეული მათგანი ოც მი-ლიონზე მეტ შთამომავლობასა სტოცებს!

— ვაი დედაო, რა კარგია ერთი ასეთი ჯიშის ძროხა! ნატრობს ბესია.

ქათამსაც არ დამიწუნებთ ამგვარი ჯიშისას!

— მერე ვინ დათვალა, როგორც მრავლდებიან? მეკი-თხებით, ვინ დათვალა და მეცნიერებმა.

ძალიან ბევრია ისეთი სწავლული, რომელიც მთელი თა-ვისი სიცოცხლე ამ უჩინარ არსებებს იკვლევს, ინახავს ფრთხილად, უვლის, ამრავლებს, უკვირდება და მათს ზნესა და თვისებას ირკვევს.

ამ უჩინარ არსებებს მეცნიერებმა დაარქვეს სახელად ბა-ცილა, ბაქტერია, მიკრობი, პლაზმოდიუმი — იმისდა მიხედვით, თუ რომელს როგორი მოყვანილობა აქვს.

ბაცილები მეტის მეტად გავრცელებული არიან ცველგზნ: სახლში, კარში, ჰაერში, წყალში, მიწაში. მრავლისაგან უმ-რაც ბაცილები მინაღობენ, საზრდოობენ და მრავლდებიან ჩვენს პირში, ცხვირში, ნაწლავებში. კუჭი მათ არ უც-ვართ, რაღაც კუჭში მოუვენავს მეავე წვენი, რომელიც ბაცილებსა ჰქოცავს.

განსაკუთრებით უყვართ ბაცილებს ნოტიო ალაგი, ზო-მეერი სითბო და ჭუჭი.

რა დამოკიდებულება აქვთ ბაცილებს იღამიანთან?

ზოგი მათგანი სრულებით უწეუნარია, უვნებელი.

აი, მაგალითად, ჩვენს პირში ორმოცამდე სხვადასხვა ჯი-შის ბაცილები მილიარდობით მრავლდებიან, მაგრამ ჩვენ ისი-ნი არ გვაწუხებენ, არიან თავისთვინ.

ზოგი ჯიში ბაცილებისა მეტად მარგებელია: მაჭრის დუ-ლილს, პურის გაფულებას, გახრწნას, ლპობას ამგვარი ჯიშის ბაცილები იწვევენ.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ: რომ არ იხტენებოდეს, არა ლპებოდეს, არ იშლებოდეს და ჰაერს, მიწასა და წყალს არ უბრუნდებოდეს ყოველივე, რაც კვდება, დედამიწაზე ცხოვრება და სიცოცხლე მოლოს და ბოლოს შეუძლებელი გახდებოდა.

— როგორ, რა ნაირად? იყითხავთ თქვენ.

აი როგორ: ყოველი ცოცხალი არსების სხეულისათვის საჭირო არის მასალა.

ახალდაბადებული, ჩვილი რამოდენიმე გირვანქაა; რო-დესაც გაიზრდება, რამოდენიმე ფუთი გახდება.

საიდან შეიძინა ამდენი?

მიწიდან, ჰაერიდან.

კაკლის ან მუხის ხე რომ მიწიდან თავს ამობყოფს, ერთი მისხალი არც კი არის; როდესაც გაიზრდება, რამოდენიმე ათეულ ფუთს აიწონის.

საიდან შეიძინა ამდენი მასალა?

მიწიდან: ჰაერი, მიწა ესე იგი ბუნება ჸხარჯავს თავისა- მასალის ყოველი ცხოველისა და მცენარის გაზრდაზე.

მაგრამ ეს მასალა ხომ გამოულეველი არ არის! აქამდინ დიდიხნის გამოლეულიც ჩენებოდა, მაგრამ ეს მასალა უკანვე უბრუნდება ბუნებას ყოველი ცხოველისა და მცენარის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ისინი გაიხრწნებიან, უალპებიან და დაიშლებიან.

— მიწა ხარ და მიწად იქეცო, მართალი წერებულა აბა, მეტყველ თქვენ.

მიწა კი არა ვართ, მაგრამ ჩვენი სხეულის ნაწილები კი მიწას უბრუნდება ჩვენი სიკვდილის შემდეგ.

რაღანაც ბაცილები ხელს უწყობენ გახრწნას და ლპობას, ამით ისინი შეუჩერებლად უბრუნებენ ბუნებას იმ მასალას, საიდანაც შენდება ყოველი ცხოველისა და მცენარის აგებულება.

არის მესამე ჯიში ბაცილებისა, მეტის მეტად მავნებელი ჩვენი სხეულისათვის: მათი დაბინავება ჩვენს სხეულში და ჩვენი დასწეულება ერთია.

ბ) ბატონები. — როდესაც რაიმე გადამდები სენი გაჩნდება სოფელში — მაგალითად: წითელი, ქუნთრუშა, ყელპირვება, ყვავილი, ბატონები გვესტუმრენ, დიდება იმათ მობრძანებასო, ამბობენ მაშინ და ატყდება ერთი მობოლიშება:

— თქვენი ჭირიმე, ბატონებო, თქვენს სახელს შემოვეღლე, ბატონებო, ჭირი მოგჭამეთ და სხვა ამისთანები.

გაფრთხილებულია ყველა, ბატონები არ გავარისხოვ და ზოგჯერ მშიერ ავადმყოფს ქათამსაც კი არ დაუკლავენ: ბატონები გავვირისხდებიანო.

ჩვენი გლეხი ისე მიჩვეულია ნიკოლოზის დროიდან სხვადასხვა ბატონებს, რომ ყველგან ბატონები ეჩვენება, უხრის ქედს, უკრავს თავს, ებოდიშება და არ იცის, როგორ შეაბრალოს თავი.

ხილული ბატონების ტახტი უკვე დაინგრა ბევრგან და, სადაც ჯერ არ დანგრეულა, იქაც მალე დაინგრევა.

ქვეყნიერება ტრიალებს და წინ მიდის, ბატონები ისპობიან და განთავისუფლებული ხალხი ამკვიდრებს ყველგან თავის ძალა-უფლებას.

უხილავი ბატონების ტახტი ბევრად უფრო აღრე დაინგრა.

— ხილული ბატონები კი რევოლუციამ გადმოყარა, მაგრამ ეს უხილავი ნეტავი ვინ დაამხო? იყითხავს აი ეგერ ჩვენი რომანოზი.

ვინ დაამხო და მეცნიერებამ.

მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ სხვადასხვა გა-
უმდებ სწეულებას ბატონები ან ანგელოზები კი არ აჩენენ,
არამედ ერთგვარი უხილავი არსებანი, რომელთაც მეცნიერებმა
დაარქვეს სახელად ბაცილები, ბაქტერიები ან მიკრობები.

— ერთდაიმავეს ამდენი სახელი გამიგონიაო—ფრუტუნებს
ეკერ ჩვენი დათა.

— რატომაც არ გამიგონია. შენც ზოგი დათას გეძახის,
ზოგი დავითს, ზოგი დათიკოს, ზოგიც—დათუნიას,—მაინც
ერთი დათა ხარ, ასე ბაცილების ამბავიც.

როდესაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს და შეისწავლეს სხვა-
დასხვა ბაცილები, გამოიჩინა და აღმოაჩინდა, რომ ყოველ ვა-
დამდებ სენს თავისი საკუთარი ბაცილები ჰყოლია. ზოგი წერი-
ლია და მოგრძო ჩხირივია, ზოგი მოხრილი, ზოგი მრგვალი,
ზოგი ჭაბრაჯნარი.

მეცნიერებმა არა თუ შეისწავლეს ამ მავნებელ ბაცილე-
ბის ზნე და ხასიათი, მათი მოშენებაც კი მოახერხეს.

ღლეს უკვე დამტკიცებულია, რომ ჭლექს აჩენს ერთ-
ნიარი ბაცილი, ციებ-ცხელებას — შეორენაირი,
პირტახტიან ტიფს — მესამენაირი, მუცლის ტიფს —
მეოთხენაირი; ყვავილს თავისი ბაცილა ყავს, ქუნ-
ორუშას — თავისი, წითელას — თავისი და სხვა.

მერე სიღ სცხოვრობენ ეს ბაცილები?

ზოგი — პეტრში, ზოგი — წყალში.

ზოგი — მიწაზე, ზოგიც აღამიანის სისხლში.

მერე როგორ გადადიან ადამიანის სხეულში?

ზოგი — პეტრიდან, სუნთქვის დროს; ზოგი ჩაჰვება საჭ-
მელს, ზოგი — წყალს; სხვები გადაქვთ ავადმყოფიდან კარგად-
მყოფზე კოლოს, ტილს და სხვა.



მერე როგორ და რანაირად ასწეულებენ ეს
უხილავი არსებანი ადამიანს?

მათ აქვთ შხამი, ამავე დროს მეტაზ სწრაფად მრავლდე-
ბიან და თავის შხამის წყალობით ადამიანის სისხლს სწამლა-
ვენ, აჩირქებენ და აწყლულებენ შიგნეულობას, აღვივებენ სხე-
ულში დიდ სიცხეს და თუ გაიმარჯვეს, ხან სწრაფად მოუღე-
ბენ ადამიანს ბოლოს, ხან კი ნელა-ნელა ასუსტებენ და
კლავენ.

თუ სხეული მაგარია, ის თვითონ იმარჯვებს,
ერევა ბაცილებს და სპობს მათ.

— ერთიცაა ბაცილები რას მომერევიან, თუ თვითონ
მიქელ-გაბრიელი არ დამადგა თავზე ცელით, ბუტბუტებს ეგერ
ხუმარა ფირანა.

არავითარი მიქელ-გაბრიელი არ არსებობს, ის გამოივთ-
ნეს უვიცი ხალხის მოსატყუებლად და დასამონავებლად.

აბა, ჰაერსა ხედავთ თვალით? ვერა ჰაერავთ, მიტომ კი
არა აქვს თურმე ძალა! თუ ერთი გადაირია და დაუბერა, ას-
წლოვან ხეებს ამოაგდებს ძირიანფესვიანად.

ასეა ბაცილაც: ის თვალით არა სჩანს, პატარაა, მაგრამ
თუ ბლომად მომრავლდა ადამიანის სხეულში და ხელი დარია
მას, ზოგჯერ ჯანაოზიც ვეღარის უშველის.

როდესაც გადამდები სენით შეპყრობილი აჩება, ეს იმას
ნიშნავს, რომ მისი დამასნეულებელი ბაცილები იმის სხეულ-
ში გაწყდენ, დაიხოცენ და მოისპენ.


— რა სპობს ამ ბაცილებს ივაღმყოფის სხეულში? იყი-
ხავთ.

უ-უ, ეს მთელი ისტორია!

რადგანაც გინდათ გაიგოთ, მეც მოგიყვებით.

გ) სისხლის თეთრი ბურთულები.—ვერც ერთი სახელ-
მწიფო იმდენ ჯარს ვერ გამოიყვანს, რადგენიც ყოველ გადა-
მდებ სენს გამოაყავს: ბაცილების ჯარი ივაღმყოფის სხეულში
უთვალავ მილიონებს წარმოადგენს.

მტრის ჯარის დამარცხება მხოლოდ ჯარით შეიძლება.



აქედან ცხადით, რომ ყოველ იდამიანს თავის სხეულში
მზად უნდა ჰყავდეს ჯარი, რაღანაც ბაცილები უხილავია და,
როდის მოკეპარება და დაგეცემა თავს, არავინ იცის.

ჩვენს აგებულობაში მართლაც არის დარაზმული ჯარი.

— დახე, დახე, სად აუწია! ეგერ ხითხითებს ჩვენი ხუმა-
რა კირილე.

— დიახ, დიახ, ჩემო კირილე! მეცნიერებმა ეს ჯარიც
გამონახეს და შეისწივლეს; მათი სასტიკი ბრძოლაც ბევრჯელ
იხილეს.

ახლა არ იყიოთავთ, სად იმყოფება, სხეულის რომელ ნა-
წილშია ეს ჯარი?

კარგ სარდალს ჯარი უნდა ჰყავდეს ისეთ ალაგას, რომ
საჭიროების დროს სწრაფად გადასხას და გადმოსხას.

სწორედ ასეთ ალაგასა ჰყავს თავისი ჯარი დაგროვილი
ჩვენს სხეულსაც.

რომელია ეს ალაგი? აბა ჯერ თქვენ მითხარით, რა უფ-
რო მოძრავია ჩვენს სხეულში?

— ფეხი, ხელი, გული, კუჭი! მესმის ხმები.

დაჩუმდით, დაჩუმდით: სულ ყველა სტყუით! ყველაზე
უფრო მოძრავი ჩვენს სხეულში არის სისხლი. ის გარს უვლის
ჩვენს სხეულს და ყოველ იმის ნაწილს უხვადა რწყავს. სადაც
უნდა იჩევლიტოთ ნემსი, ყველგან სისხლი გამოვა, იმიტომ
რომ სისხლი მოძრაობს და ყველგან არის. იმ ამ სისხლში არის
დაბანაკებული ჩვენი სხეულის ჯარი.

სისხლი თუმცა ერთნაირი და ერთფეროვანია, მაგრამ რო-
დესაც მეცნიერებმა ის გასინჯეს მიკროსკოპში, აი რა აღმო-
ჩნდა: სისხლი წარმოადგენს მოყვითალო წმოლს, რომელშიაც
დაცურავენ მრავლისაგან უმრავლესი ერთიცუცქუნა ბურთები
ანუ ბურთულები. ამ ბურთულებში ზოგი წითელია, ზოგიც თეთრი.
უმეტესობა წითელია და სწორეთ ისინი აძლევენ სისხლს წითელ ფეხს.

თეთრი უფრო ნაკლებია, მაგრამ მაინც ათას მილიონო-
ბით იჩევიან სისხლში.

წითელი ბურთულები უფრო მომცრონი არიან, თეთრი, უფრო მოზრდილი.

ამ ეს თეთრი ბურთულები წარმოადგენენ ჩვენი სხეულის დამცველ ჯარს.

როგორც კი განცდებიან სხეულის რომელიმე ნაწილში მავნებელი ბაცილები, დაიწყებენ იქ მომრავლებას და სხეულის მოშხავის, თეთრი ბურთულები დაირაზმებიან და სწრაფად გაქანდებიან იქითვენ სისხლის საშუალებით.

ჯერ შემოარტყამენ ალყას მტრის ბანაკს, შემდეგ შეესევიან შიგ და დაუწყებენ ჭამას.

თუ ბაცილებმა ალყა ვერ გაარღვიეს, საქმე მალე დაბოლოვდება მათი დამიარცხებით, მაგრამ სულ ხშირად ბაცილები გაარღვევენ ხოლმე ალყას და სხვადასხვა ალაგას ამოყოფენ თავს.

რა თქმა უნდა, თეთრი ბურთულები ყველგან დაედევნებიან, შემოარტყამენ ალყას და შემდეგ იერიშზე გადადიან.

თუ ასეთი ომი დიდხანს გაგრძელდა და ბაცილებმა ყოველთვის გაარღვიეს ალყა, მაშინ ისინი საკმაოდ მოშხამავენ ავადმყოფის სხეულს და საიქიოს ისტუმრებენ.

ხშირად ბაცილები ისეთი სისწრაფიდ მრავლდებიან ივალმყოფის სხეულში, რომ თეთრი ბურთულები ველარ ართმევენ მათ თავს და მარცხდებიან. ზოგჯერ ივალმყოფ სხეულს აღარა ჰყოფნის ჯარი, იმდენს ველარ ამზადებს თეთრ ბურთულებს, რამდენიც საქიროა ბაცილების დასაძლევად და ამიტომ მარცხდება, კვდება.

როგორც წითელ ბურთულებს, ისე თეთრს თვითონ ჩვენი სხეული იმზადებს. ივალმყოფობის დროს თეთრი ბურთულების რიცხვი სისხლში მრავლდება და ამ გამრავლებას მეტად დიდი მნიშვნელობა იქვს ივალმყოფის განკურნებისათვის.

თუ ივალმყოფს სისხლში თეთრი ბურთულების რიცხვი საგრძნობლად არა მრავლდება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე წაგებულია: სიკედილი მოაბიჯებს.

რაზედ არის დამოკიდებული ამ ბურთულების სწრაფი გამრავლება ივალმყოფობის დროს?

ჩვენი სხეულის ჯანსაღობაზე.

თუ სხეული მაგარია, არ არის მოცვეთილი ლოთობით, გარუცნილი ცხოვრებით, მაშინ ის სწრაფად დაგრძელებს საქოროების ღროს თეთრი ბურთულების ურიცვ ჯარს და შემთხუელ ბაცილებს სულ ბდევირს გაადენს. თუ სხეული დაძუნებულია და მოტეხილი, ღროშე ვერ გამოიყენს თეთრი ბურთულების საკმაო ჯარს და უთანასწორო ბრძოლაში მარცხდება, უდროოთ კვდება.

აი, სხვათა შორის, ამიტოვაც არის, რომ ერთი გახდება ავად სახადით, ფილტვების ანთებით, ყვავილით და სხვა, და კვდება, მეორე გადიტანს.

საღი იგებულება უპირველესი იარაღია სხვადასხვა გადამდებ სენთან ბრძოლაში.

ჩვენი სისხლის თეთრი ბურთულები არ არიან ერთნაირი სახისა და თვისების. როგორც ჯარია სხვადასხვანირი, — ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია და სხვ., ეგრეთვე თეთრი ბურთულებიც ბარე ხუთნაირია. მეცნიერებმა ზოგს ლიმფოციტები დაარქვეს, ზოგს — ნეიტროფილები, ზოგს — მონოციტები, ეოზინოფილები და სხვ. გადამდები სწორულების ბაკეილებთან ბრძოლაში ყაველი მათგანი ასრულებს განსაზღვრულ საქმეს.

თეთრი ბურთულების წარმომშობი ილაგია ჩვენი სხეულის ჯირკვლები, ელენთა და გრძელი ძვლების ტვინი.

როდესაც სოფელში ბავში ავათ გახდება წითელათი, ყვავილით ან ქუთხრუშათი, შემოუსდებიან ქალები და ნელის ხმით მღერიან:

ამ ბატონისა დედასა,

ნაანინა!

უდგია ოქროს აკვანი.

ნაანი-ნაანა,

დაატკბით, ბატონო!

ახლა ხომ გაიგეთ, თუ რა ჰყოფილან ეს ბატონები და როგორ ებრძვიან მათ ჩვენი თეთრი ბურთულები?

ძირს ყველა ბატონი — ხილულიც, უხილავიც, უჩინარიც!

დ) სისხლის წითელი ბურთულები.—წითელი ბურთულები განსაკუთრებით ბევრია სისხლში. ერთი წვეთი სისხლი რომ აიღოთ, შიგ რამოდენიმე მიღიონი წითელი ბურთულა აღმოჩნდება.

სისხლს ეს ბურთულები ძლევენ წითელ ფერს.

წითელი ბურთულების უმთავრეს ნაწილს შეადგენს ერთგვარი ნივთიერება, რომელსაც მეტნიერებმა დაარქვეს გემოგლობინი.

ამ ნივთიერებაში ურევია რკინა.

კი არ გევონოთ, რომ ეს რკინა მაინცადამაინც გირვანქობით იყოს ადამიანის სისხლში.

მთელ ჩეცნს სისხლში დიამც მოგროვდეს ნახევარ მისხალზე ცოტა მეტი რკინა. ხოლო თეითონ ამ გემოგლობინს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, უიმისოდ ჩვენი სიცოცხლი შეუძლებელია.

რას გვიკეთებენ სისხლის წითელი ბურთულები?

რომ ავიღოთ სხვადასხვა საგანი, დარწმუნდებით, რომ ზოგი მათგანი არის მაგარი: ქვა, ხე, მიწა, ძვალი, რკინა და სხვა, ზოგია თხელი:

წყალი, ლვინო, კუპრი, ნავთი, ზეთი და სხვა;

ზოგი კიდევ ჰაერის ნაირი.

დედამიწას გარშემო აკრავს ჰაერი, რომლის სისქეც სამუდაათ ვერს აღემატება.

ამ ჰაერს ჩვენ ვერ ვხედავთ, ის გამჭვირვალეა.

გამჭვირვალე რომ არ იყოს, მაშინ ვეღარაფელს ვეღარდავინახავდით ჰაერს გარდა, რადგანაც ყოველისფერი ჰაერშია გახვეული.

ჰაერი რომ არსებობს ყველამ ძალიან კარგად იცით.

სიო, ნიავი, ქარი, ქარიშხალი, რომელიც ხეებსა ჰგლეჯს და სახლებს აქცივს,—ყველა ეს ხომ სხვადასხვა სიმძლავრით ამოძრავებული ჰაერია.

არის ბევრი ნივთიერება ჰაერიცით გამჭვირვალე და უჩი-

ნარი. ასეთ ნივთიერებას ვუწოდებთ ჰაერისმაგვარ ნივთიერებას ანუ მოკლედ ჰაერგვარს, ჰაირს.

ზოგჯერ მომხდარა სოფელში ასეთი უბედურება:

გლეხს ორმოში პური ჰქონია შენახული.

აუხდია, ჩასული შიგ ხორბლის ამოსატანად და შიგ კი გაგუდულა;

მიშველებია მეორე, მესამე და ყველა დახოცილა.

რა იყო, რა მოხდა?

ორმოში დაგროვილ ხორბალს თუ ცოტაოდენი წყალი შეეპარა, ხორბალი იწყებს ლპობას და ჩნდება ერთნაირი ჰაერგვარი, რომელიც ადამიანისთვის საწამლავია.

ჩაბეჭდი ჰაერს ფილტვებში, შეუერთდება იქიდან სისხლსა და უცებ მოაღრჩობს აღამიანს.

ჩვენ რომ საჭმელს ვლებულობთ, ის გადიხარშება კუჭა და ნაწლავებში, შემდეგ გადაიის სისხლში და სისხლი ურიგებს მას ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს.

ეს საზრდო ნელა-ნელა იწვის ჩვენს სხეულში და ჩნდება ერთნაირი ჰაერგვარი, რომელსაც უწოდებენ ნახშირეანგს.

თუ ეს ჰაერგვარი სისხლში დარჩია დიდ ხანს, ჩვენი სხეული მოიწამლება:

დავსუსტდებით, თავბრუ დაგვესხმის, სიმწრის ოფლს დაგვასხამს, გული წაგვიგა.

ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენი სისხლი შეუწყვეტლად იწმინდებოდეს.

სად იწმინდება ჩვენი სისხლი?

ფილტვებში.

ვის მიაქეს ფილტვებშა ეს მავნებელი ჰაერგვარი?

ჩვენი სისხლის წითელ ბურთულებს.

წითელი ბურთულები გაიქნათებიან ამ ჰაერგვარით, რომელიც სისხლს აშავებს. აიტანენ ფილტვებში და აძლევენ ჰაერს.

სამაგიეროდ არასუერს ართმევენ ჰაერს?

როგორ არ ართმევენ.

ჰაერი შესდგება სხვადასხვანისირი ჰაერგვარისაგას. ერთ
მათვანს ეწოდება ეანგბადი.

აანთეთ სანთლის ნამშვი, დაიდევით ხელის გულზე და
ზევიდან გადაამხვეთ კიქა და მაგრად დააჭირეთ ხელი.

რა მოხდება?

მცირე ხანს შემდეგ სანთელი დაიწყებს ბუტვას და ჩა-
ქრება.

რად ჩაქრა სანთელი?

სული არავის შეუბერია, ჰაერი კიქას ქვეშ არის.

საქმე იმაშია, რომ კიქას ქვეშ ჰაერი არის, მაგრამ ამ
ჰაერში აღარ არის მისი ერთი ნაწილი — ეანგბადი.

რა იქნა, სად წავიდა?

გამოილია?

რამ გამოალია?

სანთლის წვამ.

წვის დროს ეანგბადის ნაწილები უერთდებოდა სანთლის
ნაწილებსა და ამიტომ იწოდა სანთელი.

არავითარი სავანი, არავითარი ნივთიერება არ დაიწყის
ისე, თუ მის ნაწილებს წვის დროს არ შეუერთდა ეანგბადი.

ჩვენს სხეულში მიღებული საჭმლის ნაწილები იწვის, რომ
არ დაიწვას, სითბო არ გაჩნდება.

სითბო კი ჩვენი სხეულისთვის აუცილებელ საჭიროებას
შეადგენს.

ჩვენი სითბო უდრის საშუალოდ ოცდა ჩვიდმეტ გრა-
დუსა.

სითბო რომ ოცდაათ გრადუსზე ჩამოვიდეს, ადამიანი
კვდება.

ასეთი სითბო რომ მუდმივად იყოს ჩვენს სხეულში, აუ-
ცილებელია, რომ ჩვენს აგებულებაში მუდმივად იწოდეს
საზრდო.

ასეთი წვისათვის კი აუცილებელია ეანგბადი, რომელიც
ჰაერის ნაწილს შეადგენს და თვალიათ არ დაინახება.

სისხლის წითელ ბურთულებს მიაქვთ ფილტვებში სხეუ-

ლში დაგროვილი პაერგვარი ნახშირეანგი და აძლევენ პატარების, სამაგიეროდ პაერს ართევენ უანგბაღს და მიაქვთ ის ჩვენი სხეულის ყოველი ნაწილისათვის.

აი რა დიდ საქმეს აკეთებენ წითელი ბურთულები.

ისინი რომ არ იყონ ჩვენს სისხლში, სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა.

ამიტომაც არის, როდესაც ვინმე ბევრ სისხლსა ჰყარგვს, კვდება.

სისხლის წითელი ბურთულები ჩნდებიან ჩვენი გრძელი ძვლების ტეინში.

სისხლის წვნიკი მილები რომ გასინჯოთ მიკროსკოპში, საუცხოვო სურათი გადიშლება თქვენი თვალის წინ: მილი გამოტენილია ბურთულებით, რომლებიც ერთმანეთს ეკვრიან, ასხდებიან და შეუჩერებლად მოგორავენ ან, უკეთ რომ ვთქვათ, მიუურავენ სისხლის ყვითელ წმოლში. უმრავლესობა წითელია, დანარჩენი — თეთრი; აქა იქ მოჩანან პაწაწყინტელაფირფიტები, რომლებიც საერთო ფერხულში არიან ჩაბმული.

დაახლოებით ერთ მილიონ წითელ ბურთულებზე მოდის სისხლში ათასხუთასი თეთრი ბურთულები კარგად მყოფობის დროს. ავადმყოფების დროს კი სურათი იცვლება და თეთრი ბურთულების რიცხვი სწრაფად მატულობს, განსაკუთრებით მწვავე გადამდები სნეულების დროს.

ჩვენ მოვისსენიერ წითელი ბურთულების მთავარი ნაწილი — გემოგლობინი.

რა მნიშვნელობა აქვს მას?

აი ეს გემოგლობინი იზიდავს სხეულის ნაწილებიდან ნახშირეანგს და პაერიდან კიდევ უანგბაღს; პირველს აძლევს პაერს ფილტვებში, მეორე მოაქვს ჩვენი სხეულის ნაწილებში. თქვენ უკვე იცით: პირველი შხამია, მეორე კი სიცოცხლისათვის აუცილებელი მასალა.

სისხლის წითელი ბურთულები მხოლოდ გემოგლობინის შემწეობით ასრულებენ ასეთს დიდ საქმეს.

III. ჩვენი სხეულის აზებულება.

მუშაკეცის ულიდესი განძი ჯანმრთელობა არის. თუ ის მაგარია კენჭივით, ჩაკირული და მრთელი, მოყვარესაც ლირ-სეულად დახვდება, მტერსაც.

რა არის საჭირო ჯანმრთელობისათვის?

ძალიან ბევრი რამ.

ხოლო ვიღრე ყოველივე ამას გაიგებდეთ, უმაღლ უნდა იცოდეთ, თუ როგორი არის ჩვენი სხეულის აგებულება.

არ იფიქროთ, რომ ჩვენი სხეული რასმე განსხვავებულ წარმოადგენდეს: მას ძალიან ბევრი რამა აქვს საერთო ცველ დანარჩენი ცხოველების აგებულებასთან.

აღამიანის სხეული შეიძლება შევადაროთ ერთგვარ კურ-ჭელს, რომლის შინაგანი, ცარიელი ნაწილი გამოლაგებულია სხვადასხვა საგნებით, გარეგანი ნაწილი წარმოადგენს კედელს. ცარიელ ნაწილს აღამიანის სხეულისას შეადგენენ გულისა და მუცლის ღრუ. აქ მოთავსებულია ფილტვები, გული, კუჭი, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები, ნაწლავები, შარლის ბუშტი, საშვილოსნო და სხვა; კედელს კი წარმოადგენენ ძვლების ჩონჩხი და ხორცი; ამათ გარედან აკრივს კანი.

აღამიანის სხეული იმგვარი კურჭელია, რომელიც თავისი საკუთარი ნებით მოქმედებს და მოძრაობს; ამისათვის მას უნდა ჰქონდეს ნების, მოქმედების ასოც. ეს გახლავთ თავის ტვინი, რომლის გაგრძელებასავარ ხერხემლის ტვინი ეწოდება. თავის ტვინი მოთავსებულია თავის ქალაში; ხერხემლისა—ხერხემლის მილში. ჯერ დავიწყოთ გარეთა ნაწილიუან და შემდევ გადა-ვიდეთ შიგნეულობაზედ.

კანი, ერთის მხრით აძლევს გარეგან სახეს აღამიანის სხეულს, მეორეს მხრით ის შეადგენს ხორცის სიმაგრეს.

კანი დიდი მეგობარია ფილტვებისა და თირკმელების, ამიტომ ეხმარება მათ.

კანის შემწეობით ჩვენს სხეულში შედის ცოტაოდენი ჰაერი, როგორც ფილტვებში. კანის შემწეობით ჩვენს სხეულს ოფლის სახით სცილდება სითხე, ისე როგორც თირკმელები აცლიან სხეულს უვარების სითხეს შარდის სახით.

კანქვეშ იმყოფება ქონი; შემდეგ იწყება ხორცი. ხორცი ერთიანად არა აქვს ჩვენს სხეულს გარედან შემოკრული, —ის დიყოფილია სხვადასხვა ნაწილებად ანუ კუნთებად.

რაში გამოიხატება კუნთების დანიშნულება? ისინი ამოძრავებენ, ამუშავებენ აღამიანის სხეულს.

სიარული, მოძრაობა, მუშაობა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანს რომ კუნთები არ ეკრას. კუნთები გაბმული არიან ძვლებსა და ძვლებს შუა, როცა მოიკუმშებიან, მაშინ მოკლდებიან, ძვალს ეწევიან, სახსარში სრიან და ამგვარად მოელი ასო მოძრაობაში მოყიფ.

ხელებისა და ფეხების მოძრაობა, გულის მუშაობა, კუჭში საჭმელის მონელება, სუნთქვა და სხვა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ კუნთები არა გვქონდეს.

აღამიანის კუნთები თანაბრად არიან გაბმული მარცხნით და მარჯვნით, ე. ი. რა კუნთები მარჯვენა მხარეზე აქვს აღამიანს, იმგვარივე კუნთები მასა აქვს მარცხენა მხარეზე, აღარომ ყოველი კუნთი წყვილია. მამაკაცსა აქვს სამას თხუთმეტი წყვილი კუნთი, დედაკაცს კი სამას თოთხმეტი. ამას გარდა მამაკაცს ხუთი კენტი კუნთი აქვს, ქალს კი ექვსი. ყოველ კუნთს აღამიანის სხეულში თავისი დანიშნულება აქვს.

კუნთების მოძრაობა ემორჩილება აღამიანის ნებას: მინდა — დავკდები, მინდა — ავდგები; მინდა — წიგალ, მინდა — გავიქცევი და სხვა. მაგრამ ჩვენს სხეულში არიან ისეთი კუნთებიც, რომლების მუშაობა ჩვენს ნებას არ ემორჩილება, მაგ. გულისა, კუპის კუნთები, ნაწლავებისა.

გვინდა, თუ არ გვინდა, ჩვენი გული მაინცა სძგერს, კუპი საჭმელს ინელებს.

ადამიანის სხეულს აძლევს სიმაგრეს, გარეგნობასა და მოძრაობის საშუალებას ჩონჩხი, რომელიც წირმოაღვენს სხეადასხვა ძვლების კრებულს. კანი იფარავს ხორცს სხვადასხვა ვნებისაგან; ჩონჩხი კი იფარავს შიგნეულობას. მაგალითად, გულსა და ფილტვებს იფარავს გულის ბოყეი; ღვიძლს, კუჭს, ელენთას,—ნეკნები, ტვინს,—თავის ქალა.

ჩონჩხში სხეადასხვა ძვლები შეერთებული არიან ერთი მეორესთან სახსრებით.

ჩონჩხი სხეადასხვა ნაწილისაგან შესდგება. ერთია—ხერხემლის მძივები ანუ მალები, მეორეა თავის ქალა, ხელფეხის ანუ კიდურების ძვლები; ხერხემლის მძივებიდან იწყებიან და წინ მიღიან ნეკნები, რომლებიც უერთდებიან მოგრძოდა პრტყელ ძვალს—გულის ფიცარს.

ხერხემლის მძივები ყველა ერთად შეადგენენ ხერხემლის ბოძს; ამას აკრავს ქვევით კუკუხო ანუ კუბაჩა და კუდუსუნი. კუბაჩას აკრავს მენჯის ძვლები, რომლებსაც უერთდებიან ფეხების ძვლები. ხერხემლის ბოძს ზევით აკრავს ბეჭის ძვლები, რომლებსაც უერთდებიან ხელები. თავის ქალას ქვემოდან აკრავს ყბების ძვლები.

ყველა ძვალის რიცხვი ადამიანის სხეულში უდრის ორას ორმოცს. ყველაზე უფრო დიდი ძვალი თეძოს ძვალია.

ახლა გადავიდეთ შიგნეულობაზედ.

ადამიანი იზრდება, მუშაობს, მოქმედობს. მისი სხეული მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგვარ უონებეა გამობარი. ყოველივე ამისათვის კი მასალაა, საზრდოა საკირო.

საზრდო პირველად შედის პირში. აქ ის ისრისება, იღებება კბილების შემწეობით და შემდეგ საკმაოდ დასველებული ნერწყვით ჩადის კუჭში საყლაპავი მიღის საშუალებით. პირში ჩვენა გვაქვს სხეადასხვა ჯირკვალი—ყურის ძირში, ყბებ ქვეშ, ენის ქვეშ. ამათი დანიშნულებაა ნერწყვის მომზადება.

კუჭი მოთავსებულია მარცხნით მუცლის ღრუს ზედა ნაწილში. ის წარმოადგენს პარკს, რომელსაც შიგნით ლორწონი გარსი აკრავს. ამ გარსში დატანებულია ურიცხვი პატირა.



ჯირკვალი, საიდანიც საქმელის მიღების შემდეგ ეპენავს კუჭის წვენი.

კუჭის წვენი მეავეა და საქმელს ჰხარშავს.

საქმელი რჩება კუჭში რამოდენიმე საათს. ყოველივე — პური, ხორცი, ლობიო, მწვანილი გაითქვიფება ფაფასავით და გადავა ნაწლავებში. აქ მას დაუხვდება ლვიძლი თავისი ნაღველათი. ლვიძლი ადამიანს მოთავსებული აქვს მუცლის ლრუს ზედა ნაწილში მარჯვით, ნეკნებ ქვეშ. ლვიძლს აკრავს ნაღველას ბუშტი, რომლის პატარა შილით მოჟის ნაღველი და უერთდება ნაწლავებში გადმოსულ საქმელს.

იუ რომ კუჭის წვენს გადაურჩა მოუნელებელი, იმას ნაღველი ინელებს.

ნაღველი უმთავრესად ქონს ინელებს.

კუჭ ქვეშ არღიგარდა გაწოლილია ლოქოსავით მოგრძო ჯირკვალი, რომელიც პატარა მილით ნაწლავებს უერთდება. ეს არის კუჭქვეშ მდებარე ჯირკვალი.

ეს ჯირკვალიც ამზადებს წვენს, რომელიც უერთდება ნაწლავებში საქმელს და ინელებს მას, რაც კუჭს და ლვიძლს გადურჩებათ მოუნელებელი. კუჭიდან იწყება თორმეტთითა ნაწლავი, შემდეგ წვრილი ნაწლავები, მერე იწყება მსხვილი ნაწლავი, რომლის დასაწყისსაც ეწოდება ბრმა ნაწლავი, ბოლოს კი — სწორი ნაწლავი.

ნაწლავები მოთენილია პატარა ბუსუსებით, რომლებიც გათხელებულ საქმელს შეისვამენ. აქედან საზრდო გადადის სისხლის მილებში, ამ მილებით მიდის ლვიძლში, ლვიძლი გასწენდავს მას და გადაგზავნის გულში; გული კი დაურჩიგებს საზრდოს ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს, ყოველ ასოს.

შეშა რომ დაიწვის, რა დარჩება?

— ნაცარი! მეუბნებით.

მართალია, და თუ ნაცარი არ გადაპყარეთ, შეშა კარგათ აღარ იწვის. ჩვენს სხეულშიაც გროვდება ნაცარის მსგავსად სხვადასხვა უვარგისი ნივთიერება. ყოველივე იმას სისხლი

აგროვებს და შემდეგ მიაქვს ფილტვებში, კანთან და თირკმელებში. ყველა ესენი სისხლისა სწმენდივენ, ასუფთავებენ.

გული ადამიანსა აქვს გულის ყაფაზში მარცხნით. ადამიანის გული მუშტზე ცოტა მეტია, მსხალს წააგავს, თავი წაწვრილებული აქვს. გარშემო გულს პარკი აკრივს ანუ პერანგი.

გული შესდგება ოთხი ნაწილისაგან - ორია ზევით, ესენი არიან წინგულები; ორია ქვევით, ესენი არიან პარკუჭები. ეს ნაწილები ერთმანეთს უერთდებიან ორი კარით. მარცხენა პარკუჭიდან გამოდის სისხლის მსხვილი მილი, რომელსაც ეწოდება ოორტა.

ეს არის გულის მთავარი მილი. ზევით ის იყოფა სხვადასხვა მილებად. ყველი მათგანი იყოფა უფრო წვრილ მილებად, ესენი — კიდევ უფრო წვრილ მილებად და ბოლოს მილები თმაზე უფრო წვრილდებიან. ამ ასეთი წვრილი მილებით მოვენილია ჩვენი სხეული; სადაც უნდა იჩინვლიტოთ ნემსი, ყველგან სისხლი გამოვა; იმიტომ რომ ყოველგან სისხლის მილებია, წვრილი მილები. წვრილი მილები თანდათან ისევ ერთდებიან, ერთად იყრიან თავს და სისხლი უკან მოაქვთ მარჯვენა წინგულში, აქედან სისხლი ჩადის მარჯვენა პარკუჭში; მარჯვენა პარკუჭიდან კი მსხვილი მილით სისხლი მიდის ფილტვებში.

ფილტვებში სისხლი დასუფთავდება ჩასუნთქული ჰაერის შემწეობით და ჩადის მარცხენა წინგულში, აქედან კი მარცხენა პარკუჭში, საიდანაც ხელახლა იწყებს დენას სხეულის სხვადასხვა ნაწილისაკენ.

ამგვარად, ჩვენი სისხლი ტრიალებს, პრუნავს გულიდან სხეულის ნაწილებისაკენ, აქედან ისევ გულში, გულიდან ფილტვებში, ფილტვებიდან ისევ გულში და აქედან ისევ სხეულის ნაწილებისაკენ.

სისხლი მოძრაობს ძალიან ჩქარა. ერთი წამის განმავლობაში ის თრჯერ შემოუვლის ჩვენს სხეულს.

ჩვენს სხეულში სისხლის რაოდენობა უდრის თითქმის თოთხმეტ გირეანქას.



— უჱ, რაცა ყოფილა, კაცო! მესმის ხმა.

— სად ეტევა ამდენი სისხლი? ჰკითხულობს მეორე.

სად ეტევა და გულში, სისხლის მიღებში.

სისხლის მიღებს დიღზე შეუძლიანთ გაწევა, თუ ძალა დაადგათ. ზოგიერთი თქვენგანი ქეითში ათ ბოთლ ლეინოს დალევს.

— ლევანი არც თხუთმეტს დაგჯერდებათ! გაიძახის ეგერ ჩვენი თელო.

პო და ი ამდენი ლეინო ხომ სისხლში გადადის! ცხადია, სისხლის მიღებში უნდა დაეტიოს, მეტი რა ჩარაა! თავისი სისხლის ერთი მესამედი, რომ დაჰკარგოს ადამიანმა, ვეღარ აიტანს და მოკვდება.

ფილტვები ადამიანსა აქვს გულის ყაფაზში. პირში ენის ძირიდან იწყება ჰაერის სასუნთქვავი მილი—ხორხი. აქ დატანებულია თხელი ბადეები, რომლებიც დაჭიმული არიან სიმებივით. ი ეს ბადეები ქმნიან ხმას და უამათოდ ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ხორხის კვედა ნაწილს ეწოდება სასულე, რომელიც ყელიდან ჩადის გულის ღრუში, აქ ის იყოფა ორ მილად; ერთი ჩადის მარცხენა ფილტვში, მეორე — მარჯვენაში. იქ ისინი იყოფიან მრავალ წვრილ მიღებად, რომლებსაც ეწოდება ბრონხები. ამ მიღებით ჩადის ჰაერი ფილტვებში; გულიდან კი სისხლის მიღებით ამოდის ფილტვებში სისხლი. სისხლი და ჰაერი ფილტვებში ერთმანეთს ხვდებიან, სისხლი აძლევს ჰაერს სხეულიდან წამოღებულ უვარვის ნიერიერებას და ართმევს სხეულისათვის მეტად საჭრო ნიერიერებას.

მარცხენა ფილტვი შესდგება ორი ნაკრისაგან, მარჯვენა — სამი ნაკრისაგან.

მეორე ადგილი, საღაც სისხლი იწმინდება, თირკმელებია. თირკმელი ადამიანს თრი აქვს — მარჯვენა და მარცხენა. ისინი მიკრული არიან ხერხემილზე შიგნიდან საჭამრეს დასწვრივ. თირკმელებიდან გამოდის შარდი.

შარდი ცარიელი წყალი კი ნუ გვონიათ, — მასში გახსნილია სხვადასხვა ნიერიერება, ჩვენი სხეულისათვის მეტად მავ-

ნებელი. თორქმელებიდან რომ რამოდენიმე დღეს აღარ გამოვიდეს შარდი, ჩეენი სხეული იწამლება და კვდება.

შარდი შარდის მიღებით ჩამოდის ბუშტში, რომელიც წარმოადგენს პატარა პარქს და მოთავსებულია მუცლის ღრუქვედა ნაწილში შიგნით საპარსავთან ბუშტს უკან ქალსა აქვს საშეილოსნო, რომელსაცა აქვს ორი პატარა ლულა და ლულებთან ვანჭურის ოდენა საკვერცხეები. საშეილოსნო უერთდება საშოს, რომელიც თავდება სასქესო კარით.

მამაკაცს კი ყოველივე ამის ნაცვლად აქვს შესაფერი სასქესო ასოები.

იმ მოკლეთ ნაწილები იმ მანქანისა, რომელსაც აღამიანი ეწოდება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეს მანქანა შეუჩერებლად მუშაობს, მუშაობს გული და ერეკება სისხლს აქეთ-იქით, მუშაობენ ფილტვები და თორქმელები და წმენდავენ სისხლს; მუშაობს კუჭი, ლვიძლი, ნაწლავები და სხვა.

სიცოცხლე არის ნაყოფი ყველა ამ ასოების შეთანხმებული, მწყობრი მუშაობისა.

— რა ამუშავებს ყველა ამ ასოს ასე შეთანხმებით, ასე მწყობრად? იყითხავთ თქვენ.

ტვინი.

თავის ტვინი არის უმთავრესი გამგე ჩეენი სხეულისა. მისი თანამშემწერა და ხელკვეთი ხერხემლის ტვინი.

თავის ტვინი განიყოფება ორ ნაწილად; წინა და ზედა ნაწილს ეწოდება დიდი ტვინი; მას აკრავს უკან და ძირის პატარა ტვინი.

დიდი ტვინი შუაზე იყოფა ორად.

საქონლის ტვინი გადასჭრით და დარწმუნდებით, რომ ის შესდგება ორნაირი ნაწილისაგან: შიგნით არის თეთრი ტვინი, გარეთ კი რუხი. ასე ადამიანის ტვინიც:

გული თეთრია, ქერქი კი რუხი.

ხერხემლის ტვინში კი გულია რუხი, ქერქი კი — თეთრი.

გარედან ტვინი დაღარულია, რის გამოც ტვინის ქერქი ნაოჭებად არის დაკუცილი. თავის ტვინიდან გამოდიან სხვა-



დასხვა ძაფები ტვინისა ანუ ნერვები, ტამრები და უერთდებიან თვალებს, ყურებს, ენას, გულს, კუჭს, ლვიძლს და სხვა. ტამრების საშუალებით თავის ტვინი შექავშირებულია ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილთან და მათი შემწეობით ამჟამებს ყოველ ასოს. ტამრების შემწეობით თავის ტვინი ტყობილობს აგრეთვე ყოველისფერს, რაც კი იმის გარშემო მოადება: ხედავს, ისმენს, გრძნობს შეხებას, ტკივილს და სხვა.

თავის ტვინი ნერვებით შეერთებულია კიდურებთან —ხელებთან, ფეხებთან —და აძოძრავებს მათ.

თავის ტვინში ყველაზედ უურა დაზი მნიშვნელობა აქვს რუბ ქერქს. მისი ყოველი ნაწილი შეერთებულია დანარჩენებთან ტვინის ძაფებით.

ყოველი ჩვენი სურვილი, ფიქრი, განზრახვა, მოქმედება, მწუხარება-მხიარულება —ი იქ თავის ტვინში იბადება.

სხვადასხვა ნაწილი ამ რუხი ქერქისა სხვადასხვა საქმეს ასრულებს. ერთი ნაწილი განიგებს ხელფეხის მოძრაობას. ეს ნაწილი თუ დასნეულდა, ადამიანს დამბლა ემართება. მეორე ნაწილი განაგებს მხედველობას. ეს აღგილი თუ დასნეულდა, ადამიანი ველარასუერს ველარა ხედავს, თუნდაც ძალიან კარგი თვალები ჰქონდეს. მესამე ნაწილი განაგებს სმენას. ეს აღგილი თუ დასნეულდა, ადამიანს აღარასუერი ეყურება. მეორე ნაწილი განაგებს ლაპარაკს. მისი დასნეულებით ადამიანი ველარ ლაპარაკობს. მესამე ნაწილი განაგებს აზროვნებას. თუ ის დასნეულდა, ადამიანი სულელდება და სხვ. და სხვ. ი ამ რუხი ქერქიდან მიღიან ტვინის ძაფები ჩვენს სხეულში და თეთრ გულს ტვინისას სწორედ ეს ძაფები შეაღვენენ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მარა ი სული სადღა არი, თუ ყველაფერი ტვინში ყოფილა? ჰკითხულობს ეგერ ფიანა.

— სული კაცო, გულშია, გულში! ეუბნება ბესია.

სული გინდათ გაიგოთ სად არის! ჯერ ტვინის ამბავი ჩავათავო ბარემ და მაგისაც გეტყვით. მე ხომ გითხარით დიდ ტვინს უკან პატარა ტვინიშაკრავს მეოქი. რას იკეთებს



ეს პატარა ტვინი? ის განაგებს ხელფეხის მოძრაობის მწყუბრიანობას. ის თუ დასნეულდა, აღამიანს სიარული ეშლება. ფეხები აღარ ემორჩილება, უსწორ-მასწოროდ დადის, დაბარბაცებს, ფეხებს დააბარტუნებს.

ხერხემლის ტვინს კიდევ აბარია კუჭ-ნაწლავები, შარდის ბუშტი, ლვიძლი, თირკმელები და იმათ ამუშავებს.

აღამიანის ტვინი უდრის ოთხ გირვანქს.

თქვენა მკითხეთ, სადღა არის სულიო, არა?

ჩემთვის რომ ყური კარგად დაგეგდოთ, ამას აღარა მკითხავდით. თავის ტვინში სწარმოებს ყოველისფერი—ფიქრი, სურვილი, მოქმედება, აზროვნება, სმენა, ხედვა, გრძნობა... მთელი ეს საქმე ისეა გაწესრიგებული თავის ტვინში, რომ ერთი ნაწილი ერთ ჩასმეს განაცებს, მეორე—მეორეს, მესამე—მესამეს. ამივე დროს ყოველი ნაწილი ტვინისა, ერთმანეთთან არის შეკავშირებული ურიცხვი ნერვების ძაფებით და ერთმანეთს ატყობინებენ ყოველისფერს. აბა ერთი მითხარით, რაღა საჭიროა აქ სული? ან რა არის ეს სული? ცარიელი სიტყვა, მოგონილი, მოკორილი; არავითარი სული არ არ სებობს.

იმ მოკლეთ ჩვენი სხეულის აგებულება. ჩვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილი, სხვადასხვა ასო მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული და ყველა ნაწილისა და ასოს შეწყობილ მუშაობაზე დამოკიდებულია ჩვენი ჯინმრთელობა, ჩვენი სიცოცხლე.

ზოგჯერ აღამიანს თავი სტკივა, გული კი ერევა. ზოგჯერ კუჭი სტკივა და გული კი უძგერს. მრიგიად, თავის ტკივილს გამოეხმაურება კუჭი, კუჭის ტკივილს კი—გული. მრავლისაგან უმრავლესი შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა.

სადაც უნდა იჩხელიტოთ ნემსი, უველგან ტკივილს იგრძნობთ და სისხლი გამოვა. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს სხეულში ყველგან არიან სისხლი და ნერვები (ტამრები).

ახლა იიღეთ და გასინჯეთ მიკროსკოპში კუნთების, კა-



ნის, ტვინის, გულის, კუჭის, ლვიძლის, ძელების, თირკმელების, ნაწლავების, ფილტვების ნაწილები.

რას აღმოაჩენთ?

თავისი აგებულებით ყველა წაგავს ერთმანეთს; ყველაში ზაინაზივთ პატარ-პატარა ნაწილიკებს, რომლებიც მეტად წა-აგავინ უჯრას. ამიტომაც მეცნიერებმა დაარქვეს მათ უჯრე-დები. უჯრედი უჯრედს უერთდება და ჩნდება ქსოვილი, რო-ვორც აგურების შეერთებით ჩნდება კედელი. ქსოვილი ქსო-ვილს უერთდება და ჩნდება მთელი ნაწილი, მთელი ასო, როგორც კედლების შეერთებით ჩნდება მთელი სახლი,

ამრიგად, ყოველი ჩვენი ასოს საფუძველს წარმოადგენს პატარა უჯრედი. იგივე ითქმის მცენარეზედაც — ისიც უჯრე-დებისაგან შესდგება, ყოველი მცენარისა და ჩვენი სხეულის უჯრედი იმდენათ მიემგვანებიან ერთმანეთს, რომ ხშირად გა-რჩევა მეტად ძნელია.

IV. ადამიანის პვერცხი და ჩანასახი.

მე გადმოგეცით სულ მოქლე ცნობები აღამიანის იგებულებაზედ.

დაგვრჩა გასარჩევი ერთი მეტად დიდი საკითხი: საიდან და როგორ ჩნდება ადამიანი?

— დედის მუცლიდან! მესმის კიმოთეს ხმა.

ეგ რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ასეთი უბრალო ცოდნა საკმარისი არ არის, უნდა ჭიკოდეთ, როგორ ისახება დედის მუცელში აღამიანი, დარწმუნებული ვარ, არც ერთმა თქვენთაგანმა ამრს თაობაზედ არაფერი არ იცის.

საიდან ჩნდება ქათამი?

— კვერცხიდან, მეუბნებით თქვენ.

მართალია, კვერცხიდან. აიღეთ თევზი, ბაყაყი; ისინიც კვერცხიდან ჩნდებიან, რადგანაც ქვირითი იგივე კვერცხია. წარმოიდგინეთ, აღამიანიც კვერცხიდანა ჩნდება.

— აბა ჰე!

— დიდება შენდა ღმერთო!

— რას არ გაიგონებ კაცი ჩვენ დროში!

— არა მჯერა და რა ვქნა.

— კაცი დავბერდი და ეს ამბავი არა მსმენია!

დაწყნარდით და ყური დამიგდეთ;

დიახ, დიახ, აღამიანი ჩნდება კვერცხიდან, ისე როგორც ქათამი და განა მარტო აღამიანი!. კატა, ძაღლი, თაგვი, ლორი, ცხვარი, ხარი, კამეჩი, ცხენი სულ ყველა ქვერცხიდვან ჩნდება.

ხოლო ქათმის კვერცხი დიდია, ქალისა კი—პატარა.

— როგორ დავიჯერო რომა ქათამს, დიდი კვერცხი აქვს და აღამიანს კი პატარა, ვის გაუგონია ან ვის უნახავს აღამიანის კვერცხი? გაიძახის ჩვენი თადეოზი.



შენ გვინია, თადეოს, რაკი ადამიანი ქათამზე დიდია კვერცხიც უფრო დიდი უნდა ჰქონდეს, არა?.. შე კაი კაცო, რაღა შორს მიღიხარ, აიღე გოგრა და კავლის ხე. პირველი ბალახია მიწაზე გაძრღნილი და ვეება ნაყოფს კი ისხიმს; შეორე კი უშველებელი ხე არის და პატარა ნაყოფი აპია. ბუნების უყვარს ასეთი შეუსაბამობა.

წიწილი კვერცხში იზრდება და სრულდება. ამიტომ კვერცხში უნდა იყოს დაგროვილი მთელი მასალა წიწილის სხეულისათვის. ადამიანი კი მხოლოდ ისახება კვერცხში, ზრდით კი იზრდება დაბადებამდე დედის საშეილოსნოში და მისი სხეულისათვის საჭირო მასალა შეუჩერებლად მიაქვს დედის სისხლს. ამის გამო ბავშვს არა სქირდება, რომ კვერცხშივე ჰქონდეს დამზადებული გაზრდისათვის საჭირო მასალა. ამ მასალას ის დედის სისხლითან ღებულობს მომყოლის საშუალებით მთელი ცხრა თვის განმიელობაში. ამის გამო ადამიანისა და უველა ოთხფეხის კვერცხი პატარა არის.

ადამიანის კვერცხი სიმინდის მორჩილი მარცვლის ოდენაა.

ქათამი კვერცხსა სდებს გარედ, შემუეგ ზედ დააჯდება წიწილის გამოსატეხად. ამიტომ კვერცხს უნდა ჰქონდეს მაგარი გარსი—ნაჭუჭი, რომ აღვილად არ დაზიანდეს.

ქალი და ყოველი ოთხფეხი კვერცხსა სდებს შიგნით, ამიტომ ამათ კვერცხს მაგარი გარსი არ ესაჭიროება და რბილი გარსი იქნეს, როგორც დაკლული დედლის საკვერცხეში უნაკუქო კვერცხს. ქალის საშეილოსნო წააგავს დაყირავებულ მსხალს. ორივე მხარეზე აკრავს შინაური თხილის ოდენა საკვერცხე. კვერცხი იზრდება ამ საკვერცხეში, შემდეგ საკვერცხეს გარსი გასკდება და ყოველ თვეში ერთი ან რამოდენიმე კვერცხი გამოიდის იქიდან. შემდეგ ეს კვერცხი შემოდის საშეილოსნოს ლულაში, იქნებან საშეილოსნოში. თუ განაყოფიერდა, საშეილოსნოს კედელს მიეკვრის შიგნილან და იწყებს ზრდასა და განვითარებას, სანამ ბავშად არ დასრულდება; თუ არ განაყოფიერდა, გაწყალდება და დაიშლება.

როგორ ნაყოფიერდება ადამიანის კვერცხი?



მამაკაცის თესლი წარმოადგენს მორუხო სქელ სითხეს. როდესაც ეს სითხე გასინჯეს მიკროსკოპში, შიგ იღმოჩინდა უძრავი არსებანი, რომლებიც თავკომბალის წააგავან. თავი აქვთ მოსხო, ტანი და კუდი კი წერილი. თვალით უჩინარი არიან და კუდის მოძრაობის შემწეობით აღვილად დასრიალებენ სითხეში. შეხვდებიან თუ არა ესენი კვერცხს, შემოესევიან გარშემო და ცდილობენ თავით შიგ შეძრომას. გამოდგა რომელიმე სხვებზე მძლავრი და შეძვრა კვერცხში.

რა ხდება ამის შემდეგ?

კვერცხის გარსი მაგრება და ტეტა აღარავის შეუშევებს შიგნით. კვერცხში არის ცილის მსგავსი წმოლი და შიგ ამ წმოლში პატარა გული; როგორც კი თესლის თავკომბალა შეძვრება კვერცხში, კუდი ძვრება და თავი მიცურავს კვერცხის გულისაკენ. *

კვერცხის გული და თავკომბალას თავი ჩიეკვრიან ერთმანეთს, შედუღდებიან და აი იქედან იწყება აღამიანის გასახვა: მომავალი აღამიანი არის შედეგი კვერცხის გულისა და კომბალას თავის შეერთებისა. ამ თავკომბალის მეცნიერებმა დაარქვეს სპერმატოზოიდი.

თვითონ კვერცხი ხომ პატარაა, კომბალა — სულ უჩინარი; კვერცხის გული რაღა უნდა იყოს? ლომის მარცვლის ოდენა არც კი არის!

და აი ყოველი ჩვენგანი თავდაპირველად წარმოადგენ სლომის კაკლის ოდენა გუნდას.

— ვერ დავიჯერებ და რა ვქნა!

— ზღაპარია, მე და ჩემმა ღმერთმა.

— ვინ ნახა ახლა და!

გაიძინოთ თქვენ.

ვინ ნახა და მეცნიერებმა, რომლებიც ყოველივე ამას არკვევენ, რაც მე ახლა გითხარით, ყოველივე არის ნახული და დაკვირვებით შესწავლილი. კვერცხსა და ინდაურს შორის რა არის საერთო? მაგრამ თქვენ იცით, რომ ინდაური თავდაპირველად კვერცხია და მთელი კვერცხიც არა. კვერცხში,



რომ მჩენე გახედოთ, ერთ ნაპირის გულზე დაინახავთ მოთეთ-რო წერტილს. ამ წერტილიდან ისახება მომიერლი ინდაური.

ასე ადამიანიც.

როგორც კი კვერცხის გული და სპერმატოზოიდის თავი ერთმანეთს შეუერთდებიან, კვერცხი თანდათან იზრდება, იბერება და გარშემო ხაოს იწენს, ამ ხაოს შემწეობით ის ტკიბა-სავით მიეკვრის საშვილოსნოს კედელს შიგნიდან და ჩაუსობს შიგ ხაოს ბუსუსებს. ამ ალიგის კვერცხის ხაო თანდათან იზრდება, სქელდება, და გადაიქცევა მომყოლიდ. ბავშვს ის უწევს დედის მუცელში კუჭისა და ფილტვების მაგიერობას, რაღანაც იქედინ მიუდის ბავშვს საზრდოთი დატვირთული ახალ-ახალი სისხლი.

განაყოფიერებული კვერცხის გული იყოფა ორიად. ესენი კიდევ ორიად, შემდეგნიც კიდევ ორიად და ამგვარად ჩნდება მრავალი პატარ-პატარი ნაწილები, რასაც მეცნიერები უჯრედებს უწოდებენ. ეს უჯრედები შეუჩერებლად მრავლდებიან შუაზე გაყოფით და შიგნიდან შემოყვარიან კვერცხის გარს რამოდენიმე წყებად. შემდეგ და შემდეგ ერთი წყებიდან ჩნდება ხორცი, მეორედან — კანი, თვალები, ყურები, მესამედან — ძვლები, მეოთხედან — გული, სისხლის მილები, მეხუთედან — ტვინი, მეექვსედან — შიგნეულობა და სხვა.

ასე უა ამგვარად, ცხრა თვის განმავლობაში დასრულდება ჩანასახიდან ბავში და შემდეგ იბადება, რომ გარეთ განვგრძოს ზრდა და არსებობა

თქვენ იყით, რომ დედის მუცელში ბავში არა სუნთქვას. მაშ, როგორ და ძლებსო, იყითხავთ თქვენ.

ადამიანი იმიტომ სუნთქვას, რომ სისხლი გაიწმინდოს ფილტვებში. დედის მუცელში ბავში გაწმენდილი სისხლი მზაშიარეულიდ მოუდის დედის გულიდან. იმიტომ სუნთქვა მის-თვის სიჭირო აღარ არის.

დედის სისხლიდანვე მოუდის ბავში საზრდო, რომელიც მომყოლიდან გადადის ბავშის სისხლში, ამიტომ დაბადებამდე ბავშის კუჭნაწლავებიც არ მოქმედებენ.

V. სიბიძურე უოველგვარი სეულების დედაა.

ჯავახეთში შემიხვდა ცხოვრება. გვარიანი ზამთარი იკის.

ხალხი მიწურაში კხოვრობს შინაურ საქონელთან ერთად. სიბინძურე, უსუფთაობა მეფობს ყოველგან: სახლში, ეზოში, ტანჩაცმულობაში, ტანჩე.

რამოდენიმე დღე ისე გაივლის ზამთარში, რომ პირს ხეორიანად არ დაიბანს ბევრი.

— სოლო, როგორ არა გრუხენია? ახალგაზრდა ვაკი ხარ და თვალები ამოგწირბლებია, პირს არ იბან! ვეუპნები ჩემს ნაცნობ სოლოს.

— შე დალოცვილო, ვერა ხედამ, როგორი სიცივებია?

— როგორ? შენ სიცივეში პურს არა სჭამ?

— მა შიმშილით ხომ არ მოვკვდები?

— ეჭ სოლო, სოლო, შენ გვონია კაცი შიმშილით მოკვდება და სიბინძურითა და უსუფთაობით კი არა?

— ჩვენ ხომ ქალაქის ხალხი არა ვართ, სისუფთავე რა ჩვენი საქმეა? რომ სოლოს პასუხი.

ჩვენებური სოფლის კაცი უმეტესობა ჩემი ნაცნობი სოლოა:

უსუფთაობითა კაცი არ მოკვდებაო, სისუფთავე რა გლეხის საქმეაო.

ჩემ სიციუბლეში ბევრი გაჭირვებული და დავტრომილი მინახავს, მაგრამ შიმშილით მკვდარი ჩვენში მე არ მინახავს.

სიბინძურისა და უსუფთაობისაგან მკვდარი კი, იმდენი ვაძელით, რამდენი მე მენახოს!..

უსუფთაობა დედა არის მრავალი სენისა.

სხვადასხვა ივალმყოფობა კანისა, მუცლის ტიფი ანუ სა-

ხადი, პარტახტიანი ტიფი, მუცელა, ქლექი და მრავალი სხვა ავადმყოფობა საიდან ჩნდებიან?

უმთავრესად უსუფთაობიდან.

ემი, ხოლორა სადა მძვინვარებენ?

იქ, სადაც ხალხი პინძურადა სცხოვრობს.

როდესაც გადამდები სენი მძვინვარებს რომელიმე კუთხე-ში, ვინ უფრო მეტი იხილება?

ის, ვინც პინძურადა სცხოვრობს.

რაღა ბევრი ჩამოგითვალით, — დასავლეთ ევროპაში, სა-დაც მშრომელი ხალხი უფრო შეგნებულია და შესმენილი, აღარ არსებობს ისეთი სენი, როგორც პარტახტიანი ტიფი და ხოლორაა.

რატომ?

იმიტომ რომ იქ ხალხში იცის, რომ ასეთ სენს აჩენს უსუფთაობა.

ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ კველა გადამდები სწეულების წინააღმდეგ საუკეთესო წამალი არის სიწმინდე და სისუფთავე.

ვინც სისუფთავეს იცავს, ის იშვიათად ხდება ავად და დიღხანსაც სცოცხლობს.

ვინც ბინძურია, ის ხშირად ავადმყოფობს და სიცოცხლეც ხანგრძლივი არა აქვს.

ზაფხულობით ჩვენში გავრცელებულია კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობა, რომელიც მუსრს იცლებს განსაკუთრებით ბავშებს.

რა იწვევს ამ ავადმყოფობას?

განსაკუთრებით უსუფთაობა.

— ასე არ გვეუბნებოდი, ბაცილები აჩენენ ავადმყოფობას, იტყვის ჩვენი მკითხველი.

დიახ, გვებნებოდით და ახლაც გაგიმეორებთ: ყოველ გა-დამდებ სენს, მოარულს განსაკუთრებული ბაცილები აჩენენ.

მაგრამ თვითონ ბაცილები სად ცხოვრობენ უ მრავლ-დებიან?

უსუფთაობასა და სიბინძურები; უსუფთაობისავე საშუა-

ლებით გადადიან ისინი ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანის
სხეულში.

გამადიუებელი შეუშებით რომ გასინჯოთ ის მტვერი, რო-
მელიც სახლშია, ტანისამოსის ჭუპუ, აუარებელი ბაკილები
აღმოჩნდება შიგ.

პარტიასტიანმა სახადმა განა ცოტა იმსხვერპლა ჩვენში ამ
ომიანობასა და რევოლუციის დროს?

ვინ ჩამოთვლის, რამდენი ოჯახი იმან დააობლა და რამ-
დენი დედა აატირა.

მერე იცით, ვის გადააქვს ამ სენის ბაკილები ავალყოფ-
დან კარგათმყოფზე?

— ტილებს! დლეს ეს დამტკიცებულია.

ტილს კი მხოლოდ ბინძური ადამიანი აშენებს და სისუ-
ფთავის მიზდევარ ადამიანს თუ გაუჩნდა, ისევ ბინძურისაგან.

ახლა ვესტუმროთ ჩვენი სოფლის მუშას; როგორც კი
ფეხს შევადგამთ ეზოში, თვალში გვეცემა სიბინძურე. შეხ-
ვალთ სახლში, იქაც სიბინძურე. შეხედავთ მასპინძლებს,
უსუფთაობის დაღი აზის ყველის. ხელს მოჰკიდებთ ბავშებს,
ყველა გასვრილი და უსუფთაო არის.

ბოსელი — ბინძური, საღორე — ბინძური, საქათმე — ბინძუ-
რი. ფეხისალაგს დაუწყებთ ძებნას, საქმე არა გაქვთ? სად
არის!

დაივლით მოელ სოფელს, — ერთ აბანოს ვერსად ნახდეთ.

— შე მამაცხონებულო, საქმე გამოგლევია და ლაბარა-
კობ რალი! აი რას ამბობს ბევრი თქვენგანი გულში, — განა არ ვი-
ცი, — სოფლის კაცმა თუ აბანოები აიშენა, ყანა მოუმკელი
დარჩება, ვენახი მოუვლელიო.

მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლია!

როგორ არის, რომა განათლებულ ქვეყნებში მიწის მუ-
შა აბანოშიაც დაღის, ტანიაც იბანს, საცელებსაც ირეცხვს,
ყანასაც უვლის და ვენახსაც?

შენ შეგნება მითხარი და სურვილი, თორემ სისუფთავის
დაცვისათვის დრო ყველის მოეპოება.



რაგინდა გახურებული ცლო იყოს, სოფლის მუშა უსაღი-
ლოთ ხომ არ დადგება? რაც უნდა ბევრი საქმე ჰქონდეს, სა-
დილზე მანეც არ აჩქარდება და დინჯათ შეიძლება.

ხომ ასეა?

— ასეა!

შოდა, შე მამა განათლებულო, სისუეთავე საღილზე ნა-
კლებად არის საჭირო აღამიანის ჯანმრთელობისათვის?

თუ გული გულობს, ქადა ცალი ხელითაც იქმებაო.

შეგნება მითხარი, თორებ სისუეთავისთვის დრო გამოჩი-
დება. კვირა დღეს ხომ არა მუშაობთ?

აიღეთ და მაშინ დაიბანეთ ტანი!

სოფლის მუშას ჩენებში ისე შემოაჯება საცვლები, რომ
გარეცხვა არ ეღირსება, ხომ მართალია?

— რა ვენათ, საპონი გაძირდა, იტყვის ერთი.

როცა იაფი იყო, მაშინაც არავინ იწუხებდა თავს საც-
ვლების რეცხვით სოფელში!

საცვლები ჭუჭყიანი, ტანი ჭუჭყიანი, თავი ჭუჭყიანი!

ჭუჭყი შესდგება მტვერისა და ოფლისაგან. ოფლს ყო-
ველოვის ურევია ერთგვარი სიმსუქნე იმ ჯირკვლებისა, რომ-
ლებიც ადამიანის კანშია მოთავსებული. აი ასეთი ქონიანი
ჭუჭყი საუცხოვო საზრდოს წარმოადგენს სხვადასხვა მავნებე-
ლი ბაცილებისათვის.

იმის გარდა თვითონ ჭუჭყი იწვევს კანის გაღიზიანებას
და იმის გამო კანზე ჩნდება სხვადასხვა სენი: სირსველა, ქეცი,
მუნი, ქარცეცხლი, ლერი, ქავანა, მუწუკი, წყლული და სხვა.

სოფლის მუშა ნიადაგ შრომაშია; ოფლიანდება, მტვერი
ადვილად ეკვრის და ჭუჭყიანდება კიდეც.

იმის გამო ტანის ბანა და საცვლების რეცხვა ისე არავი-
სათვის არ არის აუცილებლად საჭირო, როგორც მუშისათვის.

აიღეთ ისეთი ძნელად მოსარჩენი სენი, როგორიც არის
ქიჩილი.

ეს სენი გავრცელებულია განსაკუთრებით სოფლად და
ძალიან ბევრს ასახირებს.

სალაც სისუფთავეს იცავენ და თავს სუფთად ინახავენ, იქ ქაჩალი არა ჩნდება.

პირადი სისუფთავის დაცვა არც დროს ითხოვს, არც დიღ ხარჯს. საჭიროა მხოლოდ შეგნება, გაგება, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის სისუფთავეს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კარგ საჭმელსა და სასმელს.

საცვლების დარეცხა კვირეში ერთხელ მაინც, თავის და ტანის დაბანა ორკვირეში ერთხელ მაინც აუცილებელია მიწის მუშის ჯანმრთელობისათვის.

ფეხების დაბანა კი საჭიროა ყოველ დღე, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც ფეხის ოფლი სწევებია.

ოფლისა და უსუფთაობის გამო თითებს შეა კანი იცრიცება და სკდება, ჩნდება იარა; აქედან გაძვრებიან ჩირქის გამომწვევი ბაცილები, ასიებენ და აჩირქებენ საზარდულებში ჯირკვლებს და ზოგჯერ სისხლის მოწამლვასაც იწვევენ.

მე ვიცი ისეთი მაგილითები, როდესაც სრსხლის მოწამვლის მიხეზი ყოფილი ფეხის თითებში უსუფთაობისაგან გაჩენილი იარა.

— ეჭ, წერაა ყველაფერი! იტყვის ზოგი;

როგორ არა, წერა! რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დაბრკოლებსო, ამაზეა ნათქვამი.

ამიტომ ვისაც უნდა, რომ ჯანმრთელი იყოს და ცოლ-შეირში ბედნიერი, სისუფთავეს უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება.

როდესაც მიწის მუშა ბინძურად ინახავს ბოსელს, სალორეს, საქათმეს, სიბინძურე და უსუფთაობა აჩენს საქონლისა და შინაური ფრინველის სხვადასხვა სენს: წყდება ფრინველი, საქონელი და მიწის მუშის კეთილდღეობას ნიაუგი ფელება.

მაგრამ ზარალი ამითაც არ ამოიწურება.

არის ბევრი სნეულება საქონლისა, რაც ადამიანსაც გადაედება ხოლმე და სიცოცხლეს უსპობს. ასეთია ხუზარა (ჯილები), ქოთაო, ჭლექი და მრავალი სხვა.



აიღეთ ახლა ბავშები და მათი ჯანმრთელობა.

როგორც ყოველი ოჯახის, ისე მიწის მუშის ოჯახის ბე-
დნიერებას ბავშები შეადგენენ.

ბავშების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უდიდესი საქმეა მიწის
მუშისათვის.

ჩვენი სოფლის ბავში კი ალალ ბეღზე იხრდება, თუ გაი-
ზარდა; მაგრამ რამდენი ესალმება წუთი სოფელს მხოლოდ
სიბინძურისა და უსუფთაობის წყალობით!

უსუფთაობიდან ჩნდება ბევრი გადამდები სენი, უსუფთაო-
ბადან ჩნდება კუჭ-ნაწლავების დასნეულება, ანთება და უმე-
ტესი ნაწილი ასეთი სნეული ბავშებისა სოფლად იხოცება.

ყოველმა დედამ უნდა დაპანოს და დაასუფთაოს ბავში
კვირაში ერთხელ მაინც, და თუ ჩეილია,—ყოველ დღე; გაუ-
წმინდოს ყურები, ცხვირი, თვალები და ხშირად დაურეცხოს
საცვლები.

უსუფთაობა განსაკუთრებით ემტერება სოფელში მშო-
ბიარეს.

სიბინძურისა და უსუფთაობის წყალობით სოფელში მშო-
ბიარეს ემართება საშეილოსნოს ანთება და კვდება.

ერთი სიტყვით, ვინც ბინძურია, სხვადასხვა სენიც მისი
სტუმარია.

ვინც სისუფთავეს მისდევს, ის ამით იფარავს თავს და
ოჯახს სხვადასხვა ავადმყოფობისაგან.

უსუფთაოდ შენახვა პირისა ასნეულებს ღრძილებს და
კბილებს, რაც იწვევს კბილების აღრე დაცვენას.

მუშა კაცს თუ კბილები არ ექნა, ნახევარი ჯანი დაკარ-
ვული იქვეს.

მაგრამ პირის უსუფთაობას მოსდევს ბევრჯერ გაცილე-
ბით უფრო საშინელი შედევი: კიბოს გაჩენა ენაზე, ღრძი-
ლებზე, სასაში. მორჩენა შეუძლებელია და საშინელი ტანჯვა
და წვალება როგორც ავადმყოფისა, ისე ყველა შინაურისა წინ
უსწრებს სანატრელ სიკვდილს.

სოფელში არავითარ ყურადღებას არ აქციენ უკანა ტანის სისუფთავეს:

— ათასი ასუფთაო, მაინც უწმინდური ალაგიაო.

სწორეთ იმიტომ უნდა განსაკუთრებული სისუფთავე, რომ კუჭყიან მოვალეობას ასრულებს.

მიწის მუშამ აუცილებლად უნდა შემოილოს წესად: ყოველთვის გარედ გასვლის შემდეგ მოიბანოს უკანა ტანი ცი წყლით.

ბინძურად შენახვა უკანა ტანისა იწვევს ბუასილს, ქავილს, რაც მეტად ძნელი მოსარჩენია, და კიბოს.

უკანა ტანის კიბო საშინელი სნეულებაა: მორჩენა შეუძლებელია და სანამ ავადმყოფს მოჰკლოვდეს, საშინლად დასტანჯავს და აწამებს. მიწის მუშის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სუფთა წყალი.

ვისაც წყარო ეახლოება, ამას არა ჯობია რა.

მდინარის წყალი ყოველთვის უსუფთაოა, რადგანაც მას სვრის ნახირი, მდინარის პირის გაშენებული სოფელი და სხვ.

სადაც მოსახერხებელია, მთელმა სოფელმა უნდა გამოიყანოს წყაროს წყალი.

სადაც ეს შეუძლებელია, კარგი არის ჭა.

ხოლო ჭის სიახლოვეს არ უნდა იყოს ბოსელი, სილორე, რადგანაც საქონლის შარდი მიწაში გადის და ჭის შეუძლება.

უსუფთაო წყალი იწვევს სახადს, კუჭ-ნაწლავების დასწეულებას, მუცელის ინუ სისხას, რაც მუსრს იყლებს ზაფხულობით განსაკუთრებით ბავშებს.

ყოველი ჭრილობა, რა გინდ პატარა და უბრალო იყოს, შესძლებელია გაბდეს მიზეზი სისხლის მოწამვლისა.

თუ ჭრილობაზე მოხვდენ ჩირქის გამომწვევი ბაცილები, ზოგჯერ მოსახერხებენ ხოლმე პირდაპირ სისხლში გაძრომას და გათავდა: ასში ორი თუ გადარჩება.

ამიტომ დიდი სისუფთავე არის საჭირო ჭრილობის შემ-

ვევის დროს; თუ სხვა არაფერი მოიპოვება, დუღარეში უნდა გამოხარშოთ რამე ნაკერი და იმითი შეიხვეოთ ჭრილობა.

ჩვენში კი ჭრილობის საუკეთესო წამლად ითვლება იბ
ლაბულა და ცხენის განავალი!

ერთიცა და მეორეც წამლი კი არ არის, საწამლავია.

ჯანმრთელობა წამლობის შედეგი კი არ არის, არამედ
სისუფთავისა, შეგნებისა

— მაგას შეძლება უნდა, ჩვენ ვინ მოგვაქვავებს?

იტყვის ზოგი მიწის მუშა.

არ არის მართალი: ბევრი ლარიბი მინახავს, რომ მდი-
დარჩე უფრო სუფთათა სცხოვრობს.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ გაგება, შესმენა და სურ-
ვილი.

მე მინახავს ისეთი ოჯახი, რომელიც სიბინძურეში იღრ-
ჩობა, მდინარე კი ზედ ეზოში ჩამოუდის.

ძველმა ცხოვრებამ თქვენი კირი წაიღო, თან გავატანოთ
ძველი შეუგნებლობა, უცოდინარობა, გაუგებრობა და სიბინ-
ძურე.

განახლებული ცხოვრება, სხეულის სიწმინდე, სუფთა ტა-
ნისამოსი, გაკრიალებული ეზო, გაკრიალებული სადგომი,
გაკრიალებული კარმიდამო.

აი ყველა ეს ერთად არის საჭირო და აუცილებელი ჩვენი
მიწის მუშისათვის.

სისუფთავე მარტო კერძო ოჯახის საჭირო-
ებას კი არ შეაღენს, არამედ მთელი სოფლისას,
თემისას, ყველა უნდა იყოს სუფთა და მთელი
სოფელი სუფთა.

ამისათვის კი აუცილებელია აბანო.

სოფელს უნდა ამშვენებდეს სკოლა, თეატ-
რი, სამკითხველო და აბანო

სკოლა ასუფთავებს და ალამაზებს გონებას,
აბანო კი სხეულს.

იმერეთის სოფლებში ძნელია აბანოს გაკე-

თება, აბანოთი სარგებლობა, რადგანაც სოფერ
ლი ხშირად გავიმულია რამოდენიმე ვერსაჲ და
მოსახლე მოსახლეზე საკმაოდ დაშორებული.

ქართლისა და კახეთის სოფლები შექუჩულია
და იქ აბანოთი სარგებლობა ყველას შეუძლია.

ჩვენს სოფლებში რომ აბანოები გაწნდებო-
დენ და ჩვენი მიწის მუშა ორკვირაში ერთხელ
მაინც დაიბანდეს ტანს და გამოიცვლიდეს საც-
ვალს, ეს იქნება ჩვენი დიდი ეროვნული ბედნი-
ერება.

უსუფთაობა და სიბინძურე, ჩვენი საერთო
უბედურებაა და სირცხვილიც.

ახალი ცხოვრება, განახლება უნდა შეიჭრეს
ყოველგან, ყოველისფერში.

ახალ დროებას აღარ შეეფერება ძველი სო-
ფელი, მისი სიბინძურით და დრომოქმული ჩვეუ-
ლებებით, შეუგნებლობით, უცოდინარობით.

ახალი სოფელი კოხტა და ლამაზი; შეგნე-
ბული, ჯანმრთელი და სუფთა მიწის მუშა,—ი
რა არის ახლა საჭირო.

— — —

VI. ო ა ვ ი ს მ ი ს ლ ა.

ა) სასმელ-საჭმელი.—უპირველესი მნიშვნელობა იქნა ადამიანისათვის საზრდოს, ბინას და ჰაერს.

მუცელს აღორებ ღორია, იქორებ ქორია, სრული ჰე-შმარიტებაა: როგორც სიმშილია მავნებელი, ისე ზედმეტი ჭამა-სმია მახარალებელია.

— შე დალოცვილო, ზედმეტი სოფლის კაცია ვინ მისცა? მეტყვის ვინმე.

ნურც მაგას იტყვით. სიმშილობის დროსაც კი არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სოფლის ადამიანი ზედმეტსა სვამს და სქამს: ასეთია დღეობა, დიდი უქმე, ქორწილი, ნათლობა, ქელები.

ნუ გეწყინებათ და უნდა გითხრათ, ასეთ დროს სოფლის ადამიანი ნამდევილ პირუტყვს ემსგავსება, სქამს უზომოდ, სვამს უზომოდ.

— ორ სამ თვეში ერთხელ შემზღვდება და მაინც არ ვკამო? იტყვის ზოგი.

უნდა სქამო, დრო უნდა გაატარო, მაგის წინააღმდეგი ვინ არის, მაგრამ სასმელ-საჭმელს კეუა არ უნდა ჩაატანო და ისე სვა და სქამო, რომ შეგერგოს.

იქანდა ძროხის ხორცი ძვირადა მხედებაო, განა ერთი ფუთი უნდა ჩაიყარო, როცა ხელში ჩაგივარდება? ხანდახან ერთმანეთთან მისვლა, დროს გატარება სასარგებლოა, რაღა-ნაც ადამიანი ისვერნებს, გადახალისდება, კარგ გუნებაზე დგება და შემდეგ მუშაობა უფრო უაღვილდება.

მაგრამ თქვენი დღესასწაულები, ქელები, ქორწილი, გა-დახალისება კი არა, ოჯახის აოხრებაა, დალუპვა და ამოგდება,

ახალ, თავისუფალ სოფელს არც ერთი ეს არ შეეფერება, ჯანმრთელობისათვის ხომ მეტის მეტად მავნებელია.

ჩვეულებრივ სოფლის ადამიანი ზედმეტს არა სკამს, უფრო ხშირად იყლია კიღეცი. ხანდახან იცით ზედმეტი, მაგრამ უნდა იცოდეთ: ერთი დღის ღორმულობაშ შეიძლება იმდენი ზიანი მოუტანოს ადამიანს, რომ რამოდენიმე თვე ვეღარ ვა. მომთელდეს.

მე ვიცი ბევრი ოჯახი სასმელს იქლებს, საჭმელს იქლებს ყოველ დღე, აქოდა დღეობა წინა მაქვს და მაშინ თავზე საყრელად უნდა მქონდეს ყოველისფერიო.

— ასეთია სოფლის ჩვეულება და მა რა ვქნათ! იტყვის ზოგი.

ასეთი რომ არის, აღარ უნდა იყოს! ცხოვრება წინ მიღის, მავნებელი ჩვეულება უნდა გადაიგდოთ, დაივიწყოთ, სამაგიეროთ შემოიღოთ სასარგებლო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, კუჭი წარმოადგენს პარკს, რომელშიაც დატანებულია შიგნიდან მრავალი ჯირკვალი. ამ ჯირკვლებიდან გამოევენავს ჭამის დროს და შემდეგ კუჭის წვენი, რომელიც ხარშავს, ინელებს მიღებულ საჭმელს. თუ კი კუჭში ზედმეტი სასმელ-საჭმელი ჩავიდა, კუჭი განიიღოდება, მოღუნდება, მობოშდება; ჯირკვლები სნეულდებიან და კუჭის წვენს ან სულ ცოტას ამზადებენ, ან აუარებელს. ერთიც და მეორეც მეტად მავნებელია, ბოლოს და ბოლოს კუჭი სნეულდება, თავის დანიშნულებას ვეღარ ასრულებს და ხანდახან წამლობითაც აღარა გამოდის რა.

საზოგადოთ უნდა იცოდეთ, კუჭის მორჩენა მეტად ძნელია და ერთი თუ მომშალა, იმის გამოსწორებას დიდი დრო და ხარჯი უნდა, დიდი მოთმინებაც.

მუშა კაცისთვის კარგი და საღი კუჭი პირველი საჭმელა.

თუ მუშა კაცს კუჭი არ უვარგა, აღარც ჯანი იქვს, აღარც ღონე, აღარც გუნება და ხალისი.

სამუშაო ძალ-ღონეს მუშა კაცი სასმელ-საჭმელიდან ღულობს.



თუ კუჭი აღარ ვარგა და საქმელის მონელება აღარ შეუძლია, ცხადია, მუშაკის სამუშაო ძალაც აღარ ექნება.

არ გაგიგონიათ, ერთი ლოთი კაცის არავი? ხან ჭიქითა სვა, ხან ყანწით, ხან ჯამით: გაილეშა და ეინი მაინც ვერ მოიკლა; მიუტანა თავის ვირს და დაუდგა წინ; ვირი ძალიან მოწყურებული იყო, მაგრამ დასუნა და არ დალია. დაუწყო ხევწინა ლოთმა: მიირთვი ჩემო ვიროვო. ხვეწინამ რომ არ გასკრა, მუქარით მიმართა, ბოლოს სახრეზე გადავიდა და სულ აუკრელი გავა და გვერდები საწყალ ვირს; მე თუ ვსვამ, შენ არ გვეკადრებათ.

არაფერმა არ გასკრა,— არ დალია და არა ვირმა. ჩაფიქრდა ჩვენი ლოთი, გააპურება და წარმოსოქვა: ეეჭ, შენ კი არა მე ვყოფილვარ ვირი და შენ აღამიანიო.

ახლა თქვენ თვითონ მითხარით, ჩვენებური ლოთობა განა პირუტყვობა არ არის?

- ჩვენებურ პურის ქამას უღვინოდ რო შენ არ აქვა!
- ლვინოს როგორ შეველიოთ, არ მოხერხდება.
- სოფლის ჩვეულება ეს არის და აბა რა ვქნათ!
- ქეიფიც რომ არა ხერხდება უღვინოთა! ამბობთ თქვენ.

მუშაკისათვის ზომიერად ლვინის დალევა სასარგებლოც არის, მაგრამ უზომოდ სმა, რასაც ჩვენში აქვს ალაგი, საზიზლარიც არის, მეტის მეტად მავნებელიც. ზედმეტ სასმელს არავისთვის იმდენი ზიანი არ მოაქვს, როგორც მუშა ხალხისათვის; მუშა ხალხის სხეული ყოველდღე იქანცება ზედმეტი ჯაფისაგან. დაქანცულ სხეულს ზედ ერთვის ლვინისა და არავის შხამი და მთელი სხეული იწამლება ნელა-ნელა.

მუშაკისათვის განსაკუთრებით საჭიროა მთელი, მაგარი გული.

სოფლის მუშას თუ გული არ უვარგა, რიღასი მაქნისია? რომ მოკვდეს, ისა სჯობია. სოფლის მუშაობა მძიმე არის; მას მთელი და მაგარი გული უნდა. მაგარი სასმელები სწორედ გულზე მოქმედობენ. გულის მოშლა, გასუქება, გაგანიერება,



სისხლის მიღების დასნეულება — ამ რა მოსდევს შედეგად რა თობას.

მუშაკაცი განსაკუთრებით უნდა უფრთხილდებოდა გულს, რომ გულმა დიდხანს გაძლოს და შეაძლების მა შრომა და მუშაობა. ადამიანის გულის უდიდესი მტერი კაგარი სასმელებია.

ადამიანის სხეულში არ მოიძებნება არც ერთი ასო, რომელზედაც მაგარი სასმელები არ მოქმედობდენ. ლვიძლს, კუჭა, თირკმელებს, ფილტვებს, გულს, ტვინს, — ყველაფერს ასეულებს მაგარი სასმელები.

ამიტომ, თუ გინდათ რომ თქვენს თავს მოუარრთ და დიდხანს გაძლოთ, მაგარი სასმელების უზომო ხმარების აუკალებლად უნდა გადაეჩეიოთ.

მაგარი სასმელები მარტო ლოთს კი არ ჰქონდავს, ასეულებს იმის შეილებსაც. ჯანსაღი შეილები მუშა ოჯახის პედნიერებაა.

— სულ აღარ უნდა დავლიოთ ლვინო? იკითხავთ.

ზომიერად სმა ლვინისა მავნებელი არ არის, მაგრამ ლოთობა მუშა კაცის დამღუპველია, მისი ოჯახის გამანიღვურებელი.

— არაყიც მაწუნარია? იკითხავს ზოგი.

რა თქმა უნდა! რაც უფრო მაგარია სასმელი, მით უფრო მავნებელია, თუ უზომოთ სეამთ.

არაყი უნდა მიიღოთ ხანდახან წამლად, როდესაც ვინმე გაცივებულია, ძვლების ტეხვა აუვარდება და სხვ. ნიადაგ სხმისი, განსაკუთრებით არაყით ლოთობა ადამიანს სიცოცხლეს უშოკლებს.

ბ) ჰაერი და სისუფთავე. — ყოველი ადამიანისათვის სუფთა ჰაერი უპირველესი წამალია.

ადამიანის სისხლი ფილტვებში იწმინდება.

თუ ჰაერი სუფთა არ არის, სისხლი არ იწმინდება რიგიანად და აუამიანი მუდამ სისუსტესა გრძნობს, ზანტია, საჭი

ეზარება, ამას გარდა, როდესაც ჰაერი სუფთა არ არის, ფილტვები სუსტდებიან, ქლექი და ფილტვების სწრულება ჩნდება.

სოფელში ჰაერი სუფთა უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ თვითონ კუხოორობთ ბინძურად, ამიტომ ჰაერიც არ არის ჩვენს სოფელში საკმაოდ სუფთა და საღი.

ამა თვალი გადაავლეთ ჩვენს სოფელს.

ბევრი ჯერ კიდევ მიწაში ცხოვრობს, საქონელი და ხალხი ერთად არიან არეული.

— ღარიშმა კაცმა აბა რა უნდა ჰქნას? ვინ მისცა იმდენი შეძლება, რომ ოდები ააშენოს? მეტყვის ვინმე.

ყველაფერი სილარიბეს არ უნდა მიაწეროთ, ბევრი რამ ჩვენი სიგლახის, შეუგნებლობისა და დაუდევრობის ბრალით.

მე ხომ იმას არ ვამბობ, სასახლეების აშენება შეგიძლიათ მეთქი; მაგრამ მიწიდან ამოსვლა ყველას შეგიძლიათ, ოლონდ შეგნება იყოს და სურვილი.

სინათლე, მზის სხივები იმდენადვე არის საჭირო აღამიანის სხეულისათვის, როგორც კარგი საზრდო.

როდესაც საღომში სინათლე ნაჟლებია, მზის სხივები ვერ შემოდის, ადამიანს უსნეულდება ძვლები, თვალები, ფილტვები, უჩნდება კანის სხვადასხვა ავაღმყოფობა, ცკლდება სისხლი, სუსტდება და დანდათან ღონე ეცლება.

განსაკუთრებით მავნებელია ბნელი, უშეეო ბინა პატარა ბავშვებისათვის.

მიწურ სახლში მუდამ არის სინესტე, რაც აღამიანისათვის მეტად მავნებელია.

სინესტე იწვევს უსისხლობას, ნერვების ავაღმყოფობას, ქარებს, თირკმელების და გულის დასნეულებას და სხვ.

ხშირად აღამიანი და ოთხფეხი საქონელი ერთად არიან არეული.

გარდა იმისა, რომ საქონელს აქვს სხვადასხვა სწრულება, რაც აღამიანზე გადიდის და ზოგჯერ სასიკედილოდ ასნეულებს მას, ასეთ ცხოვრებას თან დასდევს დიდი უსუფთაობა, რაც თავის თავად ბუდეა მრავალი სწრულებისა.

თავისუფალ იდამიანს საქონელთან ერთად ცხოვრება. აღარ შეეფერება.

ამ მეტის მეტად მავნებელ ჩვეულებას უსათუოა უნდა მოეღოს ბოლო.

ახლა გადახედოთ სოფლის კარმიდამოს.

ზოგან საქონლის პატივი არა თუ თვეობით, მთელი წლობით არის დაგროვილი, იხრწნება და ავრცელებს გარშემო საძაგელ სუნს.

ორ კვირაში ერთხელ რომ გადაზიდოთ ვენახში, ან ყანაში, განა არ შეგიძლიათ?

შეგიძლიათ, მაგრამ არ არის სურვილი და შეგნება.

თქვენი ეზო, თქვენი სახლები ისე უნდა გქონდეთ მოკრიალებული, რომ უცხო ადამიანს შემოსვლა და დანახებიმებოდეს.

რა აჩენს ჭლექს, ხოლერის, მუცელას, სახადს?

უსუფთაობა, სიბინძურე.

თუ გინდათ, რომ ჯანსაღი იყოთ და ცოლშვილიც ჯანსაღი გყავდეთ, თქვენი ბინა, ეზო, ბოსელი, გომური მუდა სუფთად უნდა გქონდეთ.

არ შემიძლია არ მიგითოთოთ კიდევ ერთ საშინელ დაუდევრობაზედ: სოფელში ვერა ნახავთ ათში ორ მოსახლეს, რომ ფეხისალავი ჰქონდეს, თითქოს ეს უბრალო, უმნიშვნელო რამ იყოს.

პირიდან ჩვენ ვდებულობთ საზრდოს; უკანა ტანით ვიშორებთ მოუნელებელ და უვარგის საზრდოს. ერთიც და მეორეც ასრულებენ ჩვენი სხეულისათვის მეტად დიდ საჭმეს.

სასირცხო, ან სანაქებო მოვალეობა ჩვენს სხეულში არ არსებობს, ყოველი ასო, ყოველი ნაწილი ჩვენი სხეულისა ასრულებს იულილებლად საჭირო საჭმეს.

როგორც პირს უნდა მოვლა, ყურადღება და სისუფთავე, იგრეთვე უნდა უკანა ტანსაც.

საჭმლის მიღების წინ და შემდეგ საჭიროა პირის რიგი-

ანად გამორეცხა და გამოსუფთავება. იგრეთვე გარედ გასკვლის შემდეგ საჭირო არის უკანა ტანის გასუფთავება.

უსუფთაობა აჩენს პირში სხვადასხვა სწრეულებას და მათ შორის საშინელ სენს — კიბოს. უსუფთაობა აჩენს უკანა ტანში მუწუკებს, ჩირქიან ხვრელებს და კიბოს.

ჯანმრთელობისათვის ერთ აუცილებელ პირობას შეაღ-
ენს კანის სისუფთავე.

ჩვენს კანში დატანებულია სხვადასხვა ჯირკვალი, იქ-
დან გამოდის ოფლი, ქონი.

ამას ერთვის გარედან მტვერი და იმგვარად გროვდება კანზე კუპური, თებო. კუპუში მრავლდებიან სხვადასხვა უჩინარი არსებანი ანუ ბაცილები, რომლებიც იწვევენ ამა თუ იმ სწრეულებას, მუწუკებს, ქავანას, ქეცს, ქარცეცხლს, წითელ ქარს, კანის კლექს და სხ.

ამიტომ, დროგამოშვებით, უსათუოდ უნდა კანს ბანი თბილი წყალით და საპნით. ამისათვის არის საჭირო სოფელში აპანო.

გ) ცივ წყალში ბანაობა. — წყალში ბანაობას ძალიან დი-
დი მნიშვნელობა იქნა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ზაფაულ-
ში, როცა ადამიანს ძალიანა კველა, ცივ წყალში ბანაობას და
იქიდან გაგრილებული ძმოდის, მაშასადამე, ცივი წყალი გვაგ-
რილებს. ვისმეს რომ ცივ წყალს გადაასხამთ შიშველ ტანზე,
ღრმად ამოისუნთქავს; გული როცა ზედმეტათა სძგერს, ზედ
სკელ ტილოებს იფენენ. მაშასადამე, ცივი წყალის ზეგავლენით
ადამიანს გული უწყნარდება, ღრმათა სუნთქავს. თუ მხედველო-
ბაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ადამიანის ყოველ ასოს:
გულს, ფილტვებს, კუჭს, ლვიძლს და სხვა, ნერვები ამუშავე-
ბენ, ცხადი იქნება, რომ ცივი წყალი მოქმედებს ადამიანის
ნერვებზე და იქედან თითქმის ყოველ ასოზე.

თუ ვინმე ავად არის, ექიმის დაუკითხავად ცივ წყალში
ბანაობა არ უნდა დაიწყოს, რაღაც არის ბევრი ისეთი
ავადმყოფობა, როცა ცივ წყალში ბანაობას სარგებლობა კი
არა მხოლოდ ზარალი მოაქნა: მავალითად, თირკმელების ან-

თების დროს, გულის შანჯის დროს; წლექიანისათვის ციფ წყალში ბანაობა მავნებელია; მავნებელია მდინარეში ბანაობა ლრმა მოხუცებულებისა და ძუძუს ბავშებისათვისაც

გამაძლარ კუჭზე ბანაობა ციფ წყალში არ ვარგა; სადილს შემდეგ ორმა საათშა მაინც უნდა გიაროს. აგრეთვე ზოგს მშიერ კუჭზე არ უხდება ბანაობა და ამისთანა პირმა ბანაობის წინ ცოტა რამე უნდა სჭიროს. რაც უფრო ჩქარა მიღის წყალი, მით უფრო მარვებელია საბანაოდ.

ციფ წყალში ბანაობს ადამიანს ძარღვებს, კუნთებს და მთელს სხეულს უმაგრებს და სიცივის ატანას აჩვევს სხეულს, რის გამოც ჩვეულებრივი გაციება ვეღარ მოქმედებს და ივად ვეღარა ხდის მას. ციფ წყალში ბანაობა მაღას ულვიძებს კაცს, ბანაობის შემდეგ ის მეტას სკამს და კარგადაც ინელებს. ამიტომ სისხლ ნაკლული ადამიანისათვის ციფ წყალში ბანაობა მარგებელია. თუ ადამიანს ნამეტანი ბევრი აკლია სისხლი, მაშინ მისთვის ძალიან ცივი წყალი არ ვარგა საბანაოდ; უმჯობესია, სველი ტილოთი ტანი დაიზილოს ხოლმე ღილა სალამოს; რომ მომაგრდება და სისხლი ცოტა მოემატება, მაშინ დაიწყოს მდინარეში ბანაობა და ისიც იმ დროს, როცა წყალი მომთბარია.

რამდენ ხანს უნდა დარჩეს ადამიანი ციფ წყალში?

გადაქრილი პასუხი აქ შეუძლებელია. ყოველი ადამიანი თითონ შეატყობს, რამდენი ხანი ჰყოფნის მას ცავ წყალში წოლა. როცა ადამიანი სიამოვნების მაგივრად უსიამოვნებას ვრძნობს, მეტი აღარ უნდა დაჰყოს წყალში და უნდა ამოვიდეს. დილით, როცა წყალი ძალიან ცივია, ორი-სამი წამი სრულებით საქმარისია, ნაშეადლევს კი, როცა წყალი მომთბარია, ათი წამი საქმარისია. დაღალული და გიოფლიანებული ადამიანი ციფ წყალში არ უნდა ჩავიდეს, სანამ არ დაისცენებს და ოფლი კარგად არ შეაშრება. ერთბაშად წყალში ჩახტომა, ან სიმაღლიდან გადახტომა ძალიან მავნებელია. ჯერ ცივი წყალი უნდა გადისხათ ხელით თავზე და ტანზე, შემდეგ შიგ ჩახვიდეთ. წყალში ტანი და სახსრები კარგად უნდა იჩილოთ



და ივარჯიშოთ, თავიც უნდა ჩამყოთ შეგ საბანაოდ. ისეთი ალაგი უნდა აირჩიოთ, საცა ქარი არა ხვდება. ქარში ან წვიმაში არ უნდა იბანაოთ.

როცა ამოხვალოთ მღინარიდან, ჯერ უნდა შეიწმინდოთ კარგად, შემდეგ ტანისამოსი ჩაიცევათ.

ეისაც ციც წყალში არ უბანავნია, მან ბანაობა უნდა დაიწყოს მხოლოდ ზაფხულზე; სანამ ბანაობას დაწყებულეს, ერთი ან ორი კვირის განმავლობაში დილით და დაწოლისას სველი ტილოთი უნდა დაიზილოს მთელი ტანი და შემდევ შშრალი ტილოთი კარგად შეიწმინდოს.

როცა აციცდება, მღინარეში ბანაობას თავი უნდა და-ანებოთ და სახლში უნდა იზილოთ სველი ტილოთი ტანი დილა-საღამოს.

ამგვარათვე მოქმედებს ზღვის წყალი ადამიანზე, ხოლო, რაღვანაც ზღვის წყალში სხვადასხვა მარილი და ნივთიერებაა გახსნილი, ადამიანისათვის მარგებელი, და რაღვანაც ზღვის პატი ბევრად უფრო სუფთაა, ამიტომ ზღვაში ბანაობას გა-ცილებით მეტი სარგებლობა მოაქვს, კიდრე უბრალო წყალს. ზღვის წყალი ამაგრებს ნერვებს, სხეულს, ახალისებს და-მიანს, სისხლს მატებს მას; ძილსა და მაღას აუმჯობესებს; კუ-ჭი და ნაწლავები იწყებენ რიგიანად მუშაობას ზღვაში ბანაო-ბის ზეგავლენით; ჩვეულებრივი მუცელში შეკრულობა ეკარ-გება ადამიანს და სხვ.

განსაკუთრებით უხდება ზღვის წყალი და პატი დასუ-ტებულ ბავშებს, რომლებსაც ჰლექისა და დურბელისაკენ იქვთ მიღრეკილება, მუდამ თვალები ან ცხვირი სტკივათ და უმუშებულებათ, ყურებიდან ჩირქი დასდით და სხვა.

ძალიან უხდება ზღვაში ბანაობა დიდი შრომისა და ჯა-ფისაგან მოქანცულ, ძარღვებაშლილ პირებს, რომლებსაც აღარც რიგიანი ძილი იქვთ, და არც სმა ჭამა და არც ხა-ლისი.

შეუძლია თუ არა ჰლექიანს ზღვაში ან მღინარეში ბა-ნაობა? თუ ჰლექი ახალია, ივაღმყოფს ჯერ მორეული არა-

აქვს, სისხლს სრულებით არ ახველებინებს, ავადმყოფი ჯერ საკმაოდ არის ჯანზედ და სიცხეს არ აძლევს, შეუძლია ნაშენ. დღვეს იბანაოს წოლმე, მაგრამ დიღხანს არ უნდა დარჩეს წყალში და არ უნდა დაიღალოს. თუ ნახელში—სულ ცოტაც არის—სისხლი ამთაყოლია, ბანაობას თავი უნდა დაანებოს და ტანი იზილოს სველი ტილოთი. ბანაობაც კლექიანში ერთბაშად არ უნდა დაიწყოს და ჯერ ტანის ზელით უნდა მიაჩვიოს ცივ წყალს თავისი სხეული. როცა თავს წყალში ჩაჰუნდა, ყურებში თითები მაგრად უნდა დაიცვათ და ცხვირზედ თითები მოიჭიროთ, რომ შიგ წყალი არ შევიდეს, თორემ შეიძლება ყურები დაჩირქდეს.

რიგის დროს ქალმა ცივ წყალში არ უნდა იბანაოს—არც მდინარეში, არც ზღვაში. ყოველ შემთხვევაში, ეინ უზღვაზე აპირებს საბანაოდ წასელას, უმალ ექიმს უნდა დაკუთხოს.

(დ) მთისა და ზღვის ჰაერი.—ზაფხულის სიცხეში ადამიანს სხეული მოდუნებული აქვს, ხალისი ეკარება, თავი და მთელი სხეული უმძიმდება, მაღა იღარა აქვს, ხილსა და წყალს ეტანება, ნოკიერი საჭმელი კი აღარ უნდა. ჯანსაღი იდამიანი ყოველივე ამას ადგილად იტანს, მაგრამ აიღოთ სისხლნაკულული, დასუსტებული ადამიანი ან კლექიანი, რომლისთვისაც სასუკეთესო წამალი საჭმელია; ამათ მაღა ისეც დაკლებული აქვა, და თუ კიდევ დააკლდათ, მათი მდგომარეობა უკან და უკან წავი.

აქ დიდი შნიშვნელობა აქვს ერთის მხრით მთას, მეორე მხრით ზღვას თუ ჰაერი ძალიან შშრალია, ადამიანზე ცუდად მოქმედებს და ხშირად ამა თუ იმ სნეულებას იწვევს; თუ ჰაერი ძალიან ნოტიოა, ესეც სასუსტებს ადამიანს და ასნეულებს. ამიტომ ჰაერი უმჯობესია საშუალო; არც ძალიან შშრალი, არც ძალიან ნოტიო. ამგვარია ჰაერი მთაზედ. მთის ჰაერი ძალიან სუფთაა, მტვერი, კვამლი, სხვადასხვა ბაკილები შიგ მეტად ცოტაა დაბლობ ადგილთან, ქარაქთან და სოფელთან შედარებით.

ჩვენში მთებს გარშემო ტყეები აკრივს, ტყეებში ხშირად სხვადასხვა სუნელოვანი ხეებია; ტყის ჰაერი განსაკუთრებით სუფთაა და შიგ ბლობად არის ერთგვარი ჰაერგვარი, რომელ-საც თხონი ჰქვია. თხონი ძალიან უხდება ადამიანს, სისხლს მატებს, სხეულს უმაგრებს, ფილტვებს უსუფთავებს; ამავე დროს თხონი ფილტვებსა და ჰაერში ბაცილებსა ჰქოცავს. ამიტომ მთის ჰაერი ძალიან მარგებელია ყველა დასუსტებული ადამიანისათვის, ის უხდება სისხლნაკლებს, ძარღვებაშლილს, შრომისაგან მოქანცულს, უძილობითა და უმაღლებით შეწუხებულს, ციებ-ცხელებისაგან დავარდნილს, დურბელიანსა და კლექიანს.

მთაზედ რომ ახვიდეთ და მხართეძოზედ წამოწვეთ, არ ვარგა. თუ დადიხართ და მოძრაობთ, უმჯობესია. მხოლოდ ავადმყოფი ნამეტან დაღალვას უნდა ერიდოს.

მთა ადგილს თუ ქარი ხშირად ხვდება ან წვიმა და ნის-ლი ხშირია, არ ვარგა: საუკეთესო მთა ის არის, საცა საკრიო სიმაღლესა და სიგრილესთან ერთად რაც შეიძლება მეტი დღე-ებია მზიანი, უწვიმო და უქარო. ჩვენში მთა ადგილის ძირიად არის ისე საღვამი მოწყობილი, რომ ზამთარში შეეძლოს ავად-მყოფს ცხოვრება, თორებ მთის ჰაერი სუსტი უა სნეული ადამიანისათვის იმდენათვე სასარგებლოა ზამთარში, რამდენ-დაც ზაფხულში. მთაზედ ადამიანმა ყოველ დღე ორი ან სამი საათი მაინც უნდა იაროს—ერთბაშით კი არა—შესვენებით, ჰაერზე უნდა დაპყოს რაც შეიძლება დიდხანს. კიდეც რომ წვიმდეს, იიგანზედ მაინც უნდა იყოს; საჭმელი ნოკიერი უნ-და ქონდეს, ბევრი და დღეში რამდენჯერმე მაინც უნდა სჭ-მოს.

ვინც მთაზედ მიდის და მთელ თავის იმედს მარტო ჰაე-რჩედ იმყარებს, შემცდარია: საჭიროა რიგიანიდ ჭამა, ერთხელ წასულია მთაზედ სნეულისათვის არა კმარა,—ყოველ წელიწადს უნდა წავიდეს და დარჩეს რაც შეიძლება მეტ ხანს. როგორც მთის ჰაერი, ზღვის ჰაერიც ძალიან სუფთაა, ზომიერი; შიგ ბლობად არის თხონი. ამის გამო ზღვის ჰაერიც სასარგებლოა,

სუსტი, სისხლნაკლული და ფილტვებით სწრეული მდგრადიანისა, თვის. ჩვენში ზღვაზედ ყოფნა კარგია ვაზაფხულსა და შემო-დგომაზე, ზაფხულობით კი მთა სჯობია.

ვისაც ფილტვების ან გულის სწრეულება სჭირს, მისთვის ზღვაზე ცხოვრება კარგია ზამთარში.

მთაზედ წასვლის წინ საჭიროა ექიმის ნახვა, რადგანაც არის ბევრი იმგვარი სწრეულება, რომელსაც მთა სწყენს. თუ, მაგალითად, ადამიანს გულის სივანიერე მორეული აქვს, მალა მთაზედ შეიძლება კიდეც გაუსკდეს გული.

ე) თამბაქო.—როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა შე-15 საუკუნის გასულს ამერიკა აღმოაჩინა, სხვათ შორის დაინახა, რომ ამერიკის აღგილობრივი მცხოვრებლები რაღაც ხმელ ბალის გრძლიად ახვევდენ, ცეცხლს უკიდებდენ, მეორე თავით პირში იდებდენ, სწევდენ და ცხვირიდან და პირიდან ბოლ უშვებდენ. ამ მოსაწევს ისინი უწოდებდენ „თამბაქო“-ს, საიდანაც წარმოსდგა სიტყვა თამბაქო; სახელი თუთუნი კი ოსმალური უნდა იყოს.

ამერიკიდან თამბაქო გადმოიტანეს ევროპაში და თანდა-თან გავრცელდა ცველგან. პირველ ხანებში თამბაქოს დიდი ბრძოლა გამოიუხადა სამღვდელოებამ და ზოგან მთავრობამაც. საქმე იქმდე მივიღა, რომ თამბაქოს წევისათვის სიკვდილითა სჯიდენ, მაგრამ თამბაქოს წევა ასეთმა სასტიკმა ზომებმაც კი ვერ მოსპო. დღეს თამბაქოს წევა ცველგან ძალიან არის გვი-რცელებული. ის მარტო ამერიკიდან კი არ მოდის ახლა, ევ-როპაში მოჰყავთ, რუსეთში, ჩვენში.

გამოანგარიშებულია, რომ მთელ დედამიწაზე ყოველ წელიწადს ას ოც მილიონ ფუთზე მეტი თამბაქო იხირჯება.

თამბაქოს ერთ უმთავრეს ნაწილს შეადგენს ნიკოტინი. ნიკოტინი თხელია, წყლის ფერი, ცხარეა ძალიან და ორთქლია გადიქცევა ძალე, თუ დაასხით რაზედმე.

ნიკოტინს გარდა თამბაქოში სხვა მავნებელი ნივთიერებაც საკმაოდაა, მაგრამ ცველაზედ უფრო შხამიანი ნიკოტინია. ის ძლიმიად არის ჩიბუხის ტარის ყარტლში.



ნიკოტინი საშინელი საწამლავია. თამბაქო რომ მოხარულობის შოს იდამიანში და დალიოს, შესაძლებელია მოპელის კიდეც. ყოფილი ისეთი შემთხვევა, როცა შინაური ექიმების რჩევით თამბაქოს ნახარში დაულევიათ, ან ოყნით გაუკეთებიან და მომკვდარიან. პირველად რომ თამბაქოს მოსწევს იდამიანი, თავი ასტყივა, თავბრუ ესხმის, სუსტდება, ცივ ოფლს ასხაშს, გული უწუხს, ერევა და პირისლებაც უვარდება. ზოგიერთი აზრიც კი ეკარგება ამის შემდეგ. ყოველივე ეს იმის ნიშანია, რომ თამბაქო შხამია და იმისი მოწევა იდამიანს სწამლავს. შემდეგ და შემდეგ მომწევი თამბაქოს ეჩვევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თამბაქოს მისთვის ვნება არ მოჰქონდეს. ჩიბუბის ტარიდან გამოიწეო ყარტლი, მოაგროვეთ, პურის შემწეობით შეაჭამეთ ძალს და დაინახავთ, რამდენად შხამიანია ჯერ ყარტლი და წმინდა ნიკოტინი ხომ გაცილებით უფრო ძლიერია. ნიკოტინი ასნეულებს ნერვებს, გულს და გულის ძარღვებს — არტერიებს. ნიკოტინი ხანდახან იწვევს გულის სიმსუქნეს და სიგანიერეს, ყელისა და ცხვირის ავალმყოფობას, სასუნთქი მიღების სნეულებას ანუ ბრონიტს. ნიკოტინი ასუსტებს მეხსიერებას, გონებას, გულისყრს უკარგავს განსაკუთრებით ახალგაზრდას, სიზარმაცეს აწვევს მას და სხვა.

ნიკოტინი ასნეულებს იდამიანის კუჭა და ნაწლავებს; მაღას უკარგავს, კუჭი აშრობს; კუჭი ამის გამო საჭმელსდრო ზე ველარ ინელებს, სუსტდება და განიერდება. არ არის არც ერთი იდამიანი, რომელსაც თამბაქოს წევა თავიდანვე სიმოვნებით დაეწყოს. უზეტეს შემთხვევაში უსიამოვნების მდტს პირველად ვერაფერს ვერა გრძნობს, მაგრამ წამხედურობით ეწვევა.

ბევრ ახალგაზრდას თამბაქოს წევა დავაუკაცების ნიშანი მიაჩინია და თავი ერცხვინება, თუ თამბაქო არ მოსწია.

თამბაქო იდამიანის აგებულობისათვის არავითარ მოთხოვნილებას არ შეადგენს. თამბაქოს წევის ზარალის მეტი არაფერი არ მოაქვს და ის ნელა-ნელა, შეუმჩნევლად და თანდათან ასნეულებს იდამიანს. თამბაქოს წევის ცველა ეჩვევა წამხედუ-

რობის წყალობით. აპიტომ ვინც თავის ჯანმრთელობას აუსახდეს, ის თამბაქოს წევის არ უნდა მიეჩიოს; ვინც მიჩვეულა, უნდა გადაეჩიოს.

ვისაც არას გზით თამბაქოსათვის თავის დანებება არ უეჭ-ძლია, უნდა მოსწიოს რაც შეიძლება კოტა, და რაც შეიძლება კოტა კვამლი ჩაისუნთქოს. როცა იდამიანი თამბაქოს კვამლს პირიდანვე უშევებს, ნიკოტონის უმეტესი ნაწილი კურეთ გამოდის, სულ მცირე კი პირში რჩება და აქედან სისხლს უერთდება. ხოლო როცა თამბაქოს კვამლს იდამიანი ისურ-თქავს, ნიკოტინი უფრო ბლომათა რჩება ფილტვებში და იქ-დან სისხლს უერთდება.

ვ) მაგარი სასმელები.—უძველესი დროიდან იდამიანი მი-ჩვეულია მაგარი სასმელების მიღებას. ზომიერებას რომ იცავ-დეს იდამიანი, ზოგიერთი ამ სასმელთაგანი თავთავის დროშედ სასარგებლოც არის, მაგრამ ბევრჯერ იდამიანს არავითარი ზო-მა არ გააჩნია და მაგარ სასმელებში თავს იხრჩიობს.

მავნებელი ყველა მაგარ სასმელებში არის მათი ერთი ნა-შილი, რომელსაც ალკოლოლი ეწოდება. რაც უფრო მეტია ალკოლოლი სასმელში, მით უფრო მავნებელია ზედმეტად მი-სი ხმარება. ყველაზე მეტი ალკოლოლი არის სპირტში. შემ-დეგ არაუში, ღვინოში და ყველაზე ნიკლები ლუდში, რომე-ლიც ჩვენში მთის ხალხშია გავრცელებული.

მრავალი გამოკვლევითა და დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ ლოთობა იდამიანს ასნეულებს. ლოთობა უსუსტებს იდა-მიანს ნერვებს, ტვინს; გონებას აჩლუნებს, მეხსიერებასა და გულისყურს ასუსტებს, ხასიათს სიმტკიცეს აცლის და იდამი-ნს მდაბალ გრძნობებს, მდაბალ მიღრეკილებას უვითარებს. ერთი სიტყვით ლოთობა იდამიანში ასუსტებს ადამიანს და აძლიერებს მხეცს.

ლოთობა იწვევს სასუნთქი მიღებისა და ფილტვების ავადმყოფობას. ლოთობა ასუსტებს კუჭს, კუჭი საკმელს დრო-ზე ვეღარ ხარშავს, განიერდება და სნეულდება. ლოთობა ასი-ცხს ლვიძლს და იწვევს წყალმაკით დასნეულებას. ლოთობა

იწვევს გულის სიმსუქნესა და გაგანიერებას; ლოთობა ასნეულებს სისხლის ძარღვებს განსაკუთრებით თავის ტვინში, რასაც შედეგად მოსდევს დამბლა. ლოთობა ასნეულებს ნერვებს, თირკმელებს, იწვევს სახეზე და სხვა ალაგებში კანზე მუწუკებს, ცხვირის სიმსივნეს, ხელებისა და თავის კანკალს, შაქრის ავადმყოფობას და სხვა. ერთი სიტყვით ადამიანის იგებულებაში არა ჩერდა არც ერთი ასო, რომელსაც ლოთობა არ ასნეულებდეს. შედეგად ყოველივე ამას ის მოსდევს, რომ მთელი სხეული სუსტდება და სხვადასხვა ავადმყოფობით იღვილად ხდება ავადლოთს აღვილად ემართება ფოლტვების ანთება, ქარები, ჭლეჭკი, სახადი, ხოლერა და სხვა. ეს კიდევ არაფერი—ყოველგვარი სულ უბრალო ავადმყოფობაც კი ლოთს იღვილად უძნელდება და ვეღარ იტანს. პირველის შეხედვით ზოგი აუამიანი ისეთს შთაბეჭდილებას იხდენს, გეგონებათ, კლდეს რომ დაეტაკოს, გადააბრუნებსო: მაღალია, მოსული, შხარბეჭიანი; ნამდვილად კი იმდენად დასუსტებული იქვე მთელი სხეული ლოთობისაგან, რომ ზურგში ან კისერში უბრალო ძირმაგარა მუწუკი გამოუდის, უძნელდება და ამით კვდება.

სწორეთ მთელი სხეულის დაძაბუნების ბრალია, რომ ყოველგვარი სნეულება ლოთს ეტანება და იღვილადაც უძნელდება.

საშინელი შხარე ლოთობისა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მავნებლობა ერთი იდამიანით კი არა თავდება, ხშირად მისი შედეგი შთამომავლობაზედაც გადადის. დაკვირვება ამტკიცებს, რომ სულით ავადმყოფებს და ბნელიანებს (ავზნიანებს) ბევრჯერ ან მამა ჰყოლიათ ლოთი, ან პაპა. ლოთებს ზოგჯერ ან მოსულელო შვილი გამოჰყვებათ ხოლმე, ან ბნედით ავადმყოფი.

ამას გარდა დედმამის ლოთობა ზნეობრივადა ხრწნის მათ შვილებს პატარიაობიდანვე, შვილები უხასიათონი გამოდიან და შემდეგ ქურდობას, ავაზაკობას, როსკიპობას და მრავალ სისაძაგლეს ეწვევიან, რისი მაგალითიც ძალიან ბევრია. პროფესორმა დემზა გამოიკვლია ათი ოჯახი ლოთებისა, ათიც არა-



ლოთებისა და ამ რა იღმოჩნდა: პირველ ოჯახებს პყულოდა, ორმოცდაჩერილმეტი ბავში; ამათგან ოცდახუთი უახოცილა და, ლიან აღრე: ზოგი რამდენიმე კვირის, სხვები რამდენიმე თეთკა, თერთმეტი გამოსული სულელი და ქონდრის ტანისა; ხუთი გამოსჩენია აფი ზნე, ორი გალოთებული და ათი კი გაზრდა ლა და ჯანმრთელი გამოსულია.

არა ლოთების ათ ოჯახში კი ყოფილი სულ სამოცი ბავში; ხუთი აღრე დახოცილა, ორმოცდა ათი კი სრულებრივ სალნი გამოსულიან და გაზრდილიან. იქედან ცხადათ სჩანს, რა ლოთების შვილებს სწერულებაც რომ არ გამოჰყეთ, იძლენა სუსტები იბადებიან, რომ ვერა სცოცხლობენ დი უმეტეს მათგანი აღრე კვდება. ამას მიუმატეთ ის გარემოება, რა ლოთობაში აღამიანი უფრო ხშირად სჩანდის ისეთ სისახავლე, როგორსაც სიფხიზლეში არ ჩაიდენდა, და მაშინ ცხადი იქნება, თუ რამდენად საზარალო და დამლუპეველია ლოთობა მარტო ლოთისა და იმის ოჯახისათვის კი არა მთელი სახა-გადოებისათვის. ამიტომ ყოველი აღამიანი, რომელიც კი ფასებს საკუთარი თავისა და შეილების ჯანმრთელობას და ოჯა-ნის ზნეობას, ლოთობას უნდა ერიდოს.

ყოველი მაგარი სასმელი, თუ ზომაზე მეტი მიიღო აღ-ბიანმა, შხამია; მაგრამ ყველაზე უფრო მავნებელი სპირტი და არაყია. სპირტის სმა ყოვლად დაუშვებელია. არაყი თუ კარგად არის გამოხდილი და ხრაკის სუნი და გემო არა იქნება, არა სწყენს ადამიანს ცოტა და ხანდახან. ამიტომ წმინდა არა ყის დალევა შეიძლება ცოტა საღილის წინ ხანდახან, ან სი-ცივეში მგზავრობის დროს.

ყველაზე უმჯობესია ჩევნებური წმინდა ლვინო. რაც უფ-რო ძეველია ლვინო, მით უფრო კარგია. რაც უფრო მაგარი ლვინო, მით უფრო მეტი ალკოლოლი არის შიგ. ჩევნში ყვე-ლაზედ მაგარი კახური ლვინოებია, იმერეთში სვირული და რაჭული — ყიფიანების ლვინო. ზემო იმერეთსა და გურიაში (აღესის ლვინო) ლვინო თხელია, ალკოლოლი შიგ ცოტა-ნიადაგ სასმელად თხელი ლვინო უმჯობესია, თუ ნამეტანი



მეტავრე არ არის. წითელსა და თეთრ ღვინოს შორის ის განსხვავებაა, რომ კუქს წითელი ღვინო იმაგრებს, თეთრი კი უფრო ხსნის. ამიტომ ვისაც მუცელში შეკრულობა სჩვევია, ბუასილი სჭირს, მისთვის უმჯობესია თეთრი ღვინო. ვისაც ნაწლავების ავადმყოფობა აქვს, ფალარათობა, მუცლის ბერვა, მისთვის უმჯობესია წითელი ღვინო.

რაც შეეხება იმ აზრს, რომ წითელი ღვინო სისხლს უფრო მატებსო, შემუდარია. შეუძლებელია ისეთი ზომის დასახელება ღვინის სმაში; რისი ვადაცილებაც საზარალოა. აქ მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ღირსების ღვინოსა და სხვადასხვა ადამიანის აგებულებას. რაც ერთისათვის ზომიერია, მეორისათვის ის უზომოა. რაც უფრო მაგარია ღვინო, მით უფრო ცოტა უნდა სვით, ზომაზედ მიღებული ღვინო მაღას უღვიძებს ადამიანს, საჭმელს უკეთ ინელებინებს, ახალისებს, სამუშაოს ძალას ჰმიტებს და სხვ. უზომოდ მიღებული კი სწამლავს სხეულს.

ნაზილი გეორგი.

მწვავე გადამდები სეიულებანი

(მოარული).

1. შესახავა.

სხვადასხვა გადამდებ ივალმყოფობას — როგორიც არის, მა-
გალითად, მუცლის ტიტი, გრიპი, ქუნთრუშა, სხვ. — ჩვენი
ხალხი უწოდებს მოარულს.

მართლაც შესაფერი სახელია: ის თითქოს დადის, და-
იარება და ხან ერთს ჩასჭიდებს ხელს, ხან მეორეს, ხან მესამეს.

მოარული სხვადასხვანაირია. მე უკვე აგიხსენით, რომ
ყოველ მათგანს იწვევენ განსაზღვრული ბაცილები.

წითელის თავისი ბაცილები ჰყავს, ყვავილი — თავისი,
ქუნთრუშას — თავისი, სახადს — თავისი, ხორველას — თავისი,
და სხვ.

— სახადის ბაცილებს არ შეუძლიათ განა, რომ წითე-
ლი დამართონ ვისმე? იყითხავს ვინმე.

არა, არ შეუძლიათ: სახადის ბაცილა იწვევს მხოლოდ
სახადს, წითელისი — მხოლოდ წითელას, ხორველასი — მხოლოდ
ხორველას.

ყველა ეს ბაცილები ჩვენს სხეულში იყრცელებენ შხამს
და მრავლდებიან მილიარდობით, მაგრამ მილიარდობითვე
იხოცებიან; დახოცილი ბაცილების სხეული კი ხშირად სა-
ჭამლავია ჩვენი აგებულებისათვის.

მრიგად, ყოველი გადამდები სნეულების დროს ჩვენი
სხეული მოწამლულია: სიცხეს გვაძლევს, თავი გვტკივა, გუ-
ლი გვერევა, გვაბოდებს, პირი გვიშრება.

კუველა მოარულს ერთი საერთო თვისება სჭირს, პატარა გამონაკლის გარდა: ავადმყოფს სიცხეს აძლევს.

სიცხის საზომი ხომ გინახავთ?

სიცხის საზომით საღ ადამიანს აქვს სითბო ოცდაწელშეე გრაფუსამდე—მენაკამდე, დილით ცოტა ნაკლები, საღამოთ ცოტა მეტი.

მოარულის დროს კი სიცხე ადის ორმოც მენაკამდე, ორმოცდაერთზე და მეტზედაც. რა არის ამისი მიზეზი?

ზამთარში ცივა, ზაფხულზე კველა, მიუხედავათ ამისა, ჩვენი სხეულის სითბო ზამთარ-ზაფხულ ერთნაირია.

რა აწესრიგებს ასეთის სისწორით სითბოს ჩვენს სხეულში? თავის ტვინი.

თავის ტვინის სხეადასხვა ნაწილი სხვადასხვა მოვალეობას ასრულებს.

ერთი განაგებს ხელფეხის მოძრაობას, მეორე—ლაპარაკა, მესამე—ფიქრს, მეოთხე—გრძნობას და სხ.

თავის ტვინში არის ერთი ნაწილი, რომელსაც აბარია სითბოს განაწილება ჩვენს სხეულში.

თუ ეს ნაწილი ტვინისა გაღიზიანდა, გახელდა, აჩქარებულად იწყებს მუშაობას და სითბო მაშინ ჩვენს სხეულში ზედმეტი გროვდება, სიცხე მატულობს.

სხვადასხვა მოარული მოქმედობს ტვინზე და მთელ ტვინს აღიზიანებს.

თქვენ იცით, რომ ავადმყოფს აბოდებს, ეჩვენება, ყვირის, გიგს ემსგავსება.

რა თქმა უნდა, ამ დროს ღიზიანდება ტვინის ის ნაწილიც, რომელსაც სითბოს განაწილება აბარია.

მისი მწყობრი) მუშაობა ირლვევა და ამის გამო ავადმყოფს სიცხეს აძლევს. აი ამიტომ იცის სიცხე ყოველმა მოარულმა.

ავადმყოფის შინაურებს სიცხე საშინლად აშინებს.

უმთავრესი სახვეწარი, რომლითაც ისინი ექიმს მიმართა-



ვენ ხოლმე, ეს არის:—შენი კირიმე, იქნება სიცხე როგორმე
დაუკლოს, თორებ დაიწვაო.

თუ ავალმყოფს გული კარგი აქვს და ღრმა მოაუცებუ-
ლებაში არ არის, სიცხე მისთვის არავითარ საშიშროებას არ
წარმოადგენს.

ბავშვები ხომ სიცხეს საუცხოვოდ იტანენ.

სიცხის დასაწევი წამლების ძლევა არა თუ უსარგებლოა,
ხშირად მაზარალებელიც.

წამლით დაწეული სიცხე ისევ მალე აიწევს, ასეთი წამა-
ლი გულზე მოქმედებს, გულს ასუსტებს; მოარულების დროს
კი თავიდათავი მნიშვნელობა ხშირად გულსა იქვს. თუ გულმა
გაუძლო, ავალმყოფი გადიტანს სწრულებას.

მოარულების დროს სიცხის დასაწევად საუკეთესო საშუა-
ლებაა არა წამალი, არამედ წყალი და ძმარი. საჭირო არის
რამდენჯერმე დღეში მთელი სხეულის დაზელა ცივი წყალითა
და ძმრით, ცივ წყალში დასველებული ტილო ან ყინული,
თოვლი თავზედ.

სიცხის დასაკლებად კარგია იგრეთვე ნელთბილი აბაზანა
10—15 წუთით დღეში ერთხელ ან ორჯერ, იგრეთვე ავალ-
მყოფის გახვევა ერთი საათით ცივ წყალში, დასველებულ და
კარგიდ გაწურულ ზეწარში.

ზოგიერთი გადამდები სწრულების ბაცილები საუცხოვოდ
ძლებენ და მრავლდებიან ჰაერში, წყალში, მიწაში. სხვები
კი შეოლოდ იღამიანის სხეულში სცოცხლობენ, გარეთ კი
იხოცებიან.

ზოგი გაცილებით საუცხოვოდ მრავლდებიან რქეში, სა-
კმელში, ხილზე.

ამიტომ უსუფთაოდ შენახვა სასმელ-საჭმელისა, ხილისა
და სხვ. ხშირად იწვევს ამა თუ იმ გადამდებ სწრულებას.

საჭმელსა და ხილზე გადამდები სწრულების გამავრცელე-
ბელი ბაცილები ხშირად გადააქვთ ბუზებს.

ბუზი უწმინდურია, ყოველგვარ სიბინძურეს დაჯდება,
შემოფრინდება სახლში, დაასკუპდება პურს, საჭმელს

და ამგვარიდ მოსერის მათ, გადმოიტანს სხვადასხვა ავალშეს ფობის ბაცილებს.

დამტკიცებულია, რომ ხორცელის საშინლად ავრცელებს ბუზი თავისი ფეხებითა და ხორცულით.

სნეულების ბაცილა შედის ჩვენს აგებულებაში სხვადასხვა გზით.

ერთი გზაა ფილტვები, საღაც ის შემოდის ჰაერით.

მეორე გზაა კუჭი, საღაც ბაცილები შედიან სასმელ-სა ქმელთან ერთად.

მესამე გზაა სისხლი, საღაც ისინი შედიან ან კრილო ბიდან, ან კოლოს, ტილის, რწყილის და ბალლინჯოს (კედლი ტილი) საშუალებით:

ციებ-ცხელების ბაცილები გადააქვს კოლოს, პარტახტიანი სახადისა—ტილებს.

მეცნიერებს ეჭვი აქვთ, რომ რწყილია და კედლის ტილი გადააქვთ ზოგიერთი სნეულება ავალშემოტიდან კარგა მყოფე.

ზოგი ავალშემოტობის ბაცილა საშარდე მილიდან შედი ჩვენს სხეულში, ზოგი კანიდან, თუ კანი გაქრილია, ან გაკარული.

გაგეგონებათ აღბად: ამას და ამას სისხლი მოეწამდათ.

რაში მდგომარეობს სისხლის მოწამვლა?

თუ ეინმერ კანი გაიქრა, გადაახია ლურსმანზე, სარზე და სხვა, შესაძლებელია პირდაპირ სისხლის მილებში შევიდეს ჩირქის გამომწვევი ბაცილა.

სისხლი მოძრაობს და ამის გამო სისხლში შესული ბაცილა მოედება მოელ აგებულებას: გულს, ლვილს, თირკმელებს, ფილტვებს, ტვინს, ნაწლავებს და სხვ.

ყველას დაასიებს, დააჩირქებს, ავალშემოტი ვერ უძლებს და კვდება.

ზოგიერთ მოარულმა, მაგალითად, ყვავილმა, პარტახტიანმა სახადმა, ქუნთრუშამ, ყელჭირვებამ (ყელათმა) მოხდა იცია: ერთხელ თუ მოახალა აუამიანმა მეორედ აღარ შეეყრება.

რაშია იქ საქმე?

ერთხელ გამოვლილი პარტაზტიან სახადში რატომ მეორედაც აღარ ხდება ივალ?

ეს აიხსნება ჩვენი დამცველი ჯარის, თეთრი ბურთულების, გამოცდილებით.

როდესაც ადამიანი პირველად ხდება ივალ პარტაზტიანი სახაუით, მისი თეთრი ბურთულები მტერს ვერ იცნობენ, პირველად ხვდებიან სწერულებას პირისპირ.

რაკი ერთხელ დარევენ ხელს და გაანადგურებენ, გამოცდილება ემატებათ და მეორედ და მესამედ შეხვედრის დროს ხელად სპობენ.

გარდა ამისა გადამდები სენის ერთხელ მოხდის შემდეგ ადამიანის სისხლში რჩება სხვადასხვა ნივთიერება, რომელიც გადამდები სენის ბაცილებს და იმათ შხამს სპობს.

ამის გამო ადამიანი ხელმეორეთ აღარ ხდება იმავე სენით ავალ.

ადამიანის აგებულობა საოცრად არის მოწყობილი.

ჩვენ ვერ ვგრძნობთ იმის მეასედსაც, რაც ჩვენს სხეულში სწარმოებს.

თუ მოგვშივდა, შეგვაწუხა რამემ, გვეტყინა, ამას ვგრძნობთ, მაგრამ ჩვენს სხეულში სწარმოებს ბევრჯერ გააფთრებული ბრძოლა და სრულებით ვერა ვგრძნობთ; ჩვენ საამოთცნებაში ვართ, დროს ვატარებთ, გვძინავს ტკბილად, ან ვმუშაობთ გულდამშეიდებული; ამ დროს კი ჩვენი თეთრი ბურთულები თავს ესხმიან ჩვენს სისხლში შემოპარულ ბაცილებს და იმართება სასტიკი ბრძოლა, თავდასხმა, იერიშები, ილყა.

ნადგურდება მტერი და სიკვდილს ისე ვიშორებთ თავიდან, რომ ჩვენ თვითონ ვერასფერს ვერ ვგრძნობთ, ვერ ვგებულობთ.

იმ რა დიდ საქმეს იკეთებენ ეს პაწაწყინტელა თეთრი ბურთულები, როგორა სდარაჯობენ ჩვენს სიცოცხლეს, როგორ სწირავენ თავს ჩვენი გულისათვის.

იმ ჩირქის ყოველ წვეთში, რომელიც დასიებული იდგი-

ლიდან სდის, მილიონობით არის დაღუპული თეთრი ბურთულები.

- ჯილდოთ ჩვენგან არც ჯვარს ითხოვენ და არც მენ-დალს!

ჩვენ კი ერთიცანე საქმე რომ გავაკეთოთ, დოინჯს შემოვიდგამთ და იმაყად დავიწყებთ აქტო-იქით ყურებას: — ერთი შემოგვხედეთ, რა ბიჭი ვარო.

2. ჟ ვ ა ვ ი ლ ი.

ყავილი არის ისეთი ავადმყოფობა, რომელიც ერთნაირად ეტანება როგორც დიდს, ისე პატარას — ჰასაკი და წლოვანება მას არ გააჩნია.

ჯერ კიდევ დღესაც ყვავილი ითვლება სოფელში ძალიან დიდ ბატონებად და დად სიფრთხილეს, თავაზიანობასა და მობოლიშებას ითხოვს.

უწინ თქვენ გყავდათ დიდი ბატონი და უფრო მცირე ბატონი, დიდი თავაუზევილი და პატარა, დიდი აზნაური და პატარა.

ასე არ არის?

— სწორედ აგრეა. მეუბნებით თქვენ:

— ვისაც ბევრი ყმა ჰყავდათ, ის დიდი იყო; ვისაც ნაკლები ის — პატარა, ამბობს გეო.

ჩვენებურად რომა ვსთქვათ, აი რა გამოვა:

ვინც მეტ გლეხს აძრობდა ტყავს, ის დიდი ბატონი იყო, ვინც უფრო ცოტას, ის — პატარა.

აი ეს ხარისხი გადიტანეთ თქვენ მოარულზედაც; რომელიც უფრო ბევრს გააუჭირდა, ის დიდი ბატონი იყო

— მეტი რა მოგვეთხოვებოდა, ბრიყვი ვიყავით და სხვის მონები. იტყვის ზოგი თქვენგანი.

— ახლა თვალები აგვეხილა და ვიცანით ჩვენი მტერ-მოყვარენი, გაიძახის ეგერ სამსონა.

— ცოდნა და თავისუფლება ყველაფერს სჯობნებია, ამბობს ნიკო.

სრული კეშმარიტებაა:

ცოდნასა და თავისუფლებას ქვეყნად არა სჯობია რა.

ხომ აღარავის დაუთმობთ თქვენს თავისუფლებას? გუგულებას კი აღარავის დავანებებთ. მესმის თქვენი გუგუნი.

სწორედ ასეც უნდა მოიქცეთ.

მაგრამ თავისუფლებას მხოლოდ ის მოიხმარს, ვისაც უძლნა აქვს.

ხომ გაგიგონიათ: თუ კაცია ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელით.

სწორედ დღეს არის თქვენთვის ცოდნა საჭირო, რომ თავისუფლება მოიხმაროთ ისე, როგორც ეს მშრომელი ხალხისათვის არის საჭირო.

რაზედ გაეჩერდით?

ჰო, დიდ ბატონებზედ.

რადგანაც ყვავილი ბევრსა ჰმუსრავდა და ასახიჩრებდა, ამიტომ თქვენ მას უწოდეთ დიდი ბატონები.

— გავრეცეთ ყველა, დიდიცა და პატარაც! გაიძახის იასონი.

იგრე უნდა, ყველა ბატონს მუსრი უნდა გააელოთ!

ყვავილი ძველად მართლაც დიდი ბატონი იყო.

სხვადასხვა ქვეწნებში ისე მძვინარებდა ის, რომ მთელი სოფლები ამოუწყვეტია, ათასობით დაუსახიჩრებია, დაუბრმავებია.

მას შემდეგ რაც აცრა ჟემოილეს, ყვავილი დასუსტდა, დაუძლოულდა და ამდენ ზიანს ეელარავის აყენებს.

როგორც ყოველ გადამდებ სენს, ყვავილსაც საკუთარი ბაცილები აჩენენ.

ბაცილები ვრცელდებიან ჰაერში, შეუძლიათ ჰაერში გაძლება და ცხოვრება რამოდენიმე ხანს.

აქედან გადადიან დამიანის სხეულში და ასეულებენ მას.

ყვავილი მეტაც გადამდები ივაღმყოფობაა.

არა თუ ერთ სადგომში ყოფნა ყვავილიანთან ერთად, ბევრჯერ მეზომლად ცხოვრებაც კი საკმარისია, რომ ყვავილი გადაგედოსთ.

სნეულება იწყება ერთბაშად.

ავადმყოფს შეამცირებს და შემდეგ სიცხეს მისურმს, თავი სტკივა, წელი და წივები; ზოგჯერ ჰბოდავს, მაღა არა ექვს, გული ერევა.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება სამს დღეს.

შეოთხე დღეზე იწყება ტანზე გამოფენა.

სხვადასხვა სიმძიმის ყვავილმა სხვადასხვანირად იცის გამოფენა.

უმეტეს შემთხვევაში გამოპყრის წითლად და ფოთლა-ფოთლად ჯერ სახეზე, შემდეგ ტანსა და ხელებზე, ბოლოს ფეხებზე.

ხშირად ის ძალიან წააგავს წითელასა და პარტახტიან სახადს.

გამონაყარი ექვსი დღის განმავლობაში მატულობს, იზრდება, ამოიბერება, შიგ წბოლი ჩადგება, შემდეგ ჩიქრდება.

როცა გამონაყარი დაჩიქრდება, შუაში შავად ჩაიჩრუნება.

განსაკუთრებით იცის გამოფენა სახესა და ხელებზე.

ხანდახან მთელი სახე იმდენად სივდება, რომ ავადმყოფი თვალებს ვეღარ ახელს, სახე სტეხავს, ეწვის, ექავება.

გამოყრა იცის პირში, ცხვირში, ყელში, მაგრამ აქ ძვირად ჩირქდება.

ზოგჯერ ავადმყოფს ძალიან გამოპყენს თვალის კაკლებზე; თვალები ჩიქრდებიან და ავადმყოფი ბრმავდება.

გამოფენის შემდეგ სიცხე კლებულობს, მაგრამ დაჩირქების შემდეგ ასე მეტრე—მეტო—დღეზე—სიცხე მატულობს, რის გამო ავადმყოფი ხშირად გაოგნებულია, აზრს ჰერაგავს და ჰბოდავს.

დაჩირქებული ადგილები ბევრჯერ სკდებიან და ავადმყოფს უჩნდება წყლულები.

წყლულდება უფრო ხშირად სახე, რის გამო პირისახე მეტად სახიჩრდება.

მეცამეტე დღიდან ჩირქი თანდათან შრება და ხმება, წყლულები შუშდებიან და ივაღმყოფს კანი სძრება.

თუ არ გაძნელდა, სნეულება გრძელდება სამი-ოთხი კვირა ივაღმყოფს ზოგჯერ თმა, წარბი, წამშამი, წვერ-ულვაში დასცვინდება, მაგრამ ისევ იმოუდის.

სახეზე ხშირად დაჩირქებული იღებულების ალაგას ამოკ-მული, ჩაქუპნილი კანი დარჩება ხოლმე და ამას ეძახიან ნა-უვავილარს, ჩოფურა სახეს.

ხანდახან სნეულება იმდენად აღვილად მიმდინარეობს, რომ ივაღმყოფს სიცხე პატარა აქვს, გამოჰყურის მხოლოდ აქ-იქ, გამონაყარი მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩირქდება და მეათე დღე-ზე ივაღმყოფი სრულებით მორჩენილია.

ზოგჯერ თავიდანვე იცის დიდი სიცხე, ბოდვა; მეორე-მესამე დღეს მუცელზე ივაღმყოფი ალაგ-ალაგ კანი ულურჯ-დება და შემდეგ შავად გამოჰყენს.

ეს არის შავი ყვავილი, რომელიც მეტად საშიშია და ხუთ-ექვს დღეში ივაღმყოფს ბოლოს მოუღებს ხოლმე.

შავი ყვავილი უმეტესად ახალგაზრდასა და ჯან-ლონით სავსეს ემართება.

ზოგჯერ წითლად გამონაფენში აქა-იქ შავიც გამოერევა, მაგრამ ეს არ არის შავი ყვავილი.

ყვავილმა იცის გართულება; ყურების დაჩირქება, დაბრმა-ვება, ფილტვების ანთება, გულის პერანგის ანთება, თირკმე-ლების ანთება.

გაჩნდება თუ არა ოჯახში ყვავილი, ივაღმყოფი უნდა დააწერით ცალკე.

დანარჩენებმა უსათუოდ უნდა იცირან და დაერიდონ.

ყვავილიანს უნდა დაადგეს თავზედ მოსავლელად მხოლოდ ის, ვინც ყვავილს გამოვლილია.

როდესაც სნეულება გაივლის, ქვეშაგები და საცვლები უნდა დარეცხოთ კარგიდ.

ლოგინი და ყოველივე, რასაც ავაღმყოფი მიჰკარებია, უნდა დაიმდულროს რამდენჯერმე.

სახრდო ივალმყოფისათვის იგივეა საჭირო, რაც საერთოდ ყოველი მოარტულის ღროს; ნოკიერი და მსუბუქი: რძე, მაწონი, ქათმის ნახარში, რძის ქაში, ხაჭო, რძის ნადული.

— ლვინო არ შეიძლება? პეითხულობს სოლო.

ჯამებითა და ყანწებით სმა არ შეიძლება, თითო-ორთოლა ჭიქა კი ზოგჯერ კიდევაც უხდება ივალმყოფს.

— ჩემი საქმე აბა კარგადა ყოფილა! ოხუნჯობს ეგერ ჩვენი სამსონა.

— საუკეთესო საშუალება ყვავილისაგან თავის დასაფარივალ აკრაა.

უწინ გავრცელებული იყო ნამდვილი ყვავილის აკრა, რაც დიდი შეცდომაა.

ამრიგად, ძალათი ისნეულებდენ თავს ნამდვილი ყვავილით: ადვილად გამოგვაჩნდებათ, რადგანაც ჩირქს იღებდენ ისეთი ავალმყოფისაგან, რომელსაც ყვავილი ადვილადა სჭირდა.

მაგრამ შესაძლებელია ერთს ადვილადა სჭირდეს, მეორეს კი იმისაგან გადაედოს და გაუძნელდეს.

მართლაც ასე მოხდებოდა ხოლმე: აუცრიუენ ავალმყოფიდან კარგამყოფს; ავალმყოფი რჩებოდა, აცრილს კი უძნელდებოდა და ხშირად პკლავდა კიდეც.

დღეს ყვავილს უცრიან ხბოს.

აცრილი ალაგები ხბოს უჩირქდება.

ეს ჩირქი რომ მოაგროვონ და ადამიანს აუცრან, აცრილი მასაც დაუიჩირქდება, ხოლო ნამდვილი ყვავილი კი არ გამოაჩნდება.

რას გვასწავლის ეს?

აი რას:

ადამიანის ყვავილის ბაცილები რომ შედიან ხბოს სხეულში, ყვავილს კი არ იწვევენ, აჩირქებენ მხოლოდ იმ ალაგს, სადაც დაბინავდებიან.

ამავე ღროს სუსტდებიან, გადაგვარდებიან, გამოიცვლებიან იმდენად, რომ ისევ უკან თუ გადმოიტანეთ ადამიანის



სხეულში, ყვავილს ვეღარ იწვევენ და მხოლოდ აჩირქებენ
აცრილ ალაგს.

სამაგიეროდ ასეთი აცრის შემდევ ძვირად შეხვიდება მას
ყვავილი და თუ მაინც შეხვდა, ერთობ იოლად მიმდინარე-
ობს.

მხოლოდ ერთი აცრა არ ჰყოფნის სამუდამოდ:
ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში გამეორებაა საჭირო.

3. ჩ უ ტ ჟ ვ ა ვ ი ლ ა.

რაკი ცვავილზედ ვისაუბრეთ, ბარემ ნულარ დაცსწყვეტთ
გულს კუდაბზიკა ჩუტყვავილას, რომელსაც თავი მოაქვს: მეც
ცვავილი ვარო.

ზოგან ამ ავაღმყოფობას ჩლარტას, ფშატას უწოდებენ.

ჩუტყვავილა ბავშების ავაღმყოფობაა.

სრულებით საღ ბავშს შეაცივებს, მისცემს სიცხეს და მე-
ორე დღესვე გამოაყრის სახეზე, თავში, ტანზე პატარა ბუშ-
ტებს, რომლებშიაც წმინდა წბოლი ფეხი.

სიცხე გამოყრისათანავე დავარდება, ან გასტანს სამ-ოთხ
დღეს.

ბუშტები მალე დინჩუტებიან, ხმებიან და მოვარდებიან.

ამგვარად, მთელი ავაღმყოფობა ხუთ-ექვს დღეში თავდება.

რა თქმა უნდა, ჩუტყვავილასაც თავისი ბაცილები იწვევენ.

ეს მოარული მეტად უვნებელია და თითქმის არავითარი
გართულება არ იცის.

ცვავილმაც, ჩუტყვავილამაც მოხდა იცის.

ვინც ერთხელ გადაიტანა, განმეორებით მის აღარ შეხვ-
დება.

ამიტომ ვისაც ცვავილი მოუხდია, მისთვის აცრაც აღარ
არის საჭირო.

აცრა უებარი საშუალებაა ცვავილის წინააღმდეგ და ვინც
არ იცრის, ან შეილებს არ უცრის, დიდ ბოროტებას სჩადის.

ბევრი ოჯახი მინახავს გაუბედურებული ცვავილისაგან
აუცრელობისა გამო.

ცვაველ ხუთ ექვს წელიწადში საჭირო არის ხელიხალი
აცრა.

4. ჭ ი თ მ ლ ა.

არის ისეთი მოარული, რომელიც ერთნაირად ეტანება, როგორც დიდ აღამიანს, ისე ბავშვს.

სამაგიეროდ არის ისეთიც, რომელსაც უფრო ბავშვი უყვარს.

ასეთია წითელა, ქუნთრუშა ყელქირვება, ყბა-ყურა.

ყველა აქ ჩამოთვლილ მოარულს უმეტესად ბავშობაშივ იხდის აღამიანი და ამიტომ დიდობაში აღარ შეხვდება ხოლმე.

— წითელა დიდს გამოაჩინდება განა? მეკითხებით.

არა თუ გამოაჩინდება, საიქოს გაისტუმრებს კიდეც, ამ შერტხვება თუ ხელი დარია. დიდს შეხვდება, თუ პატარობისას არ არის გამომვლილი.

წითელა მეტის მეტად გავრცელებული ივალმყოფობაა და ძალიან ძვირად შეხვდებით ისეთ აღამიანს, რომელსაც პატარაობისას წითელა არ მოეხადოს.

წითელა ერთობ გადამდებია, რაღანაც მისი ბაკილები ჰაერში თავისუფლად ვრცელდებიან, ჰაერიდან გადადიან ფილტვებში და სანეულებენ ყველას, ვინც მოხდილი არ არის.

წითელა იწყება სიცხით.

სიცხე იღის ოცდა ცხრამეტ მენაკამდე (გრადუსამდე), ხა ცოტა მეტზე.

ბავშვს ახველებს, სურდო აქვს, ცხვირს აცემინებს, თვალები უწითლდება და ეცრემლება, სინათლე ეჯავრება.

ასეთი მდგომარეობა ვრძელდება სამს დღეს.

მეოთხეზე იწყებს წითლად გამოუენას სახეზე, ხელებზე და მთელ ტანზე.

გამოუენის წინ ზოგჯერ სიცხე მატულობს და ბავშვი შფოთავს.

გამოფენის ხანა გრძელდება სამს დღეს. შემდეგ წითელი იწყებს გამრუნებას, უა სიცხე თანდათან კლებულობს, თუ რამე გართულება არ მოყვა.

ათ-თორმეტ დღეში ბავში კარგად ხდება, ხოლო კანი ექვება და ექტრულება.

თუ ოჯახში ერთ ბავშს წითელა გამოაჩნდა, სხვების დარიდებას აზრი არა აქვს: სულ ერთია, დანარჩენებსაც ექნებათ რან ში და გამოაჩნდებათ.

თუ მეზობლისას არის წითელა, თქვენი ბავშები უსათუოდ უნდა მოარიდოთ, — აღარც თქვენ შეხვიდეთ წითელიან მეზობლისას, არც იქიდან უნდა იარონ თქვენსა.

შეიძლება, მეზობლის ბავშმა აღვილად მოხხადოს წითელა, თქვენსას კი გაუძნელდეს და იმსხვერპლოს კიდეც.

ზოგიერთ ბავშს წითელა ისე აღვილად კიდებს ხელს, რომ თითქმის ზეზე იხდის, ზოგს კი უძნელდება, დიდ სიცხეს აძლევს, ძალიან ახველებს, პირს აღებინებს, აბოდებს, თავი სტკივა, თვალები უსიკედება და სხვა.

ესა თუ ის მოარული ხშირად თვითონ კი არ არის საშიში, საშიშია მისი გართულება, რასაც თქვენ ბატონების გაჯავრებით ხსნით ხოლო.

- ახლა აღარ ვხსნით, აღარა! იძახის ეგერ ჩვენი პავლე.
- გავიგეთ, რაშიაც ყოფილა საქმე!

ბატონების ლილა გახუნდა, ვისწავლეთ მათი კისრის მოგრეხაი! ოო, აშენდა თქვენი ოჯახი!

წითელამ იკის ყურების ანთება, რასაც შედეგად მოსდევს ყურებიდან ჩირქის დენა.

ჩირქი ზოგჯერ გადის ყურს უკან ამობერილ ძვალში — ყვრიმალში, აქედან გზას იკვლევს ტვინისაკენ, გამოიწვევს ტვინის ანთებას უა ავაღმყოფი კვდება.

წითელამ იკის თვალების ანთება, რასაც შედეგად მოსდევს თვალის კაკლებზე თეთრის გადაკერა.

წითელა იწვევს კისრის ჯირკვლების ანთებას და დასიკას, კუჭის მოშლას და ფალარათობას.

წითელას სჩვევია ფილტვის გარსის ანთება და ზოგჯერ გვერდებში ჩირქის ჩაღომა.

კველაზე მძიმე გართულება წითელასი არის ფილტვების ანთება. მძიმე არის ერთი იმიტომ, რომ ორივე ფილტვებში იცის გავრცელება.

მეორე იმიტომ, რომ წითელათი გამოწვეული ანთება ფილტვებისა ხანგრძლივი ივაღმყოფობაა და მისი გადატანა ძალიან ძნელია.

დიდი ნაწილი ასეთი ივაღმყოფებისა იხოცება.

ზოგჯერ წითელაიანი ივაღმყოფი გადიტანს ფილტვების ანთებას, მაგრამ ფილტვები იმდრენად სუსტდება, რომ შიგ მალე გაიჩენს ბინას ჭლექი, და დასუსტებულ ბავშვს რამოდენიმე თვეში გააქრობს.

წითელაიანის წიმალი მოვლაა; ივაღმყოფი თბილად უნდა იწვეს, მაგრამ გადავარბებაც არ ვარგა: ხანდახან იმდრენ საბანი დააყრით, რომ ივაღმყოფს სული ეხუთება და თავის ოფლის იხარშება.

საქმელი უნდა იძლიოთ ნოკიერი და ადვილად მოსანელებელი: რძე, კვერცხი, მაწონი, კართოფილი, ახალი ან დაბალი ყველი და გამომშრალი პური, მოხარშული ვარია.

— აბა მაშინ უყურე გაძნელებასა, ვარია თუ დაკალით! შენ ამბობ აღათი?

თითქოს ბატონები მოშორეთ, მაგრამ საბატონე შეხალულებისაგან რომ ვერ გაინთავისუფლეთ ჯერ თავი!

როდესაც გეგონათ: წითელას ბატონები იწვევენო, მაშინ კიდევ შეგეძლოთ გეფიქრნათ, ქათმის დაკვლაზე ბატონება გაჯავრდებიანო, თუმცა ყოველ გლეხმა კარგათ იცის, რომ ბატონებს კარგი მსუქიანი დედლები და ვარიები ძალიან უყვარდათ.

დღეს თქვენ იცით, რომ წითელას იწვევენ პატარა ბატონები. იმათ არც ჰქონა აქვთ, არც გული და არც გაჯავრება შეუძლიათ.

ქათამი გინდათ დაჭვალით, გინდათ — არა, წითელის ამით
არც არა მოიკლება რა, არც მოეშატება.

— აბა სიმღერა და მობოლიშება რომ ვიცით, ისიც სი-
სულელე ყოფილა! ამბობს ეგერ თებრონე.

სიმღერას, დაკვრას ჩონგურზე, კვერცხების, მტრედის
შეღებვას წითლად იქვს აზრი იმ მხრით, რომ ავალმყოფი გაი-
ხარებს, გამხიარულდება და ეს კი ხელს უწყობს მორჩენას.

მ. ქ უ ნ თ რ უ შ ა.

ქუნთრუშა განსაკუთრებით ბავშების მტერია წითელა საფიც.

დიდ აღამიანს ქუნთრუშა ძვირიად დაემართება.

ქუნთრუშაც მეტად გადამდებია, თუმცა იმდენად არა არა გორუ წითელა.

საკმარისია, ქუნთრუშიანთან უოტა ხანი დაპყოთ, რომ შემდეგ ეს ავადმყოფობა სახლში მოიტანოთ.

ამიტომ, როდესაც მეზობლისას ქუნთრუშა განჩდება, იგივე სიფრთხილეა საჭირო, რაც წითელის დროს: ბავშები უნდა დაარიდოთ.

როდესაც ოჯახში წითელა გესტუმრებათ, სალი ბავშები დარიგებას ალირ აქვს მნიშვნელობა: სულ ერთია ტანში უკა ექნებათ წითელა.

ქუნთრუშის დროს კი სალი ბავშების დარიდება აუცილებელია, რაღაც მათ ხშირად ჯერ არა აქვთ ტანში ეს სენი, მაგრამ შემდეგ გადაედებათ ხოლმე სნეულისაგან.

ოქვენ იცით ხოლმე: ადვილადა სჭირს და სხვებსაც ნუ დავარიდებთ, ბარემ მოიხადონ.

ასეთი აზრი მეტად შემცდარია: ერთს შეიძლება ადვილადა სჭირდეს, ხოლო მეორეს მაგრად მოჰკიდოს ხელი და მოჰკელის კიდეც.

როგორც ყველა მოარულს, ისე ქუნთრუშისაც თავის საკუთარი ბაცილები ჰყავს.

ისინი ვრცელდებიან ჰაერში და ჰაერის შემწეობით გადაედება ერთიდან მეორეს.

ქუნთრუშის გადატანა შეიძლება ტანისამოსით, ჭურჭელით და სხვადასხვა ავეჯეულობით.

ქუნთრუშის ბაცილები დიდხანსა სცოცხლობენ და ძლებენ ჰაერში რამდენიმე თვეს.

ქუნთრუშის გამოვლილი ბავშის ტანისამოსიდან, ქვეშა-გებლიდან და სათამაშოებიდან რამდენიმე თვის შემდეგაც შესაძლებელია, გადაედოს სხვას ეს სენი.

ამიტომაც როცა ავადმყოფი მორჩება, უნდა კარგად დამ-დუღროთ და გარეცხოთ მისი ლოგინი, ქვეშაგები, ტანისა-მოსი.

ქუნთრუშა იწყება ერთბაშად.

ბავში დარბის, დახტის და თამაშობს; მოულოდნელად მოიწყენს, მოითენთება, უღროო დროს წამოწვება, საჭმელს არა სკამს, შემდეგ შეამცირნებს, სიცხეს მისცემს და პირს წამოაღებიებს.

მეორე დღეს ბავშს წითლად დააყრის მთელ ტანზე.

აქ ვერ ნიხავთ ფოთლა-ფოთლად გამოფენილს, როგორც წითელამ იცის, არამედ მხოლოდ წითელი წინწკლებია და მთელ ტანზე ბავშს კანი აწითლებული აქვს, თითქოს მდუღა-რე წყალი გადუსხამთო.

ნიკაპი და ტუჩები ბავშს უფერული აქვს, ლოყები კი წითლად გამოკვერილი, ყელი სტკივა და შიგ რომ ჩამხედოთ, გაწითლებული აქვს, ზოგჯერ კი თეთრად გამოყრილი ხუნა-გივით. ამგვარ მდგომარეობაშია ბავში ერთ კვირეს.

შემდეგ სიცხე თანდათან კლებულობს და მეათე დღეზე ავადმყოფობა ჰქმდება.

შხოლოდ ავადმყოფს კანი ექერცლება და ძვრება განსა-კუთრებით ხელებსა და ფეხებზე.

მაგრამ ქუნთრუშა თითქმის არასოდეს არ გაბრუნდება ისე, რომ რაიმე გართულება არ გამოიწვიოს.

ქუნთრუშა იწვევს ყურების ანთებას, როგორც წითელა.

ამას შედეგად მოსდევს ყურებიდან ჩირქის დენა; ჩირქი ზოგჯერ ყურიდან ტვინისაკენ იკვლევს გზას და იწვევს ტვი-ნის ანთებას.

ქუნთრუშას სჩვევია გულის პერანგის ანთება და ფილტ-

ვის გარსის ანთება, რასაც შედეგად მოსდევს გვერდებში ჩინების ჩაგორიში.

ქუნთრუშა იწვევს სახსრების ანთებასა და დასიებას.

ყველაზე ხშირი გართულება ქუნთრუშის არის კისრის ჯირკვლებისა და თირქმელების ანთება.

კისრის ჯირკვლები სივდებიან, მაგრადებიან; ზოგჯერ მოვლით და წამლობით ანთება პირს იბრუნებს და სიმსივნე ნელა-ნელა ცხრება.

ზოგჯერ კი დასიებული ჯირკვლები ჩირქდებიან და მწიფდებიან.

ქუნთრუშას ბაცილები მეტად შხამიანი არიან. მათი შხამი გადადის ავადმყოფის სისხლში, აქედან კი უნდა გაიაროს თირქმელები და გამოჰყევს შარდს.

ამგვარად, სისხლში შესული შხამისაგან თირქმელები ანთავისუფლებენ ჩევნს სხეულს, მაგრამ ქუნთრუშას შხამი ხშირად იწვევს თირქმელების ანთებას, რაც მძიმე ავადმყოფობაა.

თირქმელების ანთება ავადმყოფს ეწყობა მაშინ, როდესაც ქუნთრუშა უკეთ გაელილია, ორი-სამი კვირის შემდეგ.

თირქმელების ანთება ჩუმი, შემპარავი ავადმყოფობაა და ისე იწყება, რომ ავადმყოფი ვერცა გრძნობს, არც აწუხებს მას.

რაკი ანთება მოედება თირქმელებს, მაშინ ავადმყოფს შარდი დაეკერება, ფეხები, ხელები, სახე და ხშირად მთელი სხეულის კანი უშუბლება ყველად, გაუბიერინდება გაფუებული ცომივით.

ფეხებსა და წივებზე რომ თითს დააჭროთ, თითოებ შიგარჩება.

თუ თირქმელების ანთება გაძნელდა, ავადმყოფი სისხლსა შარდავს, წყალმანკი უჩნდება, გვერდებში წყალი ჩაუდგება, გული უგანიერდება და კვდება.

რითი, რა საშუალებით უნდა ვიპატიოთ ავადმყოფი ბავში ასეთი უბედურებისაგან?

დაკვირვებამ გამოარკვია შემდეგი:

თუ ქუნთრუშით ავადმყოფი სასმელ-საჭმელს განურჩევ-



ლადა ხმარობს, უსათუოდ დაემართება თირკმელების ანთება და მაგრად მოჰკიდებს ხელს.

თუ ქუნთრუშით ავადმყოფი რჩეულ საჭმელზედ არის, მაშინ თირკმელების ანთება ან არ დაემართება, ან თუ დაემართა, აღვილად გადაიტანს, არ უძნელდება...

ამიტომ უმთავრესი ყურადღება ქუნთრუშის დროს უნდა მიაქციოთ სასმელ-საჭმელს.

ყოვლად შეუძლებელია მისცეთ ავადმყოფს ხორცი, პური, ყველი, მლაშე და ძმრიანი საჭმელები, არაყი და ღვინო.

ქუნთრუშიანის სასმელ-საჭმელია: წყალი, რძე, ჩაი, მაწონი, ნიღული, სულ ახალი, უმარილო ყველი, კარაქი და ცოტა მოხარშული კარტოფილი.

როდესაც ქუნთრუშა გაბრუნდება, ასე მეთორმეტე დღიდან ძალიან სასარგებლობა ორ დღეში ერთხელ მაინც თბილი აბაზანა.

სოფლად ქუნთრუშა ბევრსა ჰხოცავს.

რატომ?

ამიტომ, რომ ყოველისფერს აქმევთ, ქუნთრუშიანს ამის გამო თირკმელების ანთება ემართება, უძნელდება და კვდება.

— ხილი ექმევა? მეკითხებით თქვენ.

— კარგად მოსული ხილი, გარეცხილი და გასუფთავებული უწყინარია.

კიდევ უკეთესი იქნება, თუ მოხარშავთ.

6. უ მ ლ პ ი რ ა მ ა ბ ა.

ერთ-ერთ საშინელ სენს ბავშებისას წარმოადგენს ყელ-ჭირვება, რომელსაც ხალხი ზოგან ყელათმას უწოდებს, ზოგან კისერას, ზოგან კი ყელბატონებს.

ყელჭირვებას იწვევენ ერთგვარი ბაცილები, რომლებიც ჰაერის შემწეობით ვრცელდებიან.

ზოგიერთი ბაცილები ჰაერში ვერა სძლებენ და მაღა იხსულებიან.

ყელჭირვების ბაცილები კი ჰაერში საუცხოოდ სძლებენ, ისე როგორც წითელასი, ქუნთრუშასი და ჭლექის ბაცილები, და ჰაერის შემწეობით გადადიან სნეულიდან საღი ბავშის იგე-ბულებაში.

ყელჭირვების ბაცილებს განსაკუთრებული უყვართ ყელი-ხახა. სასის თაღებში ჩეენა გვაქვს ნუშის ნაირი წყვილი ჯირ-კვალი. ყელჭირვების ბაცილები დაბანაკდებიან აქ, გამრავლ-დებიან, გამოიწვევენ სასის და წყვილი ჯირკვალის დასიებას და თავისი შხამით მთელს სხეულსა სწომლავენ, განსაკუთრე-ბით კი ტამრებსა და გულს.

ყელჭირვება იწყება ერთბაშად, როგორც ქუნთრუშა.

სრულებით ჯანსაღ ბავშს სიცხეს მისცემს და რამდენჯერ-მე პირს წაალებინებს.

ამას მოჰყვება ყელის ატკიება და კისრის ჯირკვლების გასიება.

ქუნთრუშის ღროსაც უსივდება ივაღმყოფს ჯირკვლები კისერზე, მაგრამ უსივდება შემდეგ, როდესაც ქუნთრუშა გა-ბრუნდება.

ყელჭირვებამ კი დაწყებისათანავე იცის ამ ჯირკვლების დასიება.



ბავშს ყელში უკერს, ყელი ხან ცოტათი, ხან ბევრად
სტკივა და ყლაპვა უკირს.

ამ დროს რომ ბავშს ყელში ჩახედოთ, ნუშისნაირ ჯირ-
კვლებზე, სასაში ორივე მხარეზე და ენის კლიტეზე თეთრად
ან მიწის ფრად აქვს დაყრილი.

ზოგჯერ ცხვირშიაც გამოჰყრის ბავშს და ცხვირპირიდან
მყრალი, დამპალის სუნი ამოსდის.

ავაღმყოფობა გრძელდება ათ დღემდე და შემდეგ ნელა-
ნელა ცხრება.

უმეტეს შემთხვევაში ყელჭირვება იწვევს სხვადასხვა გარ-
თულებას.

პირველი გართულებაა კისრის ჯირკვლების ანთება და
დასიება, რასაც ზოგჯერ შედეგად მოსდევს ჯირკვლების და-
ჩირქება.

მეორე გართულებაა ყურების ანთება, რასაც შედეგად
მოსდევს ყურების ღაწირქება.

მესამე გართულებაა ფილტვების ანთება და თირკმელე-
ბისა.

ყელჭირვება ზოგჯერ ისე სწრაფად ასიებს ხორხს, რომ
ბავშს სუნთქვა დაეკეტება და ერთი დღის განმავლობაში
კიდება.

ზოგჯერ ბავშს სისხლი ეწიმლება, თანდათან სუსტდება
და რამოდენიმე დღის განმავლობაში კვდება.

როდესაც ყელჭირვება გამრუნდება და ავაღმყოფი უკვე
მორჩენილი გვონიათ, ყელჭირვების შხამი სწორედ მაშინ გა-
მოიჩენს ხოლმე თავის ძალის, ის იწვევს ყელის დამბლას, ავაღ-
მყოფს ხმა წაუვა და გადაყლაპვა აღარ შეუძლია: წყალი და
საკმელი ცხვირიდან გამოდის.

ზოგჯერ ხელი ან ფეხი ან ორივე ერთად უდამბლავდება.

უკველივე ეს შედეგია იმისი, რომ ყელჭირვების ბავში-
ლების შხამი ნერვებზე მოქმედობს, ნერვებს იღუნებს და ეს
იწვევს დამბლას ხელისას, ფეხისას, ყელისას და სხვ.

ყელჭირვების დროს ყველაზე უფრო საშიშია გულის დამბლა, რადგანიც ის სიკვდილით თავდება.

გულის დამბლა ემართება ბავშვს მაშინ, როდესაც ის მორჩენილია, ლოგინიდან უკვე იმღარია, დაღის, დარბის და თამაშობს.

ერთბაშად ბავში სუსტდება, გული მისდის, ფერი ეკარგება, სახეზე სიმწრის თფლის ასხამს.

არის შემთხვევა, როდესაც გული გაუძლებს და არ გაჩერდება, ასეთი სისუსტე გასტანს რამოდენიმე დღეს და შემდეგ ფაღმუოფი თანდათან წამოჯობინდება.

ხშირად კი გული უცებ გაჩერდება და ბავში სრულებით მოულოდნელად გამოეცლება მშობლებს ხელიდან.

ოჯახში თუ ყელჭირვება გაჩნდა, დანარჩენი ბავშები უსა-თუოდ უნდა დაარიდოთ, გადახიზნოთ.

თუ მეზობლისას გაჩნდა, იგივე სიფრთხილე გმართებთ.

რადგანიც ყელჭირვების ბაცილები დიდხანს სძლებენ ჰაერში, მორჩება თუ არა ბავში, მისი ლოგინი, ქვეშაგები, ტანისამოსი, სათამაშოები, კარგად უნდა დამდულროთ და გარეცხოთ.

რადგანიც მორჩენის შემდეგ შხამი დიდხანსა რჩება სხეულში და გულის დამბლის იწვევს, სამი კვირის განმავლობაში ლოგინიდან არ უნდა იუშვათ ბავში.

რაც შეეხება სმა-ქამას, ყელჭირვების დროს საჭიროა იგივე სიფრთხილე, რაც ქუნთრუშის დროს.

ქუნთრუშამაც იცის ყელის ატკიცება, ამიტომ ყელჭირვება ზოგჯერ ისე იწყება, როგორც ქუნთრუშა, მაგრამ ქუნთრუშამ გამოფენა იცის წითლად, ყელჭირვებამ არა.

ხუნაგმაც იცის ყელში გამოყრა და დასიება ყელისა, მაგრამ ხუნაგის დროს ივაღმყოფმა არ იცის პირდებინება, ყელჭირვების დროს კი—თითქმის მუდამ.

ხუნაგი იშეიათად ასიებს კისრის ჯირკვლებს, ყელჭირვება კი—ყოველთვის.

ხუნაგმა იცის თეთრად გამოყრა მარტო ნუშისნარ ჯირ-

კვლებზე; ყელპირვებამ კი—ჯირკვლებზე, სასაზე, ენის კლიტეზე, ცხვირში, ზოგჯერ ტუჩებზედაც.

ხუნავის დროს ნუშისნაირ ჯირკვლებზე ჩნდებიან თეთრი წერტილები, რომლებიც თანდათან იზრდებიან და შემდეგ შეერთდებიან; ყელპირვების დროს კი ერთბაშად გადაეკვრის თეთრად ან მორუხოდ ჯირკვლებს, სასას, ენის კლიტეს და სხვ

7. పిల్లల కెవర్లా.

ప్రియానా బ్యూలొ డాచ్చెబ్రిస ఎండ్రమ్పుట్టంబా డా లిల్యాబ్లెస నీ నీ-
వ్రింతాడ డాయమార్కట్టెబ్బా.

అమ మొంట్స్టోల్స్ తాపిసి డాచ్చిల్యాబ్బి ఎంజెన్స్. ఇస డాచ్చిల్యాబ్బి
బ్లోమింగ ఏరొంబ ఎవాండ్రమ్పుట్టిస నొబ్యూల్షిం.

నొబ్యూల్షిం శ్రేబ్బా డా మ్రుంగాడ ఐప్పెం; మ్రుంగాడ మిశ్రుంగ్ఫ్రో
డా శ్యాంగాడ అణిస.

మాస తాన అశ్చియ్యెబొన్ ప్రియానా బ్యూలొస డాచ్చిల్యాబ్బి డా స్క్రెంజ్-
ర్మోబ్బెన్ శ్యాంగాడ అణిస, సానామ స్ట్రెంజ్ఫ్రోస ద్రోస విసమ్మ ఏర రొంధ్రుంగ్రెబొన్
ట్యూల్ట్రుంగ్రెబ్బిం.

డాబిన్సెంగ్రెబొన్ ఎఫ్, మొశ్చెన్డ్రెబొన్, గాఫ్లెబొన్, గాల్మోన్స్ట్రో-
డ్రెబొన్ డా తాపిసి శ్శామిత ఐశ్చ్యెంజ్ నిమ ఎవాండ్రమ్పుట్టంబాస, ర్మోబ్లె-
స్సుప్ ర్మెన్ గ్రెడాబొన్ ప్రియానా బ్యూలొస.

— ర్మెన్ రొ డాచ్చుంబ్రెబొన్ గ్వెగ్మోన్! నొబొస ఇగ్గెర్ మాజురొన్.

స్ట్రోంగ్ ఇగ్గెర్,—ట్యుంగ్ ర్మోబ్ డాచ్చుంబ్రెబొన్ గ్వెగ్మోన్.

డాచ్చుంబ్రెబొన్ నీస మాగ్రాడ గాజ్చ్రెబ్ కొస్ట్రోంబ్స్, ర్మోబ్ ప్యూప్లుగాన్
డాచ్చుంబ్రెబొన్ గ్వెగ్మోన్.

బ్యూఫ్స్ట్ నీస డా మ్రుంగారొత ప్రఫిల్మంబ్రెబొత నీమాతి గ్వులొస మొ-
గ్రెబొస, మాగ్రామ ఏరొ గామ్మంబొండా రొ, సానామ ఏర మిమార్కట్టెత మింట్-
లొస.

ర్మెన్స్ ప్రె-గ్జిమ్మెబొ—ట్యుంగ్ సాపొత వ్యెబ్రండ్సొత స్బ్రోండాస్బ్రో మొ-
మొబ్లెలొస, ర్మోబ్లెబొస్సుప్ ట్యుంగ్ జ్యార్ కొడ్డెం గ్వుశొన్ డాచ్చుంబ్రెబొన్ ఇదా-
బ్రెబొత.

శొగొ డావామార్కట్టెత, శొగొస్సుప్ మాల్చె డావామార్కట్టెబొత డా డా-
డ్రెబొ ద్రోస, ర్మోబ్లెబొస్సుప్ ప్యూప్లొ ఇస మొంట్స్టోల్స్, ర్మోబ్లెబొప్-
మ్ముస్టో ఎంల్యెబొ డిండొస డా శాంతారొస, మొసింపొబా, ఇంం ఐచ్చెబొ.

మాశొన్ క్వెప్యానా గానొంపిస్ట్రోట్లుడ్రెబొ ప్యూప్లొ డాచ్చుంబ్రెబొసాగాన్,

հոմլցիւ շյան ուստանա թշրոմյըլ եալքես և սելուս սիովյեն լարաւաւ և սուրպելքը սմիւրեցն.

սովանա եցելա Մյածարացո օգագմպոտոնա, ու Եղլա-Նյու զաշալքեա ծացնե.

օգագմպոտ և սուրդո յմինցա, Առմա ածալլեցն, Առմա ուղեն և սուեց օյցէ, աղբարլունա.

— ալծաւ ցացաւուցւառ, ցոյշրոցն զաւ-մաթա.

շաղլուն համուցնում զաւ, յրտո ան որո կցորա.

եցելա մարտունան, գրու-ւ գրու աշարժալքեա ծացնե հիյարո, նելունեւ մուսուլմանուլու եցելա, հասեցորեցն, Մյածալք թամոսուցլեցն, ույզ հասեցորեցն զաւ այս մյուրալքեա համլենչչըրմյ.

ծացնե ցալուրչալքեա, տցալլեցնուն Արմլցիւ մուսուն, ծոլուն նախցելս ամուլլեցն, ան პորս թաւալլեցնուն զաւ լուրինա-հալքեա.

եցելլեցն օգարժնուս ծացնե մալուն յմինու զաւ պալունան ան զաւ ածանցելուն, հողուրմի տայու Մյույացուն, մացրամ րա տիմա շնճա ամսուն. եցելլեցն սացն ծացն զաւ լեցն յմարեցն, ե՛մորաւ տցալլուն յայլուն շնունդուն զաւ լեցն զաւ լուտուրուն յուն շնունդուն զաւ լեցն, յնուն մորս ունա լինդուն, հաւցանաւ հիյարո եցելլեցն զաւ լեցն յանուն յուն շնունդուն զաւ լեցն.

հոգչչըր նախցելս և սելունու մուշպացն. ան ասյու մզգոմարյունա զրմելլուն 6 ան 7 կցորան. Մյածալք եցելլեցն տանձատան կլեթունան, նելլուն զաւ լեցն.

ե՛մորաւ პարմա-պարմա եցելլեցն ծացնե համուցնում տցուն, յրտու թլամաւ զաւ մերտսաւ ցածպացն.

հաւ լուրու պարման ծացնու, մուտ լուրու մելլուն մուտցուն պովանա եցելա. ոտեսություն թլուն Մյածալք յու Մյածարյունու լուրու ազալլուն ունուն ծացնու ամ սենս.

նամտարմու լուրու մացրաւ չյուլլեցն եցուն պովանա եցելա, նամտելլունու լուրու ունուն.

յս առեսնեցն ամ ցարյունունու, հում նամտարմու ծացնու լուր ագալլուն պայուն զաւ լեցն մանուն մարտունան, եցելա լուրն ելլուն զաւ լեցն.

ზიფხულის სითბოში კი გაციება უფრო ძნელია და თეო-
თონ მზის სხივებიც ხელს უწყობენ ევადმყოფის მორჩენას.

— რატომ არის, რომ ზოგი მოარული მალე რჩება, ზო-
გი უფრო გვიან? მეკითხებით თქვენ.

რატომ არის, რომ ზოგი ომი მალე თავდება, ზოგი კი
ხანგრძლივია? გვეკითხებით მე.

ეს არის დამოკიდებული მებრძოლი მხარეების ძალლონე-
სა და მომზადებაზე.

ყოველი მოარულის დროს ჩვენს სხეულში სასტიკი ომი
და შეუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს.

შემოსეულ მტერს — სნეულების ბაცილებს ებრძეიან ჩვენი¹
სისხლის ჯარი — თეთრი ბურთულები.

ბაცილები საშინლად მრავლდებიან, სულ ახალ-ახალ აღ-
გილებს იკავებენ მთელ აგებულებაში და მათი გაელეტა აღ-
ვილი საქმე არ არის.

ჩვენმა თეთრმა ბურთულებმა ტყვეების წამოყვანა არ
იციან, — მტერი უსათუოდ უნდა მოსპონ.

ბაცილები მილიარდობით არიან, ერთი ბაცილა დღე-
დაღამეში ოც მრღვიონამდე ჩამომავლობას სტოვებს.

ხუმრობაა განა ასეთი მტერის ამოწყვეტა!

ზოგიერთი გადამდები სენის ბაცილები ასე სწრაფად
კერ მრავლდებიან და ჩვენი სისხლის ჯარი მათ უფრო მალე
ერევა.

ყივანა ხველის ბაცილები სწრაფად მრავლდებიან, მთელ
ფილტვებს მოედებიან და ამიტომ ჩვენი სისხლის ჯარი მათ-
თან ომს რამოდენიმე თვეს უნდება.

ყივანა ხველიმ იცის გართულება — ფილტვების ანთება.

ყივანა ხველის მიერ გამოწყვეული ფილტვების ანთება
ძალიან წააგავს წითელასაგან გამოწყვეულ ფილტვების ანთე-
ბას.

ანთება მოედება მთელ ფილტვებს, გასტანს დიდხანს,
ბავში ველარ უძლებს, სუსტდება და ხშირად კვდება.



ზოგჯერ ბავში გადიტანს ანთებას, მაგრამ ფილტვები იმ-
დენად სუსტდება, რომ შიგ იღვილად ჩნდება ჭლექი.

ყივანა ხველა ხშირად იწვევს იგრეთვე ჯირკვლების ჭლექს,
დურბელს, თიადორას.

ყივანა ხველას ძალიან უხდება შე და ჰაერი.

ამიტომ, თუ წყიმა და ქარი არ არის, ყივანა ხველათი
• იყალმყოფი ბავში ხშირად უნდა იყოს გარეთ, მაგრამ უნდა
თამაშობდეს.

საჭმელი საჭიროა მსუბუქი და ნოკიერი:

რძე, მაწონი, კვერცხი, ახალი ყველი, ახალი ქათამი.

ბავში რომ ყივანა ხველას ან წითელას მოიხდის, საჭირო
არის კარგად კვება და ზაფხულზე მთის ჰაერზე გაგზავნა, რომ
ბავში მომაგრდეს.

როგორც ყივანა ხველამ, ისე წითელამ ძალიან იცის
ფილტვების დასუსტება, რასაც ზოგჯერ შედეგად მოსდევს
ფილტვების ჭლექი. ამიტომ საჭიროა ჰაერითა და შესაფერის
საჭმელით ბავშის სხეულის გამაგრება.

8. მ უ ც ე ლ ა.

მუცელა, მუცელკეთილი, მუცელა-ბატონები, სისხა,—ა ხალხური სახელები იმ ავაღმყოფობისა, რომელსაც მრავალი დედა აუტირებია.

მუცელა ერთნაირად სწყალობს როგორც დიდს, ისე პატარას.

მუცელას დრო არ გააჩნია—ის ზამთარშიაც ჩნდება, ზაფხულზედაც. ზაფხული მას განსაკუთრებით უყვარს და უმრავლესობა სწორედ ზაფხულის ცხელ დღეებში ხდება მუცელათი ავათ.

რატომ?

აი რატომ!

მუცელა ნაწლავების ავაღმყოფობაა.

ზაფხულობით სიცხისა და ხილეულობის გამო კუჭის მოშლი და ფალარათობა ხშირია.

მოშლილ კუჭზე კი მუცელა აღვილი შესაძენია.

ამიტომაც არის, რომ ზაფხულობით მეტ ნაწილად პატარა ბავშები ხდებიან მუცელათი ავად.

ბავშებს სიცხეში კუჭი აღვილად მოეშლებათ ხოლმე და ზედ ხშირათ დაერთვის მუცელა.

არამც და არამც ბავშს ზაფხულზე ძუძუ არ უნდა გაავეტინოთ, ძუძუს უნდა მოაცილოთ ბავში ან შემოდგომაზე ან ზამთარში.

სიგრილეში ბავშის კუჭი აღვილად იტანს საჭმელს, სიცეში კი საჭმელი აღვილად მოუშლის ხოლმე ბავშს კუჭს, აუვარდება ფალარათობა, ზედ დაერთვის მუცელა, ნაწლავების ანთება და ესალმება წუთისოფელს.



პატარა ბავშვების დიდი ნაწილი იხოცება ზაფხულობით ნაწლავების სხვადასხვა ავაღმყოფობით.

ამ გარემოების ყურადღება უნდა მიაქციოთ ოქვენ— დედებმა და ორამც და ორამც ძუძუმწოვარ ბავშს ძუძუ ორ გააშვებინოთ ზაფხულზე.

მუცელას აჩენენ ბაცილები, რომლებითაც სავსეა მუცელიანის განავალი.

მუცელას ბაცილები საუცხოვოთ მრავლდებიან წყალში და წყალის შემწეობით ასნეულებენ სხვებს.

ექდან კახადია, რომ მუცელა გადამდები ავაღმყოფობაა.

ის ორ გადადის ავაღმყოფიდან კარგამყოფზე ჰაერის შემწეობით, ორამედ საჭმელის, ხილის და წყალის შემწეობით.

მუცელას გავრცელებაში წილი მიუძღვის ბუჩებს.

ისინი დაასხდებიან მუცელიანის განავალს, ხორთუმსა და ფეხებზე მოედებათ მათ მუცელას ბაცილები, შემდეგ გადაფრინდებიან პურზე, ხილზე, საჭმელ-სასმელზე და გადააქვთ ბაცილები.

მუცელა ირის ნაწლავების ავაღმყოფობა; ეს იმას ნიშნავს, რომ მუცელას ბაცილები მრავლდებიან ნაწლავებში, მაგრამ ცველვან ირა,— მათ უყევართ გამოსავალი ანუ სწორი ნაწლავი.

ადამიანის ნაწლავები ძალიან წააგავს ლორისას და განიცოდებიან რამდენიმე ნაწილად.

კუპილან იწყება თორმეტ-თითა ნაწლავი, შემდეგ წვრილი ნაწლავი, რომელიც ნაკეცებად ილაგია მუცელში; ის თავდება მარჯვნით საზარდულოთან და შემდეგ იწყება მსხვილი ნაწლავი.

დასაწყისს მსხვილი ნაწლავისას ეწოდება ბრმა ნაწლავი.

ბრმა ნაწლავზე გამოსულია ნეკის სისხო და სიგრძე პატარა წელი, რომლის ანთებაც ძალიან ბევრსა ჰქოცავს.

მსხვილი წელი აძჰვება მარჯვენა მხარეს ნეკნებამდე, და შემდეგ მიიხრება და გადუხვევს გარდიგარდა მარცხნივ, გაიფლის უკე ქვეშ, დაძჰვება მუცელის მარცხენა მხარეს ძირს და თავდება გამოსავალი ანუ სწორი ნაწლავით.

ამგვარად, მსხვილი ნაწლავები წერილ ნაწლავების ჩარჩოში მოიცავს სამი მხრიდან: გვერდებიდან და ზევიდან.

მუცელა არის ავადმყოფობა მსხვილი ნაწლავებისა; განსაკუთრებით უყვარს გამოსავალი ანუ სწორი ნაწლავი აქედან ვრცელდება ცოტა ზევითაც, მაგრამ ძალიან დიჭია არა.

ნაწლავებსა იქვთ შიგნით სკელი ანუ ლორწოიანი გარს, ამ გარსში დატანებულია პატარ-პატარა ჯირკვლები, სიიუანი გამოდის ლორწო და აძლევს წელებს სისველეს, მოვენაუ ნაწლავების წვენი.

მუცელას ბაკილები დაბინავდებიან ამ ჯირკვლებში, ასევე მათ და ამგვარად იწვევენ მთელი ლორწოიანი გარსი დასიებას.

ამის გამო ნაწლავში გროვდება წმოლი, ჩირქი, სისხლი და ხშირად განავალი მარტო ჩირქის და სისხლისაგან შესდგება.

თუ მუცელა გაძნელდა, დასნეულებულ ნაწლავებში წყლულები ჩნდებიან.

მუცელა ზოგჯერ უსიცხოდ იწყება ფალარათობით. ზოგჯერ კი ავადმყოფს შეამცირებს, სიცხეში ჩააგდებს და შემდეგ აუტყდება ფალარათობა.

როცა მუცელა უსიცხოა, სისხლი პირველი დღიდანც ურევია განავალში.

როცა მუცელა სიცხით იწყება, სისხლი განავალში უფრო გვიან ჩნდება: მესამე ან მეოთხე დღეზე.

ფალარათობის დროს ჯერ განავალია, შემდეგ და შემდეგ კი მარტო ლორწო, ჩირქი და სისხლი.

პირველ დღეს ავადმყოფი ხუთჯერ-ექვსჯერ ან ცოტა მეტჯერ გადის გარეთ.

შემდეგ კი ოცჯერ, ორმოცჯერ და მეტჯერაც.

ავადმყოფს ზოგჯერ გული ერევა, პირს იღებინებს, აუტყდებდა ჭინთვა, მუდამ გარედ გასვლა უნდა და გადის ცოტაზე.



უკანა ტანი ეწვის და უსკდება ნამეტანი გალიზიანებისა გამო; უკანა ნაწლავი გარედ გამოდის, რასაც ეძახიან ჯდოშს, სახვედროს.

გამოსავალი ნაწლავი ზოგჯერ ისე სუსტდება, რომ მორჩინის შემდეგ გაივლის წელიწადი, მეტიც და გარედ გასვლის დროს ნაწლავი მიინც გამოვარდება ხოლმე გარედ.

ამისთანა შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა თბილ წყალში ჩაჯენა ბავშისა ცოტა ხნით ყოველ საღამოს ან ორ დღეში ერთხელ.

ავადმყოფობა გრძელდება ორ-სამ კვირეს ან ცოტა მეტს და შემდეგ ნელ-ნელა ქრება.

თუ გაძნელდა რამოდენიმე თვესაც, ზოგჯერ რამოდენიმე წელიწადსაც ვეღარ გამოდენით ტანიდან.

ზოგჯერ მუცელა ისე მაგრადა ჰქილებს ავადმყოფს ხელს, რომ არა თუ ბავშს, დიდ ადამიანსაც რამოდენიმე დღეში აქ-რობს.

განსაკუთრებით ზაფხულობით მუცელა მუსრს ავლებს პატარა ბავშებს.

ეს არის დედ-მამის ბრალი.

არ უფრთხილდებიან ბავშს და ყოველგვარ საჭმელს პირ-ში ატენიან გასართობად.

ბავშებისათვის ხუთ-ექვს წლამდე და მოხუცებულებისა-თვის მუცელა მძიმე ავადმყოფობაა.

ის იწვევს ნაწლავების ანთებას, დაწყლულებას, ძალზე ასუსტებს ავადმყოფს და შემდეგ ჰქილავს.

მუცელს ბაცილები ზოგჯერ ღვიძლში გაძვრებიან ხოლმე და იწვევენ ღვიძლის დასიებასა და დაჩირქებას, რაც მეტად ძნელი გადასატანია.

რაღვანაც მუცელა გადამდებია, ამიტომ თუ ოჯახში მუ-ცელა დაემართა ვისმე, სხვა ბავშები უნდა დაარიდოთ.

რაღვანაც მუცელას ბაცილები ბლომად არის მუცელია-ნის განავალში, ამიტომ ავადმყოფის განავალი შროს უნდა გადალვაროთ ხოლმე.

უმჯობესია, ყანაში პატარა ორმო ამოთხაროთ, შეგ გადალვაროთ განავალი და მიწი წააყაროთ ხოლმე, რომ ბუჩქელარ დააჯდეს.

თუ კირს დააყრით, კიდევ უკეთესი.

მუცელა უფრო ხშირად იმ სოფელში ჩნდება, რომელიც სასმელიად მდინარის წყალსა ხმარობს.

რა არის ამის მიზეზი?

როდესაც სოფელი მდინარის პირას არის გაშენებული, სოფელი წყალსა სერის,—საქონელის პბანენ შეგ, სარეცხის რეცხავენ. თუ ამნირ სოფელში მუცელა გაჩნდა, სარეცხის ან განავალის შემწეობით ბაკილები მდინარეშიც ამომყოფენ თავს.

წყალს მიაქვს ბაკილები და მიუტანს ყველა სოფლებს, რომლებიც იმ მდინარის დაყოლება იქნებიან, ამიტომ საუკეთესო სასმელია წყაროს წყალი.

— მდინარის წყალი რომ იყალულოთ, მაშინაც მაწყინარია? მეკითხებით თქვენ.

თუ კარგად აადულებთ, ბაკილები დაიხოცებიან და მაშინ მისი სამი საშიში აღარა არის, მაგრამ სოფელში სასმელი წყალის მუდამ დუღება მეტად ძნელია და შეუძლებელი.

კის წყალს რა უშავს? მეკითხება სოლო.

როდესაც სოფელი მჭიდროდ არის დასახლებული ქალაქის წესზე, კის წყალიც არ არის იქ სანდო, რაღაცანაც უსუფთაო წყალი, საქონლისა და აღამიანების შარდი და სხვა მიწიდან ხშირად ერთვის კის წყალს.

კის წყალში ბევრჯერ აღმოუჩენიათ ბაკილები მუცელასი, მუცელის სახიდისა, ხორველასი.

— აბა სადაც წყარო არ არის, რა უნდა ქნას ხალხმა? მეტყვით თქვენ.

უნდა გამოიყეანოს წყალი, აი ჩემი პასუხი.

სოფლისათვის ეს არც იმდენად ძნელი საქმეა და მე ვიცი ჩვენში ზოგიერთი სოფელი, სადაც მშვენიერი წყაროს წყალია გამოყვანილი.

სუფთა წყალი სოფლისათვის უპირველესი საჭიროებაა.

9. უ ბ ა უ შ ხ ა.

— თქვენ ეი! რაც ბატონები იყვნენ, სუსველი მიიპატი-
უეთ, მრალიანსა და უბრალის ყველის დაუძახეთ, აღარაეინ
არ დაგიტოვებიათ და მე დავაუიწყდით? გაშ კარგი, ვაყურე-
ბიყბ თქვენს ბავშებს სეირს: დავერევი და მერე თქვენ პნახავთ,
რა დღეც დაიდგება იმათ ყბებსა!

ეს ვინ ირის?

პოო, ვერ უყურებთ ცალმოგვა აზნაურს!

ვითომ ესეც ბატონია!

ეს ხომ ჩვენი ყბაყურაა.

მართალი რომა ვსთქვათ, ყბაყურაც ბატონებში ურევია,
თუმცა თქვენ მას ბატონად არა სთვლიდით, არც ლალის აძ-
ლევდით სხვადასხვა მომოდიშების სახით.

რატომ?

იმიტომ რომ დიდი ძალა არა იქნება, ბევრი არაფერი შე-
უძლია და თქვენც მისი არ გეშინიათ.

ყბაყურა ბავშების ავადმყოფობაა. დიდებში მას ძეირადა
პნახავთ, რადვანაც ყველა ვიხდით ბავშობაში. თუ დიდ ადა-
მიანს შეხვდა, ეს იმას პნიშნავს, რომ ბავშობაში არ მოუხდია.

— ყბაყურამაც გოხდა იცის? მეკითხებით თქვენ. დიახ,
მოხდა იცის, მეორედ იშვიათად შეხვდება ვისმე. ამ მოარულ-
საც ბაცილები იწვევენ, ავადმყოფებიდან კარგამყოფზე გადა-
დიან, მოიკალათებენ ყურისძირა ჯირკველში და ასიებენ მას.

პირში ჩვენა გვაქვს რამოდენიმე მოსხო ჯირკველი: ენის
ძირში, ყბას ქვეშ და ყურის ძირში. ისინი განუწყვეტილად ამ-
ზადებენ ნერწყვს, რომელიც პირში მოუვენავს მილებით.

ყბაყურა არის ყურისძირა ჯირკველის სნეულება.

ის იწყება - ზოგჯერ ნელა-ნელა: ბავში ორი-სამი დღე იღერლილია, ამცივნებს, უგუნებოდ არის; ხანდახან კი იწყება ერთბაშად: ბავშს შეაციებს, მისცემს დიდ სიცხეს, თავი სტკივა, გული ერეფა და ყბა დაუსივდება ჯერ ერთ მხარეზე, შემდეგ მეორეზე. სიმსივნე იწყება ყურის ძირიდან, ბავშს ყბები გამოებერება, სტკივა, ჭამა-სმას უშლის. ასეთი მდგომარეობა გრძელდება ერთ კვირამდე აუ შემდეგ თანდათან ჰქონდება. ერთ-ერთი გართულება, რაც ყბაყურასა სწევია, ყვერის კაკლისა და საკვერცხეს ანთებაა. ვაგს ყვერი უსივდება ერთ მხარეზე და ერთ კვირეში დაუცხრება; გოგოს პატარა მუცელი ასტკივდება. ერთიცა და მეორეც თავისით ჩემია, საჭიროა წოლა. ყბაყურამ იცის ხანდახან ცხვირიდან სისხლის დენა. ზოგჯერ ის სრულებით უსიცხოდ იწყება და უსიცხოდ თავდება: ბავშს წამოუსივდება ყბები და ცოტაოდენ ტკივილებსა გრძნობს.

წამლობა ყბაყურას არა სჭირდება. ტკივილების წინააღმდეგ კარგია რაიმე ზეთით, უმარილო ქონით ან კარაქით დაზელვა ყბებისა დღეში ორჯერ-სამჯერ და თბილად შეხვევა.

10. გ ხ ი პ ი.

როგორ არ იცნობთ ჩვენს სურდოხველას? თუ პატარა გაცივდით, მოგეპარებათ, შეგიძერებათ ცხვირში, დაგმართებო სურდოს, თავს დაგიმზიმებთ, აგატკივებთ, ყელში მოვიფხა- ჭუნებთ, ჩაგიძერებათ გულბოყვაში, მოგიქერთ გულზე და და- გაწყებიებთ ხველებას; მოელ ტანში გამტვრევთ, სიცხეს გა- ძლევთ, მადა გეკარგებათ.

ეს გახლავთ ჩვენი სურდოხველა. მოიარა მან საზღვარ- გარეთი, დაირქვა სხვადასხვა სახელი: ინფლუენცია, ისპანკა, გრიპი, და გვესტუმრა ჩვენ ამ სახელებით.

მაგრამ არა ნაირნაირი სახელიც უნდა დაირქვას, მაინც ვიცნობთ ჩვენს სურდოხველას.

ი ახლაც ლაპარაკობენ: საზღვარ-გარეთ გრიპი გაჩნდა და ჩვენშიაც აპირებს შემოსვლასო. მობრძანდეს, მზათ დაუ- ხვდებით!

ეს გრიპი იგივე ინფლუენცია არის, ანუ ჩვენი სურდო- ხველა.

ჩვენი პაციენტი რომ საზღვარ-გარეთ წავიდეს, იქ მაშინა- თვე პოლს დაარქმევენ. მობრძანდება ჩვენში და იტყვის: მე ახლა „პოლ“-გარო. პოლ-კი არა ითასი პოლ რომ დაირქვას, მაინც ჩვენი პაციენტი იქნება.

ასე გახლავთ ჩვენი სურდოხველას საქმეც. საზღვარ-გარეთ გრიპი დაურქმევით და მობრძანდება ახლა ჩვენთან!

შემჩნეული გექნებათ, ერთი და იგივე ავადმყოფობა სხვა- დასხვა დროს სხვადასხვა გვარიად მიმდინარეობს: ზოგჯერ ის ადვილად ჰქილებს ხელს, ზოგჯერ კი გახელებულია და მძვი- ნვარებს. ასეთი ზნე სჭირს ამ გრიპსაც: ზოგჯერ ის მეტად იოლია, ზოგჯერ კი გაძნელება იცის და ბევრსაც ჰქოცავს.



რა არის ამის მიზეზი? მიზეზი გახლავთ ის ვარუ-
მოება, რომ გრიპი გადამდები სენია და ყოველ გადამდებ
მოარულს ხომ განსაკუთრებული ბაცილები იწვევენ.

ეს ბაცილები ზოგჯერ ნაკლებ შხამიანია, ზოგჯერ კა-
ძალზე შხამიანი.

როცა ბაცილები ნაკლებ შხამიანია, მაშინ ავადმყოფ-
ბაც იოლია. როცა ბაცილები ძალზე შხამიანია, მაშინ ივად-
მყოფბაც მძიმეა.

გრიპის ბაცილები ოღმოაჩინა მეცნიერმა პუეიფერმა. ისი-
ნი უამრავი მოიპოვებიან ავადმყოფის ნახველში. ნახველიდან
გადადიან ჰაერში და ამგვარად ვრცელდებიან, რადგანაც ჰაერს
ყველა სუნთქვავთ.

გრიპი გადადის ერთი-მეორეზე იგრეთვე ხელის ჩამორ-
თმევით, კოცნით.

როგორ მიმღინარეობს გრიპი? გრიპის მიმღი-
ნარეობა სხვადასხვანაირია: ზოგჯერ ივადმყოფს უფრო ნერ-
ვები აწუხებს, ზოგჯერ კუჭ-ნაწლავები, ზოგჯერ კი სასუნთქი-
ასოები.

ნერვიული გრიპი. ივადმყოფს მაგრად შეამტკიცნებს,
ასტეიდება კუნთები, სახსრები, კანი, სისხე უცებ ავარდება
ორმოც გრადუსამდე, განსაკუთრებით აწუხებს თავის ტკივი-
ლი, ზოგჯერ ბოდავს კიდეც.

სეთი მდგომარეობა გრძელდება რამოდენიმე დღეს და
შემდეგ ჰქება.

კუჭ-ნაწლავების გრიპი იწყება ამგვარადვე, ხოლო
შემდეგ თავის ტკივილის ნაცელიად ივადმყოფს აუვარდება კუ-
ჭის ტკივილი, გულის ჩუვა, პირლებინება და ფალარათიც.
ზოგჯერ ივადმყოფი გადის ორჯერ-სამჯერ თხლად, ზოგჯერ კი
უფრო ხშირად.

ხანდახან განავალი ლორწო და სისხლნარევია იმდენად,
რომ ნამდეილ მუცელის მოგაზონებთ. გრძელდება რამოდენი-
მე დღეს და შემდეგ ერთხად ცხრება.

სასუნთქვი ასოების გრიპი იწყება ტანის ერიალით,



კუნთებისა უა ძვლების ტკივილით, სურდოთი და ხველათი. ავალმფოფს ზომიერი სიცხე აქვს, ცხეირში უქერს, თავი დამძიმებული აქვს, გული დაჭრილი, ახველებს მაგრად, ზოგჯერ დაეწინებით. ნახველი უქერტეს შემთხვევაში ბევრია, სქელი, ყვითელი. ზოგჯერ სისხლნარევია.

რომელი გრიპი უფრო გავრცელებულია? ამ სამ გვარ გრიპში გაცილებით უფრო გაერცელებულია უკანასკნელი, ესე იგი სასუნთქი ასოების გრიპი, რომელმაც იცის გართულება: ყურის ანთება, დაჩირქება, ჩირქიანი პლევრიტი და განსაკუთრებით კი ფილტვების ანთება.

გრიპით გამოწვეული ფილტვების ანთება თავს იჩენს პატარ-პატარა აღგილზე, ნელ-ნელა მიტულობს და ვრცელდება ახალ-ახალ აღგილებზე.

ამას უწოდებენ მოსიარულე ანთებას.

ასეთი ანთება დაიწყება ერთი ფილტვის რომელიმე პატარა აღგილზე და შემდეგ ნელ-ნელა ორივე ფილტვს მოივლის.

ამის გამო გრიპით გამოწვეული ფილტვების ანთება უმეტეს შემთხვევაში ხანგრძლივია და ამიტომ ბავშისა და ძოხუცებულის გული ვერ უძლებს.

გრიპის შხირი ძალიან ასუსტებს გულს, ამიტომ ხანში შესული იდამიანისათვის ის საფრთხილო ავალმყოფობაა.

გრიპის შემთხვევაში ბევრჯერ თავს იჩენს ხოლმე ფილტვების ჭლევი, განსაკუთრებით ფილტვების ანთების შემდეგ. თუ გრიპი დაემართა სუსტი ფილტვების პატრონს და ზედ ანთებაც დაერთო, ანთების გაელის შემდეგ ჭლევები უნდა მოელოდეს.

გრიპი ზოგჯერ იწვევს თირკმელების ანთებას, ნერვების მწვავე ტკივილს, გულის პერიანგის ანთებას, ტკინის გარსისა და თვითონ ტკინის ანთებას, ზოგჯერ ტკინის დაჩირქებას.

ერთი სიტუაციით გრიპს შეუძლია გამოწვევა ყოველგვარი გართულების და ავალმყოფისათვის სწორედ გართულებაა საშიშარი.

თუ გრიპი არ გართულდა, ერთ კვირაში ან ათ დღეში სრულებით გაივლის და არც არის საშიშარი. თუ გართულდა, შესაძლებელია რამოდენიმე თვესაც არ აუშვას ლოგინიდან ავალმყოფი და სულაც მოუსწრაფოს დღე.

ლოთ ადამიანს განსაკუთრებით მაგრად ჰქილებს ხელს ვრიპი. ეს ადვილი გასაგებია: ლოთობა ასუსტებს გულს, ფილტვებს, კუჭს, თირკმელებს და საერთოდ მთელ სხეულს. დასუსტებულ სხეულს კი გრიპი ადვილად ერევა, აჩენს ფილტვებში ანთებას, რომელსაც ლოთის მაშლილი გული ვეღარ უძრებს.

როგორ ვრცელდება გრიპი? გრიპი უფრო ემართება ყოველ ჩვენგანს გაცივების შემდეგ. ამიტომაც ის უფრო ვრცელდება ისეთ დროს, როცა გაცივება ადვილია.

გაცივება ყოველთვის არის შესაძლებელი, თუ ადამიანი თავს არ გაუფრთხილდა, ხოლო უფრო ადვილია ისეთ დროს, როდესაც ამინდი ცვალება არია: ხან თბილი, ხან უცემ აცივდება. ასეთია ჩვენში გამოზაფხული, შემოდგომის მიწურული, ზოგჯერ თბილი ზამთარიც.

ამის გამო, როდესაც გრიპი მოდებულია, ყველა უნდა უფრთხილდეს გაცივებას. დამტკიცებულია, რომ მთერალი ბევრ სიობოსა ჰყარგავს, რადგანაც კანი განურებული იქვს, ამიტომაც მალე და ადვილად ცივდება.

როგორ ავიცილოთ გრიპი? როდესაც გრიპი გაცრცელებულია, განსაკუთრებით უნდა ერიდოთ ლოთობას. გრიპის დროს უბრალო სურდოსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ, თბილად შეინახოთ თავი, ჩაწერ ლოგინში და ოფლი მოიდინოთ.

თუ გრიპის ნიშნები გამოვაჩინდათ: სურდო, თავის ტკივილი, ტანში ერიალი, ტეხა, ხველება, სიკე, მაშინათვე უნდა დაწვეთ და ბინა თბილათ იქონიოთ.

გრიპის დროს აეაღმყოფს უნდა აძლიოთ რჩე, თოხლო კცერცხი, მაწონი, ქაში და ქათმის შორევა. ღვინო ზომიერად მარგებელია.

ექიმს უნდა მიმართოთ მალე, სანამ გრიპი გამოიწვევდეს რაიმე გართულებას, თორებზე ზოგიერთი გართულება იმდენად მავარია, რომ მასთან ბრძოლა ექიმსაც გაუკირდება.

დროზე თავის მოვლა, დროზე დაწოლა, დროზე ექიმი!

11. გუცლის ტიფი.

(ს ა ხ ა დ ო).

სოფელში იტყვით ხოლმე: ამა და ამ კაცს სახადი ჩაუ-
დგა სახლშით.

სახადის ზოგან საორმოცეს ეძხიან, ალბად იმის გამო, რომ
ამ ავადმყოფობამ ზოგჯერ ორმოც დღემდე იცის სიცხე.

ჩვენ, ექიმები, კი მას ვეძხით მუკლის ტიფს.

როგორც ყოველი მოარეული, სახადიც გადამდები ავად-
მყოფობაა.

მის აჩენენ ადამიანის სხეულში ერთგვარი ბაცილები.

სახადის ბაცილები მოგრძო ტანისა არიან და კარგად მო-
ძრაობენ წყალსა და სხვა სითხეში.

სახადის ბაცილებს ადამიანის გარეშე შეუძლიათ დიდხანს
არსებობა.

ჰაერში ისინი არ არიან, სამაგიეროდ საუცხოვოდ სძლე-
ბენ და მრავლდებიან მიწაში, წყალში.

განსაკუთრებით უყვართ წყალი.

სახადის ბაცილები ბლომად არიან ავადმყოფის განვალ-
ში, შარდში და შესაძლებელია, ოფლშიაც.

როდესაც ავადმყოფის განვალს, შარდს უალაგო ალაგის
გადააჭლევენ ხოლმე, ის ხშირათ ერთვის ჭის წყალს, მდინარეს,
ბაცილები მრავლდებიან წყალში და ასეთი წყალი ასნეულებს
სხეებსაც სახადით.

ამგვარად, სახადი გადამდები ავადმყოფობაა, მაგრამ ავად-
მყოფიდან კარგამყოფზე არ გადადის პირდაპირ ჰაერის სა-
შუალებით, არამედ უმთავრესად სასმელი წყალის შემწეობით:

სახადიანი ავრცელებს სახადის ბაცილებს. ეს ბაცილები რაიმე გზით თავს ამოჰყოფენ სასმელ წყალში, აქედან გაღადიან საღი აღამიანის აგებულებაში და ასნეულებენ მას.

მაშასადამე, კუჭი და ნაწლავები წარმოადგენენ იმ გზას, რომლითაც სახადის ბაცილები შედიან აღამიანის სხეულში.

აღამიანის კუჭი ამზადებს მეავე წვენს, რომელიც ბაცილებს ჰქოცავს

ამიტომ კუჭში სახადის ბაცილები ვერ მრავლდებიან და კუჭიდან გადაუიან ნაწლავებში.

კუჭიდან იწყებიან წვრილი ნაწლავები, და სწორეთ აქ უყვართ დაბინავება სახადის ბაცილებს.

პირს შიგნიდან აკრავს კანი, ანუ გარსი, რომელიც მუდამ სკელია:

ამას ეწოდება ლორწოიანი გარსი.

ასეთივე გარსია კუჭში, ნაწლავებში.

ნაწლავების ლორწოიან გარსში დატანებულია ჯირკვლები, რომლებიდანაც ნაწლავების წვენი ანუ ლორწო მოქონავს.

სახადის ბაცილები დაბინავდებიან ამ ჯირკვლებში და ასიებენ ლორწოიან გარსს პირველი კვირის განმავლობაში.

მეორე და მესამე კვირის განმავლობაში გასიებულ გარსზე ჩნდებიან წყლულები.

თუ წყლული დიდი და ღრმა არის, ავადმყოფი სისხლზე გადის. მეოთხე კვირიდან იწყება წყლულების მოშუშება და მეხუთე-მეექვესე კვირებზე ავადმყოფი რჩება, თუ არ დაერთო რამე გართულება.

რაც უფრო ცოტა წყლული ნაწლავებში, მით უფრო ადვილია ავადმყოფობის მიმდინარეობა:

რაც უფრო ბევრია იარები, მით უფრო მძიმეა ავადმყოფობა.

ამგვარად, სახადი არის წვრილი ნაწლავების სნეულება.

სახადშა შეიძლება ყოველთვის იჩინოს თავი, მაგრამ მას უფრო უყვარს შემოღვეობა და გაზაფხული.

ავადმყოფობა უმეტეს შემთხვევაში ნელ-ნელა იწყება.



ორი-სამი დღე ავადმყოფი სისუსტესა გრძნობს, უმაღლობას, აღერღილია. ალბათ გავცივდიო, ფიქრობს. შემდეგ პარა სიცხეს აძლევს; სიცხე ყოველდღე მატულობს და პირველი კვირის განმავლობაში აღის თუდა ცხრამეტ, ზოგჯერ ორმოც მენაკამდე (გრადუსამდე).

დილით სიცხე ნაკლებია, საღამოთი მეტი.

ტუჩები, ენა, პირი ავადმყოფს უშრება, ყელი უხმება და ზოგჯერ სტკივა, გადაყლაპვას უშლის.

სხვადასხვა მოარულმა ტუჩებზე გამოყრა იცის ციებიან-საყით.

სახალმა ტუჩებზე არასოდეს არ იცის გამოყრა ავადმყოფს თავი სტკივა, მუცელზე წამობერილია, ოფლი არა აქვს; მეორე კვირის გასულსა და მესამე კვარის დასაწყისში ავადმყოფს ფალარათობა აუგარდება;

დღეში ოთხჯერ ან მეტჯერ გაჰყავს გარეთ.

განავალში ხანდახან სისხლი გამოირევა; სისხლი ზოგჯერ ძალიან ბეერია. ავადმყოფი ამ ხანებში ბეერჯერ გრძნობასა ჰყარგავს, ბოდავს, ლოგინიდან წამოვარდება, გარბის, ქვეშ ისერის.

შეოთხე კვირეში როცა გადადგება, ავადმყოფს მოხედვა დაეტყობა—სიცხე ნელ-ნელა კლებულობს, უკეთეს ხისიათზეა. მეორე და მესამე კვირეში ავადმყოფს ახველებს, მეოთხეში ხველებაც ნაკლებია.

მეხუთეში სიცხე საგრძნობლად კლებულობს და ბოლოს ნელა-ნელა დავარდება.

დაახლოვებით ხუთ-ექვს კვირეში თავდება ავადმყოფობა, თუ არ დაერთო რაიმე გართულება.

ავადმყოფობის შემდეგ რჩება სისუსტე და სანამ ავადმყოფი იმზენათ მომჯობინდებოდეს, რომ ლოგინს დატოვებდეს, კადეც გაივლის ათიოდე დღე.

ასე რომ დაწოლის დღიდან გაჯინსაღებამდე თითქმის ორმოც დღე გაივლის და ამიტომაც დაურქმევია ჩვენს ხალხს სახადისათვის მეორე სახელი—საორმოცე.



თუ სახადი გართულდა, რამდენიმე თვესაც ვეღიარ უდგენს ავადმყოფი.

სახადის დროს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფი მოვლას.

თავი უნდა ჰქონდეს გრილიდ.

ხშირად უნდა იფინოთ თავზე ცივ წყალში დასველებული და გაწურული ტილოები.

თუ იშვიერი, უმჯობესია თოვლი, ყინული.

მთელი სხეული დღეში რამდენჯერმე უნდა დაუზილოთ წყალითა და ძმით, ან დღეში რამდენჯერმე გაახვიოთ ცივ წყალში დასველებულ და კარგად გაწურულ ზეწარში.

თუ მოსახერხებელია, ძალიან სასარგებლოა თბილი აბაზანა ათი ხუთმეტი წუთით დღეში ორჯერ.

თუ განავალში სისხლი იღმოჩნდა, ავადმყოფი უნდა იწვეს უძრავად, მუცელზე უნდა დაადოთ ყინული ან თოვლი და რამდენიმე დღე წყალისა და ქათმის წვენის მეტი არაფერი ან უნდა მისცეთ.

თქვენ იცით ახლა რა უძევს სახადს სარჩულად: წვრილი ნაწლავების დაწყლულება.

აქედან ცხადია, რომ სახადიანის მოვლის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოთ საჭმელს.

მძიმე მოსანელებელი და მაგარი საჭმელი გამოიწვევს ნაწლავების მძლავრ აშუშავებას, რასაც შედეგად მოპყვება წყლულების გაჭიმვა და სისხლის დენა.

შესაძლებელია, სისხლის დენა ისეთი მძლავრი იყოს, რომ ავადმყოფი სისხლიდან დაიკალოს და მოკვდეს.

ადამიანის ნაწლავი ძალიან თხელია; ამიტომ შეიძლება გაიხეს წყლულის ალაგის.

მაშინ განავალი ჩილვრება მუცელში, ავადმყოფს და-მართება მუცლის აპკის ანთება და გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია.

იმავე დროს სახადი ხანგრძლივი ავადმყოფობაა, სნეულ ძალიან ასუსტებს და რიგიანი საზრდოობა აუკილებელია.



ამიტომ, სახადიანს უნდა აძლიოთ მსუბუქი და ნოკიერი საჭმელი: რძე, მაწონი, ქათმის წვენი, თოხლო კვერცხი, ბლო-სად-წყალი და ცოტა ლვინო.

რძე უნდა აძლიოთ ყოველდღე არა ნაკლებ ერთი ჩა-რექისა.

დიდი უურადღება უნდა მივაჭუროთ ლრძილებსა და საერ-თოდ პირს. ავადმყოფს პარი უშრება, ლრძილები უსიცდება და ხშირად კბილები უფუძლება, პირში იარები უჩნდება.

პირი ხშირად უნდა გაუწმინდოთ თბილ წყალში, ჰაბ-წყალში, ანდა ძმარწყალში, არაყნარევ წყალში დასველებული ხელსახლცით.

სახადმა ხშირად იცის თეძოებზე და სხვაგანაც კანის მო-ლპბა: კანი ჯერ დაწითლდება, შემდეგ გალურჯდება, მერე გაშავდება, ბოლოს მოლპება და დაწყლულდება,

ზოგჯერ კანთან ერთად ხორციც მოლპება და იარა ძელე-ბამდე დავა.

ამიტომ, ავადმყოფი ხშირად უნდა გადააბრუნოთ ხან ერთ გვერდზე, ხან მეორეზე უა თეძოებზე, კუკუხოზე, ქუსლებსა და ილაუცებზე, კანი გაუწმინდოთ დღეში რამდენჯერმე არაყით.

ჰაერი ჩადის ჩეენს ფილტვებში ხორხილან.

ხორხი იყოფა მრავალ მილებად და ესენი შეადგენენ სა-სუნთქვა მილებს ანუ ბრონხებს.

სახადმა იცის გამოწვევა სასუნთქვა მილების ანთებისა.

აი, ეს არის ბრონხიტი.

სახადი იწვევს ფილტვების აპკის ანთებას, ფილტვების ანთებას, გულის პერანგის ანთებას, გულის კუნთების ანთე-ბას, გულის სიგანიერეს, თირკმელების ანთებას, საშარი ბუ-შტის ანთებას.

სახადის მოხდის შემდეგ ავადმყოფს ზოგჯერ ძირმაგარა მუწუკებს დაიყრის ტანზე; ზოგჯერ სახადმა იცის დატოვება რჩივე, უფრო ხშირად კი ერთი რომელიმე ფეხის სიმსიცნისა. ურველივე ამას მე იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენ წა-

რმოდგენა გქონდეთ სახალზე, თორემ დანარჩენი უკველის უნდა მიანდოთ თქვენს ექიმს.

ზოგჯერ სახალმა იცის შებრუნვა.

სიცხე დავარდება. ავადმყოფი კარგადა გრძნობს თავს, გაივლის ერთი კვირა და ავადმყოფს ისევ სიცხეს მისცემს ოცდა ცხრამეტ მენაკამდე, თავი სტკივა, მუცელზე პბერავს.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ორ კვირეს და შემდეგ ნელ-ნელა პქრება.

სახალის შემდეგ ავადმყოფს საშინლად სცეივა თმა.

ამიტომ, როგორც კი გამოაჩინდება ავადმყოფს სახალი, უმ-ჯობესია მაშინათვე ააჩთვათ თმა.

როდესაც სახალი სრულებით გაივლის და ავადმყოფს სი-
ცხე დაუვარდება, მთელი კვირის განმავლობაში მაინც აუცი-
ლებელია სიფრთხილე სმა-ჭამაში.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შეგიძლიათ გადიყვა-
ნოთ ავადმყოფი ქათმის ხორცსა და პურზე და შემდეგ ჩვეუ-
ლებრივ საქმელზე.

სახალმა მოხდა იცის, თუმცა ისე არა, როგორც ცვავილ-
მა, პარტახტიანმა სახალმა და ქუნთრუშამ. ვინც ერთხელ
მოიხდის მას, მეორედ ძეირად შეხვდება. თუმცა ყოფილა მა-
გალითი მეორედ კი არა მესამედ შეხვედრისაც.

სახალის დროს დარიდება არ არის საჭირო.

საჭიროა მხოლოდ დიდი სისუფთავე და ერთგვარი სიფ-
რთხილე:

უნდა სვათ ან წყაროს წყალი, ან აღულებული წყალი.

ყანაში უნდა ამოთხაროთ ორმო და შარლი და განვე-
ლი სახალიანისა ჩაიწყიოთ შიგ.

თუ კირს მოაყრით, ძალიან კარგია.

შენიშნულია, რომ ლოთები უფრო ვერ უძლებენ ვერც
სახალს, ვერც სხვა მოარყლოს.

— რატომ ნეტა? მკითხავთ თქვენ.

— რატომ და, სახალის დროს, ბაცილები ამზადებენ
შხამს, რომელიც სწამლავს გულსა და ნერვებს.

მავარი სასმელებიც სწორეთ გულისა უა ნერვებს სწავლის
ლავენ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ლოთობისაგან დასწეულე-
ბული გული და ნერვები სახალის შხამს ვეღარ უძლებენ.

— თუ გაუძლო ავადმყოფმა, როცა იქნება, ხომ მორჩება
და რა არჩენს, თუ რაღაც განგება არ არის? გვეკითხება რო-
სეფა.

— ე吁, მგლის თავზე სახარებას ჰქითხულობდენ და ის
მაინც მგლობას არ იშლიდა.

რის განგება, რა განგება?

განგება ბრიყვი კაცის მოგონილია.

რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის: ყოველი მოარულის
დროს ჩვენს, სხეულში შამოიჭრებიან ერთგვარი ბაცილები.

აქ მათ დაუხვდება ჩვენი სხეულის დამცველი ჯარი—სი-
სხლის თეთრი ბურთულები.

გაიშართება სასტიკი ომი და ბრძოლა.

როდესაც მოარულით ავადმყოფი რჩება, ეს იმას ნიშ-
შნავს, რომ თეთრმა ბურთულებმა მოარულის ბაცილები ამო-
სწყვიტეს მთლად ერთიანად.

თუ თეთრმა ბურთულებმა ბაცილების იერიშები ვერ შე-
აჩერეს, ბაცილები გაერცელდებიან ჩვენს სხეულში, მოსწამ-
ლავენ მას თავისი შხამით და ავადმყოფი კვდება.

ბუნების გასაღები ცოდნაა.

როდესაც ცოდნას შეიძენთ, შაშინ ყოველივე ცხადი გა-
ხდება თქვენთვის და განგებაც იღარ იქნება საჭირო.

12. პარტახტიანი სახადი.

(ტიფი).

საშინელმა ომმა ბევრი თქვენგანი მოსწყვეტა შშობელ
 მიწას და გადასტყორცნა შორს; ზოგი ტყვეთაც ჩაუვარდა
 მოწინააღმდეგეს ხელში და ნახა სხვადასხვა ქვეყანა, სხვადა-
 სხვა ხალხი.

— მე იყსტრიაში ვიყავი!

შენა ზაქრო? როგორ, რანაირად?

— ტყვედ წამოიყვანეს.

— მე კიდევა გერმანიაში ვიყავი, მეც ტყველ წამიყვანეს
 ლემენტებმა.

შენა გიორგი? მერე რა ნახე იქა, ვინ ნახე?

— ბევრი რამა ვნახე, შენი ჰირიმე, ბევრი!

აბა, ჩემო გიორგი, რამდენი რამე შენ გინახავს და ერ-
 თი ეს მითხარი: კაცი, იმ შენისთანა ვაჟეაცი, რომ ტილს მო-
 ეკლას, გინახავს?

— არც მინახავს და არც გამიგონია!

ჰოო, არც თქვენ გინახავთ? არავისა? აბა მე კი მინახავს
 და განა ერთი და ორი—ბევრი!

არა ვჯერათ განა! მაში ყური დამიგდეთ.

არის ერთი გადამდები ივალმყოფობა, რომელსაც ჰქეია
 პარტახტიანი სახადი, პარტახტიანი ტიფი. როგორც ყოველ
 მოარულს, ისე ამასაც უჩინარი ბაცილები აჩენენ. ბაცილები
 გაჩნდებიან აღამიანის სისხლში, მომრავლდებიან შიგ და იწ-
 ვევინ პარტახტიან სახადს.

ეს ივალმყოფობა გადამდებია, ივალმყოფიან კარგამყო-
 ფხე გადადის.

რასა ნიშნავს ეს?

ნიშნავს იმას, რომ ავადმყოფის სისხლიდან ბაკილები უნდა გაიღია გადავიდენ კარგამყოფის სისხლში, უამისოდ საღ აღამიანს ავადმყოფობა არ გადაედება.

ვის გადააქვს ეს ბაკილები ავადმყოფის სისხლიდან საღი აღამიანის სისხლში?

ვინ არის ეს ოხერი და არამზადა?

გაუდარაჯდენ მეცნიერები, ბევრი დრო და შრომა დაახარჯეს, პოლოს მიაგნეს კვალს, სტაცის კისერში ხელი და ვინ იღმოჩნდა, როგორა გვინიათ?

ტილი, ით ჩვენი ტილი, რომელსაც თქვენ უველა საუცხოვოდ იცნობთ!

თურმე ნუ იტყვით, ამ საზიზლარ ტილს გადააქვს პარტაზტიანი სახადის ბაკილები სწეულიდან საღი აღამიანის სისხლში და, იმგვარად, აერცელებს ამ მოარულს.

— ნუ თუ მართლა? მექითხებით თქვენ.

როგორ თუ მართლა! ეს საარაკო მმავი დლეს უკვე დამტკიცებულია და დადასტურებული.

როგორ, რანიორად ახერხებს ტილი ამ საშინელ სენის გავრცელებას?

ტილი იკვებება ადამიანის სისხლით. პარტაზტიანი სახადით ივადმყოფის სისხლი გატენილია ამ სწეულების ბაკილებით, ეთქვათ, ასეთ ივადმყოფს დააჯდა ტილი, ჩაუშვა კანში თავისი პასრი ხორთუმი და ამოსწოვა სისხლი. სისხლს ამოჰკვებიან ბაკილები და დაბინავდებიან ტილის პირში. თვითონ ტილი არხეინად დალოდავს და ივად არა ხდება, ბაკილები მას ხელს არ ახლებენ, არიან მხოლოდ მოკალათებული იმის პირში, როგორც მგზავრები მატარებლის რონოდაში.

შეალოდა ახლა ეს ტილი საღ აღამიანს და ჩაასო ხორთუმი, რომ სისხლი ამოსწოვოს.

სისხლი სქელია და ხორთუმის წვნიკ მიღწი არ შედის.

ტილიც ეშმაკის, ხერხი იცის: ხორთუმის მიღით ჩაუ-

შვებს სისხლში თავის ნერწყვს, სისხლი გათხელდება, შემდევ აღვილად შედის ხორთუმში, იქიდან ტილის კუჭში.

მაგრამ ტილის პირში ხომ სახადის ბაცილები არიან, ნერწყს ჩაჰყებიან საღი ადამიანის სისხლში, დაბინავდებიან შეკვებიან უადგენდებიან უა მოედებიან მთელ სხეულს.

შემდეგ?

გაივლის ორი კვირე და საღსალამთ ადამიანს ერთბაშად შეაციებს, ასტკივა თავი, წელი, ძვლები, ზოგჯერ პირს წააღებინებს და სიცხე აფარდება 40—41 გრადუსამდე, ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უარესდება, სწუხს, ბოდავს, ბევრჯერ აზრისა ჰქარგავს, აღარა გაეგება რა. მეოთხე ან მეექვე დღეზე დაიწყება წითლად გამოფენა, უმთავრესად ტანზე და ხელფეხზე. შეიდი-რა დღის შემდეგ პარტახტი იწყებს გაბრძნებას, მეჩვიდმეტე დღეზე, ან მესამე კვირის გასულს, სიცხე ერთბაშად დავარდება და ავადმყოფი რჩება, მხოლოდ გრძნობს საშინელ სისუსტეს.

პარტახტი უმეტეს შემთხვევაში წითელია, თითს რომ და-აქერთ ჰქერება, თუ ავადმყოფს შავად გამოაყარა, ეს მეტად ცუდი ნიშანია: ავადმყოფი მარე კვდება.

ზოგიერთ შემთხვევაში პარტახტის გიბრუნების ვადა რომ მოვა, ავადმყოფს ხელიახლა დაუწყებს გამოფენას, რაც იმისი მომასწავებელია, რომ სნეულება მძიმედ მიმდინარეობს.

სნეულება ზოგჯერ ისე მაგრად ჰყიდებს თავიდანვე ხელს, რომ ავადმყოფი მესამე — მეოთხე დღესვე აზრისა და გრძნობას ჰქარგავს და ასეთ მდგომარეობაში ხანდახან მაღე კვდება. ზოგჯერ კი ავადმყოფობა ლფრო იოლია და თხუთმეტ-ტექა სერტ დღეზედ სიცხე სრულებით ვარდება.

პარტახტიანში სახადმა იყის ბევრგვარი გართულება და ბევრჯერ ეს გართულება მოუღებს ხოლმე ავადმყოფს ბოლოს.

ავადმყოფს პირველ დღეებშივე უჩნდება სასუნთქავი მილების ანთება, ანუ ბრონნიტი; მეორე ან მესამე კვირეში მან იყის ფილტვების ანთება, ყურის ანთება, ხორხის შეშუცება და ანთება.

ხორხი ზოგჯერ იმდენად შეუშუბდება ავადმყოფს, რომ ჰაერი სტენით ჩაღის ძლიერი, გაჭირვებით. თუ დროზედ არ გაუკეთდა ყელში აპერაცია, რომ ჰაერს თავისუფალი გზა მიეცეს ფილტვებისაკენ, ავადმყოფი კვდება.

პარტიასტიან სახადსა სჩევევია ხანდახან თირქელების ან-თება, მაგრამ მისი შხამი განსაკუთრებით ჰმოქმედებს ტვინსა და გულშე: ავადმყოფი გაოგნებულია, თავი სტკივა, ჰბოდავს, ეჩვენება, აზრსა ჰქარგავს, გულის ცემა ჩქარი აქვს, მოშვებულია, ძალზე სუსტდება, ხშირად გული ველი უძლებს.

ამიტომაც პარტიასტიანი სახადი განსაკუთრებით მაგრადა ჰკიდებს ხელს ლოთს, რადგანაც ბევრი სმისგან მას გულიც დაზიანებული აქვს, ტვინიც.

წამლობა ექიმის საქმეა, მაგრამ რაღვანაც ამ სნეულებამ დიდი სიცხე იკის, თავზე უნდა აფაროთ სველი ტილო, და-ადგათ თოვლი, ყინული, მთელი სხეული დაუზილოთ დღეში რამდენჯერმე წყალია და ძმარით, თითო ხაათით გაახვიოთ ციც წყალში დასველებულ და კარგად გაწურულ ზეწარში, ზევიდან კი საბანი უნდა დაახუროთ.

საჭმელად უნდა მისცეთ მხოლოდ მაწონი, რძე, ქაში, ქათმის ნახარში; წყალი—რამდენიც უნდა. პირი უნდა გამოუწმინდოთ ხოლმე ხშირად.

როგორ უნდა ვიპატიოთ თავი პარტიასტიანი სახადისაგან?

უმთავრესი საშუალებაა სისუფთავე. ბრძოლა უნდა გამოუტარდოთ ტილებს; საცვლები უნდა ირეცხოთ ხშირად; არ უნდა იყიდოთ ბაზარში ძველი ტანისამოსი; შესაძლებელია, ტანისამოსი ტიფით გარდაცვლილისა იყოს, შიგ ტილები იქნება და ისინი ივადმყოფობას მოვიტანენ. ძველი ტანისამოსის წყალობით მოედვა ჩექნს სოფლებს პარტიასტიანი სახადი და ბევრი გასწყვიტა.

როგორც კი გაჩნდება ოჯახში პარტიასტიანი სახადი, ავადმყოფის ლოგინი და საცვლები, სხეული კარგად უნდა გაშილოთ, რომ ტილი არსად დარჩეს. მაშინ სხვებს ეს სერი აღიარ გადაედება.

— ზოგიერთსა თურმე ტანი აქვს ისეთი, რომ კანიდან
ამოდის ტილი! გამიგონია ბევრჯერ.

ეს არის ზარმაცი და ნაცარქექია კაცის მოგონილი. ტი-
ლი არც ოფლისაგან ჩნდება, არც კანიდან ამოდის, — ტილი
მრავლდება წილის შემწეობით; წილს კიდევ ტილები სდება!

ტილის ბუდე კიდევა უსუფთაობა არის და სიბირძურე.

ჩეენში ბევრი მინახავს ისეთი მიწის მუშა, რომელიც წე-
ლიწალში ერთხელ არ დაიბანს ტანს თბილი წყლითა და საპ-
ნით. საცვლების გარეცხაზე ლაპარაკიც მეტია!

— სოფლის კაცი რომ ტანის ბანას მოდგეს, საქმე ხე-
ლიდან წაუვა!

ოოჲ, შენ ამბობ ამას, ქრისტესა?

ფრიად შემცდარი ხარ, ფრიად. პირიქით, საქმე გაცილე-
ბით უკეთ მიუდის იმ მუშას, რომელიც სისუფთავეს მისდევს,
ტანსაც ხშირად იძანს და საცვლებსაც იცვლის.

13. შეგრულებითი ოთვი.

არის ორნაირი მოარული, რომლებიც სახადს წააგავან:
 ერთია პარტახტიანი სახადი (ტიფრი).

მეორე—შებრუნებითი სახადი (ტიფი).

ამ უკანასკნელს ჩვენში ზოგან ხურვების უწოდებენ, ზოგან საოფლებს.

პარტახტიან სახადზე უკვე გვქანდა საუბარი.

— ტილებს რომ გადააქვთ! მესმის ხმა.

— დიახ, დიახ!

პარტახტიანი სახადის მიმღინარეობა მოკლეა.

აქ უფრო სასტიკია ბრძოლა ბაცილებსა და სისხლის თეთრ ბურთულებს შორის და, თუ იყალმყოფობა არ გართულდა, ორ კვირეზე ან ცოტა მეტზე ჰქონდა.

დაგვრჩა ხურვება ანუ საოფლებ, რასაც ექიმები შებრუნებითი სახადს უწოდებენ.

რას ამტკიცებს ხალხური სახელი?

იმას, რომ ამ სახადმა დიღი სიცხე იცის და ოფლი.

ექიმები კი იმიტომ უწოდებენ შებრუნებით სახადს, რომ ამ იყალმყოფობამ შებრუნება იცის და განა ერთხელ და ორჯერ, — სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ და ხანდახან მეტჯერაც.

როგორც ყოველ მოარულს, შებრუნებით სახადსაც თავისი ბაცილები ჰყავს, ამიტომ ეს სახადიც გადამდები იყალმყოფობაა.

ამ სახადის ბაცილები არ არიან არც ჰაერში, არც წყალში.

ისინი არსებობენ და მრავლდებიან მხოლოდ იყალმყოფის სისხლში.

— მაშ რა გზით გადადის ეს სენი იყალმყოფიდან კარგამყოფზე? მეკითხებით.

ოქვენ იცით ორი მოარული, რომლის ბაცილებიც იდამიანის სისხლში მრავლდებიან.



ეს არის დამპილი ციტატა და პარტიასტიანი სახადი.

ციტატის ბაცილები ივალმყოფიდან კარგამყოფზე გადააჭირებულოს.

პარტიასტიანი სახადის ბაცილები გადააჭირებს.

შებრუნებითი სახადის ბაცილები კი უნდა გადააჭიროდეთ ივალმყოფის სისხლიდან კარგამყოფის სისხლში კედლის ტილებს.

თუ კედლის ტილამ დაკმინა შებრუნებითი სახადით ივალმყოფი და შემდეგ კარგამყოფს უკმინა, სწორედ იმგვარადა გაფიტანს ამ სახადის ბაცილებს საღი ადამიანის სისხლში, როგორც ტილს გადააჭირებს პარტიასტიანი სახადის ბაცილები.

პარტიასტიანი სახადით ივალმყოფის სისხლი სავსეა ამ სახადის ბაცილებით.

იგრეთვე შებრუნებითი სახადით ივალმყოფის სისხლი როდესაც გასინჯეს, შეიც აღმოჩენდა მრავალი ბაცილა მოვრძოდ და ქახრაჟის მსგავსი ტანისა.

სნეულება იწყება ერთბაშად.

ივალმყოფს შეამცირებს, დაამტვრევს ტანში და შემდევ ჩაიგდებს სიცხეში, რომელიც მალე აღის ორმოც მენაკზე, ორმოცად ერთზე და ზოგჯერ მეტზედაც,

ივალმყოფს ზოგჯერ გული ერევა, ხანდახან პირს ალებინებს, თავი სტკივა, წელი, წევივები.

ხანდახან ტუჩებზე გამოჰყორის და ცხვირიდან სისხლი წასკდება ხოლმე.

ხშირად თვალებზე ყვითელი ფერი გადააჭირავს და ლეიძლის ალაგი სტკივა, ოფლი მოსდის.

აზრს ივალმყოფი ძალიან ძეირადა ჰკარგავს.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ერთ კვირას და შემდევ სიცხე ერთბაშად დავარდება. ამავე დროს ივალმყოფი ოფლში იწურება.

ივალმყოფი მოჯობინდება; ხუთი-ექვსი დღე გაივლის, იდგანა კიუეც და სწორედ ამ დროს შეიქცევს; ერთბაშად შეაუებს და შემდეგ დიდ სიცხეს მისცემს.



ოთხი-ხუთი დღე ავადმყოფი სიცხეშია, თავი სტკივა, წელი, წვივები; შემდეგ დაასხამს ოფლს და სიცხე დავარდება ერთბაშად.

გაივლის ერთი კვირა, ხან მეტი და ავადმყოფს ხელახლა შეიქცევს. ოთხი-ხუთი დღე სიცხეშია, შემდეგ ოფლს დაასხამს და სიცხე დავარდება.

ორი-სამი კვირა გაივლის და ზოგჯერ მეოთხედ შეიქცევს; ხანდახან მეტად, მეტვედაც.

ჩვენში უფრო ხშირად საჯერ იცის შექცევა.

— რატომ შეიქცევს ხოლმე, ალბად გაუფრთხილებლობის ბრალი იქნება! ამბობს ეგრ სოლო.

ასეთია ბუნება ამ ავათმყოფობისა

ბაცილები და თეთრი ბურთულები ებრძვიან ერთმანეთს; თეთრი ბურთულები დამარცხებენ და გაანადგურებენ მტერს, მაგრამ მტერის პატარა ნაწილი მოუსვავს და მოასწრებს ვადა-მალვას; მოლონიერდება, დაისვენებს, მოშენდება, დაირაზმება და წამოვა იერიშით სისხლში.

ვიმართება ხელახლი ბრძოლა. დამარცხებული მტერის ნაწილი კიდევ მოასწრებს ვადამალვას, მოშენდება და წამოვა ხელახლი იერიშით.

ასეთი იერიშები მეორდება მანამდე, სანაშ მტერი სრულებით არ ამოწყდება.

შებრუნებითმა სახადმა ძვირად იცის გართულება.

თუ ლრმა მოხუცებული არ არის, ძალიან სუსტი ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში მოერევა სნეულებას და ვალიტანს.

ძალიან ძვირად ამ სახადს ერთვის ფილტვების ანთება, ზოგჯერ თირკმელების ანთება.

ერთიცა და მეორეც — რა თქმა უნდა — საშიშია ავადმყოფისათვის. მოვლა იგივეა საჭირო, როგორც საერთოდ ყოველი სახადის დროს.

სითბო უნდა ზომიერი, თავი გრილად უნდა შეინახოთ, ძარითა და წყლით ზილოთ დღეში რამდენჯერმე, საჭმელი ძლიით მსუბუქი და ნოკიერი.

14. ზითელი ქარი.

ვსოდათ, ვისმე გამოუვიდა პატარა მუწუკი სახეზე, ხელზე, ფეხზე ან სხვაგან საღმე კანზე.

ვსოდათ, გაიკაშრა საღმე კანი, ან გაიჭრა; უბრალო რამდათ, არც კი აქცევენ ყურადღებას.

ერთ შშეენიერ დღეს შეამცივნებს, მუწუკის, ჭრილობის ან გაყაჩრულის ალაგას ტანი. დასივდება და დაწითლდება.

სიწითლე დღითიდღი მიძყვება კანს, თითქოს მისცურავს, და თანდათან მეტ ალაგს იჭრს.

— სწორეთ გავცივდი და იმაზე მომივიდა, ფიქრობს აეად მყოფი.

— არა, გუშინ რომ წითელი ლვინო გადაჲკარი, — იმისა ბრალია, ეუბნება სახლში მყოფი.

— პილპილის ბრალია, არა ხახვისა, გული გაანჩხლებია. ერთი სიტყვით რამდენი შინაურია, ყველა თავისას ამბობს.

ხომ ვაგიონიათ: მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო! აი ეს ავადმყოფობა ვახლავთ წითელი ქარი.

რა არის წითელი ქარი?

წითელი ქარი არის კანის ანთება!

რა იწვევს ამ ავადმყოფობას?

არც გაციება, არც ლვინო, არც სხვა რამ მიზეზი, — ერთადერთი გამომწვევი წითელი ქარისა არიან პატარა, ლომის კაკალივით მრგვალი ბაცილები.

საიდან შედიან ესენი ჩვენს კანში?

თუ კანი მთელია, არ არის გაყაჩრული, ან გაჭრილი, არ არის ზედ რიმე იარა, ან მუწუკი, ამ შემთხვევაში კანი მოუვალი ციხეა წითელი ქარის ბაცილებისათვის. ყოველი ია-

რა, მუწუკი და ქრილობა—თუნდაც სულ პატარა—წარმოადეს გენს ლია კარებს, საიდანაც წითელი ქარის ბაცილები შედიან ჩვენს კანზი.

— მაშინ ყველა უნდა ხდებოდეს ივად წითელი ქარით, ვისაც კი მუწუკები ან ქრილობა აქვს! მეტყვით თქვენ.

თუ ყველა არა ხდება ივათ, იმიტომ, რომ წითელი ქარის ბაცილები ყველგან არ არის.

ვინც სუფთად იხვევს ქრილობას, იარას ან მუწუკს, იმას ძვირად ემართება წითელი ქარი.

სადაც უსუფთაობაა, წითელი ქარი იქა ჩნდება, რადგანაც კუჭისა და უსუფთაობაში წითელი ქარის ბაცილები იდვილად მრავლდებიან.

ახლად დაბადებულ ბავშს ხშირად ემართება წითელი ქარი კიბილან.

— რატომ? მეკითხება თაფლო.

იმიტომ, რომ უსუფთაო მაკრატლითა სკრით კიბს და უსუფთაოდ უხვევთ.

წითელი ქარი მოედება მთელ მუცელს, თოთო ბავშის გული ვერ უძლებს იმის შხაშს და კვდება.

ვინ დათვლის, რამდენი ბავში დალუპულა პირველ კვირაშივე მხოლოდ უსუფთაობის წყალობით.

წითელი ქარი შეიძლება გაჩნდეს ჩვენი სხეულის ყოველ ალაგას, სადაც კი კანია.

ხშირად ის იწყება სახეზე.

ივადმყოფს არა აქვს არც მუწუკი, არც ქრილობა ზოგჯერ, მაგრამ თუ კარგიდ ჩაუკვირდებით, ან იმაში, ან კისერზე, ან ცხვირში აღმოაჩინთ სულ უბრალო მუწუკს, საიდანაც გაძვრებოდენ ტანზი წითელი ქარის ბაცილები. ეს ბაცილები ცხვრის ფარის მიემსგავსებიან: ერთ ალაგას რომ გამოსძლებიან, შემდეგ ალაგს გაუინაცვლებენ. ხანდახან თავიდან რომ დაიწყება წითელი ქარი, გაძყვება კანს, შეწოივლის მთელ ტანს და ფეხის ბრჩევის ბრჩევილებამდე ჩავა.

სნეულება იწყება ერთბაშად.

ავალმყოფს შეაციებს და შემდეგ ჩააგუდებს სიცხეში კუნძულის
სიცხე აღის თუდა ცხრამეტი, ორმოც, ზოგჯერ ორმოც
და ერთ მენაკეშდე. ავალმყოფს თავი სტკივა, პირი უშრება,
ხშირად გული ერევა.

იმ ალაგას, საიდანაც წითელი ქარი იწყება, კანი სიედე-
ბა და წითლდება.

სამსივნე და სიწითლე ერთ ალაგას არის გაჩერებული,
შემდეგ აქ ცხრება და მახლობელ ილაგას იწყება, ადგილ
ინაცვლებს.

მიცურავს, გადახტომა კი არ იცის.

თუ სახეზე გაჩნდა, თვალები სივდება, ცხვირი, უურება,
ტუჩები, ხოლო ერთად არა, — რიგ-რიგობით

წითელი ქარი ზოგჯერ მალე რჩება:

ერთი ან ორი კეირის განმავლობაში.

ზოგჯერ კი თუ მთელ კანს მოედო, ორ თვესაც გადა-
ცილებს.

მორჩინის შემდეგ ავალმყოფს კანი ექერულება და ძვრება
ნაავალმყოფარ ალაგას.

წითელი ქარი საერთოდ არ არის საშიში ავალმყოფობა.

მართალია, იცის მან გართულება: ფილტვების ანთება,
თირქმელების ანთება, ტვინის აპკების ანთება, მაგრამ ძალიან
ძვირად.

უფრო ხშირად ის ერევა და უერთდება თოთო ბავშებსა
და მოხუცებულებს.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ორივე ასაკში თეთრი
ბურთულები სუსტი არიან და აეიდმყოფობის ბაცილებს ვერ
უმკლავდებიან.

ამის გამო ბაცილები თავისუფლად დათარეშობენ ავალ-
მყოფის სხეულში, გაძვრებიან ფილტვებში, ტვინის აპკებში
და უსპობენ სიცოცხლეს.

წითელი ქარი განსაკუთრებით მაგრადა ჰკიდებს ხელს და
უძნელდება ლოთებს.

— გადამდებია წითელი ქარი? მეკითხებით თქვენ.



წითელი ქარი არის მოარული ავადმყოფობა და, როგორც ყოველი მოარული, გადამდებია.

მხოლოდ ვისაც ჭრილობა არა იქნეს, მას არ გადაედება.

ჭრილობიანი, წითელ ქარიან ავადმყოფს უნდა დაერიდოს.

ამიტომაც არის, — როდესაც წითელი ქარი საავადმყოფოში გაუნჩდება ვისმე მაშინათვე განაცალკევებენ, რომ იმისაგან დანარჩენ ჭრილობიანებს არ მოედოს ეს სენი.

წითელმა ქარმა მოხდა არ იცის.

პირიქით — ვისაც ეს სენი გადაუტანია, მეორედ და მესამედ მას უფრო აღვილად ემართება.

ამიტომ ვისაც ერთხელა ჰქონია წითელი ქარი, ის ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდოს ყოველგვარ, სულ უბრალო, მუწუკს სახეზე, სუფთად შეიხვიოს და მაღვე მოირჩინოს.

15. სისხლის მოწამლა.

გაგეგონებათ უთუოუ: ამა და ამ ადამიანს სისხლი მოწამლამ, მაგრამ რა არის სისხლის მოწამლვა, ან საიდან ჩნდება ის, ეს თქვენ არ იცით.

ადამიანის სხეული ჩამჯდარია ჯავშანში.

სანამ ეს ჯავშანი მოელია, სხეულიც დაფარულია ბეჭრი გვარი მტრებისაგან.

ადამიანის მტრეს წარმოადგენენ სხეადასხვა სნეულების ბაკილები.

ზოგიერთი ბაკილები ჰაერიდან დაესხმიან ჩვენს სხეულს, აიღებენ ფილტვებს და იქდან შემოსევიან მას.

ზოგი თავს გვესხმის კუპ-ნაწლავებიდან, საშარდე მილიდან, ყურიდან, კანიდან.

სისხლი არ მოწამლება არავის, თუ შიგ არ გაჩნდენ ბაკილები, მაგრამ ყოველნაირ ბაკილებს ხომ არ შეუძლიათ სისხლის მოწამლვა.

თუ პარტახტიანი სახადის ბაკილები გაძერენ სისხლში, ისინი გამოიწვევენ მხოლოდ პარტახტიან სახადს.

თუ შებრუნებითი სახადის ბაკილები გაძერენ შიგ, გამოიწვევენ მხოლოდ შებრუნებითი სახადს,—ხურვებას, თუ ციებ-ცხელების ბაკილები გაჩნდენ სისხლში, ადამიანი ავად ხდება დამპალი ციებით.

ერთი სიტყვით ყოველგვარ მოარულს თავისი ბაკილები აქვს.

რომელი ბაკილები იწვევენ სისხლის მოწამლვას?

ხშირად საღმე კანზე გამოვა პატარა მუწუკი, ჩადგება შიგ ჩირქი, მალე გამოიჩიტყვება და ჰქრება.

ზოგჯერ კანზე გამოდის ძირმაგარა მუწუკი, თვალი, ბეღნიერი, ჩადგება შიგ ჩირქი, გამოიჩიტყვება და ხმება.



რა იწვევს აქ კანის დასიებას, დამუშტუკებასა და დამწიფებას?

დამაჩირქებელი ბაცილები.

გამოხვრული კბილიდან გაძვრებიან ისინი ღრძილში, ასიკებენ და აჩირქებენ მას.

გაკაწრულ ალაგას დაბინავდებიან კანში და აჩენენ მუშტუკებს.

ჩაძრებიან კანის საოფლე ჯირკვლებში და იწვევენ ძირმაგარას, თვალს, ბელნიერს.

— მაგაზე მეტი მავნებლობა თუ კი არ შეუძლიან, კიდევ არაფერი! გვეუბნება ეგერ ალფეზა.

მაგას ეხლავე გავიგებთ.

პირველის შეხედვით თითქოს მართლაც არ არიან დიდად საშიშარი:

პატარა მუშტუკს, ძირმაგარას, ღრძილის დაჩირქებას გაუძლებს იდამიანი.

მაგრამ, თუ ერთი სისხლისაკენ გაძვრენ როგორმე, აბა მაშინ უნდა უყუროთ, ლომივით ვაუკაცს რამოდენიმე დღეში გააგორებენ თავისი საშინელი შხამით.

უფერ პატარა მუშტუკში, რომელიც ჩვენ გამოგვდის კისერში, ზურგზე ან საღმე კანზე, იმდენი ბაცილებია ჩირქისა რომ, თუ სისხლში გაუშვით, ხელათ მოსწამლავენ და იმის პატრონს ფეხებს გააჭიმინებენ.

როგორ გაძვრებიან ხოლმე ეს ბაცილები სისხლში?

ჭრილობიდან, სარის ან ლურსმანის ნაჩველეტიდან, ძირმაგარა მუშტუკიდან, ხშირად კიდევ საშვილოსნოდან, როდესაც ორსული ქალები მუცელს იხდენენ და სხვ.

როდესაც გაძვრებიან ეს ბაცილები სისხლში, მაშინათვე კი არ გამოაჩინდება ივაღმყოფს სისხლის მოწამლეის ნიშნები.

პირველ დღეს ავაღმყოფს ტანში აერიალებს, სისუსტესა და თავის ტკივილსა გრძნობს, შემდეგ ერთბაშად შეამცივნებს, დაამტვრევს ძვლებში, მისცემს დიდ სიცხეს, გული ერევა, პირს აღებინებს, ფაღარათი აუტყდება, თულს ასხამს, სიცხე ხან კლებულობს, ხან ისევ აიწევს შეციების შემდეგ.

ავადმყოფს სახსრები სტკივა, სტეხავს, უსივდება ზოგჯე, ბოდავს, აზრსა კარგავს და უმეტეს შემთხვევაში მალე კვლება.

ასეთი მიცვალებული რომ გაჭრათ, დაინახავთ, რომმავალი შიგნეულობა გამოტენილია პატარ-პატარა ფეტვის მარცვლის ოდენა ჩირქიანი ხორკლებით.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ავადმყოფი არ კვლება პირველ დღეშივე, არამედ უძლებს რამოდენიმე კვრეს, ზოგჯერ რამოდენიმე თვესაც და შემდეგ გამორჩება ამ მაინც ვერ გადიტანს.

ავადმყოფობა მიმღინარეობს ციებ-ცხელების მსგავსად:

ხან ავარდება სიცხე თრმოცული ერთ მენაკამდე (გრალუ-სამდე) ხან დავა 35-მდე.

ავადმყოფი თანდათან სუსტდება და კვლება.

ზოგიერთი ავადმყოფი გამოვა იმდენად მაგარი, რომ მისი სისხლის თეთრი ბურთულები ბოლოს და ბოლოს სასტიკ ბრძოლის შემდეგ დაამარცხებენ სისხლის მომწამლველ ბაკოლებს და გადენიან სისხლიდან, მაგრამ ბაკილები დაიბნევიან კუნთებში, ძვლებში, ასიებენ და აჩირქებენ მათ.

მაშინ ჩნდება მრავალი პირქვე მუწუქი ხელებში, ფეხებში, გვერდებზე, ძვლებში.

თუ ჩირქი შიგნეულებაში არ დაიბნა და გარეთ გამოიჩინა, ავადმყოფი რჩება.

თუ შიგნეულობაში დაიბნა, დააჩირქებს ფილტვებს, თირკმელებს, ლვიძლს, გულს და მორჩენა შეუძლებელია.

ამგვარად, სისხლის მოწამლვა ხან უცება ჰკლავს აღამიანს — ორ-სამ დღეში, ხან რამოდენიმე კვირას გასტანს და მაშინ ბევრი გადიტანს ავადმყოფობას.

ჩირქის გამომწვევი და სისხლის მომწამლავი ბაკილები დიდიანსა ძლებენ ჰაერში, მიწაზე, მტვერში.

რითი უნდა დავითაროთ თავი სისხლის მოწამლვისაგან? ერთადერთი საშუალება არის სისუფთავე.

უოველგვარ მუწუქს, ყოველგვარ კრილობას, ყოველგვარ წყლულს ძალიან სუფთად უნდა მოვლა და შეხვევა.



— ჩვენი წამალი ქრისტიანობისათვის აბლაბუდაა, ჭვარტლი
და ცხენის განავალი! ამბობს ეგერ თომა.

ეს იყო შედეგი უკოდინარობისა.

დღეს თქვენ იცით მიზეზი სხვადასხვა ავადმყოფობისა;
ვაგებული გაქვთ, რომ ყოველგვარ მტვერსა და უსუფთაობა-
ში აუარებელია სხვადასხვა მავნებელი ბატალები.

ამიტომ დარწმუნებული ვირ, ძველ შეცდომებს აღარ გა-
იმეორებთ.

თქვენ უნდა ააშენოთ ახალი ცხოვრება შრომასა და ცო-
დნაზე და დაუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ თავისუფალ
გლეხსა და მუშას სასწაულის მოხდენა შეუძლიათ.

ძალიან ხშირად იწვევს სისხლის მოწამლეებს მუცლის მოშლა-
ყოველმა ქალმა, რომელიც მუცლის მოშლას განიზრა-
ხავს, უნდა კარგად იცოდეს, რომ იდვილად შეიძლება, თავი
გადაატანოს.

16. ხორგელა.

სხვადასხვა მოარელის გავრცელებას რომ უსუფთაობა დიდად უწყობს ხელს, ამას საუკხოვოთ ამტკიცებს ხორველა.

სადაც ხალხი სუფთადა სცხოვრობს, იქ ხორველა ფეხსვერი იყიდებს.

კიდეც რომ გაჩნდეს რაიმე შემთხვევეით, მალე ისპობა.

სადაც ხალხი ბინძურად სცხოვრობს, იქ ხორველა აღვალადა ჩნდება და, თუ ერთი გაჩნდა, სწრაფად ვრცელდება.

წინათ ჩვენში ხორველა არა ჰყოფილა.

ხორველა ინდოეთის აყალიბურიბაა.

აქეთკენ გადმოიტანეს ის ამ ასი წლის წინად და მას შემდეგ დროდა დრო წამოჰყოფს ხოლმე თავს.

ეკროპაში ხალხი შეგნებული და განითლებულია, კარგად მოწყობილი.

ამის გამო იქ ხორველა უკვე დამარცხებულია; კიდეც რომ იჩინოს სადმე თავი, მაშინათვე ჩააქრობენ და გავრცელების საშუალებას არ აძლევენ.

ჩვენ ცოდნა გვაკლია, არა ვართ შესატერისად მოწყობილი და ამიტომ ხორველა აღვილად გვიბრიყვებს და გეერება.

ხორველის მიმდინარეობა და გავრცელება აშკარად ასტკიცებდა, რომ მას ბაცილები იწვევდენ, მაგრამ ეს ბაცილები ვერავინ აღმოაჩინა.

მხოლოდ 1883 წელს აღმოაჩინა ხორველის ბაცილება გერმანელმა მეცნიერებმა კოხმა, და დაამტკიცა, რომ სწორებეს ბაცილები იწვევდენ ხორველას.

სხვათა შორის, ამავე მეცნიერმა აღმოაჩინა ჭლექის ბაცილებიც.



ხორველის ბაკილები მომსხო ტანისაა, ცოტა მოხრილი, თავი აქვთ მსხვილი, ბოლო წერილი—ლოქოსავით.

სიშინლად უყვართ სინესტე და სითბო.

ნელთბილ წყალში გაშინათვე ამოძრავდებიან.

სწრაფად მრავლდებიან უყველებან, სადაც კი სინესტეა.

სიმეტე საშინლად ეჯავრებათ:

იმათ საზრდოს თუ გაერია ძმარი, ან სხვა რაიმე სიმეტე, სნეულდებიან და ხშირად კიდეც იხოცებიან. როდესაც ვინმე ხორველით გახდება ავად, სად იმყოფებიან ხორველის ბაკილები? მეკითხებით თქვენ.

ავადმყოფის ნაწლავებში.

ხორველით რომ ვინმე აეად გახდეს, საჭიროა, რომ იმის ნაწლავებში ხორველის ბაკილები დაბინავდენ.

ნაწლავებში ჩასვლა კი ბაკილებს შეუძლიანთ მხოლოდ სასმელ-საკმელთან ერთად.

როდესაც ხორველა განიდება სადმე, მისი ბაკილები მრავლდებიან წყალში, ხილზე, მწვანილზე.

ბაკილებს ავრცელებენ თვითონ ავადმყოფები, რადგანაც მათი განავალი გარენილია ხორველის ბაკილებით.

განავალს გადააქცევენ უალაგო ალაგს, ხშირად ის ერთვის მდინარეს და ამგვარად მთელი მდინარე იწამლება.

განავალს ასხდებიან ბუზები, რომლებსაც აქედან გადა- აქვს ბაკილები პურზე, საკმელზე, ხილზე უა სხვ.

ხორველა შეიძლება გავრცელდეს ყოველთვის, მაგრამ ხორველის ბაკილებს სიცივე არ უყვართ, ამიტომ ეს სენი უფრო ზაფხულობით ვრცელდება.

გაძვრებიან თუ არა ხორველის ბაკილები აღამიანის ნაწლავებში, მაშინათვე კი არ იწვევენ ავადმყოფობას, არამედ მხოლოდ სამი-ოთხი დღის შემდეგ.

სხვადასხვა პირზე ხორველა სხვადასხვანაირად მოქმედობს; ერთს ისე ადვილადა ჰკიდებს ხელს, რომ ავადმყოფობა არც კი ეტყობა: ცოტა ფაღარათი აქვს, სისუსტე და რამოდენიმე დღეში სრულებით იკურნება.

მეორეს კი ისე უძნელდება, რომ რამოდენიმე სათქ.,
სიცოცხლეს უსპობს.

ხანდახან ხორველა იწყება იოლად და შემდეგ ძნელდება;
ზოგჯერ კი თავიდანვე მაგრად ჰკიდებს ხელს.

ზოგჯერ ხორველა იწყება ერთბაზათ: სრულებით საღა-
ლამათ ადამიანს აუარდება ფალარათი, აუტყდება პირისლება-
ნება, საშინლად სუსტდება, ხელფეხი უცივდება და სიმწრის
ოფლს ასხამს.

სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში იმდენად გამო-
ცვლება, რომ ცნობა გაგიძნელდებათ.

უმეტეს შემთხვევაში ხორველა იწყება ნელა-ნელა.

ორი-სამი დღის განმავლობაში ავადმყოფს აფალარათებს
ზომიერად, არ აწუხებს, არც უწევება.

შემდეგ ფალარათობა მატულობს, ზედ ერთვის გულისრე-
ვა, პირის ლებინება, საშინელი სისუსტე.

განავალი ბრინჯის ნახარშევსა ჰგავს; სუნი არა აქვს.

ავადმყოფს პირი და ენა საშინლად უშრება, წყურევილ
აქვს და საჭმლის მაღა კი სრულებით დაკარგული. მუცელი
რბილი და ჩავარდნილია.

მუცლის ტკივილი ავადმყოფს არ აწუხებს, ხშირად მხო-
ლოდ წვა აქვს ჭიბის გარშემო.

ავადმყოფს იმდენად უსუსტდება გული, რომ მაჯა ძლიერ
უცემს; სახე, ცხვირი, ხელფეხი ყინულივით უცივდება, ლო-
კუბი ჩავარდნილი აქვს, თვალები ჩაცენილი და ჩაშვებული,
ტუჩები დალურჯებული, ცხვირი გამშრალი და წაწვრილებუ-
ლი მომაკვდავსავით, სახეზე მიწის ფერი იდევს.

სიცხე ხორველიანს ძალიან ძვირადა აქვს; უმეტეს შემთ-
ხვევაში სიცხე ძალიან დაკლებულია.

სისუსტისა გამო ავადმყოფს ლაპარაკი უძნელდება; ხე-
ლებსა და ფეხებში, განსაკუთრებით წვივებში კუნთები ეჭიშ-
ბა, ეკრუნჩხება და სტკივა; შარდი ძალიან მოკლებულია და
და ხანდახან სრულებით ალარ მოსდის ავადმყოფს.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ორი-სამი დღე. თუ



ავადმყოფმა გაუძლო ამ ხნის განმავლობაში, პირისღებინება შეწყდება, ფალარათი ნელა-ნელა კლებულობს; ავადმყოფს ფერი და ძალა ემატება, მაჯა უმაგრდება და ერთი ან ორი კვირის განმავლობაში სრულებით გამომრთელდება.

ხორველა იშვევს ნამეტან სისუსტეს გულისას და სწორედ ესა ხდება ხშირად სიკვდილის მიზეზი.

— რა ასუსტებს ასე გულს? მეკითხება თომა.

ხორველის ბაცილების შხამი.

ხორველის ბაცილები მრავლდებიან ავადმყოფის ნაწლავებში, ამზადებინ ერთგვარ შხამს; ეს შხამი ნაწლავებიდან გადადის ავადმყოფის სისხლში და ამგვარად სწამლავს გულს.

თუ ავადმყოფს გული მაგარი აქვს, კიდევ იმედია, რომ გადიტანს.

თუ გული სუსტი აქვს, გადატანა ძალიან გაუჭირდება.

ამიტომ ლოთი აღამიანი ძვირად გადიტანს ხორველას.

რათ აშავებს ხორველა ავადმყოფს? მეკითხებით.

ხორველა ძალიან ასუსტებს გულს, გული ძლიერ მუშაობს, სისხლს კედარ ერტყება, სისხლი ნელა მოძრაობს, ზოგან ჩერდება და ამის გამო ავადმყოფს მიწის ფერი დაედება ხოლმე.

ხორველის დროს არაყი და ლვინო მარგებელიათ, მართა ლია? ჰკითხულობს დომენტი.

— ზომიერად სმა სასარგებლოა, ლოთობა კი ყოველთვის დაძლუბეველია და განსაკუთრებით ხორველობის დროს.

დამტკიცებულია, რომ ვისაც კუჭი კარგი აქვს, ის ხორველით ძვირად გახდება ავათ.

ლოთ აღამიანს კუჭი არ უვარგა; ამიტომ ხორველა მას უფრო ეტანება.

მე აგიხსენით, რომ ხორველის ბაცილებს საშინლად სძულო სიმევე.

მოგეხსენებათ, კუჭი ამზადებს მეავე წვენს, რომელიც ხორველის ბაცილებს ჰქოცავს.

ამიტომ ვისაც კუჭი კარგი აქვს, კიდეც რომ ჩავიდენ შიგ ორველის ბაცილები, უმეტეს შემთხვევაში იხოცებიან.

ხორველობის დროს განსაკუთრებით უნდა გაუფრთხოლ.
დეთ კუჭს, რომ ლოთობითა და ცუდი საჭელით არ გა-
ფუჭოთ.

ხორველის დროს გაუსინჯიათ ხოლმე საღი აღამიანება.
განავალიც და ზოგან უპოვნიათ ხორველის ბაცილები. ამგვა-
რად, აღამიანის ნაწლავებში გამძვრალიან ხორველის ბაცილები,
მაგრამ იყად მაინც არ გამხდარა.

— რითი აიხსნება ასეთი შემთხვევა? შენა კითხულობ,
საჩინო?

აი რითი:

თუ ნაწლავები სრულებით საღია, შესაძლებელია ხორ-
ველის ბაცილებმა ვერ მოიკიდონ იქ ფეხი უა დაიხოცონ, ან
განვევალს გამოჰყენ.

თუ ნაწლავები ცოტათი მაინც დაავადმყოფებულია, მა-
შინ ადვილად მრავლდებიან იქ ხორველის ბაცილები.

ხორველობის დროს ხშირია უბრალო ფალარათი.

ხორველიც სწორეთ ისეთ პირებს ემართებათ, ვისაც კუ-
ჭი ცოტათი მაინც აქვს მოშლილი.

ამიტომ ხორველობის დროს დიდი ყურადღება უნდა მი-
აქციოთ ნაწლავებს და, თუ ცოტათი მაინც არის კუჭი მო-
შლილი, მიიღოთ ზომები, რომ მაღვე მოიჩინოთ.

ხალხში სახელი აქვს მოხვევილი ხორველობის დროს ნიორს.

ზოგიერთი ჯიბით ატარებს, ილარ შემხვდებათ.

არავითარი გავლენა ხორველის ბაცილებზე ნიორს არა აქვს.

რაღანაც კუჭის მეზე წვენი ხოცავს ბაცილებს, ამიტომ
სიქირია, რომ ხორველობის დროს კუჭში მუდამ იყოს მეზე
წვენი.

ეს წვენი მოჟვენავს კუჭის კედლებიდინ მხოლოდ მაშინ,
როდესაც კუჭში საჭმელია, ამიტომ ხორველობის დროს სა-
ჭმელი უნდა სჭიმოთ ხშირათ, მაგრამ ბევრ ჭამის კუჭი ვერ
აიტანს, დასნეულდება.

— ვერც ბეღელი აიტანს? მესმის დომენტის ოხუნჯობა.

— ეგებ მართალია!



ხორველობის დროს უნდა სქიმოთ ცოტა და ხშირად. ბევრი წყალის სმა ხორველობის დროს მავნებელია, რა-დგანაც ის ათხელებს კუჭის წვენს და ძალას უკარგავს.

ბევრი ღვინო კიდევ უფრო მავნებელია ხორველობის დროს, რადგანაც კუჭის წვენის გამოუვენას საშინლად აბრ-კოლებს, თანაც გამონაევენს ათხელებს და ძალას უკარგავს:

ზომიერად სმა სასმელებისა ხორველობის დროს მარგე-ბელია, რადგანაც ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოუვენას.

ამავე მიზნით სასარგებლობ საჭმელებში გარევა ძმარისა, ტყემალისა, პილპილისა, ხახვისა, ნიორისა.

რადგანაც ხორველის ბაცილები საშინლად მრავლდებიან წყალში, ამიტომ მდინარის წყალი სასმელად არ უნდა იხმა-როთ ხორველობის დროს.

უცელასა სჯობია წყაროს წყალი და ოდუღებული წყალი.

ხორველა ბევრჯერ იწვევს ფილტვებისა, ნაწლავებისა და თირკმელების ანთებას.

ბევრია მაგალითი, როდესაც ოვალმყოფი ხორველას გა-დაურჩება, მაგრამ ფილტვების, ან თირკმელების ანთება და-ერთვის და გადაძყვება თან.

თუ მეზობლად ხორველა გაჩნდა, დარიდება უმჯობესია.

თუ პირიდან წამონაღები არ მოგეცხოთ, ან განავალი, ისე ხორველიანი საშიში არ არის, მაგრამ ნათქვამია: სიფრთ-ხილეს თავი არა სტკივო.

ხორველიანი უნდა იწვეს ცალკე; უნდა ზილოთ ხშირად მაგარი არაყით.

უეხებში შეუწყოთ ცხელი წყალით საესე ბოთლები, ად-ლიოთ პატარ-პატარა კარგი ღვინო, წყალი ასეათ ხშირად.

დანარჩენი ექიმის საქმეა.

დიდი გაფრთხილება უნდა განავალს, რომ ხორველა არ გვარცელდეს.

ხორველიანის განავალი საესეა ბაცილებით.

ამიტომ განავალი უნდა დასწვათ, ან შორს ყანაში მიწა ამოთხაროთ, შიგ გადალვაროთ ხოლმე და ზევიდან კირი მოა-

ყაროთ, თორემ ბუზები დაასხდებიან და შემდეგ წყალს, პურს ან სხვა საჭმელს გასვრიან.

— ი თხერ ბუზსა ნეტავი არა ხვდება ხორველი? შენა ჰქითხულობ, იაკობ?

სამწუხაროდ ბუზის აგებულობას ხორველი არ ეკარება და ამიტომ ვერცა ჰხოცავს.

პირიქით, შემჩნეულია, რომ ხორველობის დროს ბუზი განსაკუთრებით ბევრია.

— ხილი სულ არ იქმება ხორველის დროს? გვეკითხება თოშა.

სოფელში კარგი მოსული ხილი უწყინარია.

დღეს ჩვენ უკვე გვაქვს მეტად კარგი საშუალება ხორ-ველის წინააღმდეგ - აცრა.

ხოლო ამ აცრას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ძალა, როგორც ყვავილის საწინააღმდეგო აცრას.

როგორც საღმე გაჩინდება ხორველი, სულ ყველამ უნდა აიცრას.

აცრალს რამოდენიმე თვის განმავლობაში მაინც ხორველი არ შეხვდება და, თუ შეხვდა, გადიტანს.

— .

17. ადამიანის ცოდი.

არის ბევრი მოარული, რომელიც მხოლოდ ადამიანს ას-
ნეულებს, პირუტყვებს კი ვერა.

სამაგიეროდ არის ისეთი, რომელიც პირუტყვაც ასნეუ-
ლებს, ადამიანსაც.

ისეთია ცოფი, ციმბირის ჭირი, ქოთამ.

ერთიც, მეორეც, მესამეც უმაღ პირუტყვებს ასნეულებს
და იმათგან ადამიანს გადაედება ხოლმე.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ცოფი არის ძალლის
ავალიყოფობა, მგლის, კატის, შინაური საქონლისა. ყოფილია
შემთხვევა, როდესაც ფრინველებსაც დამართნია ცოფი.

ცოფით რომ ვინმე გახდეს აფაღ, საჭიროა, რომ ის დაპ-
კბინოს ცოფიანმა პირუტყვმა.

აქედან ცხადია ორი რამ: პირველი ის, რომ ცოფი გა-
დამდებია; მეორე ის, რომ ცოფს იწვევენ ერთგვარი ბაცი-
ლები.

ადამიანი მხოლოდ მაშინა ხდება აფაღ, როდესაც ეს ბა-
ცილები იმის სისხლში შევლენ.

შემჩნეულია, რომ ცოფიანი ძალლისაგან დაკბენილი ყო-
ველოვის არა ხდება აფაღ.

რაც უფრო ღრმა არის ნაკბენი ჭრილობა, მით უფრო
მოსალოდნელია გაცოფიანება.

ცოფიანი პირუტყვის ნერწყვი სავსეა ცოფის ბაცილებით.

როდესაც ასეთი პირუტყვი კბილებს ჩაასობს ადამიანს,
ნაკბენში—რა თქმა უნდა—ნერწყვი ჩავა, ნერწყვს თან ჩაპ-
ყვება ცოფის ბაცილები.

ნაკბენიდან ისინი გაძვრებიან სისხლში, მოშენდებიან იქ
და თავისი შხამით გამოიწვევენ ცოფს.

ამ ავადმყოფობის ბაცილები განსაკუთრებით ეტანებიან თავის ტვინს.

ცოფიანის ტვინი—ძალლი იქნება ის თუ ადამიანი—გა-ტენილია ცოფის ბაცილებით.

აღმად ტვინი ისეთი საზრდოა, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს ამ ბაცილებს.

ამიტომ, რაც უფრო ახლოს არის ცოფიანისაგან ნაკბენი ალაგი ტვინთან, მით უფრო აღვილავ და მალე გამოაჩინდება დაკბენილს ცოფი. აი, მაგალითად, თუ ფეხი იქვს დაკბენილი, შეიძლება სულაც არ გამოაჩინდეს ან გამოაჩინდეს გვიან.

თუ სახე აქვს დაკბენილი, მაშინ უსათუოდ გამოაჩინდება და მალეც.

ცოფიანი ძალლისაგან ან მგლისაგან სახის დაკბენა განსაკუთრებით საშიშია.

უოველ მოარულს თავისი მალული დრო აქვს.

მოარულის ბაცილები რომ შევლენ ადამიანის ტანში, მაშინვე კი არ იწვევენ ავადმყოფობას, არამედ უნდა გაიაროს რამოდენიმე დღემ, ზოგჯერ რამოდენიმე კვირამაც.

ცოფიანი პირუტყვისაგან დაკბენილ ადამიანს ცოფი გამოაჩინდება დაკბენილან საში კვირის, ორი თვის, სამის, ექვსი თვის და იშვიათ შემთხვევაში ორი—საში წლის შემდეგ.

— ტანისამოსზე ან ხელზე რო მოეცხოს ცოფიანი ძალლის დორბლი ან სისხლი, არ გახდება ავადა? მეკითხება ივანე.

— არა, არ გახდება.

უნდა ისე დაჰქინოს, რომ სისხლი გამოვიდეს, მხოლოდ მაშინ გადაედება ცოფი.

ნაკბენი რჩება ხშირად უწიამლოთაც.

ცოფის გამოაშეარავების წინა დღეებში ცოფიანს დაკბენილი ალაგი უწიოთლდება და სტკივა.

ავადმყოფი დამტვრეულია, სუსტად და უგუნებოდ არის, თავი სტკივა.

შემდეგ მოიწყენს, ცუდ გუნებაზეა, დალონებული, გულზე



სევდა აწვება და გამოურკვეველ შიშს განიცდის, პატარა სი-
ცხე აქვს.

მეორე დღიდანვე იწყება ნამდვილი გაცოფიანება.

ავადმყოფს სუნთქვა უძნელდება, განსაკუთრებით ამო-
სუნთქვა, ეკრუნჩხება საყლაბავი მიღი და არც გადაყლაბვა
შეუძლია, არც დალევა.

საქმარისია წყალი დაინახოს, რომ ყელი მოეკრუნჩხოს
და საშინელი ტკივილები იგრძნოს.

ავადმყოფი შბოდავს, შფოთავს, ბორგავს, დარბის, ამტვ-
რევს აუც მოხვდება, ყვირის, ლრიალებს.

გაიღლის ნახევარი საათი, ცოტა მეტი, ან ნაკლები და
ავადმყოფი დამშეიდდება, დაწყნარდება, აზრი და გონება უბ-
რუნდება.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ დაიწყებს ბოდვას, ყვირილს,
ბორგავს და სხვ.

ავადმყოფი მალე კვდება ასეთ მდგომარეობაში.

ზოგჯერ კი ავადმყოფი დამშეიდდება, დადინჯდება, შემ-
დეგ მისცემს სიცხეს, თანდათან დასუსტდება, მოეშვება, მოდუნ-
დება და დამბლავებულსავით კვდება.

ამგვარად, ავადმყოფობა გრძელდება ორი-სამი დღე და
უკველთვის თავდება სიკედილით.

— ცოფიანი არა რჩება განა? მეკითხება პეტრია.

რაკი აღამიანს ცოფი გამოაჩინდება, მისი მორჩენა ყოვლად
შეუძლებელია.

— აცრას რომ ამობენ? შენა ჰქითხულობ სოლო?

აცრა მეტად კარგი საშუალებაა.

ის გამოიგონა საფრანგეთის მეცნიერება პასტერმა.

ხოლო აცრა შვერლის მანამდე, სანამ დაკბენილ აღამიანს
ცოფი გამოაჩინდებოდეს.

რაკი ცოფის ნიშნები გამოაჩინდება, მაშინ აცრაც უქმია—
აღარას შვერლის:

— ბრაზს რო უძახიან, ბრაზს, ისიც ცოფია? მეკითხება
გოგია.

იმერეთში ცოფის მაგიერად ბრაზს იტყვიან: ძალლი გა-
ბრაზიანდათ.

ჩემსე უკეთ ოქენენ გეცოდინებათ დაკვირვებიდან, რომ
ცოფი უფრო ხშირად ზაფხულზე გამოაჩნდება ხოლმე ძალლს,
როდესაც ცხელა.

როგორ უნდა ვიპატიოთ თავი ცოფისაგან?

როგორც კი გამოაჩნდება ძალლს ან სხვა პირუტყვს ცო-
ფის ნიშნები, მაშინვე უნდა მოკლათ; ცოფიანისაგან დაკბე-
ნილმა კი ღროზე უნდა მიმართოს აცრას.

18. ადამიანის ქოთაო.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ცოფი არის მგლის, ძალლის, კატის, ლორის და ზოგიერთი სხვა ცხოველის ავალ-მყოფობა.

ეს სწეულება ადამიანსაც გადაედება ხოლმე

სწუზარა არის ხარის, ძროხის, ცხვარის სწეულება და ამავე დროს გადაედება ხოლმე ადამიანს.

განა მე ძალლსა და ძუძულა ხარზე ნაკლები გარო, წარმოსთქეა ცხენშა,—მომირომევია ჩემი ქოთაო.

ადამიანის ქოთაო ისეთივე საშინელი სენია, როგორც ცოფი და ჯილდები.

ვისაც შეხვდება, სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს.

ქოთაო არის ცხენის ავალმყოფობა და იცის ყბების და-სიება, ცხვირიდან სქელი, სისხლნარევი ჩირქის დენა, ხველება, წყლისულები ფეხებზე, მუცელზე, მკერდზე.

ავალმყოფი ცხენიდან ქოთაო გადაედება ცხენის პატრონს მოელის დროს.

ეს არის პირდაპირი გადადება ავალმყოფი ცხენიდან.

არის არაპირდაპირი გადადებაც ჰაერის, ან სხვადასხვა ნივთების შემწეობით.

ავალმყოფი ცხენი ფრუტუნებს.

ამ დროს ჰაერთან ერთად ის ცხვირიდან ისვრის ჩირქის წინწკლებს.

ეს წინწკლები დაეცემა თივას, უნაგირს, ან მტვერთან ერთად შეუერთდება ჰაერს.

ჰაერიდან, გასვრილი თივიდან ან უნაგირიდან და სხვ. გადაედება ადამიანს.

თქვენთვის ცხადი უნდა იყოს იმიტომ, რომ ქოთახი
სნეულდებიან უმთავრესად ისინი, ვისაც ცხენებთანა იქნეს სა-
ქე, ცხენებს ინახავს, უვლის და სხვა.

როგორც კი შენიშნავთ, რომ ცხენი ან სხვა რომელიმე
შინაური პირუტყვი იყალ არის, მაშინათვე უნდა შეატყობი-
ნოთ მახლობელ ბეითალს.

— აჲ, აბაბაბა! მოჰკლავს მაშინათვე! ასარსალებს ეგერ
ხელებს სავლე.

რაც მოსაკლავია, უნდა მოჰკლას, მაშ როგორ გინდათ?

ის არა სჯობია, რომ ავადმყოფი ცხენი მოჰკლათ და
ამით იპატიოთ როგორც თქვენი საქონელი, ისე მეზობლებისა
და ხშირათ მთელი კუთხისაც?

უკველ მოარულს, უკველ გადამდებ სნეულებას თავისი
ბაცილები გააჩნია.

ქოთაოსაც ბაცილები აჩენენ.

ქოთაოთი სნეულ ცხენს რომ ჩირქი სდის ნესტოებიდან,
ეს ჩირქი საკვეთ ქოთაოს ბაცილებით.

თუ მათ როგორმე გზა გაიკვლიეს ადამიანის აგებულები-
საკენ, ასნეულებენ მას და იწვევენ ქოთაოს.

როგორ ეწყობა ადამიანს ქოთაო?

ავადმყოფს შეაცივებს და მისცემს დიდ სიცხეს.

ამავე დროს უსივლება ცხვირი, ტუჩები, ლოყები, კისრის
ჯირკვლები.

ცხვირში და სახეზე ცხვირის გარშემო უჩნდება წყლულები.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ერთ კვირემდე.

შემდეგ ავადმყოფს გამოპფენს თავში, ზოგჯერ მთელ
ტანზეც ძირმაგარა ხორკლებს, რომლებიც ჩირქდებიან და
წყლულდებიან.

სხვადასხვა ილაგის კანი ლპება და ჩნდებიან დიდი იარები.
იარები ჩნდებიან პირში, ღრძილებზე.

ავადმყოფს აციებს და აცხელებს, ოფლი სდის, აფალა-
რაოებს, ახველებს, საშინლად სუსტდება, აზრსა ჰეირგავს და
კვდება.



ამგვარად, მთელი ავადმყოფობა გრძელდება რამოდენიმე კვირე და ყველა ავადმყოფი კვდება.

უმრავლესობა პირველ კვირეშივე იხოცება.

როგორ უნდა დაეიფაროთ თავი ამ საშინელი სენისაგან?

არის მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება: რადგანც ამ სწეულებას აერცელებს ავადმყოფი ცხენი, როგორც კი გამოაჩინდება ცხენს ქოთაოს ნიშნები, მაშინათვე უნდა შეატყობით ბეითალს და ავადმყოფი ცხენი ცალკე მოათავსოთ ბეითალის მოსელამდე.

19. ადამიანის ხუზარა.

ცოფს გარდა ადამიანს პირუტყვებისაგან გადაედება ხოლო კიშხირის ჭირი, რომელსაც ჩვენი ხალხი ხუზარას და ჯილდუ უწოდებს.

ხუზარა უფრო მაძოვარი პირუტყვების ავაღმყოფობაა.

ის განსაკუთრებით ეტანება შინაურ საქონელს: ხარი, ძროხას, ცხვარს.

რუზარამ თუ ცხვარში იჩინა თავი, დიდ ზარალს აყენებს მეცხვარეს:

ავაღმყოფიდან კარგამყოფს მოედება და აუარებელი ცხვარი ნაღვურდება.

ამ სნეულებას აჩენენ ერთგვარი ბაკილები, რომლებიც აღმოაჩინა გერმანელმა მეცნიერმა კოხმა.

— რა ყოფილა ე კოხი ამისთანა! იტყვით ოქვენ?

— კოხი მეტად დიდი მეცნიერია: მან აღმოაჩინა ქოქის ბაკილები, ხორველის ბაკილები, ხუზარასი.

კოხის წყალობით ყველა ამ ბაკილებს კარგად ვიცნობთ და ეს გვიადევილებს მათთან ბრძოლას.

მტერი უკვე მიგნებულია, ვიცით ვინ არის და სად იმყოფება.

ამიტომ როცა იქნება, შევსძლებოთ მათ დამარცხებასა და სრულ განაღვურებას.

შორს აღარ არის ის დრო, როდესაც მოარული ავაღმყოფობანი დედამიწის ზურგზე აღარ იქნებან.

როვორც ჰხედავთ, ყოველგვარი ბატონების საქმე ძალიან ცუდა გახლიავთ. ეყოთ რაც იპარპაშეს.

დედამიწა ეკუთვნის მხოლოდ მშრომელ ხალხს და მუქთა-ხორებს ცხოვრებაში ალაგი აღარ უნდა ჰქონდეთ.



ხუზარას ბაკილები უმაღლ შინაურ საქონელს ასნეულებენ,
შემდეგ გადადიან ადამიანზე.

როგორ და რა გზით?

ამ სენის ბაკილები სამი გზით შედიან ადამიანის სხეულში.

პირველია კანი, მეორე ნაწლავები, მესამე ფილტვები.

წარმოიდგინეთ, რომ ხარი, ძროხა ან ცხვარი გახდა ავათ
ხუზარათი.

როდესაც პატრონი ხედის, რომ საქმე ცუდათ არის,
უდანოთ სიკედილი საქონლისა არ უნდა.

დაჰკულავს, გაატყავებს; გატყავებისა და გამოშიგნის დროს
აღვილად შეიძლება: კანი გაიკაწროს ხელებზე.

გავაწრულ კანში შევლენ სნეულების ბაკილები, რომლებიც
პითაც გატენილია ავაღმყოფი საქონელის სისხლი.

ხუზარა ასეთ პირობებში იწყება კანიდან.

პატრონმა მოხარუშა ხორცი ავაღმყოფი საქონელის; ხარ-
შვა დააკლდა, ან შესწევა ცვრიანად.

ასეთ ხორცს უსათუოდ ჩაჰყება სნეულების ბაკილები.

ხუზარათი თუ ძროხა არის ავალ, რექში უთუოდ გამოე-
რევა ბაკილები და აუღულარი რძის სმას შედეგათ მოჰყება
ბაკილების ჩასვლა კუჭში და აქედან ნაწლავებში.

ხუზარა ასეთ შემთხვევებში იწყება ნაწლავებიდან.

ხუზარას ბაკილები არიან ამ სენით დახოცილ საქონლის
ტყავში, მატყლში; აქედან უეროდებიან მტვერს, ჰაერს და იქ
დიღანსა სძლებენ.

თუ ასეთი მტვერიანი ჰაერი ჩაისუნთქა ვინშემ, რაც ჩვე-
ულებრივი მოვლენაა მეტყავეებისათვის, მაშინ ხუზარას ბაკი-
ლები ჩაჰყებიან ჰაერს ფილტვებში და იწყებენ აქ მომრავ-
ლებას.

ასეთ შემთხვევებში სნეულება იწყება ფილტვებიდან.

როდესაც ხუზარა კანზე ჩნდება, უმთავრესად ხელებზე,
დასნეულებული ალაგები მაგრადებიან ძირმაგარა მუწუკივით.

გარშემო კანი სივდება, სივდებიან ახლო-მახლო ჯირ-
კვლებიც.

შემდეგ ამობერილი ადგილები დაწმოლდებიან, სკდებიან
და დამუწუკდებიან.

თუ ავადმყოფი უექიმოთ დარჩა, ბაცილები გაძვრებიან
სისხლში და მოედებიან მთელ სხეულს.

ავადმყოფს შეამტკინებს და შემდეგ მისცემს დიდ სიცხეს.

ახველებს, პირსალებინებს, აფალარათებს, ბევრჯერ სის-
ხლზე გაძყავს. ასეთი მდგომარეობა გრძელდება ერთი კვირე
ან კოტა მეტი და ავადმყოფი კვდება,—გადარჩენა შეუძლე-
ბელია.

ხუზარა თუ ნაწლავებილან დაიწყო, იგივე სურათია: და-
დი სიცხე, პირისლებინება, სისხლზე კვანა, ბოლვა.

ხოლო ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი უფრო მაღა კელ-
ბა—რამოდენიმე დღეში.

ხშირად სიკვდილის წინ ავადმყოფს მთელ ტანზე გამო-
ჰვენს ძირმაგარა მუწუკებს.

თუ სნეულება ფილტვებილან დაიწყო, ავადმყოფს დიდ
სიცხეს იძლევს, ძალიან ახველებს, სისხლიანი ნახველი ამო-
დის. ავადმყოფი საშინლად სუსტდება, სიცხე მაღა უავარდება
და ავადმყოფი კვდება.

ხუზარა თუ კანიდან დაიწყო, დროზე წამლობით ავად-
მყოფი უმეტეს შემთხვევაში რჩება.

თუ ხუზარა ფილტვებილან ან ნაწლავებილან დაიწყო,
ავადმყოფობა სწრაფად ვრცელდება, მთელი სხეული იწამლება
ბაცილებით და გაზარჩენა შეუძლებელია.

როგორც კი გამოაჩინდება საქონელს ეს სენი, საღი
საქონელი მაშინათვე უნდა ჩამოაშოროთ, სნეული უნდა დახო-
ცოთ და არც ხორცი იხმაროთ მისი, არც ტყავი.

20. ადამიანის ჭირი.

— ვაი შენ და ქირი.

— აი ქირმა კუ შეგქამია, ქირმა! იციან ხოლმე სოფელ-ში ქალებმა წყევლა, როდესაც გული მოუვათ.

წყევლა რომ მართლა სკრიდეს, თქვენი მტერი, მაშინ ჩენ საქმე მოგვივიღოდა!

ქირი არის გადამდები იეადმყოფობა, რომელიც ჩენში ძვირადა ჩნდება.

უწინ რომ ყოფილა ხოლმე ჩენში და საშინელი ზარალიც მიუყენებია ხალხისათვის, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ლრმად მოხუცი დღესაც გეტყვისთ:

— ქირიანობა რო ყოფილა ჩენში, ქირიანობაი და ხალხი თურმე პანტასავით ცვიოდა, მაშინდელი დაბადებული ვარო.

ზოგი ქირს ეძას უძახის; ზოგან — შავ ქირს.

ქირი უმეტეს ნაწილად ჩნდება ზღვის პირას მდებარე ქალაქებში, სადაც უცხო გემები შამოდიან.

შემდეგ აქედან ვრცელდება სხეაგანაც.

მეცნიერებმა მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება, დაუკვირდენ, შეისწავლეს და რა იღმოჩნდა?

ქირს თურმე ავრცელებენ ვირთაგვები.

გემები სავსეა ვირთაგვებით.

ქირი ჩნდება ვირთაგვებში.

გემი რომ ნაპირს მიადგება, სნეული ვირთაგვები გემსა სტოვებენ და ნაპირს მიაშურებენ.

აქ იხოცებიან, იხრწნებიან და მათ სხეულში მოშენებული ბაცილები ვრცელდებიან ჰაერში.

ამგვარად, ქირს აჩენენ ერთნაირი ბაცილები, რომლებიც ჩხირს მიემსგავსებიან და მოკლე და მსხვილი ტანი აქვთ.

ეს ბაცილები მეტად შხამიანი არიან.

რაკი ერთხელ დაბინავდებიან ადამიანის სხეულში, მოს ჩენა თითქმის შეუძლებელია, — ასში რამოდენიმე თუ გადარჩება.

როგორ ვრცელდება ჭირი?

ჭირით დახოცილი ვირთაგვები იხრწნებიან და ბაცილები უერთდებიან მიწას, მტვერს, აქედან გადადიან ჰაერში.

ჰაერიდან კი სუნთქვის შემწეობით ჩადიან აღამიანის ფილტვებში.

შესაძლებელია, ადამიანს ხელი ან ფეხი ჰქონდეს საჭმე გაკაწრული.

თუ ზედ მოეცხო ისეთი მტვერი, სადაც ჭირის ბაცილებია, შეეყრება ჭირი.

შესაძლებელია, მძინარე ადამიანს ხელზე ან ფეხზე უკანოს ჭირიანმა ვირთხამ.

სნეული ვირთხა უსათუოდ გადასდებს ჭირს და იმგვარი მაგალითი ბევრია.

— მერე არ გამოელვიძება? ჰკითხულობს ბესო.

რაკი უკანონს, მერე გინდა გამოელვიძოს და გინდა არა, სულ ერთია; ჭირის ბაცილები ჩისული ექნებიან ნაკაბენში.

აქედან ჩვენ გამოვარკვიეთ შემდეგი:

ჭირის ბაცილებსა აქვთ ორი გზა ჩვენი სხეულის ასაღვადად: ფილტვები და კანი.

ამის გამო ავადმყოფობის სურათიც სხვადასხვანაირია, იმის და მიხედვით, თუ რომელი გზით ჩავიდენ ბაცილები.

ყველაზე უფრო საშინელია, როდესაც ჭირის ბაცილება შემოდიან ჰაერიდან ფილტვებში.

ავადმყოფს შეაციებს, დაამტკრევს ძვლებში და შემდეგ მისცემს დიდ სიცხეს; საშინლადა სტკივა წელი, თავი, გული ერევა, აუვარდება ხველება, ძალიან სუსტდება, აზრია ჰქანავს და მაღალ კვდება.

თუ რამოდენიმე დღეს გაუძლო, ფილტვების ანთება ემართება და კვდება მაინც მაღალ.



ეს არის ფილტვების ჭირი.

მორჩენა ყოვლად შეუძლებელია და ავადმყოფი ბევრჯერ რამოდენიმე საათში ესალმება წუთისოფელს.

თუ კანიდან შევიდენ აგებულებაში ჭირის ბაცილები, ავადმყოფს შეამცირებს, ჩაიგდებს დიდ სიცხეში, თავი სტკივა, გული ერევა და უსივდება ნაჟბენთან ან გაკაწრულთან ახლოს მდებარე ჯირკვლები.

მაგალითად, თუ ხელზეა ნაჟბენი ან გაკაწრული, სივდებიან იღლიის ჯირკვლები,

თუ ფეხზეა,—სივდებიან საზარდულის ჯირკვლები.

ავადმყოფი ძალზედ სუსტდება, აზრსა ჰქარგავს და კვდება. არის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი უძლებს.

ჯირკვლები მუშტის ოდენა გახდებიან, დაჩირქდებიან, დასკდებიან და ავადმყოფი ნელა-ნელა რჩება, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია.

ეს არის ჯირკვლების ჭირი.

ჭირის წინააღმდეგ დღეს არსებობს ისეთივე საშუალება, როგორც ხორველის წინააღმდეგ — აცრა.

21. მ ა ლ ა რ ი ა.

შესაგალი.

სოფელ ნაბარდეულს იშეიათი მდებარეობა ჰქონდა. წე
 ვაშლილი ჭალა იყო, ორი მხრიდან მთების გრძებილება
 შემოსალტული, შორიდან თოვლით შემურვილი კავკასიონის
 მწვერვალები გადმოსცეროდენ. შუაზედ მდინარე მოსრიალებდა
 და უერთდებოდა დასავლეთით სქელსა და მაღალ ტყეს.

ერთი ნაკლი ჰქონდა ნაბარდეულს: როდესაც თოვლა
 დნობას დაიწყებდა, მთების ფერდობებიდან დაქანებული წა-
 ლი ძირს, მინდვრებში გუბდებოდა და პატარ-პატარა ტბები
 ჩნდებოდენ. დამდგარ წყალს ზაფხულში ბაყაყები დაეპატრონე-
 ბოდენ და მთელი ღამეები დაუსრულებელი ყიყინი გაჰქონდათ.

სოფლელებს ისე ჰქონდათ ყური შეჩერეული, რომ ვ-
 ლარც ამჩნევდენ; უცხო აღამიანს კი ძალიან ეხამუშებოდა
 გაზაფხული დაღგა, ხეში წყალი ჩადგა, მუშაობის ალ-
 მოვიდა და სოფელიც წამოიშალა, — ზოგმა ყანას მიაშერა,
 ზოგმაც ვენახს, ქალები ბოსტანს დაუფათურდენ.

სწორეთ ამ დროს გაჩნდა სოფელში რაღაც სნეულება
 და სულ კერძივით დააფინა ხალხი. ოჯახს ვეღარ ნახავდით,
 რომ ორი-სამი ავადმყოფი არა ჰყოფილიყო.

— ციებ-ცხელება უნდა იყოს, ამბობდა ერთი.

— სოსიას გოგოს, აგერ ერთი კვირეა, სიცხე არა ნელ-
 დება. ციებ-ცხელებამ ისე არ იცის; ხურვებას რომ იტყვიან,
 ის არის, უპასუხებდა მეორე.

— სახადია, სახადი, სულ აბოდებს, ვინც კი ავად გახდა,
 ამბობუა მესამე.

— როდესაც რამდენიმე ავადმყოფი იმსხვერპლა სნეუ-



ლებამ, გლეხეორმა იფრინა წერილები გაზეთებში და ჯანსახ-კომთან.

მთავრობამ მაშინათვე მიიქცია ყურადღება გლეხეორმის წერილს და გაგზავნა საგანგებო ექიმი ნაბარდეულის სნეულების გამოსაკვლევად და მასთან საბრძოლველად.

ექიმმა დაიარა მთელი სოფელი, გულდასმით გასინჯა თვითეული ავადმყოფი, სისხლი გაართვა ბევრს, გამოიკვლია და მალე გამოარკვია, რომ ნაბარდეულის გაუგებარი სნეულება იყო მაღარია.

ექიმმა მხნედ შეუდგა ავადმყოფების მკურნალობას, იმავე დროს დაათვალიერა სოფლის მიღამოები და, როდესაც წვიმისა და თოვლის წყალის გუბენებს გაეცნო, სოფლელებს მიუთითა:

— აი სად არის ბუდე თქვენი ავადმყოფობისა.

ნაბარდეულში მაღარიის პირიან-ფესვიანად აღმოვჟერისა-თვის ექიმმა საჭიროდ დაინახა სოფლელებთან საუბარის გა-მართვა.

რაღვანაც მსურველი ძალიან ბევრი აღმოჩნდა და სააში-სო შენობა კი სოფელში არ მოიპოვებოდა, თავი მოიყრეს ერთი მოსახლის ეზოში, სადაც რამდენიმე ნიგვზის ხე იღვა.

— ვითომ როგორ გამოიკვლიერ ექიმო, რა უნდა იყოს? მიმართა ერთმა ექიმს საუბრის დაწყების წინ.

— მაღარია, სხვა არაფერი, მიუგო ექიმში.

— მერე აქამდე რატომ არ იყო ე მაღარია ჩვენშიც?

— როგორ არ იყო! აქ ისეთი პირობებია, რომ მაღარია მუდამ წელიწადს იქნებოდა, მხოლოდ შესაძლებელია წელს უფრო მკაცრი ხასიათისაა, ვიდრე სხვა დროს. მაღარია მუდამ და ყველგან ერთნაირი ბუნებისა არ არის, განავრძო ექიმში.

— ციება და ცხელება იყო ხოლმე მართალია, მაგრამ მაღარია კი ჩვენ სოფელში ამის მეტად არ გამიგია, წარმოს-თქვა ერთმა შუახნის გლეხმა.

— მე უნდა შეგნიშნოთ პირველი ის, რომ ციება და ცხელება ერთი და იგივე სნეულებაა; მეორე ის, რომ მაღა-



რით და ციებ-ცხელება ერთი და იმავე ავადმყოფობის სხვადასხვა სახელია, ლიმილით მიუგო ექიმმა, ჩემი მიზანია, მოკლება გაგაცნოთ ეს ავადმყოფობა და შემდეგ მივიღოთ ზომები, რომ თქვენს სოფელში ის სრულიად აღმოვფხვრათ.

ა) მალარიის მნიშვნელობა. ობიექტები მალარიი ითვლიანდა ჩენები და ბევრგან სხვა ქვეყნებშიც ისეთ ავადმყობად, რომელსაც დიდ ყურადღებას ხალხი არ აქცივდა ხშირად მალარიის დროს ავადმყოფი არც კი მიმართავდა ექიმს, დალევდა სხვადასხვა ზეთს, შემდეგ მიიღებდა რამდენჯერმე ქინაქინას, მორჩა და გათავდა.

ნახევრით გაყვითლებულ აღამიანს.

- რა უაგმართნია დიმიტრი? ეკითხებით თქვენ.
- დამხაშმა, შენი ჰირიმე, და მაცივ-მაცხელებს.
- ექიმს არ მიმართე?
- ციებ-ცხელებასა რა ექიმი უნდა, კუჭი კარგა ლაპათიანად გავიწმინდე, დილით ქინაქინას დავლემ, ჰავის არავა დავაყოლებ და ვუტირებ დედასა.

ომის დროს და შემდეგ მალარია არა თუ უფრო გაერტყლდა, უფრო გახელდა და ბევრიც იმსხვერპლა. მაშინ კი ყველამ გამოიბერტყა ყურები. ბევრმა თქვენგანმა შეიძლება ახლაც არ იცოდეს, რომ მალარია ხშირად ავადმყოფსა ჰკლიას.

მალარია არის საშინელი სენი, რომელიც მთელ ხალხს ანადგურებს, აქვეითებს, აღატაკებს და სპობს.

ვერავითარი ომი ვერ მოუტანს ქვეყანას ისეთ ზიანს, როგორიც მოაქვს მალარიის. განსაკუთრებით ემტერება მალარია მიწის მუშას.

— ნაოფლარი ცივ წყალს მივადგებით და ვიხაშმებით, წარმოსთქვა ერთმა.

— ცივ წყალს ტყუილა ემდურით, ის აქ არასუერ შეაშია, მე მოგახსენებთ თუ რა იწვევს მალარიას, განაგრძო ექიმმა. მუშაობის ალო რომ დადგება და მიწის მუშა საქმეს დაუტრიიალდება, რომ წლის სარჩო მოიყვანოს, სწორეთ მაშინ გახდება ავაზ ციებ-ცხელებით, ჩავარდება ლოგინად და კიღეს



რომ წამოდგეს ზეზე, რა გამოვიდა: მეოთხედი კაცი ოლარი რის და შრომა დიდხანს იღარ შეუძლია.

ბ) მალარიის გავრცელება.— მალარია მეტად გავრცელებული იყო და მოიპოვება ისეთი ქვეყანა, სა-დაც მალარია არ იყოს.

მალარიის განსაკუთრებით უყვარს თბილი და ცხელი ქვე-კუნები, თუმცა გრილსაც არა სწუნობს.

— სადაც სასმელი წყალი არ ვარგა, იქა ჩიდება. ყარა-იაზე წიველით აქედან თორმეტი კაცი სამუშაოდ და სულ ყვე-ლა დაგვხაშმა, წყალმა გვაწყინა, გაისმა ხმა.

— მე აკი გითხარით, რომ სასმელი წყალი არაფერ შეუ-ში არ არის. სასმელი წყალით არავინ არ სნეულდება ამ სე-ნით. მიზეზი სულ სხვა გახლავთ და ამას შემდეგ მოგახსენებთ.

— ე მალარია ვიღამ დაარქვა ამ ჩვენ ციებ-ცხელებას? იკითხა ერთმა.

— მალარია ამ სენს იტალიელებმა დაარქვეს. იმათ ენაზე მალარია ნიშნავს წამხდარ ჰაერს; ხალხმა ეს სახელი იმიტომ უწოდა ამ სენს, რომ იმის გამომწვევ მიზეზს წამხდარ ჰაერში ჰქონდავდა, როგორც თქვენა ჰაერდავთ ამ მიზეზს წყალში, ჰაე-რში, ხილში და სხვა.

— მაში მკვახე და დამპალი ხილი არ აჩენს ციებ-ცხელე-ბასა? იკითხა ერთმა.

— არა, ცოტა მომითმინეთ და გაიგებთ, რაც აჩენს მალა-რიას. მალარია უფრო მდვინეორებს დაბალ ადგილებში, სადაც სინესტე, წყალი, ჭაობი ბევრია. მთიან ადგილებში ის იშვია-თია და უფრო ბარიღან მოტანილი სნეულებაა. ჩვენ ქვეყანა-ში მალარია ძალიან არის გავრცელებული. განსაკუთრებით არის ის მოდებული გურიაში, სამეგრელოში და კახეთში. ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში ივაღმყოფთა ძალიან დიდ უმრავლე-სობას ციებ-ცხელებიანი შეაღენენ.

შეხვდებით ჩვენში არა თუ მთელ სოფლებს, მთელ მაზრებს, რომლებიც ზაფხულობით საშინელ სურათს წარმოადგენენ: ხალხი დამხდარი, დაყვითლებული, დიდმუცლიანი, ტყირპიანი.

— მუშა კაცია, შენი ჭირიმე, ტყირპი რათ უნდა გუნდეს? იკითხა ვიღაცამ.

— აი ერთი ყალბი შეხედულება, რომელიც გავრცელებულია ჩევნს ხალხში, თითქოს ტყირპი მუშას არ უჩნდებოდა, ან მუშაობით ილეოდეს და ჰქრებოდეს. ციებცხელება იწყება ელენთას გასიებას, რასაც ჩვენ ტყირპს ვეძახით. ათასი მეტაზოთ, ტყირპს ამით რა დაუშავდება ან რა დააკლდება, თუ არ უწამლეთ?

— ტყირპის წამალი აცრაა, ყურიდან უნდა აუცრა და ჰქრება, წარმოსთქვა ერთმა.

— ეგეც შემცდარი აზრია, ყურიდან რომ სისხლი გამოუშვა, ტყირპსა მით რა დააკლდება? ტყირპის წამლობაზე შემდგა ეისაუბროთ; ჩევნს ქვეყანას თავი რომ დავანებოთ და სხვა მივმართოთ, გარდა მეტად ცივი ქვეყნებისა, ციებ-ცხელება ყველგან არის გავრცელებული. თქვენ გაგონილი გექნებათ საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, აფრიკა, გერმანია.

— გერმანიაში ვყოფილვარ კიდეც. წამოიძახა ვიღაცამ.

— როდის? დაეკითხა ექიმი.

— ომის დროს ტყვედ წამიყვანეს.

— ძალიან ვაეყაცობა გამოგიჩენია! იხუმრა ერთმა:

ხალხში სიცილი გაისმა.

— არა თუ გაგიგონიათ, ზოგიერთს კიდეც მოგიელია უცხო ქვეყნები, ყველგან არის მეტ-ნაკლებად მაღარია. სადაც ეს სენი მძეინვარებს, იქ მეტიც იხოცება და შუათანა რიცხვთ ნაკლებსა სკოცხლობენ. ასი წლის მოხუცი ბევრია ჩევნში ისეთ ალიგას, სადაც მაღარია არ იცის; სამეცნიელოში კი, ზოგიერთ სოფელში, სამოცი წლის იდამიანსაც ძვირად ჩახავთ, რადგანაც ციებ-ცხელება ინალგურებს ხალხს. ხშირად შეხვდებით ახალგაზრდას, რომელიც ნამდვილად მოხუცის მიემსგავსება მაღარიის წყალობით.

გ) მაღარიის სურათი და მიმდინარეობა.— მაღარია არის განსაზღვრული ავადმყოფობა, რომელიც ხანგრძლივად მოიქ-

ლათებს ხოლმე ადამიანის სხეულში და ერთის დაკვრით იქიდან მას ვერ გამოდენით.

ასეთ ავალმყოფობას ეწოდება დახანებული. მოკლე ვადით სტუმრობა მას არ უყვარს.

— მტრისას იმისთანა სტუმარი! გაისმა ხმა.

— რა ახასიათებს მალარიას? ერთგვარი შემოტევა. ამ შემოტევას სამი მუხლი აქვს: პირველად ავალმყოფს შეაუზიალებს და შეამცინებს; სახე გაუფითრდება, ტუჩები ჩიულურჯდება, ხელებზე თმის ბუსუსები აებურძგნება, ააკანკალებს და უნდა, რომ ყოველისფერი თავშე დაიყაროს: იქნება გავთბე როგორმეო. ამის შემდეგ ავალმყოფი თანდათან თბება, ხურდება, შეაცხელებს, სიცხე დიღზე აიწევს; ასეთი მდგომარეობა გრძელდება რამდენიმე საათს, შემდეგ ავალმყოფს დაასხამს ოფლს და სიცხე ნელა-ნელა გამონელდება. როდესაც მალარია ახალია, ავალმყოფს ხელახლა შეაციებს მესამე ან მეოთხე დღეს ისევე იმ დროს.

ამგვარი შეციება და შეცხელება გრძელდება კარგა ხანს, თუ ავალმყოფმა წამალოს არ მიმართა.

ყველა ეს ნიშანი მალარიის შემოტევისა ყოველთვის არ არის ერთნაირად გამოხეპირებული. ზოგჯერ შეციება სუსტად არის გამოხატული და ავალმყოფს უფრო სიცხე აწუხებს. ასეთი ავალმყოფი გეტუვით: არ მაციებს, მარტო მაცხელებსო. ზოგჯერაც ავალმყოფი შეცხელებას იმდენად ვერა გრძნობს, რამდენადაც შეციებას.

ხანდახან შეციებაც მკრთალია, შეცხელებაც.

სანამ მალარიის შეტევა დაიწყებოდეს, ავალმყოფი უჩინარად ატარებს ტანში ამ სენს მთელი ათი დღე მაინც.

ამ სწის განმავლობაში ავალმყოფი სისუსტეს გრძნობს, ოდნავ ზრინავს ტანში, ძვლები სტკივა, უმაღლოთ არის.

ხომ მოგეხსენებათ: „ბოლოდ ყოველი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“.

მალარიიც თავის გამოცხადებას შეციებით იწყებს და იგაშინ თქვენ იტყვით ხოლმე: ჯანში პქონდა დამალული და

ეხლა გამოუშებირიათ. მაღარია ზოგჯერ იწვევს გულის რეაქციას და პირისლებინებას. ბევრჯერ ავადმყოფს კალიერ ნაღვის წამოაღებინებს და ამაზე მმბობთ: დახაშმულია. ზოგჯერ ავადმყოფს შეცუვება და შეტხელება იძღვნად არ აწუხებს, რამდენიმდე პირისლებინება, და ასეთი ავადმყოფი დარწმუნებულია: მაღარია კი არა მაქვს, კუჭი მტკივთ.

ზოგჯერ მაღარია იწვევს თავის ტკივილს, ხანდახან სასრულებისას, ზოგჯერ ხველებას, პაპასკირს, ე. ი. სისხლიან შრდს, ფაღარიათობას, ცხვირიან სისხლის დღნას და სხვა.

ორი-სამი შეცუვების შემდეგ ავადმყოფი ძალიან იცვლება: ფერსა კარგვეს, ხდება, ყვითლდება, სუსტად არის, მუშაობა არ შეუძლია, მაღა არა იქვს, მოვლი სხეული მოღუნებული იქვს. უწამლოდაც რომ დარჩეს ავადმყოფი, ბოლოს და ბოლოს ციფრულება ნელდება და ჰქონდება, მიგრამ კი არ ისპობა, მხოლოდ მიმალულია სხეულში.

გაივლის ხანი და ისევ წამოყოფს თავს, ავადმყოფს შეაქცევს. მაღარის ახასიათებს ეს შექცევა, რომელსაც არა იქნება განსაზღვრული წესი და რიგი: შეიძლება ავადმყოფი შეაქციოს ერთი კვირის შემდეგ, შეიძლება — სამი კვირის შემდეგ, ხშირად — რამდენიმე თვის შემდეგ.

ზოგიერთი დაკვირვება ამტკაცებს, რომ მაღარის უფრო უყვარს შექცევა უოველი სამი კვირის შემდევ. მაღარიამ შეიძლება შეიქციოს შემოღვამაზედაც, ზამთარშიაც, მხოლოდ უფრო გამოხატულზე იყის შექცევა.

რა უწყობს ხელს ამ შექცევას? წყალში ან წვიმაში დასველება, გაცივება, დათრობა, სურდოხველა ან სხვა რამე მწვავე ავადმყოფობა.

თუ ადამიანს ტანში დახანებული მაღარია იქვს, ეს უკანასკნელი ხშირად უოველგვარი ახალი ავადმყოფობის ღრუს წამოპყობს თავს.

გამოცდილი ადამიანი წინდაწინვე იგრძნობს შექცევას: სისუსტე აქვს, ძვლებისა და სახსრების ტეხვა, ზოგჯერ ტყიანის ჩვლეტა.



ამგვარ შექცევას ზოგჯერ სახლვირი არა აქვს და მას შე-
დეგათ მოსდევს ივადმყოფის საშინელი დაძაბუნება: გაყვითლე-
ბულია, სახე, თვალები, მუკელი, ფეხები—შეშუპებული, მუ-
კელი დიდი და გამერილი, სიარული უკირს, საჭმელი იწუ-
ხებს, თავბრუ ესხმის და თვალიაბჭყიალა ემართება, არავრის
ხალისი აღარა აქვს. თუ ბავშია ივად, ინალრება, აღარ იჩრდე-
ბა. 17—18 წლის ახალგაზრდა 12 წლისას ჰგავს. ქალს რიგი
ეკარგება

— მალარია გადადის კლექსე? იკითხა ერთმა.

— მალარია რომ კლექად გადიქცეს, ეს ყოვლად შეუ-
ძლებელია, მხოლოდ მალარიით დასუსტებულია და ლონე გა
მოფიტულ იდამიანს კლექი და ყოველგვარი სხვა სნეულებაც
უფრო იდვილია ემართება და იდვილია ერევა. ყოველი ივად-
მყოფის დროს იდამიანის სხეულში სწარმოებს ბრძოლა. თუ
სხეული მაგარია, იმარჯვებს: თუ დაძაბუნებულია, მარცხდება
და სნეულება გამოდის გამარჯვებული.

დ) ცელილებანი სხეულის სხევადასხევა ნაწილში მა-
ლარიის დროს.— მალარია ისეთი სნეულებაა, რომელიც დალ
აჩენს ჩეენი სხეულის ყოველ ნაწილს.

დავიწყოთ კანიდან. რა ემართება მას? ყვითლდება, მიწის
ფერისა დებულობს, სახეზე ზოგჯერ ლაქები ჩიდებიან, გამოა-
ყრის ტუქებზე და ნესტოების გარშემო, ზოგჯერ ტანის სხვა
იღაგებზედაც—პარძაყებზე, თეძოებზე, ასოზე; გვერდებზე. ძვე-
ლი მალარია შექცევის დროს ბევრჯერ იწვევს პარტანტს: შე-
ცხელების შემდეგ ივადმყოფს წითლად გამოჰუნენს მთელ ტანზე.

— კანკრის ცეცხას რომ იტყვიან, ის უნდა იყოს, გაის-
მა ხმა.

— კინკრის ცეცხა ხშირად შედევია დიდი იღელვებისა,
კუჭის მოშლისა, რაიმე სისმელისა, ან ხილისა. ამას არა აქვს
კავშირი მალარიისთვის. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ცვლი-
ლებასაც იწვევს მალარია ელენთაში. საკმარისია ერთი ან ორი
შეცრება, რომ ელენთა დასივდეს. ხშირი შეციცების შემდეგ

ელენთა იმდენზე იჩრდება, რომ მუცულის მთელ ღრუს იქნის გასივებულ ელენთას ჩვენ ვუწოდებთ ტყირპს.

მალარია იწვევს ლვიძლის ანუ შავი ჯიგარის შესივებას. ამის გამო ავადმყოფს მოყვითალო ფერი გადაპრიას, განსაკუთრებით თვალებზე. თუ ლვიძლი საქმიოდ დასივდა და გამაგრდა, ავადმყოფს ზოგჯერ წყალმანკი უჩნდება. ჩვენი კუპი ხარშვა, შიგ დაგროვილ საჭმელს იმ მფავე წვენის წყალობით, რომელიც კუპის კედლებში დატანებური ჯირკვლებიდან მოვანავს ყოველთვის საჭმლის მიღების დროს და შემდეგ. მალარია იღუნებს კუპს, იფერხებს იმის მუშაობას, მფავე წვენის გამოუვენას და მის გამო ავადმყოფი საჭმელს ვეღარ ინელებს, კამის შემდეგ კუპი ებერება, სტკივა, აწუხებს.

მალარია აზიანებს ნაწლავებსაც, რასაც ბევრჯერ შედეგად მოსდევს კუპის მოშლა — ფაღარიათ.

მალარია ზოგჯერ იწვევს თირქმელების ანთებას, გულის და სისხლის მიღების დასნეულებას, ფილტვების დაზიანებას. მალარიით დასნეულებული ზოგჯერ ახველებს, ნახველში ხანდახნ სისხლი ურჩვია. მალარია მოქმედებს ტვინზე და ნერვებზე, იწვევს ბევრჯერ შაკის, დამბლას. ზოგჯერ ეს სენი იმდენად ასეულებს ტვინს, რომ ავადმყოფი აზრია და გრძნობას ჰკიარგავს. სასქესო ასოებს მალარია იღუნებს, აჩლონგებს და ავადმყოფი ხან დროებით, ხან კი სამუდამოთ ცვედნდება.

მალარიის ზეგავლენით ბევრჯერ საშვილოსნო პატარავლება, ილევა; ქალს ეკარგება რიგი და შვილოსნობა ესპობა.

— მე უბრალო ავადმყოფობა მეგონა და თურმე რკოფილა! წარმოსთვევა ერთმა.

— მალარია მძიმე ავადმყოფობაა და მას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ საერთო ძალ-ლონით დაძროთ კბილება.

— საიდან გაიგეთ, რომ მალარია ასე აზიანებს მთელ სხულს? როგორც თქვენი ბრძანებთ აღარაფერი აღარა რჩება იმას დაუკბილავი. იკითხა ვილაცამ.

— საიდან გავიგეთ? მოგახსენებთ. მალარია ბევრჯერა ჭირებას ავაზმყოფებს. როდესაც ასეთი მიცვალებული გასჭრები



და შეამოწმეს გული, კუჭი, ნაწლავები, ფილტვები, ტვინი და სხვა, აღმოჩნდა ყოველივე ის, რაც მე ახლა ჩამოვთვალეთ.

ე) მაღარის სხვადასხვანაირობა.—მაღარია ერთნაირიც რომ იყოს, მე უკვე მოგახსენეთ, რომ ის სხვადასხვანაირიდ მიმდინარეობს სხვადასხვა აღამიანში: ერთს ახველებს, მეორეს პირის სტებინება აუგარდება, მესამეს ფაღარათობა, მეოთხეს სისხლის დენა ცხვირიდან და სხვა. ერთს უფრო ხურვება აწერებს, მეორეს შეცივება.

დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ მაღარია სხვადასხვანაირია. რში გამოიხატება ეს სხვადასხვაობა? დაკვირვებიდან გექნებათ შენიშნული, რომ ზოგს აცივ-აცხელებს მესამე დღეზე, ზოგს—მეოთხეზე; ზოგს მისცემს სიცხეს და მთელი ორი-სამი დღე იღარ ნელდება. ჩვენში უფრო ხშირია დღეგამოშვებით ციებ-ცხელება; ერთ დღეს გააციებს და გააცხელებს ავადმყოფს, მეორე დღეს კარგად არის, მესამე დღეს ხელახლა უბრუნდება ავადმყოფობა.

ეს მაღარია ამ რიგად გახლავთ სამდლეური.

არის მეორენაირი მაღარიაც, როდესაც ერთ დღეს გააციებს და გააცხელებს ავადმყოფს, მეორე და მესამე დღეს თავისუფალია, მეოთხე დღეს ისევ გახდება ავად.

ეს უკვე ოთხდღეული მაღარია არის.

აი თქვენს სოფელში ზოგიერთ ავადმყოფს რამოდენიმე დღე სიცხე არ უნელდება, მივარდნილია, გაოგნებული. გეგონება, მაღარია კი არა სახადიაო.

— სწორეთ მაგან ჩაგვაფიქრა ჩვენცა, თორემა ციებ-ცხელებას როგორ ვერ ვიცნობთ, მაგრამ ეს რაღაც სხვანაირია, წარმოსთქვა ერთმა.

— დიახ, დიახ. ეს სხვანაირი მაღარია არის. ამას ჩვენ ვუწოდებთ ტროპიკულს ანუ ცხელი ქვეყნის მაღარიას, რა-დვანაც მოტანილია ცხელი ქვეყნიდან.

— ვინ მოიტანა მერე? იყოთხა ვიღაცამ.

— ვისმე მოპყვებოდა, რომელიმე ჯარისკაცს. ოსმალეთის მხარეზე აქედან არავინა ჰყოფილა ომის დროს?

- ბევრი, ძალიან ბევრნი ვიყავით, გაისმა ხშა.
 — პო და აი რომელიმე თქვენგანს მოჰყვებოდა, შემდევ
 გადასდეთ სხვებს.

ციებ-ცხელება განა გადამდებია? იკითხა ერთმა.
 — სწორეთ გადამდებია.
 — პირველიდ მესმის. წარმოსთქვა ერთმა.
 — შე დალოცვილო! ჩემი შეილი რო ავად იყო აქე
 მე უწევები, იქით ჩემი ცოლი და რატომ არ შეგვხვდა მერე?
 იკითხა ვიღაცამ.

— მაგის პასუხს შემდევ მოგახსენებთ, ახლა კი ისევ მა-
 ლარიის სხვადასხვაობას დაუბრუნდეთ. სამი სხვადასხვანაირი
 მალარიი უკვე ჩამოვთვალეთ. ხშირად ავადმყოფი რომელიმე
 ერთნაირი მალარიით არის ავად; მაშინ მისი გამოცნობა არ
 არის ძნელი. მაგრამ ზოგჯერ მოხდება, ავადმყოფს ორი და
 ხანდახან სამნაირი მალარიი სჭირს. მაშინ სხეულების მიმდი-
 ნარეობა იმდენად არიებული და არეულია, რომ თქვენ კი
 არა ჩვენც გვიძრელდება გამოცნობა.

— ხანდახან რომ დღეში ორჯერ შეაცივებს და შეა-
 ცხელებს ზოგს, ეს რისი ბრალია? იკითხა ერთმა.

— აი რისი ბრალია. შეაძლებელია ერთსა და იმავე
 ავადმყოფს სამდლეული მალარიაც სჭირდეს და ოთხდღეულიც.
 ამ შემთხვევაში შეიძლება იმას ორჯერ გააციოს და გაატე-
 ლოს; მხოლოდ ერთი შემოტევა იქნება სამდლეული მალარიის,
 მეორე—ოთხდღეულისა.

შე უკვე ჩამოგითვალეთ სამნაირი მალარია. ამათში გან-
 საკუთრებით მაგარი და ბევრჯერ საშიშიც ტროპიკული მა-
 ლარია. ამ მალარიამ სიცხე-იცის ძალიან დიდი, შეცივება კი
 ოდნავი. სიცხე გრძელდება რამდენიმე დღე და სუსტი ან ხნი-
 ერი აღამიანისათვის მარტო ასეთი მოძალებული სიცხე წარ-
 მოაღვენს თავისთავად საშიშროებას.

ტროპიკული მალარია ზოგჯერ მოგვაგონებს ტვინის ან-
 თებას: ავადმყოფი აზრსა და გონებასა ჰყარბავს, გაოგნებულია,
 გული ერევა, პირს იღებინებს. ბევრჯერ ის სახადს მიემსვაწ-



სება: ივალმყოფი გასაოთხებულია, სწუხს, თავი სტკივა, პირი უშრება.

ხანდახან ის წააგავს ფილტვის ანთებას: ივალმყოფს ჰვლები აწუხებს, ახველებს, ნახველი სისხლიანია.

არის შემთხვევა, როდესაც ტროპიკული მაღარია მუცელის მოგაგონებთ: ივალმყოფს ხშირი ყვანა იქვს, აქინთებს, სისხლზე გადის. ზოგჯერ ტროპიკულმა მაღარიამ სისხლის ლებინება იცის, სისხლი წიმოსკდება ცხვირიდან, სასქესო ასოებიდან.

— ჩუმ ციცებას რომ მოგასხენებენ, ის რაღა არის? იკითხა ერთმა.

— აი სწორეთ მაგას მიერდექით ახლა. ზოგჯერ ადამიანს არც იციებს, არც იცხელებს, მაღარია კი იქვს ტანში. რაში გამოიხატება მისი არსებობა?

ივალმყოფი სისუსტე აწუხებს, უმაღობა, ზოგჯერ ხანგამოშვებით ასტკივა თავი თითქმის ერთსა და იმავე დროს, ხან თვალი, ყური, კბილები, მუცელი, ძვლები. ეს არის შედეგი ჩუმი, მაღული ციცებისა.

გ) რა იწვევს მაღარიას.—ვიდრე ჩემს საუბარს განვაკრძოსდე, შემატყობინეთ თქვენი აზრი, საიდან ჩნდება მაღარია?

— პატიოდან იხაშმება ადამიანი და უჩნდება მაღარია, მიუგო ერთმა.

— სასმელი წყალი აჩენს, სასმელი წყალი, წარმოსოჭვა მეორები.

— ხილის ბრალია, ხილისა. ტყემალსა და კიტრსა ვჭამთ ზაფხულში, ზედ წყალს დავაყოლებთ, მაღარია გაგვიჩნდება აბა რა დაგვემართება? გისმა ხმა.

— ნაოულარზედა სიგრილე დაგკვრამს და ამითი ვხვდებით ავათა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორცა ჩანს სათქმელი აღარავისა იქვს; მე უნდა მოგასხენოთ, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილი მიზეზები არც

ერთი არ არის მართალი. მაგრამ დიდი ხანი არ არის მარტო ტკუ
რაც მეცნიერებსაც ისე ეკონათ, როგორც ახლა თქვენ. თკუ
იცით, რომ სხვადასხვა გადამდებ სენს უჩინარი არსებანი ა
ნენ. მაღარია გადამდები სენია, მაშასადამე, მასაც უნდა იწევა
დენ უჩინარი არსებანი. თქმა აღვილია, მაგრამ საემე პოენ,
მიგნება. და აი სწორეთ ეს უჩინარი არსებანი მიაგნო საფრთ
გეთის ექიმმა ლავერანმა 1880 წელს. მან მრავალჯერ გასინჯ
მიკროსკოპში მაღარით დასნეულებულის სისხლი და ბოლო
წააწყდა შიგ პატარ-პატარა არსებებს, რომლებიც სისხლი
მოძრაობდენ. გასინჯა საღი ადამიანების სისხლი, — ვერაუჯა
ამის მსგავსი შიგ ვერ აღმოაჩინა, ლავერანი მუშაობაზ და
დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ სწორეთ ეს პატარა არსებან
იწვევდენ მაღარის.

მათი აღმომჩენის პატივსაცემად უწოდეს ამ უჩინარ ასუ
ბებს ლავერანის პლაზმოლიგები.

— რამხელა იქნება ნეტავი. იკითხა ვიღაცამ.

— ძალიან პატარა, უნდა გაადიდოთ ხუთასჯერ, რო
მოზრდილი წერტილის ოდენა გამოჩნდეს.

მეცნიერებმა აიღეს მაღარით ავალმყოფის სისხლი, შე
შხაპუნეს საღ ადამიანს, გავიდა რამდენიმე დღე და საღი აღ
მიანი გახდა ავად მაღარით.

აქედან რა მტკიცდება! მტკიცდება ის, რომ მაღარი
იწვევენ პლაზმოლიგები.

საღა სცხოვრობენ ეს პლაზმოლიგები? ადამიანის სისხლი

თქვენ ახლა იცით, რომ სისხლი არ შარმოადგენს ერთ
ნაირ სითხეს, არამედ შესდგება სხვადასხვა ნაწილისაგან: თხე
წმოლში დაცურავენ წითელი და თეთრი ბურთულები. რა
გორც წითელი, ისე თეთრი ბურთულები ჩვენთვის მეტად ს
კირონი არიან. მაღარის პლაზმოლიგები ბინადრობენ და ის
დებიან წითელ ბურთულებში. ისინი არიან სისხლის მუქა
ხორები; არცა ხნავენ, არცა სთესენ, არცა მკიან, არამა
სხვის ხარჯზე ნებივრობენ.

ეს მუქთახორები ცოცხალი არსებანი არიან, საზრდო



ბენ, იზრუებიან და მრავლდებიან. რას მიირთმევენ? სისხლის წითელ ბურთულებს. მოიკალათებენ წითელ ბურთულებში, მიირთმევენ მას, იზრდებიან და როდესაც შესკამენ მთლიანად ბურთულებს, გაიყოფიან, ღაიშლებიან და გამოეფინებიან სისხლის წბოლში. ამრიგად, თითო კალი იძლევა ათს, თხუთმეტს, ოცდახუთ ჩამომავლობას. ეს ახალგაზრდა პლაზმოლიები დაძრებიან სისხლის წბოლში ცოტახანს, შემდეგ შეძრებიან სისხლის წითელ ბურთულებში, მოიკალათებენ შიგ და ოწყებენ ზრდას და საზრდოობას.

ამგვარად,—ერთ მოდგმას მეორე მოსდევს, მეორეს—მესამე, მესამეს — მეოთხე, — რა ეხარჯებათ-რა! ხომ გაგიგონიათ, თუ შენი არა იხარჯებოდეს-რა, ლხინს ნურაფერი გირჩევნიაო.

პლაზმით ავადმყოფის სისხლი რომ გასინჯოთ მიკროსკოპში, განცვითრებაში მოხვალთ: ხშირად ის გაელენთილია ერთიანად მალარიის პლაზმოლიებით. რაც უფრო ბევრია სისხლში პლაზმოლიები, მით უფრო მძიმეა ავადმყოფის მდგრადირეობა. ამავე დროს მალარიის პლაზმოლიები ბლობიად გროვდებიან ელექტრიში, ლვიძლში და მოვრძო ძვლებში, სადაც ძვლის ტვინია.

როგორც მოგახსენეთ, პლაზმოლიები მიირთმევენ ჩვენი სისხლის წითელ ბურთულებს; ამიტომაც არის, რომ ორი-სამი შეცივების შემდეგ ავადმყოფი ფერსა ჰქარგავს, სისხლი აკლება და სუსტდება.

გარევნობა მალარიის პლაზმოლიებს მეტად ცვალებიდი იქვეთ თავისი ზრდისა და განვითარების დროს. მოზრდილი პლაზმოლიები უმეტეს შემთხვევაში ბეჭედს წააგავენ. ამიტომაც შეტ სახელიად უწოდებენ მათ მალარიის ბეჭუებს.

პლაზმოლიები სცხოვრობენ, საზრდოობენ და იზრდებიან სისხლის წითელ ბურთულებში,—ეს თქვენ უკვე იცით.

როდესაც დასრულდებიან და დასუქდებიან, რა ემართებათ, აბა მიპასუხეთ?

— გაიყოფიან და პატარა პლაზმოლიები სისხლში გამოეფინებიან. გაისმა ხმა.

— მართალია, მართალი, დაგიხსომებიათ, ხოლო უკუნის ეფინებიან სისხლის წბოლში და დაუწყებენ ძებნას წითელ ბურთულებს, რომ შიგ შეძვრენ და მოიკალათონ.

სანამ პლაზმოდიები ბურთულებში არიან და იზრდებიან, ავადმყოფი ვეღარაფერსა გრძნობს. ხოლო როდესაც ახალ გაზრდა პლაზმოდიები ბურთულებიდან სისხლის წბოლში გა მოვლენ, სწორედ მაშინ იწყება შეცივება და შემდეგ შესელება.

— გამოზაფხულზედა შენი ჭირომე, ერთი კვირე ზედა ზედ მაცივ-მაცხელა. დავლიერ წამალი, გამაშევებინა და ოქენი ჩამოსვლის წინა კვირესა ისევ შემძეცია. ამ თვე ნახვებში სად იყვნენ მერე ი რაღაც პლაზმოდიებია? იკითხა ერთმა ფერმკრთალმა გლეხმა, რომელსაც მართლაც აჩნდა სახეზე ციებ-ცხელების დალი.

— გინდათ, გაიგოთ სად იმყოფებიან პლაზმოდიები მალარიის მიუუჩების დროს? როდესაც წამლობის ან სხვა მიზე-ზებისა გამო პლაზმოდიები სისხლში ვეღარა მრავლდებიან, გადაბარგდებიან ელენთაში, ლვიძლში, ძვლების ტვინში და აქ უცდიან ხელის შემწყობ პირობებს. თუ სხეული დაასუსტა რამემ, ისინი გაძვრებიან ისევ სისხლში და გააჩალებენ ციებ-ცხელებას.

— თქვენა თქვით, ციებ-ცხელება სამნაირიათ და იმის ბაჭიებიც სამნაირია? იკითხა ერთმა.

— ბაჭიები კი არა პლაზმოდიები, გაუსწორა მეორებ.

— დიახ, მალარია სამნაირია და თვითეულ მათგანს საკუთარი პლაზმოდიები იწვევენ.

სამდლეული და ოთხდღეული მალარიის პლაზმოდიები ერთმანეთს ძალიან მიემგვანებიან. მთავარი განსხვავება აი რა ში მდგომარეობს: სამდლეული მალარიის პლაზმოდიების გაზრდასა და დასრულებას 48 საათი სჭირდება, ე. ი. ორი დღე და ღამე, ოთხდღეულისას კი — 72 საათი, ე. ი. სამი დღე და ღამე. ტროპიკული მალარიის პლაზმოდიები უფრო მომცურ ტანისა არაან და განახევრებულ მოვარეს მიემგვანებიან ზოგ

ჯერ, ზოგჯერ კი ბეჭედს. მათი დასრულებისათვის ხან დღედა-
ლამე ქმარია, ხან კი ორი დღედალამეა საკირო. ჩვეულებრი-
ვი მაღარის პლაზმოდიები სისხლის წითელ ბურაულებში
მოათავებენ ხოლო სრულ გაზრდასა და მომწიფებას, ტროპი-
კული მაღარისა კი — ელენთაში, ღვიძლში, ძვლების ტვინში.
ჩვეულებრივი მაღარის პლაზმოდიები დასრულების შემდეგ
გაიყოფიან ათ, ოც და მეტ პატარა პლაზმოდიებად, ტროპი-
კულისა კი შეოლოდ თრად, თხად, ექვსად.

— თუ ორი და სამი დღე უნდება იმათ გაზრდასა და
მოშენებას, ზოგსა რათ აცივ-აცხელებს ყოველ დღე? იკითხა
ერთმა.

რის ყოველ დღე, ჩემ ბიჭსა თრი კვირის განმივლობაში
დღეში თრჯერ აცივდა! დაუშატა მეორემ.

— სრული ქეშმარიტებაა. საქმე იმაშია, რომ ავადმყო-
ფის სისხლში ხშირად რამდენიმე სხვადასხვა მოდგმაა მაღა-
რის პლაზმოლიებისა. ერთი მოდგმა გამოვა სისხლის წბოლში
დილით, მეორე საღამოს. მაშინ ავადმყოფს დილითაც გააცი-
ებს, საღამოსაც. თუ ერთი მოდგმა გამოვეფინა სისხლის წბოლ-
ში ერთ დღეს და მეორე კი მეორე დღეს, მაშინ ავადმყოფს
ყოველ დღე გააციებს.

— ახლა სულ ვეღარაფერი გავიგე, სხვადასხვა მოდგმაი
საიდანდა ჩნდება! იკითხა ერთმა.

— ეგ არის სულ სხვა საკითხი: საიდან ჩნდება აღაშიანის
სისხლში მაღარის პლაზმოდიები?

— წყალშია, ნამდვილად, მკვახე ხილში, დახაშმულ
ჰაერში და იქიდან ჩნდება, წარმოსთქვა ერთმა.

— მე ერთხელ უკვე მოგახსენეთ, რომ ეს აზრი ყალბია:
არც წყალში, არც ხილშე, არც ჰაერში მაღარის პლაზმოდი-
ები არ არიან, ისინი არიან შეოლოდ ავადმყოფის სისხლში.

— ბიჭის! კარგად ვიყავი და იყად გავხდი, აბა საიდან
გაჩნდენ ამ ჩემ სისხლში ეგ პლაზმოდიები! იკითხა ერთმა.

— აკი მოგახსენეთ, ეგ არის სრულებით ახალი საკითხი,
რომლის განხილვისაც ახლა შევუდგებით.

გ) საიდან ჩნდებიან საღი ადამიანის სისხლში მაღარის პლაზმოდიები. უძველესი დროიდან შენიშვნულია შეკლები მოვლენა: მაღარი ჩნდება უმთავრესად ქაობიან აღილებში, სადაც ბევრი წყალი და საერთოდ სინესტე.

ამიტომ მეცნიერებიც კი ფიქრობდენ, მაღარის შხამი არის ნიადაგში, აქედან გადადის ჰაერში, წყალში და ადამიანი ავად ხდება მაღარით ამგვარი მოშხამული წყალის სმითა და წამხდარი ჰაერის სუნთქვითო.

ასეთ შეხედულებას ბოლო მოულო ლავერანის აღმოჩნდა. როდესაც ლავერანმა აღმოაჩინა მაღარის პლაზმოდიები, სხვადასხვა მეცნიერი შეუდგა ამ პლაზმოდიების საფუძვლიან შესწავლის. დაუწყეს მათ ძებნა ქაობის წყალში, ნიადაგში, ჰაერში, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ ნახეს. ხანგრძლივი კვლევისა და ძიების შემდეგ გამოირკვა და დამტკიცდა ერთი რამ: მაღარის პლაზმოდიები იმყოფებიან მხოლოდ ადამიანისა და ზოგიერთი მაიმუნის სისხლში.

მაში როგორდა ხდება საღი ადამიანი ავად?

აქვარაა, უნდა იყოს ვიღაცა, ვისაც ეს პლაზმოდიები გადააქვს ავადმყოფის სისხლითან საღი ადამიანის სისხლში.

ვინ არის ეს ბოროტი და ივსული, როგორი ვსტაციონა მას ხელი?

ეს ბოროტი არსები დაიკირა და დაუზრუნველი მას მისი ვერაგობი ინგლისელმა ექიმმა როსმა 1898 წელს.

ვინ აღმოჩნდა ეს დაუნდობელი მტერი?

კოლო-ბზუილა!

როსი მსახურებდა ინდოეთის ჯარში და დიდი ხნის განვლობაში უკვირდებოდა მაღარის. მან მიაქცია ყურადღება შემდევ ვარემოებას: მაღარი იწყებოდა გამოზაფხულზე, ვრცელდებოდა საშინლად ზაფხულისა და შემოდგომაზე, ზამთარში კი საგრძნობლად კლებულობდა და ცხრებოდა.

ხანგრძილივი დაკვირვების შემდეგ მან შენიშნა, რომ ქაობიან ადგილებში უფრო ხშირად ისინი ხდებოდენ ავად, ვინც გარეთ იძინებდა ან ლამე მუშაობდა. აქედან როსმა შემ-



დეგი დასკვნა გამოიყვანა: ვიღაცა არის ეს ბოროტი, დღე
დამალულია, დამე გამოდის, პარავს ავადმყოფს პლაზმოდიებს
და გადააქვს კარგამყოფის სისხლში.

როსი შედევდა, რომ მალარიან აღილებში აუარებელი
იყო კოლო.

კოლოები დღისით მიმალული იყვნენ ჩრდილში, ხეების
ფოთლებში, მზის ჩასელიდან მზის ამოსვლამდე კი გარედ გა-
მოეფინებოდენ და სწოვდენ ხალხს სისხლს.

უველა ამის შემდეგ როსმა გადაწყვიტა: ნამდვილად ეს
კოლოები არიან ჩვენი დამლუპველიო, და ჩაუსაფრდა მათ.

დაღამდებოდა თუ არა და გამოეფინებოდენ კოლოები,
როსი სტაცებდა ბელს, დააჯენდა მალარიით სნეულის ტანზე,
ამოსარუტნიებდა სისხლს და შემდეგ გადიყვანდა სალი იდა-
შიანის ტანზე; ამა ვნახოთ, შემყრის თუ არა მალარიასაო.
კარგა ხანს იყო ასეთს მუშაობაში ჩაბმული როსი, მაგრამ ვე-
რაფითარ შედეგს ვერ მიახწია. მისგან დატყვევებული კოლოე-
ბი ავადმყოფსაც ჰქენდენ, კარგამყოფსაც, მაგრამ მალარიით
არავინ არ დაუსწეულებიათ.

მაშინ როსი შეუდგა თვით კოლოების შესწავლის და
დარწმუნდა, რომ ზოგიერთ კოლოს წყალის ფერი ფრთხები
ჰქონდა, ზოგს კი — კორტლიანი; ის კი იქნერდა წმინდა ფრთხ-
ბიან კოლოებს. დაანება მათ თავი და მოსდგაფრთაქორფლია-
ნებს. წარმოიდგინეთ მისი იღტაცება, როდესაც მალარია გა-
მოაწინდა ათი-თორმეტი დღის შემდეგ სულ უველის, ვინც კი
ამ კოლოებს დააქცენია.

დამალული მტრის აღმოჩენამ დიდი აურზაური გამოიწ-
ვია, მრავალი მეცნიერი შეუდგა ამ ჯიშის კოლოების შესწავ-
ლის: აქნეს, გასინჯეს მიკროსკოპში და კოლოების სხეულში
მალარიის პლაზმოდიები არ აღმოჩინეს!

— როდესაც კოლო ავადმყოფს დაჰქენდეს, სისხლი და
პლაზმოდიები ხომ კუჭუში ჩავა? იყითხა ერთმა.

— კოლოს კუჭუში, რა თქმა უნდა!

— მერე კოლოს კუჭი თუკი სისხლს ინელებს, პლაზმა დიებს ველარ მოინელებს? იყითხა მანვე.

— საქმეც მაგაშია, რომ კოლოს კუჭში პლაზმოდიები არ იხოცებიან, არამედ შეძვრებიან კოლოს კუჭის კედლებში და საშინლად მრავლდებიან.

— ჯერ კოლო რა არის, მერე მისი კუჭი და შემდეგ ა კუჭის კედლები რაღა უნდა იყოს? გისმა ხმა.

საღ თავდება მცირეზე უმცირესი, არაფინ არ იცის. მიუხედავათ იმისა, რომ კოლო პატარა არის, იმის კუჭის კედლებში ათი ათასობით ეტევა მაღარიის პლაზმოდიები. კოლოს კუჭში მოშენებული პლაზმოდიები ამოდიან კოლოს პირში და დაბინავდებიან სანერწყვე ჯირკვლებში, ჩვენ ხომ მუდამი გვაქვს პირში ნერწყვი. ეს ნერწყვი მოუვენავს პირის სანერწყვე ჯირკვლებიდან. კოლოსაცა აქვს სანერწყვე ჯირკვლები და ახალგაზრდა პლაზმოდიები აქ ბინავდებიან.

— მერე იქიდან როგორდა გადადიან საღი ადამიანის სისხლში, კოლო ხომ მარტო სისხლსა სწუწნის? იყითხა ერთმა.

— მაგას ახლავე გაიგებთ, მიუგო ექიმმა. მოგეხსენებათ, კოლოსგან ნაკენი ადგილი შესივდება და აგექავებათ, რა იწვევს ამ შესივებასა და ქავილს? არ იცით? მაში მე მოგახსენებთ: კოლოს ნერწყვი.

— კოლოს ნერწყვსა ჩვენს კანში რა უნდა? გაროუერთმა.

— აა რა უნდა. ხომ გინახავთ, კოლოს ხორთუმი აქვს, ხორთუმის ბოლო მჭრელია, რის გამო კოლო ადვილად ჩასობს ხოლმე მას ადამიანის კანში. ხორთუმთან შედარებით სისხლი სქელია და ადვილად არ შედის ხორთუმის ლარში. მაში რა არის საჭირო? სისხლის გათხელება. ხორთუმში კოლოს ორი ლარი აქვს; ერთი ლარი სანერწყვე ჯირკვლებს უქრთდება; ამ ლარით კოლო ჩაუშვებს ჩვენს სისხლში ნერწყვს და გაათხელებს მას, შემდეგ ხორთუმის მეორე ლარით ადვილად ამოსწოვს შეთხელებულ სისხლს. მაგრამ სანერწყვე ჯირკვლებ



ში კოლოს მაღარიის პლაზმოდიები ჰყავს. ეს პლაზმოდიები ნერწყვს ჩატყვებიან ჩვენს სისხლში, შეძვრებიან წითელ ბურ-თულებში, დაიწყებინ ზრდასა, გამრავლებას და ციებ-ცხელება მზად გახლავთ.

— თუ უმაღ ციებიანი არ დაკბინა კოლომა, მან უ ეყო-ლება სანერწყვე ჯირკვლებში პლაზმოდიები? იკითხა ერთმა.

— არა, თუ კოლოს ციებიანი არ დაუკბენია, იმის კუჭ-სა და სანერწყვე ჯირკვლებში არც იქნებიან პლაზმოდიები. თუ ციებიანი ავადმყოფი არ არის, კოლო რაც უნდა ბევრი იყოს, მაღარია არ გაწნდება. ხოლო როცა მაღარიით ავადმყოფი არის საღმე, კოლოებს ავადმყოფიდან კარგამყოფებზე გადააქვთ მაღარია და ამრიგად ავრცელებენ ამ სნეულებას. ყოველ-გვარ კოლოს არ უდევს ბრალი ამ ბოროტებაში, არამედ შეთ-ლოდ ერთ ჯიშს - ფრთა ჭორტლიან კოლოს.

ვიღაცამ იკითხა: ზოგიერთს რათ აციებს დილა-სალამოს ან დღეში ერთხელ, თუ მაღარია სამდლეული და ოთხდღეულიათ. აი ახლა შემიძლია იგისნათ: წარმოიდგინეთ, რომ კო-ლომ დაკბინა სამდლეული მაღარიით ავადმყოფი, შემდევ ამ კოლომ დაკბინა საღი აღამიანი, ვთქვათ, საღამოს. განდა არ შეიძლება, რომ იმავე კოლომ იგივე აღამიანი დაკბინოს კი-დევ ვათენებისას. არა თუ შეიძლება, ასეთი შემთხვევი ძა-ლიან ხშირია. ამრიგად, პლაზმოდიების ერთი მოდგმა საღამოს შევა დაკბენილის სისხლში, მეორე მოდგმა კი დილით და რო-ცა გამრავლებიან, ავადმყოფს დილითაც შეაციებს, საღამო-საც, შესაძლებელია ერთმა და იმავე კოლომ ერთ დღესაც და-კბინოს ვინმე, მეორე დღესაც. მაშინ მას ყოველ დღე გამოუ-ზეპირებს მაღარია. შესაძლებელია, ერთხელ სამდლეული მა-ღარიის პლაზმოდიებით დატვირთულმა კოლომ დაკბინოს ვი-ნმე, მეორე დღეს თოხდღეული ან ტროპიკული მაღარიის პლაზმოდიებით დატვირთულმა კოლომ. მაშინ ციების ხასიათი და მიმდინარეობა ისე აირევა, რომ გამოცდილ ექიმსაც კი საგონებელში ჩაიგდებს.

კოლო მამალიც არის, დედალიც. თქვენ იქნება გვინდით,

რომ ორივე ჰქონის აღამიანს. არა; მამალი კოლო სისხლს არ ეყარება, ის ბალახებსა სწუწნის წვენს და მითი იყვებება, და დალიც ბალახების წვენით საზრდოობს, სანამ განაყოფიერდეს. ბოდეს. როდესაც განაყოფიერდება და იმის მუცელში კეტ ცხები ზრდას დაიწყებენ, კოლოს ბალახის წვენი აღარ ყოფნის და გამწარებული დაეძებს სისხლს.

— რაღა მარტო ადამიანსა ჰქონის? იკითხა ერთმა.

— ვინც მოხვდება ყველასა ჰქონის, ოლონდ სისხლი იშვიათს.

— ამბობენ, ქათამსაც ემართება მაღარიაო, მართალია? იკითხა ერთმა.

— ფრინველები სნეულდებიან მალარიით, ხოლო მათ მალარია ჩეენსას არა ჰგავს, მათი პლაზმოლიები სხვა არია, ჩეენი — სხვა, ფრინველებზე მალარია გადააქვს წმინდა ფრთებიან კოლოს.

თ) მალარიის გადამტანი კოლო. — რადგანაც კოლოს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მალარიის გავრცელებაში, გავრცნოთ ზას უფრო კარგათ.

* კოლო მრავალნაირია. ჩეენში შეხვდებით უმთავრესად ორგვარ ჯიშს; ერთია წმინდა ფრთებიანი, მეორეს კი პატარ-პატარია მუქი ლაქები აქვს ფრთებზე წინწკლებივით; ისე ვერს კი გაარჩევთ ერთმანეთში. აქვს ორივეს სამი წყვილი ფეხი, ორი ულვაში და შუაში ხორთუმი. ზამთარში კოლო მოსხების იბილ ბინას, ბოსელს, თავლას და იქ სძინავს; როგორც კი გაზაფხულდება და პაერი გათბება, გარეთ გამობრძანდება, წელში გაიმართება და დედალ მამალი დაუწყებენ ერთმანეთს ძებნას. სანამ პაერი კარგად არ გათბება, ერთმანეთს არ ეყრდნონ; როგორც კი პაერი გათბება, მამალი კოლო ანაუთიერებს დედალს პაერში. ამის შემდეგ იწყება კვერცხების დება პარილის გასულიდან შემოდგომის დამლევამდე.

თითო დადებაზე კოლო სდებს ორასამდე კვერცხს და, თუ კარგი დარი დაუდგა, გაზაფხულიდან შემოდგომამდე ექვსჯერ



დასდებს. ამრიგად, ერთ კოლოს შეუძლია დასდოს ითასი ცვერ-
ცხი და მეტიც

ახლა არ იყითხავთ სად სდებს კოლო კვერცხებს?

— მიწაში. გაისმა ხმა.

— წყალში, წყალში. გაისმა რამოდენიმე ხმა მცირეო-
დენი სიჩუმის შემდეგ.

— დიახ, წყალში, ისიც დამდგარ, დაგუბებულ წყალში,
რადგანაც ჩქარი წყალი იტაცებს და სპობს კოლოების კვერ-
ცხებს. ი ამიტომაც მრავლდება კოლო იქ, სადაც ჭაობია ან
დამდგარი წყალი. თუ საკმაო სითბო არის, ორი სამი დღის
შემდეგ კოლოს კვერცხიდან ჭია გამოიჩეკება. ჭია სტერილუ-
ლი დამდგარ წყალში, იკვებება მცენარეულობით, წვრილი მწე-
რებითა და ჭიაღუებით. ჭია იზრდება, სამი კვირის განმავლო-
ბაში ოთხჯერ გამოიცვლის კანს და გადიქცევა ბორცოთ, რო-
მელიც წყლის ზედაპირს არა შორდება. სამი-ოთხი დღის შემ-
დეგ ბორცო გადაიქცევა დასრულებულ კოლოდ.

ი ამ კოლოს მეცნიერებმა დაარქვეს სახელიად ანოუელე-
სი. ჩვენ ვუწოდოთ ფრთაჭორფლიანი ან ფრთადაწინწკლული
კოლო.

შეე და ნათელი მას ძალიან ეჯავრება, ამიტომ დღისით
დამაღულია ჩრდილში, ხის ფოთლებში, ბოსელში, სარდაფში
და ბნელ ოთახებში. ჩავა თუ არა შეე, გამოძრება და შეის-
იმოსელიამდე დაეძებს საზრდოს. შორის გაფრენა, ან ძალიან
მაღლია ფრენა კოლოს არ უყვარს, თუ ჭარმა არ მოიტაცა.

ი) მაღარიის მკურნალობა. — მაღარია კაცობრიობის
ძველის-ძველი სენია და ხალხი მუდამ ეძებდა რაიმე საშუალე-
ბას იმის წინააღმდეგ. სამხრეთ ამერიკაში საკმაო სითბო, მდი-
დარი მცენარეულობა, ჭაობები ძალიან უწყობდენ ხელს კო-
ლოების გამრავლებას და, მაშასადამე, მაღარიის გავრცელება-
საც. ბევრი ძებნის შემდეგ იდგილობრივმა სტერილებლებმა მი-
მართეს ერთ ხეს, რომელსაც მწარე ქერქი ჰქონდა. გააძვრეს
ქერქი, დაახმეს, დაფხვნეს და დაუწყეს სმა მაღარიით ავალ-
მყოფობის დროს. აღმოჩნდა, რომ სნეული ხშირად იკურნე-
ბოდა ისეთი წამლობით.

მე-17 საუკუნეში ესპანელებმა დაიპყრეს ამერიკის ტრონი ნაწილი. ესპანელი გრაფის ქალი ციმბონა გაემზავრა და ყრობილ ქვეყანაში უა იქ მძიმე ავად გახდა მაღარით. მიმრთა ადგილობრივ საშუალებას — მწარე ხის ქერქს და განიკურნა. ციმბონამ ეს წამალი ევროპაში წიმოილი და მის შემდეგ ეს საშუალება მთელს ევროპაში გავრცელდა გრაფის ქალის პატივსაცემლად ამ ქერქს სახელიდ დაარქვეს ციმბონა და ექედან წარმოსდგა ხინა ინუ ქინა. ქინაქინის ხეს ახლა კველგან აშენებენ. ბათომი, ჩიქვა და საერთოდ ჩვენი შევის ნაპირი საუკეთესო პირობებს იძლევა თურმე ამ ხის მოშენებისათვის და მთავრობა კიდევ შეუდგა ამ საქმეს. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ოდესმე ჩვენც გვექნება საკუთარი ქინაქინის ხის ტყეები.

დღეს განსაკუთრებული ქარხნებია ევროპასა და ამერიკაში. ამ ქარხნებში ქინის ხის ქერქიდან ამზადებენ თეთრსა და მწვანე ფხენილს, რომელსაც ჩვენ ქინაქინს ვუწოდებთ.

ერთი საუკეთესო წამალი მაღარით წინააღმდეგ არის ქინაქინა, რომელიც საწამლავივით მოქმედებს მაღარით პლაზმოდიებზე. ასეთი მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ ქინაქინა შეხვდეს სისხლში პლაზმოდიებს.

თქვენ ახლა იცით, რომ ავადმყოფს შეაციებს მაშინ, როდესაც მომრავლებული პლაზმოდიები წითელი ბურთულებიდან გამოვლენ და სისხლის წბოლში დასცურავენ. ამიტომ ქინაქინა იმ დროს უნდა მიიღოს ავადმყოფმა, რომ ის სისხლში დახვდეს პლაზმოდიებს.

ქინაქინის რომ მიიღებ, სანამ კუჭში გაიხსნებოდეს, ნაწლავებში გადვიდოდეს და იქიდან სისხლში, დაახლოებით სკირდება მას 5—6 საათი. მაშასადამე, გაციებამდე 5—6 საათით აღრე უნდა მიიღოს ის ავადმყოფმა.

ეს ყველაფერი ადვილი საქმეა, როდესაც იცით გაციების ვადა, მაგრამ ხშირად ციება არყოფლია, ხან ადრე აციებს ავადმყოფს, ხინ უფრო გვიან, ხან დილით, ხან შუადლისა,

ხან ხალამოთი. როდის უნდა მიიღოს მაშინ ივაღმყოფი ქინა-
ქინა, რომ ის სისხლში დახვდეს პლაზმოდიებს?

— როგორ, ქინაქინა რომ სისხლში გადავა მერე სულ
იქ არა რჩება? იკითხა ერთმა.

— სისხლში დიდხანს არასფერი არა რჩება, არც ქინაქი-
ნა. რამოდენიმე საათის შემდეგ ქინაქინა სისხლში დიშლება
და შემდეგ შარდს გამოჰყება თირქმელებიდან. ამრიგად, რო-
დესაც გაციების ვადა არტულია, ქინაქინის ერთხელ მიღება
ალარა კმარა; საჭიროა, რომ ის მუდამ ტრიალებდეს სისხლში,
რათა მუდამ მზად იყოს პლაზმოდიების შესახვედრად. ამისა-
თვის აუცილებელია მისი მიღება დღეში რამდენჯერმე, ხოლო
უფრო პატარა რაოდენობით.

— ბევრი დავლიე, მაგრავ რო არ მიშველა, წარმოსოება
ერთმა.

— თუ მალარია საკმაოდ დახანებულია, ხშირად ქინა-
ქინაც ვეღარ ერევა; ბევრჯერ კი თქვენივე ბრალია, თუ ქი-
ნაქინა ვეღარა გშველით: არ იცით, როდის მიიღოთ და რა-
მდენი. როდესაც შეციების ვადა დანამდვილებით იცით, დი-
დმი უნდა მიიღოს ქინაქინა ერთი გრამი 5—6 საათით აღრიც.
თუ ვადა არტულია, მაშინ იგივე რაოდენობა ქინაქინისა უნდა
გაძიროთ სამაღ, ოთხად და მისცემ ივაღმყოფს მოელი დღის
განმავლობაში.

როგორც კი ივაღმყოფს ციებ-ცხელება თავს გაანებებს,
ამ დღის განმავლობაში მაინც უნდა მიიღოს ხოლმე ქინაქინა
ამ წესით; შემდეგ ოთხი დღე შეისვენოს. ოთხი დღის შემდეგ
სამი დღის განმავლობაში კიდევ მიიღოს ქინაქინა და იმგვა-
რის წესით წამლობა განაგრძოს ორ თვემდე.

რაც უფრო დროზე დაუწყებთ მალარიით ივაღმყოფს წა-
მლობას, მით უფრო მაღე რჩება; რაც უფრო დააგვიანებთ ამ
წესით წამლობას, მით უფრო ძნელია მალარიის გამოდენა კა-
ნიდან, რაღაც ნორჩი პლაზმოდიები ქინაქინას ვერ უმაგ-
რდებიან, ხანმოთვეულებს კი ქინაქინა ვეღარ ერევა.

რადგანაც ზოგჯერ ქინაქინა კუჭსა სწყენს, უმჯობესი მისი მიღება საჭმლის შემდეგ.

წყალში გახსნილ ქინაქინას უშხაპუნებენ აგრეთვე კანქენი, კუნთებში, სისხლის ძარღვებში, მაგრამ ეს უკვე ექიმის საჭმა, და ამიტომ სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ.

ზოგი ქინაქინას ვერ იტანს, პარტახტს დააყრის, კან უსივდება, ექავება, გული ერევა, პირსალებინებს, ნაწლავებს სტკიფა, ზოგს სისხლისდენა აუვარდება პირიდან, ტანიდან, ცხეორიდან.

ზოგჯერ ქინაქინა აჩლუნგებს სმენას, მხედველობას, არაა ისეთი პირებიც, რომლებიც სისხლიანსა შარდავენ, როგორც კი ქინაქინას მიიღებენ.

ყოველივე ეს არის იშვიათი შემთხვევა, უმთავრესად ვა-მოწვეული ქინაქინის უთავბოლოდ ხმარებით.

უნდა იცოდეთ, რომ საუკეთესო საშუალება მაღარის წინააღმდეგ ქინაქინა არის.

ხოლო იმის მიღებას ცოდნა უნდა.

სხვადასხვა ავალუმყოფში — მაღარია სხვადასხვანაირად აშკარავდება და მიმღინარეობს. ამიტომ არსებობს ბევრგვარი წესი ქინაქინით წამლობისა. ყოველ კერძო შემთხვევაში მხოლოდ ექიმი გამოგირკვევთ, ვის როგორი წამლობა შეეფერება.

მაღარის სამუდამოდ მორჩენა შეიძლება? იკითხა ერთშა?

— თუ დროზედ დაიწყებთ წამლობას, მაღარია რჩება; მაგრამ შესაძლებელია, ხელახლად დაპეტინოს კოლომ და ისევ გახდეთ ავად.

თუ თავს დროზედ არ უწამლეთ და მაღარია სხეულში გაგიჯუათ, მისი გამოდენა ძალიან ძნელია. ის თანდათან და შეუჩერებლად ასუსტებს სხეულს და ძალიან ბევრსა ჰქოცის:

მძიმე შემთხვევაში, როდესაც ქინაქინა ვეღარა შეველის, აუცილებელია ჰაერის გამოცვლა, მთის ჰაერი, რომელიც სისხლში იწვევს ბევრნაირ ცვლილებას და ხელს უწყობს მაღარის პლაზმოლიების მოსპობას.

ჩვენში საუკეთესო ადგილებია ამ მხრივ აბასთუმანი, ცე-

მი, ბაკურიანი, სურამი, ჯავა, შოვი, გადაღმა სვანეთი, თეთრი რი მთა, ბახმარო.

კ) ქინაქინით თავის დაზღვევა მალარიისაგან.— როდე-
საც მალარია ვრცელდება, ქინაქინა მარტო ივალმყოფმა კი არ
უნდა სვის, არამედ კარგამყოფმაც.

— კარგამყოფსა წამალი რათ უნდა?
გაიოცა ერთმა.

— კარგამყოფს იმისათვის უნდა წამალი, რომ ავად არ
გახდეს, ქინაქინის სწორედ ასეთი თვისება აქვს. ნიადაგ რომ
ქინაქინა ყლაპოს კარგამყოფმა, მაგნებელიც არის, არც სა-
ვირო. მალარია ვრცელდება მაშინ, როდესაც კოლოები
ჩნდებიან, ე. ი. აპრილის გასულიდან შემოდგომის დამლე-
ვამდე. ვინც ციებიან აღგილისა ცხოვრობს მუდმივად ან დრო-
ებით, გაზაფხულიდან გაციებას არ უნდა უცადოს, არამედ
წინდაწინვე დაიწყოს ქინაქინის სმა.

— მაინც ვერ გვიგე, რა აზრი აქვს ქინაქინის წინდა-
წინვე სმის? იყითხა ერთმა.

— აი რა აზრი აქვს:—ვთქვათ, გიკბინათ კოლომ, სისხლში
ჩაუშეებს მალარიის პლაზმოდიებს; თუ იქ ქინაქინა დაუხვდა,
პლაზმოდიები ველარ მოშენდებიან, დაიღუპებიან და აღარ
გაგაციებთ. კოლოსაგან კი არავინ არ არის დაფარული, იქ
სადაც კოლო მრავალია.

— ეს მართლა კარგი ყოფილა! გაისმა ხმა.

— ქინაქინის წინასწარი მიღება მალარიისაგან თავის და-
საცავად ერთი საუკეთესო საშუალებაა ამ სენთან ბრძოლის
დროს და ეს საშუალება რაც უფრო გავრცელდება ჩვენში,
მით უფრო გაჯანსაღდება ჩვენი ხალხი. მე მოგახსენეთ, რომ
კოლოსაგან დაკბენის შემდეგ მაშინათვე კი არ გამოჩნდება
მალარია, არამედ დაახლოევებით ათი დღის მეტე; იმტომ თა-
ვის დაცვისათვის საჭირო არ არის ქინაქინის ყოველდღე მი-
ღება, არამედ ხანგამოშვებით. დაკვირვებით და გამოცდილე-
ბით დამტკიცდა, რომ საკუთრისია ქინაქინის მიღება კვირისი
ერთხელ ერთსა და იმავე დღეს.

რამდენი უნდა მიიღოს დიდმა? ერთი გრამი, მაშველი უნდა კი არა, არამედ გაპყოს სამაც ან ოთხად და მიიღო მთელი დღის განმავლობაში.

ასეთის წესით ყოველ ჩვენგანს შეუძლია თავი იძარვოს მალარიისაგან.

ლ) ბრძოლა კოლოებთან. საუკეთესო საშუალება მაღარის წინააღმდეგ არის მისი პლაზმოდიების სრული მოსპობა: მაგრამ ეს ყოველად შეუძლებელია. ათას კაცში ერთი მაღარიანიც რომ გამოერიოს, სულ ყველას დაასწულებს, თუ კოლოები გაჩნდენ. აქედან რა არის ცხადი?

— კოლო უნდა მოვსპოთ. გაისმა ხმა.

სრული ჭრამარიტებაა, სრული. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა ყველგან სწარმოებს ორი მიმართულებით:

სპობენ პლაზმოდიებს ავალმყოფების წამლობით და სპ. პენ კოლოებს.

მაღარიის კოლოებთან ბრძოლასა აქვს მეტად დიდი ეროვნული და სახელმწიფო მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთს ქვეყნებში, სადაც მალარია ძველიდგანვე გავრცელებულია. ასეთია ჩვენი სამშობლოც, რომლის ზოგიერთ მხარეს მაღარია მუსრს ავლებს. არის ჩვენს ქვეყანაში ისეთი იდგილები, სადაც ას კაცში ოთხმოცი მაღარიით არის შეპყრობილი. საქართველოში დაახლოებით ნახევარი მილიონი მცხოვრებია დასწულებული მაღარიით და ორი ათა. სამდე ავალმყოფი ყოველ წლიურად იღუპება ჩვენში ამ სენით.

ამრიგად, მაღარია ჩვენი ეროვნული მტერია; ის განადგურებას გვიქადის და ამიტომ ბრძოლა მასთან ყოველი შევნებული იდამიანის მოვალეობაა. ამ დიდ საქმეში ხალხი და მთავრობა ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მოქმედებდენ. მთავრობა არ უნდა დაერიდოს არავითარ ხარჯს, მოსახლეობამ კი დევ უნდა შეასრულოს მთავრობის ყოველგვარი დავალება მაღარიასთან ბრძოლის საქმეში.

მთავრობა უკვე შეუდგა დიდი ჭაობების ამოშრობას

ჩვენში. პატარა ჭაობებისა უა გუბეების ამოშრობა კი თქვენი მოვალეობა და საქმეა.

თქვენს სოფელს გარშემო ჭაობიანი აღგილები აკრავს, წვიმისა და თოვლის წყალი გუბდება. იმ დაგუბებულ წყალში გროვდება კოლო და ივრულებს მალიარიას. გასკერით, გაიყდანეთ არხები, დაშრება გუბეები და ჭაობები და მალიარიაც მოისპობა თქვენს სოფელში. ყოველ სოფელს ხომ მთავრობა ვერ დაუვლის და ვერ ამოაშრობს იმის გუბეებს.

— არ ვიცოდით, შეუგნებელი ვართ, თორემ თუ ვინმე თვალებს აგვიხელს, ჩვენი თავის მტერი ხომ არა ვართ? გაისმის ხმა.

— მაშ დანიშნეთ დღე, გამოდით სუყველა და გაიყვანეთ არხები თქვენი ჭაობების ამოსაშრობად.

დანიშნეს დღე და ყველა დიდი მოხარული იყო.

— ჩვენში ბევრგან არის დიდი ჭაობი, რის ამოშრობაც აღგილობრივ მცხორებლებს არ შეუძლიათ, რადგანიც ამას უნდა ცოდნა, ხელმძღვანელობა, დიდი დრო და დიდი ხარჯი. ყველა ასეთი ჭაობების ამოშრობას მთავრობა შეუდგა. ჩვენს ქვეყანაზე გაცილებით უფრო დასწეულებული იყო მალარიით იტალია. ორ მილიონზე მეტი ყოველწლიურად ავად ხდებოდა იქ მალარიით, და ოცდა ათი ათასამდე ყოველწლიურად იხოცებოდა ამ სენით; დღეს კი იქ მალარიით სნეულთა რიცხვმა მეტისმეტად იქლო და ძალიან შემცირდა მალარიით გარდაცვალთა რაოდენობაც.

— ვინ უშველა ასე! იქითხა ერთმა.

— ვინ და მთავრობისა და ხალხის შეთანხმებულმა მოქმედებამ. ის ასეთი შეთანხმებული მოქმედებით ჩვენც მოვცრევით კოლოს. მოგეხსენებათ, კოლო კვერცხებსა სდებს დამდგარ წყალში, გუბეში, ჭაობში. თქვენი სოფლის გარშემო, სახლთან, ეზოში, სულ პატარა გუბეც კი არ უნდა დასტოვოთ ამოშრობი ზაფხულობით.

— ზოგანა ამოშრობა არ უხერხდება, არხს ვერსაიდან ვერ მიუჟენებთ. წარმოსოდეთ ერთმა.

— სადაც ამოშრობა არა ხერხდება, იქ უნდა შეეტანა
კვერცხებიდან გამოიჩილი ჰიების ამოხოცვას.

ამისათვის საუკეთესო საშუალება არის ნავთი, რომელიც
უნდა მოასხათ ჭაობის ან გუბის ზედაპირზედ. ერთი ბოთლი
ნავთი ერთ პატარა გუბეს ეყოფა. ნავთი ხომ წყალში ა
იძირება, არამედ ზედაპირს გაეკვრის. კოლოს ჰიები კი სულ
ზედაპირზე არიან წყალში, რაღაცაც ჰაერითა სუნთქავენ.

წყალზე გადაკრული ნავთი პაერს იქცებს და ჰიები მაღა
დაიხოცებიან უძაერობით. რაღაცაც ნავთი იორითქლება, ს.
ჭიროა მისი მოსხმა ყოველ ორ კვირაში მაინც, თორემ კოლი
ხელახლად დასდებს კვერცხებს და გამოვლენ ჰიები.

ზოგიერთი ჯიშის თევზი და მწერი, ჩვენი მოყვაშირება
არიან ამ ბრძოლაში. პატარა თევზები: ნაფოტა, გველენა და
ლორჯო კოლოს ჰიებით საზრდოობენ და საზღვარ-გარეთ სწო-
რეთ ისეთ თევზებს ამრავლებენ დამდგარ წყალსა და გუბებში.
რომელთა ამოშრობაც რაიმე მიზეზისა გამო არ შეიძლება.

მწერებში თოხისტარა და წყალის ხოკი შუსრის აფლ-
ბენ მაღარისის კოლოს ჰიებს.

ზოგიერთი მცენარე ეხმარება იდამიანს კოლოებთან
ბრძოლაში.

— მთლად უნუგეშო არა ყოფილი ჩვენი მდგომარეობა.
იოხუნჯა ერთმა.

— იდამიანს ბევრი უჩინარი მტერი ყავს, მაგრამ მეტი-
ერება დაულალეად ებრძვის მათ. ზოგი მოსპო, ზოგსაც ასეთ
მომავალში მოუღებს ბოლოს და დადგება ისეთი დრო, რო-
დესაც მაღარისისა და საერთოდ ყველა გადამდები სენის ხე-
ნებაც კი აღარსად იქნება. საერთოდ ბაღახეულობა ჭაობებში
მეტად მავნებელია, რაღაცაც აღვილიად ემაღებიან მტერს კო-
ლოს ჰიები იმ ბაღახებში: გარდა ამისა კოლოც საუცხოებ
ბინასა შოვილობს კვერცხების დასაღებად. მაგრამ არის ზოგი-
ერთი მცენარე, რომელიც თავის წენიან პარკებში იზიდავ
და ჰეთუავს კოლოს ჰიებს. საზღვარ-გარეთ ამ მცენარეს განსა-
კუთრებით აშენებენ ჭაობიან ადგილებში.

მალარიის კოლო იმდენ კვერცხსა სდებს, განსაკუთრებით თუ ამინდმა ხელი შეუწყო, რომ მისი ჭიების ერთიანად მო-სპობა შეუძლებელია; რა ზომასაც უნდა მიემართოთ, მაინც დარჩება საქმით რიცხვი ჭიებისა და ამრიგად გაჩნდება კოლო. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ კოლოს ჭიათან ბრძო-ლა უქმი იყოს: უნდა ვებრძოლოთ ჭიებს, ხოლო მარტო ეს არა კმარა, საქიროა ბრძოლა თვით კოლოებთან.

კოლოებთან ბრძოლის გაჩაღება უფრო აღვილია დაზამ-თრებისას. კოლოები ამ დროს ეძებენ თბილ, მყუდრო და უმ-ზეო ადგილს ზამთრის ძილისათვის. ტყე და ჭაობი მათთვის ხელსაყრელი არ არის და მიაშურებენ სოფელს, რადგანაც იქ უფრო შოვილობენ თავიანთვის ხელსაყრელ ბინას. მათ უკ-ვართ ბოსელი, სარდაფი, მარანი, ბეღელი, თაველა. ასეთ ბი-ნაზე ბევრჯერ აუარებელი კოლო იყრის თავს მალარიან ად-გილებში; შეძერებიან ქვიტკირის პატარა ნაპრალებში, ხის ნაბზარებში, ქოთნებში, მტვერში და არიან იქ განაბული მთელი ზამთრის განმავლობაში.

საუკეთესო საშუალებაა იმათ წინააღმდეგ გოგირდი. უნ-და ამოავსოთ ხვრელები და ჭუჭრუტანები, აბოლოთ გოგირ-დი, ჩატკეტოთ კარები და კოლოები იხოცებიან. კარგ შედეგს იძლევა თუთუნის ბოლებაც, თუ გოგირდი ხელთ არ გექნებათ.

არის ერთი ცხოველი, რომელიც უველას გვეჯავრება. ჩვენ მას ვემტერებით, ბევრჯერ სიცოცხლესაც ვუსპობთ ისე, ტყუილუბრიალოდ: ის კი ჩვენი ერთგული მეგობარია. ვინ არის? ამა ვაიხსენეთ აკაკის ლექსი:

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა,
დასწუყვლა თვისი გაჩენა,
ბუნების იწყო მან გმობა:
„იმ უსამართლო ბუნებამ
თაგვეად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან კერ-ქვეშ მომცა ბინაო!“

— ლამურა, ლამურა. წამოიძახა რამოღენიმემ ერთად.
— ომ, ლამურა! ეს საცოდავი ცხოველი, რამული
თაგვებშიაც გამოსხლეტილია და ფრინველებშიც, მუსრს ფ
ლებს მალარიის კოლოებს. კოლოები დღე დამალული იჩია
და ლამე გამოურინდებიან საზრდოს საძებნელად. ლამურებსაც
ასეთი ჩეცელება აქვთ.

კოლო საუკეთესო საჭმელია ლამურებისათვის, მეტადრე
თუ ადამიანის სისხლით არის გაბერილი. ლამურა მოელი ღა-
მე ნადირობს და ალვილი წარმოსადგენია, რამდენ კოლოს
გადასანსლავს, რომ კუპი ამოიყოროს და მოელი დღე მოსკე-
ნებშული იყოს.

იმ ამიტომაც ამერიკაში მეტად დიდ პატივშია ლამურა.
იქ მას ცალკე ბინას უშენებენ მალარიან აღვილებში და ყო-
ველნაირად უწყობენ ხელს იმის მოშენებას.

კოლოს ძალიანა სძულს კვამლი. ამიტომ, როდესაც მა-
ლარია ვრცელდება, კარგია ლამეობით ჩალის, თვის, ბზი,
ან გამხმარი ტოტების დაწვა სახლთან კვამლის დასკუნებლად.

რაღვანაც კოლო იკბინება მზის ჩისულიდან მზის მოს-
ვლამდე, მალარიან აღვილებში მუშაკაცი ყანაში სამუშაოდ
არ უნდა გაციდეს მზის ამოსვლამდე და, მზე ჩავა თუ არა, მუ-
შაობას თავი უნდა გაანებოს; არც უნდა დაიძინოს ლამე ყა-
ნაში, ან საზოგადოდ გარეთ.

როდესაც საღმე კალია გაჩნდება, ერთი ამბავი და თუ-
ზაურია, სანამ არ მოსპობენ. კოლო კალიაზე ცუარესი და ფუ-
რო საშინელი მტერია; ჩეც კი ის არაფრიად არ მოგვაწინა. კოლოს წინააღმდეგ ისეთივე ფიცხელი ზომებია საჭირო ყო-
ველ გაზაფხულზე, როგორიც კალიის წინააღმდეგ. მალარიან
აღვილებში უნდა იგზავნებოდეს ყოველწლიურად კოლოს წი-
ნააღმდეგ მებრძოლი რაზმები მცოდნე, გამოცდილი და და-
ხელოვნებული პირების ხელმძღვანელობით.

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მალარიის წინააღმდე
ყოველგვარი ზომების მიღება, ხოლო მარტო მთავრობა ვერს



გახდება ამ დიდ და საშეილისშეილო საქმეში, თუ თქვენ
მთელი ხალხი, შეგნებულად არ ამოუღებით მას გვერდში.

— რასაც კი დაგვავალებს, რასაც, ყოველისფერს შევა-
სრულებთ, ყოველისყერს. გაისმა ხმები.

— სანამ ჩვენს საუბარს დავასრულებდეთ უნდა მიგითი-
თოთ ზოგიერთ ცრუმორწმუნოებაზედ, რომელიც ჯერ კიდევ
პატივშია თქვენში. მაღარისის დროს თქვენ ხშირად მიმართავთ
შინაურ წამლობას. ბევრგან არის განთქმული შინაური წამა-
ლი მაღარისია, ხოლო უმეტეს მათგანში ქინაქინა ურევია.
განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შინაურულად შეზავებუ-
ლი ქინაქინა თქვენ გაცილებით უფრო ძვირი გიჯდებათ, ვიდ-
რე პირდაპირ იფთიაქიდან შეძენილი. სხვადასხვა პირის საღე-
ბინებელი საშუალება ხალხში მაღარის უებარ წამლად ითვ-
ლება. ივადმყოფი მიიღებს ისეთ წამალს, რომელიც დედის
ხსენს იღარ შეარჩენს კუჭში, ნაღველსაც კი წამოაღებინებს
და განარებულია: ესა მკლავდა, ხაშმი მქონდა გულზე დახვე-
ული და ძლიერ მეშვეობა. ასეთი სიხარული ყოველთვის ხან-
მოკლე გამოდგება ხოლო და მეორე-მესამე დღეს ივადმყოფს
კიდევ უფრო გააციებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც პირი-
დან სასაქმებელი წამალი ივადმყოფს ასუსტებს და დასუს-
ტებულს კი მაღარია უფრო ერევა. დიდ პატივშია ორი-სამი
კვერცხის გული არაუში გათქვეფილი.

— უებარია, უებარი! ერთი დალევის მეტი არ დაგჭირ-
დებაო, აიმედებენ ივადმყოფს. არც კვერცხის გულსა და არც
არაუს მაღარისის მორჩენა არ შეუძლიათ. ტყირპის წინააღმდეგ
მიღებულია თქვენში სხვადასხვა შემოსაღები წამალი და ყუ-
რის აცრა.

ივადმყოფს მუცლის კანი დაეწვის და იეჟვლიფება ზურგ
წამხდარი ცხენიერ, ტყირპი კი დაუგორის არხეინად მუ-
ცელში.

გარედან რომ კანი დასწვათ, შიგნით ტყირპს რა დაუ-
შავდება ამითი! ყურის აცრა ხომ მთლად სისულელეა; ყური-
დან სისხლი რამდენიც უნდა გამოადინოთ, ტყირპს ამითი არა

დააკლდება რა. ზოგსა კიდევ ტყირპის წამალი ბევრი მუშაობა და და სიარული ჰქონია

როდესაც ეტყვი, ტყირპი გაგჩენიათ, გაოცდება:

— რასაც მე დავდივარ და ვმუშაობ, ტყირპი საიდან გამიჩნდებოდათ? სიარული და მუშაობა არც მალარიას არჩეს, არც ტყირპს.

ტყირპს და მალარიას არჩენს ცოდნა, მეცნიერება და მეცნიერებისაღმი სრული ნდობა. რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ ყოველგვარი ცრუმორწმუნოება ძველთან ერთად დამარხოთ და ახალი ცხოვრების შენებას შეუდგეთ ცოდნით შეიარაღებული და გონებით გაბრწყინვებული.

მეცნიერება თქვენი საუკეთესო ფარხმალია ყოველგვარ მტერთან ბრძოლაში და უერთგულესი მეგობარი. დაენდო მეცნიერებას, გაჲყევით იმის გზას და ის მიგიყვანთ ისეთ ცხოვრებასთან, საღაც დამარცხებული და მოსპობილი იქნება ყოველგვარი გადამდები სენი, მათ შორის მალარიაც.

ნაზილი გვ. 140

გულის ხელმაგანი.

1. შესავალი.

ადამიანის სხეულის რომელი ნაწილიც უნდა გასინჯოთ მიკროსკოპში, ერთ გარემოებას დაინახავთ:

ყოველი ნაწილი — ქანი, ხორცი, კუჭი, გული, ნაწლავები, ძვალი, ტვინი და სხვა, — შესდგება პატარ-პატარია ნაჭრებისაგან ანუ უჯრედებისაგან. ხომ გრინახავთ ნაჭრის საბანი?

— როგორ არ გვინახავს, ჩვენმა ქალებმა მეტი რა იციან? გვიუბნება სამსონა.

იo სწორეთ ასეთი სურათი გადაგეშლებათ დაახლოებით თვალშინ, გამადიდებელ შუშებში რომ გასინჯოთ ჩვენი სხეულის ნაწილები.

— ძვალია და ხორცია ერთნაირი უჯრედები აქვს? მეკითხება თელო.

განსხვავება არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ცველაფერი აშენებულია უჯრედებისაგან.

რომ გასინჯოთ მცენარე-ხე, ბალახი — აქაც უჯრედებისაგან შესდგება ყოველი ნაწილი.

ადამიანი, მცენარე, ცხოველები შესდგებიან მრავლისაგან უმრავლესი უჯრედებისაგან.

არიან ერთ უჯრედიანი არსებანიც.

იo, მაგალითად, ჩვენი ნაცნობი ბაცილების მთელი სხეული თითო უჯრედისაგან შესდგება.

ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედი ცოცხლობს, მუშაობს, საზრდოობს. მას ყოველ წამს უნდა მოუდიოდეს ახალახალი

საზრდო,—უამისოდ მას არსებობა არ შეუძლია; მაშასადამე არ შეუძლია მთელ სხეულსაც, რადგანაც სიცოცხლე არის შედეგი ცველა ჩვენი უჯრედების მწყობრი, შეთანხმებული და შეუჩერებელი მუშაობისა.

ამიტომაც უნდა იყოს ისეთი ასო ჩვენს სხეულში, რომელიც განავებდეს საზრდოს შეუჩერებელ განაწილებას.

ისეთი ასო მართლაც გახლავთ,—ეს არის გული და სისხლის მილები.

გული მილების შემწეობით აზრიალებს სისხლს მთელ სხეულში და ყოველ უჯრედს უგზავნის საზრდოს.

აიღთ რომელიმე მანქანა; როდესაც ის მუშაობს, ნაცარი გროვდება, კვამლი; ყოველივე ეს უნდა მოაშოროთ მანქანას, თორემ გაჩერდება.

ასეა ჩვენი სხეულიც. მუშაობის დროს ყოველ ასოში, თვითოვეულ უჯრედში გროვდება უვარებისი, გამოუსადეგარი ნივთიერება, რომელსაც მოშორება უნდა, თორემ ჩვენი ასოები ვეღარ შეძლებენ მუშაობას, მოიშლებიან და გაჩერდებიან.

სისხლს მარტო საზრდო კი არ მიაქვს ჩვენს უჯრედებთან, ეს უვარებისი ნივთიერებაც გამოაქვს იქიდან და აძლევს ღვიძლს, თორემელებს, კანს და ფილტვებს: გადაჰყარეთ, სადაც გინდათო.

ამგვარად, სისხლი კიდეც ასაზრდოებს და კიდეცა სწმენდავს ჩვენს სხეულს ერთს და იმავე დროს.

ამ საქმეს ასრულებენ სისხლის წითელი ბურთულები.

სისხლშივე არის დაბანაკებული ჩვენი სხეულის ჯარი—თეორი ბურთულები; რომლებსაც სისხლი იქითკენ გაიქანებს, საიდანაც მტერი შემოესევა ჩვენს სხეულს.

ისეთ დიდ საქმეს სისხლი ასრულებს გულის შემწეობით. გასაოცარია გული.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის შეუჩერებლად მუშაობს, იკუმშება, მოეშვება და ამგვარად ერეკება სისხლს.

ერთი წამის განმავლობაში გული დაახლოვებით თხო-

მოცეკვი იკუმშება, ერთი საათის განმავლობაში — ოთხი-ათასჯერ.

დღე და ლაშეში ას ხუთი ათას ორასჯერ და წელიწადში, დაახლოებით ოცდა თვრამეტ ნახევარ მილიონჯერ.

ენა აღვილად იტყვის, თორემ ეს ნამდვილი სასწაულია.

გულის სისალეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღამიანის ჯანმრთელობისათვის.

თუ გული მოიშალა, გათავდა ყოველისფერი.

მისმა პატრიონმა კიდეც რომ გასძლოს რამოდენიმე ხანს, მაინც არაურად გვარგება.

მუშა კაცს ხომ გულის დასწეულების ის ურჩევნია, რომ ბარემ ერთბაშად მოკვდეს.

გულს ისეთი დიდი და მძიმე სამუშაო აწევს, რომ ჩვენ უნდა ცდილობდეთ შეკუმსუბქოთ მას ტვირთი.

ჩვენ კი ძალიან ხშირად ჩვენი უგუნურობის წყალობით საშინალად ვუმძიშებთ გულს ტვირთს.

მშრომელმა ხალხმა უნდა იკოდეს, როგორია გულის სხვადასხვა სწეულება და რა შედეგი მოსდევს მას.

ამისათვის კი საჭიროა უმილ ის გავიკოთ, როგორ არის თვითონ გული მოწყობილი და როგორ ატრიალებს ის სისხლს სწეულში.

აღამიანსა და ყველა ძვლიან ცხოველებს გული აქვთ გულის ჟაფაზში მარცხნით, ორივე ფილტვებ შუა.

მარცხნა ძუძუს ქვეშ რომ ხელი დაიდეათ, შენიშნავთ გულისცემას, რაც გამოწვეულია გულის შეკუმშვით.

გული წააგვის დაყირივებულ მსხალს — თავი განიერი აქვს, ბოლოში მოვიწროებულია.

აღამიანის გული განიყოფება ოთხ ნაწილად: თავშია ორი წინგული — მარცხნა და მარჯვენა, ბოლოში ორი პარკუჭი — მარცხნა და მარჯვენა.

უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ ამ პარკუჭებს, რაღანაც ესენი ერეკებიან სისხლს მოელს სწეულში.

თავში პარკუტებს დატანებული აქვთ ოთხი კარი: ორი შესავალი, ორი გამოსავალი.

ორი უფრო დიდი კარით პარკუტები უერთდებიან წინ-გულებს.

ამ კარებში დატანებულია მაგარი ბალე ანუ საჩქველი; მარცხნა პარკუტშია ორფრთიანი სარქველი, მარჯვენაში — სამ-ფრთიანი. ეს სარქველები იღებიან, მაგრამ ყოველ მხარეზე არა და ამასა აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა სისხლის მოძრაობაში.

დიდი კარები იღება შიგნით და წინგულებიდან თავ-სუფლად შეხვალთ პარკუტებში.

მხოლოდ, თუ პარკუტებიდან უკან დაბრუნება მოისურვეთ ისევ წინგულებში, ნურას უკაცრავად: სერქველები მოისურვებიან და რაც უფრო მაგრად მოაწვებით, მით უფრო მაგრად ჩაიკე-ტება კარი.

მაშ როგორ უნდა გამოვიდეთ პარკუტებიდან?

ორი დანარჩენი პატარა კარი არის სწორედ პარკუტები-დან გამოსავალი ვზა.

აქ დატანებულია სამ-სამ ფრთიანი სარქველები, რომლებიც იღებიან შიგნიდან გარეთ; თუ პარკუტებიდან მოაწექით გაიღებიან და გამოგიშვებენ; თუ გარედან მოაწექით, დაიხუ-რებიან მაგრად და პარკუტებში არ შეგიშვებენ. ამ პატარა კარით იწყება მარცხნა პარკუტებიდან სისხლის დიდი მილი ორტა, რომლითაც სისხლი მიუდის მთელ ჩვენს სხეულს; მარჯვენა პარკუტებიდან კი იწყება სისხლის მილი, რომელსაც სისხლი მიაქვს ფილტვებში.

მარცხნა პარკუტი აორტის შემწეობით ერეკება სისხლს მოელ სხეულში, მარჯვენა კი — მარტო ფილტვებში.

აქედან ცხადია: მარცხნა პარკუტს გაცილებით უფრო დიდი და მძიმე საქმე აქვს, ვიდრე მარ-ჯვენას.

ამის გამო მარცხნა პარკუტის კედლები ბევრად უფრო სქელია, ვიდრე მარჯვენასი.



წინგულებიც პატირა პარკებს წარმოადგენენ; მათი კედლები თხელია, რაღანაც მძიმე საქმე არა აქვთ დაკისრებული; ისინი აგროვებენ, აგუბებენ სისხლს და ერეკებიან პარკუპებში. იმ მილებს, რომლებითაც სისხლი გულიდან მოდის სხეულისაკენ, ეწოდება ორტერიები.

იმ მილებს, რომლებითაც სისხლი უკან ბრუნდება გულში, ეწოდება ვენები.

აქედან ცხადია, რომ პარკუპებილან გამოუიან არტერიები და მარცხენა პარკუპების არტერიას ეწოდება აორტა.

წინგულებში კი ჩადიან ვენები,

მარჯვენა წინგულს უერთდება ორი დიდი ანუ ღრუ ვენა. ერთს მოაქვს აქ სისხლი ჩვენი სხეულის ქვედა ნაწილიდან; მეორეს კი — ჩვენი სხეულის ზედა ნაწილიდან.

მარცხენა წინგულში კი ჩადის ოთხი ვენა, რომლებსაც მოაქვთ სისხლი მხოლოდ ფილტვებიდან.

საღ მიღის წინგულებში ჩამოსული სისხლი?

პარკუპებში და აქედან მთელ სხეულში.

სხეულიტან ბრუნდება ისევ წინგულებში.

წინგულებიდან პარკუპებში და ასეთი ტრიალი სწარმოებს შეუწერებლიად მთელ სიცოცხლის განმავლობაში.

გულის კედლები შესდგებიან ხორცისაგან ანუ კუნთებისაგან და ამ კუნთების მუშაობაზეა დამოკიდებული გულის ცემაც და სისხლის მოძრაობაც.

ორი წამის განმავლობაში სისხლი შემოივლის მთელს სხეულს ნუთჯერ.

არტერიებში ოთხჯერ უფრო ჩქარა მოძრაობს სისხლი, ვიღრე ვენებში.

მეტად დიდ დახმარებას უწევენ გულს ის სარქველები, რომლებიც გულის კარებში არიან დატანებული.

სარქველები წარმოადგენენ მაგარ კანს, იხურებიან და იღებიან გულის ცემის ღროს და სისხლის მოძრაობას აძლევენ სწორ მიმართულებას.

როდესაც პარკუქები შეიკუმშებიან, სისხლს ერტკებიან და გადენიან სისხლის მილებში.

როდესაც მოეშვებიან მოდუნდებიან, წინგულებიდან იქ სებიან სისხლით.

ავილოთ მარცხენა პარკუქი, როდესაც საესეა სისხლით; აი შეიკუმშა ის, აქ ხომ ორი კარია,—ერთი წინგულში გადის, მეორე აორტაში. რომელი კარით გასწევს სისხლი? სისხლი მიაწვება ორივე კარს, მაგრამ სარქველები ისეთი მოწყობილი, რომ წინგულისაკენ გასავალი კარის სარქველები იხურებიან, აორტაში გასავალი კარისა კი იღებიან და სისხლი გასწევს აორტაში. ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ მარჯვენა პარკუქის შეკუმშევის დროს.

ხე რომ არ იყოს, პარკუქების შემკუმშევის დროს სისხლი უკან გასწევდა წინგულებში, პარკუქების მოდუნების დროს ვენებიდან და აორტიდან სისხლი უკანვე მოაშურებდა პარკუქებს და ისეთი არევდარევა გამეფულებოდა სისხლის მოძრაობაში, რომ გული ველიზე გაართმევდა თავს, მალე მოიშლებოდა, გაგანიერდებოდა და გაჩერუებოდა ბოლოს.

აორტა იყოფა მრავალ წვრილ მილებად, ანუ აორტეზე ბად, ესენი კიდევ უფრო წვრილ მილებად და ბოლოს აორტის ტოტები თმაზე უფრო წვრილდებიან.

ასეთი წვნიკი სისხლის მილებით დაქსელილია მთელი ჩვენი სხეული. ეს წვნიკი აორტერიები უერთდებიან წვნიკ ვენებს, ესენი ერთდებიან, შეადგენენ მსხვილ ვენებს, ამათ სისხლი მოაქვთ მარჯვენა წინგულში და აქედან მარჯვენა პარკუქში.

ეს სისხლი არის მუქი, შავი, მას ესაჭიროება გაწმენდა.

გარჯვენა პარკუქი ამ სისხლს იგზივნის ფილტვებში, აქ სისხლი ჰაერის შემწეობით იწმინდება, ჰაერს აცლის იმ ეანგბადს, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და რომელიც იღვივებს სითბოს ჩვენს სხეულში.

ამგვარად დაწმენდილი და განახლებული სისხლი ფილტვებიდან ბრუნდება უკან, მარცხენა წინგულში, აქედან მარცხენა პარკუქში და აორტით ურიგდება მთელ სხეულს.

— ძალიან კი ყოფილა მოწყობილი! გაიძახის ვეო.

2. გულის პუნთების დასეულება.

ადამიანის გული მოგავსებულია პარკში, რომელსაც ეწოდება გულის პერანგი.

გულსა აქვს საკუთარი ნერვები.

გულიდან გამოდიან და გულში ჩადიან სისხლის ძარღვები—არტერიები და ვენები.

გულის ავალმყოფობაც ამიტომ სხვადასხვანირია იმისდა მიხედვით, თუ რომელი ნაწილია დასნეულებული.

პირველია თვითონ გულის კუნთების დასნეულება.

მეორე—გულის სარქველების დასნეულება, მესამე—გულის ნერვებისა, მეოთხე—გულის პერანგისა, მეხუთე—სისხლის ძარღვებისა.

ცალ-ცალკე განვიხილოთ ჩვენ უველა.

უველი ჩვენგანის მუშაობა, მოქმედება, დამოკიდეუბლია კუნთებზე, რასაც თქვენ ხორცს ეძახით.

კუნთები გამჭული არიან ძვლებსა და ძვლებს შუა, მათი თვისება—გაჭიმვა და მოკუმშვა

ამით კუნთებს მოძრაობაში მოჰყავთ ჩვენი სხეულის სხვა-დასხვა ნაწილი.

კუნთები გვაქვს მარტო ძვლებს შუა კი არა, არამედ კუჭი, ნაწლავებში, გულში.

გულის მუშაობა დამოკიდებულია იმის კუნთებზე.

თუ გულის კუნთები საღია, გულიც კარგად მუშაობს.

თუ გულის კუნთები დასნეულდა, მაშინ გულის მუშაობაც უერსდება და ბოლოს სრულებით გაჩერდება.

რაკი გულის კუნთები საგრძნობლად დასნეულდებიან, მორჩენა შეუძლებელია, შეიძლება ავალმყოფმა რიგიანი მოვ-

ლითა და ყურადღებით ასე თუ ისე გააჭიანუროს თავისი კულტურული ცოცხლები.

თუ გულის კუნთებს ცოტა იქვს სწერულება შეპარებული, მორჩენა შესაძლებელია.

ამიტომ გულს დიდი ყურადღება უნდა და დიდი ფართხილება.

გულის კუნთები ხშირად სწერულდება სხვადასხვა მოარულის დროს, როგორც არის სახადი, ყვავილი, კუნთრუშა, ყველკირვება.

ავადმყოფი მაშინ სუსტდება, სახე უფითრდება, მაგრა ხან ჩქარა უცემს და უსწორ-მისწოროდ, ხან ძალიან ნელა.

საღ აღამიანს მაჯის ცემა იქვს უაახლოვებით ოთხმოცა, ცოტა მეტი ან ნაკლები წიმში.

ავადმყოფობის დროს მაჯის ცემა მატულობს, მაგრამ თუ ის ას ორმოცად ათს გადასცდა სიცხის დროს ან სამოცამდე ჩამოვადა, ეს უკვე მაჩვენებელია გულის კუნთების დასწერულებისა.

რა ჩნდება ამ დროს გულის კუნთებში?
ანთება.

ზოგჯერ გულის კედლებში ჩირქიც კი დაგროვდება.

აღამიანი ხანდახან მოულოდნელად კვდება გულის დაბლით: გულის დასწერულებული კუნთები გაჩერდებიან, სისხლის ტრიალი შეწყდება და სიცოცხლე ისპობა.

თუ ავადმყოფმა გადიტანა, როგორც კი გაივლის გულის სწერულების გამომწვევი მოარული, გლლიც თანდათან გამოკეთდება, ხოლო რამდენიმე ხანს მაინც სეჭიროა თავის მოვლა, ზომიერად ცხრვრება და მოსვენება.

ხშირად არის, აღამიანს მოარული არა სეჭირებია, მაგრამ გულის კუნთები მაინც დასწერულებული აქვს.

სწერულება შეეპარება გულს ნელა-ნელა და დიდხანს მიღლინარებს შეუმჩნევლად, დაფარულად. გულის კედლებში ხორცი თანდათან ილევა, ჰქონება და მის ალიგის ჩნდება სეჭლი კანი, როგორც, მაგალითად, ჭრილობის ალაგზე ჭრილობის მოშუშების შემდეგ.



როდესაც დიდი ნაწილი გულისა ამგვარად დასწეულდება, ამ მაშინ ვერ აუდის მუშაობას, განიერდება, გულის კედლები თხელდება.

მუშაობისა და მოძრაობის ღრმა ავადმყოფი მაღალი იღლება, სიარელი უძნელდება, შეღმართში ხშირად უნდა დაისვერნოს, თორემ სული ეგუბება, სუნთქვა უჭირს. თუ მიღიანათ სკამა საღილი, გულზე აწუხებს, გული უძგერს, სუნთქვა უძნელდება.

ხანდახან ავადმყოფი ტკივილებსა კრძნობს მარცხენა ძუძუში, მარცხენა ბეჭვა და მკლავში.

შეიძლება ავადმყოფი უცებ მოკვდეს გულის დამბლით ან გულის გახეთქით: გული როცა განიერდება, მისი კელლები თხელდებიან, გათხელებული კედელი კი ხშირად სკდება გულის შეკუმშვის ღრმას, მაშინ გული რა თქმა უნდა ჩერზება.

თუ ავადმყოფს ასეთი ბედი არ ეწია, სისუსტე თანდათან მატულობს: ავადმყოფს ფეხები უსივდება, სახე, ხელები, წყალმანკი უჩნდება და კვდება. ასეთი ნელი და ხანგრძლივი დასნეულება გულის კუნთებისა არის შედეგი სხვადასხვა ავადმყოფობისა: სახსრების მძაფრი ქარებისა, ათაშანგისა, დამპალ კიებისა, ლოთობისა, თლურნის უზომოდ წევისა.

უზომოდ სმა-ჭამა, ლოთობა, გარყვნილება, ბევრი თამბაჭო, ქარები, ათაშანგი და ტანში გამჯდარი ციებ-ცხელება გულის მტრები არიან.

ეს კარგათ უნდა გახსოვდეთ ყველას, ეისაც გინდათ, რომ გული მთელი გქონდეთ. თქვენისთანა მუშაკაცს თუ გული დაუსწეულდა, აღარაფრად იღარ ვარგა, რაღგანაც რამდენიც უნდა იცოცხლოს, მუშაობას ვეღარ შესძლებს, და მუშაკაცს თუ ხელი ვეღარ გაანძრია, წყალწალებულია ისიც, მისი ოჯახიც.

3. გულის გასუმბა.

გულია სწორები ერთგვარი ივაღმყოფობა — გულის გასუქება.

თუ კი საერთოდ სიმსუქნე ჯანმრთელობის ნიშნად არის
მიღებული, რათ ეშინია ჟურნალის გულის გასუქებისა?

იმიტომ რომ სუკანი გული ცუდად მუშაობს, მალე იქნ-
ცება და ბოლოს განიცემდება.

გულის სიმსუქნე უფრო ხშირად ხვედრია სუქანი ადამია-
ნისა, მაგრამ შეიძლება ადამიანი ხმელ-ხმელი იყოს, გული კი
გასუქებული პქონდეს.

გულის გასუქების დროს, კუნთების ალაგს გულში თან-
დათან იქცეს ქონი.

რაც დრო გადის, ქონი თანდათან მატულობს და იზრდე-
ბა ამავე დროს გულის სისუსტეც.

ნიშნები და ბოლო იგივეა, რაც გულის კუნთების და-
ნეულების დროს:

ივაღმყოფი მალე იღალება, სიარული და მუშაობა უჭირს,
გული უძგერს, თავბრუ ესხმის; ნასაღილევს უფრო სწუხდება.

ბოლოს ან უცებ კვდება, ან არა და სისუსტე თანდათან
მატულობს, ფეხები უსივდება, ხელები, სახე, კანი, წყალმანი
უჩნდება და კვდება.

მორჩენა შეუძლებელია, ხოლო მოვლითა და გაფრთხი-
ლებით შეიძლება დღის გაგრძელება.

— აბა რაღა ყოფილა დოხტურობაი, თუ ვერ მოარჩენ
ამისთანა ივაღმყოფსა? მშპბს ეგერ სოლო.

შენ, ჩემო სოლო, ოხრული ცხოვრებით გული გაიფუქს,
შემდეგ მიღი ექიმთან და მოსთხოვე: ახალი გული ჩამიდევიო.
ვერ ჩაგიდებს!

ექიმობა გასწავლის, როგორ უნდა იქნოვოთ, რომ არ დასწაულდე, — დანარჩენი შენი საქმეა.

გულის სიმსუქნე არ არის მუშა ხალხის ავაღმყოფობა, გულის სიმსუქნე იმას ემართება, ვინც სმა-ჭამაში მამაცია და მუშაობაში ზარმაცი.

მაგრამ არის ერთი სენი, რომელიც თქვენ შორისაა გავრცელებული და რომელიც იწვევს გულის გასუქებას, ეს არის ლოთობა, განსაკუთრებით არაყის სმა უზომოდ.

— მე არაყი წამალი მეონია, ამბობს ბესარიონი.

წამალს შენ, ბესარიონ, ნიადაგადა სვამ?

— რაზე მწყევლი ექიმო? თუ ლმერთში შემეწია და ავალ არ გავხდი, წამალს როგორ დავლევ?

— არაყიც წამალია, ჩემი ბესარიონ, და მხოლოდ ხანდახან უნდა დალიო, როგორც წამალი.

თუ ნიადაგ სუი, გული დაგისნეულდება, გჯეროდეს ჩემია.

4. გულის მანები.

როგორც იცით ჩვენი საუმრიდან, გული შესდგება ოთხი განყოფილებისაგან: ქვეითა არის ორი პარკუტი, რომელ ზედაც ზევიდან დამხომილია ორი წინგული.

თოხივე შეერთებული არიან ორი კარით; კარში დატანებულია მაგარკანიანი სარქველები, რომლებიც თავისი გალებამოხურვით სისხლს აძლევენ სწორ მიმართულებას.

რა არის გულის მუშაობა? მხოლოდ შეკუმშვა, მოშეება და ცოტა შესვენება ხელახალი შეკუმშვის წინ.

მხოლოდ წინგულები და პარკუტები ერთსა და იმავე დროს არ იკუმშებიან და არ მოეშვებიან, არამედ რიგ-რიგად.

წინგულები რომ შეიკუმშებიან, მაშინ პარკუტები მოდუნდებიან და ლებულობენ წინგულებიდან სისხლს.

როდესაც პარკუტები აივსებიან, მაშინათვე შეიკუმშებიან და სისხლს ერკეკებიან არტერიებში. ამ დროს კი წინგულები მოეშვებიან და სისხლით ივსებიან.

სხვა და სხვა მოარულის დროს ხანდახან სნეულდებიან გულის სარქველებიც.

რაში გამოიხატება ეს დასნეულება?

ბაცილები მომრავლდებიან ზედ, გამოიწვევენ სარქველების ანთებას, ამას კი შედეგათ მოსდევს სარქველების მოლპობა ან მოკრუნჩხვა, დამოკლება.

• რა უნდა ბაცილებს გულის სარქველებზე?

თქვენ იხლა იცით, სხვა და სხვა მოარულის დროს ბაცილები შემოიკრებიან ხოლმე ჩვენს სხეულში; ეს ბაცილები ზოგჯერ გაძერებიან სისხლში და გაპყვებიან მას, შეელჩ გულში და დაბინავდებიან სარქველებზე.

რა შედეგი მოსდევს სარქველების მოლპობას, ან მოკრუნჩხვასა და დამოკლებას?

სისხლის მოძრაობის სრული არევ-დარევა.

ავიღოთ მარცხენა წინგული და მარცხენა პარკუჭი.

მარცხენა წინაგულიდან სისხლი ჩამოდის მარცხენა პარკუჭი, აქედან კი ოორტაში. წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამათი შემაერთებელი კარის სარქველები მოლპენ.

მაშინ მარცხენა პარკუჭის შეკუმშვის დროს სისხლი მარტო აორტაში კი არ გასწევს, არამედ უკანვე გაბრუნდება წინგულში, რადგანაც სარქველების მოლპობის ან მოკრუნჩხვის გამო ეს კარი მუდამ ღია იქნება. მაშინ წინგულს ფილტვებიდანაც აწვება სისხლი, პარკუჭიდან ცალკე მოაწვება.

ამდენი სისხლის დასატევათ ის უნდა გაიწელოს, შეკუმშვის დროს ამდენი სისხლი უნდა ჩამოდენოს პარკუჭში.

პარკუჭიც ზედმეტათ უნდა გაიწელოს, რომ ამდენი სისხლი დაიტიოს და ამის გამო წინგული და პარკუჭი თანდათან გაინიერდებიან. გაგანიერებულ პარკუჭს კი ძალა აღარა აქვს, საქმეს ველარ აუდის, საქმე კი არ ეშვება და თანდათან იქანცება.

როცა გულის მარცხენა ნაწილი გაგანიერდება და მოიშლება, ამით ჯაფა ემატება მარჯვენა ნაწილსაც; ბოლოს ისიც გაგანიერდება, სიგანიერე ვრცელდება მთელ გულზე.

პირველი შეხედვით ეს სარქველები უბრალო რამ არიან, მაგრამ გულის მუშაობაში და სისხლის მოძრაობაში მათ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ და მათი დასნეულება ბოლოს იწვევს მთელი გულის დასნეულებასა და გაგანიერებას.

აი ამ სწორულებას ეწოდება გულის მანკი.

— ყველა მოარული იწვევს გულის მანკს? ჰკითხულობა ამანი.

კველა არა.

გულის მანკს იწვევს სისხლის მოწიმლვა, სახსრების მდაური ქარები, ქუნთრუჭა, ყელჭივრება,—ისიც ყოველთვის არა.

გულის მანკი შეიძლება გამოიწვიოს მაღლიდან გადმო-

ვარდნამ, ძალიან მძიმე ტვირთვის აწევამაც: ფასალვისაგან გულის სარქველები დაწყდებიან ხოლმე.

ზოგს ის დაბადებით დაყვება.

გულის მანკი მოურჩენელი ავადმყოფობაა.

— რატომ არა რჩება ნეტავი? გვეკითხება ოტია.

კაცს რომ ხელი მოსჭრა, ცხვირი ან ყური, ახალი აღარ გამოების? არა.

ასეა გულის სარქველიც; რაკი ერთხელ მოლპება ის, ან მოხმება და მოიკრუნჩხება, ახალს ველარ გამოაბამს ვერავითა. რი წამალი.

— აბა მაშინათვე მოკვდება ადამიანი? მეკითხება მათია.

არა, გულის მანკი შეიძლება ათეული წლები ჰქონდეს აუამიანს, მაგრამ არც კი ეჩჩნეოდეს, არ აწუხებდეს ძალიან.

გული ისეთი აგებულების არის, რომ ძალიან დიდხანს უძლებს ზედმეტ ჯაფას და არ გაგანიერდება.

სანამ არ გაგანიერდება, მანამდე მის პატრონს არაფერი არ აწუხებს, ვერც კი ამჩნევს ავადმყოფობას.

რაკი დაიწყება: გაგანიერებას, მაშინ მოიშლება მთელი სხეულიც: ავადმყოფს სიარული უკირს, მღვაობა არ შეუძლია, სული ეგუბება, ეხუთება, გული უძგერს, ნასაღილებს გული უწუხს, ფეხები შეუშუპდება, ხელები, სახე; ხშირად წყალმაკი უჩნდება და კვდება.

როდესაც კინმე გულის მანკით დასწულდება, მოურჩენა ზე ფიქრს თავი უნდა დაანებოს და შეურიგდეს თავის ბეჭს.

უნდა ეცალოს მხოლოდ, რომ გულმა გაგანიერება ას დაიწყოს.

რა არის ამისათვის საჭირო?

მძიმე საქმეს უნდა ერიდოს, იქმოვროს მოსვენებით, საკმელი სჭამოს ზომიერად და მაგარ სასმელებზე ხელი აიღოს.

5. გულის ნირვანის სიღანიერება.

გულის კუნთების დასწეულების, გულის სიგანიერისა და მანკის დროს, ავადმყოფს ხშირად აქვს გულის ძერა და ჩვლეტა გულში.

ბევრმა თქვენგანმა ეს კარგად იცის და აუძგერდება თუ არა გული, ან თუ იგრძნო ჩვლეტა მარცხენა ძუძუში, ში-შით აღარ არის.

— გულის სიგანიერე მაქვს, გულის მანკიო, უნდა გა-მოგიცხადოთ შემდეგი:

ბევრჯერ ადამიანს გულის ძერა აქვს, ჩვლეტაც გულში, მაგრამ მიუხედავად ამისა თვითონ გული მთელია,—არც გა-განიერებულია, არც მანკია, არც ქონია და კუნთებიც მშე-ნიერად არის.

— აბა რაშია საქმე? იკითხავთ თქვენ.

რაშია და ნერვებში. უცებ როდესაც შეგშინებიათ, არ შეგინიშნავთ გულის ძერა? შიში მოქმედებს ნერვებზე, ნერ-ვები კიდევ იწვევენ გულის ჩქარ ამუშავებას.

გული შეერთებულია პირდაპირ ტეინთან ნერვებით და ტეინის ანუ ჩვენი გონებრივი ცხოვრების სხვადასხვა მდგომა-რეობა გულზე ძალიან მოქმედობს.

მაგარი სასმელები სწამლავენ გულის ნერვებს და იწვევენ გულის ძერას, ხშირად ისე ძლიერს რომ ავადმყოფს მოსვენება ეკარგება.

თუთუნმაც ხშირად იცის გულის ძერა. რა თქმა უნდა, თუ რომ ადამიანი მთელი წლობით ლოთობს და უზომოდ ეწევა თუთუნს, მარტო გულის ნერვები კი არ უსწეულდება, არამედ თვითონ გულიც და ბოლოს და ბოლოს გულის სი-განიერე ემართება.



გულის სიგანიერებს აღარა იქვს წამალი? ჰყითხულობა, ონისიმე.

არავითარი, ამიტომაც თქვენისთანა მუშაკაცი განსაკუთრებით უნდა გაუფრხილდეს გულს.

თქვენს გულს მძიმე მუშაობის გამო ისეც დიდი ჯინა ადგია. თუ ის კიდევ არაყითა და უზომო ლეინის სმით მოწამლეთ, რა თქმა უნდა, ვერ აიტანს, მალე მოიქანცება, მოიშლება და გაგანიერდება.

უსისხლო იდამიანმა ხშირად იცის გულის ძერა და ჩხელე. ტა გულში, თუმცა თვითონ გული სრულებით საღი იქნა.

არის ერთგვარი ივალმყოფობა — ჩიყვი ანუ ჟიყვი; ჩიყვიან ხშირადა იქვს გულის ძერა.

გულის ძერა ხშირად არის გამოწვეული კუჭისაგან.

კუჭი გულთან მეტათ ახლოს იმყოფება, მათ შუა გადაკიმულია თაღიერთ მაგარი ბადე, რომელსაც საძვიდი ეწოდება. ეს საძვიდი ჰყოფს ერთმანეთისაგან გულის ყაფაზს და მუცლის ღრუს.

ზოგიერთ იდამიანს ნამეტანი უყვარს ჭამა, გაივსებს უზა-მოდ კუჭს; კუჭი გაიძერება, მიაწვება ზევით საძვიდს, საძვიდი კიდევ გულს იმოაწვება და გული იწყებს ძერას.

ლორ-მუცლა იდამიანი მე არ მიყვარსო, ეუბნება ასეთი გული თვის პატრიონს.

— გულმაც იცის ლაპარაკი თუ? ოხუნჯობს ეგერ ბესია. საუცხოვო, თუ რომ ყურს დაუგდებთ?

როდესაც ზორბად გადაჰქრავთ და გული იგიძგერდება, ეს აძგერება გულის ლაპარაკი გახლავთ.

· გული მაშინ გიცხადებთ:

— ამდენი სასმელის ატანა არ შემიძლია, გამიგონე, თორებმ მოყიშლები, გავგანიერდები და მაშინ თავში ქვაიხალეო.

— იმისთანა წამალი არ არი, რო ლოთობაზე ხელი აიღოს კაცმა? ჰყითხავთ თქვენ.

როგორ არ არის: შეგნება და სურვილი, აი წამალი!



— გულის ძერა ხშირად შედევია გაანჩხლებისა, შეშინებისა; თქვენ რომ იტყვით ხოლმე: გული გადაბრუნებით.

— ბუღილან ამოვარდა გულიო, რომ იტყვიან, მართალია? გვეკითხება თებრო.

გულის ბუღილან ამოვარდნა, ან გადაბრუნება, ყოვლად შეუძლებელია, ასე მხოლოდ ხალხს წარმოუდგენია შემცდარად გულის ძერის მიზეზი შეშინების ან გაანჩხლების დროს.

სხვადასხვა მოარულის დროს ივაღმყოფს ხშირადა აქვს გულის ძერა, რასაც იწვევს ერთის მხრით სიცხე, მეორე მხრით მოარულის შნაში.

გულის ძერა და ტკივილი ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც ნერვები იქვს დასუსტებული ან აშლილი. ასეთ ადამიანს სულ უბრალო მოძრაობის დროს, ან უმიზეზოთაც, აუვარდება გულის ძერა, ზოგჯერ ჩხვლეტა გულში.

როდესაც სალსალამათ ადამიანს გული საღი აქვს, გულის ჩხვლეტა და ძერა კი სჩვევია, ეს არის შედეგი ნერვების აუაღმყოფობისა.

ამას ექიმები უწოდებენ გულის ნევროზს.

ასეთი ადამიანი უნდა ეცადოს, რომ ნერვები გაიმაგროს.

ამისათვის საჭიროა შემდეგი: ძალიან მძიმე მუშაობას დროებით თავი უნდა დაანებოს, სასმელებზე და თამბაქოზე ხელი უნდა იიღოს, პილპილისა, ცხარე ძმარსა და ძალიან მღვევე საჭმელს ერიდოს და იბანაოს ცივ წყალში ზაფხულობით. თვითონ გულის ძერის დროს საჭიროა მოსვენება და ციც წყალში დასველებული ტილო გულზე.

კარგია მთის ჰაერი, ზღვაში ბანაობა.

6. გულის პერანგის ანთება.

გული მოთავსებულია მაგარ პარკში, რომელსაც გულის ბადეს, პერანგს ვეძახით. იმ ამ პერანგს გულისას სჩვევია სუ, და სხვა ავაღმყოფობა.

უმთავრესი ავაღმყოფობა გულის პერანგისა არის ანთება, რომელიც ხშირი შედეგია სხვადასხვა სწერულებისა: სახალის, სახსრების ქარებისა, ყელჭირვებისა, ქუნთრუშისი, ფილტების ანთებისა, ჭრებისა და სხვ.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვა მოარულ სჩვევია გართულება ე. ი. ახალი ზეღმეტი ავაღმყოფობის ჭრობისა.

გულის პერანგის ანთებაც არის ხშირად გართულება ან თუ იმ მოარულისა.,

როგორც იცით მოარულსა ჰყავს თავისი ბაკილები; ეს ბაკილები ზოგჯერ მოედებიან მთელ სხეულს, დაბინავდებიან გულის პერანგში და გამოიწვევენ იმის ანთებას.

გულის პერანგის ანთება იწყება სიცხით, მცრავ ან ავაღმყოფობამ საერთოდ სიცხე არ იცის დიდი.

ავაღმყოფსა იქვე გულის ძერა და ჩხვლეტა, ხანდახდი დიდი ტკივილებიც მარტენია ძუძუსთან.

სწერულება გრძელდება ერთ თვემდე და შემდეგ ნელა-ნელა ჰქონება.

ზოგჯერ გულის პერანგის ანთება ასე იოლად არა ჰქონება და ზედ ერთვის წყალის მსგავსი სითხის დაგროვება გულის პერანგში

სითხე თუ ბევრი მოგროვდა, გულის მუშაობა ფერხდება; ავაღმყოფს მაშინ სიარული უძნელდება, სული ეხუთება, ახვე-



ლებს უმეტესად მშრალად ან და ძალიან ცოტა ნახველს აძლევს, სახე შეშუბებული აქვს და მოლურჯო ფერი გადაჰკრავს, მუცელი ებერება, ფეხები უსივდება.

თუ სითხე ცოტა დაგროვდა, შესაფერის წამლობით თანდათან შრება.

ხოლო თუ სითხე ბლომად დაგროვდა, საჭიროა სითხის გამოშეება შესაფერის იარაღით, თორებ შესაძლებელია ავალმყოფს გულის დამბლა მოუფიდეს.

ხანდახან წყალისებური სითხის მაგიერ ჩირქი დაგროვდება გულის პარქში.

მაშან საჭიროა აპერაციის გაკეთება, თორებ ავალმყოფი არ გადარჩება.

— გულის აპერაცია შეიძლება? მკითხავთ თქვენ.

აქამდის ეგონათ, გული აპერაციისთვის შეუვალი არისო, გულზე როგორ შეიძლება რაიმე აპერაციის გაკეთება, შეიძლება გაჩერდეს და ადამიანი მოკვდესო.

დღეს კი ექიმები თავისუფლად აკეთებენ სხვადასხვა აპერაციას მარტო გულის პერანგზე კი არა, თვითონ გულზედაც.

როდესაც ვინმე გულის პერანგის ანთებით გახდება ავალ, უნდა იწვეს წყნარად და მოსვენებული იყოს. გულზედ უნდა ედვას ყინულით ან თოვლით სახსე პარკი.

არავითარი სასმელი არ შეიძლება წყალსა და რძეს გარდა, ყოველგვარი ჩქარი მოძრაობა, წამოდგომა, გადატრიალება მეტად მავნებელია.

საჭმელი უნდა იძლიოთ ავალმყოფს მსუბუქი და აღვილად მოსანელებელი: მაწონი, ქათმის წყენი, თოხლო კვერცხი, რძის ფაფა, კარაქი.

ერთი სიტყვით ყოველი ლონე უნდა იყოს მიღებული, რომ გულს მუშაობა გაუადვილდეს.

გულის პერანგს ის მნიშვნელობა აქვს, რომ გულს იფარის სხვადასხვა მავნებლობისაგან.

გულს რომ პერანგი არა ჰქონდეს, ის უფრო ხშირად დასწულდებოდა. მაგალითად, ფილტვების ანთება ხშირად გა-

და ეიდოდა გულზე, რაღანაც გული ფილტვში არის, და გამოიწვევდა გულის ანთებას.

თუ სინამდვილეში ამას არა ვხედავთ, იმიტომ რომ პურანგი იფარავს გულს. პერანგში ერთგვარი სისველეა და ქუდვილებს გულს მუშაობას.

ზოგჯერ გულის პერანგის ანთება იწვევს ამ პერანგის გახმობას და გულზე შეხორცებას.

ამას შედეგად მოსდევს გულის დასუსტება და დაძაბუნება.

— მერე მორჩენა არ შეიძლება? შენა ჰკითხულობ თომი?

შეიძლება, მხოლოდ ახალი პერანგის მოპოებით, მაგრა რაღანაც ეს შეუძლებელია, ამიტომ მორჩენაც შეუძლებელია.

— როგორც სჩანს, გულის ავადმყოფობასა წამალი არ ჰქონია, მეტყვით თქვენ.

ვართლაც ბევრჯერ გულის ავადმყოფობას არა აქვს არავითარი წამალი გარდა თავის მოვლისა.

რაღანაც სხვადასხვა სნეულებისაგან არავინ არ არის დაზღვეული, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გულს, მით უმეტეს მუშა ხალხისაგან, საღი და მაგარი გული უწინარეს ყოვლისა თქვენთვის არის საჭირო.

თქვენ წინ გიძევსთ მეტად დიდი და მძიმე საქმე: აშენება ახალი ცხოვრებისა, მუშარგლებური წყობილებისა. გაცემოლი, დაძაბუნებული გულით ასეთი ცხოვრება არ აშენდება. ძლიერი, გრიგალისებური გაქანება წინ!

აი რას ითხოვს თქვენგან ახალი ცხოვრება.

ამისათვის კი საჭიროა მთელი, მაგარი გული.

7. სისხლის ძალების დასეზონი.

მთელი ჩვენი სხეული დაქსელილია სისხლის სხვილი და წვრილი ძარღვებით.

ამა, დაუკირდით თვალის კაკალს, როგორი წვრილი ძარღვებია ზედ ჭახაკიფით დახლაკილები.

ჩვენს სხეულში ამაზე უფრო გაცილებით წვნიკი ძარღვებია.

ამ წვნიკი ძარღვების საშუალებით ჩვენი სხეულის ყოველი ნაწილი, ყოველი უჯრედი სისხლით იჩტყვება.

სისხლის ძარღვები ორნაირია: ერთში სისხლი გულიდან მოდის სხეულისაკენ, მეორეთი სისხლი უკან ბრუნდება გულში.

პირველია ორტერიები, — მეორე ვენები.

გულიდან გამოდის ერთი სხვილი ძარღვი — ოორტა და ყველა არტერია წარმოადგენს ამ ოორტის ტოტს.

სნეულება ბევრჯერ სისხლის ძარღვებშიაც იჩენს თავს და უფრო სნეულდებიან ორტერიები. სისხლის ძარღვებს რბილი, გამჭიმავი კედლები აქვთ, რაც გულს მუშაობას უადვილებს.

სისხლის ძარღვების კედლები რომ მაგარი იყოს, მაშინ გულს მეტი შრომა დასჭირდებოდა სისხლის გასადენიდ, ეს კი გულს მოჰქვან ცავდა.

გულის მოქანუფას კი ბოლოს და ბოლოს შედეგად მოზღვს გულის დასნეულება, მოშლა და გაგანიერება.

უმთავრესი ავადმყოფობა სისხლის ძარღვებისა არის შათი კედლების გამაგრება.

ორმოცუ წლიდან მოყოლებული სიბერემდე ძარღვების გამაგრება ნელა-ნელა ეპარება ყოველ ჩვენგანს. ეს გამაგრება

კითარდება სიბერესთან ერთად და არის შედეგი საერთოდ მას ხუცებულობისა.

მაგრამ ბევრჯერ ძარღვების გამაგრება ადამიანის წლები. ნებას არ შეეფერება; ზოგჯერ ძარღვების გამაგრება იქცენა ძლიერია, რომ ადამიანს აწუხებს და ეს უკვე ფალმყოფობაა.

ამ სნეულების ღრუს ფალმყოფსა აქვს უმთავრესად თუ. ბრუ, ზოგჯერ გულის ძერა და ტკივილები სხეულის სხევადა. სხვა ნაწილში.

რა იწვევს ამ სნეულებას? ლოთობა, თამბაქოს უზომოდ წევა, მაგარი ათაშანვი ანუ სიფილისი, მალარია, მეტად მძიმე მუშაობა.

რაი ერთხელ დაიწყება ძარღვების გამაგრება ადამიანის სხეულში, მათი სრულებით მოჩენა შეუძლებელია; შესაძლებელია მხოლოდ შეჩერება.

ამისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სასმელ-საჭმელი და თუთუნი; საქონლის ხორცი, ლოთობას, თუთუნს ამისთან ავალმყოფმა თავი უნდა დაანებოს.

შეიძლება ამ სნეულებით ადამიანმა ღრმა სიბერემდე იკოკხლოს, შეიძლება რამოდენიმე წელიწადში მოისპოს სიკოკხლე. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ უვლის თავის თავს და ვინ როგორ ასრულებს ექიმის დარიგებას.

ხომ გავიგონიათ, ამასა და ამას დამბლა დაეცაო. აი ეს გახლავთ შედეგი სისხლის ძარღვების გამაგრებისა.

როდესაც სისხლის ძარღვები საკმაოდ გამაგრდებიან, ავალმყოფს ან დამბლა დაეცემა, ან უცებ მოკვდება გულის დამბლით.

გამაგრებული ძარღვი იღვილად სკდება. თუ ძარღვი ტვინში გასკდა, სისხლი ტვინში ჩაიღვრება. თუ სისხლი ბერი ჩაიღვარა ტვინში, ავალმყოფი აზრსა ჰყარგავს, ვეღარ ლაპარაკობს, ნახევარი მხარე უდამბლავდება, ხრიალებს და მალე კვდება; ზოგი ერთ დღეს გასძლებს, ზოგი—ორს, სამს.

თუ სისხლი ცოტა ჩაიღვარა, ავალმყოფი აზრს ან აზრ ჰყარგავს, ან მალე უბრუნდება, ხოლო ხელი და ფქნი დიდხანს აქვს დაღუნებული და ნელა-ნელა რჩება.

ხანდახან ხელისა და ფეხის დამბლა სრულებიდ გაიყლას უფრო ხშირად კი ორა, რაც უფრო ხნიერია იდამიანი, მით უფრო საშიშია მისთვის ტვინის დამბლა.

თუ ხელი და ფეხი ერთი წლის განმავლობაში არ გამოსწორდა, შემდეგ იღარაფერი ეშველება.

ტვინის დამბლის დროს პირველი საშუალებაა წურბელი ყურის ძირებში ათამდე, და თოვლი, ყინული ან ცუკი წყალი თავზე.

რა იწვევს გულის დამბლას ძარღვების გამაგრების დროს? როგორცა ვსოდე, ძარღვების გამაგრებას შედეგად მოსდევს გულის ზედმეტი მუშაობა, მოქანცვა, გაგანიერება და ბოლოს გულის დამბლა.

ძარღვების გამაგრებას ზოგჯერ შედეგად მოსდევს გულ-ჭიდება.

გულს ძევს საკუთარი ძარღვები, რომლებიც მას ასახრდოებენ. ხანდახან ეს ძარღვები ისე გამაგრდებიან, რომ ძალზე მოვიწროვდებიან და სისხლი ძლივს გაქირვებით გადის შიგ.

მაშინ გული ვეღარ სახრდოობს რიგიანაუ და სნეულდება.

რაში გამოიხატება ეს სნეულება?

ავადმყოფს დრო და დრო მოუცვლის ტკივილები გულის ფიცარზე, ტკივილი ვრცელდება ბეჭედისა და ხელში; ავადმყოფს ამ დროს სუნთქვა უძნელდება და რაღაც გამოურკვეველი შიშით არის შეპყრობილი.

ტკივილი ზოგჯერ იოლია, ზოგჯერ კი მძლავრი, ავადმყოფი მოსვენების ვერა პოულობს, ვერა წვება.

ტკივილი გიველის და ავადმყოფი სრულებით კარგადა გრძნობს თავს, სანამ ხელახლად არ გაუხსენებს.

ავადმყოფობა გრძელდება რამოდენიმე წელიწადს და თავდება გულის დამბლით: ავადმყოფი უცებ კვდება ტკივილების დროს, ან წვალობს რამოდენიმე საათს. ხანდახან ტკივილების შემოტევა გრძელდება მთელი დღედაღამე, შემდეგ ავადმყოფი მოიკეთებს, მაგრამ ამ დროს მოუსწრებს გულის დამბლა და მოჰკვდავს.

გულჭიდება შედევრია ლოთობისა უათაშანების. როგორ უკეთ მოგეხსენებათ, გულის მარცხნა პარუქიდან გამოისაზავი ძარღვი, აორტა, რომელსაც მიაქვს სისხლი ჩეკი, სხეულის ყველა ნაწილებთან

აორტა გულიდან ზევით ამოდის გულის ფიცარს უკან, აქ უგზავნის ძარღვებს თავს, ხელებს, ტვინს. შემდევ გარა, რება და დაუხვევს მუცლისაკენ.

გულიდან ზევითკენ, მოხრილ ალაგამდე აორტა ძალის სხეილია.

ზოგჯერ სნეულება ჩნდება აორტის კედელში, კედელი რომელიმე ალაგას გამოიბერება, რადგანაც გამობერილ ალაგას სისხლი შეუჩერებლად აწვება გულიდან, გამობერილი ალაგა თანდათან მატულობს ქათმის ჩინჩახვივით.

სანამ გამობერილი პატარაა, ავადმყოფი ვერც კი ამჩნევს, არ აწუხებს, მაგრამ როდესაც გამობერილი მოიმატებს, ავადმყოფს ტკივილები აქვს გულის ფიცარზე.

ხმა ჩაეხლიჩება, სუნთქვა უძნელდება, გამობერილი კადელი გულისა თანდათან თხელდება, ბოლოს გასკდება და ავადმყოფი მალე კვდება.

ავადმყოფობა მოურჩენელია, გრძელდება სულ რამოცუნიშე თვეს. ეს ემართება ლოთებს და იმათ, ვისაც ათაშანება კარგად არ მოურჩენია.

აორტამ იცის გამაგრება, ანთება, დასიება, რაც მეტად მძიმე სნეულებაა. ავადმყოფს ტკივილები აქვს გულის ფიცარზე, სუსტად არის, სიარული უჭირს, მალე ილლება, საღილი შემდეგ ცუდათა გრძნობს თავს.

თუ ავადმყოფმა რიგიანად არ უწამლა თავს, მალე კვდება. ასეთი დასნეულება აორტასი შედევრია ლოთობისა და სიფალისისა.

ნაზილი გაოთხე.

საჭმლის მომნიშვნებელი ასოების სერულებანი.

1. პირისა და საულაპავი მიღის ავადმყოფობა.

პირის უმთავრესი დანიშნულება ირის საჭმლის მიღება და წინდაწინვე მისი იმგვარად გადამუშავება, რომ კუჭს მისი მონელება გაუადვილდეს.

კბილების შემწეობით პირი ჰდეჭავს, სრესავს და იქუცმა-მაცებს საჭმელს, ნერწყვის შემწეობით კი საჭმელი რბილება, ადვილადაც ჩიდის კუჭში და უფრო ადვილი მოსანელებელიც არის.

გარდა ამისა, ნერწყვი თვითონ ინელებს საჭმელის ზოგი-ერთ ნაწილს.

ენის ძირში, ქვედა ყბის კუთხეში და უურის ძირში და-ტანებულია მოზრდილი ჯირკვლები, რომლების ნერწყვსადენი მილი პირში გამოტის და შეუჩერებლად მოაქვს ნერწყვი.

თვითონ პირს გამოკრული იქვს ლორწოიანი გარსი, რო-მელშიაც დატანებულია პატარ-პატარა ჯირკვლები, ესენი ამ-ზადებენ ლორწოს და ამის გამო პირი მუდამ სველია.

პირის დანიშნულება ერთის მხრით იმაში გამოიხატება, რომ კუჭს საჭმელი მიაწოდოს, მეორეს მხრივ იმაში, რომ კუ-ჭს საჭმელის მონელება გაუადვილოს.

პირი სარულებს ხშირად ცხვირის მოვალეობასაც, ხშის ამოლებასა და ლაპარაკში ხომ პირის დანიშნულება ყველასათვის ცხადია.

პირით სუნთქვა მავნებელი ჩვეულებაა, ეს იწვევს ხშირად ცელის გაცემას, ბრონხიტს.

რაღანაც პირი დიდ სამსახურს უწევს კუჭს, ამიტომ ძალა
დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ჭამის წესს.

დაღალულზე პურის ჭამა არ ვარგა, ჯერ საქოროა უ-
სვენება.

ზოგმა იცის ჩქარი ჭამა და დაუღევავათა ჰყლაპავს ს.
ჰმელს, რაც მეტად მავნებელია და იწვევს ბოლოს და ბოლო,
კუჭის დასნეულებას.

მიწის მუშებს ძილიან კარგი ჩვეულება გაქვთ; იჯრის წის
და იჯრის შემდეგ დასვენება გიყვართ და ჭამის დროს აჩქარება;
არ იცით; მავრამ თუ სტუმრათა ხართ, ლხინია, ქორწილი, ნათ.
ლობა და ან სხვა რამ ასეთი, —თქვენს მტერს —სუფრიდან აღვ-
მას ველარ მოახერხებთ; ეს კი მეტად მავნებელი ჩვეულებაა და
იწვევს კუჭის, ნაწლავების, ლვიძლის დასნეულებას და ბუასოლს.

— ლხინშიაც რომ არ დაისვენოს მუშაკაცმა, მა რა
ქნას? ვიცი, მეტყვით თქვენ.

უნდა დაისვენოს, ამისი წინაალმდეგი ვინ არის, მაგრა
საქმეც იმაშია, რომ დასვენება არ არის ის, რასაც თქვენ და-
სვენებას უძახით.

შვიდი-რვა საათი როდესაც კაცი სავსე სუფრაზე ზის და ზე-
უსვენებლად სჭამს და სვამს, ეს განა დასვენება არის? ას-
ერთი თქვენს კუჭსა და გულს დაეკითხეთ მაშინ, ისვენებენ ისა-
ნი თუ არა.

ერთი შემაწუხებელი ავადმყოფობა პირისა არის სუნი. ზო-
გჯერ სრულებით საღ იდამიანს პირიდან ამოსდის უსიამოვნო-
სუნი; პირი უყარსო, იტყვით ხოლმე თქვენ.

პირის სიმყრალის მიზეზი ზოგჯერ კბილებისა და ლრ-
ლების ავადმყოფობაა, ზოგჯერ კი — ცხვირისა და კუჭისა.

როდესაც ვისმე კბილები გამოხრული აქვს, ხშირად პირი
უყარს.

როდესაც ვისმე პირში იარები აქვს, პირი უყარს.

როდესაც ვისმე ლრძილები სტკივა, ესეც ბევრჯერ იწვევს
პირის სიმყრალეს.

როგორც პირის დაწყლულება, ისე ლრძილების დასიება



ეშირად შედეგია უმარტულისა. უმარტულისათვის სწვამენ ვერც-სლის წყალს, რომელიც მეტისმეტად მავნებელია პირისა და ღრძილებისათვის. უმარტული აფუქებს კბილებს, ღრძილებს, იწვევს პირის სიმყრალეს და კბილების აღრე დაცვენას.

უმარტული ბოლოს და ბოლოს იწვევს პირისახის კანის დანაოცებას და მოპუქნას.

იგივე ითქმის ფერზე; იმაში გარეულია სხვადასხვა საღა-გავი, რაც საწამლავია, როგორც პირის კანისათვის, ისე ღრძი-ლებისათვის.

ამიტომ, სოფლის ქალებმა უნდა განდევნოთ ფერ-უმარტუ-ლი ხმარებიდან.

პირის ლორწოვანმა გარსმა იცის ატკიება და დაწყლუ-ლება სხვადასხვა მოარტულის —ყვავილის, ყელჭირვების, ქუნთრუ-შის, სახადის დროს და სხვა. ამიტომ ყველა ამ ავადმყოფო-ბის დროს საჭიროა ხშირად გამორეცხა და გამოწმენდა პირისა, თუნდაც უბრალო ციკი წყალით.

პირის ლორწოვანმა გარსმა ბევრჯერ იცის ანთება. ლო-კუბსა და ენაზე გარსი სივდება და თეთრი ფერი გადაკრავს, ზოგჯერ კი დაწითლებულია და კბილების ნაკლევი ამჩნევია ენაზე და ლოკუბზე შიგნიდან.

ავადმყოფს პირი უხურს, ეჭვის და ნერწყვი ბლომად მო-სდის. ამ ნიადაგზე ზოგჯერ ჩნდებიან პირში წყლულები.

თუ ვისმე კბილები იქვს გამოხსრული, ნახვრიად შეკმული კბილების წვერები იქვს და ზედ ხახუნით ლაპარაკისა და პურის კამის დროს ენის გვერდებზე ჩნდება წყლული.

სოფლებში გავრცელებულია შინაური წამლობა ათაშა-ნგისა ბოლოით, უბოლებენ ვერცხლის წყალს; ვერცხლის წყა-ლის ბოლი შედის პირში და იწვევს ღრძილებისა და პირის ლორწოვინი გარსის დაწყლულებას.

წყლული ხანდახან ღრმა არის, ღრძილები ლპება და კბილები სცვივა. შინაური ექიმები ამითი ხალხს იტყუებენ:

— ა თუ არა! ტანში იყო გამჯდარი ავადმყოფობა და ახლა პირში გამოხეთქო.

ჩვილ ბავშებს ხშირად უჩნდება პირში წყლული ქილ-
ბის ამოქრის დროს.

ბავშს ლოზი მოსდის ბლომად, ჭამა უძნელდება და სიცა-
აძლევს ხშირად ორმოც მენაკამდე; ზოგჯერ კისრის ჯირკულ-
ბიც კი უსიცდება და უფრო კი ყბებ ქვეშ მდებარე წერილ-
ჯირკვლები.

თუ ძუძუმწოვარი ბავში დასუსტდა კუჭის მოშლით, ა-
სხვა რაიმე მიზეზით, პირში გამოაფენს თეთრად და ზოგჯერ
მთელი პირი, სასა, წენა, ტუჩები მთლად ერთიანად გამო-
გლისება.

ყველა ასეთ შემთხვევაში საკიროა პირის გამორეცხვა და
გამოწმენდა ხშირად.

ერთი ჩაის კოვზი შები გახსენით ერთ ჩაის ჭიქა სტა-
წყალში; ან ბორის სიმეავე და ბერტოლეს მარილი—თით
ჩაის კოვზი უნდა გახსნათ თითო ჩაის ჭიქა იღულებულ წყალში.

ბავშებსა სჩვევიათ განსაკუთრებით ზაფხულობით ლოკები
დაწყლულება შიგნიდან. წყლული თანდათან ღრმავდება, ჩრდ-
დება, ასიებს და ალპობს მახლობლად ღრძილებს, ხორცს, რო-
გამო ბავშს სიცხეს აძლევს, პირი უყარს. ეს არის წყლის კიბი.

წყლული ზოგჯერ მთელ ლოკას გამოალპობს და თუ
დროზე არ მიეშველეთ, ბავში კვდება. ამ ავადმყოფობას იწვ-
ვენ ბაცილები და წამლობა უნდა დროზე აქ ჩამოთვლილ სა-
შუალებით.

ზოგჯერ აღამინს პირი არა სტკივა, მაგრამ საშინელი წე-
რწყვის დენა აქვს, ამის მისები ბევრჯერ ჭია არის და იმასწერ,
და ნაწლავებიდან გამოდენა.

სანერწყვე ჯირკვლებსაც უჩნდება ხშირად ავადმყოფობა;
რველა იცნობთ ყბაყურას.

ყბაყურა ზოგჯერ ერთვის ჭუნთრუშასა და სახადს. მან
დასიებულ ჯირკვლები ზოგჯერ ჩირქიც დგება და საკირ-
გაჭრა.

პირის ავადმყოფობას ეკუთვნის ხუნაგიც.

რბილ სასას აქვს თაღები და ამ თაღების ძირში მოთავს-
ბულია ორი ნუშისმაგვარი ჯირკვალი.

ამ ჯირკვლებზე დაბინავდებიან ხოლმე .ბაცილები და იწყებით.

39. ენ ანთების, რასაც თქვენ ხუნაგს უწოდებთ.

ეს ჯირკვლები უყვართ იგრეოვე ქუნთრუშას, ყელჭირვევას და ორივე მოარული აქედან იწყება.

ხუნაგი იწყება შეციებით, სიცხით, რომელიც აღის თრმოც მენაკამდე. მალე ზედ დაერთვის ყელის ტკივილი გადაყლაპვის დროს.

ხუნაგი სხვადასხვანაირია.

ზოგჯერ ჯირკვლები მხოლოდ წითლდებიან და ცოტათი სიციებიან. ზოგჯერ თეთრად დაიყრის აქა იქ ლომის კაკლებივთ.

ზოგჯერ ანთება მთელ ჯირკვლებს მოედება და ჯირკვლების შიგნით ჩირქი გროვდება, რაც ძალზედ აწუხებს ავადმყოფს, სანამ არ გასკდება და არ გამოიჩინება, ან ექიმი არ გასჭრის.

ხუნაგის დროს ზოგჯერ უურებმაც იცის ატკიება და ხანდახან დაჩირქებაც.

ხუნაგის წამალია ცივი კომპრესები ყელზედ დღეში ხუთჯერ-ექვსჯერ და პირში გამოვლება. ხშირ-ხშირად მარილწყვლისა, ან შაბწყლისა.

ზოგჯერ მარგებელია გამოხდილი ტყლაპის ჭამა.

ბევრჯერ ხუნაგმა შემოჩევა იცის: ყოველ წელიწადს რამდენჯერმე უხსენებს ადამიანს. ხუნაგიდან ხშირად ჩნდება სახსრების ქარები, გულის პერანგის ანთება, გულის მანკი.

ამიტომ თუ ხუნაგი ხშირად უმეორდება ვისმე, საჭიროა აპერაცია, ნუშისებური ჯირკვლების ამოქრა ყელში.

აპერაცია ადვილია.

ზოგჯერ პირში ჩნდება კიბო ტუჩზედ, ლრძილებზე, ლო-ჟაზე, ენაზე. უმაღლ გაჩნდება თხილისოდენა მაგარი სხმო, თანდათან გაიზრდება, იარავდება, მოჭამს ხორცს, დაასიებს ყბის ქვეშ ჯირკვლებს, იბარტყებს, ჩაბრუნდება გულგვამში და კლავს ავადმყოფს.

თუ ტუჩზე გამოვიდა, ან ენაზე, დროზე აპერაციით
დავ შეიძლება გადარჩენა:

უნდა მოიქრას ტუჩი დიდზე და ენა.

— ენა რომ ვისმე მოქრან, იცოცხლებს კიდევ? — ჰუ-
ხულობს ესტატე.

რა დაუშლის? ეს არის — ლაპარაკით ეელარ ილაპარაკი,
და პურის კამაზედაც დაამრკოლებს ცოტა.

როგორც მოგახსენეთ, სასის უკან არის ხახა, რომელ
ძირიდანაც იწყება ორი მილი: ხორხი და საყლაპავი.

საყლაპავი უკან მდებარეობს კისრისაკენ და თითქმი
ხერხემალზე არის მიკრული.

როდესაც საყლაპავი კუჭს მიუახლოვდება, ძაბრიელი გა-
განიერდება და ჩადის კუჭში.

იმ ალაგს, სადაც საყლაპავი კუჭს ერთვის, ეწოდება კუ-
ჭის პირი.

მოხდება ხოლმე, ვინმე პურის კამის დროს მაგარ ლუ-
მას გადაყლაპევს, პურის დაუღეჭავ ყუას, ძეალს, საყლაპავი
გაიკაწრება და ამის შემდეგ იცის რამოდენიმე ხანს ტკივილ
პურის კამის დროს.

ავადმყოფი ტკივილსა გრძნობს გულის ფიცრის დაყოლე-
ბა შიგნილან.

თუ ვინმემ ძალიან ცხელი საჭმელი მიიღო, ბევრი პილ-
პილი, ბევრი სეა მაგარი არაყი, — ზოგჯერ ეს გამოიწვევს სუ-
ლაპავის ანთებას.

ავადმყოფს გული ეწვის, ერუჯება, საჭმელის ან სასმე-
ლის გადაყლაპევის დროს ტკივილები იქვს, ზოგჯერ ცოტა-
დენ სიცხესაც აძლევს. ანთების ნიადაგზე ხანდახან ჩნდება პა-
ტარ-პატარა წყლული.

ყველა ასეთ შემთხვევაში უმთავრესი წამალია სასმელ-სა-
ჭმელი.

ავადმყოფმა უნდა მიიღოს მხოლოდ ცივი რძე, მაწონა,
ქაომის წვენი და ხშირ-ხშირად სვას ცივი წყალი.

— რძე აღუღებული ჯობია, თუ უმი? გვეკითხება იაკობი.

აუდულარი უფრო მარგებელია, მაგრამ ხშირად ძროხა
ავადმყოფია და მაშინ აუდულარ რძეს შეუძლია ავადმყოფობის
გადადება.

შესაძლებელია, ძროხა კლექიანი იყოს; მაშინ რძეში გა-
მოერევა კლექის ბაცილები და, თუ აუდულარი დალიეთ, ნა-
წლავების კლექი დაგემართებათ.

ამიტომ უფრო სიმედოა ადულებული რძის სბა.

ზოგჯერ შეცდომით, ან განზრახ, თავის მოკველის მიზმით
კინმე დალევს რაიმე საწამლავს, რომელიც კანსა სწვავს.

ასეთ შემთხვევაში საყლაპავის ლორწოიანი გარსი დაი-
თუთქება, დასივუძება, აიბერება, დაწყლულდება და იწვევს
საშინელ ტკივილებს.

თუ რომ ავადმყოფი გადარჩა, საყლაპავი ნელა-ნელა და-
შუშდება, მაგრამ დამწვარ ალაგას გადაეკერის მაგარი კანი,
რომელიც მოსწევს საყლაპავის კედლებს და ამგვარად საყლა-
პავი მოვიწროვდება.

მოვიწროება საყლაპავისა ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ
მხოლოდ წყალი, რძე, და საზოგადოდ სითხე გადის შიგ.
ასეთს მოვიწროებას საყლაპავისას აღარაფერი გაეწყობა.

საყლაპავის მოვიწროებას ზოგჯერ იწვევს რაიმე მაგარი
საგნის შიგ გაკეთება.

ბავშებსა სკირთ ახირებული ზნე; ცხვირში, ყურში ჩიო-
ტენიან ბლის კურკას, სიმინდის მარცვალს, გადაყლაპავენ
ქლიავის, ატმის კურკას.

კურკა გაეხიდება საყლაპავში, აღარციქით მიდის, აღარც
აქეთ. ზოგჯერ კურკა თავისით ჩიკურდება, ზოგჯერ კი ისე
გაიქედება, რომ საჭირო ხდება აპერაცია.

ზოგჯერ ავადმყოფი ჩივის, ლუკმა მაღვიაო; თუმცა კარ-
გად ჰყლაპავს, მაგრამ მანც დარწმუნებულია, რომ ყელში
ლუკმა აქვს გაჩერებული.

ასეთი მოვლენა შეჯეგია ნერვების ავადმყოფობისა, ზაფ-
რის ქარებისა, რაც უფრო ხშირად ქალებსა სწვევია.

რაიმე დიდი მწუხარება, ფიქრი, შიში, ხშირი გაბორო-

ტება, ოლელვება, ბოლოს და ბოლოს იწვევს ნერვების წეულებას.

ასეთ ადამიანს ხშირად ემართება საყლაპვის კრუნჩხავის ლუქმა მართლაც გაჩერდება ხოლმე საყლაპვის რომელი ალაგის ცოტა ხნით, შემდეგ ჩატურდება კუჭში, მაგრამ ეგრძნობა, თითქოს ყელში რაღაც არის გაჩერებულიო, დღხანსა რჩება ავადმყოფს, და ამიტომაც ჩივის: ლუქმა და დგომა.

ყველაზედ უფრო საშინელი ავადმყოფობა საყლაპვის არის კიბო. ის ჩნდება ხორხშიაც იმ ალაგის, სადაც ხმის სამები იმყოფება, მაგრამ აქ ზოგჯერ მოსახერხებელია აპერაცია.

საყლაპვის მდებარეობა ისეთია, რომ აპერაცია მოხერხებელია.

თავდაპირველად საყლაპვის კიბო წარმოადგენს პატარა, მაგარ სხმოს; მალე იზრდება, წყლულდება და თანდათან აუწროებს საყლაპვის ლულას.

პირველად ავადმყოფი ამჩნევს, რომ ლუქმა ცოტა ხის ჩერდება და შემდეგ ჩადის, თითქოს რაღაცას ედებათ.

ეს მოვლენა შემდეგ და შემდეგ იმდენად მატულობს, რომ ავადმყოფი იძულებულია, წყალი დააყოლოს ყოველ ლუქმას, რომ გადიტანოს.

შემდეგ წყალიც ვეღარ შველის: მაგარი საჭმელი საყლაპვში აღარ გადადის; ავადმყოფი იძულებულია, მარტო თხელი საჭმელი მიიღოს; თანდათან სუსტდება, ხდება; თხელი საჭმელიც ზოგჯერ აღარ გადადის, დაგროვდება საყლაპვში და შემდეგ უკან ამოალებინებს.

როდესაც კიბო იმდენად გაიზრდება, რომ მთელ საყლაპვს გამოიტანებს, საყლაპვი სრულებით იკეტება, წყალიც კარგ გადადის და ავადმყოფი კვდება შიმშილით.

2. კუპის სიცულეაბნი.

შესაფალი.

სასმელ-საჭმელის ნამდვილი გადახარშეა იწყება კუპიდან, ამიტომ მიემართოთ კუპს.

კუპი წარმოადგენს მოგრძო პარკს, რომელიც მოთავსებულია მარცხნა ფერდში, გრძლიად არის გაწოლილი ფერდი-დან ჰიპისაკენ და ცოტა დაქანებულია. გულის ყაფაზი და მუკლის ღრუ გაყოფილია ერთმანეთისაგან მაგარი საძგიდოთ, რომელიც თაღივით არის ამოკრული. ამ თაღს ზევით რჩება გული და ფილტვები. ქვევით — მუკლის ასოები: კუპი, ლვიძლი, თირკმელები, ელენთა, ნაწლავები და სხვა. საყლაპავი მილი გადის საძგიდში და უერთდება კუპს. აქ არის ჩასაფალი, ანუ კუპის პირი. კუპი აქ უფრო განიერია.

კუპი მოხრილია: ზევიდან არის ჩაღრეკილი, ქვევიდან — გამოდრეკილი; კუპსა აქვს გამოსავალი, რომლითაც ის უერთდება ნაწლავებს; გამოსავალთან კუპი უფრო მოვიწროვებულია და ამგვარად მიერჩის გრძელსა და მოხრილს საორშიმო გოგრას. კუპის კედლებში დატანებულია კუნთები, რომლებსაც კუპი მოჰყავთ მოხრაობაში. კუპის მოხრაობა კი აუცილებელია საჭმელის მონელებისათვის. შიგნიდან კუპს გამოკრული აქვს ლორწოიანი გარსი, რომელშიაც დატანებულია აუარებელი ჯირკვალი. ეს ჯირკვლები ამზადებენ კუპში მეავე წვენს, ურომლისოდაც საჭმელის მონელება, გადახარშეა, ყოვლად შეუძლებელია. კუპის გამოსავალს კუნთები შემოხველი აქვს მორგვევით; ეს მორგვი ხან მოიშუპება და დაპკეტავს გასავალს, ხან მოეშვება და გააღებს მას; ამ გარემოებას

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საჭელის მონელებზე. კის ლორწოიანი გარსი შიგნით ნაოქებად არის დაკიცილი.

მამაკაცის კუჭში ეტევა საშუალოდ 8 გირვანქა წყლი, დედაკაცის კუჭში კი—5.

— დახედეთ კიდე რო იძახიან: თანასწორი გართო! — ოხუნჯობს ეგერ ჩვენი პეტრე.

— სმა-ჟამაში თანასწორობა ჩვენ დიახაც არ გვინდა; დიდი და განიერი კუჭი მამაკაცებისთვინ დაგვითმია. გიპასუხებს ეგერ თებრო.

ეხლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა დღეს აყენებს თვეის კუჭის ადამიანი, რომელიც თხე-ხუთ გირვანქა საჭმელს ჩატყრის შიგ და ზედ კიდევ 15 და 20 გირვანქა ლვინოს და-სხავს! ნეტავი რამ ამიტკიდა კუჭიო, მერე თვითონვე უკვირს.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის კუჭი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მუშაკაცის სამუშაო ძალლონეს ერთობ და-დი კავშირი აქვს კუჭთან. თუ კუჭი დასწეულებულია, მოშლილი, საჭმელს კარგად და დროზედ ველარ ინელებს; მუშაკაცის სხეულს აღარ მიუდის მაშინ სამუშაო მასალა თა-ვის დროზე და კარგად გადახარშული, სხეული სუსტდება და მუშაკაცს სამუშაო ძალლონე ეცლება. ამავე დროს ცუდი საზრდოობის გამო ნერვები სუსტდებიან და მუშაკაცს ხასია-თი ეცვლება, ცუდ გუნებაზეა, გულგარეხილი, აღრენილი, მოწყენილი. ამიტომ, როგორც კარგი გული, ისე კარგი კუ-ჭი მუშაკაცისათვის უსაჭიროესი რამ არის.

სნეული კუჭი, სნეული გული და მაგარი, ლონიერი, მეპრძოლი მუშა ერთად შეუძლებელია.

ამიტომ კუჭის მოვლა განსაკუთრებით თქვენი მოვალეობაა.

ძალიან დიდი გავლენა აქვს კუჭზე სასმელ-საჭმელის რაო-დენობას.

თუ ადამიანი უქონლობის, სიღარიბის, ან სხვა მიზეზის გამო ძალიან ცოტა საზრდოს ღებულობს, ბოლოს და ბოლოს კუჭი სნეულდება.

თუ ადამიანი ძალიან ბევრსა სჭამს და ბევრსა სვამს, რის

გამო კუჭი მუდამ ძალზე გატენილია, ბოლოს და ბოლოს კუჭის
კი დასწრულდება.

ზოგიერთ ადამიანს კბილები აღარ უვარება, აურე უსნეულ-
დება და ზოგს დასცინდება კიდეც ნააღრევად. ზოგიერთს
კბილები კარგი იქნა, მიგრამ ჩვეულებითა სკირს ჩქარი ჰამა.

კველა ასეთ შემთხვევაში საჭმელი დაუდეჭავი ჩადის კუ-
ჭში და ზედმეტი მუშაობისა გამო ბოლოს და ბოლოს კუჭი
სნეულდება.

ზოგიერთი ადამიანი უსახსრობის გამო იძულებულია,
ხშირადა სკიმოს მაგარი, ძნელად მოსანელებელი, უვარებისი,
წამხდარი საჭმელი, რასაც შედეგად მოსდევს კუჭის დასწრუ-
ლება.

ზოგიერთი განსაკუთრებით ეტანება ცხარე, მლაშე, ზედ-
მეტად მეავე საჭმელებს და ეს იწვევს კუჭის დასწრულებას.

ზოგიერთი სიჩქარის, ან ცუდი ჩვეულებისა გამო ისეთ
ცხელ საჭმელას სკას, რომ პირი ეთუთქება. ამას შედეგათ
მოსდევს კუჭის დასწრულება.

ზოგიერთი ადამიანი გაურჩევლად ჭამს რაც მოხვდება;
შეხვდება უმი ხორცი, უმი თევზი, ქათამი, მაწყინარი სოკო და
ყოველივე ეს იწვევს კუჭის დასწრულებას.

ზოგიერთი ადამიანი ნამეტნავად ეტანება მაგარ სასმელებს —
ღვინოს, არაყს, — რასაც შედეგად მოსდევს კუჭის დასწრულება.

ზოვჯერ გაციება, მაღლიდან გადმოვარდნა და მუცელზე
დაცემა ხელს უწყობს კუჭის დასწრულებას.

ამგარივე მნიშვნელობა აქვს მოუსვენარ ცხოვრებას, ფი-
ქრს, დარდს, მეტად მძიმე შრომას, სხვადასხვა საწამლიავს.

ზოგიერთ ადამიანს ბუნებით დაჰყვება სუსტი კუჭი, რო-
მელიც ხშირად ვერ ინილებს ისეთ რასმე, რისი მონელებაც
ჩვეულებრივი კუჭისათვის სულ ადვილი საქმეა.

ასეთს შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მემკვიდროებას.
ნათქვამია: მსგავსი ყოველი მსგავსსა შობსო. ეს მსგავსება გა-
რტო გარეგნობაში კი ორ იხატება, არამედ შიგნეულობაშიც:

თუ დედ-შამას სუსტი კუჭი ან გული იქვს, შეილებს სუსტი კუჭი და გული დაპყებათ და სხვა.

როგორ უნდა დავიფაროთ თავი კუჭის ავადმყოფობისაგან?

ჩვენს კუჭსა ჰყავს ორი დიდი დარაჯი: გემოვნება და ყნოსვა. უმეტეს შემთხვევაში მავნებელია კუჭისათვის ყოველივე ის, რასაც ცუდი გემო აქვს, ან ცუდი სუნი.

მესამე დარაჯიაგ — რძნობა გაძლომისა. მართალია, ერთი უფრო მაღლე ძლება, მეორე უფრო გვიან, მაგრამ ეს გრძნობა გაძლომისა ყოველ საღ ადამიანსა აქვს. სამწუხაროდ ზოგიერთი ადამიანი ამ გრძნობას არ უგდებს ყურს და, როდესაც აღარაშია, მაინცა ჭამს: საჭმელი გემრიელიაო. ეს არის მსუნავობა, ღორმულობა.

თქვენ რომ ყური უგდოთ ამ სამ გრძნობას, ბევრჯერ დაიფარავთ თავს კუჭის ავადმყოფობისაგან:

ზედმეტად მეავე, მლაშე, ცხარე, ნამეტანი პილპილიანი, ისეთი საჭმელი, რომელსაც უკვე სუნი უდის, არაეინ არ უნდა მიიღოს. ჭამა უნდა ნელი, აუჩქარებელი, ყოველი ლუკმა უნდა იღებულება კარგად. როგორც კი გაჩნდება გაძლომის გრძნობა, პურის ჭამა უნდა გათავდეს. ჭამის შემდეგ საჭიროა მუშაკაცისათვის ცოტა მოსვენება, თვალის წატუშება; ძილი მაშინათვე მავნებელია, გვიან ვახშამი მეტად ცუდი ჩვეულებაა: ვახშამი უნდა ისეთ დროს, რომ ორი-სამი საათი კიდევ იყოს დაძინებამდე.

რამდენჯერ არის საჭირო ჭამა საღი ადამიანისათვის? როდესაც იგებულებისათვის საჭიროა საზრდო, კუჭი თვითონ ატყობინებს პატრონს შიშილის გრძნობით. გამოცდილებით შემჩნეულია, რომ საჭმარია სამი იჯრა: საუზმე, საღილი და ვახშამი.

ჩვენებურ სოფლის მუშას სამი იჯრა არა ყოფნის და მას ესაკიროება სამხარი. სამხარი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჩვენი მიწის მუშა რიგიანად ვერ იკვებება. კარგ სიღილის სამხარი აღარ ესაკიროება, მაგრამ ჩვენი მიწის მუშის საზრდო არის პური ან მეაზი და ლობით; მას კულია ერთი უმთავრესი ნივთიერება — სიმსუქნე, ცხიმოვანი.

მსუქანი, პოხიერი საჭმელი მუშაკაცს ყოველდღე უნდა ჰქონდეს; ჩვენებურ მუშას კი ოვეში ერთხელ თუ შეხვდება ისიც მუშაობის დროს კი არა, —წვეულებაში. კარაქი, ერბო რა არის, ჩვენი სამშობლოს ზოგიერთ კუთხეში არც კი იყიან, ამით აიხსნება სხვა მიზეზებთან ერთად, ის მოვლენა, რომ ჩვენში მეტად გავრცელებულია ყოველგვარი ქლექი; საღაც უფრო ნაკლებად ხმარობს ჩვენი ხალხი მსუქან საჭმელს, იქ ქლექიანიც უფრო მეტია. ლორის ქონი და ერბო აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ამას უნდა მიაქციოთ დიდი ყურადღება განსაკუთრებით თქვენ —მიწის მუშებმა.

საერთოდ მუშაკაცი ხშირად იკვებება იმითი, რაც უვარებისია, გადასაყრელი.

სად საღდება აყროლებული ხორცი?

მუშებში.

სად საღდება ძველი ძეხვი?

მუშებში.

სად საღდება წამხდარი ოვეზი?

მუშებში.

სად საღდება გაფუჭებული ყოველგვარი სანოვაგე?

მუშებში.

სად საღდება დამპალი ხილი?

მუშებში.

მუშა ლარიბია, ადვილად მოსატყუებელი; ამით სარგებლობს ბაზარი და ხელს უწყობს მისი კუჭის დასნეულებას.

ამასა აქვს ერთად-ერთი წიმალი — მთავრობის მაგარი ხელი.

სხვადასხვა სნეულების დროს ავადმყოფსა აქვს ნახველი. ნახველში მუდამ არის ბლომად ამა თუ იმ სენის ბაცილები. ზოგიერთ ადამიანს ჩვეულებათა აქვს ნახველის გადაყლაპვა; ნახველთან ერთად კუქში ჩადიან ბაცილები და იწვევენ კუჭის დასნეულებას.

ამიტომ ეს მეტისმეტად მავნებელი და საზიდარი ჩვეულება — ნახველის გადაყლაპვა უნდა იქნეს განდევნილი ყოველი ოჯახიდან.

როგორც მთელი სხეულისათვის, აგრეთვე კუპის სისალი-
სათვის მეტად დიდი შნიშვნელობა აქვს კარგ და სუფთა წყა-
როს წყალს. საღაც წყარო არ არის, იქ საჭიროა ქვით აშ.
შენებული კა. კა უნდა ამოითხოროს ისეთ ილაგას, რომ არ უ-
ბოსელი, არც საჭაომე, არც საღორე, არც ფეხსალაგი არ იყოს
მის სიახლოვეს, თორემ კის წყალს უსუფთაობა შეერევა. წე-
ლიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც კას ამოწმენდა ესაქირობა.

შეუძლია თუ არა ხილს კუპის ავადმყოფობის გამოწვევა?

თუ ხილი მოუსველელია, მკვანე, მასში არის ერთის შხრივ
სიმუავე ბევრი, რაც კუპშიც ცუდად მოქმედობს; მეორეს
შხრივ ბევრია ისეთი ნაწილები, რომელთა მონელება კუპს
უკირს და მაშასადამე მავნებელია.

რაც უნდა მწიფე და მოწეული იყოს ხილი, კანი და
ჩურჩია მაინც ძნელი მოსანელებელია. ამიტომ კურკა, მარცვა-
ლი, კანი, ჩურჩი უსათუოდ უნდა გამოიყაროს ვამის დროს.

ხილზედ მრავლდებიან სხვადასხვა მავნებელი ბაკილები,
ამიტომ თუ ხილი ზოგჯერ სწყენს იდამიანს, თავისთავად კი
არა, არამედ იმ ბაკილების წყალობით, რომლებიც ხილს ჩა-
ჰყვებიან კუპში.

ეს რომ თავიდან აიცილოთ, საჭიროა ხილის კარგიდ
გარეუხეა-გასუფთავება. სხვებ ხილი მეტად მარგებელი და სა-
კიროა.

ა) კუპის მწვავე კატარი.—ავადმყოფობის გამოცნობა
ძნელი საჭმეა, სოფელში კი ამ საჭმეს ვინ არ გინდათ, რომ
არ ასრულებდეს.

ხშირად ავადმყოფს კუპი სტკივა; გული მტკივაო, გაიძა-
ხის. ხშირად კუპი არა სტკივა, ის კი მაინცა და მაინც კუპს
უჩივის. რა არის მიზეზი?

მიზეზი არის ის გარემოება, რომ ზოგიერთი ავადმყოფო-
ბა იწყება ტკივილებით კუპის არეში.

გულის მანქმა, ახლად დაწყებულმა ჭლექმა, ნერვების
აშლილობამ, თირკმელების ანთებამ, ღვიძლის ავადმყოფობამ,
ნაწლავების ავადმყოფობამ სულ ხშირად იკის მუცელზე ბერეა,



ბოყინი, უმაღობა, გულის რევა, პირისლებინება და ტკივილი გულის კოვზთან. ერთი სიტყვით, —სრული მხგავსებაა კუჭის ავადმყოფობასთან; კია, ორსულობა პირველ ხანებში, ციებუხელება სულ ხშირად იწვევენ გულის რევას, პირისლებინებას, და ტკივილებს კუჭის ილაგას.

მაგრამ ავადმყოფობის მიზეზი ყველა ამ შემთხვევაში კუჭი კი არ არის, არამედ სხვაგან — გულში, კი ფილტვებში, თირკმელებში, საშვილოსნოში და სხვ.

ამიტომ ვინც კუჭის ავადმყოფობას სწამებს თავის თავს, ის არ უნდა ენდოს არც საუკუთარ გრძნობას, არც შინაურების ცოდნას და უნდა მიმართოს ექიმს.

ავადმყოფი კი ხშირად საუკუთესო დროს ხელიდან გაუშვებს, სანამ მორჩენა შეიძლებოდა, ექიმს არ მიშართავს და შინაურულად სწამლობს; როდესაც უკვე დაგვიანებულია და მორჩენა არ შეიძლება, მაშინ მივა ექიმთან.

რა თქვა უნდა, ექიმი ვეღარას უშველის.

კუჭის მძაფრი კატარი იწყება ერთბაშად ნაწყენზე ან ზედმეტად გაძლომის შემდეგ.

წამზღარი ხორცი, ან თევზი, უმი ლორის ხორცი ან უმი ქათამი, მაწყინარი სოკო — ხშირად ხდება მიზეზი ასეთი ავადმყოფობისა.

ავადმყოფს მაღა ეკარგება, პირი უშრება, ენაზე თეთრად გადაეკვრის, მუცელზე წამობერავს, აბოყინებს, გული ერევა, გულის კოვზთან მწვავე ტკივილები აუვარდება; მალე პირის დებინებას დააწყებინებს.

ჯერ საქმელი ამოდის, შემდეგ წილი, ნალველი: ნარწყევს მეავე სუნი აქვს; ავადმყოფს ტანში ამტვრევს, თავის ტკივილი აუვარდება, გულის წვა და რუჯვა აწუხებს, ზედ დაერთვის ფალარათი და ზოგჯერ სიცხეც ოცდა ცხრამეტ მენაკამდე.

გულის რევა ზოგჯერ იმდენად მძლავრია, რომ ავადმყოფი წყალსაც კი ვერა ჰყლაპავს: მაშინათვე წამოალებინებს.

სიცხე ხანა აქვს ავადმყოფს, ზოგჯერ კი სრულებით არა.

ყველა ეს მოვლენა— სიცხეც, ტკივილებიც, გული, რევაც, პირლებინებაც თანდათან კლებულობს და ავადმყოფი რამდენიმე დღეში რჩება, თუ შესაფერისი ზომა მიიღო.

ხოლო მორჩენის შემდეგ საჭიროა რამოდენიმე ხანს საქ-მელ-სასმელზე გაფრთხილება.

მწვავე კატარის დროს კუჭის ლორწოიანი გარსი სიედ-ბა, წითლდება, ხურს და ზედ გადაეკვრის ლორწო, რომე-ლიც ბლობად ამოდის პირისღებინების დროს.

როგორ უნდა მოიჩინოთ კუჭის მწვავე კატარი?

ავადმყოფი ერთი დღე და ღამე უნდა იყოს სრულებით მშიერი, უნდა ყლაპოს ცოტაოდენი ცივი წყალი, ყინული.

თუ სიცხე არა აქვს და ტკივილები აწუხებს, მაშინ კა-გია თბილი ან ცხელი რამ კუჭზე: წყალი ბოთლით, მოშუშუ-ლი ქატო, გამთბარი მარილი.

თუ სიცხე აქვს, მაშინ უმჯობესია ცივ წყალში დაცვ-ლებული ტილოები, თოვლი ან ყინული კუჭზე.

ერთი დღის შემდეგ, თუ რომ გულის რევა აღარა აქვს, უნდა მიიღოს რძე, ტკბილი მაწონი, ქათმის წვენი და შემდე-ნელა-ნელა და თანუათან გადავიდეს ჩეულებრივ საქმელზე.

როდესაც კუჭის მწვავე კატარი გაივლის, საჭიროა ერთ თვეს მაინც გაფრთხილება სასმელ-საქმელზე, რომ კუჭი რო-გიანად გამომრთელდეს, თორემ მწვავე კატარი ნელ-ნელა და შეუმინდევლად გადიქცევა დახანებულ კატარად და მაშინ მორ-ჩენა მეტად გაძნელდება.

მორჩენის შემდეგ ბევრჯერ იცის რამოდენიმე ხანს გუ-ლის წვა და რუჯვა.

ამის წინააღმდეგ ძალიან კარგია მეავე წყალი—ბორჯომი-სა, ან სოდა—ერთი პატარა კოვზი ნახევარ ჩიის ჭიქა ცივ წყა-ლში.

ჩეენში მწვავე კატარი კუჭისა ხშირად შედეგია ლოთო-ბისა.

განსაკუთრებით მტერია კუჭისა ახალი მაქარი, თუ ის ზომაზედ მეტი დალიეთ.



— რა არის ზომა? მეკითხება ბესო.

რამდენიმე საღვინე ჭიქა. ამიტომ რაყი ერთხელ მოტჩება სასმელით გამოწვეული მწვავე კატარი კუჭისა, დიდხანს უნდა ერიდოთ ლვინის მოკარბებულად სმას, თორებ მწვავე კატარი შეუმჩნევლად გადიქცევა დახანებულ კატარად და სიცოცხლეს გაგიმწარებსთ.

ბ) კუჭის დახანებული კატარი.—მე უნდა გესაუბროთ ახლა კუჭის ისეთ ავადმყოფობაზედ, რომლის შეძენაც მეტად იღვილია, მოტჩენა კი—ერთობ ძნელი.

ეს გახლავთ კუჭის დახანებული კატარი.

საიდან ჩინდება ეს ავადმყოფობა?

აი საიდან.

როდესაც რომელიმე ასო გადიტანს ამა თუ იმ ავადმყოფობას, მას რჩება ერთგვარი მიღრეკილება ამ ავადმყოფობისაცენ. მაგალითად, თუ ადამიანმა ფილტვების ანთება გადაიტანა, მეორედ უფრო იღვილად ხდება ანთებით ავად.

თუ ბრონხიტი გადაიტანა, მეორედ უფრო იღვილად სწრულდება ბრონხიტით.

თუ ვინმემ კუჭის მწვავე კატარი გადაიტანა, მეორედ და მესამედ უფრო იღვილად ემართება კატარი.

თუ კატარმა ხშირად გაუსხსენა, ბოლოს ის ლებულობს ხანგრძლივ მიმდინარეობას და ამგვარად ჩინდება დახანებული კატარი.

ხშირად დახანებული კატარი ნელ-ნელა შემოეპარება ადამიანს.

თუ ვინმე დიდი ხნის განმავლობაში ცუდათ იკვებება, ან ნიმეტანი ბევრსა სჭამს, მაგარ სასმელებს ეტანება, ჩქარა სჭამს, რეგიანად არა ჰლეპივს, ცხარე და მლაშე საჭმელებას სჭამს, ნელ ნელა დაუსწრულდება კუჭი და გადაექცევა დახანებულ კატარად.

სოფლად დიდ პატივში არის ვენერიული ავადმყოფობის წინააღმდეგ ბოლოთ წამლობა. სუსუნატი ეჭირვები ვისმე, უბრალო ათაშანვი, თუ სიფილისი,—სულ ერთია—ყველას ბოლს იყლაპებენ!

ბოლი კი ხშირად იწყევს კუჭის დახანებულ ცატანს.

მწვავე კატარი იწყება ერთბაშათ; გულის რევით, ტკულებით, ფალარათობით, სიკრით, თავის ტკივილით და სხვ.

დახანებული კატარი კი იწყება ნელა-ნელა; ივაღმყოფ მადას კარგავს, მუცელი ებერება, ზოგჯერ უგრიალებს.

შემდეგ და შემდეგ ზედ ერთვის გულის წვა და ტკულები.

ტკივილები გულის კოვზთან იწყება ყოველი იჯრის შედეგ და მით უფრო შემაწუხებელია, რაც უფრო მაგირი და მძიმე მოსანელებელია საჭმელი; იჯრის შემდეგ ივაღმყოფ აუვარდება კვედრება, ბოყინი და პირიდან ამოსდის ლუკვერტების სუნი.

შემდეგ და შემდეგ ზედ ერთვის პირისლებინება, ჩაცელში შეკრულობა, ზოგჯერ ფალარათი, გულის ძმარეა, თავის სიძიმე, თავის ტკივილი და გლახა გუნება. ივაღმყოფ პირი უშრება, პირში საძაგელი გემო აქვს, ზოგჯერ სუნი, ენა-კი მუდამ თეთრი.

დანით უნდა გადავითხიკოვო, ჩივის ივაღმყოფი.

კუჭის ასეთი დასწეულება ხშირად მოქმედობს ადამიანის ხასიათზე; ივაღმყოფი გულგატებილია, მოწყენილი, უბრალო-ზე ლელავს, გული მოსდის, გულმავიწყი ხდება, მალე იღლება, გონებრივი მუშაობა უძნელდება.

თუ ასეთი მდგომარეობა დიღხანს გაგრძელდა, კუჭის ლორწოიან გარსში დატანებული ჯირკვლები ისპობიან, კუჭის აღარ უვენავს მფავე წვენი და ივაღმყოფის მდგომარეობა მეტად უარესდება. ის ველარ ინელებს ქათმის წვენსა და რძესაც კა, საშინლად ხდება, უვითლდება, სუსტდება და ბოლოს კვდება კიდეც.

კუჭის დახანებულ კატარს ხშირად შედეგად მოსდევს კუჭის გაგანიერება; კუჭი გაიწელება, გაიბერება, მოდუნდება, მოეშვება, ვეღარ მოძრაობს, სულ აღვილად მოსანელებელი საჭმელიც კი დიღხანს რჩება შიგ; ივაღმყოფს გული ერთვა, მუცელზე პბერავს, მუცელი ეწვის, სტკივა, უგრიალებს და

სხვა. კუჭში გროვდება აუარებელი ლორწო და ისე სქლად მოედება კუჭს, რომ სულ ითლი, თხელი საჭმლის მონელებაც კი შეუძლებელი ხდება. დახანებული კატარის დროს, კუჭის მეავე წვენი მომეტებული აქვს ავაღმყოფს, ზოგჯერ კი — დაკლებული.

თუ სიმუავე ავაღმყოფს მოჭარბებული აქვს კუჭში, მაშინ მას ტკივილები, გულის წევა და ძმარვა აუვარდება საჭმლის მიღებიდან ორი-სამი საათის შემდეგ და აგრეთვე, როცა მშერია.

როდესაც სიმუავე კუჭში დაკლებულია, მაშინ ავაღმყოფს ბოყინი და ტკივილი აუვარდება გულის კოვზთან საჭმლის მიღებისთანავე.

ყოველივე ამას მნიშვნელობა აქვს წამლობისთვის: თუ სიმუავე კუჭში მოჭარბებულია, მაშინ ავაღმყოფს შეუძლია მიიღოს თოხლო კვერცხი, ვარია მოხარული, ახალი თევზი, კარაქი; თუ სიმუავე დაკლებულია, მაშინ პირველ ხანებში მაინც აუცილებელია მხოლოდ თხელი საჭმელი.

კუჭის დახანებული კატარი მეტად მძიმე ავაღმყოფობაა. მორჩენა ხშირად ძნელია, ბეკრჯერ — შეუძლებელი. დახანებული კატარის დროს კუჭის ლორწიანი გარსი სივდება, შემდეგ თანდათან ილევა და მასში დატანებული ჯირკვლები ზოგჯერ სრულებით ისპობიან, მაშინ კუჭში აღარ მუშავდება მეავე წვენი და კუჭი ვეღარითერს ვეღარ ინელებს. პირველ ხანებში კუჭს ნაწლავები ეხმარებიან საჭმელის მონელებაში, მაგრამ კუჭის დახანებულ კატარს ბოლოს და ბოლოს ზედ ერთვის ნაწლავების კატარიც, — საჭმელს ვეღარც კუჭი ინელებს, ვეღარც ნაწლავები, ავაღმყოფი სუსტდება, ხდება, უკითლდება და კვდება.

— მაშ რა უნდა ვქნათ? მკითხავთ თქვენ.

გაუურთხილდით კუჭს, სანამ ის სალია; კუჭს რომ ენა ჰქონდეს, იმისი საცოდავობით დავიწოდით. როგორ ვეპყრობით, როგორ ვტანჯავთ, რას არა ვყრით შიგ, რას არ ვასხავთ!

— თუ კი არც არაფერი ჩავყარე, არც ჩავასხი, მა კუჭი რა ეშმაკიდ მინდა? ამბობს ეგერ ჩვენი კაკო.

განა კუჭი იმისათვის აქვს ადამიანს, რომ ღორიად გადა-
იქცეს? კუჭზე დამოკიდებულია მთელი სხეულის ჯან-ღორე,
სიხალისე, კარგი გუნება. ამიტომ არავინ არ უნდა უფროხილ-
დებოდეს თავის კუჭს ისე, როგორც თქვენისთანა მუშა ხალხი.

კუჭს მარტო შიმშილი კი არ ასნეულებს, არამედ ძლი-
ზე ძლომაც. მდიდარი და ლარიბი ერთნაირად სნეულდე-
ბიან კუჭით: ერთს ლორმულობა ასნეულებს, მეორეს ის,
რომ ვაძლომა არ ელირსება.

მუშა ხალხს ძალზე საძლომად საჭმელი არა აქვს, მაგრა
ხანდახან არის შემთხვევა, როდესაც მიწის მუშის კუჭსაც ლი-
დი ძალა ადგება, ეს არის: დღეობა, ქორწილი, ნათლობა,
ქელები, დღესასწაული, ხატობა. შეიძლება ერთმა საღილა-
ისე დაასნეულოს ადამიანის კუჭი, რომ ერთს წელიწადსაც ვე-
ლირ გამოვარგდეს.

— მუშა ყაურა რომ ხანდახან დრო არ ვაატაროს, ჩა-
როგორ იქნება? გამიგონია ბევრჯერ.

მე სრულებითაც არა ვარ დროს ტარებისა და მხიარუ-
ლების წინააღმდეგი; პირიქით, მე მინდა, რომ მუშა ხალხი მუ-
დამ კარგ გუნებაზე იყოს, მუდამ ამაყი, შეუპოვარი, მომდე-
რაღი, მხიარული; მე მინდა, რომ მუშა ხალხი შრომაშიაც
დროსტარებასა ჰყედავდეს; მავრამ ამავე დროს მე მინდა, რომ
თქვენი დროს ტარება უფრო გონივრული იყოს და მარტო
სმა-ჭამისა და ლოთობაში არ გამოიხატებოდეს.

კუჭჭა განსაკუთრებით ასნეულებს არაყის უზომო სმა.
ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში, მაგალითად: ჯავახეთში,
სვანეთში, რაჭის მთიან ნაწილებში, ფშავ-ხევსურეთში, სა-
ქართველოს ოსეთში — არაყის უზომოთ სმა მეტად გავრცელე-
ბულია, რაც პირდაპირ აირს უთხრის ამ კუთხეების ჯანმრთე-
ლობას. ლვინისა და არაყის უზომოდ სმა დიდი უბედურებაა,
რამდენი მდევივით ვაეკაცი ვიცი ლვინისა და არაყისაგან ვა-
ფუძებული.

ზომიერი სმა სასარგებლოა, უზომო სმა — მავნებელი, ლო-
თობა — დამლუპველი.



თუთუნის წევა ხელს უწყობს კუჭის დასნეულებას და-
ხანებული კატარით; თუთუნის ღეპურა ხომ პირდაპირ საწამლა-
ვია კუჭისათვის.

აქედან ცხადია თქვენთვის შემდეგი: ვინც იდამიანურათა
სკხოვრობს და სმა-კაბაში ზომიერებას იცავს, ის კუჭის დახა-
ნებული კატარით ძალიან იშვიათად თუ გახდება ავად. რო-
დესაც ვისმე კუჭის დახანებული კატარი გამოაჩნდება, მორჩე-
ნა შეიძლება მხოლოდ შესაფერი სასმელ-საჭმელით. თუ ავად-
მყოფი ყველაფერს მუცელში იყრის განურჩევლად და ზეიდან
წამილს ასხავს, ტყუილად ნუ ატყუებს თვის თავს და ნურც
ხარჯს ეწევა: არ მორჩება. მთელი ერთი თვის განმავლობაში
მაინც და ხშირად მეტ ხანსაც ავადმყოფმა უნდა მიიღოს რძე,
ტკბილი მაწონი, დო, ქათმის წვენი, გამომშრალი პური და
წყალი, — არც ხორცი, არც მწვანილი, არც ხილი, არც სა-
მარხო, არც ყველი, არც კვერცხი, არც ჭმადი, არც ლომი,
არც თევზი, არც ლვინო, არც არაყი არ შეიძლება. წოუ ეპ-
ხრობა, უნდა მოიტანოს ან წავიდეს მეავე წყალზე. როდე-
საც დაატყობს გაუმჯობესებას ნელა-ნელა უნდა მიუმატოს:
თოხლო კვერცხი, ახალი ყველი, მოხარშული ახალი ქათმი,
ახალი თევზი, მოხარშული ისპანახი, ფხალი, კარგი ხილი —
გათლილი და გასუფთავებული. მორჩენის შემდეგაც კი დიდ
ხანს უნდა ერიდოს: მეავეს, ცხარეს, მლაშეს, პილპილს, არაყს
და გვიან ვახშამს.

ჩამოთვლილი საჭმელებიდანაც კუჭის დახანებული კატა-
რით სნეულმა უნდა მიიღოს პატარ-პატარა და ხშირად დღე-
ში ხუთჯერ, საჭმელი უნდა სჭამოს დასვენებით, ჰლეკოს რი-
გიანად და იჯრის წინ და შემდეგ კარგად გამოირეცხოს პირი.

თუ რომ ივადმყოფს კბილები არ უვარგა, კებილები უნდა
მოირჩინოს, ჩაიჯინოს, — უამისოდ წამლობიდან ვერაფერ შე-
დეგს ვერ მიიღებს.

— რა ჩვენი საქმეა კბილების ჩაჯრნაი? სამაგისო შეძლე-
ბა საღა გვაქვს? ვიცი, მეტყვით თქვენ.

როგორ თუ თქვენი საქმე არ წარის! მაშვევისი საქმეა?

მშრომელი ხალხის დღე ებლა თენდება. თქვენ უნდა იყოთ
ძლიერი თქვენის შეგნებით, თქვენის სხეულით—ჯანმრთელი
და მაგარი. სწორედ მშრომელ ხალხს უნდა ჯანმრთელობა,
რომ შეასრულოს ის დიდი საქმე, რომელსაცა ჰქონდა მშრომელი
ხალხის სრული განთავისუფლება და ბატონობა. რაც შე-
ეხება ხარჯსა და ფულს, ერთი ითად ინიზღაურებთ და, თუ
ამისი შეგნება იქნება, ფულსაც იშოვით.

კუჭის დახანებული კატარის დროს ერთი საუკეთესო სა-
შუალებაა მეავე წყალი.

ივადმყოფმა წყალი უნდა სვას დილით უზმოდ, ერთი ან
ორი კიქა, საღილის წინ და საღამოზე. მეავე წყალის დაღუ-
ვის შემდეგ ერთი საათი, ან ნახევარი მაინც ივადმყოფმა სა-
კმელი არ უნდა მიიღოს, რომ ამით საშუალება მისცეს მეავე
წყალს, დააშუშოს კუჭის ლორწოიანი გარსი და მოაშოროს
ლორწო, რომელიც ბლომად გროვდება კატარის დროს კუჭში
და მეავე წვენის გამოევენებას აცერხებს.

დახანებული კატარის დროს საჭიროა კუჭის ამორეცხვა,
რაც ექიმის საქმეა. მე აქ მხოლოდ იმაზე უნდა მიგითოთოთ,
რომ საჭიროა ამორეცხვა ყოველ დღე მთელი თვის განმავ-
ლობაში და უფრო ხანგრძლივადაც. ზოგი ივადმყოფი კი ამო-
რეცხინებს ექიმს კუჭს ორჯერ-სამჯერ და შემდეგ თავს ანე-
ბებს,—არ მიშველაო.

დახანებული კატარით სნეულმა ჯერ უნდა ამოარეცხინოს
კუჭი ყოველ დღე ერთი თვის გენმავლობაში, შემდეგ წიე-
დეს მეავე წყალზე.

მართოლია, ბორჯომის მეავე წყალი ჩვენში ბოთლებით
იყიდება, მაგრამ ადგილზე სმა მეავე წყალისა გაცილებით უფრო
სასარგებლოა.

მეავე წყალზე უნდა წიეიდეს ასეთი ივადმყოფი წელიწად-
ში ორჯერ მაინც და დაპყოს იქ არა ნაკლები ერთი თვისა
და, თუ მეტს დარჩება, კიდევ უკეთესი. ჩვენში არ არის მეავე
წყალი ისე მოწყობილი, რომ ზამთარში იქ ცხოვრება შეიძლე-
ბოდეს, თორებ მეავე წყალზე წასვლა ზამთარშიაც შეიძლება.

ჩვენში კი მეავე წყალზე მოსახერხებელია უფრო გაზაფრინებულია და ზაფხულზე.

კუჭის ხანგრძლივ კატარს შველის აგრეთვე თბილი აბაზანები და ზაფხულობით მდინარეში, ზღვაში ბანაობა.

თუ კუჭში სიმჟავე სულ არ არის ან ძალიან დაკლებულია, მეავე წყალი მაშინ უსარგებლოა და ხანდახან მავნებელიც.

გ) კუჭის ანთება, წყლული და კიბო.—კუჭის ანთება არის ორნაირი: ბაკილებით გამოწვეული და საწამლევით. თქვენ უკვე იცით, რომ არიან ერთგვარი ბაკილები, რომლებიც აჩირქებენ სხეულის იმ ნაწილს, სადაც დაბინავდებიან. კუჭში ჩისული ბაკილების დიდი ნაწილი კუჭშივე იხოცება.

რა ჰეთუავს გათ?

— კუჭის მეავე წვენი! გვეუბნება ჩვენი ლუარსაბი.

მართალია, მართალი! კუჭის მეავე წვენს საჭმელის მონელების გარდა ერთი დიდი თვისება აქვს: ის ჰეთუავს ბაკილებს, მაგრამ ყველას ვერ ერევა. თუ ჩირქის გამომწვევი ბაკილები როგორმე გადაუჩენ კუჭის წვენს და გაძვრენ ლორწოიან გარსს ქვეშ, აჩირქებენ კუჭს და იწვევენ კუჭის ანთებას. ამგვარი ანთება კუჭისა მეტად იშეიათი სნეულება არის და სულ მაღლე უსაბობს ავადმყოფს სიცოცხლეს,—მორჩენა შეუძლებელია. ავადმყოფს უცებ შეაციებს, მისცემს დიდ სიცხეს, კუჭი წამოებერება, სტკივა, განსაკუთრებით ხელის დაჭრის დროს; გული ერევა, პირსალებინებს, ბოდავს, აზრსა ჰკარგავს და კვდება.

თუ აღამიანშა შეცდომით ან განზრას დალია რაიმე მიგარი საწამლავი, დაემართება კუჭის ანთება, ავგარდება საშინელი ტკივილი მუცლისა, გულის ჩევა, პირისლებინება. თუ დროზედ მიეშველა ექიმი და კუჭი ამოურეცხა, კიდევ შეიძლება გადარჩენა; თუ არა და ავადმყოფი კვდება რამდენიმე დღის განმავლობაში. ზოგიერთი გადაიტანს, მაგრამ კუჭი იმდენად დაუსნეულდება, რომ ვერავითარ საჭმელს ვეღარ მოინელებს, თან-

დათან დასუსტდება და შემდეგ მაინც სიკვლილის მსხვერპლი შეიქნება.

დ) კუჭის რგვალი წყლული.—ზოგიერთ შემთხვევაში კუჭში შიგნიდან ჩნდება წყლული, რომელსაც ექიმები ვუწოდებთ რგვალ წყლულს, რადგანიც წყლული მართლაც რგვალია და ისეთი სწორი ნაპირები იქნეს, თითქოს ვიღაცის საგანგებოდ შემოუჭრია დანითო.

ეს ავადმყოფობა უფრო სჩევეია საშუალო წლოვანებას, ბავშებს და მოხუცებულებს ძალიან იშვიათად ემართება.

რა აწუხებს ავადმყოფს კუჭის წყლულის დროს? გული, წვა და ტკივილები, განსაკუთრებით საჭმლის მიღების შემდევ, ზოგჯერ ავადმყოფს ნიადაგ იქნება ტკივილები გულის კოვზან, მაგრამ ტკივილი მატულობს საჭმლის მიღებიდან და განსაკუთრებით აწუხებს ავადმყოფს საჭმლის მიღებიდან ორი საათის შემდეგ; მერე ნელ-ნელი პქრება. ზოგჯერ ავადმყოფს იმდრენა გულის კოვზან არ აწუხებს ტკივილი, რამდენადაც უკაზურგში, ბეჭედის დაბლა მარცხენა მხარეზე, ტკივილების გარდა ზოგჯერ ავადმყოფს თვითონ ზურგის კანი ეწვის. ავადმყოფ მუცელზე ბერვა იქნება, და ზოგჯერ პირისღებინება, რაც საჭმლის მიღებისთანავე კი არ აუგარდება, არამედ—ორი სამსახურის შემდეგ; ნარწყევი მეტისმეტად მუავე არის. ზოგჯერ ავადმყოფს სისხლის ღებინება აუგარდება.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ქლექიანსაც ამოსდის ზოგჯერ პირიდან სისხლი. მაში როგორ უნდა გაიგოთ, საიდან მოდის სისხლი ფილტვებიდან თუ კუჭიდან?

როდესაც ქლექიანს ამოსდის სისხლი, მაშინ ავადმყოფ ახველებს, სისხლი ამოდის ხველების დროს, ზოგჯერ სისხლთან ერთად ნახველიც არის, პირველ ხანებში სისხლი თხული არის და ალის ფერი.

როდესაც სისხლი კუჭიდან ამოდის, მაშინ ავადმყოფს კი არ ახველებს, არამედ პირს იღებინებს და სისხლი ღვიკეთილია, ზავი და ნაფლეთ-ნაფლეთად ამოდის ღვიძლის ნაჭრებივით. ამავე დროს ავადმყოფს განავალი შავი იქნება ისლად დაბადებულ



პავშივით; ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნაწილი კუქში გამოსული სისხლისა ნაწლავებში გადადის, საჭმელში აირევა და განაცილებს. ოოფორტ ჰლექში არ იცის ყოველთვის სისხლის ხელება, ისე კუჭის წყლულმაც არ იცის ყოველ კერძო შემთხვევაში სისხლის ღებინება. კუჭის წყლული ზოგჯერ პატარაა, ზოგჯერ დიდი, პირი განიერი აქვს, ძროსაკენ თანდათან ვიწროვდება.

შესაძლებელია, წყლულმა კუჭის კედელი გამოსკამოს და კუჭი განვრიტოს. მაშინ ავადმყოფს უმეტეს შემთხვევაში მუტლის აპკის ანთება ემართება და მალე კვდება.

შესაძლებელია, ავადმყოფმა კუჭის წყლულიდან იმდენი სისხლი დაპკარვოს, რომ სისხლიდან მთლად დაიცალოს და მოკვდეს. რა საშუალებას უნდა მივმართოთ, როდესაც ავადმყოფს კუჭის წყლული გამოაჩინდება?

ორი კვირის განმაცლობაში მაინც საჭიროა წოლა და მოტელო წყალში დასველებული ტილო, ან კარგათ გამობარი დანაყილი მარილი, ან ქატო გულის კოვზზე. რამდენიმე დღე მაინც ავადმყოფმა სრულებით არ უნდა სკამოს საჭმელი და ულაპოს ცოტა ცივი წყალი, თუ ვერ გაძლო უნდა იკეთოს დღეში ორჯერ-სამჯერ მასაზრდოებელი ონა; შემდეგ უნდა სვას მარტო რჩე, მიიღოს მაწონი, კარაქი ორი კვირის განმაცლობაში; მესამე კვირიზე უნდა მიუმატოს თოხლო კვერ()-ნი და ქათმის წვენი; მეოთხეზე--მოხარშული წიწილი, გამხმარი ლავაში და ახალი თევზი; მეხუთეზე და მეექვსეზე უნდა მიუმატოს ცოტაოდენი გამომშრალი პური. ექვსი კვირის შემდეგ თანდათან უნდა გადავიდეს ჩვეულებრივ საჭმელზე, მაგრამ ყოველივე ცხარეს, მლაშეს, არაყს, ზედმეტ ღვინოს უნდა ერიდოს. ავადმყოფობის დროს კარგია მეავე წყალი.

თუ კუჭის რგვალი წყლულით ავადმყოფს სისხლის ღებინება აუვარდა, აუცილებელია დაწოლა და სრული მოსვენება. ერთი ან ორი დღის განმაცლობაში ავადმყოფმა არაფერი არ უნდა ჩაუშვის პირში: არც წყალი, არც რჩე, არც სხვა რაიმე საჭმელი; მუცელზე უნდა იფინოს ცივ წყალში დასველებული

ტილოები და ხშირ-ხშირად გამოიცვალოს. როდესაც კუჭის ლის ღებინება შეწყდება და ტკივილები დაყუჩიდება, საზრდო ბა უნდა დაიწყოს ოძიდან ისე, როგორც საერთოდ საჭირო კუჭის წყლულის დროს.

თუ სისხლის ღებინება არ შეწყდა, ან ხშირად გაუშეოდა, და, ან თვითონ წყლული არ წავიდა მორჩენაში, მაშინ ფულებელია აპერაცია

— კუჭის გაჭრა შეიძლება? იკითხავს ვინმე

არა თუ გაჭრა, ამოქრაც კი შეიძლება და ადამიანი მანქურულობა.

აპერაცია იმაში მდგომარეობს, რომ მუცელს გასჭრან, კუჭს წყლულს ამოსჭრიან და ამოჭკერავენ. ხანდახან წყლული ჩნდება ზედ კუჭის გასავალთან და როდესაც მორჩება, იღუნავ მოავიწროებს გასავალს, რომ მონელებული საჭმლი კუჭიდან ნაწლავებში ველარ გადადის. ავადმყოფს კუჭი უგანდერდება, ტკივილები იქვს საჭმელის მიღების შემდევ, პირის ღებინება. ამ შემთხვევაშიაც საჭიროა აპერაცია: კუჭის გამოსავალთან წელს სრულებით მოსჭრიან და გამოსავალს ამოჭკერავენ; შემდევ სხვა ალაგის გასჭრიან კუჭს და ნაწლავს მიაკერებენ.

— მერე ჭამას არ დაუშლის? იკითხავთ თქვენ.

— არა თუ არაფერს არ დაუშლის, ავადმყოფი სრულდით გამომჩრთელდება და გასაღდება.

ე) კუჭის კიბო. — კიბო წარმოადგენს სიმსივნეს, ანუ სხმოს, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს კუჭი. კუჭში კიბო უწიდება ადამიანს თარმოცი-თარმოცულა ათი წლის შემდევ. ემართება მეტად ახალგაზრდასაც, მაგრამ ძვირად.

კუჭის რომელიმე ალაგის ლორწოიან გარსში გაჩნდება პატარა თხილის ოდენა სხმო, სწრაფად იზრდება უა ერცელდება კუჭის კედლებზე. პირველ ხანებში, როდესაც კიბო ახლი გაჩენილია, ავადმყოფს სრულებით არაფერი არ აწუხებს, ტკივილები არა იქვს, ჭამასა და სმას არ უშლის და სხვა.

რა კი სიმსივნე წამოიზრდება, ავადმყოფი ტკივილებს

გრძნობს კუჭში და ამ ტკიცილებს არა იქვს კავშირი საჭმელის მიღებასთან, როგორც კუჭის კატარის დროს,—ხან მშეორზე სტკივა, ხან იჯრის შემდეგ. ტკიცილებს ერთვის უმაღლაბა; ავადმყოფი ზოგჯერ იდენთა ჰკარგავს მადას, რომ საჭმელი ეზიზლება, შემდეგ ზედ ერთვის გულის ჩევა და პირისლებინება. როდესაც კიბო საქმაოდ გაიზრდება, ის იარავდება, ჩირქდება, ლპება; ამიტომ ავადმყოფს ცუდი სუნი ამოსდის პარიზან, პარი უშრება, ენაზე თეთრადა იქვს გადაკრული; პარის ლებინების დროს საჭმელთან ერთად ზოგჯერ კიბოს ნაგლეჯები ამოსდის და ბევრჯერ ნარწყევი არის მოშაო ფერისა ყავასავით.

ამ ხანებში კიბო იმხელაა, რომ გულის კოეზსა და ჟიპს შეა ხელით შეიძლება მისი გასინჯვა, ხელში მოვხვდებათ მაგარი, ხორკლებინი სხმო. თვითონ ავადმყოფიც ამჩნევს ამ სხმოს და თავისებურადა ხსნის: კუჭის პირი დამსიერიაო, ლუკია დამდგომიაო და სხვა. ავადმყოფი საშინლადა ხდება, ყვითლდება, ფერსა ჰკარგავს, სუსტდება.

თუ კიბო კუჭის პირის სიახლოვეს გაჩნდა, რაკი გაიზრდება, საჭმელს აღარ უშვებს საყლაპვილინ კუჭში და ივადმყოფი შიმშილითა კვდება. თუ კიბო კუჭის გამოსავალთან გაჩნდა, მაშინ რაკი გაიზრდება, საჭმელს აღარ გაუშვებს კუჭიდან ნაწლავებში; ავადმყოფს დიდი ტკიცილები იქვს, პირის ლებინება და ბოლოს კვდება სისუსტისა გამო. რა ალაგისაც უნდა გაჩნდეს კუჭში კიბო, ის სწრაფად იზრდება, იბარტყებს, ტანში დაიბნევა, გადადის ლვიძლში, ნაწლავებში, მუკლის ჯირკვლებში და ივადმყოფს რამოდენიმე თვეში ჰკლავს.

თუ ივადმყოფმა დროზედ მიმართა ექიმს, ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ შეიძლება აპერაციით გადარჩენა, ან სიცოცლის გაგრძელება.

— ნეტა საიდან ჩნდება კუ? მკითხავთ თქვენ.

ეს საკითხი ჯერაც არ არის მეცნიერებაში გადაწყვეტილი. ზოგი იმ აზრისა არის, რომ კიბოს აჩენენ ერთგვარი ფალით უხილავი არსებანი—ბაცილები, მაგრამ ჯერ ეს დამ-

ტკიცებული არ არის, ჯერ ვერ იღმოუჩენიათ. სხვებია ასეთი უარპყოფენ და აწერენ მას ხანგრძლივ გალიზიანებას, მეტადრეობას და სხვ.

გ) ხაზოგადო ზომები კუჭის სხვადასხვა ავადმყოფობა დროს.—ყოველი დასწეულებული ასოს მოსარჩენად საჭიროა მისი დასვენება. ამ პირობის შესრულება ხშირად შეუძლებელია, როგორ დაასვენებთ, მაგალითად, გულს? ხშირად—მეტად ძნელია. შეუძლებელია კუჭის დიდხანს დასვენებაც, რაღანაც სულ მშეგრი მხოლოდ რამოდენიმე დღე თუ გასძლებს აღმიანი, შემდეგ საზრდო უნდა მიიღოს, რაც უნდა კუჭი სტანდებს.

ამის გამო კუჭის ავადმყოფობა ძნელი მოსარჩენია და ეს სიძნელე მით უფრო დიდია, რაც უფრო დახანებულია სწელება. როგორც კი შენიშნავთ კუჭის ტკიცილს, მაშინათვე უნდა მიაქციოთ ყურადღება, მიიღოთ ზომები. სამწუხაროდ ჩვენი მიწის მუშა აჩასოდეს არ მიღის ექიმთან მაშინ, როდესაც კუჭის ავადმყოფობა ახალი დაწყებულია. გაივლის, გაიკლისო; ამ დღეს-ხვალიობაში გადის დრო და ავადმყოფი მართავს ექიმს მაშინ, როდესაც დაგვიანებულია.

რაკი დაგვიანდება, კუჭის გამომთელება ან მეტად ძნელია, ან შეუძლებელი.

კუჭის ავადმყოფობით შეპყრობილს უნდა ახსოვდეს ერთ რამ: ვერავითარი წამლობა ვერ მოუტანს მას სარგებლობას, თუ უმთავრესი ყურადღება არ მიაქცია შესაფერი სასმელ-საჭილის შერჩევას; ასეთ ავადმყოფს ყველაფერი არ ექმედა; მისი საჭმელია რძის ქაში, ახალი მაწონი, ქაომის წვენი, უმი ან თოხლო კვერცხი და გამხმარი თეთრი ლავაში. თანდათან, მოკეთებასთან ერთად, მან უნდა დაუმატოს მოხარული გარია, შემდეგ ქათამი, გამომშრალი და წინა დღით გამომცემის პური. სასმელი—მხოლოდ რძე და წყალი.

კუჭით ავადმყოფა უნდა სჭამოს კოტა და ხშირად—დღეში ოთხჯერ, რომ დასუსტებულ კუჭს ძალა არ მოუვიდეს რაკი ავადმყოფი შეატყობს, რომ საჭმელს უფრო იღვილა.

ინელებს, ტკივილების სიმძიმეს აღარ გრძნობს, ნელა-ნელა უნდა მოუმატოს კამას; ერთი სიტყვით ავადმყოფი უნდა დაუკირდეს თავის კუჭის და ის თვითონ გააგებინებს, რისი და რამდენის მონელება შეუძლია.

ზედმეტი სიფრთხილე საჭირო აღარ არის მაშინ, როდე-საც კუჭის მდგომარეობა და მუშაობა შესამჩნევად გამოკეთდება.

არის ბევრჯერ ისეთი ავადმყოფობა კუჭისა, როდესაც აუცილებელია კუჭის სრულებით დასვენება რამოდენიმე ხნით. ამ შემთხვევაში ავადმყოფი უნდა კვებოთ უკანა ტანიდან. ამ გვარი კვება დამყარებულია იმ დაკვირვებაზედ, რომ გამოსავალ ნაწლავს შეუძლია ზოგიერთი საჭმლის შეთვისება. უნდა აიღოთ ერთი ჩაის ჭიქა თბილი რძე, გათქვით შიგ ორი ან სამი კვერცხის გული, შეურიოთ ცოტაოდენი მარილი, ერთი ან ორი სუფრის კოვზი წითელი ღვინო და ოყნით გაუკეთოთ ავადმყოფს. ასეთი ოყნა უნდა გაუმეოროთ დღეში რამდენჯერმე — სამჯერ-ოთხჯერ. ეს არის მასაზრდოვებელი ოყნა.

ასეთი ოყნის წინ ავადმყოფს ოყნა უნდა გაუკეთოთ ჩვეულებრივი თბილი წყალით, რომ კუჭი გაეწმინდოს, თორემ შესაძლებელია მასაზრდოვებელი ოყნა ავადმყოფმა ვერ დაიკავოს.

მასაზრდოვებელი ოყნის შემდეგ ავადმყოფი წყნარად უნდა იწვეს საათი-საათნახევარი მაინც. ასეთი კვება ზოგჯერ აუცილებელია, როდესაც ავადმყოფს სისხლის ღებინება აქვს ავარდნილი კუჭის წყლულის გამო. ამგვარი კვებით შეიძლება ავადმყოფი შეინახოთ ერთ კვირამდე ან ცოტა მეტი. ამასობაში კი კუჭი გამოკეთდება იმდენად, რომ მცირეოდენი საჭმელის მიღებას აიტანს. ზოგჯერ კუჭის სნეულების დროს ავადმყოფს იმდენად ეკარგება მაღა, რომ ყოველგვარი საჭმელი ეზიზდება. შინაურები კი ჩასციდიან:

— შექამე რამე, შენ გენაცვალე, დასუსტებიო.

ასეთ ავადმყოფს თვითონ კუჭი ატყობინებს; დამასვენება პატარახანსო. ავადმყოფმაც უნდა დაასვენოს კუჭი და მთელი დღედაღამე ან ცოტა მეტიც სრულებით არაფერი არ მი-

იღოს; მხოლოდ წყალი უნდა მოსვას ხოლმე ცოტა და, თუ დიდი წყურვილი აქვს, პირში გამოივლოს ხშირად ციფრი წყალი.

კუჭის სნეულების დროს, თუ ივაღმყოფს მუცელში უკრულობა აქვს, სასარგებლოა სასმელად დო.

კუჭით ივაღმყოფა არ უნდა მიიღოს არც ძალიან ცხელა, არც ძალიან ციფრი სასმელ-საჭმელი

დიდი მნიშვნელობა აქვს სნეული კუჭის წამლობის დროს, პირის სისუფთავეს. როგორც კი გამოიღოიძებს ივაღმყოფი, პირი უნდა გამოიჩეცხოს კარგად; იგივე საჭიროა ყოველთვის საჭმელის წინ და შემდეგ.

აგრეთვე საჭიროა, რომ ივაღმყოფი ყოველ დღე გადიოდეს გარეთ; კუჭის ივაღმყოფობას ზოგჯერ თან დასდევს მუცელში შეკრულება. ნიადაგ სიფალარათოს ხშირება მავნებელია. საუკვეთესო საშუალებაა: დილით უხმოახე ციფრი წყალი, დო, მაწონი, ბორჯომის წყალი.

— ჩვენი საჭმელი ლობითა და ნეტავი მარგებელია კუჭისათვის თუ მაწყინარი? შენა ჰკითხულობ ლევან?

ლობითი, მუხუდისი, ცერკვის შეკამადი მუშაკაციათვის მარგებელია, რადგანაც ნოციერია, მაგრამ მძიმე მოსანელებელია, ამიტომ კუჭის ივაღმყოფობის დროს მათი კამა შეუძლებელია. წვანილი, ძალიან ცხარე, მეავე, მლაშე საჭმელი, მკვახე ხილი კუჭის ივაღმყოფისათვის მავნებელია.

ლეინო შეიძლება მხოლოდ ცოტა და იგიც ზოგიერთ შემთხვევაში.

როგორც ჰხედივთ, კუჭის მოჩჩნას უნდა ხასიათი, მოთხენა და მტკიცე ნება. ვისაც ეს არა აქვს, ის კუჭს იღვილად დაისნეულებს, მოჩჩნით კი ძნელად მოიჩჩნენს.

%) მეავე წყალი კუჭის ივაღმყოფობის დროს.—საუკეთესო ექიმია ბუნება და ვერავითარი ჯანაოზი მას ვერ შეედრება. სხვადასხვა სნეულების წინააღმდეგ თვითონ ბუნება იძლევა საშუალებას; ბუნება იძლევა წამილს აგრეთვე კუჭის ივაღმყოფობის წინააღმდეგ. ეს წამილი გახლავთ მეავე წყალი. მეავე წყალში ხშირად ურევია რკინა. ამას ამეღლავნებს ერთის

მხრით გემო, მეორეს მხრით აგურის ფერი, რომლითაც რეინანარევი მეავე წყალი ღებავს იმ ადგილს, სადაც გადმოდის. მეავე წყალი ზოგი თბილია, ზოგი — ცხელი, ზოგი — ცივი. უნდა იკოდეთ, რომ მეავე წყალი უკედავების წყარო არ არის, რომ ხელად განკურნოს ავადმყოფი.

საჭიროა თავის დროზე და ზომაზე სმა მეავე წყალისა; საჭიროა სასმელ-საჭმელზედ გაფრთხილება მეავე წყლით წა-მლობას დროს

ავადმყოფმა უნდა დაჰყოს მეავე წყალზე არა ნაკლებ ერთი თვისა და ასეთი წამლობა გაიმეოროს თუ ორჯერ არა ერთ-ხელ მაინც ყოველ წელიწადს სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

— ამდენი დრო სოფლის კაცს სადა აქვს? იცით თქვენ თქმა.

ავადმყოფის დროს უნდა იშოვოს. სიცოცხლის უდრი-თ დაკა-გვას, ან სამუდამოდ დასწეულებასა და ტანჯვას ის არა სჯობია, კოტაოდენი დრო დაკარგოთ და განიკურნოთ? ჩვენში წავლენ მეავე წყალზე, დარჩებიან სამ-ოთხ დღეს, სვა-მენ უღელში დალლილი ხარივით და შემდეგ ჩივიან: არ მო-მოგვიხდა, ან და — გვაწყინაო.

რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში მოხდენა ყოვლად შეუძლებელია, წყენა კი აუცილებელი, მაგრამ მეავე წყალი აქ რა შეუშია? მეავე წყალი უნდა სეს ავადმყოფმა დილით უზ-მოსე, ერთი ან ორი ჩაის ჭიქა, სადილის წინ და სალამოს. საჭმელი უნდა მიიღოს წყალის დალევიდან მხოლოდ ერთი სა-ათის შემდეგ.

— იჯრის შემდგომ არ დაილევა მეავე წყალი? შენა კი-თხულობ თადეოზ?

რატომ არ დაილევა სამწყურვალოდ, მაგრამ როგორც წა-მალა, ის უფრო სასაჩვებლოა მაშინ, როდესაც კუჭი ცარი-ელია.

ზოგიერთი ავადმყოფი ერთ ჯერზე დალევს ტუთ ჭიქას, ით და მეტაცა; შედეგად მიიღებს მოხდენის მაგიერად მხოლოდ წყენას.

მუავე წყალით წამლობის დროს საკიროა გაფრთხილება სასმელ-საჭელზე. ზოგიერთი ავადმყოფი გაუსვამს ხელია და უოველგვარ საჭმელსა სჭამს. აქამ-და მუავე წყალსა ცსვამო, ან პეტონია: სასმელ-საჭმელზე გაფრთხილება საკირო აღარ არის.

ეს დიდი შეცდომაა: ვინც ამავე დროს სასმელ-საჭმელს არ გაუფრთხილდება, იმას მუავე წყალზე წასელა სრულებით უქმდ ჩაუვლის.

თუ რეინა ბევრი ურეკია მუავე წყალში და ავადმყოფს კუჭის სიმაგრე აქვს, ასეთი მუავე წყალი მისთვის არ გარე. თუ ავადმყოფს კუჭი მოშლილი აქვს, მისთვის თბილი ან გამობარი სჯობია; თუ უფრო სიმაგრე სწვევია კუჭისა, მაშინ მდავა წყალი ცივი უფრო სასარგებლოა.

ჩვენს სამშობლოში მუავე წყალი თითქმის ყოველი ფეხის გადადგმაზე არის და ასეთი ბუნებრივი სიმდიდრით ჩვენი ქეყანა პირველ რიგში დგას. მე ჩამოგითვლით აქ უმთავრეს აღვილებს:

1. ბორჯომი. საუცხოვო მუავე წყალია და რეინის წყალი
2. ურაველი. ახალციხესთან, მუავე წყალია რეინანარევი
3. ფშავეში. ვაჟა ფშაველის სოფელ ჩარგალში მუავე წყალია რეინანარევი
4. ჯავის ხეობაში ბევრგან არის მუავე წყალი და რეინის წყალი.
5. წილვერი-ბორჯომის თავზე, რეინანარევი მუავე წყალი.
6. ლესევი. დაბა საჩხერიდან ოცდახუთი ვერსის მანძილე, მუავე წყალი და რეინის წყალი. საუცხოვო ბუნებაა.
7. უწერა—რავის მაზრაში. მუავე წყალი და რეინის წყალი. საუცხოვო ბუნებაა. ონის მახლობლიად რავაში ძლიინ ბევრ ალაგის არის საუცხოვო მუავე წყალი.
8. ლაშეთი—გადმოლმა სვანეთში. საუცხოვო მუავე წყალია და რეინის წყალი.
9. გადაღმა სვანეთში ბევრგან არის საუცხოვო მუავე წყალი.
10. ოზურგეთის მაზრაში - გურიაში ბახმაროს ძირში არის მუავე წყალი.

11. ბალდალში — საირმეში არის საუცხოვო მეავე წყალი. სამეგრელოში თეთრ მთაზედ (ჩეგოლა და ლიბარდე) არის მეავე და რკინის წყალი. ამავე დროს ჰაერი და ბუნება საუცხოვოა.

12. კობი — საუცხოვო მეავე წყალი. და მრავალი სხვა აღისაულები.

თ) სხვადასხვა საექიმო საშუალებანი კუჭის ავადმყოფობის დროს. — კუჭის ავადმყოფობის დროს ხალხში გავრცელებულია ერთგვარი საშუალება — კუჭის დაზელვა. ზოგიერთ შემთხვევაში კუჭის დაზელვა სასარგებლოა, მაგრამ დაზელვა-საც ცოდნა უნდა. მაგრად დაზელვა დიდხანს ყოვლად დაუშვებელია; დაზელვა უნდა მსუბუქად, ხუთ-ექვს წამს და არა მშეირ კუჭზე, არამედ ნასაღილევს ორი-სამი საათის შემდეგ. თუ კუჭის ტკივილი ახალია, ხშირად კარგია ცივი ტილოები კუჭზე საფენად ან ცივი წყალის კომპრესები.

როდესაც სნეულება ძველია, ან ტკივილი დიდია, და ავადმყოფს სიცხე არა აქვს, მაშინ ხშირად შველის ცხელ წყალში დასველებული ტილოები, გახურებული ქართ, მარილი, კეტი.

როდესაც კუჭი მოღუნებულია და საჭმელს ვერ ინელებს, კარგია ცივ წყალში ბანაობა. როდესაც ავადმყოფს უფრო ტკივილი აწუხებს და კუჭი ხშირად აქვს აშლილი, მაშინ კარგია თბილი აბაზანები.

კუჭის ავადმყოფობას უხდება სუფთა და კარგი ჰაერი; ამიტომ კისაც მეავე წყალზე წასვლა არ შეუძლია, მახლო. ბელ მთას მაინც უნდა მიაშუროს და იქ დამყოს რამოდენიმე ხანი. მეავე წყალზე წასვლა სხვათაშორის იმითიც არის სასარგებლო, რომ საღაც მეავე წყალია ჩვენში, ჰაერიც მთისა არის, უტად სუფთა და სისარგებლო.

არის ბერი ავადმყოფობა კუჭისა, რომლის წინააღმდეგაც საკიროა აპერაცია, ხალხში ბევრია ჰვონია: თუ კუჭი წამლობით არა რჩება, მაშინ აპერაცია არის საკიროვო. მეტად შემცდარი აზრია: არის ბევრი ავადმყოფობა კუჭისა, რო-



მელსაც აპერაცია არ ეხერხება. აპერაცია თუკილებელია და შინ, როდესაც კუქის გასავალი შეკრულია ან მოვიწროვებული, როდესაც კუქში წყლულია და წამლობით არა ჩემი, როდესაც კუქში რაიმე მაგარი საგანია, რეინა ლურსმანი და სხვა,—ზოგი განზრახ გადაყლაპავს, ზოგს გადასცდება. აპერაცია საჭიროა, როდესაც კუქში კიბო არის ახლად დაწყებული. ყოფილა მაგალითი, როდესაც ამოუქრიათ ორი მეტადი კუქისა და ავადმყოფი მორჩენილა.

— მერე, როგორდა უნდა კამოს საჭმელი? კითხულობა თომა.

დასკირდება უფრო ხშირად ჭამა და თითო ჯერზე უტა საჭმელის მიღება, — მეტი არაფერი.

ზოგჯერ კუქის ავადმყოფობას უხდება კუქის ამორუსულ წამლით ან თბილი წყალით.

ვ. ნაზლავების სიცულებანი.

შესავალი.

ბევრსა ჰგონია, საჭმელი მარტო კუპეში იხარშებაო.

ეს შეცდომაა. კუპი სულაც რომ ამოსჭრან აღამიანს, მანც დიდხანს იკოცლებას.

ეს არის, ხშირხშირად დასკირდება ჭამა.

ნაწლავები უკეთაცა ხარშავენ საჭმელს, ვიდრე კუპი.

როგორც კი გათქვეფილი საზრდო კუჭიდან ნაწლავებში გადავა, აქ მას შეერევა ლვიძლის წვენი — ნაღველი, კუპეში ჯირკვლის წვენი და ნაწლავების წვენი.

სულ ყველა ესენი საჭმელს საუცხოოდ ხარშავენ;

ამგარად გადამუშავებულ და გათქვეფილ საჭმელს შეისაძის ნაწლავების ხაო და გადაგზავნის მას სისხლში, რომელსაც მიაქვს ეს საზრდო გულში.

გზად ამ საზრდომ უნდა გაიაროს ლვიძლში.

უმეტესი ნაწილი სისხლის ძარღვებისა, რომლებიც ნაწლავებში იწყებიან და შესრუტნულ საზრდოს ღებულობენ, ერთად მოიყრის თავს და შეადგენს ერთ დიდ ძარღვს, რომელიც შედის ლვიძლში.

ლვიძლი წრიმოადგენს ერთგვარ საბაქოს;

გადაათვალიერებს საზრდოს, რაც არ მოეწონება, სტაცებს ხელს და გულისკენ აღარ გაუშვებს.

დანარჩენს კი გულისაკენ გადაგზავნის.

ამ უვარგისი და მავნებელი ნაწილებიდან ის ამზადებს ნაღველს და ხმარობს მას. საჭმლის მოსანელებლად.

ნაღველი გროვდება ნაღველის პარკში, რომელიც პატარა მილით ნაწლავებს უერთდება.

წვრილ ნაწლავებში საზრდო რჩება ორ-სამ საათი, შემდე
ის გადადის სხვილ ნაწლავებში, აქ თანდათან სქელდება და
ლებულობს განავალის სახეს.

ადამიანის ნაწლავები სხვადასხევა ალაგას სხვადასხევა საჭი-
საა და სახელებიც სხვადასხევა ჰქვია.

კუქის გასავლიდან იწყება თორმეტგოჯა ნაწლივი, რომე-
ლიც ნალივით მოგრეხილია.

აქ იყრიან თავს ნაღველისა და კუპქვეშა ჯირკველისწვე-
ნის საღენი მილები.

შემდეგ იწყებიან წვრილი ნაწლავები.

წვრილი ნაწლავები მრავალ გრეხილებად არიან დაკუტ-
ლი მუცელში, და ხერხემალზე არიან მიბმული ჯორჯალით.

წვრილი ნაწლავების ლორწოიანი გარსი დაფარულა
ხოთი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ხაოს ის თვისება იქნება, რომ სწოვს საზრდოს, შეისრუ-
ნის რაც კარგია და გადაგზავნის სისხლის წვრილ მიღებში,
რომელებითაც გამოტენილია ხაოს კედლები.

წვრილი ნაწლავები უერთდებიან მსხვილს მარჯვენა ფე-
დში და იშ ნაწილს სხვილი ნაწლავისას ეწოდება ბრძან ნაწ-
ლავი.

ბრძან ნაწლავს გამობმული იქნება კუდივით წვრილი ლე-
ლანაწლავი, რომელმაც ზოგჯერ ინთება იცის და ბევრს ის-
ტუმრებს საიქიოს.

— თუ საიქიო არ არი? ოხუნჯობს ეგერ თედო.

მართალია, მართალი! თუმცა არ არის, მაგრამ ენაა მა-
ვეული.

ბრძან ნაწლავიდან იწყება უმთავრესი ნაწილი სხვილი ნა-
წლავებისა — კოლინჯი, აღის მარჯვნით ლვიძლისაკენ ასწერავ;
შემდეგ გაუხვევს მარცხნით, გაივლის არდივარდმო კუქს ქვეშ,
დაუხვევს მარცხენა ფერდიდან დასწვრივ და უერთდება სწო-
ნაწლავს, რომელიც თავდება საჯდომით.

ნაწლავების კედლებში დატანებულია კუნთები, რომელ-
საც მოძრაობაში მოჰყავთ ნაწლავები.

ამ მოძრაობის წყალობით საქმელი ნელ-ნელა მიუურავს ნაწლავებში, ვარგისი ნაწილი გადადის სისხლში, უვარგისი კი გამოდის გარეთ.

ნაწლავების დაცლა ბუნებრივად სწარმოებს დღეში ერთ-ხელ ან ორჯერ. როგორც გადამეტება ე. ი. უფრო ხშირად გასვლა, ისე დაგვიანდება ე. ი. უფრო ძვირად გასვლა, ივალმყოფობაა და დროზედ უნდა მიაქციოს ყოველმა ოქვენ-განმა ყურადღება.

ნაწლავების სხვადასხვა ივალმყოფობას სჩევია ლორწო, ჩირქი და სისხლი.

ლორწო ზოგჯერ თხელია და ცილასავით ვარდება, ზოგჯერ არეულია თხელ განავალში, ზოგჯერ კი სქელ განავალსა აქვს შემოკრული გარედან. ზოგჯერ ლორწო სქელია სა-ცივივით, ზოგჯერ კი მაგარი და კანის ნაგლეჯებს მიემსგავსება.

თუ სისხლი ნაწლავების ზედა ნაწილიდან მოდის, ის შერეულია საქმელში, განიცდის საქმელთან ერთად სხვადასხვა ცვლილებას ნაწლავებში და ცნობა ძნელია: განავალი ამ შემთხვევაში არის მოშავო, ახალ დაბადებული ბავშის პირველი განავალივით.

თუ სისხლი ნაწლავების ქვედა ნაწილიზან გამოდის, მაშინ ის უცვლელია,

ჩირქი ნაწლავებმა იციან ცოტა ზოგიერთი ივალმყოფობის დროს.

— ჩემ ბავშს რომ მუცელა სჭირდა, ცოტა კი არა თითო მუქა ჩირქი ვარდებოდა ყოველ გადადგომაზედა! გვეუბნება იაკობი.

ეგ არ არის ჩირქი, არამედ სქელი ლორწო: ამ გასქელებულ ლორწოს თქვენ შეცდომით უწოდებთ ხოლმე ჩირქს.

ა) მუცელში შეკრულობა.—როგორც მოგახსენეთ, ჩეკურებრივად დღეში ერთხელ, ხან ორჯერ აქვს ადამიანს მუცლის საქმობა.

მაგრამ ზოგიერთი ივალმყოფობის დროს კუჭი ვეღარ მუშაობს და ივალმყოფი მუცელში იკერება.

სნეულება გაივლის, მუცელში შეკრულობაც თავისა
ჰქონება.

არის ისეთი ადამიანიც, რომელიც ჩვეულებრივად ას.
სამ დღეში, კვირაში ერთხელ გადის გარეთ; ასეთია მისი თქ.
დაყოლილი თვისება, თავისებურობა.

ბევრჯერ სრულებით საღ ადამიანს, რომლის კუჭიც კა.
ველდღე მუშაობდა საუკხოეოდ, დასჩემდება მუცელში შეკრუ.
ლობა, ყაბზობა და რამოდენიმე დღე ისე გაივლის, რომ გაჩე.
არ გავა და არც მოუნდება.

ასეთი ადამიანი არც კარგად არის, არც ავად; პირი უკა.
მური აქვს, მუცელზე ჰბერავს, მაღა ხშირად ეკარგება, მუც.
ლი უყვირის და ზოგჯერ კიდეცა სტკივა, თავი დამძიმებულ.
აქვს და ზოგჯერ თავბრუ ესხმის.

ამგვარი ივაღმყოფობა შედეგია ნაწლავების სიღუნის,
გახარმაცემისა; ზოგიერთი იდამიანი თავის ნაწლავებს თვითონ
ადუნებს; რაიმე მიზეზისა ან საქონის გამო ფეხისალაგზე მაშინ
არ გადის, როდესაც მოთხოვნილება აქვს, არამედ შემდე.
ზოგჯერ საქმით დროს გადააცილებს; საღილს ხან ადრე სქამი,
ხან გვიან. ასეთი წესი იწვევს ნაწლავების მოღუნებას და კუ.
ბზობას.

მუშაკაცმა იჯრა უნდა სქამოს ნიაღაგ ერთსა და იმუ.
დროს და მოთხოვნილებისთანავე გავიდეს ფეხისალაგზე.

ჩვენში ნაწლავების მოღუნებას ხელს უწყობს ფეხისალა.
გის უქონლობა,

ხშირად მოელ სოფელს გაივლით და ერთ ფეხისალაკ
ვერა ნახავთ.

— ფეხისადგილები განათლებული ხალხის საქმეა! მეტ
ყვით ალბად.

ძალიან შემცდარი ხართ! შეფის მთავრობაშ ჩაგიქედა
ის ყალბი იზრი, თითქოს თქვენ სხვანაირი ხალხი იყოთ, ვა.
ნათლებული კიდევ - სხვა; ყველა სწორი ვართ და ყველ
ტოლი.

მეორე—ის უნდა მოგახსენოთ, რომ ახალს ცხოვრებაში უყელა უნდა განათლდეს.

გაუნათლებელი ხალხი ნიკოლოზის მთავრობას უნდოდა, რომ დიდხანს შეენარჩუნებია ბატონობა. ახალს წყობილებას კი განათლებული ხალხი ესაქიროვდა და იმიტომ უყელა უნდა დაეწაფოს განათლებას, განსაკუთრებით კი—მუშები.

მესამე ისა, რომ ფეხისადგილი ყოველი ოჯახისათვის შეადგენს აუცილებელ საჭიროებას.

რა საშუალებით შეიძლება ნაწლავების სიღუნისა და ყაბზიბის მორჩენა?

ასეთი ავადმყოფი უნდა ერიდოს თბილ, ახალ გამომცხარ პურს, ძალიან მსუქან საქმელს, წითელ ლეინოს, გვიან გახშამს.

უნდა მიეძალოს ხილს, ჩირს, სამარხოს, შავ პურს, მჭადს, ბოლოკეს, საერთოდ მწვანილეულობას და მაწონს.

დღილით უზმოდ უნდა დალიოს ერთი დიდი ჭიქა ციცი წყალი, იჯრაზე სვას თეთრი ლეინო; კარგია აგრეთვე სასმელად დო.

ძალიან სისარგებლოა ციც წყალში ბანაობა, ღამ-ღამე ციც წყალში დასველებული ტილოზი მუკლის დაზელვა, მთის ჰაერი, მედვე წყალი, რომელსაც რეინა ნაკლებიდ ურევეთა.

მოთხოვნილება სრულებითაც რომ არ ჰქონდეს ასეთ ადამიანს, მაინც ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს ერთხელ ან ორჯერ უნდა გავიდეს ფეხისალაგზე და იჯდეს რამოდენიმე ხანს, თუნდაც სრულებით უქმდა.

ეს არის ერთგვერი ვარჯიშობა, მუჯლუგუნი, რომელიც ნაწლავებს ნელა-ნელა გადააჩვევს სიზარმაცეს.

ბ) ბუასილი.—თქვენ ხშირად იცით თქმა: ბუასილი ჩიტაც კი ემართებათ. რა თქმა უნდა, ჩიტს ბუასილი არ ემართება, მაგრამ ადამიანს კი—ხშირად უა ბევრ შემთხვევაში ძალიან შემაწუხებელი ავადმყოფობა არის.

ბუასილი სჩვევია ადამიანს ორმოცი-ორმოცდა ათი წლიდან, მაგრამ ზოგჯერ ის გამოაჩნდება ახალგაზრდასაც.

ხშირად ემართება ბუასილი ქალს ორსულობაში. ბუასილის წარმოშობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. მემკვიდრეობასა და ცხოვრებას.

თუ დედ-მამას ბუასილი აქვს, შესაძლებელია, შეიღება ძალიან აღრე გამოაჩნდეს ბუასილი.

ვინც ბევრსა სჭამს და ცოტას მოძრაობს, ბუასილი გა-
სი სტუმარია.

ლოთომა ძალიან უწყობს ხელს ბუასილის გაჩენის. ხში-
რად მუცელში შეკრულობა, მუდამ ერთ ალიგას ჯდომა, ძა-
ლიან მძიმე სამუშაო— ყოველივე ეს ადვილად იწვევს ბუ-
ასილს.

ამიტომ ხარაზებში, მჰედლებში, ბუასილი ხშირია.

რა არის ბუასილი?

ეს მგონია ყველამ კარგად იცით: ბუასილი არის გამო-
სავალი ნაწლავის ავადმყოფობა.

გამოსავალ ნაწლავში შიგნით და გარეთ ნაპირებზე წნდე-
ბა ზოგჯერ პატარა, ზოგჯერ კი დიდი ლეჯეჯები, რასაც ხლ-
ხი ბუასილის სოკოებს უწოდებს.

თავდაპირველად ლეჯეჯი პატარაა, შემდეგ თანდათან ის-
რდება და ასეთი სოკოებით მოელი გამოსავალი ნაწლავი კა-
მოტენილია ხშირად.

ლეჯეჯები ზოგჯერ ძალზედ დაიბერებიან, დასივდებიან,
იწვევენ ტკივილებს, ტეხას; ავადმყოფი მუცელში იკვრება და,
თუ ძალა დაატანა თავს, უკანა ტანი გაღმობრუნდება და
ზოგჯერ აღარ შებრუნდება, თუ ავადმყოფმა ხელით არ შე-
ბრუნა და არ შეაგდო.

დაბერილი სოკოები სკდებიან და იწვევენ ისეთ სისხლის
დენას, რომ ავადმყოფი სისხლიდან იწრიტება და ყვითლ-
დება.

ზოგიერთს ხშირადა სჩეკვია სისხლის დენა, რაღანაც
სოკოები აღვილად სკდებიან; ეს არის ნედლი ბუასილი.

ზოგიერთს სისხლი იშევიათად მოსდის; ეს არის სმელ
ბუასილი.

ხანდახან სისხლის დენა ისეთი მძლავრია, რომ ყოველ გარეთ გასვლის დროს სისხლი პირდაპირ სჩექტს უკანა ტანიდან, ავადმყოფი სისხლიდან იცლება, ვეღარ გამობრუნდება და კვდება. ისეთი შემთხვევა იშვიათია.

უფრო ხშირად სისხლის დენა თავს იჩენს დროდა დრო.

ავადმყოფი დასუსტებულია, ჩამოყვითლებული, ჯანი აღარა აქვს, ღონე, მუშაობა აღარ შეუძლია.

ბუასილმა ხშირად იყის საჯდომის ქვილი, ზოგჯერ მეტის მეტად მაბეზარი და შემაწუხებელი.

ბუასილი იწვევს წელის ტკივილს, მუცლის გრიალსა და ტკივილს, თავის სიმძიმეს, თავბრუს. ყოველივე ამას თქვენ ეძახით ბუასილის ქარებს, ქარბუასილს.

თუ ბუასილი შიგნით არის, სოკოები ზოგჯერ მოლპებიან, ჩნდება იარები, იარები გამოალპობენ ნაწლავის კედელს; შიგნიდან გარეთ საჯდომის მახლობლად ჩნდებიან ხვრელები და იქიდან ავადმყოფს ნიადაგ ჩირქი სდის;

უოტახანს შეიძლება წაივიწყოს თავი, მაგრამ ისევ მალე გაიხსნება.

უაპერაციოდ ასეთი ხვრელები არა რჩებიან.

საიდან ჩნდება ბუასილი?

სისხლის მილებიდან.

როგორ, რანირად?

ბუასილის თვითული ღეჯეჯი წარმოადგენს სისხლის გაგანიერებულ და დასიებულ ძარღვს. გამოსავალ წელს საჯდომიან რამდენიმე წყებად შემთხვეული აქვს სისხლის წვრილი ძარღვები. თუ ადამიანი დიდ ხანსა ზის უძრავიდ ერთ ალაგის, მძიმე ასაწევ-დასაწევი ხედება ხშირად, ლოთობს, თუ ქალს საშვილოსნო აქვს დასიებული ან ორსულად არის, მაშინ სისხლი ამ ძარღვებში ვეღარ მოძრაობს კარგად, ჩერდება, შეიკვრის, შედედება, ჩნდება პატარ-პატარა ღეჯეჯები; ესენი თანდათან იზრდებიან, სივდებიან, ასიგბენ სისხლის ძარღვებს და მეგვარად თავს იჩენს ბუასილი.

როგორ შეიძლება ბუასილის წამლობა?

ყველა იმ მიზეზების თავიდან აცილებით, რომლებიც
ხელს უწყობენ ბუასილის გაჩენას.

როგორც კი შეატყობით ბუასილის გაჩენას—პატარა და
ჯევებს, ქავილს, მაშინათვე უნდა მიაქციოთ ყურადღება, თუ
რემ ბუასილი მოვერევათ და ძალიან შეგაწუხებსთ.

დილით და საღამოთი საჯდომი ცივი წყალით მოიბანე
და კარგად შეიმშრალეთ.

საზოგადოთ მეტის-მეტად სასაჩვებლოა, რომ ყოველმა
ჩვენგანმა გარეთ გასვლის შემდეგ საჯდომი ცივი წყალით მოი-
ბანოს; ამით სისუფთავესაც დავიცავთ, ბუასილისაგანაც ვის-
ტიებთ ხშირად თავს.

განსაკუთრებით საჭიროა ეს მიწის მუშებისათვის, რად
განაც მძიმე საქმეს ეწევით და ბუასილი ადვილათ გიჩნდებათ.

კარგია ხანდახან წურბელიც, მაგრამ ცოტა—ექვსი, რე;
თქვენ კი ხშირად ოცდა ათს მიიჯენთ და მთლად დაიცლებით
სისხლიდან.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოთ მუცელში შეკრუ-
ლობას; თუ ეს არ მოიშორეთ, ბუასილი არ იგცდებათ.

ბუასილის ღეჯეჯებმა ხშირად იციან სისველე, წმოლი
უკანა ტანიდან, რაც ძალიან აწუხებს ავადმყოფს, განსაკუთ-
რებით სიცემში.

საჭიროა ცივი წყალით მობანა და კარტოფილის ფქვილის
მოყრა დღეში რამდენჯერმე.

როდესაც სოკოები დიდია ან ავადმყოფს ხშირი სისხლის
დენა აქვს, ერთად ერთი საშუალება არის აპერაცია.

გ) ნაწლავების მწვავე კატარი. — ციებ-ცხელებამ, ყვ-
ვილმა, სახალმა ხშირად იციან მუცლის ტკივილი და ფალარათ.

იგივე სჩვევია ზოგიერთ სხვა მოარულსაც.

ზოგჯერ მოხდება, რომ სრულებით საღ ადამიანს ერთ-
ბაშად ასტკივდება მუცელი, ხანდახან ტანმიაც დაამტერებს
და სიცემს მისცემს; შემდეგ აუვარდება ხშირი ყვანა, ბევრჯერ
ჭინტვა, მუცლის გრიალი.

პირველად გაიყვანს ზედისედ რამდენჯერმე, შემდეგ თან-

დათან უკლებს; განვიალი თავში სქელია, შემდეგ თანდათან თხელდება, ბოლოს წყალიერი არის, მოყვითალო ფერის ან მომწვანო; ზოგჯერ ღუერიანია და შიგ ბლომად არის ლორწო.

ამავე—დროს შარდი ძალიან კლებულობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი ჩეილი ბავშია: ზოგჯერ მთელი დღე და ღამე ბავში აღარა შარდავს და დედმამას გული უსკედება,—შარდი შეეკრაო.

შარდის დაკლება და შეჩერება აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ნაწლავებიდან კარგავს ავადმყოფი ბევრ წყალსა და თირკმელებიდან ამის გამო აღარათერი გამოდის.

ავადმყოფობა გრძელდება რამოდენიმე დღეს, ხანდახან რამდენიმე კვირესაც და დიდი ადამიანი ყოველთვის რჩება, თუ ნამეტანი დასუსტებული არ არის; პატარა ბავშებს კი ხშირად ჰქონდავს. ეს არის ნაწლავების მწვავე კატარი.

ნაწლავების მწვავე კატარი უფრო ხშირია ზაფხულის ცხელ დღეებში და უმეტეს შემთხვევაში შედეგია წყენისა: უში ხორცი, გაფუჭებული თევზი, დაძველებული ხორცი, სოკო, ძალიან მეავე, მოსუსლელი, უსუფთაო ხილი—ხშირად იწვევენ ნაწლავების კატარს.

ყოველ ასეთ შემთხვევაში ნაწლავების მოშლასთან ერთად არსებობს კუჭის მწვავე კატარიც: გულის რევა, პირლებინება, კუჭის ტკივილი.

როგორ შეიძლება ნაწლავების მწვავე კატარის მორჩენა? ჯერ უნდა მიიღოთ ზეთი, რომ კუჭი გაიწმინდოს.

უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სასმელ-საჭმელს.

ერთი დღე და ღამე მაინც ავადმყოფმა არათერი არ უნდა მიიღოს გარდა კოტაოდენი წყალისა.

შემდეგ უნდა ხერიპოს მხოლოდ ქათმის წვენი და თანდათან მიუმატოს ხმელი ლავაში თეთრი, თოხლო კვერცხი, ახალი გაწურული მაწონი, მოხარშელი ვარია.

ვინც ასე არ მოიქცევა და მარტო წამალს დაემყარება, ნაწლავების მწვავე კატარი არ გაუვლის და გადაექცევა დახანებულ კატარად, რაც ძნელი მოსარჩენია და ხშირად რამო-

დენიმე წელიწადს და მთელ სიცოცხლესაც აწვალებს უკად მყოფს.

დ) ნაწლავების დახანებული კატარი. — ეს ავადმყოფობა ნაწლავებისა არის შეტეგი ზოგჯერ მწვავე კატარისა, რომ დესაც ავადმყოფი თავის თავს ყურადღებას არ აქცევს და ას იჩინენ თუნდაც სულ უბრალო მოშლილობას ნაწლავებისას.

ზოგჯერ კი ის იწყება ნელა-ნელა და შეუძინევლიდ უკლი საჭმელის, ან ლოთობის ზეგავლენით და სხვა.

ავადმყოფს მუცელი უგრიალებს, ხან შეკრულია მუცელ. ში და რამდენიმე დღე გარეთ არ გადის, ხან ფალარათი აუგარდება. განავალში არის ლორწო და ზოგჯერ იმდენი, რომ ავადმყოფი ცალიერ ლორწოზე გადის.

თქვენ ამგვარ შემთხვევაში იტყვით ხოლმე: ქონხე გავიდაო.

ზოგჯერ მთელი ნაწლავებია დასნეულებული, ზოგჯერ კი მარტო რომელიმე ნაწილი.

როდესაც სნეულება მარტო თორმეტგოჯა ნაწლავშია, მაშინ ავადმყოფს უფრო კუჭის ტკიფილი აწუხებს და ხანდა-ხან სიცვითლე ემართება.

რა იწვევს ამ შემთხვევაში სიყვითლეს?

თორმეტგოჯა ნაწლავში გამოდის, როგორც იცით, ნაღველის საღინარი მიღი.

კატარის დროს ნაწლავის ლორწოიანი გარსი სიცდება, ნაღველის საღინარი პირი შეიკვრის, ნაღველი ნაწლავში ვეღარ იცლება, გაბრუნდება სისხლში და ამის გამო ყვითლდება მთელი სხეული.

სიყვითლე ამგვარად არის შედეგი სხეულის გაელენისა ნაღველით.

თუ დასნეულებულია წვრილი ნაწლავები, ფალარათი არ არის ხშირი, დღეში ორჯერ-სამჯერ, განავალში არეულია ლორწო და აგრეთვე საჭმელის მოუნელებელი ნაწილები, რასაც სხვილი ნაწლავების კატარის დროს არასოდეს არა აქვს ალაგი.



თუ სხეილი ნაწლავებია დასწულებული, მაშინ ფალარიზაცია
თი ხან ძალიან ხშირია და ზედ ერთეული ჭინტვა, ხან სრუ-
ლებით არ არის, მაგრამ ყოველთვის ბევრია ლორწო, რომე-
ლიც განვიალშიაც არის არეული, ცალკეც ხშირად გამოდის.

ივალმყოფს დრო და დრო მუცელი სტკივა, უგრიალებს.
ხანდახან რამდენიმე დღე განვიალი კარგია: მერე ისევ მო-
შლება კუჭი სრულებით უმიზებოთ.

წამლობაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სასმელ-საჭმლი,
ხილისა და სამარხოს ჭიმა, ბევრი სასმელი შეუძლებელია.

ივალმყოფმა უნდა მიიღოს მხოლოდ: გარის შორვა, ოთხ-
ლო კვერცხი, გაწურული ახალი მაწონი, ბრინჯის ქაში,
ცოტიოდენი წითელი ღვინო; მუცელი უნდა ჰქონდეს თბი-
ლად და ლამე კარგი თბილ წყალში დასველებული ტილოე-
ბით მუცლის შეკვრა.

სასარგებლოა თბილი აბაზანები, მუავე წყალი — მხოლოდ
შემთბარი და მთის ჰერი.

ძალიან სასარგებლოა ნაწლავების დახანებული კატარის
დროს მზის აბაზანები: ივალმყოფმა უნუა გაიშიშვლოს მუცელი
და შუადღეზე წამოწვეს მზეზე პირველათ ხუთი წუთი, შემდევ
ათი, თხუთმეტი, ნახევარი საათი, საათი და ბოლოს მეტიც.

ე) ხორველისნაირი კატარი ნაწლავებისა. — როგორც
მოგესსენებათ, ხორველა ჩვენში გადმოვიდა ინდოეთიდან და
მას იწვევენ განსაკუთრებული ბაცილები.

არის ერთგვარი ივალმყოფობა ნაწლავებისა, რომელიც
ძალიან წააგავს ხორველის, ხოლო განსხვავება იმაში მდგო-
მარეობს, რომ შედარებით უფრო ადვილიად მიმღინარეობს და
არც ხორველის ბაცილებია აქ ივალმყოფობის მიზეზი.

საღ ადამიანს ერთბაშად აუგარდება პირისლებინება და
ფალარათი, სუსტდება, თვალები ჩაუკვინდება, ხელფეხი უკიდ-
ება, სიცხეს არ აძლევს, ზოგჯერ წვივები ეკრუნჩება, ხმა
მიელევა.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ორი-სამი დღე და შემ-
დეგ გაივლის. თუ დასუსტებულ მოხუცებულს დაემართა ან

ჩეილ ბავშვს, გადატანა ზოგჯერ უჭირთ და გულის სისუსტეს მსხვერპლი ხდებიან.

ბავშვის ნაწლავების კატარი. ბავშვის ნაწლავების კატარი იმგვარსაც სურათს წარმოადგენს, როგორც დიდი აღმიანის ნაწლავების კატარი, მაგრამ სიმძაფრე და მიმღინა. რეობა სხვადასხვანირია და მიტომ გამოვყავი ცალკე.

ნაწლავების კატარი მუსრის ავლებს ზაფხულობით პატარ ბავშებს; ბავშების დიდი უმრავლესობა ამ სენით იხსენება ზაფხულობით და ეს ძალიან კარგად უნდა გაითვალისწინოს ყოველმა დედ-მამას.

ზაფხულობით საშინლად მრავლდებიან სხვადასხვა ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ ნაწლავების კატარს.

სიცხეში საჭმელი, რძე ადვილად ფუჭდება; სიცხეში ბავშის სხეული უფრო სუსტია, მოდუნებული. კველა ეს პირობები ერთად ხელს უწყობენ ბავშის ნაწლავების დასნეულებას ზაფხულობით.

ამავე დროს დედ-მამა სრულდებით არ უურთხილდება პატარა ბავშებს ზაფხულობით. ბავშები სკამენ მეავე, დამპალ ხილს და ემართებათ ნაწლავების კატარი.

ბავშს მისკემს სიცხეს, აუვარდება პირისლებინება, ფალარათი, განავალში ლორწოა, ზოგჯერ სისხლნარევი. თუ სიცხე დიდია, ჩეენ ამას კუწოდებთ ნაწლავების ანთებას.

თუ მარტო წვრილი ნაწლავია დასნეულებული, ბავში ქვეშ ისვრის დღეში ხუთჯერ-ექვსჯერ და განავალში სშირად არის საჭმლის მოუნელებელი ნაწილები, მოუნელებელი რძის კოშტები.

როდესაც სხეილი ნაწლავია დასნეულებული, მაშინ ბავში უფრო ხშირად ისვრის ქვეშ ათჯერ, ოცჯერ.

ბლომად არის შიგ ლორწო; ბავშს კინტვა აქვს, საჯლმი უწითლდება, უსკდება და ზოგჯერ უბრუნდება. ნაწლავების კატარის დროს ბავშის განავალი პირველ ხანებში მეავე სუნისა არის, შემდეგ კი ძალიან მყრალი.

ზოგიერთი ავადმყოფი პირველ დღეებშივე კვდება. ზოგჯერ ნაწლავებში იარები ჩნდება; ბავშვს სიცხე გამოულევლადა აქვს, სუსტდება და კვდება.

ზოგჯერ კატარი ლებულობს ხანგრძლივ მიმდინარეობას, ბავშვი სუსტდება, ხდება, სახე უკუნება და მოეჭყანება, დაუნაოქცება ლრმა მოხუცივით.

სისუსტის გამო ბავშვი ხშირად სივდება, მუწუუებს აყრის. კატარი ნაწლავებისა ბევრჯერ იწვევს თირკმელების ან თებას და დასუსტებულ ბავშვს ბოლოს მოულებს ხოლმე.

როგორ უნდა დავითაროთ ბავშვი ნაწლავების კატარისაგან?

არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება: გონიერული საზრდოობა. არასოდეს არ უნდა გააშვებიოს ბავშვს დედამ ძუძუ ზაფხულზე ან გაზაფხულზე, არამედ მხოლოდ შემოდგომაზე ან ზამთარში.

ძროხის რე უნდა მისცეთ ბავშვს მუდამ ახალი, ახლად იღუდებული, ჩეილს არ უნდა მისცეთ არც პური, არც მჟადი არც ხილი. ზოგიერთი დედ-მამა კი ექვსი-შერთი თვის ბავშვს ხილს მისცემს ხელში და სეირს უყურებს: ჰოპო, როგორ ხარბად იტენის პირში ეს მამაძღლიო. ბავშვის საზრდოობა და ჯანმრთელობა სათამაშო და გასართობი საქმე არ არის.

— როდის უნდა გავაშვებინოთ ბავშვს ძუძუ? იყითხა ერთმა ქალმა.

— სანამ ბავშვს კბილები არ ამოუვა, საჭელს არ უნდა მიაჩინოთ; მაშინაც უნდა დაიწყოთ წყალ-ნარევი ძროხის ან თხის რძილან. თუ რომ დედის რე ბლომად აქვს, წლამდინ საჭირო არ არის, რომ ბავშვი საჭმელს მიაჩინოთ, განსაკუთრებით უნდა ერიდოთ საჭმელის მიჩვევის დაწყებას ზაფხულზე. სანამ ბავშვი წლინახევრისა არ გახდება, ძუძუს არ უნდა მოაცილოთ.

— ვთქათ, გაწყრა ლმერთი და დედი დ-ორსულდა, წარმოსთქვა ერთმა.

— ორსულ ქალს შეუძლია ოთხ-ხუთ თვეებდე აწყობა
ძუძუ ბავშვს, მიუგო ექიმშა.

— ჩეენ რომ თმობა იცით, მართალია? იყითხა ქრისტიანი,
ქალმა.

— საჭმლის თვისება მოქმედობს რაის თვისებაზედაც და,
თუ რომ დედა ამჩნევს, რომ ზოგიერთ საქმელს ძუძუმწოვა.
რი ბავში ვერ იტანს, აღარ უნდა სკამოს, მიუგო ექიმშა. ბეჭ-
რი ძმარი, კხარე, მლაშე რამრძეზედაც მოქმედობს და ბავშის
თვის არ არის კარგი. სხვებ თმობა სრულებით ზედმეტა.
სოფელში ხანდახან ისეთი თმობა იცით, რომ უბრალო ლო-
ბიოს მეტს არაფერს არა სკამთ ბავში უფრო გამეზღებათ, და
ასეთმა საზრდომ რა რაე უნდა ჩააყენოს ძუძუებში? საერთოდ
გადაქარბებული არაფერი არ ვარგა.

გ) ნაწლავების წყლული.—სხვადასხვა ივალმყოფობის
დროს ნაწლავებში ჩნდება წყლული. თქვენ იცით, რომ სა-
ხალმა იყის წყლულის გაჩენა წვრილ ნაწლავებში.

თუ ნაწლავების კატარი გაძნელდა, ხშირად ჩნდება ნა-
წლავებში წყლული. სხვილი ნაწლავის დაწყლულება იყის
ბეჯრჯერ მუცელამ. ნაწლავებში ზოგჯერ ჩნდება წყლული
კლექის დროს და ამას ჩვენ ვუწოდებთ მუცლის კლექს.

თუ განავალი ქვასავით გამაგრდა მუცლიში შეკრულობის
დროს და საღმე გაიქცედა ნაწლავებში, გაქცელილ ალაგს გამოლ-
პება ნაწლავის ლორწოინი გარსი და ჩნდება წყლული. თუ-
მეტკოჯა ნაწლავს სჩეკვია რგვალი წყლული იმის შეგავსად,
როგორც ეს ჩნდება კუჭში. ივალმყოფობას იქვს იმგვარივე ნი-
შნები, როგორც კუჭის წყლული. საჭმლის მიღების შემდევ
იწყება ტკივილები. ზოგჯერ ივალმყოფს პირს აღესინებს. ამა-
ნალები ხანდახან დაკვეთილი სისხლისგან შესდგება.

ხანდახან ავალმყოფს შავიდ გაიყვანს, სიშავეს აძლევს ვა-
ნავალს წყლულიდან გამოსული და ნაწლავებში მონელებული
სისხლი.

ერთად ერთი წამლობა არის აპერაცია. ხანდახან წყლუ-



ლი თავისით მოშეუძლება, მაგრამ თორმეტგოჯა ნაწლავი მოვიწროვდება და კუჭიდან საჭმელს იღია უშვებს.

კუჭი მაშინ გრიალებს, რუხრუხებს, კუჭის მოძრაობას გარედან შეატყობთ თვალით; კუჭი განიერდება. საჭმლის მიღების შემდეგ, ავადმყოფს აუგარდება ტკივილები და სანამ არ წამოაღებინებს, ვერ მოისცენებს.

წამონალებში ბევრჯერ ნახავთ ორი-სამი დღის წინად მიღებული საჭმლის ნაწილებს, რაც ცნადად ამტკიცებს კუჭის გასავლის დაკეტვას.

ერთადერთი წამლობაა დროზე აპერაცია, თორმე ავადმყოფი სისუსტეს გადაჰყვება.

კლექის წყლული ნაწლავებში უჩნდება უმეტეს შემთხვევაში ფილტვების კლექით ავადმყოფს.

თუ ადამიანმა კლექიანი ძროხის უდუღარი რე იხმარა, შესაძლებელია რეს ჩამყვეს კლექის ბაცილები და ნაწლავებში გააჩინოს კლექის წყლული.

კლექიანს ნაწლავებში უჩენს წყლულს ბაცილებით საესე ნახველი, რომელსაც ის ხშირად ჰყლაპავს. ნაწლავებში ჩნდება მაშინ პატარპატარა ბორცვები ანუ ხორჯლები, როგორც ფილტვებში კლექის დროს; ბორცვები დაჩირქულებიან, მოლპებიან, დაიარავდებიან და ამგვარად ჩნდება წყლული.

ავადმყოფს სიცხეს უმატებს, მუცელი სტკივა, უკურიალებს; აფალარათებს, თანდათან სუსტდება და მაღა კედება. იარებს აჩენს ნაწლავებში აგრეთვე სიფილისი. ავადმყოფს აფალარათებს, განავალში ლორწო, ჩირქი და სისხლი ურევია. ჩჩება სიფილისის საწინააღმდევო წამლობით.

— იმ რჯულ ძალლსა ნაწლავებში რაღა უნდა. იკითხა ერთმა.

ადამიანის სხეულში არ მოიპოვება არც ერთი ასო, სადაც არ შეეძლოს გაჩენა სიფილისის წყლულს, მიუგო ექიმმა. სიფილის აჩენენ ბაცილები; სადაც კი ეს ბაცილები გაძერებიან ცველგან გააჩენენ სიფილისის წყლულს. სიფილისის იარები ჩნდებიან კანზე, ძვლებში, ტვინში, ფილტვებში, გულში,

ლეიძლში, თირკმელებში, ნაწლავებში—როდესაც ფილმური არ სწამლობს რიგიანად, გაიკეთებს რამდენჯერმე ბოლ და ჰგონია, ახლა სრულებით განთავისუფლებული ვარო.

გ) ნაწლავების კიბო.—კიბო ჩიდება ნაწლავების უყველ ნაწილში, მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარს გამოსავალი ნაწლავი.

ნაწლავების კიბო იწყება ნელ-ნელა და შეუმჩნევლად. ავადმყოფი ძალას ჰქარგავს, სუსტდება, გამოურკვეველი და მსუბუქი ტკივილები აქვს მუცელში: როდესაც კიბო წამოიზრდება, მაშინ ხელით შეატყობთ მუცელში გამავრებულ სის. სიენეს.

კიბო სწვევია ნაწლავებში ხანში შესულ ადამიანს. იშეკათად ბავშებსაც ემართება.

ერთადერთი წამლობა არის დროზედ პერაცია.

თ) ნაწლავების ჩავარდნა.—ნაწლავების ჩავარდნა არის შედეგი მუცლის კუნთების დასუსტებისა. უფრო ხშირად ემართება ქალებს ხშირი მშობიარობის შემდეგ. მუცლის კუნთები მობოშდებიან და ზოგჯერ ილევიან, მუცელი ჰქარგავს სიმკრივეს, მოდუნდება; შიგნეულობას ვეღარა ჰქონდს და როგორც ნაწლავები, ისე კუპი ძირს ჩამოეშვებიან, ჩავარდებიან. იყალმყოფს მუცლის კურიალი აწუხებს, ტკივილები, მუცელში შეკრულობა. ერთადერთი წამლობა არის—ბევრი ჭამა, მთის ჰაერი და მუცლის შეკვრა.

ი) ბრჩა ნაწლავის დანამატის ანთება-აპენდიციტი.—ნათქვამია, ერთ ქვეყანაში ხოლერა გაჩნდა და ყველას მუცელზე ეპირა ხელით.

ხომ უბრალო აზრია, დიდი სიმართლე კი არის.

შიშ დიდი თვალები აქვს და ხშირად იმასაც ხედავს, რაც ნამდვილად არ არსებობს.

როდესაც რაიმე მავარი ავადმყოფობა გამოჩნდება ერთს, ორს, სამს, ნაცნობებში, ნათესავებში, მეზობლებში, ძალის ბევრი შიშობს, მეც არ გამომაჩნდესო. შიშით შეცყრობილ კი ხშირად ეჩვენება, ნამდვილად მეც ისე ვარ ავადო, და



დღედაღამ ამ ავადმყოფობაზე ჭუიქრობს, გულზე ხელს იღებს, მაჯას ისინჯავს, მუცელს ითვალიერებს და ისრესავს.

შიში განსაკუთრებით ქალებს სჩვევიათ. თუ მეზობელი ან ნათესავი ქლექით გარდაიცვალა, ისიც ფიქრს მიეცემა, უკაირდება თავის თავს, გვერდებში ჩხვლეტის გრძნობს, თითქოს კიდეც ახველებს, გამოიწოვს ღრძილებს, გააფურთხებს, — ჰედივს, შიგ სისხლია. ამის შემდეგ დაჯერეთ, რომ მას კლექი არა იქვს.

ამგვარი შიში წარმოშვა უკანასკნელ დროს ბრძან ნაწლავის დანამატის ანთებამ.

მართალია, ეს ავადმყოფობა ძალიან გახშირდა, მაგრამ რამდენიც ავადმყოფია, ათი იმდენი იქვით სნეულია: კი არა სტრიკა, ჰერნია მტკიცაო, და სანამ არ ამოაჭრევინებს ამ საწყალ დანამატს, ვერ მოისცენებს.

ექიმები ამ სნეულებას აპენდიციტს უწოდებენ, ხალხი — ბრძან ნაწლავის ანთებას. უკანასკნელი სახელი სინამდვილეს არ გამოჰქონავს, რადგანაც ამ შემთხვევაში ანთება ბრძან ნაწლავს კი არ უჩნდება, არამედ იმის კუთს — დანამატს.

ბრძან ნაწლავი წარმოადგენს სხეილი ნაწლავის დასაწყისს.

ამ ბრძან ნაწლავს მიბმული იქვს პატარა და წვრილი კუდი, რომელიც ჭიაყელის მიემგვანება. ეს გახლავთ ბრძან ნაწლავის დანამატი, ლათინურად ანუ ექიმების ენაზე — აპენ დიქსი. იქედან ავადმყოფობის სახელი — აპენ უიციტი, ესე იგი დანამატის ანთება.

ეს დანამატი პატარაა, წვრილი, სიგრძით რამოდენიმე გოჯი, მაგრამ ზოგჯერ უშველებელ ვაეკაცს წააქცევს.

რას აკეთებს, რა დანიშნულება იქვს ადამიანისათვის ამ დანამატს?

ამ საკითხში მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ვერ ვამოარკვია. მომავალში, რა თქმა უნდა, ესეც გამოიჩკვევა და ათხსნება.

რა იწვევს იმის ანთებას?

სხვადასხვა მიზეზი.

ზოგჯერ სხვილი ნაწლავიდან ჭია ჩადის შიგ, მოკვდება, დაიშლება და ნელ-ნელა ანთებას იწვევს. ზოგჯერაც კურე ან სხვა რამ მაგარი ნაწილი საქმელისა ჩატურდება შიგ, ნელა ნელა აღიზიანებს დანამატის ლორწოვან გარსს და ამ ნიადაგზე ბოლოს ანთება ჩნდება.

ჩვენში ხშირია სხვილი ნაწლავების კატარი ანუ კოლინ-ჯი. ამ ავადმყოფობის დროს ლორწოვანი გარსი სხვილი ნაწლავისა შეშუპებულია, ნაწლავში გროვდება ლორწო ანუ ნაწლავების ნახვეწი, რომელიც საუცხოვო საზრდოს წარმოადგენს სხვადასხვა მავნებელი ბაცილებისათვის.

ამგვარი ბაცილები ბლომად არიან როგორც საღ ნაწლავებში, აგრეთვე განავალში.

დავადმყოფებული ნაწლავიდან ლორწო განავალს გმოსდევს, მაგრამ ხანდახან ნაწილი გროვდება ბრმა ნაწლავის დანამატში. ლორწოს თან ჩაპყვებიან ანთების გამომწვევი ბაცილები. ლორწო გააღიზიანებს დანამატის გარსს, გარსი შესივდება, შიგ ბაცილები იწყებენ გამრავლებას და ამგვარად ჩნდება დანამატის ანთება.

კოლინჯის კი უმთავრესად იწვევს ცუდი კვება და სხეულის მოღუნება, დასუსტება.

ბრმა ნაწლავის დანამატის დასნეულება სხვადასხეაგვარია.

ზოგჯერ ავადმყოფი გრძნობს მხოლოდ ჩხელეტის მუსლის ღრუში მარჯვენა მხარეზე, ჭიპს ქვემოთ. თუ კუჭი კარგად გაეწმინდა, ტკივილები ჰქონდა.

ზოგჯერ ავადმყოფს აუვარდება ტკივილი აღნიშნულ ალაგას, გული ერევა, ხანდახან პირსაც წაალებინებს, სისქიოცდათვრამეტ მენაკამდე ადის. ისეთი მდგომარეობა გრძელდება რამოდენიმე დღეს, ერთ კვირას და შემდეგ თანდათან კერძა.

ზოგჯერ კი ავადმყოფი მოულოდნელიად იგრძნობს დღი ტკივილებს ბრმა ნაწლავის არეში. ტკივილი ვრცელდება წელისა და საპარცივისაკენ; ამცივნებს, სიცხეს აძლევს ორმოც მენაკამდე. მუცელი გაბერილი აქვს, მარჯვენა მხარე შესიუბული, მუცელში შეკრულია, პირი მწარე აქვს, სწყობია.

ზოგჯერ ანთება დანამატისა იმდენიდ შძაფრია, რომ აუ-
რაციაც ვეღიარას შველის.

საუკეთესო დრო აპერაციისათვის მაშინ არის, როდესაც
სიცხე დავა და ტკივილები სრულებით მიყუჩილება.

მაგრამ თუ ავადმყოფობის მიმღინარეობის დროს აღმო-
ჩნდა, რომ დანამატი დაჩირქებულია და მოსალოდნელია, რომ
გასკდეს, მაშინ დახანება საბედისშერომ და დაუყოვნებლივ
აპერაცია საჭირო. თუმცა შესაძლებელია, ამანაც არ იხსნას,
ავადმყოფი, მაგრამ ნათქვავია, ცდა ბედის მონახვერეათ.

ხანდახან სოფლად მოხდება, რომ ჩირქი ნაწლავებში გა-
კვლევს გზას და განავალს გამოჰყება, ან გარეთ კანში გამო-
შეოთქავს, გასკდება და ავადმყოფი თავისით რჩება.

კ) ნაწლავების მუქთახორები.—მიწის მუშასავით ვი-
კინობს მუქთახორებს? ცოტა მუქთახორია გაჯდათ კისერზე და
გწოვდათ სისხლს? ჩაბარდა ყველა პატრონს. ასეთია ბედი ყვე-
ლა მუქთახორებისა: ბოლომ არასოდეს არა აქვთ კეთილი.

მუქთახორები უნდა მოისპონ ყველგან და სამუდამოდ:
ქვეყანა ეკუთვნის მხოლოდ მშრომელს.

თქვენა გვონიათ, მუქთახორები მარტო იდამიანებში არიან?
იმათ ყველგანა მნახვეთ: მცენარეებში, ცხოველებში.

ფითრი რომ მსხლის ტოტზე ამოვა, იმისი წვენით იჩ-
დება და სქელდება, მუქთახორია არ არის?

ტკიპა რომ ხარს მიაჯდება, სისხლსა სწოვს და სიკდება,
ხომ მუქთახორია?

იმის მზგავი მუქთახორია აუარებელი გვყავს. იმათ განსა-
კუთრებით უყვართ ნაწლავები: სითბო საქმიანისია, საჭმელი
ბევრი, ვაწექილი ინებივრე!

მართლაც არიან ჩვენს ნაწლავებში გაწოლილი სხვადასხვა
გვარი ჭიები—ზოგი წვრილი, ზოგი მსხვილი, ზოგი მოკლე,
ზოგი გრძელი, ზოგი რგვალი, ზოგი პრტყელი.

ძლებიან ჩვენს ხარჯზე, მრავლდებიან ჩვენს წელებში და
ბევრჯერ სრულებით არ გვაწუხებენ, ხანდახან კი ჩვენს ქ-

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ერთ კვირას, ორ-სამშაბუ. შემუელ ავადმყოფობა ნელ-ნელა კლებულობს, ან თანდათან მატულობს და იწვევს დანამატის დაწყლულებას და დაჩირებას.

ხანდახან ავადმყოფობა იმდენად მძაფრია, რომ ატკივებილან ოცდა თოხი საათის განმავლობაში ბრძან ნაწლავის დანამატი უაჩირქდება, გასკლება შიგნით და იწვევს მუცლის პკის ანთებას. ავადმყოფი მუცელზე გაბერილი, ასლოუინებს, გული ერევა, პირს აღებინებს ხშირად, ამოდის ბაყაყის ბუღისფერი მწვანე სითხე პირიდან და ერთ ან ორ დღეში კვდება, გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია.

ამრიგად, ბრძან ნაწლავის დანამატის ავადმყოფობა ზოგჯერ მეტად ითლია, უჩხვლეტავს რამდენჯერმე ავადმყოფს და ძალე გაუვლის; ზოგჯერ კი მეტად მძიმეა და ავადმყოფს სწრაფად უსპობს სიცოცხლეს.

აუცილებელია წოლა წყნარად და ყინული მტკიცან აძგილზე. სადაც ყინული ან თოვლი არ იშოვება, აფინეთ ციც წყალში დასველებული ტილო და ხშირად უცვალეთ. ხანდახან მოხდება, ავადმყოფი ცივს ვერა ჰგულობს, ისევ თბილი უფრო უჩუცებს ტკივილებს და აძლევს მოსვენებას. ასეთ შემთხვევაში კარგია გამთბარი კეცი, მარილი, ქატო.

უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სასმელ-საჭმელს. ავადმყოფს უნდა აძლიოთ მხოლოდ წყალი, ქათმის წვენი და ცოტაოდენი რძე ან მაწონი, —სხვა არაფერი არ შეიძლება.

თუ ავადმყოფი მუცელში შეკრულია და გაბერილი, არამც და არამც არ მისცეთ საფალარათო, რაღაც ნაწლავებს გაუდიზიანებს და გამოიწვევს ან გაუარესებას ან და დანამატის გახეთქვის, თუ დაჩირქებულია. მაშინ ავადმყოფის გადარჩენა შეუძლებელია.

თუ დანამატი დაჩირქდა, საჭიროა დროით პერაცია, რაღაც დაჩირქებულ დანამატს ყოველ წამს შეუძლია გასკდეს და გამოიწვიოს მუცლის პკის ანთება, რის გადატანაც შეუძლებელია.

ლებს შიშის ქარებს აუშლიან, თუ ზევით ამოისეირეს და პირ-ში ან ცხვირში გამოჰყეს თავი.

რგვალი ჭია. ამას უძახიან იგრეთვე უსულო ჭიას. ჭიაყლას ძალიან მიემგვანება; ზოგი მოყვითალოა, ზოგი აურის ფერი; დედალ-მამალია; მამალი უფრო პატარა და წვრილია, დედალი უფრო დიდი და მსხვილი. აუარებელ კვერცხებსა ჰყრიან; ბუდობენ წვრილ ნაწლავებში, მაგრამ როგორ მოექვიფებათ, ყიალი უყვართ. ამოდიან ბევრჯერ პირში, ცხვირში. საერთოდ უნებელი არიან, მაგრამ ზოგჯერ საყლაპავში იმოვლენ, ჩაძერებიან ხორხში, სისულეში და პატარა ბავშს მოჰგუდვენ კიდეც. თორმეტი გოჯა ნაწლავიდან ზოგჯერ შეჰყვებიან ნაღველის საღინარ მიღს, შევლენ ღვიძლში და იწვევენ ღვიძლის ან ნაღველის პარკის ანთებას. ბრმა ნაწლავის დანამარტის ინთებაც ზოგჯერ მათი ბრალია,

პატარა ბავშებში ხშირად იწვევენ გულის რევას, პირწყალს, გულყრას, მუკლის ძლიერ ტკივილს, უსისხლობას, საერთო სისუსტეს.

ხანდახან საშინელი მომრავლება იკიან ნაწლავებში; ყოფილა შემთხვევა, როდესაც სამი წლის ბავშს ხუთასზე მეტი დაუყრია.

წვნიკი ჭია. განსაკუთრებით ბავშებსა სწვევიათ ნაწლავებში პატარა, წვნიკი, თეთრი ჭიები, რომლებიც ძაფს მიემგვანებიან. დედალ-მამალია, აუარებელ კვერცხსა ჰყრიან. ღამე ღოვგინში თავს იყრიან სწორი ნაწლავის გამოსავალთან, იწვევენ საშინელ ქავილს და პატარა ბავშებს აღარ აძინებენ, მოსვენების არ აძლევენ. გამოცოცდებიან გარეთ, შეუძრებიან ბავშს საშოში; ბავში ქავილისა გამო იტხანს ასოს და ეწვევა მეტად ცუდ სენს: ასოს წვალებას ხელით.

ან ხილოსტომა. ცხელ ქვეყნებში გავრცელებულია ერთგვარი ჭია, რომელიც ტანით წვნიკ ჭიაზე ცოტა მეტია და მოსხო. დედალ-მამალია, აუარებელ კვერცხებსა ჰყრის, მიეკვრის თორმეტგოჯა ნაწლავის კედელს, წურბელასავით სწოვს სისხლს და ამის გამო იწვევს საშინელ სისუსტეს და სისხლნაკლებობას.

მას ეწოდება ანხილოსტომა.

— ჩვენებურად რა ჰქონია, მექითხებით?

ჩვენში ჯერ ის არ მოუნათლავთ და ამიტომ არც სახელი დაურქმევიათ, რაღანაც იმისი არსებობა არც კი იყოდენ. გაყვითლებულ იდამიანს რომ ნახავდენ ჩვენში, — იპ, მალარია არისო და ყულაპებდენ ქინაჭინას. ბოლოს განავალის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს კია მოდებულია ჩვენში ცველვინ. ავადმყოფი სუსტია, ყვითელი, უჯანო; თავბრუ ესხმის, მუშაობა არ შეუძლია.

წამლობა შველის, უწამლოდ ბევრსა ჰქოცავს.

პეპელა კია. პეპელა კიას ვეძახით იგრეთვე, ბტყელ კიას. არის სამნაირი ჯიშისა: ზოგი უფრო გრძელია, ზოგი უფრო მოკლე, ზოგი უფრო წვრილია, ზოგი უფრო ბტყელი. გადმოდიან ჩვენს სხეულში უმთავრესად ლორისა და საქონლის ხორციდან, ხანდახან თევზიდანაც.

პეპელა კიასა აქვს ქინძისთავივით თავი, შემდეგ ძაფიერი წვრილი და გძელი კისერი, ტანი კი ბტყელი და პეპლებად ერთმანეთზე გადაბმული. ხშირად პეპლები თავისით ცვივიან უკანა ტანიდან. ხანდახან სრულებით არ გვაწუხებენ; ზოგჯერ კი იწვევენ გულის ძერას, სისხლნაკლულობას, თავბრუს, უმაღობას, გულის რევას, გულის შემოყრის და სხვ.

4. მუცლის აპკის სეიულებაზი.

მუცლის ღრუს შიგნიდან გამოყრული აქვს თხელი აპკი, რომელიც მუცლის კეთლებიდან შიგნეულობაზე გადადის — კუჭნაწლავებზე, ღვიძლზე და სხვ.

მუცლის აპკს სჩევევია ბევრნაირი სნეულება, რომელთაგანაც ზოგი მეტის მეტად საშიშია.

ა) მუცლის აპკის მწვავე ანთება.—თუ მუცლის აპკზე და როგორმე გაჩნდენ ჩირქისა და ანთების გამომწვევი ბაცილები, ავადმყოფს დაემართება მუცლის აპკის ანთება.

მუცლის აპკი ყოველი შერიდან შემოზღუდული და დახურულია; მაშ საიდან უნდა გაძერენ იქ ბაცილები? არის ბევრნაირი გზა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ სახადის დროს წვრილ ნაწლავებში წყლულები უჩინდება ავადმყოფს. ხანდახან წყლული გაღრმავდება და ნაწლავის კედელს გამოაღმობს. მაშინ განავალი მუცელში ჩაიღვრება; განავალს გაჰყევებიან ბაცილები და გამოიწვევენ მუცლის აპკის ანთებას.

წარმოიდგინეთ, რომ ავადმყოფს ანთება აქვს კუდა წელისა, ბრძან ნაწლავზე რომ არის გამობმული. ნაწლავი ზოგჯერ ჩირქდება და სკდება, ჩირქი ჩაიღვრება მუცელში, ჩირქს ჩაჰყებიან ბაცილები და გამოიწვევენ მუცლის აპკის ანთებას.

ზოგჯერ ქალს საშეილოსნოს ლულა აქვს დასიებული და დაჩირქებული; ლულა გასკდება, ჩირქი შიგნით ჩაიღვრება და გამოიწვევს მუცლის აპკის ანთებას.

თუ ჩხუბის დროს ხანჯლით დასკრეს ვინმე მუცელში, შესაძლებელია ნაწლავები არ ჰქონდეს გაჭრილი, მაგრამ მაინც დაემართოს მუცლის აპკის ანთება, თუ ხანჯლის წვერს ბაცილები შეჰყენ მუცელში.

ამგვარად, მუცლის აპეის მწვავე ანთებას ბევნაირი მისუზი აქვს.

ავადმყოფობა იწყება ერთხაშად. ავადმყოფს თვალები ჩაკვირნილი აქვს და ამოლილავებული, ცხვირი წაწვრილებული მომაკვდაცავით, ხელფეხი ცივი, ცივი სიმწრის თფლი სდის, ძალზე დასუსტებულია. სიცხე ავადმყოფს ხანდახან დიდი აქვს, ტანზი ამცივნებს, აერიალებს, ხანდახან კი სიცხე ჩვეულებრივზე ნაკლებია; ავადმყოფს მუცელი სტკივა, ნამეტურ ხელის დაქერის დროს. მუცელი უმეტეს შემთხვევაში გაბერილია და მავარი. ავადმყოფს ასლოკინებს, გული ერევა, პირს ალებინებს შეუწვეტლად, მუცელში შეკრულია. უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი მაღლე კვდება — რამოდენიმე დღეში. მოხდება ხანდახან — ათაში ერთხელ, რომ ავადმყოფი გადიტანს, მუცელში დაგროვდება ჩირქი, ჩირქი კიბიდან გამოხეთვას და ავადმყოფი ნელ-ნელა რჩება.

იდი უმრავლესობა მუცლის აპეის მწვავე ანთებით პირველ დღეებშივე იხოცება. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ანთება მთელ მუცლის აპეი კი არ მოვდება, არამედ იმის რომელიმე ნაწილს. ავადმყოფს სიცხე აქვს, მუცლის ტკივილი განსაკუთრებით იმ ალაგას, სადაც ანთება არის. სიცხე თანდათან დაიკლებს, ტკივილი იკარგება და ანთება ჩიქრება, ან ნაანთებარ ალაგს ჩირქი დაგროვდება და აპერაცია არის მაშინ საჭირო.

ბ) მუცლის აპეის კლექი. — ბევრი თქვენგანი უთუოდი იტყვის: მუცლის აპეზე კლექს რაღა უნდაო. კლექს, როგორც იყით, კლექის ბაცილები იწვევენ. სადაც ისინი დაბანიკდებიან, ყველგან კლექს გააჩენენ. კლექის ბაცილებს ძალიან უყვართ მუცლის აპეი; როგორც კი მომრავლდებიან ისინი მუცლის აპეზედ, აპეი სივდება, მაგრდება, ზედ გამოჰყრის ღომის კაკალივით პატარა რუს ბორცვებს, ბორცვები ჩირქდებიან და იარავდებიან.

ამის შემდეგ ავადმყოფობა ხან მშრალად მიმდინარეობს; ავადმყოფს სიცხე აქვს, მუცელი სტკივა, ხდება; ხან კი მუ-

ცელში წყალისნაირი სითხე გროვდება, წყალმანკი უჩინდება ავადმყოფს და მუცელი თანდათან ეზრდება.

ერთად ერთი წიმლობა მუცლის აპის ჭლექისა არის აპერაცია, თუ მუცელში სითხე დაგროვდა. რაც უფრო ადრე გაიკეთებს ავადმყოფი აპერაციას, მით უფრო უმჯობესია. კარგ შედეგს იძლევა მხის აბაზანა და ზაფხულზე—მთა, შემო-დგომაზე—ზღვა.

მუცლის აპის ჭლექით უმეტესად ახალგაზრდები სწერლ-დებიან.

ჩვენში ბავშებსაც ხშირად ემართება ეს ავადმყოფობა.

გ) წყალმანკი.—რა არის წყალმანკი?

როდესაც მუცელში წყალისნაირი სითხე დაგროვდება და მუცელი გაიბერება, წყალმანკი გაუჩინდაო,—ვიტცით მაშინ.

როდესაც წყალმანკით დასნეულდება ვინმე, ეს იმას ამ-ტკიცებს, რომ ავადმყოფს რაღაცა სენი გაუჩინდა.

ვის უჩინდება წყალმანკი?

დიდსაც, პატარასაც, ახალგაზრდასაც, მოხუცსაც, ქალ-საც, კაცსაც. უფრო ხშირად წყალმანკი მაინც ხანში შესულ მაშაცებს უჩინდებათ.

ხანდახან სითხე ნამეტანი ბევრი გროვდება მუცლის ღრუში.

საიდან ჩნდება იმდენი სითხე?

ეს სითხე წარმოადგენს უმთავრესად სისხლიდან გამონა. ევენ წბოლისა და წყალს. მუცელს შიგნიდან გამოკრული იქვს ლექაჟივით აპი, რომელშიაც გახვეულია ნაწლავები, კუჭა, ღვიძლის ნაწილი. წყალმანკის დროს სითხე ამ აპიდან მოე-ვენივს; სითხე რომ გამოუშვათ მუცლიდან და მუცლის ღრუ სრულად დასკალოთ, ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლო-ბაში ხელისხმა იისება.

იდამიანი სვამს წყალს, ღვინოს, რძეს—ერთის სიტყვით სხვადასხვა სითხეს. დიდი ნაწილი ამ სითხისა უკანვე გამოდის უმთავრესად თირკმელების საშუალებით.

რა მოპყვება შედეგად, რომ ეს სითხე სხეულში დარჩეს და უკან ვეღარ გამოვიდეს?

სხეული დასივდება, ბოლოს გაჩნდება წყალმანკი. როდის მოხდება ეს?

ცხადია მაშინ, როდესაც დასნეულდებიან თირკმელები, რადგანაც ამათ გამოაქვთ ჩვენი სისხლიდან ზედმეტი სითხე.

მართლაც, როდესაც თირკმელებში თავს იჩენს დახანებული ანთება და შარდი ძალიან კლებულობს, ბოლოს და ბოლოს ივაღმყოფს უსივდება ფეხები, ხელები, შეეშუპება სახე, მთელი ტანი და უჩნდება წყალმანკი.

ამიტომ ერთ-ერთი ხშირი მიზეზი წყალმანკისა არის თირკმელების ანთება. როდესაც თირკმელების ანთება ახალი დაწყებულია, მორჩენა შეიძლება.

საუკეთესო წამლობა ასეთ დროს არის შესაფერი სასმელ-საჭმელი. თუ ივაღმყოფი საჭმელზე ფრთხილად არ იქნა, წამლი უქმია.

თირკმელების ანთების დროს ივაღმყოფმა უნდა მიიღოს მხოლოდ რე დღეში ორ ჩარექამდე, ტკბილი მაწონი, ჩაი და შემწვარი ან მოხარული გოგრა. ასეთს ულუფაზე უნდა იყოს ივაღმყოფი ორ თვემდე. ამ ხნის განმავლობაში უნდა იწვეს ლოგინში. თუ ივაღმყოფი ასე არ მოიქცა, თირკმელების ანთება მიიღებს დახანებული სნეულების ხასიათს და მაშინ მორჩენა შეუძლებელია. ივაღმყოფი დასუსტდება, შეუშუპდება ხელფეხი, სახე, სხეული, გაუჩნდება წყალმანკი და მოკვდება.

თირკმელებში სისხლი თავისი სურვილით ხომ არ ჩადის, — მას გული ერეკება. თუ გული დასუსტდა, მაშინ სისხლს ვეღარ ერეკება მძლავრიალ თირკმელებისაკენ; ამის გამო შარდი კლებულობს, სისხლში თანდათან გროვდება ზედმეტი სითხე და ის ნელ-ნელა თავს იყრის ბევრჯერ მუცელში.

ამ რიგად ჩნდება წყალმანკი.

როდის არის გული განსაკუთრებით სუსტი?

როდესაც ის არის გასუქებული, გაგანიერებული ან მანკით დაზიანებული.

მთელი ის სისხლი, რომელიც გულიდან მოდის ნაწლა-



ვებში, უკან გულისკენ გაბრუნებისას თავს იყრის ერთ დიდ მილში, რომელიც ღვიძლს უერთდება. ამ სისხლში უნდა გაიაროს ღვიძლი და შემდეგ ჩავიდეს გულში.

ვთქვათ, ღვიძლი გაჯიუტდა და ეს სისხლი იღია გაუშვი. რა მოხდება მაშინ?

სისხლი დაგროვდება მუცელში და წყალი დაიწყებს უვენას მუცლის ღრუში. ამრიგად გაჩნდება წყალმანკი.

არის ერთგვარი სნეულება ღვიძლის, რომელსაც ეწოდება ღვიძლის ციროზი. ამ სნეულების დროს ღვიძლი ჯერიჩრდება, შემდეგ კი ჭინება, იკუმშება, სისხლი შეგ ვეღიარ მოძრაობს და ჩნდება წყალმანკი.

თუ მუცლის ღრუში საღმე კიბო გაინდა, ანუ როგორც სოფელში იტყვიან: კუ გაჩნდათ, მას უმეტეს შემთხვევაში შედეგად მოსდევს წყალმანკი.

ხომ იცით ჭლექი? ფილტვების სნეულებაა, რომელსაც იწვევენ ერთნაირი ბაცილები. ეს ბაცილები ზოგჯერ გაძვრებიან მუცელში და დაბანაკდებიან მუცლის აპქე, რომელზე-დაც ჩნდება ამის შემდეგ მრავალი პატარ-პატარი ხორკლები. ეს ხორკლები წარმოადგენენ ჭლექის ბაცილების ახალშენებს. შიგ მუცელში თანდათან გროვდება სითხე და ამრიგად ჩნდება წყალმანკი.

მაშასადამე, წყალმანკს იწვევს აგრეთვე მუცლის აპქის ჭლექი. ეს ავადმყოფობა უჩნდება ბავშებსა და ახალგაზრდებს.

ამრიგად, წყალმანკი არ არის რაიმე განსაზღვრული ივალ-მყოფობა. ის არის მხოლოდ შედეგი და თანამგზავრი ბევრნაირი სრულებით სხვადასხვაგვარი სნეულებისა.

5. ლიტერატურის სენატორი.

ხომ გინახავთ საქონლის ღვიძლი. სწორედ იმგვარივე აკა-
ბულების, თვისების და მოყვანილობისა არის აღამიანის ღვი-
ძლიც; წონით ის ოთხ გირვანქა ნახევარს უდრის.

ღვიძლი დახვრელილია წერილი მიღებით, ესენი ერთ
მილში ერთდებიან და ეს უკანასკნელი კი ჩადის ნაღველის
პარკში, რომელიც ქვეიდან აქვს მიურული ღვიძლს. ამ მი-
ლით ღვიძლიდან ნაღველი ჩამოდის პარკში. პარკიდან კიდევ
გამოდის მეორე მილი, რომელიც ნაწლავს უერთდება. ამ მი-
ლით ნაღველი მოდის ნაწლავებში.

რა მნიშვნელობა აქვს ნაღველს? ის ხელს უწყობს საჭე-
ლის გადახარშვასა და მონელებას; იმგვარად გილაამუშავებს
განსაკუთრებით მსუქან საჭმელს, რომ შემდეგ მისი შესრუტვა
ნაწლავებში აღვილი ხდება.

გარდა ამისა ნაწლავების მოძრაობასაც უწყობს ნაღველი
ხელს! როდესაც ავადმყოფობის დროს ნაღველი ნაწლავებში
აღარ გადის, მაშინ ავადმყოფი კუჭში იკვრება.

ა) სიყვითლე—ყვითა.—ნაღველი რომ ნაწლავებში აღარ
გავიდეს, განა არ მოკვდება კაცი? იყითხა ერთმა.

— მარტო ამის მიზეზით მეტის მეტად იშვიათად თუ მო-
კვდება ვინმე, ისიც ძალზე დასუსტებული ან ღრმა მოხუცა
უნდა იყოს, მიუგო ექიმმა,—მხოლოდ ნაღველი სისხლში გა-
ბრუნდება, ტანში დაიბნევა და ავადმყოფი გაყვითლდება. ამას
თქვენ ეძინით სიყვითლეს, ყვითას.

სიყვითლე სხვადასხვა მიზეზისგან წარმოსდგება; თუ კატარით
არის დასწეულებული ნაწლავის ის ადგილი, საღაც ნაღველის
მილი გამოდის, ნაწლავის ლორწოიანი გარსის დასიების გამო ამ

მილის პირი შეიკვრის და ნაღველი ნაწლავებში ვეღარ გავა. ავადმყოფს სიყვითლე ემართება. ეს არის უბრალო სიყვითლე, ასე ამელიც ხშირია გაზაფხულზე, ზაფხულზე. შეწუხება მაინც და მაინც დიდი არ იცის; ხანდახან იცის ცოტაოდენი სიცხე, მუცელზე ბერვა, მუცელში შეკრულობა. ავადმყოფმა ღვინო და არაყი არ უნდა სვის,—ხორცი არ უნდა სჭამოს, დაადგეს მარტო რძეს, მაწონს, ქათმის წვენს, ქაშს, ლავაშს, კარგ ხილს და რამდენიმე კვირაში ავადმყოფობა ჰქონება.

სულ სხვა არის, თუ ღვიძლში კიბო გაჩნდა; კიბო ხშირად იწვევს სიყვითლეს; ასეთი სიყვითლე რა თქმა უნდა იღარ ჰქონება და ავადმყოფს ჩაჰვება სამარეში.

ნაღველის ბუშტში ხანდახან ჩნდებიან კენჭები-ფაზარი. კენჭი ხანდახან გაეკვეხება ნაღველის მილში და იწვევს სიყვითლეს. კენჭი ან გაძვრება ნაწლავებში, ან უკან გაბრუნდება და სიყვითლე ჰქონება. სიყვითლე თითქმის აუცილებელი ავადმყოფობაა ყოველი ახლად დაბადებული ბავშისა. სიყვითლე ხშირად თანამგზავრია აგრეთვე დამპალი ციებისა. სიყვითლის დროს ავადმყოფს ძალიან მუქიშირდი იქნა. ეს აიხსნება იმ გარებოებით, რომ ნაღველი სისხლს ერთვის, სისხლიდან კი ის გამოჰყება შარდს, ამიტომ შარდი მუქია. რაღანაც ნაწლავებში ნაღველი ვეღარ გადის, ამის გამო ავადმყოფის განვალი უფერულია, მოთეთრო და ხშირად ზედმეტად მყრალია. თუ რომ სიყვითლე დიდხანს გაგრძელდა, იწვევს გულის სისუსტეს, სისხლნაკლებობას, უძილობას, უმაღლობას, ტანის ქავილს და გახდომას.

ბ) ღვიძლის შეგუბება.—ერთობის ეშმაკია, იტყვით თქვენ. მართლაც დიდი ირაფერი შვილია და მტერსაც კი არ უსურვებთ. ღვიძლის შეგუბება არის შედეგი გულის სიგანიერისა.

ღვიძლი მეტის მეტად სისხლიანია; მთელი კუჭი ნაწლავების სისხლმა ღვიძლში უნდა გაიაროს და ისე ჩავიდეს გულში. როდესაც გული გაგანიერდება, მოიშლება, მაშინ სისხლს ვეღარ ერეკება კარგად, სისხლი შეგუბდება ღვიძლში და ღვიძლი გაიბერება, განიერიდება.

ღვიძლი მდებარეობს მარჯვენა ფერდში ნეკნებ ქვეშ და

კუჭის მოსაზღვრე არის. როდესაც ლვიძლი შეგუბდება, თუ ქმის ქიპამდე ჩამოდის, ამოიბერება, გამაგრდება და ავადმყოფს სუნთქვა უძნელდება, მუცელი სტკივა, ფეხები უსიცდება, სასკ, ტუჩები ულურჯდება.

თუ გულის მუშაობა გამოკეთდა, ლვიძლიც ნელ-ნელა კლა-ბულობს და ცხრება.

გ) ლვიძლის დაჩირქება.—თუ ლვიძლში როგორმე გაძრენ ჩირქის გამომწვევი ბაცილები, ლვიძლს დააჩირქებენ.

— ლვიძლი ხო მუცელშია დამალული და რა ეშმაკება უნდა იქ ბაცილებსაო, იკითხა ალფესამ.

კუჭში და თორმეტგოჯა ნაწლავში რგვალი წყლული ჩნდება; მუცელამ, სახადმა იკიან იარები ნაწლავებში, ამ იარებზე ზოგჯერ არის ჩირქის ბაცილები; ეს ბაცილები გაპყვებინ აქედან სისხლს და ხომ თქვენ მოგეხსენებათ, — კუჭ-ნაწლავებიდან მინავალი სისხლის გზა ლვიძლზე მიდის; ამიტომ ბაცილები ამოპყოფენ ლვიძლში თავს და დააჩირქებენ მას, მიუგო ექიშა.

ლვიძლში ხანდახან კენჭები ჩნდება: კენჭები იწვევენ ზოგჯერ ლვიძლის დასიებას და დაჩირქებას. ივადმყოფს აკიცს, სიცხე ადის ორმოც მენაკამდე, ხან ისევ დაიწევს და შემდევ ისევ ავარდება, როგორც ციებ-ცხელების დროს; ლვიძლი სივდება და მარჯვენა ფერდი გაიჩირება, ავადმყოფს სუნთქვა უჭირს, მუცელში ტკივილები იქვს, სახე და ტანი უყვითლდება. ივადმყოფობა ხანგრძლივია, ხშირად გასტანს რამდენიმე კვირას და რამდენიმე თვესაც. თუ დროზე აპერაცია არ გაუკეთეს, ივადმყოფი კვდება; ხანდახან ჩირქი ჭიპისკენ გაიკვლევს გზას, გამოხეთქვეს და ავადმყოფი თავისით რჩება. უმეტეს შემთხვევაში ჩირქი მუცლისაკენ ან ფილტვებისაკენ გაიკვლევს გზას და ივადმყოფი მალე კვდება მაშინ.

დ) ლვიძლის ციროზი.—ლვიძლსა სჩევენია ორნაირი ივადმყოფობა: ერთი ივადმყოფობის დროს ლვიძლი თანდათან ილევა და პატარავდება, თითქოს ხმებაო; მეორე ივადმყოფობის დროს კი ლვიძლი პირიქით, იზრდება, დიდდება.

ჩვენ, ექიმები, ორივე ამ ივადმყოფობას უუძახით ციროზს.



ორივე ავადმყოფობა გრძელდება ხუთ-ექვს წლამდე და თავ-დება სიკვდილით, — მორჩენა შეუძლებელია. ლვიძლის დალე-ვის დროს ავადმყოფობა ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იწყება. ავად-მყოფი უმაღლოთ არის, ოდნავ სისუსტე ემჩნევა და შემდეგ ოდნავ სიყვითლე გადაპკრავს, მერე მუცელზე ბერვას დაუწყებს და თანდათან წყალმანკი გაუჩინდება. ავადმყოფი სუსტდება, ხდება, ფეხები უსივდება და კვდება.

ზოგიერთ შემთხვევაში წყალმანკამდე არ მიდის საქმე, ავადმყოფს სიცხეს მისცემს, ლოგინად ჩააგდებს, გაყვითლდება, პირს აღებინებს და მალე კვდება.

ლვიძლის მომატების დროს ლვიძლი თანდათან იზრდება, მაგრავდება; ავადმყოფს მადა ეკარგება და ნელნელა ყვითლდება, ზოგიერთ შემთხვევაში სიყვითლე ოდნავ ემჩნევა ავადმყოფს და აღარ მატულობს, ზოგჯერ კი ნაღველის ფერი დაედება, მუცელი ებერება, ეზრდება, მაგრამ ამ ავადმყოფობაში წყალმანკი არ იცის, ან მეტად იშვიათად და ისიც სიცოცხლის მიწურულები.

რაეკი ავადმყოფობა დაიწყება, მორჩენა შეუძლებელია. ვინც თავს უვლის ხუთ-ექვს წელიწალს გასძლებს, ვინც არა და უფრო აღრე კვდება.

რა იწვევს ორივე ავადმყოფობას?

უმეტეს შემთხვევაში არაყით ლოთობა და სიცილისი. ეს ავადმყოფობა უჩინდება აღამიანს ორმოცი წლის შემდეგ, ხან-დახან ბავშიც ხდება ავად ამ სენით, თუ ციებ-ცხელებით ან სხვა რამით ძალზე დასუსტდა და დაინიარა.

ე) ლვიძლის ჭლექი და სიფილისი.—ლვიძლის ჭლექი თავისთვის არავის არ უჩინდება, —ის არის გართულება ფილტვებისა და ნაწლავების ჭლექისა. თუ ავადმყოფს ნაწლავების ჭლექი სკირს, ბაცილების ნაწლავებიდან ხშირად გაძვრებიან ლვიძლში და დაიწყებენ იქ მოშენებას, ლვიძლს მოეფინება პატარ პატარა ჩუხი ხორულები, რომლებიც შემდეგ დაჩირქდებიან და დაწყლულდებიან.

ღვიძლის სიფილისი უჩნდება ზოგჯერ ისეთ დღისას, რომელსაც ეს სენი სჭირდებია და რიგიანად არ მოუჩენია თავი.

გამოპყვება ხოლმე აგრეთვე ბავ შებს მემკვიდრეობით, თუ დედ-მამას სიუილისი სჭირდებია. ღვიძლი სივდება, ალაგ-ალაგ ამოიბერება, დაკორედება, ზოგჯერ წყლულდება. ვეაღმყოფს ტკივილები აქვს, სიყვითლე ემართება, ზოგჯერ წყალმანკუ უჩნდება და თუ დროზე არ მიმართა წამლობას — კვდება.

გ) კიბო. — ღვიძლის კიბო იწყება ნელნელა. ვეაღმყოფი მალას ჰყარგავს, სუსტდება; ღვიძლი სივდება, იზრდება, მაგრდება, ალაგ-ალაგ ჩნდება მაგარი კორძები; ვეაღმყოფს დრო და დრო ტკივილები აუვარდება, სიყვითლე ემართება, შემდეგ წყალმანკუ, თანდათან სუსტდება და კვდება.

— რამდენ ხანს გაუძლებს? შენა ჰკითხულობ, თელო?

— ბევრი-ბევრი, რვა თვე გაუძლოს.

ზ) ღვიძლის ეხინაკოკი. — ძალლის ნაწლავებში ჰბუღობს ერთგვარი პრტყელი ჭია, რომელიც კვერცხებსა სდებს. თუ ეს კვერცხები რამენაირად მოხვდენ სასმელ-საჭმელში და ადამიანის ნაწლავებში ამოპყვეს თავი ერთ შშვენიერ დღეს, აქ გამოიჩეკებიან და გამოვლენ ერთი ცუცნა ჭიები; ესენი ერთ ალაგას ალარა ჩერდებიან და უყვართ საშინლად ძრომიალი.

უფრო ხშირად ისინი ღვიძლში გაძერებიან ხოლმე. აქ თვითული ჭია გადაიქცევა ბუშტად, რომელიც სავსეა ცილის მზგავსი სითხეთი. ზოგიერთი ბუშტი ამ ჭიისა ბავშის თავის ოდენა იზრდება. აი ამასა ჰქეია ეხინოკოკი.

— სად ჭია და სად ბუშტი! უკვირს აგერ ივანეს.

როგორ, არა გჯერა, ივანე? აბა ერთი ეს მითხარი, სად ჭია და სად პეპელა? მაგრამ შენ ხომ იცი, რომ აპრეშების ჭია პეპელად გაღიქცევა ხოლმე?

სად კვერცხი და სად — წიწილა? მაგრამ განა არ იცი, რომ კვერცხი წიწილად გადაიქცევა სითბოში? ხსეა ძალლის ბრტყელი ჭიაც, — გაძერება იდამიანის ღვიძლში და გადაიქცევა აქ ბუშტად. ღვიძლი სივდება და გამოიბერება; ტკივილები



იშვიათად იცის. ერთად-ერთი წამლობა არის აპერაცია. თუ ავადმყოფმა დროზედ არ გაიკეთა აპერაცია, ლვიძლი ჩირქდება და ავადმყოფი კვდება.

ლვიძლის ჭია მუშა ხალხში იშვიათი მოვლენაა,—ის უფრო ხშირად ემართებათ მდიდრებს, ბურეუბს, რომლებიც საყვარელ ძალლებს თავის ლოგინში იწვენენ,

თ) ლვიძლის ფაზარი.—შარდის ბუშტში, თირქმელებში, ნაღველის პარკში ხშირადა ჩნდებიან კენჭები, რასაც ჩეენი ხალხი ფაზარს უწოდებს.. ფაზარი მარტო ადამიანს კი არა, ყველა ოთხევს უჩნდება. კენჭი ჩნდება ნაღველის პარკში თვითონ ნაღველილან; კენჭი ძვირად არის ერთი ან ორი,— უმეტეს შემთხვევაში ის ბევრია, ხშირად ასზედ მეტი კენჭი უნახავთ ადამიანის ნაღველის პარკში.

— უმ, რამხელა პარკი ჰქონია ადამიანს! იძახის აგრძ სოლო.

— ჩვეულებრივად არ არის დიდი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: გაჭირვება მიჩვენე, გაჭცევას გიჩვენებო. როდესაც გაუჭირდება, ნაღველის პარკი თანდათან იწელება, განიერდება და იტევს კენჭებს. რა თქმა უნდა, ამდენი კენჭი ერთბაშად კი არ ჩნდება, არამედ ნელანელა, მთელის წლობით.

კენჭები ნაღველის პარკში ბავშებსაც უჩნდებათ ცამეტ-თოთხმეტ წლამდის, უფრო კი—ხანში შესულ ადამიანებს. ქალები გაცილებით უფრო ხშირად ხდებიან ამ ავადმყოფობით ავად, ვიდრე მამაკაცები.

— ცოდვილი ხალხია და იმიტომ!..

— შენ ოხუნჯობ კირილე?

ცოდვაზედ რომ იყოს, მამაკაცებს ხომ ლოდები უნდა გაგვიჩნდეს ლვიძლში, მიზეზი სულ სხვა გარემოებაშია. თუ ნაღველი თავისუფლად ვერ გამოდის პარკიდან ნაწლავებში და პარკში გუბდება, ეს იწვევს ნაღველის გასქელებას, აჭრას, ნაღველის პარკის დასწეულებას და იქედან ნელა-ნელა ჩნდება პატარ-პატარა კენჭები, რომლებიც თანდათან იზრდებიან. ორ-სულობის, კარსეტის ტარების გამო ქალის სხეულში ნაღველი

ვერ მოძრაობს თავისუფლად და მიტომ ლვიძლის კენჭების უფრო ხშირია ქალებში.

ყოფილა მაგალითი, როდესაც ადამიანის ნალველის პარკ-ში ქათმის კვერცხის ოდენი ქვა უნახავთ.

ზოგჯერ კენჭებს ადამიანი სრულებით ვერ ამჩნევს, რადგანაც არავითარი ტკივილი არა აქვს.

ზოგჯერ კი ავადმყოფი სიმძიმესა და ცოტაოდენ ტკივილებსა გრძნობს გულის კოვზთან; ამ ტკივილებს ის თეოთონ აწერს კუჭს, მაგრამ საჭმლის მიღებასთან და საჭმლის თვისებასთან ამ ტკივილებს არა აქვს არავითარი კავშირი.

შეტად დამახასიათებელია ნალველის კენჭებისათვის მწვავე და უეცარი ტკივილები, რომლებიც სრულებით მოულოდნელად წამოეპარება ჯანსაღ აუამიანს.

მძაფრი შემოტევა ტკივილებისა იწყება გულის კოვზთან უფრო მარჯვნით, ადის მარჯვენა ბეჭედი, ზურგში; ტკივილი იმდენად აუტანელია ხშირად, რომ ავადმყოფი ღრიალებს, გული ერევა, პირიდან აღებინებს, მუცელი წამოებერება და უმაგრდება მარჯვენა მხარეზე გულის კოვზთან, ღვიძლი სიჭდება; ავადმყოფს სიმწრის თფლს ასხამს, ზოგჯერ შეამცირებს და სიცხეში ჩააგდებს, მაგრამ ტკივილების დაამებისთანავე სიცხე ჰქონდა. ტკივილი გრძელდება რამოდენიმე საათს, ზოგჯერ — რამოდენიმე დღეს.

ხანდახან ტკივილს ზედ ერთვის სიცვითლე.

კის ზევით მარჯვნივ თუ ხელი დააჭირეთ, ტკივილები ავადმყოფს უძლიერდება. ტკივილები ეწყობა ავადმყოფს მაშინ, როდესაც კენჭები ნალველის სადენი მილით ნაწლავებისაკენ მოდიან. კენჭი თუ მოზრდილია და წვეტიანი, გაეჩირება საღებ მილში, შეაგუბებს ნალველს; ავადმყოფს აუგარდება ტკივილები და გაყვითლდება კიდეც. გაძვრება კენჭი და ტკივილებიც გაივლის. მაგრამ რამოდენიმე ხანს შემდეგ ისევ გაუმცორებს, რადგანაც ახალ-ახალი კენჭები იწყებენ გასვლის ნალველის სადენ მილში. თუ კენჭი ძალიან დიდია, მილში ვერ გაეტევა, ჩაიჭედება შიგ, ავადმყოფს ტკივილები დიდხანს გაბყევბა, გა-



ყეითლდება, დასუსტდება, გახდება და თუ აპერაცია არ გაუკეთეს, მოკვდება. კენჭები ბევრჯერ იწვევენ ლვიძლის დაჩირქებას.

შემოტევა ტკივილებისა ზოგს იშვიათად აქვს — წელიწადში ან რამოდენიმე თვეში ერთხელ; ზოგს კი ძალიან ხშირად — ყოველ კვირას, ან უფრო იდრეც.

ტკივილების დასამებლად საჭიროა ოყნა, ცხელი წყალი ან გახურებული კეცი მუცელზე.

კენჭების გამოსადენად ძალიან კარგია სამარხო ზეთი დლეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი ექვს — კვირის განმავლობაში და ბლობად გათლილი ვაშლი, მხოლოდ ნამეტინი მეავე არ უნდა იყოს.

იფაღმყოფმა ხელი უნდა იიღოს ხორცია, არაყია, ლვინოსა და ძმარზე.

აუცილებელია რბილი აბაზანები და მეავე წყალი. ხანდახან შეელის დაწმენდილი სკიპიდარი. ათ-ათი წვეთი რძით დლეში სამჯერ საჭმელის შემდეგ.

თუ ყოველივე, ამან რამოდენიმე თვეში შედეგი არ მოიტანი, აუცილებელია აპერაცია.

— ლვიძლის გაჭრა შეიძლება მერე? ჰკითხულობს მაკრინე.

ლვიძლს არ დასჭირდება გაჭრა, გასჭრიან მუცელს; ამოიღებენ ნალველის პარქს კენჭებიანა, თორემ თუ პარკი დასრულება, ხელახლა გაჩნდება შიგ კენჭები; შემდეგ ნალველის სადენ მიღს ლვიძლიდან პირდაპირ ნაწლავს შეუერთებენ და ნალველი იდენს ლვიძლიდან ნაწლავებში.

ნაზილი გაეცთა

სასუნთქავი ასოების სეიულებანი.

1. პ რ ი ნ ხ ი ტ ი.

რატომ ვსუნთქავთ ჩვენ? აბა მიპასუხეთ.

— უსუნთქავად როგორ ვიცოცხლებთ? ამბობს სოლო.

რატომ ვერ ვიცოცხლებთ?

— ი ჰაერის ერთი ნაწილი რო არ, თქვენ რო ეანგბადს უძახით, უიმისოთა ჩვენი სხეული ვერა სძლებს.

— მერე, მერე, სოლო, განაგრძე.

— მერედა სუნთქის დროს ჰაერი ჩადის ფილტვებში, გულიდანა კიდევ სისხლი ამოდის და სისხლის წითელი ბურთულები ცლიან ჰაერს ეანგბადსა და მიაქვთ სხეულშიდა.

— სრული კეშმარიტებაა. სუნთქვის შემწეობით ჩვენი სისხლი იწმინდება, ის აძლევს ფილტვებში ჰაერს სხეულიდან წამოღებულ ჰაერისნაირ ნიერიერებას ნახშირეანგს და სამაგიეროდ ართმევს ეანგბადს, თუ რამდენად საჭიროა ყოველივე ეს ჩვენი სიცოცხლისათვის, იქიდანაც დარწმუნდებით რომ სუნთქვის დიდხანს შეკავება ყოვლად შეუძლებელია.

სასას უკან არის ხახა.

ხახის ძირიდან იწყება ორი მილი; წინა მილი მიდის ფილტვებში—ეს არის ხორხი, უკანა მილი ჩადის კუჭში,—ეს არის საყლაპარი.

მიღებული სასმელ საჭმელი რომ ხორხში არ ჩავიდეს, მას აფარებული აქვს მაგარი სარქველი, კავიტი.

ხორხის იმ ალაგის, საღაც გარედან მაგარი, კუთხიანი ხტილია, გაბმულია ხმის სიმები.

ზოგჯერ ავადმყოფს დაემართება ამ სიმების დამბლა და ხმა დაეკარგება.

თუ დამბლამ გაიარა, ხმა ისევ დაუპრუნდება, თუ არ გაიარა, სამუდამოდ ხმაწისული დარჩება.

ხორხის გაგრძელება არის სასულე.

როდესაც სასულე ფილტვებს მიუახლოვდება, გაიყოფა ორ ტოტად ანუ ბრონხად: ერთი ჩაღის მარჯვენა ფილტრში, მეორე მარცხენაში.

აქ ბრონხები გაიყოუებიან უფრო წვრილ მილებად, ესენი კიდევ უფრო წვრილ მილებად და ამგვარად ყოველი ბრონხი მიედარება პატარა ბუჩქს სხვილი და წვრილი ტოტებით. წვნიკ მილებს შემოჩირჩხული აქვთ გარშემო პატარა ბუშტუკები.

ფილტვები უმთავრესად აი, ამ, ბუშტუკებისაგან შესუებიან.

ბუშტუკების კანი მეტად თხელია; ზევიდან ჩაღის ამ ბუშტუკებში ჰაერი, შიგნიდან მოადგება სისხლი და აქ სწირ-მოებს შეუჩერებელი გაცვლა-გამოცვლა ჰაერსა და სისხლ-შორის.

მე თქვენთვის ბევრჯერ მითქვამს, რომ სხვადასხვა მორული—სახადი, წითელა, ყივინახველა და სხვ. ხშირად იწვევს სასუნთქვაი მილების ანთებას.

ამას ჩეენ ექიმები ბრონხიტს ვეძახით.

მაგრამ სასუნთქვაი მილების ანთება ხშირად საღსალაშით აღამიანსაც ემართება—უმეტესად გაციიების შემდეგ.

სასუნთქვა მილებში შიგნიდან დატანებულია ლორწოვანი გარსი, რომელსაც სისველე არ გამოელევა.

ბრონხიტის დროს ეს გარსი სივდება.

ბრონხიტით ხშირად სნეულდებიან ის მუშები, რომელსაც მტკრიან ილაგებში უხდებათ მუშაობა.

ასეთებია: შავიქვის უა ქვანახშირის მაღაროების მუშები, ასოთამწყობები, დეპოს მუშები, თამბაქოს ქარხნის მუშები. მეწისქვილები.



ბრონხიტის დროს ავალმყოფს ტკივილები აქვს გულშეკერ-დში, ხეელება, ოფლი და ცოტა სიცხე.

ბევრჯერ ავალმყოფს სუნთქვა უპირს, გული აქვს დატე-რიორი, გათანგული და სუნთქვის დროს ხრივინი ისმის; ნაფა-ზი აქვსო, იტყვით.

ხეელება ძალიან აწუხებს ავალმყოფს; ზოგჯერ ხეელება შშრალია, ზოგჯერ კი ნახველი ბლობად არის.

ნახველი ხან თხელია, ქაფიანი; ხან ყვითელი და სქელი; ზოგჯერ აქა-იქ სისხლის ზოლებიც გამოერევა.

თუ ავალმყოფი დროზე დაუწვა, ბრონხიტი ორ-სამ კვი-რეში რჩება.

თუ არ მიაქცია ყურადღება, რამოდენიმე თვესაც გაპყვე-ბა, შესაძლებელია დახანებულ ბრონხიტიდ გადაექცის და მთელი სიცოცხლე ატაროს.

ბრონხიტი თუ გაძნელდა, ფილტვების ანთებასაც იწვევს.

ეს ემართება უფრო პატარა ბავშვებს და მოხუცებულებს.

დახანებული ბრონხიტი ჩვეულებრივი თანამგზავრია მო-ხუცებულებისა და ლოთების.

ასეთი ბრონხიტი არა რჩება.

ავალმყოფს მუდამ ახველებს, ამონდის ხან თხელი, დაუკი-ნი ნახველი, ხან კი—სქელი; ნახველი ზოგჯერ ძალიან ბევრია.

მუდმივი ხველება ბოლოს და ბოლოს იწვევს ფილტვე-ბის გაგანიერებას, რაც მეტად შემაწუხებელი სწერულებაა:

ავალმყოფს სიარული უძნელდება, სული ეხუთება, ყო-ველ მოძრობაზე ახველებს, სახე და ტუჩები ულურჯდება, ჰაერი არა ჰყოფნის.

ფილტვების გაგანიერებას ბოლოს და ბოლოს შედეგათ მოსდევს გულის გაგანიერება, დასიება და სიკვდილი.

ბრონხიტის დროს ზოგჯერ ავალმყოფს ამოსდის მეტად მყრალი და სუნიანი ნახველი, რომელიც ნამდვილ ჩირქს წააგავს.

არ გამოგიცდიათ, როგორი ხველება აგივარდებათ, თუ სასულეში წყალი ან ნამცეცი გადაგდიათ?

ზოგჯერ ნამცეცი კი არა მთელი ლუქმა, ძვალი და სხვა გადასცება იღამიანს ჩქარი ჭამის დროს.

თუ ლუქმა დიდია, გაიჩირება სასულეში და იღამიანი დაიხრჩობა.

თუ სასულე განველო, ბრონხში ჩაეთ და იქ გაჩერდება.

იღამიანს აუვარდება საშინელი, მიერნებული ხეელი—პირველად მშრალი; შემდეგ კი ჩნდება ჩირქიანი, ზოგჯერ სუნიანი ნახველი.

ყოფილა მაგალითი, როცა ვისმე ქათმის ძვალი გადაცდენია სასულეში, თხილი, კაკალი, კურკა, ლობიოს მარცვალი.

ამგვარი ბრონხიტი ხშირად რამდენიმე წელიწადს გრძელდება და რჩება მაშინ, თუ ხველების დროს გადაცდენილი და სასუნთქავ მილში გაჩირული საგანი ამოვარდა.

2. გ ხ მ ნ ა.

სასუნთქავი მიღების ავადმყოფობაა ქსენა.

ქსენა იწყება უმეტეს შემთხვევაში ღამე.

სრულებით საღ იღამიანს ერთბაშად მოუკერს გულზე, ცხვირში, შეეხუთება სული, სუნთქვა უძნელდება — განსაკუთრებით ამოსუნთქვა, იმდენად, რომ ავადმყოფი ლურჯდება, კისრის კუნთები ეჭიმება, ჰაერი სტენით ჩადის ფილტვებში, გულზე ახრიალებს, — გეგონებათ: აგერ-აგერ დაიხრჩობათ.

ავადმყოფი დაწოლილი ველარ ძლებს, ახველებს შშრალად. ასეთი მდგომარეობა გრძელდება რამოდენიმე საათს, ზოგჯერ რამდენიმე დღესაც, შემდეგ ავადმყოფს აძლევს სქელ ნახველს, გული ამოეწმინდება და ქსენაც გაივლის, ხოლო რამდენიმე ხანს შემდეგ ისევ გამეორდება.

ასეთ განმეორებას შედეგათ მოსდევს ფილტვების გაგანიერება.

ქსენას, ბრონნიტსა და ფილტვების გაგანიერებას ერთმანეთობან მცირდო კავშირი აქვთ.

ბრონნიტი ბევრჯერ იწვევს ქსენას და ფილტვების სიგანიერებას.

აგრეთვე ქსენა იწვევს ხშირად ბრონნიტსაც, ფილტვების სიგანიერებასც.

ფილტვების სიგანირე თავის მხრივ იწვევს ბრონნიტსა და ქსენას.

როგორც მოგახსენეთ, ბრონნიტი ხშირად შედეგია გაციებისა; ზოგიერთი იღამიანი ისეთი აგებულებისა არის, რომ აღვილად ცივდება.

ერთად-ერთი საშუალება ამის წინააღმდეგ არას სხეულის გამაგრება ცივ წყალში ბანაობით.

როგორც მოგახსენეთ, სასუნთქავი მილების დასწულება
ბა ბევრჯერ იწვევს ფილტვების გაგანიერებას.

ფილტვების გაგანიერება ზოგჯერ თავისთავადაც არის
შედეგი მძიმე მუშაობისა და ემართება მკედლებს, მაღაროებ.
ში მომუშავეთ, ბოთლების ქარხნის მუშებს.

ფილტვების მუშაობა წააგავს საბერველის მუშაობას.

ჩასუნთქვის დროს გაიბერებიან, ამოსუნთქვის დროს და-
ფუკებიან, როდესაც ფილტვები გაგანიერდებიან, ისინი მუ-
დამ გაბერილი არიან და ჩასუნთქვის დროს ზედმეტი გაბერეა
უძნელდებათ.

სამწუხაროდ, მუდმივი გაბერვისა გამო დაფუკების უნარი
ეყარგებათ, ასე რომ ივალმყოფს ჩასუნთქვაც უჭირს, მაგრამ
უფრო უძნელდება ამოსუნთქვა, რაღანაც ფილტვები აღარ
იკუმშებიან.

ფილტვების სიგანიერე ხშირად ემართება ლოთებს.

ივალმყოფს გულბოყვი გაბერილი აქვს, სუნთქვა უძნელ-
დება, რის გამო სიარული უჭირს, ასულმოკლებს ე. ი. მო-
კლე-მოკლედა სუნთქავს, ახველებს, ნახველი ამოსდის.

ფილტვების გაგანიერება მოურჩენელი ავალმყოფობაა.

ის შეიძლება ღრმა სიბერემდე შეჰვევს ივალმყოფს: აწეა-
ლებს და კი არ მოკლავს.

ფილტვების გაგანიერებას ბოლოს და ბოლოს შედეგად
მოსდევს გულის გაგანიერებაკ.

3. ფილტვების აღმოჩენა.

გულის ყაფაზის უმეტესი ნაწილი ფილტვებს უკავიათ.

ფილტვი ორია: მარჯვენა და მარცხენა.

ზოგან ჩვენი ხალხი ფილტვს უწოდებს ფიქვს.

აღამიანისა და ოთფეხის ფილტვები ძალიან წააგავან ერთშეანეთს.

ფილტვები არის ის ადგილი, სადაც შეუჩერებლად სწარმოებს სისხლის გაწმენდა.

სხეულიდან წამოღებულ უვარების ნივთიერებას ფილტვებში ატანს სისხლი ჰაერს. სამაგიეროთ ფილტვებშივე აცლის სისხლი ჰაერს იმ ფანგბადს, ურომლისოდაც ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია.

თქვენ რომ გამაღიდებელი შუშებით დაინახოთ ყოველივე ეს გაოცავებით, რა უზარმაზარი მუშაობა სწარმოებს ჩვენს ფილტვებში.

ამ დიდ მუშაობას ხომ იცით ვინ აწარმოებს?

— წითელი ბურთულები!

წითელი ბურთულები! მეუბნებით თქვენ.

— სრული კეშმარიტებაა.

ამიტომაც არის, რომ აღამიანი კვლება, თუ ბევრი სისხლი დაჭკარდა.

თქვენ ხშირად სისხლის გამოშვება, გაღება იცით სამართებლით, ნებრით, წურბელითი ექიმის დაუკითხვათ და ხანდახან იმდენს გამოუშვებთ, რომ აღამიანს სიკვდილის პირას დაიყენებთ.

— სისხლის გამოშვება აბა საზარალოა? მეყითხება თომა.

ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლოა, მაგრამ გამოშვებას ცაც ცოდნა უნდა.

იმდენი უნდა გამოუშვათ, რომ სარგებლობა მოუტანის
სხეულს და არა ზარალი.

ფილტვების მთავარ ნაწილს შეადგინენ ის ბუშტუკები,
რომელიც ყურძნის მარცვლებივით არიან შემომსხდარი წვნიკ
სასუნთქავ მიღებზე.

ამ ბუშტუკებში ჩადის ჰაერი და აქ სწარმოებს ჰაერსა და
სისხლშორის შეუჩერებელი გაცვლაგამოცვლა.

ერთი მეტად გავრცელებული ივალმყოფობა ფილტვების
არის ანთება.

ფილტვების ანთებას არ გააჩნია წლოვანება. ყველას ემარ-
თება, უფრო ხშირად კი — სუსტ ბავშვებსა და მოხუცებულებს.

ფილტვების ანთება ჩნდება როგორც ზამთარში, ისე ზაფ-
ხულში. უფრო ხშირად კი — გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

განსაკუთრებით ეტანება ის ლოთებს და ისეთ პირებს,
რომლებსაც მტვერში უხდებათ მუშაობა: მაღაროებში მომუ-
შავებს, სტამბის მუშებს.

ფილტვების ანთებას იწვევენ ბაცილები, მაგრამ ივალმყო-
ფობა არ გადაის ავალმყოფიდან კარგამყოფზე პირდაპირ.

ანთების ბაცილები მრავლდებიან ჰაერში და აქედან ჩა-
დიან ფილტვებში.

— გაციებაზედ არა ჩნდება მეტე ანთება? მეტითხებით
თქვენ.

ჩნდება, მაგრამ გაციება თვითონ კი არ აჩენს ანთებას, ის
ანთების ბაცილებს ეხმარება.

გაციება სუსტებს ფილტვებს და ბაცილები იღვილად
მრავლდებიან შიგ.

იგივე ითქმის ლოთობასა და მტვერში მუშაობაზე.

მტვერი, მაგარი სასმელები ფილტვებს სუსტებენ და ან-
თების ბაცილები იღვილად ერევიან დასუსტებულ ფილტვებს.

უმეტეს შემთხვევაში ანთება ჩნდება ერთ მხარეზე, — უფ-
რო ხშირად მარჯვენაზე, ვიღრე მარცხნაზე.

რა ემართება ფილტვს ანთების დროს?

ის, რაც ემართება, მაგალითად, კანს ანთების დროს.

յանո Տուղարքի, զանազան պատմություններում, անհաջող է առաջարկությունը:

Հասկանալու համար առաջարկությունը կազմված է այս գործությունում:

Դաստիարակության առաջարկությունը կազմված է այս գործությունում:

Անհաջող է առաջարկությունը այս գործությունում:

Եթե առաջարկությունը կազմված է այս գործությունում, ապա առաջարկությունը կազմված է այս գործությունում:

— Ի՞նչ է առաջարկությունը այս գործությունում?

Շահ Մանթոն մեջ առաջարկությունը կազմված է այս գործությունում:

Ես այս գործությունը կազմված է այս գործությունում:

Անհաջող է առաջարկությունը այս գործությունում:

Ուստի առաջարկությունը կազմված է այս գործությունում:

Ես այս գործությունը կազմված է այս գործությունում:

Անհաջող է առաջարկությունը այս գործությունում:

Անհաջող է առաջարկությունը այս գործությունում:

Անհաջող է առաջարկությունը այս գործությունում:

Ես այս գործությունը կազմված է այս գործությունում:

Ես այս գործությունը կազմված է այս գործությունում:

Ես այս գործությունը կազմված է այս գործությունում:

ავადმყოფი გრძნობს ტკივილსა და ხანდახან სარგებლობას ჩევლეტას განსაკუთრებით ღრმად ჩასუნთქვის დროს.

ამიტომ ცდილობს, ზერელედ ისუნთქოს და ამის გამო პერლავს, — მოკლეთა და ჩქარა სუნთქვავს.

ანთებამ ხშირად იცის ტუჩებსა და ცხვირის ნესტოებზე გამოყრა.

ამავე დროს ავადმყოფს აუვარდება ხველება.

ხველის დროს ავადმყოფს ტკივილები უძლიერდება და ამიტომ ის ცდილობს ხველების შეკავებას.

პირველად ხველება მშრალია, მაგრამ მალე ემატება სქელი, აგურის ფერი ან უფრო სისხლიანი, წებოს მსგავსი ნახველი.

აგურის ფერი შედეგია იმისი, რომ ნახველში ცოტაოდნენი სისხლი ურევია.

ავადმყოფს ზოგჯერ აბოდებს, თავი სტკივა, პირი უშრება, ენაზედ თეთრადა აქვს გადაკრული.

მეშვიდე ან მეცხრე დღეზე ავადმყოფი ცოტა შეწუხდება, სიცხე აუწევს, დაასხივს ოფლს და შემდეგ სიცხე ერთბაშად დავარდება 36 და ზოგჯერ 35 მენაკამდეც, რაც შედეგია სისუსტისა.

ამ ამას ეძახიან კრიზისს.

პევრი ავადმყოფი ამ დროს კვდება გულის სისუსტის გამო.

პატარა ბავშებს ფილტვების ანთება ხშირად გულისრევითა და პირისლებინებით ეწყება.

შეამცინებს, ბავში მოითენთება, წვება; სიცხე ავარდება მალე და ზოგჯერ ბავში ამ დროს გადიქცევა, აზრსა ჰყარგავს, იკანკალებს და ბნედასავით გაუვლის.

სოფლად იტყვიან ხოლმე: საყმაწვილოაო, ზნის ქარებით, მონჯიხიაო, მომთვარიაო, ფითქინა დაემართაო და სხვადასხვა.

ყოველივე ეს არის გამოწვეული ანთების ბაკილების შეამით.

— რათი გავიგოთ, რომ ბნედა არ არის? ჰყითხულობს მათე.



ბნედის დამართების დროს ბავშვს სიცხე არა იქნა და უსიკუროდ მოუკლის ხოლმე დროდადრო.

ფილტვის ანთების დროს ხშირად ბავში მუცელს უჩინის; მუცელი მტკივაო, და სუნთქვის დროს ცხვირის ნესტოები ებრება.

ნახველს კი პატარა ბავში უფრო ხშირად ჰყლაპავს.

მოხუცებულებს ანთების დროს სიცხე ზოგჯერ ცოტა იქვთ, ზოგჯერ ოდნავ იიწევს და ხველებაც ნაკლები იქვთ.

ეს არის შედეგი სხეულის მოხდლურებისა, დაძაბუნებისა.

ფილტვების ანთებას ზოგჯერ ერთვის ტვინის ანთება, თუ ანთების გამომწვევი ბაცილები როგორმე გაძვრენ ფილტვებიდან თავის ტვინში.

მაშინ ავადმყოფს სიცხეს უფრო უმატებს, თავის ტკივილი აუვარდება, კისერი უშეშდება, თავი უკან გადაეზნიქება, აზრია ჰკარგავს.

ფილტვებს აკრავს აპკი, რომელზედაც ზოგჯერ გადაღის ფილტვიდან ავადმყოფობა და ამგვარად ერთვის ფილტვის ანთებას ფილტვის აპკის ანთებაც.

ამ შემთხვევაში ქვლები, ჩხვლეტა და ტკივილი გვერდში იმდენად მატულობს, რომ ავადმყოფს მოთმენა უჭირს.

ზოგჯერ ფილტვების ანთებას შედეგად მოსდევს ჩირქის დაგროვება ფილტვში.

მაშინ სიცხე დიდხანს გაყვება ავადმყოფს, სანამ ჩირქი არ გაიკვლევს გზას მახლობელ სასუნთქავ მილში და ფილტვი ამგვარად არ დაიცლება.

ზოგჯერ თვითონ ფილტვის ზედაპირს გახეთქავს ჩირქი და ჩირქუევა გულის ყაფაზში.

მაშინ ავადმყოფს აპერაცია სჭირია: დაჩირქებულ მხარეზე უნდა გამოიკრას ერთი ან ორი ნეკიდან პატარა ნაკერი, რომ ჩირქს გზა მიეცეს და გვერდი დაიცალოს.

ფილტვიდან ანთება ზოგჯერ გადადის გულის პერანგზე და იწვევს პერანგის ანთებას.

ზოგჯერ ფილტვის ანთება იწვევს დასნეულებული ნაწილის სიკვდილს, დალპობას.

მაშინ აეგდმყოფს პირიდან ამოდის მყრალი ნახველი, ნაბველში სისხლია და ფილტვის გაშავებული ნაგლეჯები ღვიძლის ნაჭრებივით.

დავარდება თუ არა სიცხე, ნახველი პირველ დღეებში მატულობს, ყვითელია, ჩირქის მსგავსი, შემდეგ და შემდეგ კლებულობს და ბოლოს სრულებით შესწყდება.

ეს არის კვლიანი ანთება.

მაგრამ არის ფილტვების ანთება უკვლოც.

ის იწყება ნელანელა. სიცხე იცის ნაკლები—39 მენა. კამდე. ზოგჯერ ჩაჭრება ერთ ალაგას, გაჩნდება სხვაგან; ჩაჭრება და ახლა სხვა ალაგას ამოჰყოფს თავს. ამას ეწოდება მოსიარულე ანთება.

კულები არ იცის, ნახველია თხელი, დურიანი.

ამგვარი ანთება უფრო ხშირათ ემირთება დასუსტებულ ბავშებს, წითელასა და ყივანახველის დროს, ან მოხუცებულებს გრიპის დროს და ხანგრძლივი მიმდინარეობა იქვს:თვე, ორი, სამი და მეტიც. განსაკუთრებით ხშირი თანამგზავრია ის გრიპისა.

ასეთ ანთებას ხშირათ ზედ ერთვის კლექი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფილტვის ანთებას თავისი ვადა იქვს.

— ვადამდე რომ ფეხები გავჭიმო, ვადა რაღას მიშველის? მეტყვით თქვენ.

მართალია, მართალი:

ფილტვის ანთებას მოკლე ვადა იქვს, მაგრამ ამ ვადამდე მიტანება უჭირს ბევრს.

თქვენ იცით, რომ ყოველი გადამდები სენის, ყოველი მოარულის ბაცილები ამზადებენ ავალებულფის სხეულში შხამს.

ზოგიერთი ბაცილების შხამი განსაკუთრებით მოქმედობს გულზედ, მაგალითად ხორველის ბაცილების შხამი.

ფილტვის ანთების გამომწვევი ბაცილების შხამი განსაკუთრებით გულზე მოქმედობს.

ანთებას ყოველთვის გაუიტანს ავადმყოფი, თუ რომ
გულმა გაუძლო.

ზოგჯერ ანთება გაჩნდება ორივე ფილტვში, უცებ შაბო-
ედება და მოივლის ორივე ფილტვს.

ასეთ შემთხვევაში რაც უნდა მაგარი იყოს ავადმყოფის
გული, მაინც გაუჭირდება გადატანა.

უმეტეს შემთხვევაში ანთება ჩნდება ერთ რომელიმე
ფილტვში და ვისაც გული კარგი იქნება, გადიტანს.

მოხუცსა და ლოთს ძალიან უჭირს ანთების გადატანა
თუნდაც ანთება პატარაზე ჰქონდეს.

ლოთს გული და ფილტვები დასუსტებული იქნება.

ღვინოში ადამიანი ძალიან აღვილად ცივდება.

ყოველივე ამის გამო ლოთი აღვილად ხდება ანთებით
ავად და იშვიათად რჩება.

— ანთებიანს რათ ასმევთ ამა ექიმები ღვინოს? ჰკითხუ-
ლობს დათა.

ღვინის სმა სხვა არის, ლოთობა კიდევ სხვა. სკით ზო-
მიერად, ხანდახან კიდევ წაიქეიფეთ, მაგრამ ლოთობას ერი-
დეთ, ლოთობა განდევნეთ თქვენი წრიდან, რაღანაც ის
შშრომელი ხალხის უდიდესი მტერია.

ლოთობა ხასიათს აფუჭებს, ნებას ასუსტებს, გონებას
აჩლუნებს.

მტერი ხასიათი, რკინის ნება და სპეტაკი გონება, აირა
არის თქვენთვის საჭირო განსაკუთრებით დღეს. აქამდე თქვენ
მონები იყავით დღეს კი თავისუფლება დაიმკვიდრეთ ბრძოლით.

რად გინდათ თავისუფლება?

იმისთვის რომ ქვეყანა დაიპყროთ და ააშენოთ შშრომე-
ლი ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ლოთი კაცისაგან დაპყრობილი და აშენებული ქვეყანა
ვის უნახავს?

ანთების წამლობა ექიმის საქმეა, ხოლო უნდა იკოდეთ
შემდეგი:

თავი და თავი მნიშვნელობა იქნება ივადმყოფის მოვლას.

სადაც ივადმყოფია, ბევრმა ხალხმა, ბევრმა მნახველმა არ უნდა მოიყაროს თავი:

ერთი რომ ჰაერი ფუჭლება და ანთებიანს სწორეთ სუსტა ჰაერი ესაქიროება, მეორე—ყოველი მნახველი ხან რასა ჰკით. ხავს, ხან რას და დასუსტებულ ივადმყოფს მეტიც არ უნდა.

— აბა მნახველი როგორ დავითხოვოთ? მეტყვით ოქენ. რათ უნდა დაითხოვოთ?

დაჯდეს ცალკე და კარგამყოფებს გემუსაიფოსთ!

ნამეტანი დახურვა საბნებისა არ არის საჭირო.

ისე კი ივადმყოფი თბილად უნდა იწვეს, რომ ქარი არ-საიდან უბერავდეს, საქმელი აძლიერ ნოკიერი და აღვილად მოსანელებელი, რომ გულს ჯაფა არ დააღეს:

რძე, თოხლო კვერცხი, მაწონი, კარაქი, ვარის შორეა.

სანამ სიცხე ექნება, საჭიროა წყალში გარეული ძმარით ზელა მთელი ტანისა დღეში რამდენჯერმე.

ანთებიანისათვის აუცილებელია კომპრესი მთელი გულ-ბოყვის გარშემო.

კომპრესი თქვენ მარტო წებონაქსი (კლიონკა) გვინიათ და ხშირად არ იცით გაკეთება.

უნდა აიღოთ ტილო, პირკალი, შეკეროთ ორფად ან სამფად, დაასცელოთ ცივ წყალში, კარგად გასწუროთ, შაშო-აფინოთ გარშემო მარტო ანთებიან გვერდზედ კი არა ორივე გვერდზედ.

გარედან შემოადგათ წებონაქსი და შემდეგ მშრალი ტი-ლოთი, თავსაფარით ან პირსახოცით შეუხვიოთ.

კომპრესი უნდა ჰქონდეს ივადმყოფს ორი-სამი საათი, შემ-დეგ შეხსნით.

ნახევარ საათს ან ერთს დაასცენეთ და ხელახლად გაუკეთეთ.

ამგვარად უნდა გამოსცალოთ დღეში სამჯერ-ოთხჯერ.

ანთების დროს კარგია კოტოშები, რისი გაკეთებაც უკლამ უნდა იკოდეს ოჯახში.

აიღეთ ჭიქები—დიდი, პატარა—როგორიც იყოს, მოუკი-დეთ ცეცხლი ქალალდის ნაგლეჯს, ჩააგდეთ ყოველ ჭიქაშიდა



ვაგრაძ მიადგით ავადმყოფს მტკიცან მხარეზე, გულზე, გვერდზედ, ზურგზედ, რამდენიც დაეტიოს.

როდესაც ხორცი კარგად ამოიწევა გაფუებული ცომივით და გალურჯდება, მაშინ ჭიქის ნაპირას თითო დააჭირეთ კანს და ჭიქა მოხსენით.

სანამ ანთებიანს სიცხე აქვს, ყოველ დღე საჭიროა კოტო-შების კეთება.

თუ ავადმყოფს ტკიფილები აქვს, ასულმოკლებს და სუნ-თქვა უძნელდება, ორჯერ-სამჯერაც შეიძლება კოტოშების დასხმა ყოველ დღე.

ვისაც ერთხელ ანთება გადაუტანია, იმას მეორეთაც აღ-ვილად ემართება ეს ავადმყოფობა; ასე რომ მოხდა კი არ იცის — პირიქით შეჩერება იცის.

ზოგიერთს სამჯერ-ოთხჯერ დაემართება ანთება, რასაც შედევად მოსდევს ზოგჯერ ფილტვების დასუსტება და ჰლექი.

ანთება რომ არ შემოგეწიოსთ, რა არის საჭირო? ფილ-ტვების გამაგრება მხით, წყალითა და ჰაერით.

როდესაც ანთებიანი გამომრთელდება, ზაფხულზედ უნდა წავილეს მთაზედ, იბანაოს ხოლმე ცივ წყალში, შუადღისას მთლად გაშიშელდეს და მზეზედ დაწვეს პირებელ ხანებში ათი წუთი, შემდეგ 15, 20, ნახევარი საათი და ბოლოს ორ საათამდე.

თავი ამ დროს როგორმე უნდა დაითარო მზისაგან, თორებ შესაძლებელია, თავის ტკივილი აუვარდეს.

იმას ცუწოდებთ ჩვენ მხის აბაზიანას. მზეც, წყალიც, მთის-ჰაერიც ამაგრებენ როგორც მთელს სხეულს, ისე ფილტვებს.

• — •

4. ფილტვების აპარატის ანთება.

ა) მშრალი პლეფრიტი.—როგორც მოგახსენეთ, გულის ყაფაზის უმეტესი ნაწილი ფილტვებს უკავია.

გულის ყაფაზს შიგნიდან გამოკრული აქვს მაგარი კანი, ანუ აპეკი, რომელიც გულის ყაფაზის კედლებიდან ფილტვებზე გადადის და ფილტვების კანს ანუ აპეკს წარმოადგენს.

თუ სხვადასხვა ბაცილებმა როგორმე გაიკვლიეს გზა აპეკისკენ, იწვევენ იმის ანთებას.

ფილტვების აპეკის ანთება ამიტომ ხშირად ერთვის ზედ ჭრნთრუშას, სახალს, ყვავილს, ფილტვების ანთებას, სახსრების ქარებს, ჭლექს.

ბევრჯერ პლეფრიტი—ასე ვეძახით ფილტვების აპეკის ან-თებას—თავისთვად ჩნდება გაციების შემდეგ და ემართება შა-ნამდე სრულებით საღ ადამიანს.

ასეთ შემთხვევაში ანთების გამომწვევი ბაცილები ასცდე-ბიან ფილტვებს, გაძვრებიან პირდაპირ ფილტვების აპეკისკენ და იწვევენ იქ ანთებას.

ავადმყოფს შეაციებს, შემდეგ მისცემს სიცხეს 39 მენაკამ-დე, ამავე დროს დაესობა ჭვალი მტკივან გვერდზედ და აუვარ-დება ხეელება.

ჭვალის დროს ავადმყოფს გვერდი იმდენად სტკივა ზოგ-ჯერ, რომ სუნთქეა უჭირს—სულმოკლეობს; ხველებას იკა-ვებს, რადგანაც ხველება ტკივილებს იწვევს, მტკივან გვერდ-ზე ვერ წვება, რადგანაც დაწილის გამო ტკივილი ემატება. ხველება უმეტესად მშრალია, ხანდახან აძლევს ავადმყოფს. ცოტა დუქიან ნახველს, რომელშიაც იშვიათად სისხლის ძაფები გამოერევა ხოლმე.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება ერთ კვირეს, ორს, სამს, და შემდეგ ნელ-ნელა ჰქონდება.

სიცხე კლებულობს, ტკივილი იკარგება, ხველება ავად-მყოფს გადაუვარდება, მხოლოდ ხანდახან ღრმად ჩასუნთქვის დროს მცირეოდენ ტკივილსა გრძნობს უა ნაავადმყოფარი გვერდიდან ჩხრიალი ეყურება, თითქოს კაკლები ეხახუნებიან ერთმანეთს.

ანთების დროს ფილტვების აპკი სიცდება და მაგრდება. ჩასუნთქვის დროს, როდესაც ფილტვები გაიძერებიან, დასიე-ბული აპკი ფილტვისა ეხახუნება გულის ყაფაზის აპკს და ეს იწვევს ჩხრიალს. ამას ეწოდება მშრალი პლევრიტი.

ბ) სითხიანი პლევრიტი.—პლევრიტის დროს ზოგჯერ გვერდში სითხე გროვდება წყალის მსგავსი. სითხე ზოგჯერ ცოტა არის, ზოგჯერ კი იმდრენად ბევრი, რომ თვალით შეა-ტყობთ: ავადმყოფს მთელი გვერდი გამოებერება, როდესაც სითხე ბლობად დაგროვდება, ავადმყოფს სუნთქვა უჭირს, ხე-ლებას უმატებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ სალ გვერდზე დაწვა.

თუ სითხე ცოტა დაგროვდა, ივადმყოფს არ აწუხებს, დიღათ და შესაფერის წამლობით ნელ-ნელა შრება.

თვითონ ავადმყოფის სისხლი შეისეამს და შემდეგ ოფლია და შარდს გამომჟყება.

როდესაც სითხე ბლობად გროვდება, ის აწვება და სკეპ-ზავს ფილტვს, აწვება გულს და გადასწევს თავისი ბინიდან.

ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ზოგჯერ გულის დამ-ბლა და სიკვდილი, ამიტომ საჭიროა დროზედ სითხის გამოშვება.

გ) ჩირქიანი პლევრიტი.—ზოგჯერ პლევრიტის დროს სი-ცხე აღარ ვარდება; ავადმყოფი სუსტდება; სიცხე ხან დაიწვევს, ხან ისევ აიწვევს და ავადმყოფს ტანში აერიალებს, ამცივნებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ ავადმყოფს გვერდში ჩირქი და-უგროვდა.

ჩირქიან პლევრიტს იწვევენ ჩირქის გამოშვევი ბაცილები.
თუ გვერდში ჩირქი დაგროვდა, მაშინ აუცილებელია
აპერაცია.

თუ რომ პლევრიტი დაერთო ქლექს მაშინ გვერდში გროვ-
დება ზოგჯერ სისხლიანი სითხე, ხან ჩირქი.

როგორც ხედავთ, ფილტვების აპკის ანთება მეტად როუ-
ლი ავადმყოფობაა და მას სხვადასხვა მიზეზები იწვევენ.

თუ რომ ის არის გამოშვეული ქარებისაგან, შედეგია გა-
ციებისა, ადვილად რჩება.

თუ რომ ის გამოშვეულია ქლექის ბაცილებით, მაშინ
პლევრიტის გაელის შემდეგ სულ ბშირად იფეთქებს ხოლმე
ქლექი.

როდესაც პლევრიტი ჩნდება უმიზეზოთ, გაზაფხულის თვე-
ებში, ეს უმეტეს შემთხვევაში ცუდი ნიშანია.

აქ ქლექის ბაცილები უნდა ერიოს.

ამიტომ განკურნების შემდეგ ავადმყოფს ესაჭიროება თა-
ვის მოვლა, რიგიანი სმა-ჭამა და მთის ჰაერი, რომ ქლექისაგან
დაიფაროს როგორმე თავი.

გვერდში სითხის დაგროვება ყოველთვის არ არის ფილტ-
ვების აპკის ანთების შედეგი.

თუ ავადმყოფს გული აქვს ძალა გაგანიერებული და
სისხლი კარგად ვერ მოძრაობს, შესაძლებელია გვერდში წყა-
ლივით სითხე ჩაუდგეს. თუ ავადმყოფს თირკმელების ანთება
აქვს და შარლი ნაკლებად მოდის, შესაძლებელია, გვერდში
წყალივით სითხე დაუგროვდეს.

თუ ვისმე ფილტვში ან აპკზე კიბო გაუჩნდა, მაში-
ნაც გრძელება გვერდში წყალივით სითხე, ზოგ-
ჯერ სისხლნარევი.

ხომ გაგიგონიათ, ამა და იმას კიბო გაუჩნდაო.

5. ფილტვის აპკის კიბო და საჩივა.

კიბო არის ავადმყოფობა, ჩნდება სხვადასხვა ალიგას: ტუ-
ჩებზე, თვალზე, პირში, ენაზე, კუჭში, ნაწლავებში, ფილტვებ-
ში, საშვილოსნოში, ღვიძლში, შარდის ბუშტში და სხვ.

უმაღლ გაჩნდება მაგარი სიმსივნე ანუ სხმო თხილის კავ-
ლივით, შემდეგ სწრაფად იზრდება, წყლულდება, ლპება,
იბარტყებს, გადადის აქეთ-იქით და აღამიანს ჰკლავს.

არის მეორე ავადმყოფობა, რომელიც კიბოს მიემსგავსება
და ისიც კიბოსავით მოურჩენელია.

ეს არის ლორთელი — ექიმები სარკომას ვეძახით.

ლორთელი თავდაპირველად თხილის ოდენა სხმოს წარმო-
ადგენს, შემდეგ სწრაფად იზრდება, წყლულდება, იბარტყებს,
მოედება ჟველგან და ჰკლავს ავადმყოფს.

ლორთელი ჩნდება უფრო ყბებში, ხახაში, ძვლებში, სახ-
სრებში.

ლორთელი უფრო ახალგაზრდას და ბავშვებს უჩნდება,
კიბო — უფრო ხანში შესულ ხალხს.

თუ ისეთ ალიგას გამოვიდა კიბო ან ლორთელი, რომ
აპერაცია მოხერხდა, ხომ კარგი, თუ არა და მორჩენა შეუძლე-
ბელია: რამოდენიმე თვეში ჰკლავს ავადმყოფს.

ფილტვებში და ფილტვების აპჭედ ზოგჯერ ლორთელიც
ჩნდება. ავადმყოფს გვერდში წყალივით სითხე უდევბა; რაც
უფრო ისრდება სხმო, მით უფრო სუსტდება ავადმყოფი.

ახველებს, სიარული უჭირს ფეხები, უსივდება და კვდება.

— საიდან ჩნდება ნეტავი კიბო და ლორთელი? იკით-
ხავთ თქვენ.

მეცნიერებაში ბევრნაირი აზრია ამის შესახებ, მაგრამ ჯერ
საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

— — —

6. ფილტვების პლაზი.

თითქმის არც ერთი სწეულება იმდენიდ გავრცელებულია არ არის, როგორც კლექი. მას არ გააჩნია არც დრო, არც წლოვანება,—არც დიდს, არც პატარას ის არა ზოგადს, ზამთარი და ზაფხული მისთვის სულერთია.

განსაკუთრებით კი კლექი ემტერება ჰასაკში მოსულ ახალ გაზრდას.

მთელი დედამიწის ზურგზე ყოველწლიურად მილიონობით იხოცებიან კლექით. გამოკვლეულია დაახლოებით, რომ ერთი მეშვიდედი ყველა მიცვალებულისა კლექს ეკუთვნის. არიგითარი ომი, სისხლის ღვრა ამ საშინელს სენს არ შეეძლება.

კლექი თუმცა ყველგან შედის, მაგრამ ის განსაკუთრებით ეტანება მუშა ხალხს. კლექი უფრო ხშირად ფილტვებში იწყება, მაგრამ ადამიანის აგებულებაში არ მოიპოვება არც ერთი ასო, არც ერთი ნაწილი, სადაც კლექს არ შეეძლოს ფეხის მოკიდება.

ძვალი გინდათ, რბილი, კანი, პირი, თვალი, ცხვირი, კუჭი, ნაწლავები, თირკმელები, შარდის ბუშტი, ჯირკვლები, ყველგან ჩნდება კლექი.

თქვენ კი კლექი მარტო ფილტვების ავადმყოფობა გვინიათ.

— თიადორის რომ ვეტყვით, ჩვენ, თიადორის, ისიც კლექია? მეკითხება აგერ ონისიმე.

თიადორის ზოგან დურბელს ეძახიან, ზოგან კატაჯვარის. ეს არის ჯირკვლების კლექი.

— ჯირკვლებიდან შეიძლება რომ ფილტვებზე გადავიდეს? მეკითხება ეგერ მარიამი.



ძალიან იდვილად, სულ ხშირად ჭლექი იწყება ჯირკვლებიდან და შემდეგ გადადის ფილტვებზე.

რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო გავრცელებულია ფილტვების ჭლექი.

ჭლექი რომ გადამდები ავალმყოფობაა, ეს დიდიხანია იცოდენ, მაგრამ რა იწვევდა ამ სენს, ვერავის გაეგო.

1881 წელს გერმანელმა მეცნიერმა კოხმა იღმოაჩინა ჭლექის ნახევლში ერთგვარი პატარა, ჩხირის მსგავსი ბაცილა და დაამტკიცა მრავალი მაგალითებით, რომ სწორეთ ეს ჩხირის ნაირი ბაცილა იწვევდა ჭლექს.

ამის შემდეგ ჭლექის ბაცილას დაერქვა სახელიად კოხის ბაცილა, კოხის ჩხირი.

სად ცხოვრობენ და მრავლდებიან ჭლექის ბაცილები? უმთავრესად იდამიანის ან სხვა რომელიმე ცხოველის სხეულში. შემდეგ აქედან გადადიან ჰაერში; ჰაერიდან კი ისევ იდამიანის ფილტვებში. ჭლექიანს ახველებს და უმეტეს შემთხვევაში ბლომად აქვს ნახველი.

ნახველი სავსე არის ჭლექის ბაცილებით. როდესაც ავადმყოფი ამოახველებს, ნახველს ამოყვება ჭლექის ბაცილები.

ნახველი როცა გაშრება, ბაცილები ჰაერს შეუერთდებიან და სიმსუბუქისა გამო ჰაერში დაცურავენ.

ჭლექის ბაცილები საშინაო არიან გავრცელებული ჰაერში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ჰაერი სუფთა არ არის.

საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ უსუფთაობა, სიბინძურე საშუალებაა ჭლექის ბაცილების გასავრცელებლად.

ჭლექის ბაცილები საშინალის სისწრაფით მრავლდებიან.

— ვინ ივრცელებს ჰაერში ჭლექის ბაცილებს? ჰკითხულობთ თქვენ.

რა თქმა უნდა, ჭლექიანები.

ჭლექის ბაცილები მილიონობით ირევიან ჭლექიანის ნახველში. ჭლექიანები წარამარა ახველებენ და, სადაც მოხვდებათ იფურთხებენ; ნახველი შრება და მტკრად იქცევა, ბაცილები

კი ჰაერს შეუერთდებიან; ჰაერიდან გადაღიან ჩვენს ფილტებს. ში სუნთქვის დროს.

აქედან ცხადია შემდეგი: უმთავრესი გზა, რომლითაც ქლები ვრცელდება, არის ჰაერი.

მაგრამ დაჭლექება სხვა გზითაც შეიძლება. თუ საჭელში შემთხვევით ურევია ქლექის ბაცილები, ისინი საჭმელთან ერთად ჩადიან კუჭში, აქედან ნაწლავებში და ამგვარად აჩენენ ნაწლავებისა და ზოგჯერ კუჭის ქლექსაც.

თუ საჭირები ქლექიანია, შეიძლება მისი ხორცის კამია იდამიანს ნაწლავების ქლექი გაუჩინდეს.

იგრეთვე თუ ძროხა ქლექიანია, უდუღარი რჩე ასეთი ძროხისა აჩენს ნაწლავებში ქლექს.

რაიმე იარა კანზე ან პირში შეიძლება გახდეს ქლექის მაზეზად თუ ამ იარაზე შემთხვევით მოხვდა ქლექის ბაცილები.

სულ ხშირად ბავშებს დურბელი უჩინდებათ კბილების ამოკრის დროს.

ამოსვლის დროს კბილები სჭრის ღრძილს; ბავშის ჩვეულება ხომ იკით: მაინც და მაინც პირში ღნდა იტანტროს ყოველისფერი, რაც კი ხელთ მოხვდება.

ამგვარი ჩვეულების წყალობით მას ხშირად შეიქვს პირში ქლექის ბაცილები.

ბაცილები ჩაძრებიან კბილებისაგან ამოკრილ ღრძილში, აქედან გადავლენ ახლო-მახლო მდებარე ჯირკვლებში და აჩენენ დურბელს.

— ქლექის ბაცილები ყველგან არის ჰაერში? მეკითხ ბით თქვენ.

ყველგან.

ხოლო რაც უფრო სუფთა არის ჰაერი, მით უფრო ნაკლებია შიგ ქლექის ბაცილები.

სადაც ხალხი ბევრია და უსუფთაობაც არის, იქ ქლექის ბაცილებიც მეტია ჰაერში, მაგალითად, ბაზარ აღვილებში, ქალაქებში. სოფლად უფრო ნაკლებია, მთა აღვილებში კიდევ უფრო ნაკლები.



— თუ ავრეა, სუსკელა ავად უნდა გავხდეთ ჭლექით!
შენ ლაპარაკობ ფასია?

— ჩამომავლობაზე გადადის, კაცო, ჩამომავლობაზე! ეს
შენა ხარ, საჩინო?

მაგას ახლავე გავიგებთ. მართლაც და რაյკ ამდენად არიან
ყველგან გავრცელებული ჭლექის ბაცილები და მათ თითქმის
ყოველი აღამიანი ისუნთქავს ჰაერთან ერთად, რატომ ყველა
არ ვსნეულდებით ჭლექით, არამედ ზოგიერთი მხოლოდ?

იმიტომ, რომ აღამიანი სხვადასხვა ჯანმრთელობისანი
არიან: ზოგი სუსტია, ზოგი ჯან-ლონით საესე; ზოგი თავის
ჯანმრთელობას უფრთხილდება, ზოგი კი ბედოვლათად ფლან-
გავს. იმიტომაც ჭლექის ბაცილები ზოგს ერევიან, ზოგს კი
ვერას აკლებენ.

ჭლექი ისეთი ავადმყოფობაა, რომელსაც მაშინ უნდა წა-
მლობა როდესაც ის არა გქირთ.

— თუ კი არა მქირს, რაღას უნდა ვუწამლო? გაკვირ-
ვებით მეტითხებით.

— უნდა იცხოვროთ ისე, რომ ჭლექი არ შეგხვდეთ,—
ეს არის საუკეთესო წამლობა, განა ცოტა არის ისეთი, რომ
ღრმა სიბერემდე შეეძლო ეცოცხლა, მაგრამ ოხრული ცხოვ-
რების წყალობით აღრე კვდება!

რიგიანი ცხოვრება საუკეთესო წამალია ყოველი სნეულე-
ბის და განსაკუთრებით ჭლექის წინააღმდეგ.

თუ აღამიანი მუდამ სიბინძურეში ცხოვრობს და სისუფ-
თავე არ უყვარს, ჭლექი იდვილად შეხვდება.

თუ აღამიანი ლოთია, ჭლექი მას ადვილად ეტანება. თუ
თვითონ გადურჩა ჭლექს, შვილებს გამოაჩნდება, რაღვანაც
ლოთის შვილები ყოველთვის სუსტი აგებულებისანი არიან.

ლოთობას რომ სიკლექემდე მიჰყავს აღამიანი, ძალიან
ბევრი მაგალითია ამისი.

თუ აღამიანი რაიმე ავადმყოფობამ დაასუსტა, იმის და-
სუსტებულ ფილტვებში ადვილად ჩნდები ჭლექი. თუ აღამიანს
სასმელ-საქმელი აკლია და დახუთულ, წამხდარ ჰაერში ცხოვ-

რობს, ყოველივე ეს იმის აგებულებას ასუსტებს და კლექტურზადებს.

თუ დედ-მამას სუსტი ფილტვები ჩაქვთ, ან კლექტურები არიან, შეილებსაც სუსტი ფილტვები გამოჰყვება და ამიტომ ხშირად ისინიც კლექტებიან.

თუ ვისმეს კლექტი შეხვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ფილტვები ან თავიდანვე სუსტი დაბყვა, ან შემდეგ დაუსუსტდა სხვადასხვა მიზეზისა გამო.

როდესაც ოჯახში კლექტიანია, ადეილი შესაძლებელია, რომ ოჯახის დანარჩენ წევრებსაც, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს კლექტი გადაედოთ.

შესაძლებელია, ქმრიდან ცოლს გადაედოს კლექტი, ცოლიდან კიდევ ქმარს, რადგან სულ ერთად ცხოვრობენ.

კლექტი უფრო ხშირად ახალგაზრდას ეტანება — თხუთმეტიდან ოცდა ათ წლამდე.

ისე კი ბავშვაც შეიძლება შეხვდეს კლექტი და ხანში შესულ აღამიანსაც.

რა ემართება კლექტით დასნეულებულ სხეულს?

რადგანაც კლექტი უფრო ხშირად ფილტვებში ჩნდება, ამიტომ ჩვენც გავსინჯოთ კლექტიანის ფილტვები.

ფილტვების იმ ალაგას, სადაც კლექტის ბაცილები დაბინავდებიან და მოშენდებიან, ნელა ნელა ამოიბერებდა პატარა, პურის მარცვლის ოდენა რუხი სიმსიცნე ანუ ბორცვი.

ეს ბორცვი შიგნით ბაცილებით არის გამოტენილი. რადგანაც კლექტის ბაცილები შეუჩერებლიად მრავლდებიან და ახალ ახალ ალაგს გადადიან ფილტვები, ერთ ბორცვს მალე ემატება შეორე, მესამე, მეოთხე და ამგვარად ბორცვების რიცხვი თანდა თან მრავლდება.

ბორცვები ნელა-ნელა ერთმანეთს უერთდებიან, იმათ შიგნით მოქცეული ნაწილი ფილტვისა თანდათან ლპება, ჯერ სქილ ხაჭოს დაემსგავსება, შემდეგ ჩირქდება და ნახველს ამოჰყვება; იმის ალაგის ფილტვები ჩნდება გამომშალი ალაგი ანუ იარა, წყლული.



წყლული თანდათან იზრდება, მას ემატება გვერდზე შეორე წყლული, მეორეს უერთდება მესამე და ამგვარად თანდან ლპება ფილტვი.

ზოგჯერ სნეულება ნელის ნაბიჯით მიდის წინ, ავალმყოფი უძლებს რამოდენიმე წელს — ათს, თუს, ოცდა ათსაც და შეტსაც. უფრო ხშირათ კი ფილტვები მაღე ფუჭლებიან და ავალმყოფი იდრე ესალმები სიცოცხლეს.

ზოგჯერ ქლექი ისე სწრაფიდ მოედება ფილტვებს, რომ ორ-სამ თვეში გააქრობს ავალმყოფს.

ეს არის სწრაფი ქლექი.

ბევრჯელ მოხდება, რომ ფილტრში ქლექი იჩენს თავს, განიდება ჯერ ბორცვი, შემდეგ წყლული.

წყლულს გარეშემო შემოეკერის სქელი კანი და ქლექის ბაცილებს შეიძ მოიმწყვდევს, აღარსად გაუშვებს. წყლული თანდათან მოშუშდება, ქლექი ველარ გავრცელდება, ჩაქრება იმავე ადგილის, ბაცილები დაიხოცებიან და ავალმყოფი რჩება.

როგორ იწყება ფილტვების ქლექი?

უფრო ხშირად შემპარავად, ნელა-ნელა: ავალმყოფს ფერი აკლდება, სუსტდება, თავის ჯანხე აღარ არის; გვერდებში ტკივილებსა გრძნობს, ოდნავ ტანში იერიალებს. ასეთი მდგომარეობა ზოგჯერ რამოდენიმე თვე გრძელდება. შემდეგ ავალმყოფს აწყებინებს ხველებას; ხველება თანდათან მატულობს, ზედ ერთვის სიცხე და სხვა.

ზოგჯერ კი ავალმყოფობა იწყება ერთბაშად სისხლის ხელებით.

სისხლი მაღე შენელდება, მაგრამ დარჩება ხველება; ავალმყოფი თანდათან ხდება, სუსტდება, სიცხეს აძლევს, ოფლი აქვს.

სხვადასხვა ავალმყოფში ქლექი სხვადასხვა ნაირად იჩენს თავს და სხვადასხვა სახით მიმდინარეობს.

ზოგს მაღე ერეეა, ზოგი მოხუცებულებამდე უძლებს.

თუ ქლექი ახალი დაწყებულია, შესაფერის მოვლითა და ცხოვრებით კიდევ შეიძლება მორჩენა.

ხოლო თუ ქლექი მორეულია და ივაღმყოფს სიცეკვების მონაცემებს, მორჩენა მეტად იშვიათია, — უმეტესობა იხოცება.

ქლექს თან დასდევს ხველება, შემდეგ — დაერთოს სიცეკვები.

სანამ ფილტვები დაწყლულდებოდენ, ხველება მშრალია.

როდესაც ფილტვი დაიარივდება და დაჩირქდება, მაშინ ივაღმყოფს ჩირქიანი ნახველი მოსდის, ხშირად ძალიან ბევრი.

ნახველს დროდადრო სისხლიც გამოერევა ხან ცოტა, ზოგჯერ კი ბევრი.

თუ ქლექი თავიდან სიცხით იწყება, ეს იმის ნიშანია, რომ ივაღმყოფს მაღლე მოუღებს ბოლოს.

უმეტეს შემთხვევაში კი სიცეკვების ქლექიანს შექ-დეგ და შემდეგ, როდესაც ივაღმყოფობა გავრცელდება ფილტვებში.

თუ ივაღმყოფს ამცივნებს და სიცეს დიდს იძლევს, ძალიან ცუდი ნიშანია.

სიცეს შედეგად მოსდევს დასუსტება და გახდომა, დამკლევება.

იმ ამიტომაც უწოდა ამ ივაღმყოფობას ხალხმა მჭულექი ანუ ქლექი.

ფილტვების ქლექი ხშირად გადადის ნაწლავებზე.

ნაწლავებში ჩნდება ქლექის ბორცვები და შემდეგ იარები. ივაღმყოფსა იქნება მუცლის ბერეა, გრიალი, ფალარიო, მუკელში ვლა, ტკივილები.

ფილტვებიდან ქლექი გადადის ცელზე, თირკმელებში, ტვინში, ძელებში.

სადაც უნდა გაჩნდეს ქლექი, უველგან ერთი და ივივი სურათია.

უმაღ ამოაყრის ბორცვებს; ბორცვები შიგნით ჩირქდებიან და ჩნდება მათ ილაგას წყლიული.

წყლული თანდათან იხრდება, ერთი მეორეს ემატება და მგვარად ნელა-ნელა ლპება და იშლება დასნეულებული ასო.

გრძნობა და აზრი ქლექიანებს სრულებით საღი იქვთ უკანასკნელ წუთამდე.



მხოლოდ თუ კლექტი ტვინში ავიდა, მაშინ ავადმყოფი მალე კარგავს აზრს და მალეც კვდება.

შეიძლება თუ არა კლექტის მორჩენა?

პეტრჯერ ადამიანი ისე მოიხდის კლექტს, რომ ვერც კი შეამჩნევს.

როდესაც კლექტი ახალი დაწყებულია, ავადმყოფი არ არის დასუსტებული და სიცეს არ იძლევს, მისი მორჩენა შესაძლებელია. ბევრი კიდეც რჩება.

ამიტომ გაჩნდება თუ არა ადამიანის აგებულებაში კლექტი, მაშინათვე უნდა რიგიანი წამლობა.

რაც უფრო ფეხს მოიმაგრებს კლექტი ადამიანის აგებულებაში, მით უფრო ძნელია მისი მორჩენა.

რა გზით შეიძლება, რომ ადამიანში თავი იპატიოს კლექტისგან?

უნდა ერიდოს ლოთობას, სკამოს კარგიდ, დაიკუსო ოჯახში, ეზოში და ტანზე სისუფთავე, საცელები დაირეცხოს, ტანი დაიბანოს ხოლმე.

ზაფხულობით ცივ წყალში იბანოს.

— ჩვენ მაგას მოვნდომივართ და საქმე ვიღამ აკეთოს? ჩილაპარავა ეგურ ონისიმემ.

შევნებული ადამიანი პირსაც დაიბანს და საქმესაც მოასწრებს, შეუგნებელი კი—საქმეც არა ჰქონდეს—კუჭყს მაინც არ მოიშორებს, ქორწილშიაც გაზითხული წავია.

რითო, რა საშუალებით შეიძლება კლექტის მორჩენა?

არ არსებობს არც ერთი წამილი, რომელსაც შეეძლოს კლექტის მორჩენა, მეცნიერებამ ჯერ არ იცის ასეთი უებარი წამილი კლექტისა.

ერთად ერთი საშუალება კლექტის დასაძლევად არის მოსვენება, კარგი სმა-ქამა, ჰაერი, მოთმინება და მტკიცე ხასიათი.

კლექტიანებისათვის განსაკუთრებით მარგებელია მთის ჰაერი. თუ კლექტიანი დასუსტებულია, მისთვის ზამთრობით ზღვა სჯობია.

მუშა კაცის ოჯახში რომ ჭლექი გაჩნდება, დიდი უმცირესება, რადგანაც ოჯახში ვიწროობაა, ყველა ერთადა ცხოვრის, ავადმყოფი ნახველს არ უფრთხილდება და ამის გამო ხშირად მთელ ოჯახს მოედება ხოლმე ჭლექი.

ამიტომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჭლექიანის ნახველს.

ჭლექიანს უნდა უაუდგათ წყლიანი ქოთანი, ტაშტი, რომ შიგ აფურთხოს, შემდეგ ნახველი უნდა გადალვაროთ მოშორებით ყანაში. თუ ზედ კირს დააყრით ხოლმე ძალიან კარგია.

ჭლექიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი თთახი, ჭურჭელი, ჭვეშაგები.

ეს მისთვისაც სასარგებლოა, შინაურებისათვისაც; ჭლექიანს ექნება მეტი სუფთა ჰაერი, რაც მისი დაზიანებული ფილტვებისთვის მეტად საჭიროა; შინაურებიც უფრო აცილებული იქნებიან ჭლექის გადადების საშიშროებას.

— შე დალოცვილო, სოფლის კაცია ეინ მოგეცა ამდენი თთახები, რომ ავადმყოფი ცალკე მოვათევსოთ და კარგად მყოფი კიდევ უალკე! მეტყვით თვეენ.

მართალია, მართალი. მაშ რა ვქნათ? საშველი არ ყოფილა და უნდა ვიყოთ ყველა ერთად არეული—ჭლექიანიც და ჯანმრთელნიც!

არა, საშველი არის და ი როგორი:

ჭლექიანი ყოველ სოფელში არის და თავისი ნახველით ავტომატებს ჭლექს გარშემო.

არ იცით ისეთი მაგალითი, რომ ჭლექს მთელი ოჯახი ამოეწყვიტოს?

— როგორ არ ვიცით! ცხვარიჭამიანთ ქიტესასა ცოლ-შეილი იმან არ ამოუწყვიტა? გვიცხადებს ეგერ სოლო.

ი ამიტომაც მთელმა სოფელმა უნდა იზრუნოს თავისი ჭლექიანებისათვის.

ორი-სამი სოფელი რომ ერთად შედგეს, შეუძლიანთ ააშენონ ჭლექიანების სახლი ანუ თავშესაფარი.

ასეთ სახლში მოგავსდებიან ამ სოფლების უკელა ჭრექიანობა.
ანები და ეს იქნება ერთი საშუალება კლექტონ საბრძოლველად.

— ხელის ჩამორთმევით გადადის კლექტი? მეკითხება იაკობი.

ხელის ჩამორთმევით არ გადადის, მაგრამ საერთოდ ხელის ჩამორთმევა მავნებელი ჩვეულებაა.

ხელზე შეიძლება ან მე, ან სხვას ჰქონდეს რაიმე გადამდები სენის ბაკილები და ხელის ჩამორთმევით, რა თქმა უნდა, ამ სნეულებას სხვის გადავცემთ, მაგალ. წითელა, ქუნთრუშა, ყელჭირვება აღვილად შეიძლება ვისმეს გადაედოს ხელის ჩამორთმევით. თქვენ რომ შესცვლიდეთ ხელის ჩამორთმევას რაიმე სხვაგვარი მისალმებით, ბევრად უმჯობესი იქნებოდა.

— გამიგონია, კლექტის რომ დაესწრო სიკვდილზე, კლექტი უსათუოდ გადაგედებაო, მართალია? მეკითხება თამარი.

ასე ამბობენ და ბევრსა სჯერა კიდეც; მაგრამ მართალი არ არის.

კლექტიანშა რომ სიკვდილის დროს ვისმე კლექტი გადასდოს, შეუძლებელია.

კლექტი მხოლოდ ნახველის შემწეობით ავრცელებს ჰაერში კლექტის ბაკილებს.

ეს ბაკილები სუნთქვის შემწეობით ჩადიან საღი აღამიანების ფილტვებში, თუ ფილტვები სუსტია, ბაკილები მრავლდებიან შიგ და აქენენ კლექტს. თუ ფილტვები მაგარია, ბაკილები შიგ იხოცებიან, მათა სჭამენ სისხლის თეთრი ბურთულები, რომელთა შესახებაც უკვე მქონდა თქვენთან საუბარი.

ნაზილი გეგმვა

I. საშარდე ასოების სიცულებანი.

1. უ მ ს ა ვ ა ლ ი.

ადამიანის სხეული წარმოადგენს მანქანას, რომელიც შე-
უჩერებლად მუშაობს დაბაზებიდან სიკვდილამდე.

თქვენ ხომ გინახავთ ორთქლმავალი?

ი, ისიც მანქანაა და მუშაობს.

რა სკირდება მას მუშაობისათვის?

შეზა, მაზუთი, წყალი, ზეთი. ჩვენს სხეულსაც მუშაობი-
სათვის სკირდება საჭმელი და სასმელი, ესე იგი საზრდო.

არ გინახავთ, როგორა სწმენდენ ხოლმე თრთქლმავალს.
რისთვის, რა საჭიროა?

მანქანის მუშაობის დროს გროვდება მტვერი, მჰეარტლი,
ნაცარი, ბოლი, ჭუჭყი და ყოველივე ეს ედება მანქანას. თუ
მანქანა არ გიიშმინდა, ჭუჭყი მოერევა და ვეღარ იმუშავებს,
გაფუჭდება.

ჩვენს სხეულშიც გროვდება ჭუჭყი, მისი მუშაობის დროს.

თქვენა გვონიათ მე მარტო განვავალზე ელაპარაკობდ? სრუ-
ლებითაც არა,—განვავალი მხოლოდ ის უვარებისი საზრდოა,
რომელსაც ჩვენი ნაწლავები ვერ ითვისებენ, ან ვერ ერევიან.

უმთავრესი ალაგი, სადაც თავი იყრის სხეულის მუშაობის
დროს დაგროვილი ჭუჭყი, გახლიავთ სისხლი.

ამ ჭუჭყის ერთი ნაწილი ჰაერს მიემზვავსება და ის თუ
დიდხანს დარჩის სისხლში, ჩვენი სხეული იწამლება: თავი გვი-
მძიმდება, თავბრუ გვესხმის, გული გვერევა, ვსუსტდებით და
სხვა.

ეს უვარგისი ნივთიერება მიაქვთ ფილტვებში სისხლის წო-
თელ ბურთულებს და აძლევენ იქ ჰაერს.

სუნთქვის ერთი დიდი მნიშვნელობა სწორეთ იმაში მდგრ-
მარეობს: მისი შემწეობით სისხლი იწმინდება და სხეული თა-
ვისუფლდება ისეთი ნივთიერებისაგან, რომელიც მისოვის მეტად
მავნებელია.

საიდან ჩნდება სხეულში ასეთი ნივთიერება?

საიდან ჩნდება ორთქლმავალში, კვარტლი, ბოლი, ნაკარი,

შეშა, მაზუთი იწვის ორთქლმავლის მოძრაობის ღრუს და
იქედან ჩნდება.

ჩვენს სხეულშიაც იწვის საზრდოს სახით მიღებული მასა-
ლა და ჩნდება სხვადასხვა უვარგისი ნივთიერება. მთელი ეს
კუჭყი გროვდება სისხლში.

ზოგი ნაწილი ამ კუჭყისა ჰაერისნირია, როგორც მოგა-
ხსენეთ, სხვები კი მაგარია და როგორც შაქარი, მარილი და-
ღნებიან წყალში.

ყველა ამ ნივთიერებას მეცნიერებმა დაარქვეს ერთი საზ-
ლი—მარილი.

ეს მარილები გამდნარი არიან სისხლში. ფილტვებში ჰაე-
რი მათ ვერ მოერევა და ვერ მიიზიდავს. მეორეს მხრივ თუ
სხეულმა არ მოიშორა ეს მარილები, მოიწამლება იმდენად,
რომ მოკვედება კიდევ.

მაგრამ აქ გახლავან თირკმელები, რომლებიც სწმენდავენ
სისხლს ამ მარილებისაგან.

ჩვენი სისხლი განუწყვეტლივ მიმდინარეობს თირკმელები-
საკენ და თირკმელებიდან კი გულისაკენ. თირკმელები სწმენ-
დავენ სისხლს და აცლიან მას სხვადასხვა უვარგის ნივთიერე-
ბას ანუ მარილებს, რაც სისხლში გროვდება სხეულის ნაწი-
ლებიდან.

რას უშერებიან თირკმელები ამ მარილებს?

შარდს ატანენ გარეთ.

აი, თურმე რა დიდ საქმეს ასრულებენ თირკმელები, მო-
დით და ნუ გაუფრთხილდებით მათ.

თირკმელი ორია — მარჯვენა და მარცხენა.

თვითოული თირკმელიდან იწყება შარდასაწვეთი მილი, რომელიც უერთდება საპარსავს გასწვრივ შარდის ბუშტს. ბუშტში შეუწყვეტლივ გროვდება შარდი და შემდეგ გარეთ ჩქერება შარდასაღვრელი მილის საშუალებით.

უმეტეს შემთხვევაში თირკმელების ტკივილს იყადმყოფი ვერა გრძნობს. ხშირად თირკმელები სულ გათუჭებულია, იყადმყოფს კი ტკივილი არ აწესებს. წელის ტკივილს ბევრჯერ არავითარი კავშირი არა აქვს თირკმელებთან და შედეგია ხერხემლის ძვლების, კუნთების ან ტაბრების გაციებისა, დაძალვისა და სხვა.

თუ თირკმელებში კენჭი გაჩნდა, კიბო, ან ქლეჭი, მაშინ ტკივილები იცის და ხოგჯერ გვარიანიც; დანარჩენ შემთხვევაში თირკმელების იყადმყოფობა შეუმჩნევლად მიმდინარეობს. კაცს თირკმელები უფუჭდება და იმას კი არასთერი არ აწუხებს, სანამ ლოგინედ არ ჩავარდება.

თირკმელების დასნეულებას შედეგად მოსდევს შარდის ნაკლებობა, წყალმანები, ტანის დასიება, კუჭის მოშლა, გულის გავანიერება, გვერდებში წყალისნაირი სითხის ჩადგომა და სხვა.

ერთის სიტყვით — თუ თირკმელები ხანგრძლივად დასწულდა, მთელი სხეული მოიშლება.

2. თირქმელების მფლავი ანთება.

სხვადასხვა მოარულს იწვევენ ბაცილები. ბაცილები ამზა-
დებენ ჩეენს სხეულში შხამს.

შხამი გადადის სისხლში, გაივლის თირქმელებში და გა-
მოჰყება შარდს.

ამ ეს შხამი თირქმელებში გავლის დროს იწვევს თირქმე-
ლების ანთებას. ზოგიერთი მოარულის შხამი ვერ ერევა თირქ-
მელებს, ზოგიერთი კი პირდაპირ საწამლავია თირქმელები-
სათვის.

ასეთია სახადი, ყელპირვება, წითელი ქარი და განსაკუთ-
რებით ქუნთრუშა.

თირქმელების მწვავე ანთებას ბევრჯერ იწვევს გაციება,
მიყოლებული ლოთობა, საწამლავი: დარიშხანა, სულეიმანი,
კარბოლის სიმძავე და სხვა.

ეს ავადმყოფობა მეტის მეტიდ შემპარავია, პირველ ხა-
ნებში ორც ტკიფილი იცის, ორც შეწუხება; ამიტომ ავადმყო-
ფი ვერ ამჩნევს, დროზე ვერა პჰატრონობს თავს და ექიმთან
მიღის მაშინ, როდესაც უკვე გვიან არის.

თირქმელების მწვავე ანთება იწყება ნელნელა. ავადმყო-
ფი მადასა ჰკარგავს, მუცელზე ჰბერავს; მშიერიც რომ იყოს,
მაინც ისე გრძნობს თავს, თითქოს კუჭი სავსე ჰქონდეს, შემ-
დეგ ემატება გულის ღალვა; სიარულის დროს, ნამეტურ შელ-
მართში ავადმყოფი იღლება. შარდი საგრძნობლად კლებუ-
ლობს, მთელი დღე ისე გაივლის, რომ ავადმყოფს მოშარდეა
არ მოუნდება. შარდი არის ძალიან მუქი, მღვრიე, ზოგჯერ
სისხლი ურევია; ჭურჭელში იღებება და ძალიან ბლომიადა
აქვს ნალექი. სიცხე ავადმყოფს არა აქვს, ან ოდნავ შეაერთია-



ლეპს ტანში საღამოობით და სულ ცოტა სიცხეს იძლევს. შემდევ ავადმყოფს დაუსიკედება თეთრიად ფეხები, პირის სახე, თვალის ქუთუთოები, წელი, სასქესო ასოები; დროდადრო აუვარდება თავის ტკიფილი, გულის რევა, პირის ღებინება.

ასეთი მდგომარეობა თუ გაგრძელდა, ავადმყოფს ზოგჯერ გრძელასავით ემართება: აზრი და გრძნობა ეკარგება, მოელი სხეული ეკრუნჩება და ხშირად კვდება კიდეც.

ეს არის შედეგი შარდის შეხუთებისა და შარდისაგან სის-ხლის მოწამელისა — რასაც ჩვენ, ექიმები, ურემიას ვუწოდებთ.

ზოგჯერ ზედ ერთვის წყალმანკი, გულისპერანგისა და ფილტების აპკის ანთება.

თუ ავადმყოფმა დროზე მიაქცია თავის თავს ყურადღება და დაწვა, ერთ ან ორ თვეში ავადმყოფობა სრულებით ჰქრება; შარდი თანდათან მატულობს, იწმინდება, სუფთავდება, სისიკრე თანდათან კლებულობს და ავადმყოფი რჩება.

რა არის უმთავრესი პირობა მორჩენისათვის?

შესაფერი საჭმელ-სასმელი. უნდა ყველამ იცოდეს, რომ თირკმელების მწვავე ანთებას არავითარი წამიალი არ გააჩნია, ერთად ერთი წამიალია — ლოგინში წოლა, რძე და თბილი აბაზანა.

ავადმყოფი უნდა იწვეს ლოგინში სულ უკანასკნელი ექვსი კვირა, აბაზანა მიიღოს თხუთმეტი წამით საკმაოდ თბილი კვირებში ორჯერ, სასმელ-საჭმელიდ იხმაროს წყალი, მეავე წყალი და რძე — თუნდა თბილი თუნდაც ცივი, როგორც სურს.

ავადმყოფი უნდა დაღვეს შხოლოდ რძეზე ოთხი კვირის განმავლობაში და დღე და ღამეში სვის ორი ჩარექი. სხვა არავითარი საჭმელი არ შეიძლება.

— თუნდაც შიმშილს მოუკლიავია და თუნდ ავადმყოფობა! იტუვით თქვენ.

ცრიად შემცდარი აზრია; დაკვირვებამ დამტკიცა, რომ არა თუ ექვს კვირეს, გაცილებით მეტ ხანს შეუძლია ყოველ ჩვენგანს, მარტო რძით გასძლოს. განა ძუძუმწოვარი ბავში მარტო რძით არ საზრდოობს, რომ კადეცა სძლებს და კი-დევაც იზრდება?

— შე დალოცვილო, იქნება არ შემიძლია ცალიერი ჩატარება? იტყვის ზოგი.

რასა ჰქვია, არ შემიძლია? ავადმყოფობისათვის სიტყვა არ შემიძლია არ არსებობს.

მან უნდა შესძლოს და შეასრულოს ყოველივე სწერების დასამარტებლად.

ოთხი კვირის შემდეგ შეიძლება მიუმატოთ მაწონი, ჯარაქი, მოხარული ან შემწვარი კარტოფილი, შემწვარი გავრა და ცოტაოდენი თეთრი ლავაში.

ორი თვის შემდეგ — ახალი, უმარილო ყველი, მოხარული ქათამი, ბრინჯი, კვერცხის გული, ტკბილი რილი.

ღვინო, არაყი, საქონლის ხორცი, ლორისა, ძველი თევზი — ავადმყოფმა მთელი ერთი წლის განმავლობაში უნდა აპკვეთოს.

ამას თუ ვერ შეასრულებს, მოკვდება, ანდა მწვავე ანთება თირკმელებისა გადაექცევა დაზანებულ ანთებად.

თირკმელების ანთების დროს სასარგებლოა სასმელი მეური წყალი.

3. თირკმელების დახალიშვილი ანთება.

თირკმელების დახანებულ ანთებას შეიძლება ვუწოდოთ მუდმივი ანთება, რადგანაც არასოდეს არ რჩება და შეუჩერებლად, ნელა-ნელა უთხრის ავადმყოფს სამარტის.

ხანგრძლივი ანთება თირკმელებისა ჩნდება შწვავე ანთებიდან, როდესაც ავადმყოფი არ იჩენს თავს რიგინად და აღრე დაიწყებს სმა-ჟამის.

ხანგრძლივ ანთებას თირკმელებისას იწვევს ლოთობა, განსაკუთრებით ბევრი არაყი, ნამეტანი მლაშე, ცხარე და მეტავე საჭმელი, დამპალი ციცქა. ხანგრძლივი ანთების დროს ავადმყოფს სიცხე სრულებით არა აქვს, ფერმჯრთალია, შარდი საკმაოდ მოღის, მხოლოდ მღვრიე არის და უფრო ღია ფერის, ვიდრე შწვავე ანთების დროს. შწვავე ანთების დროს ავადმყოფს დასიება სახე და თვალებიდან ეწყობა, შემდეგ ჩიდის ფეხებშიაც, თუ ავადმყოფობა გაძნელდა. ხანგრძლივი ანთების დროს კი შეშუბება იწყება ფეხებიდან და ამოღის ზევით. შემდეგ და შემდეგ ჩნდება წყალმანკი, ავადმყოფი სიცდება, შარდი კლებულობს, გული განიერდება და ავადმყოფი საერთო სისუსტისა გამო კვდება.

თირკმელების ორიკენაირი ანთების გამოსარკვევად საუკეთესო საშუალება არის შარდის გამოკვლევა.

ვისაც თირკმელების ხანგრძლივი ანთება გამოაჩნდება, ის მთელი თავისი სიცოცხლე გაფრთხილებული უნდა იყოს სასმელ-საჭმელში: უნდა იხმაროს წყალი, რძე, მაწონი, კარაქი, უმარილო ყველი, ქათამი, ახალი თევზი, ახალი ლობით, მწვა-

ნილი, მხალი, კარგი ხილი, სულ ცოტა ღვინო, ნანდა
ხორცი საქონლისა, ღორისა, ცხვრისა.

უნდა სრულებით დაანებოს თავი პილპილს, ბევრ მარილს,
არაყს, თრობას, ძველ თევზს, ბევრ პურს, ხშირიდ საქონ-
ლისა და შინაური ოთხფეხის ხორცს, ნანაღირევს, ძმარს,
ასეთი გაფრთხილებით ავადმყოფი გაძლებს თხუთმეტ უ-
წლამდე.

4. თირკმელების დაჩირვება.

თუ თირკმელებში როგორმე გაძვრენ ჩირქის ბაცილები, გამოიწვევენ თირკმელების დასიებასა და დაჩირქებას.

ჩირქის ბაცილები თირკმელებში ზან შარდის ბუშტიდან აღიან, ხან სისხლიდან გადადიან. ზოგჯერ თირკმელების დაჩირქება შედეგია კრილობისა, მაღლიდან გადმოვარდნისა, დაცემისა, დაკვრისა, თირკმელების კენჭებისა და სხვ.

ზოგჯერ ორივე თირკმელი ჩირქდება, ხშირად კი მარტო ერთი რომელიმე. ავადმყოფს წელი სტკივა, ფერდი, სიცხეს ძლევს ციებცხელებიანსაცით. ოფლი სდის, შარდი ნაკლები მოსდის და ხშირად მღვრიე არის, ზოგჯერ ჩირქია შიგ ბლობად

ხანდახან ჩირქი თვითონ თირკმელში კი არ გროვდება, არამედ თირკმელის გარშემო. გვერდი და ფერდი წინ და უკან სულდება, გამოიბერება: ავადმყოფს სიცხე აქვს, ტკივილები აწუხებს.

თვითონ თირკმელში მოგროვდება ჩირქი, თუ მის გარშემო, სულ ერთია ერთიად ერთი წამლობა არის აპერაცია.

თირკმელებს შამოკრული აქვს მაგარი გარსი, რომელიც თანუათან ვიწროვდება ძაბრიცით. ამ ძაბრიდან იწყება შარდასწვეთი მილი თვითეული თირკმელისა და ეს მილი უერთდება შარდის ბუშტს; ხანდახან მოხდება, რომ დამწიფებული თირკმელი გასუდება, ჩირქი თირკმელის ძაბრში გამოილვრება და ავადმყოფი მორჩება.

ბევრჯერ ჩნდებიან კენჭები თირკმელებში, მაგრამ ამ სერალების შესახებ მერე ვისაუბროთ.

ა. თირკმელის ძაპრის ანთება.

რაյი თირკმელების ძაპრი მოვიხსენიეთ, უნდა შევეხოთ
იმის ავადმყოფობისაც.

თირკმელის ძაპრში სხვადასხვა მოარტლის დროს ჩადება
ანთება.

ანთება ჩადება ზოგჯერ სუსტნატის დროსაც.

ცოფის წინააღმდეგ სოფელში იციან წამალი, რომელიც
წარმოადგენს გაზაფხულის ერთგვარი მწერებიდან დამზადებულ
ფხვნილს.

ამ ფხვნილს ასმევენ ცოფიანი ძალლისაგან დაკბენილს და
ირწმუნებიან: ძალლის ლეკვები დააყრევინა, ჩემის თვალით
ვნახეთ.

საქმე გახლავთ შემდეგში. ეს ფხვნილი იწვევს თირკმელე-
ბის ძაპრის ანთებას: ავადმყოფს აუვარდება საშინელი ტკიფი-
ლები ფერდებსა და წენში, შარლი შეეხუთება; შემდეგ როც-
ხარდი წამოვა, დასწეულებული ძაპრებიდან მოყვება სისხლი.

სისხლი გზაზე შეიკრის, შედედდება, სხვადასხვანაირ სახეს
დებულობს შარლის ბუშტში და შეუგნებელი ადამიანის წარ-
მოდგენა ამ დაკვეთილი სისხლის ნაკრებში ლეკვებსა პხედავს.
თირკმელის ძაპრის ანთების დროს ავადმყოფს სიცხეს აძლევს,
წენი სტკივა: შარლი ხან სუფთაა, ხან კი სისხლიანი, ჩირქნა-
რევი და ამღვრეული.

ძაპრიდან ანთება ბევრჯერ თვითონ თირკმელზე გადაღის
და იწვევს თირკმელის დაჩირქებას.

ძაპრების ანთება ხშირად მალე რჩება, საჭიროა თბილი
აბაზანები და მარტო რძისა, მაწვნისა და ქათმის წევნის ჭამა.
ზოგჯერ კი ის მეტის მეტად ხანგრძლივია. ასეთ მიმდინარეო-
ბის ძაპრების ანთება ღებულობს მაშინ, როდესაც შიგ კენჭება
დაგროვდება.

6. თირკმელის პირველი.

კენკები ჩნდება ოოგორც თვითონ თირკმელებში, ავტოვე თირკმელის ძაბრში. შარდში გახსნილია სხვადასხვა შემა-
დგენლობის სილა. ეს სილა ხშირად გამოეყოფა შარდს, თირკ-
მელებშივე ან ძაბრებში დაილექება, ნელნელა მოედება შარ-
დიდან, ნალექი იზრდება და ბოლოს გაღიქცევა კენჭად. კენ-
ჭები ბავშებს იშვიათად უჩნდებათ; ის უფრო ხშირია მამაკა-
ცებში დავაუკუნებიდან მოხუცებულებამდე.

ლოთობა ძალიან უწყობს ხელს ოოგორც თირკმელების
დასწრულებას, ისე კენჭების გაჩენას.

ხანდახან მთელი ძაბრი გამოტენილია კენჭებით: ზოგჯერ
თირკმელში მთელი ქვა უნახავთ

კენჭების დროს ავადმყოფს სტკივა წენი.

დრო და დრო ავადმყოფს მოუკლის ხოლმე მეტად მწვავე
ტკივილები მუცელში და ამას თქვენ ხან თიაქარს უწოდებთ,
თუ მთელი მუცელი სტკივა ავადმყოფს, ხან ფერდის ქარს, თუ
ტკივილი შარტო ერთ თირკმელშია.

ავადმყოფს ტკივილი აუცილება სრულებით მოულოდნე-
ლად, გული ერევა, პირს აღებინებს, შეაცინებს, სიცხეს
აძლევს, სიმწრის ოფლის ასხამს; ტკივილები ვრცელდება ძირს
შარდის ბუშტისკენ და სასქესო ასოებისკენ.

ზოგჯერ ავადმყოფს ასოს თავში გასწვივს და ხშირად
შარდზე მიაყენებს, მაგრამ შარდი ან არ გამოდის, ან — ძალიან
ცოტა.

გაივლის რამოდენიმე საათი, ტკივილები ნელ-ნელა ცხრება
და უზრდება, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ ხელიხლა
უხსენებს.

Ի՞նչպես Ծյուզոլոցներին?

Կյենքով գայդենքի մարդկանց պահպանը մոլորակություն է.

Հոգու առաջնական գործությունը մարդկան պահպանը է, ինչպես ու առաջնական գործությունը մարդկան պահպանը է առաջնական գործությունը:

Տուրքմելու կամքեան մալուան մեմբեր ազագությունների մասին պահպանը առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

Մարդկան պահպանը առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

Երանեան երանեան պահպանը առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

Մարդկան պահպանը առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

— Վայուս կապա մաշու տապա սաճա պիտի! Ուստի առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

Առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

Խանճախան կյենքով սեցունգուն, գայդենքի մարդկանց պահպանը մարդկան գործությունը է առաջնական գործությունը:

— Կյենքով առ գայդենք, առ պահպանը առաջնական գործությունը է առաջնական գործությունը:

8. თირქმელების პლატი და კიბო.

თუ ჭლექის პაცილები გაძვრენ თირქმელებში, ავადმყოფს გაუჩნდება თირქმელების ჭლექი.

თირქმელებში გამოჰყრის მორუხო ხორქლებს, რომლებიც დაჩირქდებიან, გაიზრდებიან, შეერთდებიან და ამგვარად თირქმელებში ჩნდება ჭლექის იარა.

თირქმელების ჭლექი ხშირად ზედ ერთვის ფილტვების ჭლექს; ზოგჯერ კი ჩნდება თაერისთავად. ავადმყოფს სიცხეს აძლევს — პირველ ხანებში პატარას, შემდეგ და შემდეგ თანდათან უმატებს.

სიცხე ძალიან წაიგივს ციებიანის სიცხეს,— დილით ნაკლებია, ღამით მეტი. ამავე დროს ავადმყოფს ტანში ამციკნებს, წენი სტუკა, შარდზედ ხშირად ანდომებს, შარდი ცოტაა, ზოგჯერ მღვრიე და სისხლნარევი.

თირქმელების ჭლექი გრძელდება დიდხანს, წლობით; ასუსტებს თანდათან ავადმყოფს და პელავს.

თუ ჭლექი მარტო ერთ თირქმელშია, აპერაციით შეიძლება გადარჩენა: დაჭლექებული თირქმელი უნდა იმოიღოთ სრულებით.

თუ ჭლექი ორივე თირქმელშია, მაშინ არავითარი საშეელი აღარ არის.

კიბო. თირქმელებში კიბო უწინდება პატარა ბავშვს — ასე ათ წლიდე — და მოხუცებულებს.

ავადმყოფს სტუკა წენი და ფერდი, შარფი სისხლიანია, რასაც იმერეთში პაპასკირს უწოდებენ — პაპასკირი სჭირსო. უერდში იმ მხარეზე, რომელ თირქმელშიაც კიბო ჩნდება, სიმ-



სივნე იზრდება იმდენიდ, რომ ხანდახან მოელ მუცელს გაისებს.

ივალმყოფი სუსტდება, ზოგჯერ ფეხები უსივთება, წყალ-
მანკი უჩნდება და კვდება.

ერთად ერთი წამლობა არის აპერაცია. უნდა ამოაცოონ
ერთიანად დასწეულებული თირკმელი.

9. თირკმელების ჩამოზვება.

არის ბევრჯერ ისეთი შემთხვევა, როდესაც თირკმელები თავის ილაგას აღარ ჩერდებიან და ძირს ჩამოეშვებიან.

ეს არის შედეგი მძიმე მუშაობისა, საერთო სისუსტისა, გახდომისა, მუცლის კუნთების მობოშებისა.

მუცლის კუნთების მობოშება შედეგია ხშირი ორსულობისა. რაკი მუცელი მობოშება, შიგნეულობას ვეღარ იყავებს, შიგნეულობა ძირს იწევს და თირკმელებიც აღარ ჩერდებიან თავის ილაგას.

ეს ავადმყოფობა უფრო ხშირად სჩვევია ქალებს.

ხანდახან ორივე თირკმელი ჩამოეშვება ძირს, ხანდახან მარტო ცალი.

განსაკუთრებით უყვარს ძირს ჩამოწევა მარჯვენა თირკმელს.

ხანდახან თირკმელი იმდენზე ჩამოეშვება რომ იმას ნახავთ ჭიპს ჭვემოთ. ამას ჭიპია მოძრავი, მოსიარულე თირკმელი.

თირკმელის ჩამოწევა ხშირად სრულებით არ იწუხებს აღამიანს.

ზოგჯერ კი მეტის მეტად ჭირვეულია; განსაკუთრებით მწარებებს ისეთ პირებს, რომლებსაც ნერვები დასუსტებული და აშლილი აქვთ.

დრო და დრო აუვარდებათ საშინელი ტკივილი მუცელი, გულის რევა და შეუჩერებელი პირის ღებინება.

ერთად ერთი წამლობა არის – მუცლის აკვრა შესაფერის ასაკრაიით.

თუ ამანაც არ უშველა ავადმყოფს, საჭიროა აპერაცია.

10. საშარდე პურატის ანთება, შირიმი, კიბო და ჰლევი.

საპარტაკეს უკან მუცელში მოთავსებულია შარდის ბუშ-ტი, რომელსაც უერთდება თირკმელებიდან ორი შარდსაწვერი მილი.

ამ მიღებით ბუშტში გროვდება შარდი და შემდეგ გამოილვრება შარდსაქცევი მილით.

თუ საშარდე მიღმი როგორმე გაძერენ სხვადასხვა სენი, ბაცილები, ისინი იწვევენ ბუშტის ანთებას.

ბუშტის ანთებას ხელს უწყობს ნამეტანი ცხარე საკველი, მაჭრის უხომოდ სმა და კენკები, რომლებიც ბუშტში ჩნდებიან,

ავადმყოფს შეამტკიცებს, სიცხეში ჩააგდებს, აუცილდება პატარა მუცლის ტკიფილი, წამდაუწუმ შარდზე მიაყენებს, შარდი მოდის ცოტა, მღერივ არის, ზოგჯერ შიგ სისხლია, ჩირქი, ლორწო; როდესაც გააჩერებთ კურქელში, დიდ ნალექს იგროვებს.

შარდის დაქცევის დროს ავადმყოფს ტკიცილები და წევ აქვს.

შარდის ბუშტის ანთება ხშირად არის შედეგი სუსუნატისა:

თუ ავადმყოფმა დროზე არ მოიჩინა შარდის ბუშტის ანთება, ის მიღებს ხანგრძლივ მიმდინარეობას და სიცოცხლეს გაუმწარებს.

მოტჩენისათვის აუცილებელია წოლა, თბილი აბაზნები, მეზავე წყალი და საჭმელად მარტო რძის, ტკბილი მაწენისა და ქათმის ნახარშის მიღება.

ჩვენ, ექიმებმა ვიცით ბუშტის გამორეცხვა სხვადასხვა წამლით.

რაც ბევრი იქნება შარდი, მით უმჯობესია. ამიტომ ავადმყოფმა ხშირად უნდა სვას წყალი, მეზავე წყალი, რძე, დო.



შარდის ბუშტს ხშირად სჩვევია დამბლა, რაც შედეგია სერთო სისუსტისა ან სიბერისა.

შარდის ბუშტი მიღუნდება, მოქმედება და შარდის ველარ ერეკება.

საკიროა მაშინ შარდის გამოშვება შესაფერის იარაღით.

საშარდე ბუშტში ბევრჯერ ჩნდება კენჭი, რომელიც ზოგჯერ იმდენად გაიზრდება, რომ ქვად გადიქცევა. ეს არის შირიმი. საშარდე ბუშტის კენჭი ხშირია ბავშებში, ქვა კიალგაზრდება და უფრო მოხუცებულებში.

აუცილებელია აპერაცია, თუ კენჭი დიდ ადამიანსა იქვს და რბილია, შეიძლება ბუშტში დაფშვნა ერთგვარი იარაღით და შემდეგ გამორეცვა.

საშარდე ბუშტში ხანდახან ჩნდება კიბო.

ავადმყოფს ხშირად ანდომებს შარდზე გასვლის, შარდი მლერიე არის, ჩირქიანი და სისხლნარევი; ხანდახან ავადმყოფი წმინდა სისხლზე გადის. ტკივილები და წვა იქვს მოშარდვის დროს. აპერაცია ხშირად შეუძლებელია შარდის ბუშტის სიპატარავისა გამო და ავადმყოფი რამოდენიმე თვეში კვდება. საშარდე ბუშტში კიბო უფრო მოხუცებულებს უჩნდება.

ზოგჯერ ბუშტში ჩნდებიან ღეჯეჯები რბილი მექეჭივით; ავადმყოფი ხშირად გადის შარდზე; შარდი ბევრჯერ სისხლიანია. აუცილებელია აპერაცია, რის შემდეგაც ავადმყოფი სრულებით რჩება.

შარდის ბუშტმა იცის აგრეთვე ჭლექი, თუ შივ ჭლექის ბაკილები გაძვრენ. ჯერ პატარ-პატარა ხორკლებს გამოყრის ბუშტში, შემდეგ ხორკლები დაჩირქდებიან. ავადმყოფობა ძალიან წააგავს საშარდე ბუშტის დახანებულ ანთებას: ავადმყოფს ხშირად ანდომებს მოშარდვის; შარდზე გასვლის დროს წვა იქვს, ტკივილები. შარდი ცოტა მოდის, მღვრიე არის, ჩირქიანი, სისხლიანი; ავადმყოფს ხან სიცხეს აძლევს, ხან არა. წვალობს რამდენიმე თვეს ან წელიწადს და კვდება, — მოჩჩენა შეუძლებელია.

II. ვენერიული სეიულებანი.

1. ზ მ ს ა ვ ა ლ ი.

ადამიანისათვის ერთ საშინელ ავადმყოფობას და ხშირად დიდ უბედურებასაც წარმოადგენენ სუსუნატი, რბილი, ათაშან ვი და სიფილისი.

როდესაც თქვენ ყველა ამ სნეულებას სასირცხო ფაფ-მყოფობას ეძახით და იმათზე ლაპარაკისა გრუხენიათ, გეროთი რებათ. აი ახლაც ზოგს გაგეცინათ, ზოგს შეგრცხვათ, ზოგს თავი ჩაძლუნა.

რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება შეცდომაა.

ადამიანის სხეულში არ მოიპოვება არც ერთი ასო, რომელიც სამარცხინო იყოს.

ყოველ ასოს აქვს თავის დანიშნულება, ყოველი ასო ასრულებს თავის საქმეს, ფრიად საჭიროსა და სასარგებლობით სხეულისათვის.

დამეთანისმებით, რომ სასარგებლო და საჭირო საქმის ასრულება სირცხვილად არ ჩაითვლება.

თვალი რომ გადაავლოთ ჭიებს, ბუჩებს, მატლებს, პეპლას, ფრინველს, ოთხფეხს, დარწმუნდებით, რომ ყველას აქვს სასქესო ასოები და ყოველი არსი მრავლდება ამ ასოების საშუალებით.

ამგვარივეა ადამიანის აგებულებაც. სასქესო ასოებს ის გვარიადვე უნდა მოვლა, როგორც ყველა დანარჩენ ასოს.

მათ სნეულებაზე ისევე თავისუფლად უნდა ვიღიაპარავთ, როგორც ყველა დანარჩენი ასოს სნეულებაზე.

იმ სამ ავადმყოფობას, რომელიც მე დაგისახელებ, წერ ექიმები ვენერიულ ავადმყოფობას კუწოდებთ

გარდა იმისა რომ ეს სენი ხშირად სამუდამოდ ასწეულებს იმინს, სიცოცხლეს უმწარებს და ნააღრევად უსპობს, ბევრ-ჯერ ჩამომავლობაზედაც გადადის.

შვილებს გამოჰყება ხოლმე და ერთგვარად მართლდება ხალხის თქმულება: მამების ცოდვის შვილები ზრდავენო.

ზოგჯერ ბავშვს დაბადებიდანვე დაჰყება თვალების სნეულება და თუ დროზე წამალი არ მიეშველა, ბრძანება.

რა არის ამისი მიზეზი?

ის გარემოება, რომ დედ-მამას სუსუნატი სჭირვებია.

ზოგჯერ ბავშვს ძვლები უსივდება, უიარივდება, ინალრება, ალარ იზრდება და კვდება.

რა არის მიზეზი?

ის გარემოება, რომ დედ-მამას სიფილისი სჭირვებია.

ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე ქალიშვილი თხოვდება; მისთვის იწყება სრულიად ახალი ცხოვრება: ოჯახი, შვილები, სიყვარული, სიტკბორება.

მაგრამ ჯავარისწერისთან ავე ემართება საშვილოსნოს ანთება, სნეულდება და, თუ არ მოკვდა, მთელი სიცოცხლე დასახირებული რჩება.

რა არის ამის მიზეზი?

ქმრის სუსუნატი.

როვორც უკვე ვითხარით, ვენერიული ავადებულება სამ-გვარია: სუსუნატი, რბილი ათაშანგი და სიფილისი.

სოფელში ყველაზე უფრო ეშინიათ სიფილისისა და ჰემ-ნიათ, სიფილისი სუსუნატისა და ათაშანგისაგან ჩნდებათ.

ამით სარგებლობენ განსაკუთრებით სოფლის შინაური ექიმები, აშინებენ ივალმყოფებს ყოველგვარ შემთხვევაში; არიქა, თავს უშველე სიფილისტიდ გადაგქცევიათ, და ტყავს აძრობენ.

ნამდვილად კი ეს სამი სხვადასხვა სნეულება სრულებით დამოუკიდებელია ერთი მეორისაგან და ერთი არასოდეს არ გადაეცევა მეორეთ.

შესაძლებელია, რომ სამივე ეს ვეადმყოფობა ქრისტიანულ დაუ-
მართოს აღამიანს, მაგრამ სუსუნატიდან არასოდეს არ ჩნდება
სიფილისი; ისე, როგორც სიფილისი არასოდეს არ გაღი-
ქცევა სუსუნატიალ.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამივე ამ სნეულებას
თავ-თავისი ბაცილები გააჩნია.

2. ს უ ს უ ნ ა ტ ი.

ცხენიდან იბადება მხოლოდ ცხენი, ვირიდან ვირი, ცხვა-
რისაგან ცხვარი და სხვა.

ასეა აქაც: სუსუნატის ბაცილები აჩენენ მხოლოდ სუსუ-
ნატს, სიფილისისა — სიფილის და სხ.

სუსუნატი ჩნდება თავდაპირველად უშეტეს შემთხვევაში
საშარდე მიღმი.

ავადმყოფი გრძნობს საშარდე მიღმი ჩხვლეტას, წვას,
სიმხურვალეს. მიღმის გამოსავალი პირი წითლდება და სივდება.

მიღმიდან იწყებს დენას მოთეთრო წბოლი, რომელიც
თანდათან სქელ, მოყვითალო ჩირქად გადაიქცევა.

ჩირქს ბევრჯერ სისხლიც გამოერევა.

იმავე დროს წვა და ჩხვლეტა თანდათან მატულობს და
განსაკუთრებით აწუხებს ავადმყოფს შარდზე გასვლის დროს.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება რამოდენიმე კვირას და
შემდევ ავადმყოფი რჩება, თუ წიმლობაშია და თავს უვლის
შესატერისად.

სუსუნატს რომ თავისი ბაცილები გააჩნია, დიდი ხანია
მაში დარწმუნებული იყვენ მეცნიერები, მაგრამ საჭირო იყო
იმ ბაცილების აღმოჩენა, რაც ადვილი საქმე არ არის.

მარტო აღმოჩენაც არ კმარა: უნდა მოაშენოთ, გაამრავ-
ლოთ და დაამტკიცოთ, რომ სწორეთ ეს ბაცილები იწვევენ
აღნიშნულ სნეულებას.

1879 წელს მეცნიერმა ნეისერმა აღმოაჩინა სუსუნატით
ავადმყოფის ჩირქსა და შარდში პატარა ტანის, ბურთივით
მრგვალი ბაცილები და დაამტკიცა, რომ ესენი აჩენენ სუ-
სუნატს.

ამ დღიდან უწოდებენ სუსუნატის ბაცილებს ნეისერის ბაცილებს.

ავადმყოფობა ზოგს ადვილად კიდებს ხელს, ზოგს შავრაც. უმეტეს შემთხვევაში ეს დამოკიდებულია წამლობაზე.

თუ ავადმყოფი რიგიანად წამლობს და უვლის თავს, სენ-ულება რამოდენიმე კვირაში რჩება.

თუ არა და ავადმყოფობა ღებულობს ხანგრძლივ მიმდინარეობას და ბოლოს სულ აღარ გამოდის ადამიანის ტანიდან.

ასეთ შემთხვევაში სუსუნატს მოსდევს ბევრგვარი უუდი შედეგი და ხშირად უბედურებაც.

სუსუნატი მეტად გავრცელებული ავადმყოფობაა. ბევრი ამას არაფრად იგდებს, უბრალო სნეულებად მიაჩნია და უნდა გავათუროთხილოთ:

სუსუნატი მეტის მეტად მძიმე ავადმყოფობაა—მძიმე თავისი გართულებითა და შედეგებით.

სუსუნატი თუ გაძნელდა, იწვევს ძალიან ხშირად შარდის მილის მოვიწროებას.

შარდი თანდათან ძნელად გამოდის, ბოლოს მხოლოდ წვეთავს და ზოგჯერ სრულებით იკეტება.

როდესაც შარდის მილი ამდენად მოვიწროვდება, მისი მორჩენა არა თუ ძნელია, ხშირად შეუძლებელია და მთელი სიცოცხლე ეწამლება ავადმყოფს, რომ ბევრი თავის მოკვლას ამჯობინებს.

სუსუნატი გადადის შარდის ბუშტზე და იწვევს ბუშტის ანთებას.

ავადმყოფს აძლევს სიცხეს. წამდაუწუმ მიაყენებს შარდზე და საშინელი წვის შემდეგ გამოდის რამოდენიმე წვეთი მღვრიე, სისხლიანი შარდი.

ზოგჯერ სუსუნატი იწვევს სასქესო კაკლების ანთებას, გასიებას, რასაც შედეგად მოსდევს უშვილობა.

ქალს უსივდება საშვილოსნო, საკვერცხეები, უჩირქდება საშვილოსნოს ლულები და ყოველივე ამას შედეგად მოსდევს უშვილობა, მუდმივი ტკივილები და ბევრჯერ სიკვდილი.

შარდის ბუშტიდან სუსუნატის ბაცილები თირკმელების მიღებით გადადიან თვითონ თირკმელებში და იწვევენ მათ ანთებასა და დაჩირქებას, რასაც ბევრჯერ შედეგად მოსდევს ავად-მყოფის სიკედილი.

მოხდება ხოლმე, რომ სუსუნატის ბაცილები გაძვრებიან სისხლში და აქედან დაბინავდებიან სახსრებში.

ავადმყოფს უჩინდება სახსრების ანთება ანუ სახსრების ქარები, რასაც შედეგად მოსდევს სიცხე უა დიდი ტკივილები.

სახსრებში სუსუნატის ბაცილებს განსაკუთრებით უყვართ მუხლი, უფრო ხშირად მარცხენა მუხლი.

მუხლი სახსარში სივდება, მოძრაობა შეუძლებელია.

ავადმყოფს აძლევს დიდ სიცხეს, საშინელი ტკივილები აქვს. სნეულება ნელ-ნელა ცხრება, მაგრამ ფეხი მუხლში სამუდამოდ გაშეშდება.

ზოგჯერ სუსუნატის ბაცილები სისხლიდან გულში დაბინავდებიან, იწვევენ გულის ანთებას და ავადმყოფი კვდება.

ზოგჯერ სუსუნატს შედეგად მოსდევს სქესობრივი უნარი-ანობის დასუსტება და სრული დაკარგვაც.

— — —

3. ჩბილი ათაშანი.

ამ სამ ავადმყოფობათა შორის ცველაზე უფრო იოლია უბრალო ანუ რბილი ათაშანი.

ის ჩიდება სასქესო ასოების კანზე, უმეტესად თავზე.

ჯერ გამოაყრის წითლად რამოდენიმე ალაგას, გამონაყარი მუწუკდება და შემდეგ წყლულდება.

წყლულები თანდათხ მატულობენ, ღრმავდებიან და იქიდან იწყებს დენას ჩირქი.

წყლულის ნაპირები ამოჭმულია და უსწორ-მასწორო.

ძირი და გარეშემო კანი რბილია. ამიტომ ეწოდება ამ ავადმყოფობას რბილი ათაშანი.

სიფილისის წყლულს კი მაგარი ძირი აქვს და ამიტომ მას უწოდებენ მაგარ ათაშანი.

რბილი ათაშანი იწყება ყოველთვის რამოდენიმე წყლულით და მათი რიცხვი კიდევ მატულობს რამოდენიმე დღის განმავლობაში.

რბილი ათაშანი არასოდეს არ გადიქცევა მაგარ ათაშანგად ანუ სიფილისად, რაღაც რბილ ათაშანგს იწვევენ სულ სხვა ბაცილები, სიფილის კი — სულ სხვა.

რბილმა ათაშანგმა ძვირიად იცის გართულება და უმეტეს შემთხვევაში მაღლე და ადვილად ჩჩება.

ცველაზე უფრო ხ'მირი გართულება ამ სნეულების დროს არის საზარდულის ჯირკვლების ანთება და დაჩირქება.

ბაბონი გაუჩნდათ, იტყვით ხოლმე თქვენ ასეთს შემთხვევაში.

4. ს ი ზ ი ლ ი ს ი.

დაგვრჩა ერთი უმთავრესი ვენერიული ავადმყოფობა — სიცოლისი.

ვენერიული ავადმყოფობა უმთავრესად ქალაქის ავადმყოფობაა, მაგრამ ქალაქი და სოფელი თანდათან უახლოედებიან ერთმანეთს, სოფელი აძლევს ქალაქს რაც იმასა აქვს — პურს კვერტს, კველს, ქათამს, ღვინოს, ერთის სიტყვით სანოვაგებს; სამაგიეროთ ქალაქიც აძლევს რმას, რაც გააჩნია.

ვენერიული ავადმყოფობით ქალაქი მდიდარია და ძალიან უხვად სთავაზობს სოფელს.

სიფილის აჩნის ერთგვარი წვრილი, მოგრძო და ჭახრა-კივით დახლაკნილი ბაცილა, რომელიც აღმოჩინა შეცნიერმა შოდენმა 1905 წელს.

ვაძერება თუ არა ეს ბაცილა ადამიანის სხეულში, იწყებს შეგ ვამრავლებას და იწვევს სიფილის კველა მისი საშინელი შედეგით.

სიფილისი დახანებული ავადმყოფობა არის.

ახალგაზრდობისას რომ დაემართება ადამიანს, ზოგჯერ ღრმა სიბერებით ატარებს მას და მასთან ერთად ჩადის საულივში.

ადამიანის სხეულში სიფილისი სხვადასხვა დროს სხვა-დასხვა სახეს დებულობს და იწვევს მრავალნირ გართულებას.

ქალს მუცელი მოსწყდა, — სიფილისის ბრალი ჰყოფილი.

ადამიანი დაბრმავდა, სიფილისის ბრალი ჰყოფილი.

დამბლა მოუვიდა, კკუაზე შეირყა, გიდირია, — აქაც სიფილისი ჰყოფილა დამნაშავე.

სიფილისა აქვს ოთხი სხვადასხვა ხანა.

როდესაც იღამიანს. გამოუვა საღმე სიფილისის წყლული და გარეშემო ჯირკვლები შეუსივდება, ეს არის პირველი ხანა.

როგორც კი შეეყრება იღამიანს სიფილისი, მაშინათვე კი არ გამოაჩნდება წყლული, არამედ სამი ან ხუთი კვირის შემდეგ, ძვირად—ორკვირაზე.

წყლულის გამოჩენის შემდეგ გაივლის ორი-სამი თვე და დაიწყება მეორე—ხანა გამოფენისა. ავაღმყოფი სისუსტესა გრძნობს, ცოტაოდენი სიცხე აქვს, თავი სტკივა, ძვლები სტეხოვს, შემდეგ გამოჰქმდება წითელასავით მთელ ტანზე და ჯირკვლები შეუსივდება ცველგან.

გამოჰქმრის ყელში და ზოგჯერ ხმა ჩაეხლიჩება. შემდეგ იწყებს ცვენას თმა, წარბი, წიმწამი, წვერ-ულფაში.

ზოგჯერ სიფილისი ისე მძლავრად გამოჰქმდება, რომ ყვავილი გეგონებათ.

ზოგჯერ იქა-იქ დააყრის და ავაღმყოფი ვერც კი შენიშვნას; გამოფენილი თავისთვად რჩება მაგრამ გაივლის რამდენიმე ხანი და ხელახლად გამოჰქმდება.

მეორე ხანა გრძელდება ბევრჯერ ორი-სამი წელიწადი.

ამის შემდეგ ავაღმყოფს ძვლები უსივდება, წვივებზე ან სხვაგან, ზოგჯერ თავზე კოპები ამოებერება, მერე დაუჩირქდება, ცხვირში შიგნით იარა გაუჩნდება და თუ დროზე თავს არ უშველა, ცხვირი ჩაუვარდება.

ყელში გაუჩნდება წყლულები და და ხმა ეკარგება, სუნ-ოქვა თანდათან შეეკვრის.

თავის ტვინში გაუჩნდება კოპები და დამბლა დაემართება. ეს არის მესამე ხანა სიფილისისა.

ბოლოს იწყება ხერხემლის ტვინის გახმობა, რასაც შედეგად მოსდევს ორივე ფეხის დადამბლავება; თავის ტვინის დასწულება, რასაც შედეგად მოსდევს სიგირე და სიკვდილი; თვალის ნერვების გახმობა, რასაც შედეგად მოსდევს დაბრმავება.

ამ ეს არის მეოთხე ხანა სიფილისისა.

პირველ ხანაში სიფილისი გადამდებია, აგრეთვე მეორეში.

მესამესა და მეოთხეში — არა. ათასში ერთხელ მესამე ხავთ გადადება.

როგორ ვრცელდება სიფილისი?

ორის გზით: გარედან გადადებით და მეტვიდრეობით.

პირველ შემთხვევაში სიფილის გადაღის ერთი ადამიანი-დან მეორეზე ან პირდაპირ: კოცნით, სქესობრივი შეერთებით — ან სხვადასხვა ნივთების საშუალებით — კოვზით, დანა-ჩან-გლით, ჭიქით, სამართებლით და სხვ.

ამიტომ სიფილისის წყლული შეიძლება გამოვიდეს მარტო სასქესო ასოზე კი არა, არამედ უველგან — კანზე, ლოკა-ზე, ტუჩზე, ენაზე, თითზე.

იმ ალაგას, სადაც სიფილისიანის ჩირქი მოცემება, უსა-თუოდ უნდა იყოს კანი ცოტათი მაინც გაკაწრული.

ჩირქის მოცების შემდეგ გაივლის რამოდენიმე კვირა და იმ ალაგას განჩდება ძირმაგარა წყლული. ამიტომ უწოდებენ სიფილის მავარ ათაშენეს.

როდესაც სიფილისის წყლული გამოჩნდება, მაშინ უკვე მთელი სხეული, განსაკუთრებით სისხლი გავსებულია სიფილი-სის ბაცილებით

სწორედ ამაშია სიფილისის საშინელება.

უმაღ რომ კანზე ჩნდებოდეს წყლული და შემდეგ გა-დადობდეს ჯანში სნეულების შხამი, მაშინ მისი მორჩენა ად-ვილი საქმე იქნებოდა; მოვჭრიდით, ამოვწვავდით წყლულს და იმის შხამს ალარ გაუშვებდით შიგნით.

პეტრე საქმეც იმაშია, რომ წყლული მხოლოდ იმის შე-მდეგ ჩნდება, როდესაც მთელი სხეული უკვე გაედენთილია სიფილისის ბაცილებით.

სიფილისის წყლული უმეტეს შემთხვევაში ერთია ან ორი. ის პატარაა, მრგვალი, ამობერილი, მოწითალო და ნაპი-რები სწორი იქვს შემოკლიტებული; ძირი იქვს მაგარი. ჯერ წყლულის მახლობლად, შემდეგ მთელს ტანში — საზარდულებ-ში, ილლიტში, ნიდაყვებში, კისერზე, — ჯირკვლები სივდე-ბიან, ზოგჯერ კისერზე და ბეჭებზე კანი აფორაჯდება, დაი-

ჩუთება თეთრიად, შემდეგ იცის გამოფენა ტანზე, ხელებზე, კა-
მოყრა პირში, ყელში, ცხვირში.

ბოლოს ჩნდებიან დიდი და ღრმა წყლულები ქვებში,
ლვიძლებში, ფილტვებში, გულში, ნაწლავებში და ავადმყოფი
კვდება.

ასეთი გართულება შედარებით იშეიათია, თუ რომ ავად-
მყოფი დროშედ და რივიანად წამლობს.

სიფილისი ხშირად ასწეულებს ხერხემლის ტვინს.

ტვინი ნელ-ნელა იწყებს ხმობას და მორჩენა შეუძლებე-
ლია. ავადმყოფს თანდათან ფეხები უბრუშდება, შემდეგ ტკა-
ვილები ეწყობა ფეხებში და მუცელში დრო და დრო, ტკიე-
ლები მეტად მწვავეა.

შემდეგ და შემდეგ ფეხები აღარ ემორჩილება, სიარული
თანდათან უძნელდება, ფეხებს მიაბარტყუნებს სიარულის დროს
თვალს აკლდება.

ბოლოს მთლად დამბლა ემირთება, ლოგინად ჩავარდება,
სუსტდება და კვდება.

ეს გართულება თანდათან მაღლ ერევა ავადმყოფს, ზოგ-
ჯერ კი ნელნელა მიმღინარეობს და ავადმყოფი ორი წელი და
შეტიც უძლებს.

ბოლო კი ყველასი ერთია: დაკუტდება, ლოგინად ჩავა-
რდება და შემდეგ სიკედილი.

არის შეორე გართულება, როდესაც ხერხემლის ტვინი კი
არა ხშება, არამედ თავის ტვინი.

ეს ავადმყოფობა მეტად საინტერესოა ის რა მხრივ: აშ-
კარიად ამტკიცებს რო არავითარი სული არ არსებობს; სული-
ერი ცხოვრება ჩალდება ტვინში და ტვინის მოსპობასთან ერ-
თად ისიც ისპობა.

რაში გამოიხატება ეს სნეულება?

ავადმყოფს ემჩნევა ძარღვების აშლილობა: ცხარობს, აღ-
ვილად მოსდის გული.

შემდეგ და შემდეგ საქმეზე გული უცრუვდება, მუშაობა

და მეცადინეობა ეზარება, აღარ ეზალისება; გულისყური ექა-
რება, გულმივიწყო ხდება.

ამგვარი მდგომარეობა გრძელდება რამოდენიმე ხანს.

შემდეგ ავადმყოფს ხასიათი ეცვლება.

ხახლში აღარ ჩერდება, ნაცნობებსა და ნათესავებში სია-
რულს უხშირებს, ლაპარაკს უმატებს, ცრუობს, ქეიფსა და
ლოთობას იწყებს, უთავბოლოთ ხარჯავს ფულებს, სირცხვილ-
ნამუსის გრძნობა ეკარგება.

ამის შემდეგ ავადმყოფი იწყებს მეტად თავისებურ ბოდ-
ვას, რომელშიაც ვანდიდება გამოიხატება: მე ლამაზი ვარ,
ახვანი, ყველაზე ღონიერი, უხომოდ მდიდარი, მეფე ვარ,
ქრისტე ღმერთი და სხვ.

ამგვარ მდგომარეობაში ავადმყოფი ბევრს ლაპარაკობს,
ბევრს დალის, კამათობს, ცხარობს, გული მოსდის, ყვირის.

შემდეგ და შემდეგ სნეულის ოცნება და ბოდვა ნელა-
ნელა სუსტდება, ავადმყოფს აზროვნება ეკარგება, აღარაფე-
რი აღარ ახსოვს, აღარაფერი აღარ აწუხებს, სრულებით კმა-
ყოფილია.

სისუსტე ერევა, სიარული უკირს, ხელები უკანკალებს,
ენა თანდათან ებმება, ვეღარავის სცნობს, დამბლიდ ჩავარდე-
ბა, ლოგინიდან ვეღარ დგება, ქვეშ ისერის, გონება და აზრი
სრულებით ეკარგება და მთლად გამოსულელდება.

ამგვარ მდგომარეობაში უსწრებს მას სიკედილი.

როდესაც ვასკრეს ამისთანა მიცვალებული, რა აღმო-
აჩნდა?

აღმოაჩნდა ის, რომ ამ ავადმყოფობას სარჩულად უდევს
ტვინის რუხი ნაწილის ანუ ტვინის ქერქის დასნეულება.

ერთ-ერთ საუბრის დროს მე იგიხსენით, რომ ტვინს რუ-
ხი ქერქი იქნა და თეთრი გული.

ქერქი შესდგება პატარ-პატარა ნაწილებისაგან, რომლებ-
საც უჯრედებს უძახიან.

ამ უჯრედებიდან მოდის ურიცხვი წვრილი ძაფები და ი-
ესენი შეადგენენ თეთრ გულს.

ამ ძაფებით ტვინის უჯრედები უკავშირდებიან ქრისტოს და ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს.

ეს ძაფები ასრულებენ ტელეგრაფის მავთულების მოვალეობას: სხვადასხვა განკარგულება ამ ძაფებით ტვინიდან მოღის ჩვენი სხეულის ყველა ნაწილში.

უკრეთვე ჩვენი სხეულის ნაწილებიდან და გარედან სხვადასხვა ცნობები ამ ძაფებით მიუღის ტვინს.

სიფილისის შხამი მოქმედობს თურქე ჩვენი ტვინის მთავარ ნაწილებზე,—უჯრედებზე, რომლების მუშაობაზედაც დამუკიდებულია ჩვენი ფიქრი, გრძნობა, აზროვნება, მოქმედება, ერთი სიტყვით მთერი ჩვენი გონივრული ცხოვრება.

ტვინის უჯრედები ნელ-ნელა სნეულდებიან, ილევიან; ადამიანს ხასიათი ეცვლება.

უჯრედები ისპობიან, თავის ტვინი ილევა, პატარავდება და აღამიანიც სულელდება, დამბლავდება და ბოლოს ლოგნად ჩაერთდნილი კვდება.

ამ ვადმყოფობის დროს განსაკუთრებით სნეულდება და ილევა ტვინის შუბლის ნაწილი.

რას ამტკიცებს ყოველივე ეს?

იმას, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებას აწარმოებს თავის ტვინი და არავითარი სული არ არსებობს.

დასნეულდება თავის ტვინი, სულიერი ცხოვრებაც ის-ლიკვა:

მოისპობიან უჯრედები ტვინში, ადამიანი სულელდება, დამბლავდება და კვდება.

ილარუ სიციონ არის? როგორ დავიჯერო! იწყვის გულში ბევრი თქვენგანი.

თუ კი სული არ არსებობს და ყოველივე ის, რასაც ჩვენ სული ვაწერდით, ტვინის საქმე ყოფილი, სიციონ რაღა მოხველეა, ვინდა უნდა წავიდეს იქ?

— მა ი სამოთხე და ჯოჯოხეთი? შენ ამბობ გეო?

— შე კი კაცო, თუ სიციონ არ არის, სამოთხე და ჯოჯოხეთი საღლა იქნება?



ყოველივე ეს ზღაპარია, რომლითაც თქვენისთანა მშრომელ ხალხს თვალებს უხვევდენ, რომ უფრო მაგრა დასჯლობოდენ კისერზე. გამხედეთ სამყაროს.

ყველგან გაუზომელი სივრცეში ვარსკვლავებია. სივრცეში ვარსკვლავებია. თვითონული ვარსკვლავი წარმოადგენს მზეს და იმის გარშემო მოძრაობს მრავალი დედამიწა, ჩვენი დედამიწის შეგავსაღ.

რომელიმე ვარსკვლავიდან რომ ვინმემ გამოიხედოს, ჩვენი მზეც ჰატარა ვარსკვლავად გამოჩნდება. ყველგან სიცოცლეა და შეუჩერებელი ცვალებადობა.

სიკედილი ცვალებადობა — სხვა არაფერი.

ვკედებით იმიტომ, რომ ჩვენი სხეული დაიშალოს მასალად და ამ მასალიდან ბუნებამ სხვა რამ ახალი შეჯერას — მცენარე, ბალახი, ცხოველი და სხვ.

ყველგან სივრცე, ყველგან მზე, ყველგან უედამიწა — რა არის სიციონი, — საღ არის სიციონი?

იცით რა?

დაუთმოთ მთელი სიციონი იმათ, ვინც მუდამ სიციონზე ცენტრინებოდათ.

ჩვენ კი დავიმკვიდროთ ეს ქვეყანა და მოვაწყოთ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

დღეიდან ნულარ გავაჭავანებთ ბატონებსა და მუქთახოებს, მშრომელი ხალხის წურბელებს.

ახლა ისევ ჩვენს სიფილისს დაუბრუნდეთ.

5. მიმკვიდრეობითი სიცილისი.

რა გზით გადაეცემა დედმამის სიფილისი შეიღოს?

სიფილისის ბაცილები მრავლდებიან იღამიანის სისხლ-და აქედან მოედებიან მოელს სხეულს; გადადიან აღამიანი, თესლში და აქედან აღამიანის ჩანასახში.

ჩანასახი იზრდება დედის მუცელში, სიფილისის ბაცილები მრავლდებიან იმის სხეულში.

დაიბადა ბავში და მოელი მისი აგებულება გამოტენილ სიფილისის ბაცილებით.

ხშირად ბავში დედის მუცელშივე კედება და დედას წ. დიზედ სწყდება მუცელი—ორი სამი თვისა, შემდეგ უფრო კუნ და გვიან შვიდ-შვიდი თვისა, რეისა, ცხრისა.

ზოგჯერ ბავში ცოცხალი იძადება, მაგრამ ისევ მაღალ კვდება.

ბევრჯერ ბავშს ათ-თორმეტ წლიამდე ირაფერი ეჩინება, და ამის შემდეგ უსივდება ძელები, იარები უჩნდება და, დროულ არ უპატრონეს, კვდება.

ვენერიული ავადმყოფობა თავისით აჩავის არ უჩნდება.

ამ სნეულების ბაცილები არც ჰაერში ბინადრობენ, არ მიწაში, არც წყალში.

ისინი არიან იღამიანის აგებულებაში და ავადმყოფისა—გან გადაედება საღს ან პირდაპირ სხვადასხვა საგნების—სამართებლის, ჭიქის, კოვზის და სხვ. საშუალებით.

რითი შეიძლება, რომ თავი დავითაროთ ვენერიული ფაზ მყოფობისაგან?

ლოთობისა და გარყვნილობის განდევნით.

გეტუვით პირდაპირ: თქმა ამის ადვილია, შესრულება კი ძნელი.



მაგრამ ის, რაც ძნელი ასასრულებელია ქალაქში, შედარებული არ გით აღვილია სოფელში.

ყველა ცხოველსა და მათ შორის ადამიანსაც აქვს სქესობრივი მოთხოვნილება და ეს მოთხოვნილება საკმაოდ მძლავრია.

ის უნდა დავაყენოთ ბუნებრივ გზაზე.

ეს ბუნებრივი გზა არის აღრე ცოლის შერთვა.

ქალაქში ეს ძნელია, მას წინ ელობება ბევრი დაბრულება.

სოფელში კი ოცი წლის ახალგაზრდამ ცოლი უნდა შეირთოს.

თვრამეტი წლის ქალი უნდა გათხოვდეს.

ნაწილი მთვარე.

სხვადასხვა სეიულებანი.

1. პირველი დაზღარება უმცარი უბეღურების ღრუს.

ეისმე თუ მძიმე რამე მოხვდა, ან დაეჯახა, დაეტა, კანი და ხორცი ეჟეჟება, ხშირად კანი ლურჯდება, აიბერება და ზოგჯერ სკდება კიდევ. დაუეტილმა ხორცმა იცის ტეხფა და დასაწყნარებლად საკმარისია ცავ წყალში დასველებული ტილოთი შეხვევა. თუ ალაგი ცოტათია დაეუეტილი, საკმარისია ოდნავ ზეღია. ხანდახან დაეტესისა გამო სისხლის მილი სკდება კანქვეშ და შიგ სისხლი ჩაიღერება, რის გამო კანი რგვლად ამოიბერება. ამგვარ შემთხვევაში დაეუეტილი ილაგი უნდა შეუხვიოთ სველი ტილოთი და ორი სამი დღის შემდეგ დღეში ორჯერ სამჯერ ნელა-ნელა უზილოთ. უმეტეს შემთხვევაში სიმსიცნე ამ გზით ჰქონდება. თუ ადამიანს ტვინი დაენჯლრა ღონიგრად, მას გული უწუხდება გრძნობა ეკარგება, ხშირად გულიც ერევა და პირს აღებინებს ამ დროს. თუ ფილტვები დაენჯლრა, სისხლის ხეელება აუვარდება ხოლმე. თუ ღვიძლი, ან თირკმელი, ან ელენთა ძალიან დაენჯლრა შეიძლება გასკდეს კიდევ. მაშინ ადამიანი გრძნობს ტკივილს მუცელში და რადგანაც შიგნით მუცელში სისხლი ბლობიდ იღვრება, ადამიანს ფერი ეკარგება, ყვითლდება, გული უსუს-ტდება. თუ სისხლი ბევრი ჩაიღეარა მუცელში, დაშავებული მალე კვდება. ამისთანა შემთხვევაში ავადმყოფი უნდა დააწვინოთ წყნარად, შეუხსნათ კველაფერი, გულზე და სახეზე წყალი აპუროთ. თუ სახე დაწითლებული აქვს, თავი დაბლა უნდა დაუდოთ და ფეხები კი მაღლა.

ჩვენს յანზედ ქრილობას ბევრგვარი იარაღი და საგანი იწვევს; დანა, ხანჯალი, ხმალი, თოფი, დამბაჩა, ქვა, კეტი და სხვა. ვინც დაკვირვებია ქრილობას, დაინახვდა, რომ ის ორნაირათა ჩჩება: ქრილობის ნაპირები ერთმანეთს ეწებება და მალე ჩჩება თითქმის დაუჩნევლად; ზოგჯერ კი ქრილობა ჩირქდება და მორჩენა ხანგრძლივდება. თუ ქრილობა რამდე გასვრილი იარაღის შედეგია, ჩირქდება, გარშემო კანი სიცუბა, ანთება ჩნდება, წითელი ქარი, ზოგჯერ სისხლი იწამლება და ავადმყოფი კვდება.

სანამ ქრილობას მოუვლიდეთ, ხელები კარგად უნდა დაიბანოთ საპნით, თბილი წყალით, ან ცივით, თუ ხელი და თბილი არ არის. შემდეგ ქრილობის გარეშემო კანი კარგად უნდა მობანოთ და სუფთა, ახალ გარეცხილი ხელსახოცით, ცხვირსახოცით, ან პირსახოცით შეუწინდოთ. ქრილობაში თუ სისხლია შედედებული, მას ხელი არ უნდა ახლოს; რადგანაც შედედებული სისხლი დენას აკიებს და, თუ მოაკლეთ, შეიძლება სისხლი წამოსკდეს. შემდეგ სუფთა ცხვირსახოცი დააფარეთ ქრილობას და კარგად შეახვიეთ. რაც უნდა ვატარა იყოს, დიდი სისუფთავეა საჭირო, რადგანაც სულ ვატარა ქრილობა შეიძლება გაძნელდეს და აღმიანი იმსხვერპლოს, თუ ქრილობას პირი დალებული აქვს, უნდა ნაპირები ერთმანეთზე მისწიოთ და ისე შეახვიოთ.

ძალიან ცუდი ჩვეულებაა სოფელში: ქრილობას აყჩიან ცხენის განავალს ან აბლაბუდას (ობობას ქსელი). ერთიცა და მეორეც სავსეა ბაცილებით და ქრილობის გაძნელება ბევრნაირად შეუძლიათ, მოშუშება კი სრულებით არა. დაკრილი ასო მოსვენებული უნდა იყოს. თუ ფეხია დაჭრილი, აფადმყოფი ისე უნდა იწვევს, რომ შეხვეული ფეხი მაღლა იდეას. თუ ხელია დაჭრილი, ის ხილაბანდით (სამყურა თავშესახვევი) უნდა ჩამოიკიდოს კისერზე ისე. რომ როცა ხელი ხილაბანდშია, ხილაბანდის ყური იდაყვისაკენ უნდა იყოს და არა თითებისაკენ.

ყოველი ქრილობის დროს უპირველესად საშიშია სისხ-

ლი 6-7 დენა. ადამიანის აგებულებაში ორნაირი სისხლის მიუღებია: არტერიები და ვენები; არტერიებით სისხლი მოდის გულიდან სხეულში; ვენებით კი სისხლი ბრუნდება სხეულიდან უკანვე გულში. არტერიების სისხლი ალისფერია, ვენებში კი შევი. არტერიები ფეთქვენ, აქ სისხლი სწრაფად გარბის; ვენები კი არა ფეთქვენ, აქ სისხლი ნელა მიმდინარეობს. ამიტომ თუ ჭრილობიდან სისხლი გადმოსწევს შორს და ალისფერია, არტერიაა გაქრილი და, რაც უფრო სხეილია არტერია, მით უფრო სხეილათა და შორს სწრევს სისხლი. ხოლო თუ სისხლი შავად გადმოდის ერთნაირად, ვენაა გაქრილი.

ვენიდან სისხლის დენა საშიში არ არის. არტერიიდან სისხლის დენა კი საშიშია, რადგანაც თუ დროზე არ შეჩერდა და არტერია საკმაოდ სხეილია, დაშავებული იმდენ სისხლს ჰყარგავს, რომ რამოდენიმე წიმში შეიძლება სული ვანუტევოს. როცა ვენიდან მოდის სისხლი, ჭრილობის ზევით თუ რამეა მოკერილი, უნდა მაშინათვე შემოხსნათ, ჭრილობაზედ სუფთა ცხვირსახოცი დააფაროთ და საქმიაოდ მაგრაც შეუხვიოთ.

თუ სისხლი სხეილი არტერიიდან მოდის, დაქრილს უცებ უნდა გახადოთ ტანისამოსი, რომ დაქრილი ალაგი გაუნთავისუფლოთ, დაახვიოთ მაგრაც უხმარი ხელსახოცი, დაადვათ ჭრილობაზე და ხელი ღონივრად დააჭიროთ. თუ ჭრილობა ხელზეა, ან ფეხზე, თასმი ან პირსახოცი ღონივრად უნდა მოუქიროთ ჭრილობის ზევით, რომ გულიდან წამოსული სისხლი ჭრილობაში იღარ გამოუშვათ. თუ ჭრილობა სახეზეა ან კისერზე, მაშინ თასმი ან პირსახოცი იღარ გამოდგება, რადგანაც დაქრილს დაახრიობთ, თუ კისერზე მოუქირეთ: ამ შემთხვევაში ყელზე ხორხის გვერდით ჭრილობის ქვევით თითები უნდა მიაჭიროთ შიგნით და კისრისაკენ: აქედან ამოდიან თავისაკენ არტერიები და რაკი მათ თითებს ღონივრად მიაჭერთ, სისხლის დენა შედგება. თუ სისხლი თითების და-

ქერით შეწყდა, თითები უიღხანს არ უნდა აუშვათ. ერთს რომ დაეღალება ხელი, მეორე უნდა მიეშველოს.

როდესაც ფილტვებიდან სისხლი მოდის, ჯერ თბილად მოადგება გულზე, შემდეგ კელში და, წამოახველებს თუ არა, სისხლი წამოსქდება; სისხლი ალისფერია.

ვისმე თუ გულზედ მძიმე რამე დაეცა ან მაღლიდან გად-
მოვარდა, შეიძლება, ფილტვებში სისხლის ძარღვი გაწყდეს
და სისხლი წამოსქდეს. სისხლის ხველება ხშირად ჭლექიანს
სჩვევია. ამგვარ შემთხვევაში ავადმყოფს გული უნდა გაუხს-
ნათ და ისე დააწვინოთ, რომ თავი და ბეჭები მაღლა ჭქნ-
დეს. ავადმყოფი წყნარით უნდა იწვეს, ტრიალი არ შეიძლე-
ბა, ხალხი არ უნდა შემოეხვიოს გარშემო; ავადმყოფმა ხვე-
ლა უნდა შეიკავოს რამდენიც შეუძლია და ცოტცოტა ციკი
წყალი ყლაპოს, ან ყინული. გულზე ცივ-წყალში დასუელე-
ბული ტილოები უნდა იფინოთ. ზოგჯერ ავადმყოფს პირიდან
სისხლი მისდის, მაგრამ ფილტვებიდან კი არ არის სისხლი,
არამედ კუჭიდან.

როცა ვისმე სისხლი ფილტვებიდან მოსდის, ის ახველებს
და სისხლა ალისფერი და ქაფიანია.

როცა სისხლი კუჭიდან მოდის, ავადმყოფს ხველება კი
არა იქვს, არამედ პირის ღებინება; სისხლი შეგია, --შედედე-
ბული ან ყავის მსგავსი.

კუჭიდან თუ ავადმყოფს სისხლი ამოსდის, ეს იმას ნიშ-
ნავს რომ მას კუჭში წყლული გასჩენია, ან რაიმე სიმსივნე
გამოსვლია.

ამგვარ შემთხვევაში ავადმყოფი უნდა დააწვინოთ, ტანი-
სამოსი გაუხსნათ, ციკი წყალი ან ყინული აყლაპოთ, მუ-
ცელზედ გულის კოეზთან — უფრო მარცხნით ცივ წყალში და-
სუელებული ტილოები იფინოთ და ხშირად უცვალოთ.

როცა ვისმეს ცხვირიდან მოსდის სისხლი, ცხვირის მო-
ხოციას ან კირტნას ამ დროს თავი უნდა დაანებოს. ზოგირთ
სისხლი რომ შეუდედება (ჯხვირში ვერ გუობს და იხოცს,
რაც უფრო იწვევს სისხლის დენას შეწყვეტის მაგირ. ხელ-

ბი უნდა ასწიოს, კისერზე და ცოტა ქვევით ხერხემალზე ციფ-
წყალში დასველებული ტილოები იფინოს. აგრეთვე წვივებ-
ზედ სველი ტილოების ფენაც შველის. მამაკაცებს შველის
ხშირად სასქესო ასოების გარშემო ციფ-წყალში დასველებუ-
ლი ტილოების შამოფენა. თუ კურიდან სისხლი გამოედინა
ვისმე, წყნარად დაწოლის მეტი არაფერია საჭირო.

თუ დაეანგებულ ლურსმანს, რეინას ან გასვრილ ხეს
გადაახია ვინმებმ ფეხი ან ხელი, ჩირქის გამომწვევი ბაცილები
სისხლში შედიან და ზოგჯერ აჩირქებენ ყველა შინაგან ასო-
ებს; მაშინ სისხლი იწამლება და ადამიანი კვდება.

იგივე უნდა ვთქვათ გველის შხამზეზაც. ზოგიერთსა
ჰვინია, გველი როცა აღამიანსა ჰქაბენს, ენის წვერს ჩაასობს
ხორცუში და შხამს ჩაუშვებსო. ეს შემცდარი შეხელულებაა.
შხამიან გველს გვერდზედ კბილი აქვს, რომელსაც შუაში მი-
ლი აქვს; კბილის ძირში პატარა პარკია, რომელშიაც შხამი
გროვდება. შხამი კი შხადდება მახლობელ ჯირკვლებში. რო-
დესაც გველი აღამიანს უკბენს და პირს მოუშერს, კბილი
დაეჭირება შხამით სავსე პარკს, პარკიდან შხამი წამოვა კბი-
ლის მილში და ჩადა ნაკბენში; აქედან შხამი გადადის სისხლ-
ში, სისხლიდან გულში; გულიდან ვრცელდება მთელ სხეულ-
ში და სწამლავს მას.

ყველა ამგვარს შემთხვევაში ნაკბენს ან გაჭრილს ზევით
თასმა, ბაწარი ან პირსახოუცი უნდა მოუჭიროთ, რომ შხამი ან
ბაცილები გულისაკენ ვერ წავიდენ; შემდეგ უნდა ეცადოთ,
რომ სისხლი ჭრილობიდან ან ნაკბენიდან უკან გამოდენოთ
ზევიდან ქვევით ჭრილობისა და ნაკბენისაკენ ზელითა და სრე-
სით. ეს იმიტომ არის კარგი, რომ შხამი უკან გამოჭყეს სის-
ხლს. ვისაც ტუჩები არა აქვს დახეთქილი, თუ იმოსწოვს ნაკ-
ბენს და ჭრილობას, ძალიან კარგია.

ამგვარ მოვლასთან ერთად შხამიანი გველისაგან დაკე-
ნილს მალე უნდა ასვათ ბევრი არაყი ან მაგარი ლეინო, რომ
დათვრეს. შემჩნეულია, რომ მაგარი სასმელი გველის შხამს და-

ლას უკარგავს. ამის შემდეგ კარგია გახურებული ლურსმანით ან წინდის ჩხირით ნაჯენის ამოწვა.

ადამიანის გაუფრთხოლებლობით დიდ უბედურებას ახდენს ზოგჯერ ცეცხლი და ცხელი წყალი. ზოგიერთი დედა ცეცხლთან პატარა ბავშვს დატოვებს და თვითონ კი გარეთ გავა. პატარა მიუცოცდება ცეცხლს, მოეკიდება ტანისამოსზე და, სანამ მოეშველებოდენ, დაიწვის კიდეც. ზოგჯერ უყურადღებობით ბავშვი გახურებულ თონეში ჩავარდნილა, ან ცხელი წყალი ტანზე გადაუსხავს ჭრა სხვა. ბავშვი მეტად ცნობისმოყვარე; ყოველიფერი უნდა გასინჯოს, ყოველისფერში თითო უნდა ჩაჰქრას; ამავე დროს იმდენი კეუთა და გამოცდილება არა იქნას, რომ იცოდეს, რას უნდა მოერიდოს. ამიტომ ცეცხლი, ნავთი, ცხელი წყალი, გახურებული უთო არასოდეს არ უნდა ანდოთ ბავშვს — ორც დიდს, არც პატარას. შვილის დაკარგვის საშინელ სიმწარეს ბევრი დედა აიცდენს თავიდან, თუ მუდამ გაფრთხოლებული იქნება.

როცა ვისმე ტანისამოსზე ცეცხლი ეკიდება, იმდენად დაიბნევა, რომ არ იცის, რა ჰქნას, და გარბის. გაქცევა კი ცეცხლს უფრო ძლიერებს. ამგვარ შემთხვევაში წყალის ძებნა უადგილოა: უნდა აიღოთ საბანი, ზეწარი, ან ფარდავი, კილოფი, — თუ არც ერთი არ არის, ტანისამოსი უნდა გაიძროთ, გადააფაროთ იმას, ვინც იწვის, წააქციოთ ძირის და აგორაოთ, სანამ ცეცხლი არ ჩიქრება; შემდეგ კი მოიტანეთ ცივი წყალი, დამწვარ ტანისამოსს ნუ გახდით და ისე ასით ზედ რაც შეიძლება ბევრი, რომ მოლად გაიწუნდოს.

ცხელი წყალი თუ ვისმე გადაესხა, სანამ ტანისამოსს გაბიდეთ, ცივი წყალი უნდა ასხათ; შემდეგ დაშვერებული უნდა დააწვინოთ წყნარად და ტანისამოსი მაკრატლით დასკრათ ისე, რომ აღვილად გაძვრეს. თუ გახდა დაუწყეთ, უსათუოდ დამწვარი კანი ეღვლიცება. სჯობია, ტანისამოსი სულ ლუკმალუკმა დასკრათ, ვიდრე დამწვარს კანი აუღვლიპოთ.

დამწვარ ალიგას კანი იბუშტება და შიგ წმოლი დგება. ბუშტებს ხელი არ უნდა ახლოო. თუ ბუშტები ძალიან დაბე-



რილია და დაშავებულს აწუხებს, ნემსი უნდა გაახუროთ ცეცხლზე და, როცა განელდება, ბუშტები ძირში რამდენიმე ალაგას უნდა დასჩვლიტოთ, რომ წმოლი გამოვიდეს. შემდეგ უნდა იშოვოთ სუფთა ზეთი, შიგ ასველოთ სუფთა ტილოები ან დოლბანდი და აფინოთ დამწვარ ალაგას. თუ შესახვევი რომელიმე ალაგას მაგრად დაეკრა კანს, შამოაქერით უა მიკრული ზედ დატოვეთ. როცა დამწვარი მოშუშებას იწყებს, სუფთა ბამბით ჩირქი მოწმინდეთ ხოლმე და ზედ დააყარეთ ბისმუტი დღეში ერთხელ, თუ აფთიაქში იშოვება დამწვარის შესახვევი ბარდელებენისა, მაშინ არავითარი წამალი არ არის საჭირო: ეს შესახვევი დააფარეთ ხოლმე დამწვარს თავიდანვე, სანამ არ მოშუშდება. თუ აფთიაქი შორს არის, სახლში და მეზობლებში ზეთი არ იშოვება, კარგია უმარილო ლორის ან ქათმის, ბატის ქონი. წაუსვით კარგით სუფთა ტილოს და აფინეთ დამწვარს. თუ არც ეს იშოვება, პურის ფქვილი კარგიდა გამტკიცეთ და დააყარეთ დამწვარ ალაგებზე.

რაც უფრო დიდი ალაგია დამწვარი, მით უფრო საშიშია ავადმყოფის მდგომარეობა. საკმარისია, რომ გულზე და მუცელზე მთელი კანის მარტო ზედა პირი დაიწვას ან დაითუქნას, რომ ადამიანი მოკვდეს. შეიძლება კანი სულ ცოტათი იყოს დამწვარი, მაგრამ თუ დიდზეა, ავადმყოფი კვდება. საზოგადოთ თუ მთელს ტანზედ კანის ერთი მესამედი მაინც არის დამწვარი, ავადმყოფს გადატანა გაუკირდება.

ბევრი იღუპება წყალში. ყოველი ადამიანი ვალდებულია, ცურვა იცოდეს. ამის ცოდნას არც ხარჯი სჭირდება და არც დიდი ქუცა, ამავე დროს ძალიან საჭიროა და გამოსადეგი: თავსაც გადაირჩენთ გაჭირვების დროს, სხვასაც უშეველით. ყოველი დედმამა ვალდებულია, შეილებს ცურვა ასწავლოს. წყალში ცურვა კატაც უნდა იცოდეს, ქალმაც.

თუ ვინმე წყალში იხინბა და შველა გჩნდათ, ისე უნდა მიეპაროთ მას, რომ ხელი არ წაგვალოსთ. თუ მოგასწროთ და ხელი წაგავლოთ, მაშანათვე წყალში უნდა ჩაიყურყუმალოთ, რაჯ ხელი გააშევებით, თორემ ისიც დაიხრივება და თქვენც.

ვამოკლილმა მცურავმა თითონ იცის, როგორ და საღ წავ-
ლოს წყალში ჩავარდნილს ხელი. უმეტეს შემთხვევაში კრება
ამგვარი საშუალება. სანამ ჩახტებოდეთ წყალში უნდა დაუ-
ყიროთ წყალში ჩავარდნილს: ნუ გეშინია, გადავარჩენთქო;
ჩახტებით თუ არა, უკანიდან უნდა მოუაროთ მას, მარცხენა
ხელი გაუტაროთ მარცხენა იღლიაში და მარჯვენა ხელში
სტაციონ, შემდეგ მაგრათ უნდა მიიკრათ გულაჟ და მარჯვენა
ხელისა და ფეხების მოსმით მდინარეს ნაპირისაკენ გაპყვეთ.
ამგვარად ჩაჭერილი წყალში ხელს ვეღარსაღ წაგავლებს. თუ
წყალმა უკვი ჩაძირა გადავარდნილი, იმ ალაგის საცა ჩაიძი-
რა, ბუშტები ამოდის და წყალიც უფრო წყნარია; ამ ნიშნე-
ბით შეგიძლიანთ მიაგნოთ ჩაძირული.

თუ მშველელმა ცურვა არ იცის, წყალში უნდა გადაა-
გდოს ხე, ფიცარი ან თოკი და ჩავარდნილს შეუძახოს. როდე-
საც დამხჩეალს წყალიდან ამოიყვანთ, ფეხებით კი არ უნდა
ჩამოჰკიდოთ, არამედ ტანისამოსი გააძროთ, თქვენი და მისი
ტანისამოსი ერთად დაახვიოთ და გაგუდული ზედ გადაწვი-
ნოთ ისე, რომ თავი დაბლა ჰქონდეს უფრო, ვიდრე ტანი. შემდეგ უნდა დააწვეთ წელზე და გვერდებზე, რომ ფილტვებ-
ში და კუჭში ჩასული წყალი პირიდან წამოვიდეს. წყალი ღე-
ლესავით კი არ წამოვა; ხანდახან საკმარისია ერთი პიქა წყა-
ლი ფილტვებში ჩავიდეს, რომ აღამიანი გაიგუდოს. ამის შე-
მდეგ ის უნდა დააწვინოთ სწორა, ცხვირი გაუწმინდოთ, პი-
რი კარგად უნდა გამოუწმინდოთ ცხვირსახოცით ყელამდე,
ენა გარეთ გამოუწიოთ და ნიკაპი მაღლა აუწიოთ, რომ პა-
კრი ჩავიდეს. გული უზილეთ სველი ტილოთი, ლოცვებზე უ-
გვერდებზე ხელი დაუშინეთ, უურები აუწიოთ, ცხვირში ფთა
ან ჩხირი ჩაუყავით და კირტნა დაუწყეთ, რომ გაგუდ-
ულმა როგორმე სული ჩაითქვას თუ თქვენმა მეცადინეო-
ბამ ამაოდ ჩაიძრა, მაშინ გაგუდული უნდა სწორა უაწვინოთ
და ბეჭებ ქვეშ შეცეცილი ტანისამოსი ამოუდვათ, რომ ბეჭე-
ბი და გული ცოტა მაღლა ჰქონდეს, თავი კი გადავარდნილი.
შემდეგ მოუარეთ გაგუდულს თავიდან, იღაყვებში მოჰკიდეთ



ხელები, ნელ-ნელა ასწიეთ ზევით, პირდაპირ გაქიმეთ და თან-
უათან თქვენსკენ გადიტანეთ უკან, რომ ორივე ხელებით გა-
გუდულს გაეშალოს ისე, თითქოს ხელებით არის ჩამოყიდე-
ბულით. ამ დროს ფილტვები გაიწევს და ჰაერი შეა ჩავა. პა-
ტარია ხანს შეძეგ გაგუდულის ხელები ამავე ვზით ისევ წინ
უნდა წამოილოთ, გულზე დაულაგოთ და ზედ დააჭიროთ ხე-
ლები. მაშინ ფილტვებიდან ჰაერი ამოვა. ამას ეწოდება ხე-
ლოვნური სუნთქვა. უნდა განაგრძოთ ასე ხელების გადატან-
გადმოტანა და გულზე დაკერა დიდ ხანს, რამდენიმე საათს,
სანამ გაგუდული არ მობრუნდება, ხშირად ნახევარ საათს ატ-
რიალებენ გაგუდულს და, რაკი არ მობრუნდება, იმედსა ჰკა-
რგავენ, მკვდარიაო, და თავს ანებებენ, რის გამო გაგუდული
კვდება. ორი სამი საათი და მეტიც უნდა განაგრძოთ ხელო-
ვნური სუნთქვა; თქვენ რომ დაიღალებით, სხვა უნდა მოიხმა-
როთ; თუ მოსახერხებელია, გაგუდული დიდ მაგიდაზე უნდა
დააწვინოთ და მაგიდა დააყიროთ გაგუდულის თავისაკენ.
ამისათვის საკმარისია, რომ გაგუდულის ფეხებისაკენ მაგიდას
ფეხებში ფიცარი შეუდგათ; დაყირავება ცოტათა საჭირო,
რომ გაგუდულის ზედატანი ცოტა უფრო დაქანებული იყოს;
მაშინ სისხლი უფრო იღვილად წამოეა ფეხებიდან გული-
საკენ. გაგუდული რამდენიმე საათისაც რომ ეგდოს წყა-
ლში და შემდეგ ამოიყენოთ, მობრუნების იმედი მაინც არ
უნდა დაჰკარგოთ. ყოფილა ისეთი მაგალითი, როცა გაგუდუ-
ლი სამი-ოთხი საათი წყალში გდებულა, სიცოცხლის იღარა-
ვითარი ნიშანი აღარა ჰქონია, მაგრამ რამოდენიმე საათის შე-
უწყვეტელ მეცადინეობას მაინც მოუბრუნებია. როცა ერთი
ხელოვნურ სუნთქვას აწარმოებს, მეორე უნდა უდგეს გაგუ-
დულის მარჯვნივ და მარცხნა ძუძუზე და გარშემო მარჯვენა
ხელის თითები დაუშინოს, ეს ხელს უწყობს გულის ამუშავე-
ბას, თუ ის შეჩერებულია.

როცა გაგუდულს ტუჩებზე და ლოყებზე ცოტა ფეხი
მოუვა, მაშინ თავი უნდა გაანებოთ, საბანი დახუროთ, საბანს
ჰვეშ ხელები შემყოთ და ქვევიდან ზევით ძალიან ზილოთ.

ამის შემდეგ კარვად უნდა დაპხუროთ და გვერდებში და უნდებში წამოცხელებული წყალით სავსე ბოთლები შეუდგათ და ცხელი წყალით სავსე ქვები, რომ საბანს ქვეშ ცხელი ორი, ქლი მოგროვდეს და ივიღმყოფი მალე გათბეს.

თუ ვინმე ცივ ზამთარში გარეთ დატჩა ლაშე, შეიძლება გაიყინოს. მშიერი უფრო აღვილად იყინება, ვიღრე მაღლარი; მთვრალი უფრო აღვილად, ვიღრე ფხიზელი. ზამთარში მგზავრს თან უნდა ჰქონდეს საქმიანი პური, ყველი და მსუქანი ლორი. თუ ქარბუქი ამოვარდა უა მგზავრმა გზა ველარ გივევლია, თოვლი ორმოსავით უნდა ამოაღრმოოს და შიგ ჩიჯდეს; ზედაც რომ დაეყაროს თოვლი არაუშავსრა, თუ საჭმელი აქვე და მთვრალი არ არის.

გაყინული ხშირად სულ გაშეშებულია და სიცოცხლის ნიშანი აღარ ეტყობა, მაგრამ ზოგჯერ კიდევ შეიძლება მობრუნება. ჯერ უნდა შამოაქრათ ტანისამოსი ფრთხილად, თორები გაშეშებული ხელი, ფეხი და ნეკნები აღვილად ტყდებიან. გაყინული სითბოში არ უნდა შემოიყეანოთ, თორებმ მისი მობრუნება შეუძლებელია. ის უნდა გააწევინოთ გარეთ ან დერეფანში, დააყაროთ ტანზე თოვლი და თოვლითვე დაუწყოთ ხელია. ამავე დროს მეორე ხელოვნურ სუნთქვას უნდა აქარი ჩოებდეს. თუ მომხმარი არა გყავთ, ხან უნდა სრისოთ თოვლით გაყინული, ხან ხელოვნურად ასუნთქებიოთ ისე, როგორც წყალში გაგუდულს.

თუ სხეული ძალიან არის გაშეშებული, ჯერ უნდა დაზილოთ თოვლით და, ცოტა რომ დალებება, მაშინ ხელოვნურ სუნთქვას უნდა შეუდგეთ, თორებმ თავიდანვე თუ ხელოვნური სუნთქვა დაიწყებიეთ, გაშეშებული ხელები გადატყდებიან.

როცა შენიშნავთ, რომ გაყინული ცოტათი სუნთქვას, უნდა გადიტანოთ ცივ ოთახში, თხელი საბანი ან ზეწარი დაახუროთ და პირსახოცით ზილოთ მაგრად. ოთახი უნდა გაათბოთ ნელა-ნელა, გახურებით არ უნდა გაახუროთ, თორებმ უარესია; იგრეთვე გაყინული თბილ წყალში არ უნდა



ჩააწვინოთ; თუ მარტო ხელია ან ფეხი გაყინული, ისიც თოვლით უნდა ზილოთ დიდხანს, შემდეგ პირსახოცით; შემდეგ კი წყალში დასველებული და გაწურული ტილოები უნდა აფინოთ ზედ. თბილად შეხვევა არ ვარგა.

საზოგადოთ ყოველ შემთხვევაში, როცა ვისმე გული შეუწუხდება, აზრზედ იღარ არის, სუნთქვა იღარ ემჩნევა, და ამგვარ მდგომარეობაში დიდხანს არის, უნდა მიმართოთ ხელოვნურ სუნთქვას ისე, როგორც აქ არის ახსნილი. თუ ადამიანი მხებს მუშაობს დიდხანს, მხე თავზე აკერს, ცხელა და კივი წყალი კი ახლოს არ არის, ზოგჯერ ადამიანი დაისიცხება და ცნობიერებას ჰქარგავს; ჯერ აუვარდება წყურეილი, პირი გამშრალი იქნება, სუნთქვა უჭირს, გულს ეყრდნა, გული უსუსტდება, თავგრძე ესხმის. ამგვარ მდგომარეობაში ხელი უნდა ააღებიოთ მუშაობაზე, ჩრდილში დააწვინოთ, გული გაუხსნათ, კივი წყალი მოუტანოთ, ასვათ, გულზე ასხათ და შიგ დასველებული ტილოები შამოადვათ თავზე და გულზე თუ ყურადღება არ მიაქციეთ, სახე გაუწიოთლდება, გული შეუწუხდება და ძირს დაეცემა; თვალები უძრავიდა აქნება, ჩქარა სუნთქვას, ხრიალებს, -ერთი სიტყვით ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ აი ეს არის — სული ამოუფაო. მართლაც თუ დროზედ არ უშველეთ, ავადმყოფს კანკალი აუვარდება, კრუნჩვა და კვდება.

მხენაკრავი უნდა დააწვინოთ ჩრდილში, გააძროთ ტანი-სამოსი, ასხათ კივი წყალი, ზილოთ კი წყალში დასველებული ტილოებით, თავზე სეველი ტილოები შამოატინოთ, პირში წყალი ჩაასხათ და თუ გადაყლაპოს, ბლომად ასვათ. გულზე თითები უნდა დაუშინოთ, რომ გული არ გაჩერდეს. თუ აღარ სუნთქვას, ხელოვნურ სუნთქვას უნდა მიმართოთ.

როცა მოიხდავს, მაგარი ლვინო ან კოტა არაყი უნდა დაალევინოთ.

სიცხეში მუშაობის დროს თავზე ძალიან კარგია პზის ქუდი.

თუ სოფელში საწამლიავი დალია ვინმემ, პირველი შვე-
23

ლა იმაში მდგომარეობს, რომ მოწამლულს პირის ღებინება აუტექსოთ. ამისათვის პირში თითები უნდა ჩაუყოთ, ფთა გა-
მოუსეათ ხოლმე სასაში ან თბილი წყალი ასვათ. რაკი წამო-
ღებინებს, უნდა ასვათ რძე, მაგრამ ძალიან ბევრი რა, თო-
რემ გულზე არ დაამაგრდება. თუ მოწამლულს ძილი ეკიდება,
უნდა ძმრით ან ოტკით დაზილოთ, უყვიროთ, ელაპარაკოთ,
ანჯლრით,—ერთის სიტყვით პირეელ ხანებში არ უნდა და-
ძინოთ.

2. დურბელი.

დურბელი არის კისრის ჯირკვლების ქლექი.

— თიადორის რომ ეძახიან? გვეკითხება სოლო.

ოო, სწორეთ ზოგან კიდევ კატაჯვარის უწოდებენ.

— გამიგონია, დურბელი დედალ მამალიაო.

ეგ, ჩემო სოლო, ყალბი შეხედულებაა. როცა, ერთიანობი ჯირკვლია დასნეულებული და სხვებზე არ გადადის, ხალხი მამალს უწოდებს; თუ სხვებსაც მოედო, დედალიაო.

სადაც უნდა გაჩნდენ ქლექის ბაცილები, ყველგან ერთკვარ სურათს იწვევენ: გამოჰყრის ღომის მარცვლებიერით მორუხო ხორკლებს: ხორკლები დაჩირქდებიან, ამრიგად ჩნდება წყლული.

წყლული ღრმავდება და განივრდება, შეუერთდება მეორე წყლულს, მესამეს და ამრიგად ჩნდებიან დიდი იარები.

ისე ემართებათ დაჭლექებულ ჯირკვლებსაც; ჯირკვლებში ჩნდებიან რუხი ხორკლები, ამის გამო ჯირკვლები სივდებიან და იზრდებიან: ხორკლებში გროვდება სქელი ჩირქი, დასიებული ჯირკველი ალაგ-ალაგ რბილდება და შემდეგ იკოთებს თავს, საიდანაც სქელი ჩირქი იწყებს უენას.

უშეტეს შემთხვევაში სნეულება ერთი ჯირკველიდან გადადის მეორეზე, მესამეში და ხშირად მთელი კისრისა და ყელის ჯირკვლები სივდებიან.

ავადმყოფობა ემართებათ ბავშებსა და ახალგაზრდებს, ხანში შესულებს—უფრო ძეირად.

დურბელი არის მეტად ხანგრძლივი ავადმყოფობა, მთელი წლობით სტანჯავს ავადმყოფს და ხშირად სიცოცხლესაც უსპობს.

კისრისა და ყელის ჯირკვლებიდან სნეულება გადაღის ფილტვებში მდებარე ჯირკვლებში, იქიდან კი ფილტვებშედ. მაშინ ივაღმყოფს ეწყება ფილტვების ჭლექი.

დურბელმა სიცხე არ იცის.

თუ დურბლიანს ციცხის ძლევა დაუწყო, ეს იმის ნიშანია, რომ სენი უკვე მოედო ფილტვებშუა მდებარე ჯირკვლებს და მაშინ საქმე ცუდათ არი: ფილტვების ჭლექი აუცილებელია.

როგორ უნდა ვიპატიოთ ბავში ამ სენისაგან?

უსუფთაობა არის დედა მრავალი სნეულებისა და მათ შორის დურბელისაც.

უოველი დედა ვალდებულია, ბავში სუფთად შეინახოს და მიაჩინოს სისუფთავეს.

ხომ იცია პატარი ბავშის ჩეეულება: უოველისფერი, რაც კი ხელში მიახვდება, მაინცადაშინც პირში უნდა იტანტროს.

ასეთი ზნის წყალობით ბავშს ზოგჯერ ჭლექის ბატილებით გასერილი საგანი შეაქვს პირში.

ბაცილები პირის ლორწოებანი გარსიდან გადადიან ლრძილებში, იქედან ჯირკვლებში ყბებ ქვეშ და გათავდა: დურბელი უკვე ჩაისახა.

ამიტომ დედა ვალდებულია, მუდამ თვალყური ადეკნოს ბავშს და არ მისცეს საშუალება, რომ უოველისფერის პირში რტენიდეს. დურბელს განსაკუთრებით უმზადებს ნიადაგს წითელა, ხველა, ქუნთრუშა ყელ-კირვება და საზოგადოთ ყოველი გადამდები სენი, რომელსაც კი შედევგად მოსდევს სხეულის საგრძნობი დასუსტება.

ამიტომ უოველი ასეთი სნეულების შემდეგ ბავშს უნდა აქამით ნოყიერი საჭმელი—კვერცხი, რძე, უველი, მაწონი, კარაქი, ქათამი—დღეში ექვსჯერ მაინც და ხშირად იმყოფოთ სუფთა პაერზე მზეში.

როგორ შეიძლება დურბელის წამლობა?

თუ ერთი ან რამოდენიმე ჯირკველია მხოლოდ დასივე-

ბული, დანარჩენს ავადმყოფობა არ შევპარვია და ავადმყოფ-
საც სიცხეს არ ძლევს, მაშინ მიზან შეწონილია აპერაცია.

თუ დაზიანებული ჯირკველი ბლომად ირის, ან და ავად-
მყოფს სიცხეს ძლევს, მაშინ აპერაცია სრულებით უაზროა.

ავადმყოფის მდგომარეობა აპერაციით მხოლოდ გაუარე-
სდება, რადგანაც კრილობა იწვევს სნეულების გაღიზიანებას
და სწრაფიდ გავრცელებას.

ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი უნდა დაეძალოს ნოკიერ
საქმეელს, სვას დღეში სამჯერ სასადილო კოგზით თევზის ქო-
ნი (ზაფხულობით არ უაილება, ფალარათობა იცის), დასწუ-
ლებული ჯირკვლები მიუშეიროს ხოლმე მხეს თითო საათი
და ორიც, ათი წუთიდან დაიწყოს და ყოველ დღე უმატოს
დამე კი წაისვას ზედ მწვანე საპონი.

სოფლიად გავრცელებულია დასადები წამალი, რომელიც
კანს მოსჭამს, ჯირკველს მოაღმობს და შემდეგ ამოაგდებს.

სოფლის ექიმბაშები დიდის საიდუმლოებით ინახავენ ამ
წამალს, რომელიც არის ფისში ან თაფლის სანთელში აზე-
ლილი დარიშხანა ანუ თავვის შაქარი.

— ძალიან ბევრს შველის, ძალიან! გაისმა ხმა.

ძალიან ბევრსა ჰქონია, რომ გეთქვათ, უფრო მართა-
ლი იქნებოდა, თავვის შაქარისა და თაფლის სანთელს რომ
დურბელის მოჩენა შეეძლოს, ვინ მოგვასწრებდა, ჩვენ ხელთ
არ არის?

თავვის შაქარი კანს მოსჭამს, რამოდენიმე ჯირკველს კი-
დეც ამოაგდებს, მაგრამ სნეულება სხვა ჯირკვლებში გადადის
ავადმყოფს სისხლი ეწამლება, ან სწრაფი კლექი ემართება და
კვდება.

სოლო თავვის შაქარი-კისერზე შემოდებული — მართლაც
არჩენს, მაგრამ იცით რას? უბრალო ჯირკველს.

სოფელში თუ ვისმე ჯირკველი ჩამოუსივდა, ყველას დურ-
ბელი ჰქონიათ, რაც დიდი შეცდომა არის.

სშირად არის რაიმე მიზეზისა გაძო ერთი ან რამოდენი-

მე ჯირკველი კისერზე ან ყბებ ქვეშ სივდება, მაგრამ შეგ
ჭლექის ბაცილები არ არიან.

ეს არის უბრალო დასიება ჯირკვლებისა და რჩება წამ-
ლობით.

ი ასეთ ჯირკველს დაადებენ შინაურ წამალს, მოსკოვს
ღიდზე კანს, ხორცს, ამოაგდებს ჯირკველს და, თუ ავად-
მყოფს სისხლი არ მოეწამლა და გადარჩა, დარჩება სამულა.
მოდ დასახიჩრებული, რადგანიც მოქმული ალავი მოეწევა და
მოიპუნება.

დორტბელის წინააღმდევ ახლა არის ახალი საშუალება:
დრო და დრო დაახლოებით კვირეში ორჯერ შეშაპუ-
ნება ერთგვარი წამლისა, რაც უმეტეს შემთხვევაში მეტად
კარგ შედეგს იძლევა.

მაგრამ ეს არის უკვე გამოცდილი ექიმის საქმე.
კარგ შედეგს იძლევა იგრეთვე ელექტრონის შუქო
წამლობა.

3. ჩიყვი.

ყოველ ჩვენგანს ყელზე კან ქვეშ ძევს პატარა ბრუნვი
ჯირკველი, რომელიც ფარს მიემგვანება.

ამიტომ მას დაარქვეს ფარისნირი ჯირკველი.

ხანდახან ჯირკველი იწყებს ზრდას, გადიდებას, გამსხუ-
ლებას და გამოებრება ყელში ავადმყოფს ჩინჩხახვით.

ამას ეწოდება ჩიყვი. იმერეთში ყიყვს უძახიან.
ჩიყვი სოფლად სათაკილო ავადმყოფობად მიაჩიათ, განსაკუ-
თრებით ქალებს.

ამიტომ ხშირად მალავენ მას და არავის უმხელენ.

— აი შე ჩიყვიანო, ჩიყვიანოვო, ხშირად იციან წამო-
ხახება ჩხუბის ან შელაპარაკების დროს და ეს ერთგვარი გი-
ნებაა, დამტირება მოპირდაპირესი.

ჩიყვი დიდი ადამიანის სნეულებაა. პატარას იშვიათად
ემართება. ქალსაც და მამაკაცსაც ერთნაირად უწინდება.

ჩიყვი განსაკუთრებით არის გაერცელებული მთიან ად-
გილებში, ვიწრო ხეობებში.

ჩვენში ბევრია ჩიყვიანი სვანეთში, შემდეგ რაჭაში, ლეჩ-
ხუშში, მთიულეთში.

ზოგჯერ ჩიყვი არ იზრდება, ზოგჯერ კი მუშტის ოდენაა
და შეტიც.

არის ბევრი შემთხვევა, როდესაც ჩიყვი საერთო ჯანმრ-
თოლობაზე არ მოქმედობს, ხშირად კი იწვევს ასა თუ იმ სნე-
ულებას.

ჩიყვს ხშირად კავშირი აქვს გონიერებასთან: ბევრჯერ
ის ანლუნგებს გონიერებას და ჩიყვიანი ლენჩი, რევენია.

ზოგჯერ ჩიყვი მოქმედობს რიგზე: ქალიშვილს ოვიური
გვიან ეწყება და წელიწადში ორჯერ-სამჯერ ემართება.

ხანდახან ჩიყვი მოქმედობს გულზე და გულის ძეგრას იწვევს, გახდომას, საერთო სისუსტეს და სხვ.

არის ერთგვარი სნეულება, რომელსაც ბაზედოვის ავად-მყოფობა ეწოდება.

ავადმყოფობას საში რამ ახასიათება: ჩიყვი, გულის ძეგრა და თვალების გაღმოკარკვლა.

ეს სენი უფრო ხშირად ემართება, ქალებს, ვიზრე მამაკაცებს; უფრო ხშირად ავადმყოფობა ჩნდება ახალგაზრდობის ხანაში რიგის დაწყებიდან რიგის გადავარდნამდე.

ამ სნეულების ღროს ჩიყვი ძალიან დიდი არ იზრდება და ზედ რომ ხელი დაადოთ ხშირად ფეთქვის შენიშვნათ.

თვალების გადმოკარკვლა ზოგჯერ ოდნავ ემჩნევა ავადმყოფს; ზოგჯერ კი იმდენად დიდია, რომ ავადმყოფი საშიშ შთაბეჭდილებას ახდენს: ასე გეგონებათ, აკერ-აკერ გაღმოუცვინდება თვალებით.

გულის ძეგრა პირველ ხანებში ოდნავ ემჩნევა ავადმყოფს, შემდეგ და შემდეგ იმდენად მატულობს, რომ მაჯის ცემა მეტად ჩქარია.

იმის გამო გული თანდათან განიერდება, სუსტდება, ავადმყოფს სიარული და ყოველგვარი მოძრაობა უძნელდება, სივდება, ხდება და კვდება უფრო ხშირად გულის დამბლით.

ბაზედოვის სენი ზოგჯერ ერთბაშად ვითარდება და რამდენიმე თვეში ჰკლავს ავადმყოფს; ზოგჯერ კი ნელნელა მიმდინარეობს და ავადმყოფი რამდენიმე წელიწადს უძლებს.

გულის ძეგრა, გახდომა, საერთო სისუსტე ისეთს შთაბეჭდილებას სტოკებენ, თითქოს ავადმყოფი მუდამ დღე ნელნელა და შეუჩერებლად იწამლებოდეს რაღაც შხამით.

მეცნიერულმა შესწავლამ დაამტკიცა, რომ ეს მართლაც ასეა.

რა სწამლავს ავადმყოფს? გადიდებული და დასიებული ჩიყვი.

ფარისნაირი ჯირკველი ამუშავებს ერთგვარ სითხეს, რომელიც ჯირკველიდან გადადის მთელ იგებულებაში და ასაზრდოებს მას, თუ ეს სითხე ბლომად დაგროვდა სხეულში, რაც

აუცილებელია, როდესაც ფარისნაირი ჯირკველი გაიზრდება
და ჩიყვად იქცევა, მაშინ სარგებლობის მაგიერად დიდი ზარა-
ლი მოაქვს და აგებულებას შეამავს.

ბუნებაში ბევრია ისეთი შხამი, რომელიც საუკეთესო წი-
გალია, თუ ზომაზე მიიღო ავადმყოფმა; თუ ბევრი მიიღო, იწამ-
ლება და კვდება, ასეთია დარიშხანა ანუ თავვის შაქარი, სუ-
ლეიმანი, სტრიხნინი და სხვა.

ახლა თქვენ იკითხავთ: ბევრია ჩიყვიანი, რომელსაც არას-
ფერი არ აწუხებს, მაშ რატომ ყველა არ სნეულდება?

საქმე იმიში გახლავთ, რომ ფარისნაირი ჯირკველი სამი
ნაწილისაგან შესდგება და ყოველ ნაწილს სხვადასხვა გავლენა
აქვს აგებულებაზე.

ჩიყვის დროს ყველა ნაწილი, ერთნაირად არ იზრდება და
სწორეთ ამით ახსნება, რომ ზოგს პატარა ჩიყვი ძალიან აწუ-
ხებს, ზოგი კი დიდსაც არაფრად აგდებს.

რა იწვევს ჩიყვს?

მეცნიერებაში ეს არ არის ჯერ საკმაოდ ახსნილი.

არის მრავალი საბუთი და დაკვირვება იმისი, რომ ჩიყვს
იწვევს ზოგიერთი მდინარის წყალი.

რითი არჩენენ ჩიყვს?

იოდით და აპერაციით.

ავადმყოფმა უნდა იოლოს იოდის წვეთები და დაიწყოს
ორი სამი წვეთიდან დღეში სამჯერ საჭმლის შემდეგ და ყო-
ველადლე უმატოს თითო წვეთი ოცი-ოცდახუთ წვეთიმდე.

ასე უნდა სვას თვე ან ექვსი კვირე.

შემდეგ შეწყვიტოს თრი სამი კვირე და მერე ისევ გა-
ნაგრძოს.

წმინდი უნდა გაურიოს ნახევარ ჰიქა რძეში.

იოდმა ზოგჯერ სურდო და თავის ტკივილი იცის და
მაშინ წამალი უნდა შეაჩეროთ დროებით.

თუ ასეთმა წამლობამ შედეგი არ მოიტანა, საჭირო არის
ელექტრონით წამლობა.

თუ მაინც არ გამოიღო ნაყოფი, საჭიროა აპერაცია, ჩიყ-
ვის ამოდება.

4. შაქრის ავადმყოფობა.

რად დაარქვეს ასეთი სახელი ამ ავადმყოფობას?

მისთვის დაარქვეს, რომ ავადმყოფის შარლს ხანგრძლივად მოსდევს შაქარი.

ავადმყოფი წარმოადგენს შაქრის პატარა ქარხანას და იმისი სხეულიუან ეს შაქარი გამოაქვს შარლს.

სხვადასხვა გადამდები სნეულების ავადმყოფის შარლში ბევრჯერ გაჩნდება ხოლმე შემთხვევით შაქარი, ხოლო მაღა ჰქონება თავისით.

ეს არ არის შაქრის ავადმყოფობა.

შაქრის ავადმყოფობის დროს შაქარი მეტნაკლებობით მოსდევს შარლს ხანგრძლივად, მრავალი წლების განმავლობაში.

რა იწვევს შაქრის ავადმყოფობას?

ამ სნეულებას მრავალგვარი მიზეზი აქვს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას; ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს შაქრის ავადმყოფობა დედმაშილან შეიღწევა გადადიოდეს, არა,—ზოგიერთი სნეულება დედმამისა იწვევს შეიღწებში შაქრის ავადმყოფობას; ასეთია ლოთობა, ნეკრესის ქარები, ქარები, ზედმეტი სიმსუქნე, ბნედა და სხვ.

ხშირად ემართება შაქრის ავადმყოფობა ლოთს.

ზედმეტი გონიერივი მუშაობა, მოუსვენარი ცხოვრება, მოულოდნელი დიდი უბედურება, უეცარი შიში, ხშირი ილელ-ვება, ვაბრაზება, მაღლიდან გადმოვარდნა ზოგჯერ იწვევინ შაქრის ავადმყოფობას.

ვინც ბევრსა სკამს, სკამს და ცოტას მოძრაობს, ის თავისთვის შაქრის ავადმყოფობას უმზადებს.

ტვინის ზოგიერთი ნაწილის დასწულება, ღვიძლისა, კუპეცები ჯირკვალისა ხშირად იწვევს შაქრის ავადმყოფობას.

ამ რიგად მრავალი მიზეზი იწვევს ერთსა უა იმავე სწორებას — შაქრის ავადმყოფობას.

სწორებამ არ იყის არც სქესი, არც წლოვანება: ქალებიც ხდებიან ავად, მამაკაცებიც, ბავშებიც, მოხუცებიც. თითქოს უფრო ხშირია ის მამაკაცებში ოცდაათი წლიდან ორ მოცდაათ წლამდე.

ავადმყოფობა სხვადასხვა ნაირად მიმდინარეობს; ზოგჯერ შაქარი იმდენად ცოტაა, რომ დღე და ღამეში ერთი — ორი მისხალი თუ მოგროვდება მთელ შარტში;

ზოგჯერ კი შაქარი იმდენია, რომ დღე და ღამის შარტში ორი-სამი გირვანქა გამოვა.

ადამიანის სხეულში შაქარის, ერთი თვისება აქვს, — სითხეს, წყალს იზიდავს ამისგამო ავადმყოფს ნამეტანი წყურვილი აქვს, სულ უნდა რომ სვის წყალი და ზოგს დღე და ღამეში ორი ფუთი წყალი არ ეყოფა.

ერთის მხრით თვითონ შაქარი და მეორეს მხრით წყალის უზომოო სმა იწვევენ შარდის ძლიერ მომატებასა და ავადმყოფი ბოლოს და ბოლოს მოსვენებას ჰყარგავს: მუდამ სწყურია, ნიადაგ მოშარდვა უნდა.

იმერეთში ასეთ ავადმყოფზე იტყვიან: კუურტი სქირსო, ავადმყოფი მაღე ხდება და სუსტდება; ამავე დროს ხშირად მგლის მაღა აქვს და სამი კაცის იჯრა არა ჰყოფნის.

ზოგჯერ ავადმყოფს წყურვილი უფრო აწუხებს; ზოგჯერ — ჟეტეტი მაღა, ბევრჯერ-კი ორივე ერთად.

ავადმყოფი იმდენად სუსტდება, რომ საქმის კეთება, მუშაობა არ შეუძლია, ამავე დროს სმითა და ჭამით ვერ მომპირავთ.

შაქრის ავადმყოფობამ ხშირად იყის მუშუკები, ფეხის თითების დაწყლოულება, კანზე გამოყრა, კანის ქვილი, განსაკუთრებით სასქესო ასოებზე.

საერთოდ შაქრის ავადმყოფობა იწყება და ვითარდება

ნელა და ავადმყოფი დიდხანს ვერასუერს ამჩნევს. ზოგიერთ შემთხვევაში კი სნეულება მეტად სწრაფად ვითარდება და რამდენიმე თვეში ჰქონდეს ავადმყოფს.

ხშირად ემართება ჭლექი შაქრის ავადმყოფობით შეპყრობილს.

სიკვდილის წინადლებში ავადმყოფი ზოგჯერ აზრსა ჰქანავს, სუნთქვა უძნელდება, სახე უბიევინდება და ულურჯდება, თანდათან უსუსტლება გული და კვდება.

როგორია წამლობა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ?

უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ სასმელ-საჭმელს.

თუ ავადმყოფი ყველაფერსა სქამს და სვამს, სნეულება შალე ერევა და მალე ჰქონდეს.

თუ ავადმყოფი სასმელ-საჭმელზე გაფრთხილებულია, ძალიან კარგად გრძნობს თავს და დიდხანსაც სულხლობს.

შაქარი, თაფლი, ტკბილი ხილი, ყოველგვარი ტკბილეულობა, პური, მქადი, ღომი, კარტოფილი, ბრინჯი, ლომით მეტად მავნებელია.

ავადმყოფმა უნდა მიიღოს კვერცხი, ყოველგვარი ხორცი, ახალი თევზი, წეანილი, მხალი, ისპანახი, სოკო.

რადგანიც ავადმყოფი უპუროდ დიდხანს ვერა სძლებს, უნდა მიიღოს რაც შეიძლება ცოტა პური ან მქადი, მომქაო პური; სასმელად წყალი, მეავე წყალი. ლვინო და მაგარი სასმელები მავნებელია.

დღემდე წამალი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ არ არსებობდა.

ამ ბოლო ხანებში კი გამოიგონეს ერთგვარი წამალი, რომელიც შაქრის ავადმყოფობის დროს ძალიან მარგებელია. ეწოდება ინსულინი.

შპრშარა პირების დასაშვერდებლად უნდა ჟავუმატო შემდეგი: გადაჭარბებული წყურევილი ყოველთვის არ არის ნიშანი შაქრის ავადმყოფობისა.

ციებცხელებამ იცის ზედმეტი წყურევილი, კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობამ, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც იღამიანი სალია, წყურევილი კი გადაჭარბებული იქნება.

ვ. სახსრების მფლავე ძარღი.

(რეკრეაციზმა)

— რა დაგმართნია, პეტრე?

— გავცივდი, შენი ჭირიმე, გავცივდი წისქვილში და ქარი გამიღება თეძოშია. მამკლა ეს - არის; როგორც ძალი, ისე მცამს.

ვინ არ იცნობს ჩვენში სახსრების ქარებს?

ის მეტად გავრცელებული აეალმყოფობაა.

— გავცივდი და ქარი გამიღება.

— გავცივდი და მუხლი დამიკავა, — სულ ყველა გაციებას აწერს ქარებს პეტრესავით.

ქარების ბაცილები კი ზიან დასიებულ სახსრებში და ხითხითებენ ხალხის უცოდინარობაზე.

რაც უნდა გაციედეს ვინმე, ქარებით არასოდეს არ დანეცულდება, თუ იმის სხეულში არ გაძვრენ პატარა ტანისა და რევალი მოყვანილობის ბაცილები, რომლებიც იწვევენ სახსრების ქარებს.

როგორ შედიან ეს ბაცილები ჩვენს სხეულში?

უფრო ხშირად ყელიდან.

სასის ძირებში ყოველ ჩვენგანსა აქვს იქეთ-იქით პატარა ნუშის ოდენა ჯირკველი, რომელსაც რამოდენიმე ქარი აქვს.

ბევრჯერ ამ ჯირკველების გაციება იწვევს ხუნაგს.

ამ ჯირკველებზე მრავლდებიან ყელჭირვების ბაცილები.

სახსრების ქარის ბაცილებიც უფრო ხშირად ამ ჯირკვლებიდან შედიან ჩვენს სხეულში.

— მაშ გაციება არაფერ შუაშია?

მექითხება თადეოზი.

როგორც მოგახსენეთ, ქარებს აჩენენ ბაცილები; ძალა. ნაც რომ გაცივდეს ვინმე, ქარებით არ დასნეულდება, თუ იმის ავებულებაში არ გაჩნდენ ქარების ბაცილები.

თუ ეს ბაცილები როგორმე გაძვრენ სხეულში, მაშინ გაციებაც არ არის საჭირო, ბაცილები უამისოდაც გამოიწვევ. ვენ. სახსრების დასნეულებას ქარებით.

გაციებას აქვს მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომ სხეული ასუსტებს და დასუსტებულ სხეულს უფრო აღვილად ერევიან ამა თუ იმ სენის ბაცილები.

თეოთონ სახელი ავადმყოფობისა ამტკიცებს, რომ სწერ. ლება იწყება სახსრებში.

უმეტეს შემთხვევაში სნეულება იწყება ერთბაშათ.

ერთი-ორი დღე ავადმყოფს ცოტათი ყელი აწუხებს, ჟი. ცხე პატარა აქვს; შემდევ შეამცირებს, სიცხე ავარდება ოცდა. ცხრამეტ მენაკამდე და ასტკიცა რომელიმე სახსარი — ერთი ან რამდენიმე.

უფრო ხშირად ავადმყოფობა იწყება ფეხის სახსრებიდან, თანდათან გადადის სხვა სახსრებში.

ზოგჯერ ავადმყოფობა ერთ ალაგის რჩება და მალე მეორე ალაგის იჩენს თავს.

დაავადმყოფებული სახსარი სიცდება.

ზოგჯერ სახსრის გარშემო კანი სიცდება.

ხშირად დასიცდებულ სახსარში — განსაკუთრებით მუხლებში წყალივით სითხე გროვდება.

ამავე დროს გასიცდებულ სახსრებში ავადმყოფს საშინელი ტეხა და დიდი ტკივილები აქვს, რის გამო არა თუ მოძრაობა, მოსვენება და ძილიც შეუძლებელია.

ყოველივე ეს არის შედეგი სახსრების ანთებისა.

ამგვარად იხალი მძაფრი ქარები არის სახსრების ანთება.

ავადმყოფობას იხასიათებს ოფლი, სიცხე, სახსრების და-სიება და ტეხა.

დასიცდებული სახსარი რამდენიმე დღეში ცხრება, მაგრამ

ავალმყოფობა გადადის სხვა სახსრებზე და ხშირად მთელ სახსრების შემოივლის სხეულში.

ხანდახან ავალმყოფობა გამოვა დასიებული სახსრიდან, მიგრამ გივლის რამოდენიმე დღე, ერთი კვირა ან მეტი და ისევ დაბრუნდება.

მთელი ავალმყოფობა გრძელდება, სამი, ოთხი კვირა, შემდეგ სიმსიცნე და ტეხვა სახსრებისა თანდათან ქრება და ავალმყოფი რჩება.

მორჩენის შემდეგ ბევრჯერ იცის შებრუნვება.

რომელიმე სახსარი ხელახლად შესივდება, ავალმყოფს სიტყვს მისცემს და ისევ ჩააწევენს ლოგინში.

სახსრების ქარებმა როდესაც ის ახალია, იცის სხვადასხვა გართულება: ფილტვის აპეის ანთება, გულის პერანგის ანთება.

ყველაზე უფრო ხშირი და მავე დროს ყველაზე უფრო საშიში გართულება სახსრების ახალი ქარების დროს არის გულის სარქველების ანთება.

ამ ავალმყოფობას შედეგათ მოსდევს გულის მანქი და შემდეგ გულის გაგანიერება და მოშლა.

რანიირად ჩნდება ყოველივე ეს, ამას მე გაგირკვევთ უფრო კრულიად მაშინ, როდესაც გვექნება საუბარი გულის ავალმყოფობაზე.

ზოგჯერ ქარების გაელის შემდეგ ავალმყოფს რჩება სახსრების ტკივილი, რაც განსაკუთრებით აწუხებს უფრო ცუდ ამინდში, სიცევეში, ზამთარში.

ზოგიერთ ადამიანს იმდენათ მგრძნობიარე იქვს ნაავალმყოფარი სახსრი, რომ წევიმის ან უამინდობის დაწყებამდე რამოდენიმე ხნით ადრე გრძნობს ღრღნასა და ტკივილებს ამ სახსარში.

ვისაც ერთხელ გადაუტანია სახსრების ქარები, ეს ავალმყოფობა მას ადვილიად უბრუნდება.

საუკეთესო საშუალება როგორც სახსრების გამოსამოებლად, ისე სხეულის დასაფარავად ხელახლი ქარებისაგან არის აბანო.

ხოლო ყოველგვარი აბანო ერთნირიად არ უხდებოს კარგის.

ჩვენი ბუნება შემკულია სხვადასხვა საექიმო წყალითა და აბანოთი.

ქარებიანს განსაკუთრებით უხდება წყალტუბო, (ქუთია სიღან 9 ვერსის მანძილზე), ახტალის ტალახი (სიღნაღის გაზრდის, გურჯაანთან) და ჩვენი დედა-ქალაქის გოგირდის აბანოები.

დასიებულ სახსრებს ძალიან უხდება სპირტის ან მაგირი არყის კომპრესები.

6. უბრალო სისხლნაკლულობა.

უბრალო სისხლნაკლულობა არის შედეგი ერთდროულად საქმიანდ ბევრი სისხლის დაკარგვისა.

ერთდროულად აღამიანმა შესაძლებელია იმდენი სისხლი დაპირის, რომ თან გადამყევს. მაშასადამე, ეს უბრალო იღარ ყოფილა. ხოლო ასეთ სისხლნაკლულობას იმიტომ ეწოდება უბრალო რომ დროზე მიღებულ ზომებით შეველა შეიძლება.

უბრალო სისხლნაკლულობა ზოგჯერ შედეგია ცხვირიდან სისხლის წასკდომისა, ტაბასტისა, ბუასილისა, კუჭნაწლავის წყლულისა, მუცლის სახადისა, ზოგიერთი კრილობებისა და სხვა.

უცელა ასეთ შემთხვევაში ივაღმყოფი ჰეარგავს ბევრ სისხლს, ყვითლდება სუსტდება, ხელფეხი უცივდება, თავბრუ ესხმის, თვალაბკვეიალა, გული უსუსტდება, უწუხს, სიარული აღარ შეუძლია, მალე იღლება, სუნთქვა უძნელდება, საჭმელი აწუხებს.

თუ აღამიანმა დაპირის თავისი სისხლის მესამედზე მეტი, გამობრუნება შეუძლებელია.

ქალი უფრო იტანს სისხლის დაკარგვას, ვიდრე მამაკაცი.

დანაკარგ სისხლს ზოგი მალე შეივსებს; ზოგს უფრო მეტი დრო სჭირდება.

ეს დამოკიდებულია წლოვანობაზე, ჯანმრთელობაზე და საზრდოობაზედ.

მაგარი იგებულობის აღამიანი უფრო მალე შეივსებს, სუსტი და სნეული გვიან.

განსაკუთრებით დიდი დრო სჭირდება სისხლის შესავსება
ლად მცირე წლოვან ბავშვა და მოხუცებულს.

შეიძლება აღამიანმა გარეგნულად არ დაჰკიარგოს სისხლი,
მაგრამ მაინც გამოაჩინდეს სისხლნაკლულობა.

ასეთ უჩინარ სისხლნაკლულობას იწვევს ქლექი, ციქ-
ცხელება, სიფილისი, თირკმელების ანთება, კიბო, ზოგჯერ
ნაწლავების ჭიები, კუჭის დახანებული კატარი, ხშირი მუკ-
ლის მოშლა.

არის ისეთი სისხლნაკლულობა, რომელიც შეუჩირებლად
ვითარდება, რაკი ერთხელ დაიწყება, და უმეტეს შემთხვევაში
თავდება სიკვდილით.

ამ ამას ჰქეით ავთვისებიანი სისხლნაკლულობა.

ავადმყოფობა თავს იჩენს უმეტეს შემთხვევაში ოციდან
ორმოც წლიმდე.

ავადმყოფი სრულებით უმიზეზოდ ნელა ნელა სუსტდება,
ფერსა ჰქაორგავს, გული უძგერს, თავბრუ ესმის, ყურები ხა-
ურობენ.

ზოგჯერ ავადმყოფს სისხლი სდის ცხვირიდან, პირიდან,
ღრძილებიდან; ილაგალაგ კანი ულურჯდება და წითელ წინ-
წკლებს აყრის ხელებზე, ფეხებზე. უსისხლობისა გამო ავადმყო-
ფი ყვითელია. სიცხეს უმეტეს შემთხვევაში არ აძლევს, ზოგ-
ჯერ კი ტანში აერიალებს და სიცხე აღის აუდა ცხრამეტ ან
ორმოც მენაკამდე (გრადუსი).

ზოგჯერ ავადმყოფობას ისეთი სწრაფი მიმდინარეობა აქეს,
რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში აღამიანი კვდება.

ზოგჯერ სნეულება რამოდენიმე კვირეს, რამოდენიმე
თვესა, წელსაც კი გრძელდება.

ბევრი გადიტანს, მაგრამ უმრავლესობა იხოცება.

სიკვდილის წინა დღეებში ავადმყოფი აზრსა ჰქაორგავს,
აბოდებს.

რა იწვევს ამ სენს?

მიზეზი უმეტეს შემთხვევაში გამოურკვეველია. ზოგჯერ
კი ამ სნეულებას იწვევენ ნაწლავების ჭიები.

ასეთ ჭიებს ბევრი არ აქცევს ჯეროვან უურადლების და დილი შეცდომაა.

ჭიები ზოგჯერ იწვევენ მთელი სხეულის მოწამვლას და ამ ნიიდაგზე ვითარდება ისეთი სისხლნაკლულობა, რასაც ავად-მყოფი სამარის კარამდე მიჰყავს.

ქალიშვილ ქალს განსაკუთრებით ცამეტ თოთხმეტ წლილან თუამდე სჩვევია ერთგვარი სნეულება, რომელსაც ექიმები ხლოროზე უწოდებენ.

ეს ავადმყოფობა იწყება ნელანელა საერთო სისუსტით, მოქანცულობით. ცოტა ოდენი გულის ძეგრით, მუცელში შეკრულობით, ხელფეხის წაციებით.

შემდეგ და შემდეგ ავადმყოფი ფერსა ჰყარგავს, ყვითლ-დება უსისხლობისა გამო; ამავე დროს სულ მცირე იღელვება, ან შეკრომა საკმარისია, რომ ლოყები წითლად გამოეკვეროს.

ავადმყოფი ცუდ გუნებაზე არის, თავბრუ ესხმის, გული უწუსს, მუშაობა არ შეუძლია, ხშირად სიარულიც კი უძ-ნელდება.

მთელ სხეულში ტკივილებსა გრძნობს, გული უძგერს და გულის ალაგას ჩხელეტა იწუხებს. მათა ავადმყოფს ეკარგება და უფრო ეტანება მეავეულს, მლაშეს, ცხარეს. კუჭში მუდამ შეკრულია.

რიგი ხან იდრე მოუდის, ხან გვიან. ზოგჯერ თეთრად ჰლის.

ამ რთულ ავადმყოფობას სარჩულად ის გარემოება უძევს, რომ რაღაც გამოურკვეველი მიზეზისა გამო ავადმყოფს სისხლი იკლდება ძალიან, განსაკუთრებით წითელი ბურთულების ის ნაწილი, რომელსაც გემოგლობინი ეწოდება.

ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფს ერთი მეათედილა რჩება გემოგლობინისა.

როგორც მოგეხსენებათ, გემოგლობინის უმთავრესი ნაწილი არის რკინა.

იქედან წარმოსდგება წამლობა, როგორც ამ სნეულებისა, ისე საერთოდ სისხლნაკლულობისა — რკინით.

ივალმყოფს იძლევენ რკინის აბებს, რკინის ფხვნილს და
კარგ შედევს აღწევენ.

რა თქმა უნდა, ხშირად ეს არ კმარა და საჭიროა ჰაერის
გამოცვლა, რიგიანი სმა-ჭამა, მეავე წყლები, რკინის წყალი.

როდესაც ივალმყოფობა დიდხანს გრძელდება და ქალი-
შვილი ოც წელს მიაღწევს ან გადააბიჯებს, ბევრჯერ 8 კარგ
შედევს იძლევა შვილოსნობა.

ორსულობისა და მოლოგინების შემდეგ ივალმყოფი სრუ-
ლებით გამომოვლებულია.

7. სისხლის გათეთრება, სურავანდი და ელითის და- სხეულება.

განა მართლა თეთრდება სისხლი?

საქმე გახლავთ შემდეგში.

მოგეხსენებათ, სისხლში არის წითელი ბურთულები და
თეთრი. წითელი ბურთულების რიცხვი ძალიან ბევრია, თეთ-
რისა კი ნაკლები

დაახლოებით ერთ მილიონ წითელი ბურთულებზე მოუ-
წევს სისხლში ათასი, ათას ხუთასი თეთრი. აღნიშნული ავალ-
მყოფობის დროს კი წითელი ბურთულების რიცხვი ძალიან კლე-
ბულიას, თეთრისა კი მეტად მატულობს. ამიტომ დაარჩევს
ამ სწეულებას სისხლის გათეთრება.

უმეტეს შემთხვევაში ავაღმყოფობა იწყება ნელნელა.

ავაღმყოფი სუსტდება, ხდება, ფერსა ჰქანავს, ხანდახან
ამცირებს და სიცხეს იძლევს, მუცელი ებერება, იფალარათებს
უსივდება ჯირკვლები კისერზე, ილლიებში, საზარდულებში;
უსივდება ტყირპი, ლეიძლი.

ავაღმყოფს სისხლი სდის ცხვირიდან.

ტანზე სხვადასხვა ალაგას უჩინდება წყლული; ლრძილები
უსივდება, სისხლი დასდის და კბილები ცვინდება.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება რამოდენიმე თვე და ავაღ-
მყოფი კვდება.

ზოგჯერ კი ავაღმყოფი მოიკეთებს, რამოდენიმე თვეს, წე-
ლიწადსა და მეტსაც კარგიდ არის, მაგრამ შემდეგ ისევ შეუ-
მატებს და მალე ჰქლავს.

მორჩენა შეუძლებელია.

ა) სურავანდი.—სურავანდი არის ერთგვარია ვალმყოფობა, რომელიც იწვევს ლრძილების დასიებას, დაიარავებასა და ლრძილებიდან სისხლის დენას, კუნთების, ძვლებისა უა სახ-სრების ტკივილსა და დასიებას, კანის დალურჯებას სხვადასხვა ალაგას, წითლად გამოყრას, საერთო დასუსტებას და სხვა.

სურავანდი უმეტესად შედეგია ცუდი საზრდოობისა, შიმ-შილისა.

ამიტომაც არის უფრო ხშირად თავს იწენს ხოლმე ცო-ხეებში, ომიანობის დროს ჯარში, ალყაშემორტყმულ ქალაქე-ბში და სხვა.

ზოგჯერ ის თან დაერთვის რამე მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობას.

სნეულება იწყება ნელნელა საერთო სისუსტით.

ავადმყოფს მკლავები სტკივა, წელი, ფერი ეკარგება; ამას ერთვის ლრძილების დასიება, ძვლების ტეხა, კანის დალუ-რჯება და ტკივილი სხვადასხვა ალაგას. ლრძილები წყლულ-უებიან.

ავადმყოფს პირი უყარს, კბილები სტკივა.

სახსრების დასიებისა გამო ივადმყოფს სიარული უძნელ-ება; მუხლებს ვეღარა ჰშლის.

სნეულება გრძელდება რამოდენიმე თვეს და შემდეგ ნელ-ნელა რჩება.

ზოგჯერ კი სისუსტე თანდათან მატულობს, ლრძილები სულ ლპება, ცხვირიდან და ნაწლივებიდან სისხლი იწყებს დე-ნას და ივადმყოფი კვდება.

საუკეთესო წიმალია სუფთა ჰაერი და კარგი სასმელ სა-ქმელი, ხორცეულთან ერთად აუკილებელია სამარხო ხილი და მწვანილი.

ბ) ელენთას ავადმყოფობა.—მოკებსენებათ, ელენთა არის პატარა ასო, რომელიც მდებარეობს მარცხნა ფერდში თირკ-მელს ზემოდან.

თქვენ უკვე იცით, რომ ელენთას მეტად დიდი მნიშვნე-ლობა აქვს სისხლის სხვადასხვა ნაწილების წარმოშობაში.

ბევრი ივადმყოფობის დროს ელენთა სიკედება და მაშინ
გას კუწოდებთ ტყირპს.

სხვადასხვა მოარულმა — მუცლის სახადმა, პარტახტიანმა
სახადმა, შებრუნებითი სახადმა, ქუნთრუშამ, ყელვირვებამ —
იცის ელენთას დასიება, მაგრამ გაივლის თუ არა მოარული,
ტყირპცი ჰქერება თავისთავად.

ჩეენში გავრცელებულია ერთგვარი სნეულება — დამპალი
ციება, რომელიც იწვევს ელენთას დასიებას.

ელენთა ხანდახან იმდენად იზრდება, რომ მთელი მუცე-
ლია იმითი გამოტენილი.

უმეტეს შემთხვევაში ასეთი ტყირპი მაგარია ქვასავით და
ზოგჯერ ავადმყოფს ძალიან აწუხებს: სიარულს უშლის, სმა-
ქამას, ასუსტებს.

ხანგრძლივ წამლობას ქინაქინითა და დარიშხანითა მო-
აქვს კირგი შედეგი, მაგრამ ბევრჯერ ტყირპი იმდენად დიდია,
რომ მისი სრულად გაქრობა არავითარ წამლობას იღარ შეუ-
ძლია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მიმართოს ავადმყოფში
აპერაციას და ტყირპი სრულებით ამოაღებიოს.

— მერე არ მოკვდება კაცი? იკითხავს ვინმე თქვენგანი.

საერთოდ აპერაცია აღვილი არ არის, მაგრამ უმეტესობა
გადიტანს.

8. ბაზუ.

ა) სუნთქვის მიზანი.— აბა სუნთქვა შეიკავეთ და დანიშნეთ დრო,— ნახევარ წიმის თუ გასძელით, კარგი ბიჭობაა. ბა ვში კი დედის მუცელში ცხრა თვე არა სუნთქავს; მაში ის როგორდა ძლებს?

ეს რომ გამოვარკვიოთ, ცატა შორიდან უნდა დავიწყოთ.

რა მიზანი აქვს სუნთქვას, მარტო ის რომ ფილტვებში ჰაერი ჩაღილდეს და ისევ უკან ამოღილდეს უცვლელად?

არა, მეცნიერებმა ჩასუნთქული ჰაერიც შეამოწმეს წინაშენ, ამოსუნთქულიც და მათ შორის ღიღი განსხვავება აღმოჩნდა.

თქვენ იქნებ გვინიათ, რომ ჰაერი ერთნაირი ნივთიერებაა; თუმცა ის უხილავია, მაგრამ რამოდენიმე სხვადასხვა ნივთიერება შედის შიგ და ყოველ მათგანს სახელად უწოდეს ჰაერის ნაირი, ანუ შემოკლებულად ჰაირი.

ჩასუნთქულ ჰაერში ზოგიერთი ჰაირი მეტია, ვიდრე ამოსუნთქულში. სამაგიეროდ, ამოსუნთქულში ზოგიერთი ისეთი რამ აღმოჩნდა, რაც ჩასუნთქულში არ მოიპოვება. აქედან აშკარად შემდეგი: ჩასუნთქული ჰაერიდან ფილტვებში რჩება ზოგიერთი ნაწილი, სამაგიეროთ ამავე ჰაერს ფილტვებიდან ამოაქვს ზოგი რამ ახალი.

ჩვენი სხეული განუწყვეტელ მუშაობაშია; მუშაობს გული, მუშაობს ლეიდლი, მუშაობს კუჭი, მუშაობენ თირკმელები, ფილტვები და სხვა. ამ მუშაობისათვის მათ ესაჭიროებათ ჰაერის ერთი ნაწილი, რომელსაც სახელად ჰქვია უანგბადი. სხვათაშორის, ეს უანგბადი აღვივებს ჩვენს სხეულში სითბოს. ურო-



გლისოთაც ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია. მუშაობის დროს ჩვენს სხეულში გროვდება ერთგვარი ჰაირი, რომელიც საწამლავია მთელი ავტოლებისათვის, თუ დიდხანს დარჩია შიგ. ამ ნივთიერებას ეწოდება ნახშირეანგი. როდესაც სისხლში ნახშირეანგი ბეკრია, მაშინ სისხლი შევია; თუ კოტაა, სამაგიეროთ კი უანგბადია ბლომად, მაშინ სისხლი წითელია.

ახლა დაუკვირდით, რას დაინახეთ სუნთქვის დროს: ჩვენი სხეულიდან შავი სისხლი შეუჩერებლად მოდის ფილტვებში, აქ ნახშირეანგს აძლევს ჰაერს და სამაგიეროთ ართმევს მას — უანგბადს, ვაღახალისდება, წითლდება და მოდის უკან, რომ მთელს სხეულში დაიაროს.

ამგვარად ტრიალებს სისხლი. ახლა ხომ დაინახეთ რაცა ყოფილი სუნთქვის მიზანი, სუნთქვის საშუალებით ჩვენი სისხლი შეუჩერებლად იწმინდება ფილტვებში.

სისხლს რომ ეს საშუალება მოესპოს, ჩვენ მოვიწამლებით და მოვკედებით.

ბ) ბავშის სუნთქვა.—ახლა დაუბრუნდეთ ასეთ ბავშს, როდესაც ჯერ კიდევ დედის მუცელშია. ის არა სუნთქვა, რაღანაც დედის მუცელში ჰაერი არ არის და სუნთქვა არ შეუძლია. მისი ფილტვები უმოძრაოდ არიან. მაშ რატომ არა კვდება ჰაერი? ჩათ უნდა მოკედეს, როდესაც მისი სისხლი ფილტვების დაუხმარებლად იწმინდება!

სად, როგორ, რა ნაირად?

მომყოლის საშუალებით. მომყოლი ბავშს უწევს ფილტვების მავიერობას.

ვერე ჰაერი საღლა არის?

ჰაერის მავიერობას ასრულებს დედის სისხლი.

მომყოლში ერთის მხრიდან თავს იყრის დედის გაწმენდილი, წითელი სისხლი, მეორეს მხრიდან ბავშის გაუწმენდელი, შავი სისხლი. ბავშის სისხლი აძლევს დედის სისხლს ნახშირეანგს, სამაგიეროდ ართმევს უანგბადს; ამგვარად იწმინდება, წითლდება და უკან უბრუნდება ბავშის სხეულს.

ბავში დაიბადა, მომყოლი მოსცილდა საშეილოსნოს და

ველარ უწევს ბავშს ფილტვების მაგიერობას; ბავშის სისხლი აღარ იწმინდება; ის იწყებს სუნთქვას, რომ ფილტვების საშუალებით გაიწმინდოს სისხლი, თორემ მოკვდება.

ახლა ვიკითხოთ, რატომ იწყებს ბავში სუნთქვას, სუნთქვა ხომ სრულებით უჩვეულო რამ არის იმისთვის?

საქმე იმაში გახლავთ, რომ თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა საქმეს ასრულებს. ერთი ნაწილი ფილტვებს ამუშავებს, მეორე—გულს, მესამე—კუჭს, მეოთხე—თირქმცლებს, მეხუთე—ნაწლავებს და სხვადასხვა. თავის ტვინში არის ერთი ნაწილი, რომლის გაღიზიანებაც აამოძრავებს ფილტვებს და იწვევს სუნთქვას.

როდესაც ბავში იბადება და მომყოლში მისი სისხლი აღარ იწმინდება, გასვრილი გაშავებული სისხლი გააღიზიანებს თავის ტვინის ამ ნაწილს, ის აამოძრავებს ფილტვებს, ბავშის ფილტვები გაიწვევან საპერველივით, კხვირსა და პირს მიაწვება ჰაერი და ხარბად გასწევს გადებული ფილტვებისაკენ. ჰაერის ასეთი უჩვეულო ნაკადული აკრთობს ბავშს და ის იწყებს ყვირილს.

გ) გული და მაჯის ცემა.— ხშირია ასეთი შემთხვევა. დედა დაადებს ბავშს გულზე ხელს და შენიშვნას, რომ გული აჩქარებულად სძერს; მოჰკიდებს მაჯაზე ხელს, მაჯის ცემა ჩქარია, შეშინებული დედა და ვლებს ბავშს ხელს, გარბის ექიმთან და ამ დღიდან იწყება ბავშის წვალება და წიმლობა არ რსებული აეპიმყოფობისა!

უნდა იცოდეთ ერთი რამ: ძუძუმწოვარ ბავშს გულის ცემა ას ორმოცამდე იქვს. ხუთწლადე მაჯის ცემა ბავშისა ასზე მეტია; ხუთი წლის შემდეგ კი ასზე ნაკლები და თანდათან უახლოვდება ოთხმოცს თორმეტ-ცამეტ წლებში.

სულ უბრალო მიხეზი საქმარისია, რომ ბავშს გულის ცემა სწრაფად აუჩქარდეს. ასეთია შიში, დაყვირება, გაქცევა, სურდო, ბრონხიტი.

დ) სავმლის მომნელებელი ასოები.— ყველასა გვიქვს პირში ნერწყვი, რომელიც მოევენავს პირში მდებარე სანერ-



წყვე ჯირკვლებიდან. ნერწყვი შეეტევა, შეეზილება საჭმელს დეპვის ღრთს და ხელს უწყობს როგორც იჩის გადაყლაპვას, ისე მონელებას. ახლად დაბადებულ ბავშს ნერწყვი ძალიან ცოტა ძექს და ზოტულობს დაახლოვებით მესამე დღიდან. რა-დგანიც მისი გადაყლაპვისათვის ბავშს აზრი არ შესწევს,—გა-დოდოდის ნიკაზშე და ამიტომ უჩილესენ ენას „ლოზიანო“, „ლო-რწყიანო“—ცო.

ჩვილის კუჭი მეტად პატარაა, ერთი საღვინე კიქა რძე არც კი ჩაეტევა შიგ. დედები ხშირად ჩივიან,—„ბავშს პირს ალებინებს, რძე უკანვე ამოსდისო“, ბევრჯერ ეს არის შედე-გი წარამარა და უწესრიგოდ კვევისა. რაც უნდა ჩაიღინოს პა-ტარა ბავშმა, ჩვენში არის ერთად-ერთი საშუალება მისი გა-ჩუმებისა ან დაწყნარებისა,—ძუძუ. ზოგჯერ ბავში გასვრილია ან უუდად წევს, არტახები უკერს და სხვა, ამიტომ კინკულობს, ტირის. დედა ჩასჩირის ძუძუს პირში და ამითი აწყნარებს. წა-რამარა წოვით ბავშს კუჭი ზედმეტად ევსება და ამიტომაც რძე უკან ამოსდის. ახლად დაბადებული ბავშის განავალი პირველ ორ-სამ დღეს ჰავ ფაფის წიაგავს, შემდეგ კი იწმინდება და მოყვითალო ფერისა არის. პირველ თვეებში ჩვილი ისვრება რამდენჯერმე — სამჯერ, თხხჯერ; შემდეგ და შემდეგ კი ერ-თხელ ან ორჯერ.

ე) თირკმელები და კანი. — ახალდაბადებულ ბავშს თირ-კმელებში ხშირად ძექს სილა, რომელიც თანდათან გამოაქვე შარდს პირველი ორი სამი კვირის განმავლობაში. ხანდახან პა-ტარა კენჭი ჩარჩება შარდის ბუშტში, იმის გარშემო ილექება შარდში ნარევი სილა და ამის გამო კენჭი თანდათან მა. ტულობს, ამიტომაც შირიმი შედარებით ხშირია პატარა ბა-ვშებში.

ახალდაბადებული ბავში დონდლოა ცომივით, თვის სწო-რად დაკავებას ის ახერხებს მხოლოდ სამი თვის შემდეგ. წე-ლში გმიაროვას და ჯდომას — შვიდი თვის შემდეგ, სიარულს — ერთი წლის შემდეგ. გვიან ფეხის იდგმა შედეგია სისუსტისა, ან ავალმყოფობისა, უფრო ხშირად — რახიტისა.

ახალდაბადებული ბავშის კანი უმეტეს შემთხვევაში კაქონილია, გაბანის შემდეგ ქონი სცილდება, ხოლო შემდეგ კანი წითლდება, და თანდათან იქრულება და ალაგ-ალაგ ძერება.

ვ) წონა და სიგრძე.—ახალდაბადებული ბავში სხვადასხვა წონისაა; ზოგი იწონის ექვს გირვანქას, ზოგიც — თოთხმეტს. საშუალოდ ახალ დაბადებული ბავში იწონის ოვა გირვანქას, ანუ სამ კილოზე ცოტა მეტს. ჩვილი სწრაფად მატულობს წონაზი და მეტუთე თვის გასულს უკვე ერთი-ორიად იწონის, წლის ბოლოს კი ერთი სამად. ამის შემდეგ კი სიმძიმე უფრო ნერა მატულობს.

ახალდაბადებული ბავშის სიგრძე უდრის 50 სანტიმეტრს, წლის ბოლომდე მატულობს 20 სანტიმეტრს; 5 წლის შემდეგ სიგრძე ერთი-ორიად მეტია, 13 წლის გასულს კი ერთი-სამად.

თ) ჩვილის კვება.—ვიღრე ბავში ფეხს აიღვამდეს, მისი საუკეთესო საზრდო არის რძე, მაგრამ ყოველი რძე კი არა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დედის რძე.

დედის რძეში თვითონ ბუნებაშ შეაზავა ყველა ის ნიერიება, რაც საჭიროა ძუძუმწოდარი ბავშის ზრდისა და განვითარებისათვის.

ამიტომაც ყოველი დედა ვალდებულია, თავისი ძუძუთი გაზარდოს შვილი, თუ კი ის არ არის სნეული. უკანასკნელ დროს კი არა თუ ქალაქელი დედა, სოფლელი დედაც კი სულ უბრალო მიზეზით სარგებლობს, რომ ბავშს უდროო დროს ააღებინოს ხელი ძუძუზე, დავსუსტდი შემაწუხაო და სხვა ამის შედეგად მოსდევს ბავშის დასნეულება და ხშირად სიკვდილიც.

მაწყინარია თუ არა რძე, როდესაც დედის სიცხე აქვს? არ არის მაწყინარი და სიცხის დროს დედამ უნდა იწოვოს ბავშს ძუძუ თუ, რასაცირველია, გამშრალი არ არის ავადმყოფობისა გამო.

ჩვენში ხშირად წარიამარად პირში აქვს ბავშს დედის ძუ-

ძუ, ან დედა სირის პირში ნიადაგ, რომ ბავში დააწყინაროს ან ვიაძინოს. ასეთი ცუდი ჩვეულება იწვევს ბავშის კუპ-ნაწლა-ვების დასნეულებას.

რამდენჯერ უნდა აწოვოს დედამ ბავშს ძუძუ? ახალდაბა-დებულ ბავშს პირველ თვეს თითქმის სულა სძინავს; როგორც ვამოიღვიძებს, უნდა მისცეთ ძუძუ. პირველი თვის შემდეგ შეოთხებდე ძუძუ მიეცია ყოველ ორ საათში, ღამე კი სამ სა-ათში ერთხელ, ე. ი. დღე მოუწევს 6—7 წოვება, ღამე კი—სამჯერ. მეოთხე თვიდგან კი უნდა აწოვოთ სამ საათში ერთ-ხელ, ე. ი. დღეში ოთხჯერ და ღამეც ორჯერ. ერთ ჯერზე უნდა მისცეთ მხოლოდ ერთი ძუძუ, მეორეზე—მეორე.

როდის უნდა მიაჩინოთ სხვა საჭმელს ბავში? თუ ბავშს დედის რძე ჰყოფნის, ჯანსაღია, იზრდება და ვითარდება, ათ თვემდე რა საჭიროა სხვა საზრდო! იმ ხნიდან ბავში ნელანე-ლა უნდა მიაჩინოთ ძროხის რძეს, ქაშს, კვერცხს, ქათმის წცენს; ხოლო ძუძუ არ უნდა გააშვებინოთ, სანამ ბავში წელიწადს არ გადააცილებს. გახდება ბავში წლისა და ორი თვის, საშის, ქამას მიერჩვევა კარგად; აი, მაშინ გააშვებინეთ ძუძუ. თუ ახლო-ზახლო გავრცელებულია კუპ-ნაწლავების ავადმყოფობა, მუცე-ლა (სისხა), წითელა ან სხეა რაიმე მოარული ბავშებისა, ძუძუ არამც და არამც არ გააშვებინოთ.

ი) ბავშის გაბარება და ძიდა.—თუ დედა რაიმე მძიმე სწრულებისა გამო ან ძუძუს გაშრობის მიზნით იძულებულია, ბავში ძუძუდან მოიშოროს, მაშინ აუცილებელია ძიდის აყვა-ნი. ჩვენში ასეთ შემთხვევაში იციან ბავშის გაბარება, რაც მე-ტაღ ცუდი ჩვეულებაა. რა იცის დედამ, როგორ უვლის ძიდა გაბარებულ ბავშს? სულ ხშირად არის, ძიდას საქმაო რძე არ აქვს, ხან ძროხის რძეს აძლევს ბავშს, როგორც მოხვდება, ხან პურისა ჰლევის და იმითი კვებავს. ყოველმა დედამ კარგად უნდა იცოდეს, რომ იმასავით გულშემატკივარი იმისი შვილი-სათვის არავითარი ძიდა არ იქნება.

ვისაც შეუძლია, ძიდა უნდა იყოლიოს სახლში. ძიდა უნდა იყოს ჯანმრთელი, ამისათვის უნდა შეამოწმებინოთ

ექიმს; უნდა პქონდეს საკმაო რძე. ამის გასაგებად უბრძლო
საშუალებაა: ათი ხუთმეტი. წამი აწოვოს ძუძუ ბავშვს, შემდევ
ამავე ძუძუზე მოუქირეთ ხელი; თუ რძემ შორს გაღმოსხს,
მაში ძიძის რძე ბლომადა პქონია. ძიძისა და დედის შშობიაჩენ-
ბას შორის ექვს თვეზე მეტი განსხვავება არ უნდა იყოს.

თუ დედას საპატიო მიზეზისა გამო არ შეუძლია ბავშვის
გაზრდა თავისი რძით, და არც იმდენი ქონება აქვს, რომ ძიძა
იქირაოს, მაშინ უნდა მიმართოს ხელოვნურ კვებას.

საუკეთესოა რძე ძროხისა, თხისა.

ერთი რამ უნდა იცოდეს ყაველმა დედამ: ძროხის ან
თხის რძით ბავშვის გაზრდა მეტისმეტად ძნელია და უშერესი
ნაწილი პირველ წელსავე იხოცება.

უნდა მიაქციოთ უდიდესი ყურადღება სისუფთავეს; რძე
უნდა იყოს სუფთა; კურპელი, რომელშიაც რძეს ინახავთ, უნ-
და იყოს სუფთა.

უნდა იყოს სუფთა ის ჭურჭელი, რომლითაც რძეს აწოვებთ
ბავშვს. რძე უნდა იღულდეს კარგად, მაგრამ მარტო ეს არ
კმარა: ყოველი მოწოვების წინ რძე ხელახლა უნდა მოადე-
ლოთ. ჩინს მოსაულებლად უა შესაბამის სხვადასხვა იარ-
ლია შემოლებული. საუკეთესოდ ითვლება სოქსლეტის იარალი.

ძროხის რძისა და ქილის რძის თვისება და შემაღებულო-
ბა ერთნაირი არ არის, ძროხის რძე საერთოდ უფრო ძნელი
მოსანელებელია; ამიტომ უნდა გაურიოთ რძეში წყალი; კი-
დევ უკეთესია, თუ გაურევთ ქერის ან ბრინჯის ნახარშს. რამ-
დენი უნდა გაურიოთ? პირველი თვის განმავლობაში აიღო
ერთი ნაწილი რძე, სამი ნაწილი წყალი; სამ თვემდე — ერთი
ნაწილი რძე, ორი ნაწილი წყალი; ოთხ თვემდე — ნახევარი
წყალი, ნახევარი რძე; ოთხიდან ექვსამდე — ორი ნაწილი რძე
ერთი ნაწილი წყალი; შემდეგ კი აძლიერ წმინდა რძე.
შესაძლებელია ბავშვი შეიღი თვისაც იყოს, მაგრამ წმინდა რძე
ვერ იტანოს, კუჭი მოეშალოს; სანამ კუჭი გამოუსწორდებო-
დეს, წყალი გაურიეთ ხოლმე რძეში — ორ ნაწილ რძეში ერ-
თი ნაწილი წყალი.

მარტო წყალის გარევა არა კმარა, საჭიროა კიდევ შექმნა-
რი, რაღაც აუდგანაც ქალის რძეში მეტია შაქარი, ვიდრე ძროხი-
საში.

წყალით შეზავებულ ერთ ჩაის კიქა რძეში უნდა გაური-
ოთ ორი ჩაის კოვზი დანაყილი შაქარი.

ბავშვს რძე უნდა მისცეთ თბილი და არა ცივი.

ზოგჯერ ბავშვს ძროხის რძე სწყენს; ერთი მიხეზი ისიც
არის, რომ ბევრს აძლევენ და ბავშვის კუჭი ვერ ერევა. პირ-
ელი თვის განმავლობაში თითო ჯერზე უნდა მოაწოვოთ
ოთხი სუფრის კოვზი, პირველი თვის შემდეგ სამ თვემდე—
რვა კოვზი; სამიდან ექვსამდე—თორმეტი კოვზი; შემდეგ კი
ნელანელა უმატეთ და დაუკურდით, რომ ბავშვს კუჭი-არ მოე-
შალოს.

რამდენჯერ უნდა მისცეთ ძროხის რძე დღე და ღამის
განმავლობაში? აქ უნდა დაიცვათ იგივე წესი, როგორც ძუ-
ძუს წოვების დროს.

9. ბავშის მოვლა.

ბავშის მოვლა, ბავშის ჯანმთელობაზე ზრუნვა მეტად დიდი საქმეა: ეს საქმე გვივალება ცველის და განსაკუთრებით იმას, ვინც ყველაზე უფრო დაახლოებულია ბავშთან.

ეს გახლავთ დედა.

ბავშის მოვლა არ არის ადვილი და იოლი საქმე, მას კოდნა უნდა.

კოდნას კი წინ უძღვის შესწავლა.

ამიტომ დედამ რიგიანად უნდა შეისწავლოს ყოველრე, რაც საჭირო არის ბავშის მოვლისათვის.

აი ბავში დაიბადა ჯანსაღი. გადის ორი დღე, სამი და დედა უცებ შენიშნავს, რომ ბავშს თავი შეუსივდა და ერთ ალაგის კანი გამოებერა. დედას გული უსკდება, არ იცის რა ჟენას.

ყოველმა დედამ უნდა იკოდეს, რომ ასეთი სიმსივნე ხშირად უჩნდება იხალდაბადებულ ბავშს თავზე და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

რა იწვევს სიმსივნეს? უმეტეს შემთხვევაში დაბეჭდი თავის ქალასი მშობიარობის დროს. თავის ქალა ჩვილს ეტეტება მშობიარობის დროს იმ შემთხვევაში, თუ დედას მენჯები ვიწრო აქვს, ან ბავშს თავი იქს დიდი, ან ბებია არის გამოუცდელი. ჩაშინ რომელიმე ძვალის გარსს ქვეშ თავზე სისხლი ჩიქქება, კანი ამოებორცვება და ჩნდება სიმსივნე.

სიმსივნე ბავშს სრულებით არ აწუხებს, არა სტკივა, არა-ფერს უშლის, სიცხეს არ იძლევს და რამოდენიმე კვირის განმვლობაში თანდათან ჰქონდება.

ითასში ერთხელ სიმსივნე არ ჰქონდება, ჩირქდება და მაშინ აუცილებელია გაკვეთა.

ზოგჯერ ბავში იბადება გაგუდული, აღარ სუნთქმა, ექიმები ამას უწოდებენ ასფიქსიას. ბავშა სახე შეუპეპული აქვს, გაბიუვინებული, ტუჩები ლურჯი. ასეთ შემთხვევაში ბავშს უნდა შემოჰკრათ ხელი თეძმებზე, ან გადასხათ ცრვი წყალი, ჩაისუნთქვას და გამართავს ჩხავილს.

ჩვილმა იცის აკრეთვე ძუძუების დასიება, რასაც ზოგჯერ შედეგად მოსდევს ძუძუების დაჩირქება, ძუძუების შესიებას იწვევს ის გარემოება, რომ ჩვილს შიგ უგროვდება ერთგვარი სითხე, წბილი, რომელიც თავისი ფერითა და სისქით ძალიან წააგავს ორსული ქალის ხსენს. ავადმყოფობა გრძელდება ორსამ კვირას და შემდეგ თანდათან პქრება.

როგორი წამლობაა საჭირო? დაადევით ბავშს დასიებულ ქუძუებზე ბამბა, სუფთა ნიკერი და შეუხვევთ. თუ ძალიან სტკავი, ან სიცხეს აძლევს, უკეთეთ კივი წყილის კომპრესი. როდესაც ბავშს ძუძუების შესიებას შეამჩნევთ, ირამც და არაც არ გამოუწუროთ ხსენი, თორემ ძუძუები დაუჩირქდება. ასეთი დაჩირქება ვაუისათვის უმნიშვნელოა, ხოლო გოგოს ხშირად ძუძუები უფუძლება და დედობისას შიგ რჩე იღარ ჩაუფეხება.

ხშირად ჩვილსა სჩვევია სიყვითლე ანუ ყვითა, რომელიც გმართება ბავშს დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. მთელი კანი, თვალები ყვითლდებიან, თითქოს ნაღველი გადაუსხამოთ.

სიყვითლე თავისით პქრება თანდათან და არავითარი ზიანი ბავშისათვის არ მოაქვს.

განსაკუთრებული მოვლა უნდა ბავშის ჭაპს.

ძირში მისი მოქრა არ შეიძლება, უნდა დასტოოთ ორისამი თითოს დადება მაინც. უნდა მოიქრას ძალიან გასუფთავებული დანით ან მაკრატლით და უნდა შეახვიოთ ძალიან სუფთად; ყოველ დღე რამდენჯერმე შეხსენით, გაწმინდეთ, მოაყარეთ ქსეროფორმი (აფთიაქში იშოვით). როდესაც ჭიში მოძერება, დარჩება პატარა წყლული. დღეში რამდენჯერმე უნდა გაწმინდოთ სუფთად, მოაყაროთ ქსეროფორმი და შეუხვიოთ. უსუფთაობა ხშირად აჩენს წითელ ქარს, რასაც რამდენიმე დღის ჩვილი იშვიათად გადაუჩირება.

უსუფთაობას შედევილ მოსდევს ბევრჯერ მუცლის კანის
ანთება ჭიპის გარშემო, დაჩირქება, სისხლის მოწამლვა და
სიკვდილი.

ზოგჯერ ბავშვს ჭიპი გამოებერება და ხელს რომ დააკერთ,
კყრიალით ჩაიფუკება; იუშვებთ ხელს, ისევ ამოიბერება.

ჭიპში წყალი ჩაუდგაო, ამბობენ დედები.

წყალი კი არ არის, არამედ ჭიპის თიაქარია.

თითს თუ დააკერთ, დარწმუნდებით, რომ ჭიპში კანქეეშ
ნახვრეტია.

ჭიპის თიაქარს შეხვევა უნდა და თუ დიდი არ არის,
რჩება, სანამ ბავში ფეხს იღდამდეს ან ფეხის აღგმის შემდეგ
ორ-სამ წლიამდე. თუ დიდია, აპერაცია სკორდება.

როდის ეწყება ბავშს კბილების ამოქრა? ერთს უფრო
იდრე, მეორეს უფრო გვიან, უმეტეს შემთხვევაში ჯანმრთელ
ბავშს კბილები ამოუდის მეშვიდე თვითან.

უმაღ ამოვა ორი ქვედა წინა კბილი, ერთი თვის შემ-
დევ—ოთხი ზედა წინა კბილი, შემდეგ ორი ქვედა; შემდევ
მ-ჟყვებიან რიგრიგად საძირის კბილები და ორწლინახევრის
ბავშს უნდა ჰქონდეს ოცი კბილი. ამათ ეწოდება სარძვე
კბილები, რაუგანაც ექვსი წლის შემდეგ ბავში მათ რიგრი-
გობით იცვლის.

ზოგჯერ ოთხი თვის ბავშს უკაე კბილი ამოსდის, რაც
დედას ახარებს, რადგანაც ამაში ჰქონდავს ბავშის იშეიათი ჯან-
მრთელობის საბუთს. ნამეტანი აღრე და ხშირი ამოსელი კბი-
ლისა ავადმყოფობის მომასწავებელია. აგრეთვე თუ კბილები
ბავშს გვიან ამოუდის და მეტად ძნელად, ეს იმას ნიშნავს,
რომ ბავში სუსტი და სნეულია.

თვითონ კბილების ამოქრა იწვევს თუ არა რაიმე სნეუ-
ლებას ბავშის დგებულებაში?

ზოგიერთი დედა კბილებს აწერს ყოველისფერს, რაც უნ-
და დაემართოს ბავშს კბილების ამოსელის დროს. ამის გამო
ექიმსაც არ მიმართავს ხოლმე დროზე: კბილების ბრალია და
თავისით გაუვლისო.

ეს დიდი შეცდომაა: თუ კბილების ამოსვლის დროს ბავში აეად გახდა, მაინც და მაინც კბილების ბრალიათ, ამის თქმა არ შეიძლება. ზოგიერთი ბავში კბილების ამოჭრას სრულებით უმტკიცნეულოდ იტანს, სხვებს კი სიცხეს აძლევს, პირი სტკოვა, გულს აზიდებს, აფალარათებს.

პატარა ბავშება ხშირად იცის პირის ტყივილი, რომლის დროსაც ენაზე, ლრძილებზე, სასაზე აყრის პატარ-პატარა მოთეთრო წყლულებს, ამ დროს ბავშს ხშირად სიცხეს აძლევს, კამა ეძნელება, უგუნებოდ არის, კინჭყლობს, ტირის.

ზოგჯერ ძუძუმწოვარ ბავშს რძის ფრად დააყრის, ენასა და სასაზე, რის გამო ბავშს ძუძუს წოვა ეძნელება.

ცველა ისეთ შემთხვევაში კარგია ბორის სიმჟავე. ერთი ჩიის კოვზა ბორის სიმჟავე, გახსენით ერთ ჩიის ჭიქა ცხელ წყალში, გაანელეთ და შიგ ჩისველებული სუფთა ბამბით ან ნაქრით დღეში რამდენჯერმე კარგად გაუწმინდეთ ბავშს პირი, ენა, სასა, ლრძილები.

კარგია იგრეთვე მუხის კანი: დაჭერით, მოხარშეთ, ერთ ჩიის ჭიქა ნიხარშში გახსენით ერთი ჩიის კოვზი დანაყილი შაბი და უწმინდეთ ბავშს იმგვარადვე, როგორც ბორის სიმჟავის ხსნარით.

ზოგჯერ რაიმე სნეულებით უასუსტებულ ბავშს ლრძილები უჩირქდება, უწყლულდება; სნეულება გადადის ლრძილებიდან ლოყებზე, შიგნიდან იწყებს დაჩირქებას და ხანდახან მთლად გამავდება და გამოლპება ლოყა. ბავშს სიცხეს აძლევს, სუსტდება; მეტად მყრალი სუნი სდის პირიდან. თუ დროზე არ უშეველეთ, ბავში მოკვდება, ან საშინლად დასახიჩრდება. ამ სნეულებას ეწოდება წყლის კიბო.

10. ఎట్లాండ్ సికించియ, అంబిల్ డా మాస్టాన్ ఫిలిప్పు.

సాజ్మాండ గావ్రల్ప్రెల్యాబ్జుల్లిం ప్రయోల్గాన్ ఏర్తి సెన్సి, రంఘ్యేల్-
సాప్ ర్యామ్భెబొ ల్చ్చిండ్రెబ్బెన్ రాబోర్సు.

ఓస్ ర్మార్ట్రోబొ రాబోర్సు?

మెంట్లోం దావ్స్ట్రేబెల్ నీ ఫ్లోమ్మ్లై.

రాబోర్సు ల్చ్చిండ్రెబ్బెన్ వ్హర్ట్‌ట్వ్యే ఇంగ్లిస్‌శ్రీ వ్హాఫ్మ్యూట్‌ట్రోబొసు.

సార్ట్రోబొ?

మిగ్రోబొ, రంఘ్ ఇస్ సెంగ్యుల్యేబొ దావ్స్ట్రేబొసూ. గాన్సాజ్యుఫ్రోబొం
అంబొ గావ్రల్ప్రెల్యాబ్జుల్లిం ఇంగ్లిస్‌శ్రీ.

సా థాసింట్‌థె ప్ర్యోలోథ్జె ల్చ్చింగ్ ఏమ్ సెంగ్యుల్యేబొసు?

స్ట్రోబొసు తావ్సిస్‌బ్రూర్సొ దాసింస్రోబొ, స్ట్రోబొ దావ్స్ట్రేబొ ల్చ్చిం-
డ్రేబొ దా గమ్మో స్ట్రోబొ, రంఘ్‌ట్రుప్ మాగాల్చింతాడ క్రిఫ్ట్‌ట్రోబొసు,
న్య్య్య్యోబొ, తావ్సా దా భోల్చోమ్ మిస్‌స్ట్రోల్‌ఫ్రోబొసు.

స్ట్రోబొ దాసింట్‌థెబొసు స్ట్రోబొసుసు రో మోస్ట్రోవ్సె శ్యేడ్‌గ్రాడ్?

మింక్రోబొ శ్యేడ్‌గ్రాడ్ అంబొ ఇస్, రంఘ్ దావ్స్ట్రేబొ గ్రోస్ ఒఫ్‌మెస్ ట్యూబ్సు;
ట్యూబొ ల్చ్చింగ్ ఏమ్ గ్రోస్ ఒఫ్‌మెస్ ట్యూబొ, గాన్సాజ్యుఫ్రోబొం ఫ్లోషిస్ స్ట్రోబొ దా దావ్స్ట్రేబొ
మిస్‌స్ట్రోల్‌ఫ్రోబొసు.

బ్రేక్‌బ్రోబొసు స్ట్రోబొ దావ్స్ట్రేబొ శ్యేప్‌మో ల్చ్చింగ్‌ట్రోబొ దా ల్చ్చింగ్‌ట్రోబొ
బొస్టొన్, దావ్స్ట్రేబొ ఫ్లోస్ వ్హర్టో క్యోమ్‌బొసు.

బ్రేక్‌బ్రోబొ శ్యేడ్‌గ్రాడ్ స్ట్రోబొసు, క్రూచొ బోమ ఏం ల్చ్చింగ్‌ట్రోబొసు.

క్రూచొ అంబొ శ్యేడ్‌గ్రాడ్ బ్రేక్‌బ్రోబొసు మింక్రోబొసు క్లోష్యుబొసు. క్లోష్యుబొ
గామ్ స్ట్రోబొ దాసింస్రోబొసు, రంఘ్‌ట్రోబొసు, బ్రేక్‌బ్రోబొసు గాంబొ-
ర్హోబొ దా గామ్‌ట్రోబొ శ్యేప్‌మో.

రాబోర్సు దార్మా క్రో స్ట్రోబొ క్రో ఏం మింక్రోబొసు, అంబొద
మెంట్లోం రంఘ్‌ట్రోబొసు, రాబో గామ్ బ్రేక్‌బ్రోబొసు మింక్రోబొ శ్యేప్‌మో
మింక్రోబొసు.

బ్రేక్‌బ్రోబొసు మింక్రోబొ శ్యేడ్‌గ్రాడ్ మోస్ట్రోవ్సె మింక్రోబొసు గ్యు-

ფაზის დამთხინჯება; გულ-ბოყვი გვერდებზე ჩაიღრიკება და გერდი წინ ამოიზნიქება, რის გამო ბავშის გულმკერდი ქათ-მის გულმკერდს ემსგავსება.

მაჯები და მუხლები ხშირად უმსხვილდება ავალმყოფ ბავშს და ამავე დროს უდიდება; უმსხვილოება თავი, შუბლსა და კეფაზე კოპები უჩნდება, რის გამო თავი ოთხუთხიან კო-ლოფს დაემსგავსება ხოლმე.

ამ ხანებში რახიტიანმა ბავშმა იცის ოფლი თავზე და ხშირად დედები სწორედ ამ გარემოებას აქცევენ ყურადღებას: ბავშს თავი უოფლიანდება ნამეტანი და იმიტომ მიციცდებაო.

ყველა აქ ჩამოთვლილი ნიშანი რახიტისა არა ჩნდება ერთბაშად და ერთნაირად; ზოგჯერ ცვლილება უფრო ეტუ-ბა კიდურის ძვლებს, ზოგინ ხერხემლისას, ზოგინ თავისას, ზოგჯერ გულის ყაფაზისას.

ამასთანავე ყველა ავალმყოფში ერთნაირის სიმძლავრით არ იჩენს ეს სნეულება თავს, ზოგჯერ ბავშს იმდენად უმნიშვ-ნელო ნიშნები აქვს რახიტისა, რომ დაკვირვებული ექიმის თვალია საჭირო, რომ შეამჩნიოს. ზოგიერთ შემთხვევაში კი იმდენად მორეული აქვს ბავშს რახიტი, რომ ყოველი ადამია-ნი ადვილად შეამჩნევს.

რახიტს თან დასდევს ბავშის საერთო სისუსტე. ამის ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ბავშს გვიან ამოუდის კბილები.

ათი თვისა და მეტი ხნოვანების ბავშს თუ კბილები არა აქვს, ან ამოსვლია ორი და მეტი კი ჯერ არა, ეს უკვე რა-ხიტის ნიშანია.

რახიტით სნეული ბავში მუდამ ავალმყოფობს, მაგრამ ეს ივალმყოფობა სხვადასხვა ბავშში სხვადასხვანაირია: ერთს მუ-დამ ახიხინებს და ახველებს, მეორეს მუდამ შემობერილი აქვს მუცელი, ხან გახსნილია, ხან შეკრული: მესამეს მუდამ დაზ-ღმურდლული აქვს თავი და სახე.

დედები იმ ზეღურანართ ავალმყოფობას აქცევენ ყურადღე-ბას და უმთავრესი კი შეუმჩნეველი რჩებათ. ექიმს ეხვეწებიან: შენი კარიმე როგორმე ეს ხველა მოაშორეთ, და ხველას რა

მოაშორებს ასეთს ბავშს, ოუ თითონ რახიტს არ ექნება ჟესა-
ფერისი წამლობა.

თუ ბავშს ორ წლამდე ნიადაგ ახიზინებს და სულ უბრა-
ლო მიზეზი საკმარისია, რომ ხევლა იუვარდეს, ეს უტყუარი
ნიშანია რახიტისა.

თუ ბავშს მოუსვენრადა სძინავს, პბორგავს, საბანს იხდის,
ან უცებ ატირდება ძილში და წიმოდგება, ესეც რახიტის ნი-
შანია.

თუ ბავშს ღამე მოულოდნელად შამოუქირა გულზე და
სუნთქვა გაუძნელდა, ესეც რახიტის ნიშანია უფრო ხშირად.

რახიტმა ხშირად იცის გამოყრა კანზე, განსაკუთრებით
სახეზე.

რაც შეეხება გარეგნობას, რახიტით სწეული ბავში ზოგი
გამხდარია, დიდი მუცელი იქვს, მსხვილი თავი, ვიწრო და
ამოკუნული გულმკერდი.

ზოგი კი პირიქით მსუქანია, გაუზრულებული, გაფუ-
ბული, მაგრამ ფერმკრთალი

რახიტს უმეტეს შემთხვევაში სჩევენი ელენთას დასიება —
ტყიორბი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, რახიტი არის ბავშების ავაღმ-
ყოფობა დაბადებიდან ორ წლამდე. ზოგიერთ ბავშს დედის
მუცელიდანვე დაჰყვება რახიტი, ზოგს კი მერე უჩნდება.

ზოგჯერ ოთხი წლის ბავშსაც იქვს რახიტი, მაგრამ ეს
სწეულება მას შეძენილი იქვს ორ წლამდე.

საიდან და როგორა ჩნდება რახიტი?

უკვე მოგახსენეთ, რომ ზოგიერთ ბავშს დედის მუცელი-
დანვე გამოჰყება.

იქედან ცხადია, რომ ასეთ ბავშს შექნია ერთგვარი მემ-
კვიდრეობითი მიღრეულება ამ სენისაღმი.

საზოგადოთ ბევრი სწეულების წარმოშობასა და განვი-
თარებაში მემკვიდრეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა იქვს.
ტყუილა კი არ უთქვამს ჩერენს ხალხს: დედა ნახე, მამა ნახე,
შეილი ისე გამონახეო, ანდა, კვიცი გვარზე ჰეტისო.

თუ დედმიმას კუპი ან ფილტვები არ უვარგა, შეიღწაც უშეტეს შემთხვევაში სუსტი კუპი და ფილტვები გამოს-ყვება.

დგრეთვე თუ დედა ან მამა ბავშობისას რახიტით იყვნენ ავალ, შეიღლიც ხშირად რახიტიანი იბადება, ან შემდეგ უჩნ-დება რახიტი.

რახიტის მიზეზი ჰედება ყოველი ავადმყოფობა, რომელ-საც კი შედეგად მოსდევს ბავშის სხეულის საგრძნობლად და-სუსტება. ბავშის მტერია ყივანახველა, წითელა, ქუნთრუშა ნაწლავების სნეულება, მუცელა.

ყოველ ამათგანს შეუძლია, გამოიწვიოს რახიტი, ან გამოა-შეარის და გააძლიეროს, თუ რომ ის იყო ბავშის სხეულში. ჩეენში ბევრგან გავრცელებულია მალარია. თუ პატარა ბავ-შის აგებულებაში ამ სნეულებამ დაიბუდა, სხეული სუსტდე-ბა, სისხლი ეცლება და ამრიგად მზადდება საუცხოვო ნიადა-გი რახიტისათვის.

მზე, სუფთა და მშრალი ჰაერი მტერია რახიტისა. ამი-ტომ ეს სენი უფრო ხშირია ისეთ ადგილებში, სადაც ნო-ტიო, შეხეოთული ჰაერია, სინათლე და მზე კი - ნაკლები

ამის გამო რახიტი უფრო გავრცელებულია ქალაქ ადგი-ლას, ვიდრე სოფლად. მდიდარ ოჯახში ის ძვირი სტუმარია, ხოლო ღარიბის ოჯახში მისთვის მუდამ ლია არის კარი, რად-განაც სილარიბეს თანა სდევს ცუდი, უმზეო, ბნელი, ნოტიო და შეხეოთული ბინა.

სოფლად მზე და სინათლე ბევრია, ჰაერიც სუფთა არის, ამიტომ რახიტიც უფრო იშვიათია.

რადგანაც სინესტე ხელს უწყობს რახიტს, ამის გამო დაბალ ადგილებში რახიტი უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე მოებში.

ერთი უპირველესი მნიშვნელობა აქვს ბავშის საზრდოო-ბას. მრავალი დაკვირვებით დამტკიცებულია შემდეგი; თუ ბავში დედის ან საზოგადოთ ქალის რძით იკვებება, რახიტით უფრო ძვირად სნეულდება; ის ბავში, კი რომელიც ძროხის

რძით საზრდოობს, უმეტეს შემთხვევაში რახიტითა შელება აფალ.

სოფლის ხალხისა და საერთოდ მუშების ოჯახებში ერთი ცუდი ჩვეულებაა: ბავშვს ნიადაგ ძუძუ უდევს პირში და სწორს უთავბოლოდ.

თუ ბავშვი ტირილი დაიწყო, საუკეთესო საშუალება ტირილის წინააღმდეგ ძუძუ არის; ჩასჩირის დედა პირში და გააჩუქრებს.

ხშირად ბავშვს შიმშილი კი არ აწუხებს, არამედ სხვა რა-მე; მაგრამ დედა ამის გამორკვევაში არ შედის,—ძუძუ პირში და მისი ჯანი!

ასეთ უწესრიგო წოვებას შედეგად მოსდევს კუპნაწლა-ვების მოშლა და რახიტი.

როდესაც რაიმე შიზეზისა გამო დედა თავისი ძუძუთი ვერა ზრდის ბავშვს და იძულებულია, გაიბაროს, ძიძის რძე თუ დედის რძეზე ბევრად უფრო ძევლია, სახიფათოა, რადვანაც ასეთი რძით გაზრდილი ბავშვი ხშირად სწერულდება რახიტით.

შენიშვნულია ერთი მოვლენა: თუ დედა ნამეტანი ახალ-გაზრდაა, შვილი ხშირად სწერულდება რახიტით, ჩვენში არ უნდა გათხოვდეს ქალიშვილი ჩვიდმეტ-თვრამეტ წელზე აღრე.

თუ მამას სიფილისი სკირდა და გამომრთელებული არ არის, შვილს შეიძლება გამოჰყეს როგორც სიფილისი, აგრეთვე რახიტიც.

რახიტი შემპარივი ივადმყოფობაა, ის იწყება ნელ-ნელა და უმეტეს შემთხვევაში გრძელდება ორს და სამს წელიწიდს. თუ დედმამამ დროზედ მიაქცია უურადლება და მალე უწიმლა, ბავშვი რამდენიმე თვეში რჩება.

რახიტიანი ბავშვი გონებრივიდ კარგად ვითარდება, ხოლო ფეხს ძალიან გვიან იდგამს და ხანდახან იცის გულყრა, გულის წასკლა, მომთვარევა და გადაბეირება.

როგორც პედავთ, რახიტი ხანგრძლივი, დახანებული სწერულებაა და უმეტეს შემთხვევაში რჩება. ხოლო რახიტი იწვევს სიერთოდ დასუსტებას მთელი სხეულის, ნაწლავების

აფალმყოფობას, გულზე ხიხინს, ხველებას და ამის გამო რახიცხავა
ტიან ბავშვს აღვილად ემართება ნაწლავების ანთება, ფილტვე-
ბის ანთება და სხვა ისეთი გარეულება, რისი გადატანაც რა-
ხიტით დასუსტებულ ბავშვს უძნელდება.

ამიტომაც თუ რახიტიანი ბავშვი ხშირად იხოცება, ამის
პირდაპირი მიხეჭი რახიტი კი არ არის, არამედ ცველა ის
გარეულება, რომელიც თანა სდევს რახიტს.

როგორ უნდა უწამლოთ რახიტიან ბავშვს?

ზემოთ მე ჩამოვთვალე ის მიხეჭები, რომლებიც ხელს
უწყობენ რახიტის წარმოშობას და განვითარებას.

უძნებური ბავშვი უცეტეს შემთხვევაში რახიტით სნეულ-
დება. იქედან ცხადია, რომ ბავშვი 7—8 თვემდე მაინც უნდა
იკვებებოდეს ქალის რძით.

ეს იმასარჩნიშნავს, რომ 7—8 თვის შემდეგ ბავშვს ძალა უნ-
და გააშვებინოთ: ამ ხნოვანობის შემდეგ შეიძლება ხანდახან
ძრობის ან თხის რძის მიცემა, თუ რომ დედის ან ძიდის რძე
ბავშვს არა ჰყოფნის.

ნოტიო ბინა, შეხუთული ჰაერი ხშირად იწვევს რახიტს.

როდესაც ბავშვი უსუფთაოდ არის, ხშირად სნეულდება
რახიტით. ამიტომ ბავშვი ძალიან სისუფთავე უნდა, აუცილე-
ბელია ბანა დღეში ორჯერ, ყოველ შემთხვევაში ერთხელ
მაინც.

სოფელში ხშირად ნახავთ ხუთი ექვსი თვის ბავშვს პურს
აძლევენ, ან რძის ფაფას აკმევენ. ეს მეტად ცუდი ჩეუ-
ლებაა.

ვარდა ამისა რომ კუპნაწლავები უსნეულდება ბავშვს,
შესძლებელია, რახიტიც გაუჩნდეს.

საუკეთესო წამოლია რახიტიანი ბავშისათვის თევზის ქო-
ნი, რომელიც უნდა მისცეთ პატარას წლამდე დღეში ერთ-
ხელ თითო პატარა კოვზი და წლისაზე უფროსს — ორჯერ —
სამჯერ. ხოლო თევზის ქონი სიცხვეში არ ვარგა, რადგანც
კუპნი მოშენა იცის. თევზის ქონი უნდა იძლიოთ რახიტიან
ბავშვს შეუ შემოდგომიდან გაზაფხულომდე.

ძალიან კარგი საშუალებაა მარილიანი აბაზანა: ერთ აბაზაშე ორი— სამი გირვანქა მარილი კმარა. უფრო იმჯობინებენ ზღვის მარილს. თუ ზღვისა არ იშოვება, უბრალო მარილიც კარგია.

აბაზანაში უნდა იჯდეს ბავში ან იწვეს ათი თხელმეტი წაში. აბაზანა უნდა უკეთოთ ორ დღეში ერთხელ. თუ ქს შეუძლებელია, მაშინ აიღეთ არაყი ერთი ბოთლი, გაურიეთ შიგ ერთი ან ორი სუფრის კოვში მარილი და დილა საღამოს: მთელი სხეული უზილეთ ბავშს რამოდენიმე თვის განმავლობაში.

ძალიან კარგ შედეგს იძლევა ელექტრონის შუქით წამლობა.

ვისაც შეუძლია, კარგია ზღვის ჰაერი და ზღვის წყალის თბილი აბაზანები.

ზაფხულზე ძალიან სასაჩვებლოა მზის აბაზანა: უნდა გაატიტულოთ ბავში და დააწვინოთ მზეზე შეიადლისას პირველად ხუთი წამი, შემდეგ ათი, ოცი, ნახევარი საათი და ბოლოს მთელი საათი.

11. კიბეჭითი და სენატორი.

(ფაზარი და შირიმი).

— შენი კირიმე, ექიმო, ერთი ამ ბალლის საცოდაობიდან გამომიყენე როგორმე — მიმართა სოფლის სააგადმყოფოში გქიმს ბესიძ და თან შვიდი წლის ვაჟზე მიუთითა.

— რა დაემართა? დაეკითხა ექიმი.

— რაღა რა დაემართა, შარდზე რომ მიღება, აღარ ვართ ამისი ცოდვით: ტირის, ყვირის, ბლავის; შარდს უკავებს. უნდა წაიკლოს ასოს თავზე ხელი, ისრისოს, ისრისოს, და აგრე როდისღა წამოვა წვეთ-წვეთად.

— კენჭი ჰქონია, ჩემო ბესია, მიუგო ექიმმა.

— ამხელა ბალლობან კენჭს რა უნდა?

— სწორედ ბალლს უფრო ადვილად უჩნდება საშარ-დე ბუშტში კენჭი, მიუგო ექიმმა ბაეშის დაოვალიერების შემ-დეგ: კენჭი ეფარება ბუშტში მოსაშარდავ მილს, შარდს აღარ აძლევს გამოსავალ გზას, ბაეშიც ტკივილებს, წვას გრძნობს და ამიტომ სტირის.

— მერე რა ეშველება შენი კირიმე?

— უნდა კენჭი გამოვილოთ; ეს კი უაპერაციონ არ მოხერხდება.

— გადიტანს მერე?

— გადიტანს. ყოველ შემთხვევაში, ასე დატოვება უფრო საშიშია, ვიდრე აპერაცია: შეიძლება, ბაეშს საშარდე ბუშტის ანთება მოუვიდეს დაუჩირქდეს, ანთება თირკმელებს. მოედვას და მაშინ გადატანა მართლაც ძნელია.

— ნეტავი საიდან უჩნდება ადამიანს კენჭი?

— ეგ, ჩემი ბესია, გრძელი ისტორია არის თუ კვირა
დღეს სწორედ მაგაზე მექნება საუბარი; მოდი და აგისნი.

კვირა დღეს ბესიაც მივიღა სხვებთან ერთად ექიმის საუ-
ბრის შოსასმენად.

— კენჭი უჩნდება ადამიანს უმთავრესად საშარდე ბუშტ-
ში, თირქელებში, ლეიდლში, ნალელის პარკში, პირის სა-
ნერწყვი ჯირკვლებში და ზოგჯერ ნაწლავებშიც, ესაუბრე-
ბოდა ექიმი მსმენელებს. კენჭი ზოგჯერ პატარაა, ზოგჯერ კი
დიდი — ნამდვილი ქვა არის; ზოგჯერ ერთია, ხანდახან კი ას
და მეტიც, მაგალითად ლეიდლში. ზოგი კენჭი რბილია, იყვა-
ლად იშლება; ზოგი კი ძალიან მაგარია. საქონლის ლეიდლში
ნამოვნ კენჭებს ფაზარს უძახიან და მკითხავები წიმლად ხმა-
რობენ.

საიდან და როგორ ჩნდება კენჭი? მიზეზი ძალიან ბევ-
რია. იყილოთ, მაგალითად, საშარდე ბუშტის კენჭი. საიდან
ჩნდება ის? რა თქმა უნდა, შარდიდან. შარდი რომ დავდგათ
რამოდენიმე ხანს, დაილექება. იმ ამ ნალექში ურევია სხვა-
დასხვანარი სილა და იქედან ჩნდება კენჭი. მოხდება ხანდა-
ხან, რომ საშარდე ბუშტში შარდი დაილექება. როდის მოხ-
დება ხოლმე ეს? როდესაც საშარდე ბუშტი დასნეულდება,
ან როდესაც სილა შარდში ძალიან ბევრია.

საშარდე ბუშტის დასნეულებას იწვევს გაციება, ლოთო-
ბა, სახადი, ფილტვების ანთება და ბევრი სხვადასხვა მოაჩი-
ლი. ბიგშებს სილა განსაკუთრებით პევრი აქვთ შარდში.

საქმარისია, რომ სულ ცოტაოდენი სილაგამოეყოს შარ-
დიდან და დაილექოს საშარდე ბუშტში; ის ნელა-ნელა მა-
გრდება, თანდათან ეკვრის შარდიდან გარეშემო ახალიახალი
ნაწილები სილისა: ამ რიგად კენჭი ნელნელა მატულობს,
იზრდება და ზოგჯერ რამოდენიმე წელმა უნდა განვლოს, რომ
იყალმყოფი შეაწისოს. სწორეთ ამავე გზით ჩნდება კენჭი
ლეიდლსა და ნალელელის პარკში — ნალველის ნალექიდან.

ნერწყვში ირის გახსნილი სილა; თუ პირის სანერწყვე
ჯირკველში ნერწყვიდან სილა გამოეყო, დაილექა, ნალექს

თანდათანობით ეკვრის ნერწყვიდან სილა და ამრიგად ჩნდება კენჭი.

არის ასეთი შემთხვევებიც: ზოგჯერ განავალი ნაწლავის რომელიმე აღავს გამაგრდება და გაქვავდება.

თირქელიდან მოდის შარდასწევეთი მილი და უერთდება შარდის ბუშტს. ამ მილით თირქელიდან გამონაფური შარდი ბუშტში ჩამოდის და აქ გროვდება. ხშირად თირქელის კენჭი ამ მილით გამოსწევს და თუ წვეტიანი ნაპირები აქვს, მილსა ფხავნის; ეს იწვევს ზოგჯერ მეტად მწვავე ტკივილებს, მუცლის გაბერვას, გულის რევას, პირის ლებინებას, სიმწრის ოფლს. სოფელში ამას ფერდის ქარს, ხან კი თავქარს უძახით. ნაღველის პარკიდან იწყება ნაღველასდენი მილი და უერთდება თურქეტ გოჯა ნაწლავს. თუ ლვიძლის კენჭია ამ მილით გასწია, ჩაშინაც საშინელ ტკივილებს იწვევს. საღსალამათ ადამიანს ერთბაშად ასტკივდება მუცლი ჭიპის გარშემო, მუცლი გაებერება და უმაგრდება, გული ერევა, პირს ალებინებს, სიმწრის ოფლს ასხამს. ყოველივე ეს ჰქონება, როგორც კი კენჭი ნაწლავებში გაძვრება. თავქარი იეშალოთ, იტყვით ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

— თირქელები და ლვიძლი ხომ ყველასა იქვს და რატომ ყველას არ უჩნდება კენჭი? იყითხა ერთმა.

ყველა ერთნაირად არა ცხოვრობს, ამიტომ ყველა ერთნაირად არ სწეულდება. საზოგადოთ შენიშნულია, რომ ლოთ ადამიანს უსწეულდება თირქელები, ლვიძლი; ამიტომაც კენჭი მას უფრო იდეილად უჩნდება. სხვადასხვა გადამდები მოარული ხელს უწყობს კენჭების გაჩენას. ბავშებს ბევრი სილა იქვთ შარდში, ამიტომაც შარდის ბუშტში მათ ხშირად უჩნდებათ კენჭი; ქალებს კი უფრო ხშირად უჩნდებათ კენჭები ნაღველის პარკში.

კენჭი აღიზიანებს იმ ასოს, რომელშიაც იმყოფება; იწვევს ზოგჯერ ანთებასა და დაჩირქებას თირქელებისა, ლვიძლისას; ასეთი გართულება კი მეტად საშიშია. ამიტომ ყოველგვარ კენჭს ადამიანის სხეულში დროზე უნდა წამლობა.

— წამლობით კენჭი გაქრება? იყითხა ერთხა.

— არის ბევრი მაგალითი, რომ გამქრალია, უმეტეს შემთხვევაში კი ერთად ერთი წამლობა არის აპერაცია. თუ კენჭი შარდის ბუშტში არის, აპერაცია აღვილია და თითქმის ყველა რჩება. თუ კენჭები თორქმელებშია, ან ნიღველის პარკში, მაშინ აპერაცია უფრო რთული და ძნელია და ყველა ვერ გადიოტანს.

— რომ დავტოვო ისე და არ გავიკეთო აპერაცია? იყითხა ერთხა.

— კენჭი გამოიწვევს სხვადასხვა გართულებას — დაჩირქებას, ანთებას და, სულერთია, მოჰკლივს ივადმყოფს. ახლა უნდა მოგახსენოთ შინაურ ექიმებზე, რომლებიც კენჭებს აულიან ივადმყოფს ზოგს სასქესო ისოდან, ზოგს — უკანა ტანიდან. მივა რომელიმე სნეული ისეთ ექიმბაშებთან და შესჩივლებს თავის გაქირვებას. ახედავს, დახედავს. — უმ, შირიმი მოგრუვიათ, წამოაწვენს ივადმყოფს, კენჭები წინდაწინვე აქვს დამხადებული და დამალული, უსრესავს ასოს, მოსწოვს და გადმოავდებს კენჭს. ივადმყოფი გაკვირვებული გადისახავს პირჯვარს და გულდამშვიდებული ჩიდის შინ. გაივლის რამოდენიმე დღე, ტკუვილი არა სცხრება. მიმართავს ისევ მატყუარა ექიმბაშ.

უმ, კიდევ კენჭები გაგჩნიათ, და აძრობს კენჭებს ხან წინდან, ზან უკანატანიდან, სანამ ივადმყოფს თავისი სნეულება ბოლოს არ მოუდებს. ასეთი მატყუარები ბლომად არიან ქართლში და განსაკუთრებით კი კახეთში. უკანატანში კენჭები არა ჩნდება და კიდევ რომ გაჩნდეს, სად გაჩერდება? შარდის ბუშტში კი ჩნდება კენჭი, ხოლო მისი ხელით გამოლება, ან გამოწოვა შეუძლებელია; მაგრამ სოფლის ხალხს ბევრი ატყუებს თავისი მოგების გულისათვის და, სამწუხაროებისათვის და გასავალი სოფელში.

— მერე რითი მოვსპოთ? იყითხა ერთხა.

— კოდნით, შეგნებით, ცოდნის შესაძენად კი სწავლაა საჭირო. ისწავლეთ თქვენს შეილებს, ისწავლეთ თქვენ თვითონ წერა-კითხა. დღეს ცოდნა ისე არაეისათვის არ არის საკირო, როგორც გლეხებისა და მუნებისათვის.

12. ბ 6 0 დ ა

არის ხანდახან იმგეარი შემთხვევა: ორი ვინმე წალაპარაკდება.

— აი შე ბნედიანო, შენა! წამოიძახებს ერთი გულ-მოსული.

— შენ თვითონა ხარ ბნედიანი, შე ასეთო, შე ისეთო! იყეირდება მეორე და წაუშენენ ერთმანეთს, თუ გამშველებელი არ დაესწრო.

ასეთი გავლენა იქვს სიტყვას „ბნედიანი“.

რა არის ამის მიზნი?

ის რომ ბნედა არა თუ საშინელი სნეულებაა, ის იმავე დროს სათაკილო სენია; ბნედიან ვაეს ქალს არავინ მიათხოვებს: ბნედიან ქალიშვილს ცოლად ირავინ წაიყვანს.

ბნედას სხვადასხვა სახელი იქვს ავი ჭირი, ავი სნე, ავი ქარი.

რა არის ბნედა?

ბნედა არის თავისი ტვინის სნეულება; სნეული დროდა-დრო აზრისა ჰერგავს, უგრძნობლივ დაეცემა და მთელი სხე-ულის კრუნჩხვა თუვარდება, პირიდან დუეტი მოსდის; კრუნჩხვა თანდათან ნელდება, წყნარდება, ავადმყოფს ჩაეძინება და გა-მოლენდების შემდეგ სრულდებით კარგათ არის, მხოლოდ საერ-თო მოქანცულობასა გრძნობა.

რა იწვეს ბნედას?

ზოგიერთ შემთხვევაში ბნედას იწვევს სიმსივნე, რომელიც ტვინში, ან თავის ქალაში ჩნდება. თუ ვისმე თავი ჩაუტყდა და თავის ძვირი ჩაეზნიქა, ჩაზნექილი ძვირი აწვება ტვინს და ბევრჯერ იწვევს ბნედას.

ხშირად კი ბნედის მიზეზი გამოურკვეველი რჩება. დაკვირვება ამტკიცებს, რომ ბნედა უფრო ისეთ პირებს გამოაჩნდება ხოლმე, რომელთა დედმამას სიფილისი სჭირებია, ან ლოთები არიან.

როგორ ეწყება ავადმყოფს დაბნედვა?

უმეტეს შემთხვევაში მოულოდნელად, ერთხაშად: ავადმყოფი წინდაწინ სრულებით ვერაფერს ვერ იტყობს, უცებ და ეცემა უგრძნობლად და აუვარდება მთელი სხეულის კანკალი, კრუნჩება.

ზოგჯერ კი ავადმყოფი წინდაწინვე გრძნობს დაბნელვის მოახლოვებას: სუსტად არის, უმაღლოთ, თავბრუ ესხმის, ხელი ან ერთი რომელიმე თითო უბრუშდება, ხელი აუკანკალდება, ხელის ან ფეხის თითებიუან ცხლიდ წამოუვა თავისაეენ.

ასეთმა პირმა იკის, რომ ბნედა მოუკლის და წინდაწინვე ღებულობს ზომის: საქმეს თავს ანებებს, წვება, ზოგს ისე უეპრად დაემართება, რომ ცეცხლში ან წყალში ჩავარდება და იღუპება.

როგორც კი დაეკარგება გრძნობა ავადმყოფს, მაშინვე შეეკვრის კრიქა, სახე უფითრდება და მთელი სხეული დაეჭიმება ცოტა ხანს, შემდეგ კი აუვარდება სხეულის კრუნჩება, სახე უწინოლდება და ულურჯდება, პირიდან დღეი მოსდის, მძიმედ სუნთქვას, ენა გარეთ უვარდება და ამის გაპო დაექბინება, ზოგჯერ თვალები უსისხლიანდება, შარდი და განავალი ეპარება. ასეთი მდგრამარეობა გრძელდება რამოდენიმე წამს, შემდეგ ავადმყოფი ერთს ამოიხენებებს ღრმად და წყნარდება, მიეძინება.

ზოგჯერ ავადმყოფი გამოფხილების შემდეგ უაზროდ არის, გიგს ემსგავსება, ტანისამოსს შემოიხევს, გარეთ მიიწევს, სხვას ერჩის, ასეთ მდგრამარეობაში, შესიძლებელია, მოჰკლის ვინმე ან თვითონ მოიკლის თავი. ზოგჯერ ბნედიანი აზროვნებას ჰქარგავს, მაგრამ აზრიანი მოქმედება შეუძლიან: ერთი მეორე სოფელში მიდის, ერთი ქალაქიდან — მეორეში; როდე-

საც გამოფხიზლდება, არაფერი ახსოვს და გაოცებულია: ცეკვითია ას მინდაო.

როგორი მიმდინარეობა აქვს ბნედას?

ბნედა გამოაჩნდება ხოლმე ავადმყოფს უმეტეს შემთხვევაში პატარაობიდანვე, ზოგჯერ — ცამეტ — თოთხმეტ წლიდან, ხანდახან კი ოცი — ოცდა ათი წლიდან და იშვიათ შემთხვევაში უფრო გვიანაც. რაც უფრო იდრე იწყება ბნედა, მით უფრო ძნელი მოსარჩენია.

ზოგს დაბნედვა ემართება დაგვიანებით — წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ზოგს კი ყოველ თვე და უფრო ხშირადაც. სოფელში სწამთ გავლენა ახალი მთვარისა, თითქოს ახალ მთვარეზე უფრო ეშლებოდეს ავადმყოფს ეს სენი. შემცდარი რწმენაა, — ახალ მთვარეს არავითარი გავლენა არა აქვს ბნედის მიმდინარეობაზე. ზოგს ერთხელ გაუვლის ეს სენი და შედევ რამოდენიმე ხანს თავისუფალია; ზოგს კი ზედი ზედ დაემართება თთხჯერ, ათჯერ, ოცჯერ და მეტჯერაც. ზოგს ემართება მხოლოდ ღამე, ძილში. უმრავლესობას კი ფხიზლობის დროს.

ხშირად ბნედა არ ახდენს რაიმე გავლენას გონიერებაზე.

ისტორიაში იცის ბევრი გამოჩენილი ადამიანი, რომელსაც ბნედა სჭირებია. რუსეთის გამოჩენილი მწერალი — დოსტოევსკი, იულიოს კეისირი, მაქმადი, ნაპალეონი, — ყველა ბნედიანი იყო და ამავე დროს იშვიათი ნიჭის პიროვნება, ხშირად კი ბნედა გონიერებაზე დიდ გავლენას ახდენს და, როცა დრო გადის, ავადმყოფი თანდათან ლენჩდება.

თუ ბნედას იწვევს სიმსივნე თავის ტვინში, აუცილებელია აქტრაცია. თავს ახდიანო, იტყვიან ხოლმე სოფელში, თავის ახდა შეუძლებელია; მხოლოდ გამოიკვლევენ, რა ალა-გის იმყოფება თავის ქალაში სიმსივნე, იმ ალაგის ამოსკრიან ძვალს, ამოილებენ სიმსივნეს და შემდეგ ამოჭრილ ძვალს ისევ დააკერებენ; ძვალი მიეხორცება.

თუ სიმსივნე არსად არის თავის ტვინში, მაშან საჭიროა ხანგრძლივი წამლობა — მთელი წლობით.

13. რიგი (თვიური).

რას კუწოდებთ რიგს, თვიურს? სისხლის დენას ქალის სასქესო ასოდან დროდადრო დაახლოებით ყოველ ოთხ კვირაში.

როგორ ემართება ქალს რიგი?

საშვილოსნო გივისება სისხლით და გაბიუვუნდება, როგორც ლრუბელი წყალით; საშვილოსნოს შიგნითა, ლოჭიონი გარსი აიძრება, სკდება ბევრგან და სისხლი იწყებს დენას; გრძელდება ეს რამდენიმე ჯღე და შემდეგ შეწყდება. საშვილოსნოს ლოტიჭიონი გარსი შუშდება და ოთხი კვირის შემდეგ ხელახლა მეორდება იგივე.

რიგი უმეტეს შემთხვევაში უმტკივნეულოდ ემართება ქალს; ზოგჯერ კი დიდი ტკივილები იცის პატარა მუცელში, წელში, გულის რევა, თავის ტკივილი და სხვა. ამგვარი ტკივილების მიხეზით საშვილოსნოს სხვადასხვა ავალმყოფობა, სხვადასხვა მდებარეობა: ზოგჯერ საშვილოსნო წინ არის გადმოხრილი, ზოგჯერ უკან ირის გადაზნექილი და სხვა.

რიგი და საკვერცხედან კვერცხის გამოსვლა ერთსა და იმავე დროს წარმოებს; ჯერ კვერცხი გამოვა საკვერცხედან, ორი - სამი დღის შემდეგ კი რიგი იწყება.

ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც საკვერცხედან კვერცხი გამოდის, რიგი კი ქალს არ მოსდის.

თქვენ უკავ უკით, ყოველი ჩვენგანი კვერცხიდან ჩნდება. ხოლო ქალის კვერცხი ძალიან პატარაა, პურის მარცვლის ოდენი, ნაკუქის მავიერად თხელი გარსი აკრავს, შიგნით ულის ნაირი წმოლია და შეგ კი გული. რა მნიშვნელობა იქს რიგს? როდესაც პურის ან სიმინდის დათესვა გინდათ, უმაღ

დასინავთ მიწას, რაღვანაც ასეთ მიწაში თესლი უფრო კარგად ჰხარობს. ამ გვარივე მნიშვნელობა აქვს რიგს. საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი სწორია და განაყოფიერებული კვერცხი ზედ სცურავს; კადეც რომ პომავრდეს, სახრდოს შოვნა გაუძნელდება. რიგის დროს კი საშვილოსნო სისხლით იუენთება, მისი ლორწოვანი გარსი აიბერება და დასკდება; ამგვარ გარსზე კვერცხი ადვილიდ კავდება და სახრდოსაც მაღვე შოულობს, რაღვანაც საშვილოსნოს კედლები სისხლით არიან გაუენთილი.

ყოველი რიგის დროს ქალი ჰყარგავს დაახლოებით ნახევარ გირვანქა სისხლს.

ზოგიერთს რიგი აქვს სამ დღეს, ზოგს ოთხს, ხუთს. საზოგადოთ თუ რიგი იწყება ყოველ ოცდა ექვს ან ოცდა ათ დღეს და სამიდან შვიდ დღემდე გრძელდება, ეს არის ბუნებრივი მოვლენა, თუ რიგი აირია, ხან ადრე მოვიდა, ხან გვიან, ხან მაღვე მოილია, ხან დიდხანს გასტანა, ეს უკვე ავადმყოფობაა.

შუათანა რიცხვით ჩვენში ქალიშვილს რიგი ეწყება თოთხმეტ-ხუთმეტი წლიდან. ყოფილი მაგალითი, როცა რიგი მოსვლია ექვსი, რვა წლის ბაეშს.

პირველი რიგი ხშირად აშინებს ქალიშვილს, ამიტომ ყოველი დედა ვალდებულია, აუხსნას თავის ქალიშვილს შესაფერ წლოვანებაში მოსალოდნელი ცვლილება და ამრიგად მოამზადოს ის.

პირველი რიგის შემდეგ ზოგჯერ რამდენიმე თვე რიგი იყარგება, მერე კი რიგი თანდათან ლებულობს ჩვეულებრივ მიმდინარეობას.

რიგი გრძელდება ორმოცდა ათ წლამდე, შემდეგ კი იყარგება ზოგჯერ ერთაშად, ზოგჯერ თანდათანობით. ზოგს რიგი უფრო იდრე გაღუვარდება, ზოგს – უფრო გვიან. რიგის იდრე დაკარგვა იწვევს ბევრჯერ ნერვების დასნეულებას, თავბრუს, ფეხებისა და ხელების სიმხურვალეს, ილებს თავპირში და სხვა. ყოველივე ეს თანდათან ჰქრება თავისით.

რიგის დროს აუცილებელია სიფრთხილე, თორემ შესაძ.

ლებელია, ქალი დასწულდეს. საჭირო არის რიგის დროს წყნარად ყაფნა, მოსვენება. მძიმე საქმის კეთება, პურის ცხობა, მძიმე ტვირთის იშევა, უკვე წყალში ტანის დაბანა, ამ დროს ყოვლად შეუძლებელია; მავნებელია აგრეთვე შორს მგზავრობა ცხენით ან ურმათ, შიში, იღელვება, მწუხარება.

რიგის დროს საჭირო არის ამოსაკრავი, რომელიც უნდა იყოს სუფაა, კარგად გარეუხილი და გამშრალი; არ უნდა უკერდეს ქალს და სისხლს კარგად უნდა ისვამდეს. ამოსაკრავის გამოცვლა საჭირო არის დილით და სალამოთი.

ვთქვათ, ახალგაზრდა ქალს რიგი კარგად მოსდომდა, შემდეგ თანდათან იკლო და დავვიანება დაიწყო ან სრულდეთ დაიკარგა; ეს იმას მოწმობს, რომ სხეული დასუსტდა, სისხლნაკლებობა შეგბარა.

რიგის გადავარდნა ბევრჯერ შედეგია ხანგრძლივი ცეკ-ცელებისა, კლექისა. ზოგჯერ ახალგაზრდა ქალს რიგი გადარდება, მაგრამ ყოველი რიგის დროს მას ან ცხვირიდან წასქდება სისხლი, ან პირიდან.

ზოგჯერ ქალს რიგი სრულებით არ მოსდის. უმეტეს შემთხვევაში ეს არის შედეგი საშვილოსნოს სწეულებისა: ზოგს საშვილოსნო მეტად პატარა იქვს, ზოგს კი სრულებით არ დაჰყება.

თუ ქალს რიგი არ მოსდის, შვილიც არ მიეცემა, თუმცა არის ზოგიერთი მაგალითი: ქალს რიგი არ ემართება, შეიღი კი ეძლევა.

14. მთაში დარჩენილია ერთი ჩვეულება: მშობიარეს თვლიან უწმინდურ აღამიანად და მოათავსებენ ცალკე, თვითონ უნდა მოილოგინოს, მოუაროს თავისთავს, ბავშვაც და შემდეგ მო- ვიდეს ოჯახში.

ეს არის ველურობა: მშობიარეს ვანსაკუთრებული მოვლა
და ყურადღება ესაჭიროება.

მშობიარეობას პეტრი ქალი უმსხვერპლი ჩვენში და მო-
მავალშიაც იმსხვერპლებს, სანამ ყოველ თქვენგანს არ ეკო-
დინება, თუ როგორი მოვლა ესაჭიროება მელოგინეს.

მელოგინე აღვილად ცივდება და ანთება მიტომ ემარ-
თება, გამიგონია თქვენგან.

ჩვენში ყოველი ავალმყოფობის მიზეზად გაციებას დაგი-
სახელებენ. სახადით გახდება ვინმე ავად, გაცივდა და იმიტო-
მაო; ციებცხელებით ვინმე ავად გახდება, ყანაში გაცივდა და
იმიტომაო; ანთება დაემართება ვისმე,—გაცივდა; მუცელს
ვინმე გადაყობა — გაცივდა, ერთის სიტყვით გაცივდა და
გაცივდა!

ასეთი შეხედულება არის ნაყოფი უკოდინარობისა.

— წერაც არის, წერაც!

იტყვის ხოლმე ზოგი თქვენგანი.

ქალს დაემართა საშეილოსნოს ანთება და მოკვდა. სიღდინ
დაემართა? როგორ დაემართა? წერა იყო?

როგორ დაემართა და უსუფთაობის წყალობით.

ჩვენ კი ვიძახით, წერაა ყოველისფერიო, და ნულარა-
ცერს გავაკეთებთ, ნულარასფერს დავეძებთ, ნულარასფერს შე-
ვისწავლით.



— რა შეუაშია უსლუფთაობა და საშეილოსნოს ანთება? მეკითხებით თქვენ.

მაგას ახლავე გავიგებთ.

თქვენ იცით, რომ სხეადისხვა ავადმყოფობას აჩენენ ბა-ცილები.

უოველებელი ანთებას როგორც ფილტვებისას, ისე საშეი-ლოსნოსას, ბაცილები იწვევენ.

უსუფთაობა, სიბინძურე ამ ბაცილებს არჩენენ და ასაზრ-დოებენ.

ჩვენს ხელს და საერთოდ კანს ხშირად მოედება ანთების გამომწვევი ბაცილები, მაგრამ ხელი, ან კანი უოველოვის არ სიცდება.

როდის სიცდება?

როცა ხელი ან კანი გაქრილია, ან გაკაშრული.

ბაცილებს თუ საზრდო არ ექნათ, ისე ვერსად მოიკიდე-ბენ ფეხს და ვერ მომრავლდებიან.

საუკეთესო საზრდო მათთვის არის აღამიანის სისხლი, წმოლი. სწორედ ამიტომ ეტანებიან ისინი გაკაშრულ, გავლე-ჯილ, ან გაქრილ ადგილებს.

ამიტომაც თუ ჭრილობა სუფთად არ იქნა შეხვეული, უოველოვის ჩირქდება და გაქრილ ასოს ასიებს, ანთებას იწ-ვებს.

მაშასადამე საშეილოსნოს ანთება რომ დაემართოს ქალს, საქიროა, რომ საშეილოსნოში იყოს რაიმე ჭრილობა, ან წყლული.

ამ ჭრილობას მოედებიან ბაცილები და გამოიწვევენ ან-თებას.

არის თუ არა მელოდინე ქალის საშეილოსნოში ჭრილო-ბა ან რაიმე ჭრილობის მსგავსი?

არის.

სიცდან და როგორა ჩნდება ის?

აი, სიცდანა ჩნდება.

საშეილოსნოში ბავში შეერთებულია მომყოლონ თრი სხვილი მიღით, რომელიც კიბიდან ამოდიან.

მომყოლი კი საშეილოსნოს კედელზეა მიზრდილი.

ის ღრუბელივით არის დასრუტნული სისხლის მიღებით.

იმ ილაგას საშეილოსნოს კედელში, სადაც მომყოლია მიხორცებული, აუარებელი სისხლის მიღებია.

აქ დედის გულიდან მოღის მუდამ ახალ-ახალი სისხლი, დატვირთული საზრდოთი, და მომყოლის დანიშნულება მხოლოდ იმაშია, რომ საშეილოსნოს კედლებში დატანებული სისხლის მიღებიდან ეს საზრდო ვამოსწოვოს, გამოწუშნოს.

საზრდო ვადმოდის მამყოლის სისხლში, რომელიც მამყოლის მიღით კიბში ჩამოდის, აქედან ვადადის ბავშის სხეულში, ვაივლის ღვიძლს, აქ იწმინდება, ავა გულში და აქედან სისხლის შემწეობით ურიგდება ბავშის სხეულის ყოველ ნაწილს.

ამგარად საზრდოობს და სრულდება ბავში დედის მუცელში.

როცა სისხლი მოექლ საზრდოს დაურიგებს ბავშის სხეულს, მამყოლის მიღით უკანე გაბრუნდება მამყოლში, რომ ახალი საზრდო წამოიღოს. ამიტომა აქვს მამყოლის ორი მიღი:

ერთი მიღით მამყოლიდან საზრდოთი დატვირთული სისხლი მაღის ბავშისაკენ, მეორეთი კი საზრდო გამოლეული სისხლი ბავშის სხეულიდან უკან ბრუნდება მამყოლში საზრდოს წამოსაღებად.

როდესაც ბავში დაიბაჯება, მამყოლი საჭირო აღარ არის:

საშეილოსნო მოიკუმშება და მოიცილებს მამყოლს.

მაგრამ საშეილოსნოს სწორედ იმ ილაგას, სადაც მამყოლი იყო, მიკრული, მამყოლის მოცილების შემდევ რჩება დოდი ქრილობა, რომელიც შემდევ და შემდევ შუშდება.

თ სწორედ ეს ქრილობა არის საცუხოვო ნიადაგი ყველგვარი ბაცილების დასაბუდებლად და გასამრავლებლად.

თუ აქ როგორმე გაჩნდენ ჩირქის გამომწვევი ბაცილები, საშეილოსნოში ანთება ჩნდება და ისედაც დასუსტებული მშობიარე ამ ანთებას ვეღარ უძლებს.

როგორ უნდა გაჩნდენ საშეილოსნოში ეს ბაცილები? უსუფთაობით.

თქვენ რომ შინაურ ბეჭისა მოიყვანთ მშობიარესთან, მან არ იცის, წარმოლენაც კი არა აქვს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს მშობიარესთავის.

ერთხელ წიგბანს უბრალოდ ხელებს ციცი წყალით, შეიხოცას გასვრილი კაბის კალთებზე და ის ასეთი ხელებით ინჯავს მშობიარეს და ეხმარება მას ბავშის დაბადებაში.

ასეთ ხელებს შეაქვს საშეილოსნოში ანთების ბაცილები და მშობიარე ილუპება.

— აბა ყველა უნდა დაიხოცოს, ვისაც შინაური ბებია მოალოვინებს! ამბობს მელანო.

ყველას თუ არ ემართება ანთება, მხოლოდ იმიტომ რომ უსუფთაო ხელზე ყოველთვის არ არის ანთების ბაცილები, თორებ თქვენი მტერი: მართლაც ერთი მელოგინე არ გადაჩებოდა.

ყოველგვარ ჭრილობას უნდა დიდი სისუფთავე.

მელოგინე ჭრილობიანი იდამიანია და მას განსაკუთრებული სისუფთავე და მოვლა ესაჭიროება.

წიმისტყივა. თუ არა მუცელი მშობიარეს, ბინა კარგად უნდა გაისუფთაოთ და ყოველივე ზედმეტი ბარგი და ავეჯეულობა ვიირანოთ.

მელოგინე უნდა დააწვინოთ სუფთა ლოგინზე.

უნდა იქნიოთ ბლომად კარგად გაღმოღულებული წყალი, რაღვანაც აუდუღარ წყალში შესაძლებელია, მავნებელი ბაცილები იყონ.

მშობიარეს ასეთის წყლით უნდა დაბანოთ კარგად უმხები, ბარკლები, თემოები, უკანა ტანი, ასო, ერთი სიტყვით მოელი ტანი ჭიბს ქვეყით.

უნდა გაუწმინდოთ კუჭი ოყნით, რაღვანაც საესე ნაწ-



ლავები ბავშის წამოსელის ხელს უშლის და სხვადასხვა გარ-
თულებას იწვევს, და საშო უნდა გამოურეცხოთ რამდენჯერმე.

ბებია არ უნდა მიეკაროს მშობიარეს, სანამ არ დაიჭრის
ფრჩხილებს უა ხელებს რამდენჯერმე არ დაიბანს იდაყვებამდე
საპნით და იღულებული წყლით.

როდესაც ბებია დარწმუნდება, რომ ბავში ცწორად ქვეს,
მეტი სინჯვა საჭირო აღარ არის.

მოლოკინების შემდეგ ორი კვირის განშავლობაში ქალი
წყნარად უნდა იწვეს ლოგინში.

შემდეგ შეიძლება ალგომა, მაგრამ ორმოც დღემდე მძი-
მე საქმეს უნდა ერიდოს სადმე შორს არ უნდა წავიდეს არც
ფეხით, არც ურმით, არც ცხენით.

ნათქვამია სიურთხილეს თავი არ ასტურეაო.

სიფრთხილე საუკეთესო წამალია.

მელაგინე ქალში ხშირად იცის ძუძუს თავების დახეთქა, რა-
საც ზოგჯერ ძუძუების დასიება და დაჩირქება მოსდევს შედეგად.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემდეგი ზომა: გა-
დადგება თუ არა ფეხმძიმე ქალი მეცხრე თვეში, ძუძუს თა-
ვიში ყოველდღე უნდა მოიწმინდოს აჩაყით.

— დავიღუპე კაცი! ერთი ბოთლი არაყი მაქვს და ჩემი
დედაკაცი რალის დამანებებს, ფეხმძიმედ არის ახლა! ოხუნ-
ჯობს ეგერჩენი ბებია.

ძალიან კარგს იზამს, თუ მართლა არ დაგანებებს.

იხალ დაბადებულ ბავშს ხშირად ჭიპი უსივდება, უჩირ-
ქდება, უწყლულდება ზოგჯერ ზედ დაერთვის წითელი ქარი
და ბავში წუთი-სოფელს ესალმება.

რა არის ამის მიზეზი?

ისევ და ისევ უსუფთაობა.

სოფელში ბავშს შეუკრავენ ჭიპს უბრალო ძაფით და
მოსჭრიან დაგანგებული მაკრატლით; რა თქმა უნდა, ჭიპი
დასიედება და დაჩირქდება.

ძაფი და მაკრატელი კარგად უნდა გაძოხარშოთ და ისე
იხმაროთ ჭიპის შესახვევადა და მოსაჭრელად.

15. მუცლის მოჟლა.

გიგო მაისურაძის სახლში მეზობლების ქალებს თავი მოე
ყარით და იყვნენ ერთ ბჭობაში.

— ბურილის ქარებია, დავაყაროთ ოცი წუბელი უკან
ტანჩედა და აბა თუ არ უსაშველოს! ამბობდა ერთი.

— ქარსოურა, ქარსოურა ნამდვილად, ამბობდა მეორე.

— ეგ თუ ფერდის ქარი არ იყოს, პირში ჩამაფერახეთ.

— ფერდის ქარი კი არა, გენაცვალეთ, კოლინჯია, კო-
ლინჯი, ჩემი ესტატეს სული არ წამიწყდება. მაგას კი ვიცნობ
იმ კეთნებულს აუგარდებოდა ხოლმე და კიდევაც გადაიტანა
თან.

— ბუდიანი კია უნდა იყოს, ბუდიანი ჭია!

ყველა თავისას ამბობდა.

რა იყო, რა მოხდა?

გიგოს ცოლი იყო მძიმე ავადმყოფი, მელანოი.

რა დაემართა?

ფერდიმეთ იყო, სამი თვისა. ექვსი შვილი ჰყავდა და
მეშვეოდენე რომ დაორსულდა, ძაღლიან ეწყინა. ბებას სწევდა,
ლობენე გადაიწვებოდა ხოლმე, იქნება ჩამომშალოსო, მაგრამ
არაუკრმა არ ვისკრა.

ერთ დღეს შეაცივა, მუცელი ასტკივდა, მუცელი ჩამო-
ბერა და ლოგინად ჩავარდა.

მეზობლების ქალები დაეხვინ თავზე, რადგანაც მელა-
ნო ტკბილი ქალი იყო, უწყინარი, იშვიათი სამეზობლო და
ამის გამო ყველის უყვარდა.

ზოგი რა საშუალებას ურჩევდა, ზოგიც რასა, მაგრამ შე-
ლანოვარ და კუარ მიდიოდა. საშინელი ტკივილებიაშეხებ-



და, გულის წუხილი, მუცელი შემობერილი ჰქონდა და გა-
კექებული, გული ერეოდა, პირს იღებინებდა.

— მომიკვდება ქალი ნამდვილი, თუ ქალაქს არ წავი-
ყანე! გადასწუვიტა გივომ, ჩააწვინა მელანო ურეში და მია-
დგა ვერაზე ქალთა სწეულების სამკურნალოს.

მიიღეს, გასინჯეს ექიმებმა და ოღმოაჩინეს საშვილოსნოს
და მუცელის აპკის ანთება.

ანთება დაწყილიყო საშვილოსნოში და შემდეგ გადასუ-
ლიყო მუცელის აპკზე.

რადგან მელანო ფეხშიმედ იყო და საშოდან სისხლ-
ნარევი, სუნიანი სიօ ხე სდიოდა, ექიმები დარწმუნდენ, რომ
მელანოს მუცელი უნდა წაეხდინა. მელანო უარზე იდგა და
ექიმების კითხვაზე ერთსა და იმავეს იმეორებდა — მუცელი არ
წამიხდენიათ. როდესაც მელანო ტკივილებმა უფრო შეიწუხეს,
იფიქრი: თუ ექიმებს სიმართლე არ ვუთხარი, რას მიშველიან,
და განაცხადა: შინაურმა ბებიამ წინდის ჩხირით მაწვალა, სა-
შვილოსნოში შაშიყო, დაატრიალა, მას უკან შევიქენი ავადიათ.

შამოადვეს ავადმყოფს მუცელზე ყინული, დაუწყეს კან
ქვეშ სხვადასხვა წამლების შეშხაპუნება, მაგრამ მელანოს აღა-
რაუერი წაადგა და ხუკი დღის შემდეგ გარდაიცვალა საავად-
მყოფოში. როდესაც მიცვალებული გაპკვეთეს, რა ნახეს
ექიმებმა?

საშვილოსნო რამოდენიმე ალაგას გახურეტილი იყო წინ-
ჯის ჩხირით. ამ გარემოებას გამოეწივა საშვილოსნოს ანთება
და მუცელის აპკი ბევრგან ჩისისხლიანებული იყო, დაჩირქებული.

ამგვარი ავადმყოფი იშვიათად რჩება, რადგანაც საშვი-
ლოსნოსა და მუცელის აპკის ანთებას გული ვერ უძლებს,
იმხატება და დადგება. ხშირად ასეთი შედეგი მოსდევს მუც-
ელის მოშლის.

16. სუსეათი და მუცლის მოწვევება.

დათამ, მიტომ და ნიკომ დაუდვეს ურმები, ცოტა თვა-
ლი მოატყუეს და გაუდგენ გზას, რომ დილი აღრიანილ ქა-
ლაქში ჩასულიყვნენ.

ათ დღეში დათას ჯვარი უნდა დაეწერა, ქალი მოუყვანი-
და ოჯახისათვის წერილმანი სკირდებოლი: საპონი, ნავთი, ძა-
ფი, ასანთი და სხვ. რადგანაც უული არ ჰქონდა, შეშა მიჰქონ-
და. ქალაქში ჩავიტან, გავყიდი და იღებული ფულით ოჯახის
საჭიროების დავაქმაყოფილებო.

მიტო და ნიკო მისი ტოლამხანაგები იყვნენ და იმათაც
დათას ქორწილისათვის ახალუხები უნდოდათ, ჩუსტები, საკო-
ლო ბიჭები იყვნენ და თავი მოსწონდათ.

თუმცა გაზაფხული მიწურული იყო, მაგრამ შეშა შაინ ც
კარგ ფასში გაპყიდეს; იყაჭრეს, იყიდეს რაც უნდოდათ და
ფული კიდევ გადარჩათ.

— მოდი ერთი სამიკიტნოში შევიდეთ და პატარა გა-
დავკრათ! მიმართა ნიკომ ამხანაგებს.

— დაგვიგვიანდება, წასელი სჯობია, მიუგო დათამ.

— ქალი არსად გაგექცევა, ფიქრი ნუ გაქ, უხუმრა ნი-
კომ, დაიყოლია ამხანაგები და შევიდენ სამიკიტნოში მო-
ითხოვეს კერძი, ერთი ჩარექა ღვრნო, დალლილებს ღვინო
გაუტკბათ; ჩარექას მეორე მოპყვა, მეორეს მესამე, მეოთხე
და კარგა ლაშათიანად შეთვრენ.

— ეს, ერთი გოგო რა კარგია ახლა! წარმოსთქვა ნიკომ.

— გოგო კი არა ის მოინდომე ახლა, შენმა მხემა! მი-
უვო მიტო?

— რატომაც არ მოვინდომებ, რაა! ვიზე ნაკლები ვარ?
დაუწყო ნიკომ.

ჩემმა მხემ, უნდა გოგოებში წაგიყვანოთ, ბიჭი არ გიყო, თუ არ წაგიყვანოთ, დაუწყო ისევ ნიკომ, იღარ მოეშვა ამანაგებს და წაიყვანა ერთ ალაგას, სადაც წინეთაც კყოფილა.

— ასე არა სჯობდა ეუბნებოდა ნიკო ამანაგებს, როდესაც ქალებიდან ბაკისაკენ ბრუნდებოდენ, რა გოგოები იყვნენ ი პირძალლები, რა გოგოები!

დათა და მიტო იღიმებოდენ.

დაბრუნდენ მეორე დღეს სოფელში.

გაიარა ამის შემდევ რამოდენიმე დღემ და დათას შარდზე გასკლის დროს წვა აუვარდა. მალე მილიდან ჩირქმა იწყო დენა.

— სუსუნატს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის; გაუელვა დათას თავში და ჩავარდა საგონებელში. ქორწილი კარზე იყო მომდგარი.

გაიქცა ექიმთან, გაუმჯდავნა თავის უბედურება. ექიმმა გასინჯა და აუხსნა. სუსუნატია, უკანასკნელი ორი ივე მაინც უნდა იწამლოვო.

— შე დალოცვილო, იმ კვირესა ჯვარი უნდა დავიწერო.

— რას ლაბარაკობ, ჯვრის წერა როგორ შეიძლება, ქალიც ხომ ავად გახდება?

— არ მიხერხდება, ისეა საქე ხარჯი გავწიე, მხეთა მაქვს ყველაფერი და სირცხვილით როგორ გავამხილო?

ბევრი არიგა ექიმში, აუხსნა, რა შედეგიც მოჰყვებოდა ჯვრის წერას, მაგრამ დათამ ირცხვინა, დედმამას არ გაუტყდა და ჯვარი დაიწერა.

გავიდა ერთი კვირა. პატიორძალს მუცელი წამოსტკივდა და თეთრიდ შლა დაუწყო. გაუტყდა დედამთილს, ის კიდევ გამოცრილ ქალებს შეეკითხა; ზოგმა გაციებას დააბრიალა, ზოგმა ნაწყენს; ორჯერ თბილ წყალში დაბანეს და მუცლის ტკივილმა უტიო.

რიგი შეუჩერდა, მიზეზობა დაიწყო, პირს ლებინება აუვარდა.

— ორსულად ხარ, შეიღო, ორსულად. აბა შენ უკავშირდა, როგორ ბიქს გამოგვიგორებ! ეალერსეპოდა დედამთილი.

სამხა თუ ოთხმა თვემ გაიარა, დათას ცოლს მუცლის ტკიფილი აუვარდა. დააწვინეს, მოშეუმული ქატო ზამოადყები, გაცხელებული მარილი, ნაღველი დაალევინეს, მავრამ აჩაცერსა არ უშეველა და ბოლოს მუცელი მოსწყდა.

ერთი კვირის შემდეგ წამოდგა ქალი, მაგრამ თავის ჯ. ზე ვეღარ დადგა და ვერა; მუცელი სტკიოზა, ჩააწვებოდა ლოდივით, თეორად ჰშლიდა, რიგი უწესოდ მოსდიოდა და ტკიფილებით: ხან აღრე, ხან გვიან, ხან ბევრი, ხან ცოტა. ორგა წელმა გაიარა, ქალი იღარ დაორსულდა და სულ უკან და უკან მიდიოდა.

წაიყვანა დათამ ექიმთან ქალაქში.

ექიმმა გამოპეკითხა, გასინჯა და შემდეგ აუხსნა:

— შენ ქმარს სუსუნატი სკირევებია, იმისგან შენც შეკრია; სუსუნატის გამო მუცელი მოგშლია და ახლა საშეოლოსნოც დასიებულია, მისი ლულებიც, საკვერცხებიც. ძალიან დიდი წამლობა დაგჭირდება.

— შეიღო ხომ მიეცემა? შეეკითხა დათა ექიმს.

— სუსუნატს გამოუწვევია საშვილოსნოს ლულებისა და საკვერცხების ანთება, რის გამო საკვერცხები და ლულები მთლად შეპხორცებიან ერთმანეთს, ამიტომ შეიღო აღარისოდეს იღარ მიეცემა, წარმოსთქვა ექიმმა.

— რომ იწამლოს რიგიანადა? შეეკითხა დათა.

— წამლობა მხოლოდ ტკიფილებს დაუყუჩებს, შეიღო ერთობას კი ვეღარ აღსუდგენს, მიუგო ექიმმა.

ამ საშინელმა განაჩენმა ორივე ცოლქმარს გული მოსწყობა და მიწისთან გაასწორა: ჩუმად, უსიტყვოდ გამოეიდნენ გარეთ და მომდგარ ცრემლებს ვეღარ იკავებდენ.

ს ა რ ჩ ი ვ ა ნ ი

ცალი კრებული.

	83-
ტ ი ნ ა ს ი ტ ა მ ა რ ა მ ა ნ ი.	3
I. ადამიანის წარმოშობა.	5
II. უჩინარი არსებანი. ა) ბაკილები, ბ) ბატონები, გ) სისხლის თეთრი ბურთულები, დ) ნისხლის წითელი ბურთულები .	15—27
III. ჩვენი სხეულის აგებულება.	28
IV. ადამიანის კვერცხი და ჩანახახი .	38
V. სიბინძურე უავეჯვარი სნეულების დედა .	42
VI. თავის მავლა: ა) სასმელ-საჭმელი, ბ) ჰაერი და სი- სუფთავე, გ) ცივ წყალში ბანაობა, დ) მოისა და ზღვის ჰაერი, დ) თამბაქო, ვ) მაგარი სასმელები.	51—67

ცალი პერსი.

მუნაკა გადამდები ციფრულებანი.

1. შესავალი.	69
2. კუვილი.	75
3. წუტყვავილა	81
4. წითელა.	82
5. ქუნთრუშა.	86
6. ყელჭირვება.	90
7. ყიფინიხველა.	94
8. მუცელა	98
9. ყბა: უჩა.	103
10. გ პი.	105
11. მუცელის ტიფი.	109
12. პარტახტიანი ტიფი.	116

13. ଶେବରୁନ୍ଦେହିତି ପ୍ରିଫ୍ରି.	.	.
14. ଚିତ୍ତରେଣ ଫାର୍ମି	.	.
15. ସିଲ୍ଲାଙ୍କିଳିସ ମନ୍ତ୍ରମଲ୍ଲ୍ୟା.	.	.
16. ବୋର୍ଡ୍‌ଗ୍ରେଲା.	.	.
17. ଅଦାମିବାନିସ ପ୍ରିଫ୍ରି.	.	.
18. ଅଦାମିବାନିସ ଫିରାଟା.	.	.
19. ଅଦାମିବାନିସ ବୃଜିଶାର୍ମା.	.	.
20. ଅଦାମିବାନିସ ପିରିଟି	.	.
21. ମାଲାର୍ମିଳା.	.	.

ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନ

ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନ କେବଳିକାଣ୍ଡି

1. ଶେବାଗାଲି	.	.	185
2. ଗୁଲିସ କୁନ୍ତତେବିଳି ଦାସନ୍ତୁଲ୍ଲେବା	.	.	191
3. ଗୁଲିସ ଗାସୁକ୍ରେବା.	.	.	194
4. ଗୁଲିସ ମାଞ୍ଜି.	.	.	196
5. ଗୁଲିସ କେରୁଗ୍ରେବିଳି ଦାସନ୍ତୁଲ୍ଲେବା.	.	.	199
6. ଗୁଲିସ କେରାନ୍ତିବିଳି ଅନ୍ତେବା.	.	.	202
7. ସିଲ୍ଲାଙ୍କିଳିସ ଦାର୍ଢଗ୍ରେବିଳି ଦାସନ୍ତୁଲ୍ଲେବା.	.	.	205

ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନ

ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନ କେବଳିକାଣ୍ଡି ଆଶ୍ରମିକାଣ୍ଡି କେବଳିକାଣ୍ଡି

1. କେରାନ୍ତିବା ଦ୍ଵା ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନ ମିଳିଲି ଅବାଦମ୍ପରିଷନ୍ଦା.	.	.	209
2. କୁକ୍କିଳି ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି: ଶେବାଗାଲି ୧) କୁକ୍କିଳି ମିଥ୍ରାଜ୍ୟ କାର୍ତ୍ତାରୀ, ଦିନିକ କୁକ୍କିଳି ଦାଶବିନ୍ଦୁଶୁଲ୍ଲି କାର୍ତ୍ତାରୀ, ୨) କୁକ୍କିଳି ଅନ୍ତେବା, ଶ୍ରୀଲୁହ- ଲି ଦ୍ଵା କୁକ୍କିଳି, ୩) କୁକ୍କିଳି ରଙ୍ଗବାଲି ଶ୍ରୀଲୁହଲ୍ଲି, ୪) କୁକ୍କିଳି କୁକ୍କିଳି, ୫) ବାହିଗ୍ରହମ କୁକ୍କିଳି କୁକ୍କିଳିଲି ଶ୍ରୀବାଦାଶିଶ୍ଵା ଅବାଦ- ମ୍ପରିଷନ୍ଦିଲି ଦର୍ଶନୀ, ୬) ମେଘା ଶ୍ରୀଲୁହଲ୍ଲି କୁକ୍କିଳି ଅବାଦମ୍ପରିଷ- ନ୍ଦିଲି ଦର୍ଶନୀ, ୭) ଶ୍ରୀବାଦାଶିଶ୍ଵା ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନ କୁକ୍କିଳି କୁକ୍କିଳି କୁକ୍କିଳି ଅବାଦମ୍ପରିଷନ୍ଦିଲି ଦର୍ଶନୀ .	.	.	217- 242
3. ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି: ଶେବାଗାଲି. ୧) ମୁହୂର୍ତ୍ତମି ଶ୍ରୀ- କୁନ୍ତତେବିଳି, ୨) ଦୁଃଖପିଲି, ୩) ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି ମିଥ୍ରାଜ୍ୟ କା- ର୍ତ୍ତାରୀ, ୪) ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି ଦାଶବିନ୍ଦୁଶୁଲ୍ଲି କାର୍ତ୍ତାରୀ, ୫) ବୋର୍ଡ୍‌ ଗ୍ରେଲା ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି କାର୍ତ୍ତାରୀ ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି କାର୍ତ୍ତାରୀ, ୬) ବ୍ୟାକିଲ୍ଲମ୍ବନି	.	.	.

კულტურა.	ების კიბო, თ) ნაწლავების ჩავარდნა, ი) ბეჭდების დანამატის ანთება—აპენდიციარი. ქ) ნა, ს) მუქითახორები.	243—264
უფლის აპენის სხუჭლებანი:	ა) მუცლის აპენის მწვავე ანთება, ბ) მუცლის აპენის კლექი, გ) წყალ-მანქი	265—269
ლვიძლის სნეულებანი:	ა) ყვითა, ბ) ლვიძლის შეგუბება, გ) ლვიძლის დამირქება, დ) ლვიძლის ციროზი, ე) ლვიძლის კლექი, სიფილისი ვ) ლვიძლის კიბო, ზ) ლვიძლის ენინაკოკი, თ) ლვიძლისა და ნალველის პარკის კენჭები.	270—277

ნაშროვი განხილვა.

სასურათო ასოციაცის სიმულებანი.

1. ბრონნიტი.	279
2. ქსენა.	283
3. ფილტვების ანთება..	285
4. ფილტვების აპენის ანთება: ა) მშრალი პლევრიტი, ბ) სითხიანი პლევრიტი, გ) ჩირქიანი პლევრიტი.	294—296
5. ფილტვების აპენის კიბო და სარკომა.	297
6. ფილტვების კლექი.	298

ნაშროვი განვითარება.

I. საშარლმ ასოციაცის სიმულებანი.

1. შესავალი.	309
2. თირკმელების მწვავე ანთება.	312
3. თირკმელების დახანებული ანთება.	315
4. თირკმელების დამირქება.	317
5. თირკმელების ძაბრის ანთება.	318
6. თირკმელების კენჭები.	319
7-8. თირკმელების კლექი და კიბო.	321
9. თირკმელების ჩამოშევება.	323
10. საშარლმ ბუშტის ანთება, შირიმი, კიბო და კლექი.	324

III. 30606იული 1907.

1. შესავალი.
2. სუსუნატი.
3. ობილი ათაშანგი.
4. სიფილისი.

33.

დაზღვრა მამაზობა.

სპეციალური 1907 წლის 160 გვ.

1. პირველი დახმარება უეცარი უბედურების დროს.	343
2. დურბელი.	355
3. ჩიყე.	359
4. შაქრის ავადმყოფობა.	362
5. სახსრების მწვავე ქარები.	365
6. უბრიალო სისხლნაქლულობა.	369
7. სისხლის გათეთრება, სურაეანდი და ელენთის და- სნეულება.	373
8. ბავში.	376
9. ბავშის მოვლა.	384
10. ძვლების სირბილე—რახიტი.	388
11. კენჭებით დასნეულება.	395
12. ბნედი.	399
13. რიგი.	402
14. მშობიარე ქალის მოვლა.	405
15. მუკლის მოშლა.	410
16. სუსუნატი და მუცლის მოწყვეტა.	412

—

